პოსტინდუსტრიული (ახალი) საზოგადოების კვლევის ცენტრი

კახა ქეცბაია

სოციოლოგიის შესავალი
(ლექციები)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

უაკ (UDC) 316(075.8)
ქ-435

წიგნში აეტორ-შემდგენლის მიერ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „სოციოლოგიის შესავალში“ წაკითხული ლექციებია თავმოყრილი. სალექციო თემატიკას თან ერთვის სხვადასხვა სახის საკითხავები, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები და დავალებები, მასალები განსჯისათვის, აგრეთვე ცალკეულ სოციოლოგიურ ტერმინთა განმარტებანი და ა. შ. სოციოლოგიის ისტორიიდან მოტანილი არაერთი საინტერესო მასალა კი სტუდენტებს სოციოლოგიური წარმოსახვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უნდა დაეხმაროს.

წიგნი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტებისა და, საერთოდ, სოციოლოგიის შესწავლის დამწყებთათვისაა განკუთვნილი.

რედაქტორი: აკაკი ყულიჯანიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი,
თსუ-ს სრული პროფესორი

რეცენზენტები: 1. დავით ზაქარაია
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი
2. კობა ნონიაშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ლიტ. რედაქტორი: ჯემალ შონია

გარეკანის I გვერდზე – ჟან ბოდრიარის ფოტო: „რიო,“ 1998 წ.

მესამე გამოცემა

© კახა ქეცბაია
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

ISBN 978-9941-10-641-5

მაინც რა არის ეს სოციოლოგია

სოციოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. მეცნიერება კულტურის თავისებური ფენომენია. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ადამიანის სურვილები კი არ არის უკუფენილი, არამედ იგი ზეპიროვნული მოვლენაა. მეცნიერება მოწოდებულია საგანი ცნებათა ქსელის საშუალებით ისე წარმოადგინოს, როგორც ის თავისთავად არსებობს. მეცნიერება ცნებების საშუალებით გვაძლევს ცოდნას საგანზე. აქ ადამიანი თითქოსდა თავის თავს მალავს, თუმცა რასაც ადამიანი მეცნიერების სახით აქეთებს, ყველაფერი ეს ადამიანისათვის არის გამიზნული, რადგან ადამიანს სინამდვილის თავის სასარგებლოდ გამოყენება სურს. ეს კი განუხორციელებელი იქნებოდა სინამდვილის შემეცნების გარეშე მეცნიერების ბუნების ასეთი გაგება სწორია არა მარტო ბუნებისმეცნიერებების, არამედ სოციალური მეცნიერებების მიმართაც, ვინაიდან ეს უკანასკნელიც საგანთა (კერძოდ სოციალურ მოვლენათა) ბუნების ცოდნას იძლევა.

მეცნიერების რამდენიმე სახე არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან ცოდნის ხასიათით, შინაარსით და კრიტერიუმებით განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე ახდენენ მეცნიერებათა კლასიფიკაციას. ლაპარაკობენ ბუნებისმეცნიერებების და სოციალური მეცნიერებების, პუმანიტარული და კულტურის მეცნიერებების, ფორმალური და ისტორიული მეცნიერებებისა და ა. შ. შესახებ. უახლესი კლასიფიკაციის მიხედვით, მეცნიერების სამ ჯგუფს გამოყოფენ – ფორმალურს, რეალურსა და ისტორიულს.

ფორმალურ მეცნიერებათა კლასში მოიაზრებიან ლოგიკა და მათემატიკა. ამ მეცნიერებათა სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავიანთი კვლევის საგნად არ იხდიან რეალურ ფაქტებს და მოვლენებს, მათ საქმე აქვთ აზროვნების პრინციპებთან. მეთოდი, რომელსაც ეს მეცნიერებები იყენებენ, ლოგიკური დასაბუთებაა.

რეალურ მეცნიერებათა კლასში ჯგუფდებიან ის მეცნიერებები, რომლებიც მეთოდად გამოიყენებენ დაკვირვებას, ცდას და ექსპერიმენტს. რეალურ მეცნიერებებს მიეკუთვნებიან ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ბიოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური და კულტურის მეცნიერებები და სხვ.

ისტორიული მეცნიერება კი სწავლობს ფაქტებს, რომლებიც წარსულში მოხდა. იგი აღწერითი მეცნიერებაა. მისი მიზანია აღადგინოს და აღწეროს რეალურად მომხდარი ფაქტი. ამისათვის ის პირველწყაროების კრიტიკულ ანალიზს გამოიყენებს.

სოციოლოგია, ამ კლასიფიკაციის მიხედვით, რეალურ მეცნიერებათა ჯგუფს განეკუთვნება, თუმცა სოციოლოგიას მეცნიერულობის კრიტერიუმები – ობიექტურობა, გამოთვლადობა, შემოწმებადობა, ინტერსუბიექტურობა, შეფასებითი მსჯელობისაგან თავისუფლება, – რომ დაემკვიდრებინა, საკმაო დრო დასჭირდა და საინტერესო ინტელექტუალური თავგადასავალი გადახდა.

სოციოლოგია დემოკრატიული საზოგადოების მეცნიერებაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტირანიის, დიქტატურის, აბსოლუტური მონარქიის, ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის ფარგლებში სოციალური სფეროს კვლევის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ტრადიციულ საზოგადოებებში (ასევე ტოტალიტარულშიც, გარკვეული სახესხვაობით) მონარქი თვლებოდა აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებელ ყოგურად, რომლის ძალაუფლების ლეგიტიმაცია ღმერთს მიეწერებოდა.

სოციოლოგია საზოგადოების მოდერნიზაციის პირმშოა. საზოგადოების მოდერნიზაცია, თავის მხრივ, ემყარება სუბიექტის აქტიურობის პრინციპის დამკვიდრებას ევროპულ კულტურაში. ადამიანი აცნობიერებს, რომ მისიის დამახასიათებელია თავისუფალი შემოქმედებითი აქტივობა. აქედან გამომდინარე, სოციალური სფეროც ეპოქის სულის შესატ-

ყეისად მოწყობას საჭიროებს. ღმერთის და მონარქის გარეშე დარჩენილ სამყაროში საჭიროა ახალი თამაშის წესების შემოღება. რაციონალური მიდგომა მსჭვალავს საზოგადოებისა და ინდივიდის გაგებასაც. ამ ეპოქაში ინდივიდი აღარ განიხილება, როგორც თაეის თაეში სუბსტანციური ბუნების შემცველი. ინდივიდი თაეის ღირებულებას სხეა ინდივიდებთან მიმართებაში იძენს. ახალი დროის აზროენება ფუნქციურ-რელაციურ მიდგომას აერცელებს საზოგადოებაზეც. როგორც ახალი დროის საბუნებისმეტყველო აზროენებამ უარყო სამყაროს იერარქიული გაგება, ასეე უარყოფს ახალი დროის სოციალური და პოლიტიკური აზრი საზოგადოების იერარქიულ გააზრებას. საზოგადოების ყოეელი წეერი თაეისებური ატომია, რომელთა ურთიერთობა საზოგადოების დანარჩენ წეერებთან მათ მიერეე დადგენილი წესებით, მაგალითად, კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით და სხე. განისაზღერება. კანონის წინაშე ყეელა თანასწორია.

ახალ დროში მოიძებნა სრულიად ახალი პრინციპი, რომელიც საფუძელად დაედო სამოქალაქო-სეკულარული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ესაა კონეენციის პრინციპი, რომელიც ემყარება ადამიანის აეტონომიურობისა და რაციოს (გონების) პრიმატს. ახალი დროისათეის დამახასიათებელია მსოფლმხედეელობრიეი პლურალიზმი, რაც, ერთი შეხედვით, საზოგადოებაში ანარქისტულ განწყობებს უნდა იწეედეს. საქმე ის არის, რომ ამ მსოფლმხედეელობის მიხედეით, ადამიანი ცხადდება აეტონომიურ არსებად, რომელიც არ შეიძლება ფლობდეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, აქედან გამომდინარე, სამართალცნობიერება ამ კულტურაში ყალიბდება საზოგადოებრიე ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, რომელიც მრაეალპარტიული და დემოკრატიული ინსტიტუტების მონაწილეობით მსოფლმხედეელობრიეი პლურალიზმის გათეალისწინებას უსრუნეელყოფს კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მოკლედ, ადამიანები, რომლებიც თაეიანთი აქტიეობით ქმნიან საზოგადოებას, ზებუნებრიეი ავტორიტეტის გარეშე თეითონ ადგენენ „თამაშის" წესებს და აღიარებენ ამ წესებით თამაშის უპირობობას. ამ დროს მკეიდრდება კანონის უზენაესობა, რელიგიასთან დამოკიდებულება ცხადდება ადამიანის პირად საქმედ. ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, სკოლა-ეკლესიისაგან.

ახალი დროის საზოგადოების პრინციპია თეითორგანიზება. ხდება საზოგადოების მოდერნიზაცია. თამაშის წესები ემყარება უმრაელესობის ნებას, ან სხეაგეარად რომ ეთქათ, რადგანაც აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელი სუზერენი აღარ არსებობს, მაშინ სახელმწიფო უნდა იმართოს უმრაელესობის ნების შესატყეისად. უმრაელესობის ნება გამოიხატება კანონმდებლობით მიღებული კონსტიტუციითა (ძირითადი კანონი) და სხეა კანონებით. თანდათანობით მკეიდრდება კანონის უსენაესობა.

სოციალურ სფეროში მიმდინარე ცელილებებმა დღის წესრიგში დააეენა ისეთი მეცნიერების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც სოციალურ კანონზომიერებებს გამოიკელეედა, შეისწაელიდა საზოგადოების სტრუქტურასა და მისი ფუნქციობის ხარისხს, გამოიკელეედა საზოგადოებრიე აზრს და ა.შ. სწორეედ ამ მოთხოენის საფუძელზე გაჩნდა ახალი მეცნიერება-სოციოლოგია, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების კელეით იყო დაკავებული, არამედ მომაელის მიმართ ინტერესს ამყარებდა. დაგეგმეა, პროგნოზირება და წინასწარმეტყეელება სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გამოცხადდა. საკმარისი არ აღმოჩნდა სოციალური სინამდეილის დესკრიფცია. სოციოლოგიური თეორიის „სრულყოფისათეის" სოციოლოგია იძულებული გახდა გადაელახა აღწერის ფარგლები და მიემართა პრესკრიფციისათეის, რაც, ერთი შეხედვით, გამართლებული ჩანს, რადგან, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, სოციოლოგიის მიზანს არა მარტო სინამდეილის აღწერა, არამედ მომაელის ხდომილებების განჭერეტაც ეეალება და, აქედან გამომდინარე, სოციალურ თერაპიას წარმოადგენს.

მომაყალის განჭერეტისადმი ლტოლვამ სოციოლოგია მეცნიერულობის კრიტერიუმის შესუსტებამდე და თეორიის მორალიზებამდე მიიყვანა. ეს ფაქტი აუცილებლად მოითხოვდა ყურადღებას სოციოლოგების მხრიდან, რადგანაც სოციოლოგია ასეთ შემთხვევაში იქცეოდა ფილოსოფიად (სოციალურ ფილოსოფიად), რისგან გამოყოფასაც ასე ესწრაფოდა. სოციოლოგმა უნდა აკონტროლოს საზღვრები დესკრიფციასა და პრესკრიფციას შორის, მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის, „უნდა იყოს" და „არის" შორის. მომავლის პროგნოზირება სოციოლოგიური თეორიის ფარგლებს გარეთ უნდა იქნეს გატანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციოლოგიური თეორია დარჩება ფილოსოფიურ პარადიგმაში და თეორიისთვის აუცილებელ სიმკაცრესა და ობიექტურობას დაკარგავს.

ადამიანისა და საზოგადოების შესახებ არსებული თეორიები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაყოთ: ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ თეორიებად. ფილოსოფიური კონცეფცია ადამიანისა და საზოგადოების ჯერარსულ, მეტაფიზიკურ გაგებაზეა ორიენტირებული, რაც იმის აღიარებაა, რომ ადამიანის მოქმედება რეალობის გარეთ არსებულ საფუძვლებს ემყარება. ეს კონცეფციები ანტიუტილიტარული სულისკვეთების მატარებელია, თუმცა არსებობს ე.წ. უტილიტარული ფილოსოფიური კონცეფციები, რომლის ძირითად იდეას ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს (ლოკი, ჰობსი, ჰიუმი).

სოციოლოგია ინდივიდის და საზოგადოების მოქმედებას განიხილავს, როგორც ემპირიულ ფენომენს. იგი ყურადღების გარეშე ტოვებს მოქმედების ფილოსოფიურ საფუძვლებს და მათ ადგილს უთმობს საზოგადოების მოქმედების ემპირიულ ბუნებას და კანონზომიერებას. ე.წ უტილიტარული ფილოსოფიური კონცეფცია სოციოლოგიის ენაზე „ითარგმნა", როგორც რაციონალური არჩევანის თეორია, ხოლო ანტიუტილიტარული კონცეფციის სოციოლოგიური ტრანსფორმაცია გამოიხატა შემდეგ კითხვებში: არის თუ არა ადამიანის მოქმედება მისი სურვილების თავისუფალი გამოხატულება, თუ დეტერმინირებულია კულტურით ან სოციალიზაციის პროცესით (ვებერი, პარსონსი, გიდენსი)? ამდენად, განსხვავება სოციალურ ფილოსოფიასა და სოციოლოგიას შორის არა საგანში (ერთიც და მეორეც საზოგადოებას იკვლევს), არამედ ამ საგნისადმი მიდგომის წესსა და კვლევის მეთოდებშია.

სოციოლოგია ფილოსოფიისგან საბოლოოდ გასამიჯნად იყენებს ემპირიული კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, თუმცა ჯერ კიდევ ფრანკფურტის სკოლის ფუძემდებელი მ. ჰორკჰაიმერი აღნიშნავდა, რომ სოციოლოგიამ ვერ შეძლო დაეკავშირებინა სპეციალური სოციალური მეცნიერებები და, ამდენად, ვერ შეძლო საზოგადოების მთლიანი სურათის შექმნა. ამ სკოლის წარმომადგენლების (ჰ.მარკუზე, თ.ადორნო) აზრით, სოციოლოგია ფილოსოფიის გარეშე უძლურია გადაჭრას მისთვის საინტერესო პრობლემები. მათი აზრით, სოციოლოგია, რომლებიც ჰქონდა ამოცანა ეკვლია საზოგადოება, როგორც მთელი, კმაყოფილდება ისეთი ფენომენების შესწავლით, რომელიც პრინციპში გაზომვადია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია გასცეს პასუხი კითხვას: როგორ არის საზოგადოება მოწყობილი, მაგრამ ვერ პასუხობს კითხვას, თუ რატომაა ეს საზოგადოება ასეთი. ამიტომ სოციალურ მეცნიერებებს, თუ მათ სურთ იყვნენ რელევანტური, ფილოსოფიასთან სინთეზს უნდა მიაღწიონ. ფრანკფურტის სკოლის ეს იდეა დღესაც არ არის აქტუალობას მოკლებული.

მეცნიერული ობიექტურობა და სიმკაცრე რომ შეუნარჩუნებინა თანამედროვე სოციოლოგია იძულებული გახდა ხელი აეღო საზოგადოების, როგორც მთელის, კვლევაზე, მოახდინა სოციალური სინამდვილის ფრაგმენტაცია და გამოყალიბდა ე.წ. დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები: ოჯახის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, ცოდნის სოციოლოგია და ა.შ, ანუ გამოიყო სოციალური ცხოვრების ის სფეროები, რომელთა შესწავლისათვის უპრიანია კვლევის ემპირიული მეთოდები.

კიდევ ერთი რამ, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სოციოლოგიის მეცნიერულობას და ობიექტურობას – ეს პოლიტიკაა. სოციოლოგიისა და პოლიტიკის მიმართება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეცნიერების მიმართება არამეცნიერებასთან. საქმე ისაა, რომ საგანი, რომელიც სოციოლოგიის კვლევის სფეროა, პოლიტიკის მართვის ობიექტს წარმოადგენს, რის შესახებაც უკვე ჩამოყალიბებულია გარკვეული პოლიტიკური მიდგომები და იდეოლოგიური დისკურსი. საზეზე გვაქვს სოციალური სინამდვილის იდეოლოგიური ობიექტივაცია, რაც, თავის მხრივ, სოციოლოგიურ კვლევებზე ერთგვარი ლატენტური ძალაუფლების მატარებელია. ეს გარემოება სოციოლოგიას ხშირად აქცევს პოლიტიკური მანიპულირების ინსტრუმენტად. მეცნიერულობის შესანარჩუნებლად სოციოლოგია მუდამ უნდა ცდილობდეს პოლიტიკური კონიუნქტურის მარწუხებიდან გათავისუფლებას.

სოციალური სწავლებანი საქართველოში შეიძლება დაიძებნოს ადრეულ ლიტერატურულ ძეგლებში, არაფერს ვამბობთ XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სოციალურ თეორიებზე. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოში ამ დროისათვის არსებობდა სოციოლოგია, როგორც რეალური მეცნიერება. პირველი სოციოლოგიური ანკეტა, რომელიც ამ ტიპის პროდუქტისათვის წაყენებულ ყველაზე მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შექმნილია 1911 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ, რომელსაც სურდა იმ პერიოდის ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება გამოეკვლია სამშობლოსთან მიმართებაში (ეს ანკეტა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივში მოიძია ახალგაზრდა მკვლევარმა სოსო კაკუბავამ, რომელიც მან თავის სადისერტაციო ნაშრომს დაუდო საფუძვლად).

კომუნიზმის ეპოქაში ისტორიული მატერიალიზმი მიიჩნეოდა საზოგადოებასა და მის კანონზომიერებაზე არსებულ საბოლოო ინსტანციის შეუვალ ჭეშმარიტ მოძღვრებად. თუმცა 30-იან წლებში გამოდის კ. მეგრელიძის წიგნი „აზროვნების სოციოლოგია“, რამაც ავტორს გადასახლება და საბოლოო ჯამში სასტიკი დასასრული მოუტანა. საკვირველია, მაგრამ უკვე 70-იან წლებში ქართველი ფილოსოფოსის ვ. ქვაჩახიას თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყალიბდება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი სოციოლოგიის კათედრა. 1984 წელს კი იქმნება სოციოლოგიის სპეციალობა. დღეის მდგომარეობით რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში არსებობს სოციოლოგიის სპეციალობა, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან ამ მეტად საინტერესო და რთულ მეცნიერებას.

აკაკი ყულიჯანიშვილი
თბილისი, 25 სექტემბერი, 2011 წ.

ეუძღვნი ძვირფასი მასწავლებლის,
პროფესორ ბიძინა ლუტიძის ნათელ ხსოვნას

შ ე ს ა ვ ა ლ ი
პროფესია – სოციოლოგი

ყოველდღიურ ცნობიერებაში სოციოლოგია გამოკითხვების ჩატარებასთან და საზოგადოებრივი აზრის შესწავლასთან ასოცირდება ხოლმე. გარკვეულწილად ეს ასეც არის, რადგანაც სოციოლოგიის სხვა ასპექტები უხილავია, მაგრამ დღეისათვის სოციოლოგიას ინტერესთა უფრო ფართო დიაპაზონი აქვს, რომელიც იწყება საზოგადოების წევრთა პოლიტიკური გემოვნებიდან, ტანსაცმლის, საჭმელ-სასმელის, საოჯახო ტექნიკისა და სხვა მისთანების შერჩევისას მათი ქცევის თავისებურებებიდან და უმუშევრობის, დამნაშაეობის, განათლების, ოჯახური კონფლიქტების და ა. შ. შესწავლით მთავრდება. სოციოლოგიის ძირითად დარგებს მიეკუთვნება: განათლების, ეკონომიკის, მართვისა და ორგანიზაციის, პოლიტიკის, მედიისა და კომუნიკაციის, პიროვნებისა და ოჯახის სოციოლოგიები და სხვ.

ჩვენი ყოველდღიური არჩევანი – ანუ ის, თუ როგორ ვისვენებთ, ექმნით ოჯახს, ხმას ვაძლევთ თუ ვირჩევთ პროფესიას, გვიყვარს თუ გვძულს ვიღაც, – დიდწილად საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. ეს ყველაფერი იმ საზოგადოებაში ხდება, რომლის წევრები ჩვენ ვართ და რომელშიც ვცხოვრობთ. სოციოლოგიას ადამიანის ქცევისა და მოქმედების სოციალური განსაზღვრულობა აინტერესებს, ანუ ჩვენს მოქმედებაში იმ თავისებურებათა გამოვლინება, რომლებიც გარემო პირობების ზეგავლენით, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი (მამაკაცები ან ქალები, ახალგაზრდა თუ საშუალო ასაკის მქონე, სოფლის თუ ქალაქის მაცხოვრებელი, მდიდარი თუ ღარიბი და სხვა) კუთვნილების შედეგად ჩამოგვიყალიბდა. მაგალითად, ადამიანი ზამთარში გარეთ პალტოთი იმიტომ გამოდის, რომ არ შეცივდეს, მაგრამ ის, თუ რა ფერის, როგორ და რა ფასის პალტოს შეარჩევს, ეს მის სოციალურ მახასიათებლებზეა (ასაკი, სქესი, ეკონომიკური მდგომარეობა, შეხედულება მოდაზე და სხვა) დამოკიდებული. თუმცა ეკონომიკური გათვლა „ხარჯები-შემოსავალი“ ყოველთვის როდი განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას. ხშირად ჩვენს მოქმედებებს ეთიკური ღირებულებები, კულტურული ნორმები, ადათ-წესები, სხვადასხვა სახის იდეები და შეხედულებები განსაზღვრავენ. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში გიგანტური კომპანიის მფლობელისა და მისი რიგითი თანამშრომლის საშობაო სუფრაზე თითქმის ერთი და იგივე საჭმელ-სასმელი იქნება და მიუხედავად იმისა, მათი შემოსავლები განსხვავებულია, საშობაო საჩუქრებშიც ისინი დაახლოებით ერთნაირ თანხას დახარჯავენ, რაც მათი რელიგიური მრწამსის – პროტესტანტიზმის მოქმედების პრინციპებით აიხსნება, რომლის მიხედვით, საკუთარი შემოსავლების მიუხედავად ადამიანი უბრალოდ და ეკონომიურად უნდა ცხოვრობდეს, ხოლო დანარჩენი ფული საქმეში უნდა ჩადოს. ასე რომ, ამ ქვეყნებში მდიდრული ცხოვრება არა მაღალი სოციალური სტატუსის, არამედ უღირსი ქცევის მაჩვენებელია. ეს ფაქტი საბაზრო ეკონომიკის მქონე საზოგადოების აშენების გზაზე დამდგარი ქვეყნებისათვის ჯერ სასწავლებელი უნდა იყოს.

ადამიანთა ქცევაზე, ადამიანებს შორის ურთიერთობების ფორმებზე დაკვირვება მრავალ კითხვას წარმოშობს ხოლმე. მაგალითად, „რატომ ხარჯავს ადამიანი კოლოსალურ თანხებს ცნობილი ბრენდის შესაძენად, მაშინ როდესაც ხარისხის მიხედვით ის სხვა მარკისაგან მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება?“ „ვარსებებენ თუ არა 50 წლის შემდეგ ტრადიციული ოჯახები?“ „როგორ აღწევენ ადამიანები დიდებას, წარმატებას და რაშია მისი საიდუმლო?“ და ა. შ. კითხვათა ასეთი რიგი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამ კითხვებს ყოველი თქვენგანი საკუთარ პასუხს გასცემს, მაგრამ მათ შორის სწორი პასუხების გამოვლენაში სოციოლოგიური ცოდნა, წარმოსახვა და ტექნოლოგიები დაგეხმარება მხოლოდ. აქედან ჩანს, რომ სოციოლოგს ადამიანებთან უწევს მუშაობა; ის სპეციალურად მომზადებულია იმისათვის, რომ იმუშაოს ადამიანებთან, მართოს ან კონსულტაცია გაუწიოს, დაეხმაროს მათ, რადგანაც ყველაზე უკეთ მან იცის ადამიანთა ინსტრუქციები და მოთ-

ხოვნილებები, მათი ადგილი საზოგადოებაში, მათი პერსპექტიულები, წინააღმდეგობები და კონფლიქტები, ადამიანებს შორის ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებები და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში მათი ეფექტურად გამოყენების გზები და საშუალებები. ამ აზრით, სოციოლოგი მრავალმხრივ განათლებული ადამიანია. ეკონომისტმა საზოგადოების ეკონომიკური მხარე და მისი დამახასიათებელი კანონზომიერება იცის; ფსიქოლოგმა – საზოგადოების ფსიქიკური მხარე და კანონზომიერებანი; პოლიტოლოგმა – პოლიტიკა და პოლიტიკური შრე საზოგადოებრივი ორგანიზმისა; ისტორიკოსმა – საზოგადოების ისტორია; სამართალმცოდნემ – სამართლებრივი ურთიერთობები და ა. შ. ყოველი მათგანი საზოგადოების ერთ, ცალკე აღებულ რომელიმე მხარეს შეისწავლის. მათგან განსხვავებით, სოციოლოგია საზოგადოებას მის მთლიანობაში შეისწავლის, ამიტომაც არის სოციოლოგის პროფესია მრავალგანზომილებიანი და ყოელისმომცველი.

სოციოლოგი – სხვა პროფესიებთან შედარებით ახალგაზრდა და პერსპექტიული პროფესიაა, რომელიც საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. პრაქტიკულად ძნელად თუ მოიპოვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი სფერო, სადაც სოციოლოგს არ შეეძლოს მუშაობა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მხრიდან სოციოლოგების მიმართ დიდი მოთხოვნაა. სოციოლოგებით დაინტერესება განსაკუთრებით დიდია იმ ორგანიზაციებისა და მსხვილი კომპანიების მხრიდან, რომლებიც დაკავებული არიან მარკეტინგული გამოკვლევებით, ინოვაციური ტექნოლოგიების შემოღებითა და დანერგვით, შრომის ბაზრისა და თანამედროვე ეკონომიკური კულტურის შესწავლით, განათლების და სხვა სისტემის რეფორმებით, პოზიტიური საზოგადოებრივი იმიჯის შექმნასთან და რეკლამასთან დაკავშირებული საკითხებით და სხვ.

არც ერთი პოლიტიკური პარტიის საქმიანობა და საარჩევნო კამპანია არ მიმდინარეობს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გარეშე.

ნებისმიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია საკუთარი დადებითი იმიჯით, კორპორაციული კულტურის მოდერნიზაციით, კომუნიკაციის სისტემების ეფექტურობით, პერსონალის სტიმულირების ოპტიმალური სისტემის შექმნით და ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარებით. ამ საკითხების მოგვარება სოციოლოგის პროფესიული დანიშნულებაა.

სოციოლოგები შეისწავლიან რეკლამის ეფექტურობას, აანალიზებენ, თუ როგორ აღწევს რეკლამა მიზნობრივ სივრცეს, როგორია მისი აღქმისა და დამახსოვრების მექანიზმები, რა გავლენას ახდენს იგი ადამიანთა ქცევაზე და ა. შ.


ნებისმიერი ტელეარხი, გაზეთი თუ სხვა ტიპის მედიასაშუალება დაინტერესებულია, რომ მას ჰყავდეს მაყურებელი, მსმენელი და მკითხველი, რომ მას ენდობოდნენ, ხოლო მის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას იმახსოვრებდნენ და იყენებდნენ; ამ ამოცანების შესრულებაში ქმედით დახმარებას მათ სოციოლოგები უწევენ.

თანამედროვე საზოგადოებაში სოციოლოგის საშუალო შემოსავალი არაერთგაროვანია, თუმცა არც ძალიან დაბალია და არც ძალიან მაღალი, შეიძლება ითქვას, საშუალოზე მაღალია. სოციოლოგის შემოსავალი იმ საქმიანობის რაოდენობასა და სირთულეზეა დამოკიდებული, რომელსაც ის ასრულებს. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მუშაკზეა ლაპარაკი, თუმცა სოციოლოგს კარიერული ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს.

ჩვეულებრივ, სოციოლოგიის მიმართულების I კურსის სტუდენტები მუშაობას ინტერეიუერებად იწყებენ, რაც პროფესიული კარიერის კარგი დასაწყისია. ინტერეიუერად მუშაობა ხელს უწყობს ისეთი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორიცაა მოთმინება, სკრუპულოზურობა და ადამიანებთან ურთიერთობის ცოდნა. კარიერული ზრდის მომდევნო ეტაპი მომავალი სპეციალისტის მიერ სოციოლოგიის ცალკეულ სფეროებს შორის გაკეთებულ არჩევანზე იქნება დამოკიდებული. ვისაც სამეცნიერო საქმიანობა იტაცებს, მას შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში, ვინც პრაქტიკულ სოციოლოგიურ საქმიანობას აირჩევს, მას შეეძლება დასაქმდეს სოციოლოგიური კვლევის ცენტრებში, ანალიტიკურ და საკონსულტაციო კომპანიებში, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში, პიარკომპანიებში, იმიჯცენტრებში, რეკლამისა და მედიის სფეროში, საკადრო სამსახურებში, კერძო ფირმებისა და კომპანიების მარკეტინგულ განყოფილებებში, საგამომცემლო ბიზნესში და სხვ. მარკეტინგის, რეკლამისა და იმიჯის სფეროში მომუშავე სოციოლოგის ანაზღაურება თვეში 600-დან 1500 აშშ დოლარამდე მერყეობს; ბიზნესისა და

საბანკო სფეროში დასაქმებული სოციოლოგების შემთხვევაშიც დაახლოებით იგივე ვითარებაა. ასე რომ, სოციოლოგობა ძალ'სე საინტერესო, პერსპექტიული და პრესტიჟული საქმიანობაა.

„სოციოლოგი საზოგადოების მკურნალია“



I ლექცია

თემა: რა არის სოციოლოგია?

სოციოლოგია სხვა მეცნიერებებთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდაა. ცნობილი პოლონელი სოციოლოგის პიოტრ შტომპკას თქმით, „სოციოლოგია – ახალი მეცნიერებაა ძალიან ძველი თემის შესახებ." ეს ძველი თემა კი სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოება. პარადოქსია, მაგრამ რეალობაა – საზოგადოება ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე მის შესახებ მეცნიერება.

თანამედროვე გაგებით, სოციოლოგია წმინდა ევროპული მოვლენაა. დამოუკიდებელ მეცნიერებად მისი ჩამოყალიბება ახალი დროის ევროპაში მიმდინარე საზოგადოებრივმა გარდაქმნებმა და ევროპული საზოგადოების გაღიაების, დემოკრატიზაციის პროცესებმა განაპირობა. სოციოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება, შეიძლება ითქვას, ევროპული დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების თანამდევი პროცესი იყო.

სიტყვა „სოციოლოგია" ლათინური და ბერძნული სიტყვებისაგან წარმოდგება: ლათინური – **socius** – კომპანიონს, ხოლო ძველი ბერძნული – **logos** – მოძღვრებას, სწავლებას ნიშნავს; სიტყვასიტყვით სოციოლოგია ურთიერთობის, კომპანიონობის შესახებ მოძღვრებას, სწავლებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით ეს ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესების შესწავლაა. ტერმინ სოციოლოგიის მეორენაირი განმარტებაც არსებობს, რომლის მიხედვით ის შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ლათინური – **societas**-საზოგადოება და ძვ. ბერძნული – **logia**-(ძვ. ბერძნული **logos**-ის მრავალობითი რიცხვიდანაა ნაწარმოები) სიტყვა, რაც პირდაპირი მნიშვნელობით იქნება „მრავალი, მრავალი სიტყვა საზოგადოების შესახებ." ორივე შემთხვევაში ტერმინი ნათლად მიანიშნებს იმაზე, თუ რა არის სოციოლოგია: ეს არის მოძღვრება, სწავლება, მეცნიერება საზოგადოების შესახებ.

ტერმინოლოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით, სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების, ფუძემდებელი ფრანგი სოციოლოგი ოგიუსტ კონტია. კონტამდე ასეთი რამ არ არსებობდა.

იმისათვის, რომ გავიგოთ სოციოლოგიის რაობა, საზოგადოებისადმი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურება, აუცილებელია კვლევის იმ სფეროს შემოსაზღვრა, რომელიც სპეციფიკურია სოციოლოგიისათვის. ამისათვის კი სოციოლოგიის ობიექტისა და საგნის განსაზღვრებაა აუცილებელი.

ჩვეულებრივ, ამა თუ იმ მეცნიერების ობიექტში ჩვენს გარემომცველ მატერიალურ ან არამატერიალურ სამყაროს მოიაზრებენ, რეალობას, რომელიც მის შესახებ ჩვენი ცოდნისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ლათინური სიტყვა – **obiectum**-დამოუკიდებლად არსებულს ნიშნავს; ამ აზრით, საგანთან შედარებით მეცნიერების ობიექტი ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებაა.

ობიექტისაგან განსხვავებით, მეცნიერული კვლევის საგანი მხოლოდ მკვლევრის თავში არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მთლიანად ჩვენს ცოდნაზეა დამოკიდებული. კვლევის საგნის განსაზღვრებისას ჩვენ აბსტრაქტულად გამოვყოფთ ობიექტის ერთ ან რამდენიმე მხარეს და მის ანალიზს ვცდილობთ. ამ ლოგიკით შესაძლებელია კვლევის ყოველ ობიექტს ერთი ან მეტი საგანი შეესაბამებოდეს.

მაგალითად, ავიღოთ ქვის შენობა. იგი, როგორც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, შესაძლებელია ეკონომისტის, არქიტექტორის, ისტორიკოსის და ა. შ. ინტერესის საგანი იყოს. ეკონომისტი მის აგებაზე დახარჯული სახსრებით დაინტერესდებოდა; არქიტექტორი – არქიტექტურული სტილითა და ლანდშაფტთან შეხამებით, ისტორიკოსი იმით – თუ როდის, ვის მიერ და რატომ იქნა იგი აშენებული და ა. შ. ყოველი მათგანი ერთსა და იმავე ობიექტს უტრიალებს. ის, რაც თითოეულ მათგანს უშუალოდ აინტერესებს, არის სწორედ მათი კვლევის საგანი. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ასეთი რამ მოცემულ ობიექტში თავისთავად არ არსებობდა.

სოციოლოგიის ობიექტია საზოგადოება მის მთლიანობაში. საზოგადოება, როგორც მთელი, ყოველთვის მეტია იმ ნაწილებზე, რომელთაგანაც ის შედგება და რომელთაც სხვადასხვა მეცნიერებები შეისწავლიან.

სოციოლოგიური ცოდნის ობიექტებია:

- საზოგადოება, როგორც მთელი;
- გლობალური, მსოფლიო საზოგადოება;
- ტრადიციული, ნაციონალური საზოგადოება;
- მიკროსაზოგადოება (სოციალური ჯგუფი, ოჯახი და სხვა);
- ინდივიდი, აქტორი.

აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიას ნაკლებად აინტერესებს ცალკე აღებული ინდივიდის მოქმედება, აზრები, გრძნობები. იგი ინდივიდით მაშინ ინტერესდება, როდესაც მასში ტიპურ, ყველასათვის დამახასიათებელ განმეორებად ნიშან-თვისებებს დაინახავს; შესაბამისად, ეს მეცნიერება დაბადებისთანავე პრინციპულად უპიროვნოა. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ცალკე აღებული საზოგადოების წევრი არა ინდივიდად ან პიროვნებად, არამედ, სპეციალური სოციოლოგიური ტერმინოლოგიით, აქტორად მიიჩნევა. აქტორი – ეს არის ის, ვინც გარკვეულ აქტებს ახორციელებს, მოქმედებს. ამით ხაზგასმულია, რომ სოციოლოგია ადამიანებს ყოფს არა პიროვნებებად, არამედ სხვადასხვა ფუნქციის მატარებელ ტიპებად. ასეთი მიდგომა ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევებისთვისაა ნიშანდობლივი, რომლებიც ანონიმური ხასიათის მატარებელია.

აქტორი – ინდივიდუალური როლის შემსრულებელი ნებისმიერი ერთეული, მოქმედების სუბიექტი.

რამდენადაც სოციოლოგია ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის შედეგია, მისი საგნის ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ამის შესახებ ერთი ყველასათვის მისაღები მოსაზრება, კონტის დროიდან მოყოლებული დღემდე, არ არსებობს. სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულებისა და სკოლის წარმომადგენლებს სხვადასხვანაირად ესმოდათ და ესმით სოციოლოგიის საგანი, რაც გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგანაც მეცნიერების საგანი მჭიდრო კავშირშია სამეცნიერო კვლევებთან.

სოციოლოგიის ფუძემდებელმა ოგიუსტ კონტმა სოციოლოგია ფილოსოფიას დაუპირისპირა და იგი განსაზღვრა, როგორც მკაცრად პოზიტიური (დადებითი) მეცნიერება საზოგადოების შესახებ, რომელმაც მეტაფიზიკურ, რეალობას მოწყვეტილ (ძვ. ბერძნულად – „მეტა-ტა-ფიზიკა“ – ფიზიკის იქითა რეალობა) მსჯელობებს სოციალური რეალობის შესწავლა დაუპირისპირა. ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ბრძოლაში სოციოლოგიამ გაიმარჯვა.

სოციოლოგიის კლასიკოსი ემილ დიურკემი სოციოლოგიის საგნად სოციალურ ფაქტებს მიიჩნევდა. სოციოლოგიის დიდი წარმომადგენელი მაქს ვებერი სოციოლოგიის საგნად აქტორის სოციალურ მოქმედებას მიიჩნევდა; მის მიხედვით, ამის შესაბამისად, სოციოლოგიის ამოცანა ამ მოქმედებათა საზრისის გაგებაა.


სოციალური ფაქტის ცნებით დიურკემი იმ სოციალურ (საზოგადოებრივ) ფენომენებს აღნიშნავდა, რომლებიც ინდივიდების მიმართ გარეგანია და შემზღუდველი, მაიძულებელი მნიშვნელობა აქვს. როგორც ამინდი გვკარნახობს იმას, თუ რა ჩავიცვათ, სწორედ ასე გვკარნახობენ სოციალური ფაქტები შესაბამის მოქმედებებს. ეს ფაქტები რეალურად არსებობენ და გაელენას ახდენენ ჩვენზე. სოციოლოგიამ სოციალური სინამდვილე სოციალური ფაქტების პოზიციიდან და არა პიროვნულ-სუბიექტური მოტივაციებიდან უნდა ახსნას.

სოციოლოგიის საგნის არსში გასარკვევად მნიშვნელოვანია საზოგადოების, როგორც სტრუქტურის, სისტემური მთლიანობის გაგება, ანუ ის არის ისეთი მთელი, სტრუქტურული მთლიანობა, რომლის ნაწილები ურთიერთშემოქმედებაში იმყოფებიან. ამის გათვალისწინებით, ძნელია იმის თქმა, რომ ადამიანები თვითონ ირჩევენ მათთვის სასურველ საქმიანობას. საზოგადოებისა და სოციალურ ურთიერთობათა მეცნიერული, სოციოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ყოველდღიური არჩევანი იმ საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ამგვარად, სოციოლოგიური მიდგომის გამოყენებით აქედან ჩვენ სულ მცირე ორ ჭეშის სასწავლებელ და დასამახსოვრებელ გაკვეთილს ვიღებთ: პირველ რიგში, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს მოქმედებებს სოციალური სამყარო განაპირობებს, და მეორე, სოციალური სამყაროს კანონებისა და კანონზომიერებათა შეს-

წაელით საკუთარ და სხვათა მოქმედებებზე სასიკეთო ზეგავლენის მოხდენა, მთელი რიგი სოციალური პროცესების მართვა და კორექტირება შეგვეძლება. ასე რომ, სოციოლოგიის საგანი ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთზემოქმედებაა; ამ ზემოქმედებათა კანონებისა და კანონზომიერებათა დადგენა კი სოციოლოგიის უმთავრესი და უძირითადესი ამოცანაა. ამ შემთხვევაში სოციოლოგია ინტერესდება არა ცალკეული, ერთეული ფაქტებით, არამედ მას ისეთი ტიპური სოციალური ფენომენები აინტერესებს, რომლებიც ყველგან და ყოველთვის არსებობენ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციოლოგიური კელეეის საგანია:

- საზოგადოების წევრებს შორის სოციალური ურთიერთზემოქმედება;
- ურთიერთზემოქმედების ჯგუფური ფორმები (მაგალითად, კონფლიქტები ან ინტეგრაცია საზოგადოების შიგნით);
- სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება (მაგალითად, ოჯახის, რელიგიის, სპორტის და ა. შ);
- სოციალური პროცესები (მაგალითად, მიგრაცია, სოციალური მობილობა და სხვა);
- სოციალური სუბიექტები.

სოციოლოგიის, როგორც სოციალური ქცეეის, სოციალური მოქმედებისა და სოციალური სტრუქტურების შემსწავლელი მეცნიერების, განსაზღერება გერმანელი სოციოლოგის გიუნტერ ეისეედეს (1991 წ.) მიხედვით შემდეგი სახით შეიძლება წარმოეიდგინოთ:



ამ მოდელის მიხედვით, „სოციალურად ფორმირებული მოქმედება" – ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც საზოგადოებაში არსებული ნორმებისა და ღირებულებების გათვალისწინების პროცესში საზოგადოების გაელენით ყალიბდება; ხოლო „სოციალურად მიმართულია" მოქმედება, როდესაც ცალკეული ადამიანის მოქმედება გარემომცველ ადამიანთა მოქმედებებთანაა შეფარდებული, ანუ ჩემს მოქმედებას მიმართულებას სოციუმი აძლეეს. „სოციალური სტრუქტურების" შემადგენელი ნაწილებია: სოციალური ნიშნები და სოციალური წარმონაქმნები. პირეელი მათგანი ასაკობრიე, ეკონომიკურ და პროფესიონალურ სტრუქტურებს მოიცავს. სოციალურ წარმონაქმნებში კი ისეთი ერთობები მოიაზრება, როგორებიცაა ეკლესია, სამრეწველო კომპანია, სხვადასხეა სახის საზოგადოებრიეი გაერთიანებები, ორგანიზაციები და ინსტიტუტები; სოციოლოგიის საგნის ეს მოდელი შესაძლებელია მოკლებული იყოს სრულყოფილებას, მაგრამ იგი თანამედროეე სოციოლოგიაში არსებული ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია, რომლის მიხედვით, თუ საზოგადოება ადამიანთა ურთიერთზემოქმედების შედეგია, მაშინ სოციოლოგიის ამოცანა ამ ურთიერთზემოქმედებათა სოციალური (საზოგადოებრიეი) კანონზომიერებების შესწაელა ყოფილა, რაც შორს დგას სოციოლოგიის საგნის კლასიკური გაგებისაგან, რომლის მიხედვით, სოციოლოგიის საგანი მთლიანი საზოგადოებაა. ამ აზრით სოციოლოგიის საგანი და ობიექტი ერთმანეთს ემთხვეეა.

დღეს სოციოლოგიის კელეეის სფერო ძალზე გაფართოდა. მასში მოქცეულია საზოგადოებრიეი ჯგუფებისა და პიროვნების სოციალური მოქმედებისა და ქცეეის კანონზომიერებანი, საზოგადოების სტრუქტურისა და სოციალური ინსტიტუტების ცნებები, რომლებიც საზოგადოებრიეი ფაქტორებით არის განპირობებული.

სოციოლოგიის ფუნქციები

თანამედროვე სოციოლოგია, როგორც საზოგადოების არსებობისა და განვითარების სოციალური კანონსომიერებების შემსწავლელი მეცნიერება, ძალზე ფართო ფუნქციების მქონეა, რომელთაგან უმთავრესია:

- შემეცნებითი ფუნქცია:

სოციოლოგია სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი სისტემის არსებობისა და ფუნქციონირების სოციალურ კანონსომიერებებს შეისწავლის, რაც მისი შემეცნებითი ფუნქციის გამოვლინებაა. ეს ფუნქცია აგრეთვე სოციოლოგიური კვლევის თეორიისა და მეთოდოლოგიის შემუშავებასაც გულისხმობს.

- პროგნოზისტული ფუნქცია:

საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებათა ცოდნის საფუძველზე სოციოლოგია აკეთებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებს საზოგადოების ამა თუ იმ სფეროს (მოსახლეობის მიგრაცია, სოციალური სტრუქტურების ეფექტური ფუნქციონირება, ურბანიზაცია, ცხოვრების დონე, განათლების რეფორმების მიმდინარეობა, კულტურის ტრანსფორმაცია, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და სხვა) შესახებ. სოციოლოგიური პროგნოზი რეკომენდაციული ხასიათის მქონეა და არსებული ვითარების სასიკეთოდ შეცვლას ისახავს მიზნად.

- სოციალური პროექტირების ფუნქცია:

სოციალური პროექტირების ამოცანა სოციალური სისტემებისა და ერთობების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ოპტიმალური მოდელების შემუშავებასთან ერთად დასახული ამოცანების მიღწევის მენეჯმენტსაც ითვალისწინებს. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების ქვეყნებში პროფესიონალი სოციოლოგების უმრავლესობა ამ საქმიანობითაა დაკავებული.

- სოციალურ-ტექნოლოგიური ფუნქცია:

სოციოლოგიის ამ ფუნქციის ტიპური მაჩვენებელია საწარმოებში, მსხვილ კომპანიებსა და გაერთიანებებში სოციოლოგის მუშაობა. აქ ისინი კოლექტივის ფსიქოლოგიური მდგომარეობებისა და განწყობების ანალიზით, საკადრო საკითხების გადაწყვეტით, სოციალური კონფლიქტების მართვით არიან დაკავებულნი. სოციალური ინჟინერიის ფარგლებში ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ფუნქცია სოციალური გამომგონებლობის სახით წარმოდგება. სოციოლოგის მიერ გაწეულ დახმარებას სოციალური სინამდვილის ამ სფეროში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

- მმართველობითი ფუნქცია:

სოციოლოგია, უმთავრესად გამოყენებითი სოციოლოგია, პირდაპირ კავშირშია მმართველობით საქმიანობასთან. თანამედროვე პირობებში სოციოლოგიური ცოდნის გარეშე მართვის განხორციელება ძალზე ძნელი საქმეა. ამ მხრივ სოციოლოგია სოციალური გარდაქმნების არაპირდაპირ ინსტრუმენტად გვევლინება. იგი სოციალური პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს ქმნის.

- იდეოლოგიური ფუნქცია:

სოციოლოგია გარკვეულწილად იდეოლოგიური ფუნქციების მატარებელი მეცნიერებაა, რამდენადაც ის ხსნის საზოგადოების მდგომარეობას, მან იცის საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ სოციალური პრობლემების შესახებ და ა. შ. საზოგადოების შესწავლის პროცესში სოციოლოგია ცალკეული იდეების ფორმირების პროცესსაც უწყობს ხელს, რაშიც ვლინდება მისი იდეოლოგიური ფუნქცია, თუმცა იდეოლოგია ამ შემთხვევაში პოზიტიური მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. როცა სოციოლოგიის იდეოლოგიურ ფუნქციაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში არ გვაქვს გაბატონებული იდეოლოგია. პირიქით, სოციოლოგია ებრძვის ამგვარ იდეოლოგიებს, რასაც მოწმობს ჩვენში ამ მეცნიერების განვითარების ისტორია. გაბატონებული იდეოლოგიის პერიოდში ჩვენში სოციოლოგია აკრძალული იყო. დღეს სოციოლოგია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ღია, დემოკრატიული საზოგადოების თეორია და იდეოლოგია, რომელსაც სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

სოციოლოგიის კანონებისა და კატეგორიების შესახებ

სოციოლოგიის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერების, კანონებისა და კატეგორიების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია იმყოფება. მიუხედავად ამისა, გარკვეულია,

რომ სოციოლოგიის უმთავრეს კატეგორიას სოციალურის ცნება წარმოადგენს, რომელთანაც სოციოლოგიის ისეთი კატეგორიებია კავშირში, როგორებიცაა: სოციალური ურთიერთობა, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური ჯგუფები, სოციალური პროცესები და სოციალური სტრუქტურა.

ყოველი მეცნიერების ბირთვს კანონები ქმნიან. კანონი, როგორც ცნობილია, არის საგანთა და მოვლენათა არსებითი, აუცილებელი, ზოგადი, ობიექტური, საყოველთაო და განმეორებადი კავშირის გამოხატულება. კატეგორიები კი კანონთა უზოგადესი გამოვლინებებია. ასე იქმნება ყოველი მეცნიერების განსაკუთრებული ენა. როდესაც სპეციალისტები თავიანთ ენაზე საუბრობენ, ამ პროფესიაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის გაუგებარია ეს ენა. არადა, ამ შემთხვევაში კანონებზეა საუბარი. აქედან მომდინარეობს ანეკდოტი, რომლის მიხედვით, მეცნიერებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც გასაგებ საგნებზე გაუგებრად საუბრობენ. მთავარია იმის დაზუსტება, რომ სოციოლოგიას სოციალურ კანონებთან აქვს საქმე, რომლებიც ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში მოქმედებენ. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი მოიცავს მხოლოდ მცირე სოციალურ ჯგუფებს, ზოგიერთი კი – მთელ საზოგადოებას.

სხვა კანონების მსგავსად, სოციალური კანონები შემდეგი ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან:

- კანონი გარკვეული მოცემულობების არსებობის შემთხვევაში მოქმედებს;
- ამ პირობებში კანონი ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე ვლინდება;
- პირობები, რომელშიც სოციალური კანონები მოქმედებენ, რეალიზდება არასრულად, ნაწილობრივ და დაახლოებით.

სოციალური კანონები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ორგანიზაციის ანუ ფუნქციონირების კანონები და განვითარების კანონები. გარდა ამისა, არსებობს სხვა კანონებიც: მაგალითად, ოჯახის, შრომითი კოლექტივის, პიროვნების და ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის. სწორედ ისინი ქმნიან სოციალურ-სოციოლოგიური თეორიების კარკასს. საზოგადოების სოციოლოგიური ხედვა იმის საშუალებას იძლევა, რომ ცალკეული სოციალური მოვლენები სხვებთან კავშირში გაეანალიზოთ. სოციოლოგია საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების დინამიკასა და სტატიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა. სოციალური მოვლენების დინამიკაში შესწავლა მათი პროგნოზირების საშუალებას აძლევს სოციოლოგიას. ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ რაით მილსი ამბობდა, რომ მხოლოდ სოციოლოგიურ წარმოდგენას ძალუძს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართების ურთულესი პრობლემის სწორი გაგების მოცემა.

საბოლოოდ, საინტერესოა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორების ჯეინ ტომპსონისა და ჯუდიტ პრისტოლის მოსაზრება, რომლის მიხედვით, სოციოლოგია ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთულესი ურთიერთმიმართების შესწავლაა; იმის კვლევაა, თუ როგორ ქმნიან და ცვლიან საზოგადოებას ადამიანები და პირიქით, როგორ ცვლის სოციუმი ადამიანებს. მართალია, სოციოლოგიის უფრო რთული განსაზღვრებაც არსებობს, მაგრამ სოციოლოგიის შესავლის ამ კურსის გაცნობის შედეგად თქვენ გაიგებთ, რომ ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა ისეთი ელემენტარული რამ არ არის, როგორიც შეიძლება ერთი შეხედვით გეგონოთ. სოციოლოგია – ეს არის საინტერესო მეცნიერება, რომელთანაც გაცნობა ჩვენ აუცილებლად მოგვიწევს.

დავალება:

ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელია, რომ სოციოლოგია არის მეცნიერება. მეცნიერულობის ქვეშ პირველ რიგში ცოდნის დასაბუთებული სისტემა იგულისხმება. მეცნიერული ცოდნის უმთავრესი ნიშნებია:

- ემპირიულობა (ძვ. ბერძნულად – **empirica**-ცდა, გამოცდილება) – რაც იმას ნიშნავს, რომ ცოდნა დაკვირვებასა და გამოცდილებაზეა დამყარებული.
- ემპირიულად შემოწმებადობა (ვერიფიცირებადობა) – ცოდნის პრაქტიკული შემოწმებადობა.
- არაინორმატიულობა – შორს დგას შესამეცნებელი საგნისადმი ყოველგვარი ღირებულებით-შეფასებითი მიმართებისაგან, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერული კვლევა ღირებულებითი ვაკუუმის პირობებში მიმდინარეობს. აქ იგულისხმება, რომ მეცნიერულ ცოდნას ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმის ან კა-

ნონის სახე არა აქვს.

- გადაცემადობა – ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა.
- ლოგიკურობა – აზრები ერთმანეთს კი არ ეწინააღმდგებიან, არამედ ერთმანეთისაგან გამომდინარობენ.
- ზოგადობა – მეცნიერული ცოდნა განზოგადებული ხასიათის მატარებელია.
- ახსნითი ბუნების ქონა – საგნებსა და მოელენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა იგულისხმება.
- დროულობა – მეცნიერული ცოდნა დროითი ბუნების მქონეა. ის დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს.

ცოდნის სხვადასხვა ტიპების დამახასიათებელი ნიშნები

	ცოდნის ტიპები		
	მეცნიერული	საღი აზრი	მითოსური
ემპირიულობა	+	+	–
ემპირიულად შემოწმებადობა	+	–	–
არანორმატიულობა	+	+	–
გადაცემადობა	+	–	–
ლოგიკურობა	+	–	–
ზოგადობა	+	–	+
ახსნითი ბუნების ქონა	+	–	+
დროულობა	+	+	–

საზოგადოებას არც ერთ ეპოქაში არ მოკლებია დიდი მოაზროვნეების ყურადღება. ბუნებრივია, მათ ჰქონდათ საკუთარი შეხედულებები საზოგადოებაზე, მაგრამ ისინი სოციოლოგები არ არიან. თავიანთ კონცეფციებში ისინი უფრო მეტად იდეალურ (რაც უნდა იყოს და როგორიც უნდა იყოს) საზოგადოებას გამოსახავდნენ და შორს იდგნენ არსებულის ანალიზისგან. სრულყოფილ სოციალურ სამყაროზე სოციოლოგიის მამებიც ფიქრობდნენ, მაგრამ მათი მთავარი ამოცანა რეალურად არსებული საზოგადოების ფუნქციონირების პრობლემას დასტრიალებდა, რაც საზოგადოებისადმი მეცნიერული მიდგომის საწინდარია.

კონტმა და სოციოლოგიის სხვა კლასიკოსებმა სოციოლოგია მეცნიერულობის გზაზე დააყენეს, ხოლო მეცნიერებად იგი XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა სოციოლოგებმა აქციეს.

– თქვენი აზრით, რამდენად აკმაყოფილებს სოციოლოგია მეცნიერულობის ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს? კითხვაზე პასუხი ცალკეული მაგალითების მიხედვით მოამზადეთ.


ძირითადი ლიტერატურა:

1. ბ. ლეჟავა, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 3-10.
2. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. მეცნიერება საზოგადოების შესახებ. თავი I. გვ. 7-14.
3. Э. Гидденс, Социология. М. 2005. გვ. 17-20.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 5-12.
2. კ. ნონიაშვილი, კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში, თბ., 2010. გვ. 10-13.
3. კახა ქეცბაია, ჟურნალისტიკის სოციოლოგია (საგანი, ამოცანები, მეთოდები), თბ., 2003. გვ. 5-13.
4. ე. კოდუა, სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1998, გვ. 7-25.
5. Дж. Масионис, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 24-36.
6. А. Кравченко, В. Анурин, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 9-36.
7. Руководитель авторского коллектива П. Павленок, Социология, М. 2002. გვ. 7-19.

მასალა განსჯისათვის
საზოგადოება მიკროსკოპის ქვეშ



„სამყაროს ჩვენ, ჩვეულებრივ, სამი განსხვავებული ჯგუფის „ფაქტებად“ ვყოფთ ხოლმე. არსებობს ბიოლოგიური ფაქტები: სუნთქვა, კვება, ძილი და ა. შ. მაგალითად, ემოციები, სიყვარული, სიძულვილი ანდა სიამოვნება, რომელსაც ფერწერული ტილოს ჭერეტის შედეგად მიღებული აღქმა გვანიჭებს, – ფსიქოლოგიური ფაქტებია. ამასთანავე არსებობს სოციოლოგიური ფაქტები, რომლებიც საზოგადოებასთან და სოციალურ ურთიერთობებთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვიღაცასთან ვმეგობრობთ, ვთანამშრომლობთ სამსახურში, ვართ სხვადასხვა ჯგუფის წევრი და ა. შ. თუკი ამგვარად შეხედავთ სამყაროს, მაშინ, საგანთა ლოგიკიდან გამომდინარე, მეცნიერების ყოველი დარგი მხოლოდ გარკვეული რიგის ფაქტებს უნდა შეისწავლიდეს. სინამდვილეში ამგვარი მიდგომა არ ვარგა. ერთი და იგივე ფაქტი მრავალი სხვადასხვა მეცნიერების საგანი შეიძლება იყოს.

განვიხილოთ ქცევის უბრალო მაგალითი: ქალი ოთხ ბილეთს ყიდულობს პაეაის კუნძულებზე გასამგზავრებლად, სადაც ის თავის ოჯახთან ერთად ორკვირიან შვებულებას გაატარებს. ფსიქოლოგი ისურვებდა, რომ გამოერკვია, თუ რატომ აირჩია მან მაინცდამაინც პაეაის კუნძულები; ეკონომისტი ბილეთების ყიდვის ამ ფაქტში ფულის ხარჯვის სხვა ვარიანტებით დაინტერესდებოდა. სოციოლოგი კი ამ ფაქტში დანარჩენ სამ მგზავრს – ამ ქალის მეუღლესა და შვილებს მიაქცევდა ყურადღებას და იკითხავდა: თუ რა გაელენა იქონიეს მათ ამ ქალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამ მაგალითიდან თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ქცევის ერთსა და იმავე ელემენტს სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინები სხვადასხვანაირად ხსნიან. ანალიზის მსვრივი ეტაპი სინამდვილის სოციოლოგიური და არა ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან კიდევ რაიმე სხვა მახასიათებლების გამოყენებაა.“

ნეილ სმელზერი

რა არის სოციოლოგია და რას შეისწავლის ის?

„საკუთარ და სხვა ადამიანთა ცხოვრებაზე დაკვირვებისას ჩვენ ვხედავთ, რომ ის განუწყვეტელი მოქმედებებისაგან შედგება. ჩვენ გამუდმებით ვმოქმედებთ, მუდამ რაღაცას ვაკეთებთ, მუდმივად რაღაცით ვართ დაკავებული. ხან ერთ საქმეს ვასრულებთ, ხან მეორეს. ან ვისვენებთ, ან ვშრომობთ; დროდადრო ვიცინით ან ტირით; სხვებს ვეხმარებით და გვიყვარს ვიღაცა, ან ვიღაცა გვძულს და ყემტერებით; ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე განუწყვეტლივ მოქმედებს. მათ შორის ზოგი გაცნობიერებული მოქმედებაა, ზოგიც – გაუცნობიერებელი; ზოგიერთი საქციელი მოფიქრებულია, ზოგი კი – არა; ერთი კარგია, მეორე – ცუდი. მაგრამ სანამ ადამიანი ცოცხლობს, ის მოქმედებს. ამ მოქმედებათა დაძაბულობა მხოლოდ ძილის საათებში სუსტდება. ადამიანურ მოქმედებათა ხმაურიანი ზღვა მხოლოდ ამ შემთხვევაში მშვიდდება ცოტა ხნით. დანარჩენი დროის განმავლობაში ადამიანური მოქმედებები ხმაურიან და მიზანსწრაფ მდუღარე ჩანჩქერს წარმოადგენს. ამგვარი განუწყვეტელი მოქმედებით მიემართება ადამიანური ცხოვრება. ამ ყველაფერთან ერთად ჩვენ სხვა რამესაც ვხედავთ. ვხედავთ, რომ სხვადასხვაა ადამიანთა მოქმედებები არაერთგვაროვანია. გლეხი თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს მიწაზე მუშაობაში ატარებს, მუშა – ფაბრიკაში, ჩინოვნიკი – კანცელარიაში, ვაჭარი – მაღაზიაში. ადამიანთა ერთი ნაწილი ხელისუფლებაშია და სხვებს მართავს, მეორეს მართავენ; ერთნი მდიდრები არიან, მეორენი – ღარიბები. ერთნი კარგად ცხოვრობენ და სამართლიანად იქცევიან, მეორენი დანაშაულს სჩადიან და ციხეში ხვდებიან;

და აი, დგება საკითხი: რატომ არის ადამიანთა საქმიანობა ასეთი და არა სხვანაირი? რატომ აეწყო ცალკეულ ადამიანთა ცხოვრება ასე და არა სხვანაირად? რატომ არ მოქმედებენ ადამიანები ერთნაირად? ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები, არამედ ადამიანთა ჯგუფები, მთელი ხალხები თავიანთი ცხოვრებითა და ისტორიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ინგლისელი ხალხი არ ჰგავს რუს ერს, ორივენი კი ძლიერ განსხვავდებიან იაპონელებისაგან და ა. შ. ამ ხალხების ხასიათი, ცხოვრების წესი, რელიგია, ენა, ადათ-წესები, ჩვეულებები განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

არ ჰგავს ერთმანეთს მათი ისტორია და ისტორიული ბედ-იღბალი. და აქაც იგივე საკითხი წამოიჭრება: რით ავხსნათ ასეთი განსხვავებები? რატომ ჩამოყალიბდა ინგლისელების ცხოვრება ასე და ამგვარად და ხოლო ჩინელებისა სხვაგვარად?

სოციოლოგიის მთავარი ამოცანაა ახსნას როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე ხალხთა ცხოვრება, მოქმედება და ბედისწერა.

* * *

ერთად მცხოვრებ ადამიანთა კრებულს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე ანუ ურთიერთზემოქმედებენ, სოციალური ჯგუფი ანუ საზოგადოება ეწოდება. მათ ერთობლივ ცხოვრებას საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქვია, მათ შორის ურთიერთობებს კი – საზოგადოებრივი ანუ სოციალური ურთიერთობები. ასე რომ, საზოგადოება, საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი ურთიერთობები სოციალურ მოვლენებს წარმოადგენენ. მათი შესწავლა სოციოლოგიის უმთავრესი ამოცანაა. ამ გზით ჩვენ ბევრ რამეს გავიგებთ ყოველი ცალკეული ადამიანის ქცევის შესახებ და, პირიქით, საზოგადოების შესახებ ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნება ცალკეულ ადამიანთა ცხოვრების წვდომა. ახლა უკვე ადვილია ტერმინ „სოციოლოგიის“ გაგება. ჩვენებურად ის ნიშნავს – „სოციალის საზოგადოებაზე.“ ამ მეცნიერებაში ადამიანი განიხილება არა როგორც განცალკევებით მცხოვრები არსება, არამედ როგორც „ერთობის წევრი,“ **SOCIUS**-ი, რომელიც სხვა ადამიანთა შორის ცხოვრობს და ურთიერთზემოქმედებს მათზე, ანუ გაელენას ახდენს მათ მოქმედებებზე და, თავის მხრივ, თვითონაც სხვა ადამიანთა ზემოქმედებით მოქმედებს. ამრიგად, ჩვენ მივედით შემდეგი სახის დასკვნამდე:

სოციოლოგიის საბოლოო და უმთავრესი ამოცანაა ადამიანთა ქცევისა და მოქმედებების შესწავლა, მაგრამ რამდენადაც ადამიანები განცალკევებით კი არა, ერთად ცხოვრობენ და ნებისმიერი ადამიანის მოქმედება და ბედ-იღბალი სხვებზეა დამოკიდებული, ამდენად ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების –

საზოგადოების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი ცხოერების მთლიანობაში შესწავლა; საჭიროა ადამიანი განვიხილოთ არა როგორც განმარტოებული არსება, არამედ როგორც SOCIUS-ი, რომელიც მსგავს არსებებთან ერთად ცხოერობს."

პიტირიმ სოროკინი
„სოციოლოგიის სისტემა," ტ. I.

სოციოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა

„სოციოლოგიის გაცნობა პირველ რიგში ჩვენი გონების მაძიებლური ბუნებითაა ნაკარნახევი. თუკი ადამიანური აზროვნება არაცოცხალი ბუნების აგებულებისა და მასში მიმდინარე პროცესების შემეცნებისაკენ მიისწრაფვის, თუკი მას უნდა, რომ სიცოცხლის გამოელინებათა – მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შესახებ ცოდნას ფლობდეს, მაშინ მით უფრო დაჟინებული იქნება მისი სურვილი თვით ადამიანის, ადამიანთა ცხოერებისა და მოქმედებათა და ადამიანური ისტორიის კანონზომიერებათა შეცნობისა.

მაგრამ სოციოლოგიის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. ცოდნა და მეცნიერება ყოველთვის იყო ადამიანის არსებობისათვის ბრძოლის იარაღი. ცოდნის წყალობით აღემატება ადამიანი დანარჩენ ცოცხალ არსებებს. ცოდნის საშუალებით დაიმორჩილა მან არაცოცხალი ბუნების მრისხანე ძალები: ორთქლი და ელექტრონი, წყალი და ჰაერი; ცოდნის გამოისობით დაფრინავს ის ცაში და დაცურაობს წყალში; ცოდნა აძლევს მას საშუალებას გვირაბები გაიყვანოს მთებში, მდინარეებზე და ტბებზე ხიდები ააგოს, რკინიგზის ლიანდაგებით, ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზებით გადასეროს მთელი დედამიწა, მინდერებში მარცელეული დათესოს და მცენარეთა კულტიეირება მოახდინოს.

ცოდნამ გახადა ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათა ბატონ-პატრონი. ფიზიკური ძალის მხრივ ადამიანი ბევრ ცხოველს ჩამორჩება, ისევე როგორც სიდიდისა და სიმაღლის მიხედვით, მაგრამ ეს მათზე ბატონობაში ხელს არ უშლის მას. მან მისთვის სასარგებლო ცხოველები მოაშინაურა, საზიანო კი თავის საცხოერებელს ახლოსაც არ გააკარა. ცოდნის წყალობით მას დიდი მიღწეები აქვს დაავადებებთან და სიცოცხლისთვის ზიანის მომტან მოელენებთან ბრძოლაში. მეცნიერულ ცოდნასთან ერთად სულ ურო სრულყოფილი ხდება მედიცინა. ის ყოველწლიურად ახალ-ახალ საშუალებებს აძლევს ადამიანებს დაავადებებთან საბრძოლელად.

ასეთივე ცოდნა უნდა გვქონდეს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოერების სფეროშიც. ჩვენ უფრო მეტად ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძალებისაგან კი არ ვიტანჯებით, არამედ ცუდად მოწყობილი საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ცხოერებისაგან. სოციალურ მოელენათა სამყაროსადმი ჩვენი უდიერობის გამო დღემდე არ ვიცით, თუ როგორ გაეუმკლაედეთ სიღარიბეს, რომელიც სათაეს ადამიანთა სოციალური ცხოერებიდან იღებს. ჩვენ არ ვიცით, როგორ ვაქციოთ უგუნური გონიერად, დამნაშაე – პატიოსნად, ზარმაცი – ბეჯითად; ჩვენ არ ვიცით საზოგადოებრივი ცხოერების მოწყობა ისე, რომ მისი ყოველი წეერი მაძღარი და კმაყოფილი იყოს; რომ ადამიანთა შორის ურთიერთობა პატიოსანი და სამართლიანი იყოს; რომ ადამიანი არ ენებდეს და არ ამცირებდეს სხვა ადამიანს; რომ ყველანი გონიერნი და შრომისმოყვარენი ვიყოთ. ადამიანები კვლაე აგრძელებენ ერთმანეთის ღრღნას; შიმშილი, სიცივე და უსახლკაროობა, გარყვნილება და დამნაშაეობა, უსამართლობა და ექსპლუატაცია ადამიანთა სა'სოგადოების თანამგზაერია კვლაე. ამ უბედურებებთან ბრძოლის არც ერთმა მცდელობამ დღემდე არანაირი შედეგი არ მოგეცა. არ გეშველის არც ციხეები, არც სახრჩობელები, არც დახერეტები და ბრძოლის კიდევ სხვა უამრაი ხერხი და მეთოდი. ამ და კიდევ სხვა ტიპის მსგავს უბედურებებთან ბრძოლაში წარმატებას მხოლოდ მაშინ უნდა ვიმედოვნებდეთ, როდესაც კარგად შეეისწაულით ადამიანთა სა'სოგადოებრივ ცხოერებას და იმ კანონებს შეეიმეცნებთ, რომელთაც ის მისდევს. ისე როგორც ცოცხალი და არაცოცხალი მატერიის შემეცნების შედეგად ადამიანმა ბუნების სტიქიონები საკუთარ ნებას დაუქვემდებარა, სწორედ ასევე საზოგადოებრივ მოელენათა ღრმა, საფუძელიანი შესწაულის შედეგად ადამიანს არ გაუჭირდ-

დება ამ უბედურებათაგან განსაკურნებელი მალამოს პოვნა. ამის გაკეთება მხოლოდ სოციოლოგიის ცოდნას ძალუძს. მას აქვს ის ცოდნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, რომ ყოველი ჩვენგანი ბედნიერი, განათლებული და პატიოსანი იყოს, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელი კი არა, ღმერთი იყოს.


აი, ამ პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე სოციოლოგიის შესწავლა უზარმაზარი მნიშვნელობის მქონეა. ჯერჯერობით სოციოლოგია სათანადოდ არ არის განვითარებული. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცით იმ საგნების შესახებ, რომელსაც ის შეისწავლის, ამიტომაც სოციოლოგიის პრაქტიკული რჩევები ნაკლებღირებულია, მაგრამ უეჭველია, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც სოციოლოგია თანდათან უფრო სრულყოფილი და პოპულარული გახდება, ამასთანავე შესაბამისად გაიზრდება მისი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ნათქვამი სრულებით საკმარისია სოციოლოგიის შესწავლის მნიშვნელობისა და აუცილებლობის გასაგებად."

პიტირიმ სოროკინი
„სოციოლოგიის სისტემა," ტ. I.

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები



ნეილ სმელზერი



გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი, თანამედროვე ეკონომიკური სოციოლოგიის კორიფე; აეტორი საყოველთაოდ აღიარებული წიგნისა „სოციოლოგია."

II ლექცია

თემა: სოციოლოგიის ფუძემდებლები

(მცირე ექსკურსი სოციოლოგიის ისტორიაში)

საზოგადოებაზე შეხედულებები ადამიანებს უხსოვარი დროიდან მოყოლებული ჰქონდათ, მაგრამ მეცნიერული ცოდნის სახით მათი კონცენტრირება დიდი ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა. ამიტომ XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე სოციოლოგიის შესახებ არც ტერმინი არსებობდა და, ბუნებრივია, არც ცალკე მეცნიერება. თუმცა არსებობს მოსაზრება ე. წ. „სოციოლოგიამდელი სოციოლოგიის" არსებობის შესახებ. ამ მოსაზრების წარმომადგენლები კონტის წინამორბედებზე აკეთებენ აქცენტს, რომელთა ნააზრევი წინარესოციოლოგიურ თეორიებად აქვთ წარმოდგენილი. მათ რიცხვს მიაკუთვნებენ ფრანგ განმანათლებელს მონტესკიეს („კანონთა გონი," 1798 წ.), შოტლანდიელ მორალისტებს: ადამ ფერგიუსონს („ნარკვევი სამოქალაქო საზოგადოების ისტორიისათვის," 1768 წ.) და ჯონ მილარდს („საზოგადოებრივ ფენათა შორის სხვაობაზე დაკვირვება," 1771 წ.), ცნობილ ინგლისელ ეკონომისტს ადამ სმიტს („ერთა სიმდიდრე," 1776 წ.) და სხვ. თუმცა ისტორიული ფაქტია, რომ არც ერთ მათგანს საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების შექმნის მიზანი არ ჰქონია. გარდა ამისა, მათი ნააზრევი სოციალურ-ფილოსოფიური, ან სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მატარებელია, რომელიც სოციოლოგიის თანამედროვე გაგებასთან ახლოსაც არ არის.

სოციოლოგიის ფუძემდებელი ფრანგი სწავლული ოგიუსტ კონტია. კონტს მიაჩნდა, რომ ახალი მეცნიერება საზოგადოებას, როგორც სტრუქტურულ ორგანიზმს, ისე უნდა განიხილავდეს, რომლის ყოველი უჯრედის შესწავლა საზოგადოების კეთილდღეობასა და პროგრესს უნდა ემსახურებოდეს. იგი „წესრიგისა და პროგრესის" პრინციპის მომხრე იყო, რომელიც მას, ფიზიკის ანალოგიით, წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც საზოგადოების ყოველი ელემენტის სიმეტრიული და გაწონასწორებული მდგომარეობა. ხოლო სოციოლოგია, მის მიხედვით, ეს არის ცოდნა საზოგადოების შესახებ, რომელიც პირველ რიგში ადამიანებს შორის ურთიერთობათა ოპტიმიზაციისთვისაა აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით სოციოლოგიას იგი ორ ძირითად ნაწილად: სოციალურ დინამიკად და სოციალურ სტატიკად ყოფდა. სოციალური სტატიკა საზოგადოების ანატომიას მოგვაგონებს. ის საზოგადოების აღნაგობას შეისწავლის, იმას აანალიზებს, თუ როგორ აიგება საზოგადოებრივი მთელი სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტებისაგან.

ყველაზე მარტივ სოციალურ ერთეულად მას ოჯახი წარმოედგინა. ოჯახი კონტისთვის საზოგადოების მინიატიურული მოდელია; სოციალური დინამიკა საზოგადოების ფიზიოლოგიას წარმოადგენს. ის საზოგადოების ცვლილებებსა და ამ ცვლილებათა კანონზომიერებებს შეისწავლის. სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დაფუძნებას ემსახურება კონტის „სამი სტადიის კანონი." „კონტის მახვილმა თვალმა კარგად შენიშნა მისი თანამედროვე ეპოქის სილუეტები და საინტერესოდაც აღწერა ეს სიახლეები. მან უშეცდომოდ აღწერა ღირებულებათა გადაფასება და საზოგადოების სტრუქტურული შეცვლა; იწინასწარმეტყველა მეცნიერებისა და ტექნიკის ჩანა, ბიზნესის ცივილიზაცია, პიროვნების ქრობა მასაში და მისი ანონიმური ცხოვრება." კონტმა სოციოლოგიას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა, რაც გამართლდა კიდეც. სოციოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მსგავსად, პოზიტიური ფაქტების შემსწავლელი მეცნიერებაა, ამიტომაც შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ თავდაპირველად მას სოციალური ფიზიკა ერქვა.

სოციოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებაში დიდი როლი მისმა ინგლისელმა კლასიკოსმა ჰერბერტ სპენსერმა შეასრულა. დარვინის ევოლუციონისტური თეორიის გაცნობით მან საზოგადოება ცოცხალ ორგანიზმს შეადარა. სპენსერის აზრით, საზოგადოება განვითარებადი ორგანული მთელია, რომელიც უფრო მეტად რთულია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების უბრალო ჯამი. სპენსერმა საზოგადოების სისტემურ თეორიას დაუდო საფუძველი. სოციოლოგია, სპენსერის თანახმად, საზოგადოების განვითარების პროცესების შემეცნებაა, რომლის მიზანი სოციალური ჰარმონიის მიღწევაა. სპენსერიდან

მომდინარეობს თანამედროვე სოციოლოგიაში პოპულარული იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარება „პროგრესს" არ ნიშნავს ყოველთვის.

სოციოლოგიის ფუძემდებლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა მაქს ვებერია. მისმა სოციოლოგიურმა კონცეფციამ თანამედროვე სოციოლოგიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. მან ობიექტური და სხვადასხვა ღირებულებითი სისტემებისაგან თავისუფალი სოციოლოგია შექმნა, ამისათვის თავის შრომებში დეტალურად განიხილა ღირებულებითი სისტემები და მათი განვითარების კანონსომიერებანი. ვებერის აზრით, სოციოლოგიის ძირითადი ცნება სოციალური მოქმედებაა, ამიტომ მის მიერ შექმნილ სოციოლოგიურ თეორიას „სოციალური მოქმედების თეორია" ეწოდება. საზოგადოება მოქმედი სუბიექტების – აქტორების ერთობლიობაა, რომელთაგან თითოეული მათ მიერ დასახული მიზნების მიღწევისკენ მიისწრაფვის. აქტორთა ინტერესების კოოპერირების შედეგად კი სოციალური ჯგუფები და სოციალური ინსტიტუტები იქმნება. სხვა მეცნიერებათაგან სოციოლოგიას მისი შესასწავლი საგნისადმი განსაკუთრებული მიდგომა გამოარჩევს, რაც გაგების მეშვეობით სოციალური მოქმედების საზრისის წვდომას გულისხმობს. ამის გამო ვებერი „გაგებითი სოციოლოგიის" წარმომადგენელია. ფასდაუდებელია ვებერის მეცნიერული მემკვიდრეობა სოციალური მობილობის, რელიგიის, ქალაქის, ეკონომიკის, ხელოვნების, ძალაუფლების და, მთლიანობაში, თანამედროვე საზოგადოების სოციოლოგიური ანალიზის საქმეში. ვებერმა გაათავისუფლა სოციოლოგია ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გავლენისაგან და განვითარების თანამედროვე გზაზე დააყენა.

ჩვეულებრივ, ვებერთან ერთად მოიხსენიება გერმანული სოციოლოგიის კლასიკოსი კარლ მარქსი. მარქსი თანამედროვე საზოგადოების ანალიზის საქმეში შეუდარებელია. სამაგალითო სწორი აღმოჩნდა მისი პროგნოზი ბუნებისა და საზოგადოებისაგან ადამიანის გაუცხოების პრობლემასთან დაკავშირებით. სოციალური პროგრესის უმთავრესი მიზანი, მარქსის მიხედვით, ერთგანზომილებიანი ადამიანის – „ჰომო ეკონომიკუსის" ფორმირებაა, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მარქსის მიერ გაწეული რეკომენდაციები საკამათო და ხშირ შემთხვევაში მიუღებელი აღმოჩნდა. მარქსმა საზოგადოება და ადამიანი ისტორიული განვითარების პროდუქტად გამოაცხადა, როგორც დინამიურად განვითარებადი სტრუქტურა. მან აჩვენა სოციალური უთანასწორობისა და სოციალური კონფლიქტების მიზეზები. შემდგომში მარქსის იდეების ექსპერიმენტირება მოხდა ე. წ. სოციალისტურ ქვეყნებში, რომლის შედეგები დღეს ყველასათვის ცხადია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სოციოლოგიაში მარქსის იდეები თავიანთ გამოძახილს მაინც პოულობენ. მარქსმა დიდი გავლენა მოახდინა სოციოლოგიაზე. მისი როლი, როგორც კონფლიქტების თეორეტიკოსისა, როგორც ჩანს, მომავალშიც არსებითი იქნება.

სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი დამოუკიდებელი მეცნიერების, დაფუძნებაში ლომის წილი სოციოლოგიის ფრანგ კლასიკოსს ემილ დიურკემს ეკუთვნის. დიურკემის სოციოლოგიური კონცეფციის ამოსავალი პრინციპია სოციალური ფაქტის ცნება. სოციალურ ფაქტში იგულისხმება ადამიანთა მიკუთვნება სხვადასხვა ჯგუფებისადმი, რელიგიური გაერთიანებებისადმი, რომელთა საშუალებითაც ადამიანი სოციალური ბუნების მატარებელი ხდება. ისინი ადამიანისათვის გარეგანისა და მაიძულებლის როლს ასრულებენ, მაგრამ სხვაგვარად საზოგადოებაში ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია. სოციალური ფაქტის ცნებას დიურკემთან ეთანადება ინსტიტუტების ცნებაც, ამიტომ სოციოლოგიამ სოციალური ინსტიტუტების შესწავლა უნდა მოახდინოს. სოციალური ინსტიტუტების ცნებაში მოაქცია მან „დანაშაულის" ცნებაც.

1897 წელს დაწერილ ნაშრომში „თვითმკვლელობა" დიურკემმა პირველმა გამოიყენა სოციოლოგიაში დღეს უკვე ფართოდ გავრცელებული ანომიის ცნება. ამ ნაშრომში მან ისეთი საზოგადოება აღწერა, რომელშიც ინდივიდებს არანაირი მყარი სახელმძღვანელო პრინციპები არა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ მოექცნენ ერთმანეთს, რასაც დიურკემმა ანომია უწოდა. მსგავსი უნორმობა, დიურკემის აზრით, არატრადიციული, თანამედროვე (მოდერნისტული) საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, სადაც კოლექტიურ ცნობიერებასა და სოციალურ სოლიდარობას ფასი აქვს დაკარგული. საზოგადოება მყარ ნორმატიულ ჩარჩოებში არსებობს, რომელთა მოშლა ანომიაა. ანომიის ცნების ორიგინალური გაგება აქვს ამერიკელ სოციოლოგს რობერტ მერტონს, რომელმაც იგი სოციალური სტრუქტურის ცნებას დაუკავშირა.

საინტერესოა აგრეთვე დიურკემის „რელიგიის სოციოლოგია," „შრომის სოციოლოგია," თვითმკელელობის სოციოლოგიური ანალიზი, რომლის თანახმად, თვითმკელელობა ხშირია იმ სოციალურ ჯგუფებში, რომლებიც სოლიდარობისა და სოციალური კავშირების დაბალი ხარისხით გამოირჩევიან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რელიგია და ოჯახი. დიურკემმა დიდი როლი შეასრულა მთელი რიგი სოციოლოგიური ცნებების შემუშავებასა და დახვეწაში. დიურკემი სოციოლოგიაში სოციოლოგიზმისა (სოციალურის ახსნა სოციალურით) და ფუნქციონალიზმის წარმომადგენელია.

სოციოლოგიის ფუძემდებლებს შორის გერმანელი სოციოლოგი ფერდინანდ თიონისი გამორჩეულია თავისი ორიგინალური სოციოლოგიური ნაშრომით „თემი და საზოგადოება". მის მიხედვით, საზოგადოება ადამიანური ნების შედეგად შექმნილი სოციალური სინამდვილეა. სოციოლოგიის საგანია ადამიანური ნება, როგორც სოციუმის შემქმნელი უმთავრესი ფაქტორი. თიონისი ორგვარ ნებაზე ამახვილებს ყურადღებას: ბუნებრივი ნება – თემის, ერთობის – „**Gemeinschaft**-ის" საფუძველია, ხოლო რაციონალური ნება – „**Gesellschaft**-ის," საზოგადოების საფუძველია; პირველი მათგანი ტრადიციულ საზოგადოებას, მეორე კი თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს.



ამ წიგნში თიონისი დიდი გულისტკივილით აღწერს ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ერთობის დაკარგვასა და ადამიანის გახდომას უპიროვნო მასის წევრად, რომელსაც საზოგადოება ჰქვია. ადამიანებს შორის სითბოთი და სიყვარულით გამთბარი თემი თავისი უშუალო, ბუნებრივი და „პირველყოფილი" ურთიერთობებით ისტორიას ჩაბარდა. ამიერიდან ასპარეზი საზოგადოებას ეკუთვნის, რომელშიც ყველაფერი გათელილი და რაციონალიზებულია. დოსტოევსკის პერსონაჟის მსგავსად, რომელიც ამბობს, რომ „ქიმია მოდის, ძმაო, ქიმია," თიონისსაც შეუძლია თქვას: „სოციოლოგია მოდის, ძმაო, სოციოლოგია!" და ამით ახალი საზოგადოება იწინასწარმეტყველოს.

ვებერის „ჩრდილში" თუკი ვინმეს ეწერა თავის გამოჩენა, ეს, პირველ რიგში, გეორგ ზიმელი იყო. იგი იმდენად დიდი მოაზროვნე და ორიგინალური სოციოლოგია, რომ ვებერის თანამედროვემ მაინც მოახერხა თავის დამკვიდრება სოციოლოგიის კლასიკოსთა და ფუძემდებელთა შორის. ზიმელი ეწინააღმდეგებოდა სოციოლოგიის პოზიტივიზმზე დამყარების მცდელობას. მისი აზრით, სოციოლოგიას საკუთარი ფორმალური საფუძვლები გააჩნია. ამის გამო ზიმელი ფორმალური სოციოლოგიის ფუძემდებლად არის მიჩნეული, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დროთა განმავლობაში უცვლელ ლოგიკურ კავშირებსა და სტრუქტურებს უჭირავს. სოციოლოგიის საგანი, ზიმელის მიხედვით, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთზემოქმედების („სოციაციის") ფორმებია. ზიმელის სოციოლოგია სოციუმზე ინდივიდთა მხრიდან სუბიექტური სოციოკულტურული რეაგირების ანალიზია. მან დიდი როლი შეასრულა მოდის სოციოლოგიის, ფულის სოციოლოგიისა და პიროვნების სოციოლოგიის ფუძემდებლური პრინციპებისა და სოციოლოგიური მიდგომებისა და ახლებური ხედვების შემუშავებაში.

სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებისა და პრობლემების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სოციოლოგიის კლასიკოსთა მოწაფეებს, რომელთა შორის გამორჩეულია ვებერის მოწაფე, ცოდნის სოციოლოგიის ფუძემდებელი კარლ მანჰაიმი.



კარლ მანჰაიმი
(1893-1947)

მანჰაიმის სოციოლოგიის ინტერესის საგანი იმის გარკვევა იყო, თუ რა გაელენას ახდენს სოციალური სიტუაციების ცვლილება სულიერ სამყაროზე. მანჰაიმის მიერ სწრაფადცვალებად სოციალურ სინამდვილეში სოციალური ჯგუფების ბედის შესწავლა შემდგომში ახალი სოციოლოგიური იდეებისა და თეორიების საფუძველი გახდა.

თუკი კლასიკური სოციოლოგიის აკვანი ევროპაში დაირწა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაკლასიკური, თანამედროვე სოციოლოგიის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკელი სოციოლოგების განვითარების ტემპებმა და იქ მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა მრავალი სოციალური პრობლემა წარმოშვა, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა. ამ ამოცანებთან და პრობლემებ-

თან ჭიდილმა დიდი სახელი და აღიარება მოუტანა სოციოლოგიას. თანამედროვე სოციოლოგია, ფაქტობრივად, ამერიკული მოვლენაა.

ამერიკაში სოციოლოგიას პირველი გ'სა ლესტერ უორდმა გაუკვალა თავისი ნაშრომით „დინამიური სოციოლოგია." მანვე შექმნა „სოციოლოგთა ამერიკული ასოციაცია." მისთვის სოციოლოგია სოციალური ცვლილებების მექანიზმების შემსწავლელი მეცნიერებაა. ადრეული ამერიკული სოციოლოგიის წარმომადგენლებიდან უილიამ სამნერია ყველაზე მეტად ცნობილი. იგი სოციალური კონტროლის მექანიზმების ანალიზითაა გამორჩეული. სოციალური ჯგუფების ტიპოლოგიითაა ცნობილი ამაეე პერიოდის ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ ჰორტონ კული (1864-1929).



ჩარლზ რაით მილსი

1921 წელს ამერიკელმა სოციოლოგებმა რობერტ პარკმა და ერნსტ ბერჯესმა სოციოლოგიის ისტორიის შემდეგი სახის ქრონოლოგიზაცია მოახდინეს:

- კონტისა და სპენსერის ეპოქა, როდესაც სოციოლოგია ფილოსოფიური შეფერილობის მატარებელი იყო და პროგრესისა და განვითარების შესახებ მეცნიერებას წარმოადგენდა.
- „სოციოლოგიური სკოლების ეპოქა", როდესაც სხვადასხვა სკოლების სახით წარმოდგენილი სოციოლოგიური აზროვნება საკუთარი კონცეფციისა და კელეეის საგნის განსაზღვრებას ცდილობდა.
- XX ს-ის დასაწყისი – კონკრეტული სოციოლოგიური გამოკელეევების დასაწყისი.

შესაძლებელია ქრონოლოგიისათვის თანამედროვე სოციოლოგიის პერიოდის მიმატებაც, რომელიც ამერიკაში მეორე მსოფლიო ომამდე, ეეროპაში კი ომის შემდგომი დროიდან იწყება. ამ დროის ამერიკულ სოციოლოგიაში არაერთი კაშკაშა ვარსკელაეის სახელია ცნობილი, რომელთა შორის არიან პიტირიმ სოროკინი, ტალკოტ პარსონსი, რობერტ მერტონი და სხვები.

ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორებს შორის სოციოლოგიის ერთ-ერთი გავლენიანი წამომადგენელი ტალკოტ პარსონსია. იგი თავისი „სოციალური მოქმედების თეორიითაა" ცნობილი, რომელზეც ებერის, დიურკემისა და ზიმელის გავლენა აშკარაა. მისი სოციოლოგიური თეორია ინდივიდუალური და სოციალური მოქმედების მექანიზმებს აღწერს, რომელსაც პარსონსი ურთიერთქმედებათა სისტემის სახეს აძლევს. ამისათვის მან სოციალური სისტემის მოდელი შეიმუშავა, რომელშიც მოქმედების სუბიექტი საკუთარ მოთხოვნილებებსა და მოლოდინებს სხვათა მოთხოვნილებებთან და მოლოდინებთან ათავსებს, ხოლო, თავის მხრივ, ეს მოთხოვნილებები და მოლოდინები ღირებულებათა ზოგად მოდელებზეა ორიენტირებული. სოციალური მოქმედება გულისხმობს: 1) მოქმედების სუბიექტს (აგენტს), 2) მოქმედების მიზანს, 3) სამოქმედო სიტუაციას, რომლის პირობას სუბიექტის მიერ კონტროლირებადი საშუალებები მიეკუთვნება, 4) სუბიექტის ნორმატიულ ორიენტაციას ანუ სუბიექტის მიერ იმ საშუალებათა არჩეეანს, რომლებიც ყოველ მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწეეადაა გამოსადეგი. ამ ოთხი ნიშნის გარეშე, პარსონსის აზრით, გაჭირდებოდა მოქმედების, როგორც ასეთის, რაციონალური აღწერა. პარსონსის ძირითადი სოციოლოგიური კონცეფციის მიხედვით, მოქმედება ყოველთვის სისტემას ქმნის, რომლის ანალიზი სოციალური მეცნიერების უპირველესი ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად პარსონსმა ისეთი რთული მოდელი ააგო, რომ სოციოლოგთა დაუცხრომელი კრიტიკა დაიმსახურა (პარსონსის სოციოლოგიურ კონცეფციას სტუდენტები „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების" კურსის მოსმენისას გაეცნობიან). თუმცა ის, რაც პარსონსთან დაკაეშირებით აღვნიშნეთ, იმაზე მიანიშნებს, რომ სოციოლოგიამ დამოუკიდებელ მეცნიერებად ფორმირებამდე განვითარების ძალზე რთული გზა გაიარა. ამ გზაზე კი სოციოლოგიის არაერთი სახელოვანი წარმომადგენელი გამოჩნდა. მათ შორის მნიშვნელოვანია იურგენ ჰაბერმასის, თეოდორ




ირეინგ გოფმანი

ადორნოს, ჩარლზ რაიტ მილსის, ირვინგ გოფმანის, პაროლდ გარფინკელის, პერბერტ მარკუზეს, უაკ დერიდას, პიერ ბურდიეს, ჟან ბოდრიარის, ნეილ სმელზერის, ენტონი გიდენსისა და სხვათა სახელები. სოციოლოგიის ფუძემდებელთა და ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა ზემოთ მოყვანილი რიგისათვის კიდევ არაერთი საინტერესო სახელის მიმატებაა შესაძლებელი.


ზოგადად შეიძლება ეთქვათ, რომ სოციოლოგიის ისტორია იყოფა კლასიკურ, თანამედროვე და პოსტთანამედროვე პერიოდებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, თავისი მოკრძალებული, მაგრამ ძალზე საინტერესო ისტორია აქვს საქართველოში.

სოციოლოგიის თანამედროვე ამერიკელმა თეორეტიკოსმა ჯორჯ რიტცერმა თავის წიგნში „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები" იმ ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სოციალური თეორიების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე ახდენენ გავლენას. ფაქტობრივად, ეს ის ფაქტორებია, რომლის გარეშეც სოციოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებად ვერ ჩამოყალიბდებოდა (იხ. ნახ. 1 და 2.).



ნახ. 1.



ნახ. 2.

დავალება:

– მოიძიეთ სხვა მასალები საპრეზენტაციო თემისათვის: „სოციოლოგიის ფუძემდებლები."

– იმსჯელეთ ჯგუფში თემაზე: აუცილებელია თუ არა სოციოლოგიის ისტორიის შესწავლა?

– მოიძიეთ სხვა მასალები საპრეზენტაციო თემისათვის: „თანამედროვე ამერიკული სოციოლოგიის წარმომადგენლები."

– დაასახელეთ კლასიკური, თანამედროვე და პოსტთანამედროვე სოციოლოგიის წარმომადგენლები.

ძირითადი ლიტერატურა:


1. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაწ). გვ. 17-20.
2. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნაწ). გვ. 14-40.
3. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაწ). გვ. 37-40.
4. პ. ბერკი, ისტორია და სოციალური თეორია. თბ., 1992. გვ. 2-19.
5. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი I, გვ. 41-67.
6. გ. ასათიანი, თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია. თბ., 1987. გვ: 56-174.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Пересмотр классических традиции в XX в. გვ.52-64. §4. თავი I. წიგნში: Проблемы теоретической социологий. Вып. 7. СПБ. 2009. (ред. Боронов А).
2. ზ. ხასაია, სოციალური ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2008. გვ. 5-16.
3. ს. დანელია, ნარკვევები ახალი და უახლესი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1987. გვ. 422-462.
4. ა. ჰიფმანი. კლასიკური და თანამედროვე: ეტიუდები სოციოლოგიის ისტორიასა და თეორიაში, მ. 2003 (რუს. ენაზე). გვ. 11-23.

ეს საინტერესოა

სოციალური ფიზიკიდან სოციოლოგიისაკენ
(როდის და როგორ შემოიღო ოგიუსტ კონტმა ტერმინი „სოციოლოგია“)



საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინს „სოციოლოგია“ საინტერესო ისტორია აქვს. სოციოლოგიის მამას – ოგიუსტ კონტს იგი შემთხვევით არ დაურქმევია საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერებისათვის.

კონტი ხედავდა, რომ ახალი დროის ევროპაში მიმდინარე ცვლილებებს – სამრეწველო საზოგადოების ფორმირების პროცესს, რომელსაც უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, ძველის სანაცვლოდ მეტაფიზიკურ-თეოლოგიური და სპეკულატური, ახალი ფილოსოფია სჭირდებოდა. ამ მიზნით მან შეიმუშავა პოზიტიური ფილოსოფია, როგორც ფაქტებისა და კანონთა ცოდნის დადებითი მთლიანი მეცნიერული სისტემა. საზოგადოების შესახებ ობიექტური მეცნიერება მან პოზიტიურ ფილოსოფიაზე დაამყარა. კონტის ვარაუდით, საზოგადოების შემსწავლელი ახალი მეცნიერება კაცობრიობისათვის ბედნიერების მომტანი უნდა ყოფილიყო. მასში ჩადებული მთავარი იდეა რაციონალური წესრიგი და პროგრესი იყო. კონტმა ამ მეცნიერებას თავდაპირველად „სოციალური ფიზიკა“ უწოდა (1822 წ. აპრილი. ტრაქტატი: „მეცნიერულ ნაშრომთა გეგმა საზოგადოების გარდასაქმნელად“), რამაც „სოციოლოგიის“ შემოღებამდე ერთგვარი სამუშაო ვარიანტის როლი შეასრულა. შემდგომში კონტმა იგი კონცეპტუალურად ახალი ტერმინით – „სოციოლოგიით“ შეცვალა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები ჰქონდა. 1822 წლის აპრილში კონტმა თავისი მასწავლებლის სენ-სიმონის დავალებით მოამზადა „მრეწველთა კატეხიზმო“ და მესამე რეული ტრაქტატისა – „მეცნიერულ ნაშრომთა გეგმა საზოგადოების გარდასაქმნელად,“ რამაც პრინციპული უთანხმოება გამოიწვია მხცოვან მასწავლებელსა და ახალგაზრდა მოსწავლეს შორის. სწორედ აქ წამოაყენა კონტმა საზოგადოების შესახებ პოზიტიური მეცნიერების ახალი იდეა, რომელიც დაკვირვებაზე იქნება დამყარებული და საქმე ექნება არა განყენებულ ცნებებთან, არამედ რეალურ ფაქტებთან. ამ ახალ მეცნიერების ფიზიკის მსგავსად საზოგადოების ობიექტური კანონები უნდა შეესწავლა; სენ-სიმონი კი საზოგადოების შესახებ მეცნიერებას ორგანიზმების შესახებ ზოგადი მეცნიერების ანუ ფიზიოლოგიის ნაწილად განიხილავდა. სოციალური ორგანიზმების შესახებ ახალი მეცნიერება, კონტის მიხედვით, ცოდნის დამოუკიდებელ სფეროს მიეკუთვნება, რომელსაც მან „სოციალური ფიზიკა“ დაარქვა (**physique sociale**). კონტის თქმით, „სოციალური ფიზიკა ისეთივე პოზიტიური მეცნიერებაა, როგორიც სხვა ნებისმიერი, რომელიც დაკვირვებას ემყარება. მისი თავდაჯერებულობის წყარო რელობაა.“ ამგვარად, კონტმა საერთოფუძიანი ტერმინებით სახელდებული მეცნიერების სამი სფეროს კავშირის იდეა წამოაყალიბა: ფიზიკის (ბერძნ. Physis – მეცნიერება ბუნების შესახებ), ფიზიოლოგიისა (მეცნიერება ბუნებრივი ორგანიზმების შესახებ) და სოციალური ფიზიკის (საზოგადოების ანუ სოციალური ორგანიზმების შესახებ მეცნიერება). მათი საგანი თანდათანობით რთულდება. კონტმა მეცნიერებათა იერარქიის მწვერვალზე სოციალური ფიზიკა მოათავსა, როგორც ცოდნის ყველაზე რთული დარგი. 1825 წელს მან კიდევ უფრო გაამყარა „სოციალური ფიზიკის“ იდეა თავის სტატიაში: „ფილოსოფიური მსჯელობა მეცნიერებისა და მეცნიერთა შესახებ.“ „სოციო-

ლური ფიზიკა, – წერდა იგი, – ეს არის მეცნიერება, რომლის ნამდვილი მიზანი სოციალური მოვლენების შესწავლაა. ამ მოვლენებს იგი იმგვარად განიხილავს, როგორც ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია და ფიზიოლოგია – თავის შესასწავლ საგანს."

კონტი 1825 წლის აპრილში პარიზის პოლიტექნიკურ კოლეჯში კითხულობს თავის ცნობილ „პოზიტიური ფილოსოფიის კურსს." კურსი 72 ლექციისაგან შედგებოდა (1826-1827 წწ.). ორ შესავალ თემასთან ერთად იგი სამ დიდ ნაწილად იყო დაყოფილი: 1) მათემატიკა; 2) მეცნიერება მატერიალური სხეულების შესახებ: ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია და 3) მეცნიერება ორგანიზმების შესახებ: ფიზიოლოგია, სოციალური ფიზიკა; მიღებული სალექციო გამოცდილების შედეგად 1828 წელს კონტმა ზემოხსენებული კურსის დეტალიზებული გეგმა შეადგინა, რომელიც უკვე 50 ლექციისაგან შედგებოდა. ამ შემთხვევაში მან კიდევ უფრო დახვეწა კურსის ის ნაწილი, რომელიც სოციალურ ფიზიკას შეეხებოდა, კერძოდ, მას დაუმატა შემდეგი ნაწილები: შესავალი, მეთოდი; ცოდნა ანუ საკუთარი თეორია.

1835 წელს კონტი მის მიერ შემოღებული ტერმინის – „სოციალური ფიზიკა" „უზურპაციის" ფაქტს აწყდება. ცნობილი ბელგიელი მათემატიკოსი და სტატისტიკოსი ადოლფ კეტლე (სოციოლოგიაში სტატისტიკური სკოლის წარმომადგენელი) წერს წიგნს: „ადამიანის უნარების განვითარების შესახებ ანუ სოციალური ფიზიკის ცდები." ამ წიგნში კეტლემ „საშუალო სტატისტიკური ადამიანის" კონცეფცია წარმოადგინა, რომელმაც სოციოლოგების კრიტიკა დაიმსახურა, განსაკუთრებით დიურკემისა. ლაზარსფელდის თქმით, კეტლეს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მისი სოციოლოგიური შეხედულებები დიდად სცდება იმ მათემატიკური მოდელების ფარგლებს, რომლებიც მან შეიმუშავა. კეტლეს მოთხოვნა იყო სოციალური რეალობის მათემატიკური მეთოდებით შესწავლა. მან საფუძველი ჩაუყარა მორალურ სტატისტიკას და იმ დროისათვის ინგლისში პოპულარულ „პოლიტიკურ არითმეტიკას" (ჯ. გრუანტი, ე. პეტი, ე. ჰალეი). გაეცნო რა მის მიერ შემოღებული ტერმინის მისთვის უკვე არასასურველ ინტერპრეტაციას, კონტმა არათუ დაიცვა საკუთარი პრიორიტეტი ტერმინის კონსტრუირების საქმეში, არამედ არსობრივად განავითარა იგი აწ უკვე ახალი ტერმინის „ს ო ც ი ო ლ ო გ ი ი ს" შემოღებით. 1839 წლის მარტში თავისი ლექციების კურსის VI ტომში (46-51 ლექციები) მან სოციალური ფიზიკა სოციოლოგიით – **sociologie** – შეცვალა. 1839 წლის მარტი ტერმინ სოციოლოგიის დაბადების თარიღად შეიძლება მიეჩნიოთ **(Comte, Auguste. Cours de philosophie positive. Tomr Quatrieme contenant partie dogmatique de la philosophic sociale. 5e edition (Identique a la premiere). Paris. 1894)**.

ტერმინ სოციოლოგიის შემოღებასთან დაკავშირებით კონტის არგუმენტები ასეთი იყო: 1) ლინგვისტური: ბევრად უმჯობესია ახალი მეცნიერების სახელწოდების ერთი სიტყვით და ისიც არსებითი სახელით აღნიშვნა. თუმცა აღნიშნული მცდელობა გარკვეული რისკის შემცველიც კი იყო, რადგანაც კონტის მიერ კონსტრუირებული სიტყვა ორი სხვადასხვა ენიდან იყო აღებული – ლათინურიდან – **Soci(etas)** და ბერძნულიდან – **Logos**, რაც სიტყვათშედგენის მკაცრი წესების დარღვევაა, მაგრამ კონტის ეს მცდელობა იღბლიანი გამოდგა. გარდა ამისა, კონტის მიერ შედგენილ მეცნიერებათა კლასიფიკაციაში მარჯვედ ჩაჯდა ტერმინი „სოციოლოგია," რომელიც „სოციალურ ფიზიკასთან" შედარებით უფრო მეტი კომპლემენტარულობით გამოირჩევა, თანაც კარგად ეღერს – „ბიოლოგია-სოციოლოგია." 2) მეორე არგუმენტი უფრო სერიოზულია. მის მიხედვით, კეტლესთან კონტის „სოციალურმა ფიზიკამ" სხვა შინაარსი შეიძინა. იგი ინდივიდის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლის როლში მოგვევლინა, ხოლო სოციალური პარამეტრები „საშუალო ინდივიდის" რაოდენობრივ მაჩვენებლებთან იქნა გათანაბრებული. კონტს კი სხვა ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი: მას უნდა დაეფუძნებინა ახალი მეცნიერება – სოციოლოგია, საზოგადოების, როგორც მთლიანი ორგანიზმის, როგორც მთელის, შესახებ პოზიტიური მეცნიერება. შემდგომში კონტმა ამ ახალი მეცნიერების სახელწოდება შესაბამისობაში მოიყვანა საზოგადოების შესახებ თეორიასთან, მეთოდოლოგიასთან, კვლევის ობიექტთან და საგანთან. მომდევნო 48 ლექციაში ამ ახალი ტერმინის მეშვეობით მთელი რიგი სოციოლოგიური ცნებების კონსტრუირება მოახდინა. ეს ცნებებია: სოციოლოგიური მეცნიერება, სოციოლოგიური კანონი, სოციოლოგიური გამოკვლევა, სტატიკური სოციოლოგია და სოციალური სტატიკა, დინამიკური სოციოლოგია და სოციალური დინამიკა, სოციალური განვითარება, სოციოლოგიის მეცნიერული მეთოდები: უბრალო დაკვირვება, სოციოლოგიური დაკვირვება, სოციოლოგიური დემონსტრაციის მეცნიერული ძალმოსილება, შედარება, სოციოლოგიური შედარება, შედარებითი მეთოდი სოციოლოგიაში, ისტორიული მეთოდი სოციოლოგიაში, სოციოლოგიური ანალიზი. ამ ცნებებზე საავტორო უფლება სოციოლოგიის მამას ეკუთვნის.

მეცნიერების ამა თუ იმ სფეროს წარმომადგენლები თავიანთი მიღწევებით იმკვიდრებენ სამარადისო სახელს საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში. სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ახალი დარგის, შექმნით კონტმა საკუთარი სახელი სამუდამოდ ჩაწერა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში. თავდაპირველად ახალი ტერმინი ძალიან მალე დამკვიდრდა საფრანგეთში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში. იგი აღიარეს სოციოლოგიის სხვა დიდმა კლასიკოსებმა: ჰერბერტ სპენსერმა და ფერდინანდ თიონისმა. რომ არა კონტი, ალბათ სხვა ვინმე გააკეთებდა ამ საქმეს, მაგრამ მეცნიერების ისტორიისათვის მხოლოდ ის ფაქტია ცნობილი, რაც კონტმა გააკეთა.



ლამბერ ადოლფ ჟაკ ქეტლე
(1796-1874)

ცნობილი ბელგიელი მათემატიკოსი, ასტრონომი, მეტეოროლოგი, სოციოლოგი, სტატისტიკის ერთ-ერთი შემქმნელი (65 ნაშრომი აქვს დაწერილი ამ სფეროში). სოციოლოგიასა და სტატისტიკაზე ბევრ მეცნიერებას ზუსტ, მათემატიკურ დოებრივ მეცნიერებებს „სოციალური ფიზიკა“ ეწოდებინა. ტერმინის ციებზე აშუქნებდა. ტერმინის ავტორია კონტი, თუმცა ქეტლემ ერთ-ერთმა მის გამოკვლევას ეს სახელი დაარქვა, რითაც ლი შეუწყო კონტის მიერ ახალი ტერმინის ციოლოგიის“ შემოღებას.




სენ-სიმონი
(1760-1852)

ცნობილი ფრანგი განმანათლებელი, ენციკლოპედისტი, უტოპიური სოციალიზმის თეორიის აგტორი, კონტის მასწავლებელი. „სოციოლოგიის მამა“ მისი პირადი მდივანი იყო.

ეს საინტერესოა

პირველი სოციოლოგი ქალი



ჰარიეტ მარტინო
(1802-1876)

სოციოლოგიაში კლასიკოსების სახელმა და დიდებამ მრავალი ისეთი საინტერესო მოაზროვნის სახელი დაჩრდილა, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, ფორმირებაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება პირველი სოციოლოგი ქალი ჰარიეტ მარტინო. იგი სოციოლოგიის ე. წ. „კლასიკურ ეპოქაში“ მოღვაწეობდა, თუმცა მისი სახელი მრავალთათვის უცნობია დღესაც. ის, რა თქმა უნდა, კონტის, დიურკემის ან ვებერის დონის მოაზროვნე არ ყოფილა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციოლოგიის პოპულარიზაციაში.

იგი დაიბადა ინგლისში. იმ დროისათვის შესაფერისი განათლებაც აქვე მიიღო. 500-ზე მეტი წიგნისა და უამრავი ესეის აეტორია.

სოციოლოგიის წინაშე მისი დამსახურება პირველ რიგში იმაში ელინდება, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა კონტის წიგნი „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი“ და გააცნო იგი ინგლისელ მკითხველს. ჰარიეტ მარტინო ამავე დროს არის ერთი იმათგანი, ვინც პირველმა ჩაატარა სისტემური სოციოლოგიური გამოკვლევები. 30-იან წლებში მან ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა და ამერიკული საზოგადოების სისტემური მეცნიერული – სოციოლოგიური გამოკვლევა აწარმოა. ამ გამოკვლევების საფუძველზე მან დაწერა სოციოლოგიური ნაშრომი: „საზოგადოება ამერიკაში.“

ჰარიეტ მარტინოს, როგორც სოციოლოგის, პრინციპი იყო საზოგადოების შესწავლა არა რომელიმე ასპექტის მიხედვით, არამედ მისი მრავალმხრივი და სიღრმისეული ანალიზი. აქედან გამომდინარე, სოციოლოგი საგანგებოდ უნდა სწავლობდეს საზოგადოების პოლიტიკურ, რელიგიურ, ინსტიტუციონალურ და სხვა განზომილებებს მათს ერთიანობასა და მთლიანობაში. ამასთანავე ჰარიეტ მარტინო სოციოლოგიაში ფემინისტური თეორიების წარმომადგენლადაც უნდა მივიჩნიოთ. მისი მოთხოვნა იყო, რომ სოციოლოგიას განსაკუთრებული კელევის საგნად ექცია ქალთა ცხოვრება და მდგომარეობა საზოგადოებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ისეთი პრობლემების სოციოლოგიურ ანალიზს, როგორიცაა ქორწინება, ოჯახური და რელიგიური პრობლემები, ბავშვთა, რასობრივი და გენდერული მწვავე პრობლემები. ამით იგი ოჯახის სოციოლოგიის თეორეტიკოსადაც გვევლინება. „ბავშვთა ოთახი, საძინებელი და სამზარეულო – შესანიშნავი სკოლაა ადამიანთა ზნე-ჩვეულებათა შესასწავლად“, – წერდა იგი. სოციოლოგია არცითარ შემთხვევაში არ უნდა დაემაყოფილდეს საზოგადოების უბრალოდ, გარეგნული დაკვირვებით, არამედ ისე უნდა იმოქმედოს, რომ სიკეთე მოუტანოს მას, – ამბობდა მარტინო. მან დიდი როლი შეასრულა ქალთა უფლებების დაცვისა და მოსახლეობის განთავისუფლების საქმეში.

III ლექცია

თემა: სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა მიკრო - და მაკროსოციოლოგია

სოციოლოგიური ცოდნა ერთმანეთთან ორგანულ კავშირში მყოფი სამი სტრუქტურული ერთეულისაგან შედეგება. ესენია: ზოგადი სოციოლოგია, ემპირიული სოციოლოგია და საშუალო დონის სოციოლოგიური თეორიები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, ზოგადთეორიულ ნაწილს ზოგადი სოციოლოგია წარმოადგენს. იგი იმ სოციალურ კანონზომიერებებსა და პირობებს ადგენს, რომლებიც საერთო, არსებითი და განმეორებადია ნებისმიერი ტიპის საზოგადოებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქას მიეკუთვნება ან განვითარების რა სტადიაზეა. სოციოლოგიური ცოდნის სხვა შემადგენელი ნაწილებისადმი ზოგადი სოციოლოგია პარადიგმატული და მსოფლმხედველობრივი ფუნქციების მატარებელია. ზოგად სოციოლოგიურ პრინციპებსა და პარადიგმებზე დაყრდნობით იკვეთება სოციალური სინამდვილის ემპირიული საზღვრები, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების სწორი პარამეტრები და სხვა. ზოგადი სოციოლოგიის საშუალებით ადვილი ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების სოციალური არსის შეცნობა, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების განჭვრეტა და სამომავლო ამოცანების დასახვა.

სოციოლოგიური პარადიგმა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და ამოსავალ, ფუძემდებლურ პრინციპებს გულისხმობს, რომელთა უმრავლესობა ორ ნაწილად: მიკრო - და მაკროსოციოლოგიად იყოფა. თითოეულ მათგანს სოციალური რეალობის განსხვავებული წარმოდგენა აქვს.

ემპირიული ანუ გამოყენებითი სოციოლოგია პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდური და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობას გულისხმობს. იგი დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი ხარისხის მქონე სოციოლოგიური ცოდნაა. ხშირად მას გამოყენებით სოციოლოგიას ან სულაც სოციოგრაფიასაც ეძახიან. ეს უკანასკნელი სოციოლოგიური ცოდნის ამ დონის დესკრიფციული (აღწერითი) ბუნების მანიშნებელია, რაც მას ნამდვილად აქვს.

ნებისმიერი სახის ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა საზოგადოების ან მისი ფუნქციონირების ზოგადი კანონების შესწავლას კი არა, კონკრეტულ დროსა და სივრცეში რომელიმე კონკრეტული სოციალური პრობლემის გამოვლენასა და გადაწყვეტას ემსახურება. ამგვარად მოპოვებული ინფორმაცია რომელიმე დარგის ან მიმართულების სოციოლოგიური თეორიის სახით იყრის ხოლმე თავს, რომელთაც დღეს „საშუალო დონის თეორიებად“ მოიხსენიებენ.

„საშუალო დონის თეორიების“ ცნება სოციოლოგიაში რობერტ მერტონმა შემოიტანა. ამით ის იმ თეორიებს აღნიშნავს, რომლებსაც სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურაში შუალედური პოზიცია უკავიათ. ისინი არც ზოგადობისა და არც ემპირიულობის დიდი ხარისხით არ გამოირჩევიან. საშუალოს ცნების შემოტანით მერტონმა ხაზი გაუსვა ამ თეორიების „მოქმედებათა რადიუსს“, მისი მოქმედების საზღვრებს და არა პირდაპირი გაგებით „სადღაც შუაში მდებარეს“, საშუალო დონის თეორიებს მიეკუთვნება:

- სოციოლოგიური კონცეფციები, რომლებიც მეცნიერებათა მიჯნაზე ყალიბდება, მაგალითად, სამართლის სოციოლოგია, მედიცინის სოციოლოგია, მართვის სოციოლოგია და სხვ.
- ინსტიტუციონალური სოციოლოგიის სხვადასხვა სფეროები, რომლებიც სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის მყარი ფორმების კვლევებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, რელიგიის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია და სხვ.
- სოციალური ცხოვრების ისეთი ცალკეული სფეროების შემსწავლელი თეორიები, როგორებიცაა აგრარული სოციოლოგია, ურბანსოციოლოგია და სხვ.

სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურაზე საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუკი მის ისეთ შემადგენელ ნაწილზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, როგორიც მიკრო - და მაკროსოციოლოგიაა.

რეალურად ჩვენი სოციალური ცხოვრება სოციუმის ორ განზომილებაში მიმდინარეობს, ჩვენ ერთდროულად ორი სოციალური სამყაროს წარმომადგენლები ვართ. მაგალითად, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება: უნივერსიტეტში სიარული ან ბიბლიოთეკაში წიგნების კითხვა, მეგობრებთან ან ნათესავებთან ურთიერთობა და სხვა მიკროსოციოლოგიური ანალიზის სფეროს განეკუთვნება, თუმცა ამასთანავე ჩვენ ამა თუ იმ საზოგადოებას ვეკუთვნით, უფრო დიდი სოციალური ჯგუფის წევრები ვართ, რაც, თავის მხრივ, მაკროსოციოლოგიური კვლევის საგანია.


მაკროსოციოლოგია მთელი საზოგადოების ან დიდი სოციალური ჯგუფების, მაკროსოციალური სტრუქტურებისა და სისტემების (ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა და სხვა) თეორიულ და ემპირიულ სოციოლოგიურ კვლევას ნიშნავს. მაკროსოციოლოგიას მიაკუთვნებენ ისეთ გაველენიან და სოლიდურ სოციოლოგიურ თეორიებს, როგორებიცაა: სტრუქტურული ფუნქციონალიზმი (დიურკემი, პარსონსი, მერტონი და სხვა), კონფლიქტების თეორია (დარენდორფი, მარქსი და სხვ.), სოციალური სისტემების თეორია (ნიკლას ლუმანი და სხვ.) და ა. შ. ამ რიგის თეორიებს ეკუთვნის აგრეთვე სოციალური ცვლილებათა თეორიები, მაგალითად, პიტირიმ სოროკინის სოციოკულტურული დინამიკის თეორია, პროგრესისა და საზოგადოების ციკლური განვითარების თეორიები და სხვ.

მიკროსოციოლოგია სოციოლოგიური ცოდნის ის სფეროა, რომელსაც ადამიანებს შორის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთზემოქმედების შემსწავლელი თეორიები და სოციოლოგიური კვლევები მიეკუთვნება. უმთავრესი მიკროსოციოლოგიური კითხვა ჩვენს ყველდღიურ ცხოვრებასა და მოქმედებაზე აკეთებს აქცენტს. მიკროსოციოლოგიური თეორიებია: მაქს ვებერის გაგებითი სოციოლოგია, ჯორჯ ჰომანსისა და პიტერ ბლაუს სოციალური გაცვლის თეორია, ჯორჯ ჰერბერტ მიდის სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ალფრედ შიუცის სოციალური ფენომენოლოგია, ირვინგ გოფმანის სოციალური დრამატურგია, ჰაროლდ გარფინკელის ეთნომეთოდოლოგია და სხვ.



ჰაროლდ გარფინკელი, ლოს-ანჯელესი, 2007 წლის ფოტო.

მიკროსოციოლოგიის ფარგლებში განიხილება პიროვნების სოციალიზაციის, სოციალური მოქმედებისა და მცირე სოციალური ჯგუფის პრობლემები. საზღვრები მიკრო- და მაკროსოციოლოგიას შორის საკმაოდ პირობითია, თუმცა შესასწავლი სინამდვილისადმი მსგავსი მიდგომა მეთოდოლოგიურად გამართლებულია. პოლონელი სოციოლოგის იან შჩეპანსკის თანახმად, სოციოლოგია იმ ძალებს გამოაელენს და შეისწავლის, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოერების ყველა სფეროში მოქმედებენ და გაელენას ახდენენ როგორც დიდ, ისე მცირე სოციალურ ჯგუფებზე.



დაალება:
– რა განსხვაებაა მიკრო- და მაკროსოციოლოგიას შორის?
– რას ნიშნავს „საშუალო დონის თეორიები“ და რით განსხავდება ის სოციოლოგიური ცოდნის სხვა სტრუქტურული ელემენტებისაგან?
– რატომ მიიჩნევა ფუნქციონალიზმი მაკროსოციოლოგიურ თეორიად?

ძირითადი ლიტერატურა:

1. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 26-34.
2. ქ. კალპუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნიერსიტეტი. თბ., 2007. მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ნაწილი II, თაი I, გვ. 3-20.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 9-12.
2. ე. კოდუა, სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1998, გვ. 25-31.
3. Дж. Масионис, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 36-43.
4. А. Кравченко, В. Анурин, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 9-36.
5. Руководитель авторского коллектива П. Павленок, Социология, М. 2002. გვ. 45-63

საკითხავი მასალა

სოციოლოგიის კლასიკოსები

„სოციოლოგიის მამა“ – ოგიუსტ კონტი



კონტი დაიბადა 1798 წლის 19 იანვარს საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში, წერილი მოხელის (გასასახადების ამკრეფის) ოჯახში. ჯერ კიდევ მონპელიეს ლიცეუმში სწავლის პერიოდში გამოაქვლინა საოცარი მიდრეკილება მათემატიკისადმი, ლიცეუმის დამთავრების შემდეგ პარიზის პოლიტექნიკურ სკოლაში შეიყვანა. იქ გაეცნო იგი დეკარტის, დალამბერის, ტიურგოს, კონდორსეს, რუსოს, ვოლტერის, ბეკონის, ადამ სმიტისა და იუმის, ფიზიოლოგის – ბიშასა და ფრენოლოგის (ტეინის შემსწავლელი მეცნიერება) ჰალის შრომებს. სიმწიფის პერიოდში კონტი ე. წ. „ტეინის ჰიგიენის“ პრინციპს იცავდა – წიგნების კითხვას ერიდებოდა, რომ აზროვნების დამოუკიდებლობა არ შეესუსტებინა. მისი ეს დიდი და ფართო ერუდიცია, ფაქტობრივად, ახალგაზრდობის წლებში შეძენილი ცოდნიდან მომდინარეობდა.

პოლიტექნიკურ სკოლაში მომხდარი ინციდენტის გამო (ერთ-ერთი პედაგოგი უხეშად მოექცა სტუდენტს, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია. უკმაყოფილო სტუდენტებს სათავეში კონტი ედგა), რომელსაც იქ გამეფებული რესპუბლიკური სულისკვეთებაც დაემატა, სკოლა დაიხურა, კონტი კი პარიზიდან მონპელიეში გააძევეს. კონტის მშობლებს – მამა ლუის და დედა როსალიას, რომლებიც ძველი ყაიდის ადამიანები იყვნენ, არ მოეწონათ შვილის ასეთი საქციელი. 1817 წელს კონტი პარიზში დაბრუნდა, სადაც მათემატიკის კერძო გაკვეთილების ჩატარებით ირჩენდა თავს. 1818 წელს მან გაიცნო სენ-სიმონი – სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სენ-სიმონის კონცეფციის მიხედვით, ისტორიული პროცესის მთავარი ფაქტორია იდეა, აზრი. ამდენად, სოციალიზმის დასამყარებლად საკმარისია სოციალისტური იდეების გავრცელება საზოგადოებაში, რაც, რა თქმა უნდა, უტოპია იყო. კონტმა მალე შეითვისა სენ-სიმონის იდეები და მის თანამშრომლად (მდივნად) იქცა. 1819 წელს მან დაწერა ნაშრომი „შეხედულებათა ზოგადი გამიჯვნა სურვილებისაგან.“ ამ ნაშრომში იგი ამბობდა, რომ ხალხს აქვს მრავალი მოთხოვნილება და მათი დაკმაყოფილების სურვილი, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზები უცნობია მისთვის. ეს გზა კი მეცნიერმა უნდა უჩვენოს ხალხს. 1820 წელს კონტმა მორიგი ახალი სტატია – „ზოგადი შეფასებები წარსულისა საერთოდ“ – გამოაქვეყნა. ამ სტატიაში კონტი ამბობს, რომ ევროპის ისტორიაში 1789 წლის რევოლუციით ნეგატიური მიმდინარეობა დასრულდა და დაიწყო ახალი, პოზიტიური ერა.

1822 წელს სენ-სიმონის ბროშურას – „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ – კონტმა თავისი სტატია დაუროო სახელწოდებით „სამეცნიერო მუშაობის გეგმა, რომელიც უნდა ჩატარდეს საზოგადოების გარდასაქმნელად.“ კონტის მიერ გამოთქმული მოსაზრების ძირითადი შინაარსი ასეთია: აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების მეცნიერული ცოდნის საფუძველზე საზოგადოების რაციონალური გარდაქმნა, ამიტომ პირველი რიგის ამოცანაა საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების – სოციოლოგიის შექმნა. საზოგადოება, კონტის მიხედვით, გარდაიქმნება მაშინ, როდესაც პოლიტიკის საფუძველი მეცნიერება გახდება. შემდგომში კონტმა ეს სტატია თავის „პოზიტიური პოლიტიკის სისტემაში“ შეიტანა. ამ ნაშრომს მასწავლებელთან სერიოზული უთანხმოება მოჰყვა და იგი დაშორდა სენ-სიმონს.

1825 წელს კონტმა დაბეჭდა ნაშრომი „მეცნიერული აზრები მეცნიერებათა და მეცნიერთა შესახებ,“ რომელსაც მომდევნო წელს მოჰყვა სტატია „აზრები საზოგადოებრივ ხელისუფლების შესახებ.“ კონტი ამ შემთხვევაში ლიბერალიზმის მოწინააღმდეგედ მოგვევლინა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ პიროვნების თავისუფლება (საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარი) საზოგადოებრივ წესრიგს ემუქრება და ამიტომ იგი უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო ან ინტელექტუალური ხელისუფლებით (კონტს აქ ერთმანეთში აერია პიროვნებისა და ემპირიული ინდივიდის ცნებები, რადგანაც რევოლუციის ერთ-ერთი პრინციპი იყო „თავისუფლება კანონის ფარგლებში“).

1825 წელს კონტი კაროლინა მასენზე დაქორწინდა, რომელიც მოხეტიალე მსახიობთა წესიერ აღზრდა-განათლებას მოკლებული ქალიშვილი იყო. მიუხედავად ამისა, იგი პრაქტიკული მოხერხებულობით გამორჩეული ადამიანი აღმოჩნდა. გაზრდილი ოჯახური ხარჯების დასაფარად კონტი საკუთარ ბინაში საჯარო ლექციების კითხვას იწყებს. ამ ლექციების მოსასმენად მოდიოდნენ გამოჩენილი პროფესორები და აკადემიკოსები (ალ. ჰუმბოლდტი, ბლენვილი, პუასნო, დინუაიე, მათემატიკოსი ფურიე). წარმატებული ლექციები კონტის სულიერმა ავადმყოფობამ შეაფერხა. ავადმყოფობა გამოწვეული იყო მეტისმეტი გონებრივი შრომით, რომელსაც დაემატა გართულებული ურთიერთობა მასწავლებელთან და უმაყოფილება ოჯახში კაროლინას თავაშვებული ყოფაქცევის გამო. ნერვებაშლილი კონტი პარიზიდან გაიქცა. ავადმყოფი მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც იგი ნახევრად განკურნებული გამოვიდა. კონტს გაუჯობესება მას შემდეგ დაეტყო, როდესაც მოსაელელად დედამისი ჩამოვიდა მონპელიედან. 1829 წელს გამოჯანმრთელებულმა კონტმა განაახლა თავისი ლექციები. მსმენელთა რიცხვს შეემატა სახელმოხვეჭილი ფსიქიატრი ესკიროლი და გეომეტრი ბრუსე. ეს ლექციები შემდგომში საფუძვლად დაედო კონტის მთავარ ნაშრომს „პოზიტიური ფილოსოფიის კურსს," რომელსაც იგი 12 წლის მანძილზე ბეჭდავდა.


დიდხანს ვერ აეწყო კონტის აკადემიური კარიერა. ამას დაემატა ისიც, რომ პარიზი მის წიგნს მდუმარედ შეხვდა. კონტის ნაშრომს 1838 წელს ინგლისში მიაქციეს ყურადღება. ფიზიკოს ბრიუსტერის მსგავსად, იგი დიდად მოეწონათ გამოჩენილ ფილოსოფოსს ჯონ სტიუარტ მილსა და ისტორიკოს ჯორჯ გროტს. მილმა ხელმოკლე კონტს დახმარების მიზნით 5000 ფრანკი შეუგროვა და გამოუგზავნა, თუმცა მალე მათ შორის უთანხმოების შედეგად ეს დახმარებაც შეწყდა და კონტმა 1848 წელს დახმარების სათხოვნელად სასოგადოებას მიმართა. შეგროვდა უამრავი ხელმოწერა მის სასარგებლოდ, რაც იმ დროისათვის შემოსაელის ერთადერთ წყაროდ იქცა მისთვის. 1848 წელს ლუი-ფილიპეს მონარქიის დამხობის შემდეგ კონტი აქვეყნებს „ცირკულარს," სადაც წინადადებას აყენებს იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში დაარსებულ იქნეს სახოგადოება, რომლის დევიზი იქნება „წესრიგი და პროგრესი". წესრიგი, როგორც საფუძველი, ხოლო პროგრესი, როგორც მიზანი. „პოზიტივისტური სახოგადოება," კონტის მიხედვით, სოციალიზმისა და კომუნიზმის ალტერნატივა უნდა ყოფილიყო. ამ ტიპის სახოგადოების სამოქმედო გეგმა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი რევოლუცია უნდა ყოფილიყო. ამ თავისი იდეებით კონტმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველსაც მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია. იგივე ბედი ეწია კონტის ბარათებს ოსმალეთის დიდი ვეზირის რეშიდ-ფაშასადმი და იეზუიტთა ორდენის გენერალ ბექსისადმი.

1842 წელს კონტი დაშორდა თავის უღირს მეუღლეს და საკუთარი ბედი დაუკავშირა ვიღაც პატიმრის ნაცოლარს კლოტილდე დე-ვოს. ეს ქალი მას ძლიერ შეუყვარდა. თუმცა ეს გრძნობა „პლატონური სიყვარულის" ფარგლებს არ გასცდენია, მაგრამ მან კონტის მსოფლმხედველობაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. ამჯერად იგი რუსოს მსგავსად რწმუნდება, რომ გონება გრძნობების მოსამსახურეა; რომ აზროვნების მიზანი გრძნობების მიერ დაყენებული ამოცანების გადაწყვეტაა. 1846 წელს კლოტილდე დე-ვო გარდაიცვალა. მისმა ხსოვნამ უცნაური კულტის სახე მიიღო კონტის წარმოდგენაში. იგი მის მფარველ ანგელოზად იქცა, რომლის საკურთხეველის წინაშე მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა (საკურთხეველის როლს ის საყარაველი ასრულებდა, რომელშიც კლოტილდე იწვა). კონტი რელიგიისკენ გადაიხარა. ამ პერიოდში იგი აქვეყნებს ნაშრომს „პოზიტიური პოლიტიკის სისტემა, ანუ სოციოლოგიური ტრაქტატი, რომელიც კაცობრიობის სარწმუნოებას აწესრიგებს" (4 ტომი). ამჟამად კონტმა პოზიტიური რელიგიის პრინციპები შეიმუშავა, რითაც სამუდამო სახელი დაიმკვიდრა რელიგიის სოციოლოგიის კლასიკოსთა შორისაც. რელიგიის ხელოვნურად შექმნის კონტისეული იდეა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა კონტის მისწრაფება – ევროპული სახოგადოება მოსალოდნელი ანარქიისაგან ახალი რელიგიური ავტორიტეტით იხსნას.

კონტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია მისი „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი," სადაც იგი სოციოლოგიის მამად გვევლინება. უკანასკნელი მისი ნაწარმოები „სუბიექტური სინთეზია." ამით მას გან'სრახული ჰქონდა მომავალი კაცობრიობის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მეცნიერული სურათი მოეცა. მან ოთხტომიანი ნაშრომის მხოლოდ პირველი ტომის დაბეჭდვა მოასწრო, რომელშიც მოათავსა „პოზიტიური ლოგიკის სისტემა ანუ ტრაქტატი მათემატიკის ფილოსოფიისა." აქ კონტმა გააიგივა ლოგიკა და მათემატიკა.

1857 წლის მაისში კონტი ავად გახდა, 5 სექტემბერს საღამოს გარდაიცვალა. თავისი ბინა მის მიერ შექმნილ პოზიტივისტურ საზოგადოებას უანდერძა. იდეურ მემკვიდრედ ლაფიტი დანიშნა.

1902 წელს პარიზში, სორბონის წინ, კონტს ძეგლი აუგეს.



კონტის საფლავი

„სიყვარული, როგორც წესრიგის პრინციპი და საფუძველი.

პროგრესი, როგორც მოვალეობა.

სიყვარული წესრიგს მიელტვის და ბიძგს აძლევს პროგრესს. თავის მხრივ, წესრიგი სიყვარულს ამყარებს და პროგრესს წარმართავს. პროგრესი კი წესრიგს აღითარებს და სიყვარულით სრულდება.“


„არაფერია სამყაროში სიყვარულზე უფრო რეალური.“

„იცხოვრო სხვებისათვის, ნამდვილი ბედნიერება, აი, ეს არის.“

ოგიუსტ კონტი

ეს საინტერესოა

რა კავშირი აქვს ბრაზილიის დროშას სოციოლოგიასთან?



ბრაზილიის ეროვნულ დროშაზე პორტუგალიურ ენაზე გაკეთებული წარწერა – **ORDEM E PROGRESSO** – „წესრიგი და პროგრესი“ სოციოლოგიის მამამთავრის ოგიუსტ კონტის მიერ ჩამოყალიბებული პოზიტივიზმის კრედოდან მომდინარეობს (პოზიტივიზმის ფუძემდებელს მიაჩნდა, რომ საზოგადოებისათვის აუცილებელია „სიყვარული, როგორც პრინციპი, წესრიგი, როგორც საფუძველი, და პროგრესი, როგორც მიზანი“).

1888-1889 წლებში ბრაზილიაში მონარქია დაემხო და რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. რესპუბლიკის მამებს სურდათ, რომ რეეოლუციას არა უბრალოდ შეეცვალა მონარქია, არამედ ის ახალი ტიპის სახელმწიფოს საფუძველი გახდარიყო, რომელშიც „წესრიგი და პროგრესი“ ბრაზილიის მოქალაქეებს შორის (თეთრი, შავი და ფერადკანიანები) მარადიული ჰარმონიის საწინდარი იქნებოდა. ამ ახალი სახელმწიფოს სულისკვეთებას ყველაზე მეტად ბრაზილიაში „პოზიტივიზმის მოციქულისა“ და კონტიანელი პროფესორის რაიმუნდუ ტეიშირა მენდესის (1855-1927) მიერ შემოთავაზებული დევიზი შეეფერებოდა. ბრაზილიაში მენდესმა დააფუძნა პოზიტივისტური ასოციაცია. დროშის ნახატი მხატვარმა დესიო ვილარესმა შეასრულა. მისი უძველესი ეგზემპლარი მენდესის მიერ 1891 წელს რიო-დე-ჟანეიროში დაარსებულ მსოფლიოში პირველ საკაცობრიო პოზიტივისტურ ეკლესიაშია შენახული.

IV ლექცია

თემა: სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

სოციოლოგია, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერება, საკუთარ ადგილს იკავებს მეცნიერებათა სისტემაში. შესასწავლი საგნის მიხედვით, ზოგადად მეცნიერება და მეცნიერული ცოდნა სამ დიდ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ბუნება და ბუნებისმეცნიერული ცოდნა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და სხვ.), საზოგადოება და საზოგადოების შესახებ ცოდნა (ისტორია, სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტოლოგია და სხვ.) და აზროვნება და აზროვნების შესახებ ცოდნა (მაგალითად, ლოგიკა და სხვ.); გარდა ამისა, მეცნიერებათა კლასიფიკაციის მრავალი მოდელია ცნობილი, მაგრამ ამჯერად ჩვენ მეცნიერებათა კლასიფიკაციის კონტისეულ მოდელზე გავამახვილებთ ყურადღებას, იქიდან გამომდინარე, რომ კონტმა მასში განსაკუთრებული ადგილი სოციოლოგიას მიაკუთვნა.

კონტმა თავის კლასიფიკაციაში მხოლოდ მის მიერ ძირითადად მიჩნეული მეცნიერებები შეიყვანა. მაგალითად, ბოტანიკასთან და ზოოლოგიასთან შედარებით კონტმა ძირითად მეცნიერებად ბიოლოგია მიიჩნია, რადგანაც ის სიცოცხლის ზოგად კანონებს შეისწავლის, ხოლო ბოტანიკა და ზოოლოგია სიცოცხლის კონკრეტულ გამოვლინებებს აღწერენ. ამ პრინციპით კონტმა სულ 6 ძირითადი მეცნიერება დაასახელა, რომელთაგან პირველი – მათემატიკა, ხოლო უკანასკნელი – სოციოლოგიაა. შუაში იმყოფება ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. მეცნიერებათა ამგვარი განლაგების საფუძველი სიმარტივე და ზოგადობაა. ამ შემთხვევაში სოციოლოგიის მამა მოქმედებდა პრინციპით, რომლის მიხედვითაც „რაც უფრო მარტივია, მით უფრო ზოგადია ყოველივე და, პირიქით, რაც უფრო რთულია, მით უფრო კერძოა იგი." სოციოლოგია რთული მეცნიერებაა, რადგანაც მისი საგანია საზოგადოება, რომელიც სხვა მეცნიერებათა საგნებთან შედარებით რთულია.

ასტრონომიის შესწავლას წინ მათემატიკა უნდა უსწრებდეს, რადგანაც ციურ სხეულთა მოძრაობას ვერ გაიგებთ რაციონალური მექანიკის გარეშე. ფიზიკის ცოდნა ასტრონომიის ცოდნას გულისხმობს, რადგანაც მიწიერი სხეულები, რომელსაც ფიზიკა შეისწავლის, ციურ სხეულებზე არიან დამოკიდებული, – მიაჩნია კონტს. ფიზიკას ქიმია მოსდევს, რადგანაც ფიზიკა აძლევს ზოგად კანონებს ქიმიას, რომლის საგანი სხეულთა შედგენილობის ცვლილებაა. ქიმიაზეა დამოკიდებული ბიოლოგია, რომლის საგანია სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც ქიმიური პროცესების სპეციფიკურ მოვლენებს წარმოადგენენ, ვინაიდან სიცოცხლე ორგანიზმის გარემოსთან შეგუებაა. ბიოლოგიის ერთ-ერთ ნაწილად კონტმა ფრენოლოგია – ტვინზე მოძღვრება დაასახელა.

ბიოლოგია კანონებს აძლევს სოციოლოგიას, რომლის საგანი საზოგადოებაა. სოციოლოგია უშუალოდ ბიოლოგიაზეა დამყარებული, ხოლო მისი მეშვეობით – სხვა დანარჩენ მეცნიერებებზე. სოციოლოგიის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების გაგება, როგორც ბიოლოგიური პროცესების ნაირსახეობისა. კონტს თუ დაეუჯერებთ, სოციოლოგია საზოგადოების ბიოლოგიაა და მისგან შესასწავლი საგნით განსხვავდება. თუ ბიოლოგია ცალკეულ ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, შეისწავლის, სოციოლოგია ადამიანთა კრებულს შეისწავლის; მისი საგანია ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სუბიექტი ანუ სოციალური არსება, საზოგადოებრივი ცხოველი, როგორც მას არისტოტელე უწოდებდა („ძოონ პოლიტიკონ" – რაც ადამიანის სოციალურ ბუნებაზე ყურადღების გაამახვილებაა, რადგანაც, რომ არა საზოგადოებრივი ბუნება ადამიანისა, ის ვერ იქნებოდა პოლიტიკური არსება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური წინ უსწრებს პოლიტიკურს და მის საფუძველს წარმოადგენს. სოციოლოგიის პრიმატი სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ალბათ აქედან მომდინარეობს).

კონტი ამბობს: რომ გაიგო რა არის სოციალური „ცხოველი," უნდა იცოდე, რა არის ბიოლოგიური ცხოველი. ამიტომ სოციოლოგი, რომლის კვლევის საგანია საზოგადოებრივი „ცხოველი", თავის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ბიოლოგია არ იცის, რაც კონტის მიერ მოცემული მეცნიერებათა კლასიფიკაციის სერიოზული ნაკლოვანებაა. რადგანაც დღეს ყველამ იცის, რომ სოციალური კანონები ბიოლოგიურზე არ დაიყვანება, ხოლო, თავის მხრივ, ბიოლოგიური კანონი საზოგადოების კანონად ვერ გამოცხადება. ეს ჭეშმარიტება ალბათ კონტსაც კარგად ესმოდა, მაგრამ მას ამ შემთხვევაში სხვა მიზანი ამოძრავებდა, კერძოდ, სოციოლოგია ბუნებისმეცნიერების მსგავსად საზოგადოების შემსწავლელ ზუსტ და კერძო მეცნიერებად ჩამოეყალიბებინა. თუმცა ერთი რამ ფაქტია: კონტის მეცნიერებათა სისტემაში მთავარი ადგილი


სოციოლოგიას უჭირაეს, რომელიც სოციალურ მოელენათა ფიზიკა, ანუ სოციალური ფიზიკაა. იგი იმაეე მეთოდებით იკელეეს საზოგადოებას, რა მეთოდებითაც ფიზიკა – ბუნებას. უმთავრესი მოთხოვნა, რაც სოციოლოგიას კონტმა წაუყენა, არის სიზუსტე. დღეანდელი ემპირიული სოციოლოგია ამ მოთხოვნას მაქსიმალურად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ასრულებს, რის გარანტიასაც ემპირიული კელეეის მეთოდიკა და მეთოდოლოგია იძლეეა.

საკუთარი კელეეის სფეროებით სოციოლოგია ერთ-ერთი ყეელაზე ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერებაა სხეა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის. იგი მეთოდოლოგიურ საფუძელებს უქმნის სხეა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, რომლებიც, თავის მხრივ, განსჯისა და განზოგადებისათეის აუცილებელ მასალას აწედიან სოციოლოგიას. სხეა მეცნიერებებთან ამგვარ ურთიერთობას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რაც, თავის მხრივ, აქტუალურს ხდის საკითხს სოციოლოგიის ადგილისა და როლის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში. კონტის სისტემის მსგაესად, საკუთარი უნივერსალურობით სოციოლოგია ცენტრალურ ადგილს იკაეებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში. ფაქტობრივად, არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოერების სფერო, რომელშიც არ აღწეეს იგი. ამის გამო სოციოლოგია მრავალ ცალკეულ დარგად სპეციალიზდება და ეს პროცესი დღესაც დასრულებული არ არის.

სოციალურ მეცნიერებებს შორის ზოგიერთი მათგანი, საკუთარი კელეეის საგნიდან ან მეთოდებიდან გამომდინარე, ძალზე ახლოს არის სოციოლოგიასთან, ამიტომ მათ სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინებად განვიხილავთ, რომელთა შორის უმთავრესია:

- სოციალური ფილოსოფია,
- სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია,
- სოციალური ფსიქოლოგია,
- ეკონომიკა,
- პოლიტოლოგია,
- სტატისტიკა,
- სოციალური გეოგრაფია,
- სოციობიოლოგია,
- დემოგრაფია,
- სოციალური ეკოლოგია,
- ეთნოგრაფია.

ქეემოთ მოყეანილ სქემაზე ნაჩეენებია სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში ფინელი სოციოლოგის ე. ასპის მიხედეით.



მოცემულ სქემაში აოელის წერტილად ფილოსოფიაა აღებული. მათემატიკა, ისტორია და გეოგრაფია უკაცრავად მეცნიერებებად არის წარმოდგენილი, რომლებიც სხეა მეცნიერებათა

კელეებისათვის აუცილებელია. მათთან მიმართებაში საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არიან. სისტემის ცენტრი სოციოლოგიას უჭირავს.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ენტონი გიდენსის წიგნიდან „სოციოლოგია“
არის თუ არა სოციოლოგია მეცნიერება?

„...დიურკემი, მარქსი და სოციოლოგიის სხვა ფუძემდებლები მას მეცნიერებად მიიჩნევდნენ, მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ მეცნიერულად მივუდგეთ საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლას? მეცნიერება განსაზღვრული პრობლემის შესახებ ცოდნის განვითარების მიზნით ემპირიული კელეების სისტემატური მეთოდების გამოყენებაა, მონაცემთა ანალიზი, თეორიული გააზრება და ლოგიკური შეფასებაა. ამ განსაზღვრების თანახმად, სოციოლოგია მეცნიერული საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება. ის ემპირიული კელეის სისტემატურ მეთოდებთან, მონაცემთა ანალიზთან და ფაქტებისა და არგუმენტების საფუძველზე მიღებულ თეორიულ შეფასებებთანაა დაკავშირებული.

ადამიანთა შესწავლა ფიზიკური სამყაროს მოვლენათა შესწავლისაგან განსხვავებულია, ამიტომ სოციოლოგია ისე არ უნდა მივიღოთ, როგორც ბუნებისმეცნიერება. ბუნებრივი ობიექტებისაგან განსხვავებით ადამიანები საკუთარ მოქმედებაში საზრისსა და მიზანს დებენ და მოფიქრალი არსებები არიან. ჩვენთვის შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ზუსტი აღწერა მანამ, სანამ ადამიანური მოქმედების კონცეფციებს არ ავხსნით. მაგალითად, ვინმეს გარდაცვალების, როგორც თვითმკელელობის, აღწერა ნიშნავს, რომ ამ ადამიანის განზრახვა წინასწარ იცი. თვითმკულელობა შესაძლებელია მაშინ მოხდეს, როდესაც ადამიანი ამაზე აქტიურად ფიქრობს. მანქანის მიერ შემთხვევით გატანილი ადამიანი, შეუძლებელია, რომ თვითმკელელად მივიჩნიოთ.

საზოგადოების შესწავლა ბუნების შესწავლისაგან სხვა მიზეზითაც განსხვავდება. ჩვენ ჩვენი მოქმედებების საშუალებით საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ, მუდმივად ვქმნით და გარდავქმნით. საზოგადოება სტატიკური და უცვლელი ორგანიზმი როდია. ინდივიდთა განმეორებად მოქმედებათა წყალობით სოციალური ინსტიტუტები მუდმივ ცვლილებებს განიცდიან. სოციოლოგია ადამიანებს შეისწავლის და არა ინერტულ ობიექტებს. შესაბამისად, სოციოლოგიისა და მისი საგნის კავშირი განუხრელად განსხვავდება იმ კავშირისაგან, რომელიც ფიზიკურ სამყაროსა და მის შემსწავლელ მეცნიერს შორის არსებობს. ადამიანები რეაგირებენ სოციალურ ცოდნაზე, რაც ბუნების ელემენტებს არ შეუძლიათ. ამ აზრით შეიძლებელია, რომ სოციოლოგია მაემანსიპირებელ ძალას წარმოადგენდეს.

ის ფაქტი, რომ ადამიანებსა და ბუნების ობიექტებს ერთნაირად ვერ შევიმეცნებთ, დიდწილად სოციოლოგიის უპირატესობაა. მკელეარი სოციოლოგები იმაში პოულობენ ხეირს, რომ საშუალება აქვთ პირდაპირ იმას მიმართონ შეკითხვით, ვისაც ისინი იკელევენ, ანუ სხვა ადამიანებს. სხვა მიმართებაში სოციოლოგია მთელ რიგ ისეთ სიძნელეებს ქმნის, რომლებთანაც ბუნებისმეცნიერების სფეროს სპეციალისტებს შეხება არა აქვთ. ადამიანებმა, რომლებმაც იციან, რომ მათი საქმიანობა დაკვირვებით შეისწავლება, ჩვეულებრივ არ იქცევიან ხოლმე, მათ შეუძლიათ საკუთარი თავის წარმოდგენა იმ სამყაროში, რომელიც მათი მსოფლმხედველობის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს ...“

დავალება:

– თქვენი აზრით, რა ადგილი უჭირავს სოციოლოგიას მეცნიერებათა სისტემაში?

– ჯგუფში ისაუბრეთ მეცნიერებათა კლასიფიკაციის კონტისეული სისტემის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 34-41.
2. ქ. კალჯური, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ნაწილი II, თავი 1, გვ. 3-20.
3. ქეთა ქეცბაია, განათლების სოციოლოგია (პრობლემები), თბ., 2002. პედაგოგიკა და სოციოლოგია, გვ. 7-13.

დამატებითი ლიტერატურა:


1. **Й. Щепаньски**, Социологиის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 9-12.
2. **ე. ქოდუა**, Социологიის შესავალი, თბ., 1998, გვ. 25-31.
3. **Дж. Масионис**, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 36-43.
4. **А. Кравченко**, В. Анурин, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 9-36.
5. **Руководитель** авторского коллектива П. Павленок, Социология, М. 2002. გვ. 45-63.

ფრაგმენტი იან შჩეპანსკის წიგნიდან „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები"

სოციოლოგია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი

„სოციოლოგია იმით განსახვავდება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან, რომ იკელეეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ „ადამიანთა შორის" წარმოშობილი მოელენების კანონებს, სტრუქტურებს, ესე იგი, ერთობებში ადამიანთა ურთიერთშეგუების კანონებს, ერთობის, როგორც მთლიანობის, შემადგენელი ელემენტების ურთიერთშეგუების კანონებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გამოელენილ სოციალურ ძალებს, იგი იკელეეს დიდ და მცირე ერთობებში მოქმედ იმ ობიექტურ ძალებს, რომლებიც წარმოიშობიან სპონტანურად, ინდივიდებისა და ინსტიტუტების ყოველგვარი მიზანმიმართული და წინასწარგანზრახული მოქმედების გარეშე. სოციოლოგის დაინტერესების მთავარ საგანს წარმოადგენს ადამიანთა ერთობები, მთლიანობანი, ეს ერთობები იქმნება ადამიანთა ურთიერთმოქმედებით, რომელთა მიზანია თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, იმისდა მიუხედავად, გაცნობიერებულია ეს ურთიერთქმედება თუ იგი გამომდინარეობს სოციალური ჯგუფებისა და ძალების თანაფარდობიდან, მთლიანობიდან, რომელსაც ინდივიდები, ინსტიტუტები, კულტურის ნიმუშები და ტრადიციები ქმნიან".

ოგიუსტ კონტის მეცნიერებათა პირამიდა



მეცნიერებათა კლასიფიკაცია თაეის დროზე მოცემული აქეთ არისტოტელეს, ძენონს, ეპიკურეს, ბეკონს, დალამბერს, სპენსერს და სხეებს. კონტი მხოლოდ „ძირითადი მეცნიერებების" კლასიფიკაციას ახდენს. მაგალითად, ბიოლოგიას იგი მიიჩნეეს ძირითად მეცნიერებად, რომელიც მოიცაეს ბოტანიკასა და ზოოლოგიას. ბიოლოგის კელეეის საგანია სიცოცხლე, ბოტანიკოსი კი იმას იკელეეს, თუ როგორ ცოცხლობს ამა თუ იმ ჯიშის მცენარე. ამ პრინციპით მოახდინა მან მეცნიერებათა კლასიფიკაცია. მეცნიერებათა მოცემული განლაგების საფუძეელი მათი სიმარტივე და ზოგადობაა. ყეელაზე უფრო რთული მეცნიერება სოციოლოგიაა. მისი საგანი არა ცალკეული ადამიანი, არამედ ადამიანთა კრებულია. იგი შეისწაელის საზოგადოებრივ ცხოერებაში მოქცეულ ადამიანს.

კონტისეულ მეცნიერებათა პირამიდაში მრაეალი ანგარიშგასაწეი მეცნიერებაა გამოტოეებული, მაგ., ფსიქოლოგია. კონტის აზრით, ის არ არის მეცნიერება, რადგანაც თეითდაკეირეება, რომელსაც იგი ემყარება, „ღრმა აბსურდობაა." ის სუბიექტის გაორებას გულისხმობს, რაც კონტს შეუძლებლად მიაჩნია. კონტის კლასიფიკაციაში ეერ მოხედა პოლიტიკური ეკონომია (იმ დროისათეის ძალზე პოპულარული მეცნიერება), ლოგიკა, ფილოსოფია და სხეა. კონტმა თაეისი პოზიტიეისტური სათეალიდან გულგრილად შეხედა ფილოსოფიას და არასწორად შეაფასა მისი აუცილებლობა. ქართეელი ფილოსოფოსის სერგი დანელიას (მას ეკუთენის საინტერესო გამოკელეეა კონტის ცხოერებისა და მოღეაწეობის შესახებ. იხ. ს. დანელია. „ნარკეეები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში," თბ., 1978) სიტყეებით რომ ეთქეათ, „ფილოსოფია მისი წიგნის მხოლოდ ყდას აწერია, შიგ კი ამ წიგნში არ მოიპოეება."

ო. კონტის სამი სტადიის კანონი

ცოდნის განეითარების სტადია	საზოგადოების განეითარების სტადია
I. თეოლოგიური (ბერძნ. „თეოს" – ღმერთი). ცოდნას მითოსური, რელიგიური ხასიათი აქეს და რწმენას ემყარება. ადამიანი მიიჩნეეს, რომ მის გარშემო მომხდარ მოელენათა მიზეზი ზებუნებრიეი ძალებია, ანთროპომორფისტული და ანიმისტური აზროენება. ცოდნა წარმოდგენასა და წარმოსახეაზეა დამოკიდებული. კაცობრიობის ბავშეობა თეოლოგი	I. ძეელი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების დროინდელი ეპოქა. იყოფა სამ პერიოდად: – ფეტიშიზმი: ადამიანები აღმერთებენ სხეადასხეა საგნებს, მათში ხედაენ მაცოცხლებელ ძალას. ადამიანს არა აქეს შეგნებული თაეისი განსხეაება გარე სინამდეილისაგან. საზოგადოება ბავშეურად აზროენებს ანუ აკლია თეითშეგნება. ყოეელ საგანს საკუთარი სული აქეს. ეელური საზოგადოება. – პოლითეიზმი: მაცოცხლებელ ძალას ფლობენ „ფიქტიური არსებები" – მრაეალი ღმერთი. ფაქტები და მოელენები მათი მეშეეობით აიხსნება. საგანთა და მოელენათა ჯგუფს აქეს ერთი ზოგადი სული. მრაეალღმერთიანობა. ბარბაროსული საზოგადოება (საერო და სასულიერო ხელისუფლება ნაკლებადაა გამიჯნული). I. თეოკრატია (ინდოეთი). II. განეითარებული სამხედრო-პოლითეიზმი (ძეელი ელადა). III. განეითარებული სამხედრო-პოლითეიზმი (რომი). – მონოთეიზმი: ქრისტიანობა ქრისტეს ახალ მორალურ წესრიგსა და მსოფლმხედეელობას. ადამიანთა ცხოერებას მრაეალი ღმერთის ნაცელად ერთი ღმერთი წარმართაეს. საგანთა და მოელენათა მიზეზია ერთი, ქრისტესათეის საერთო ღმერთის ცნება. ერთღმერთიანობა. ციეილიზებული საზოგადოების ჩასახეა. ომიანობის შეწყეეტა, მონობის შეცელა ბატონყმობით, რაინდთა ინსტიტუტის გაჩენა.

	პოლიგამიის შეცვლა მონოგამიით, ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება. თეოლოგიურ-მხედრული საზოგადოება საზოგადოების ერთადერთი მიზანია დაპყრობა.
2. მეტაფიზიკური სპეკულატური ცოდნა რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილია და აბსტრაქტული ხასიათი აქვს. ზებუნებრიეი ფაქტორები აბსტრაქტული ძალებითაა ჩანაცვლებული. საგანთა და მოვლენათა მიზეზია სპეკულატური ცნება, რომელიც სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: არსება, არსი, უნარი, ძალა, სუბსტანციური ფორმა და სხვა. წარმოსახვის ადგილს გააზრება იკავებს. რეალობა ცნებათა ერთობლიობაა. კაცობრიობის სიჭაბუკე მეტაფიზიკოსი	2. რეფორმაციების ეპოქა აბსტრაქტული ცოდნა კრიტიკულ ხასიათს იძენს. შესამჩნევი ხდება სოციალური კაეშირების კრიზისი. ეს სტადია დაახლოებით XIV საუკუნიდან იწყება და XIX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდება და მოიცავს რეფორმაციისა და აღორძინების ეპოქას, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს და კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების პერიოდს. I და II სტადიას სამხედრო საზოგადოება შეესაბამება თავისი სამხედრო-აეტორიტარული რეჟიმით. მეტაფიზიკურ-ლეგისტური საზოგადოება გარდამავალი პერიოდია. ახალს ვერ ქმნის, მაგრამ ანგრევს ძველს. I. XIV-XV სს. თეოლოგიზმის კრიზისი და პუმანიზმის განვითარება. II. XVI-XVII ს-ის I ნახ. პროტესტანტიზმისა და კათოლიციზმის ბრძოლა. III. XVII ს-ის II ნახ. – XVIII ს. ეაჭრობისა და მრეწველობის განვითარების დამაბრკოლებელი ძველი რეჟიმის დამხობა. დეისტები, განმანათლებლები და სხვა. საზოგადოების წამყვან ფენას შეადგენენ იურისტები, ორატორები, ლიტერატორები, სიტყვის ოსტატები.
3. პოზიტიური (ლათ. – დადებითი) ცოდნა ექსპერიმენტსა და გამოცდილებას ემყარება და მეცნიერული ხასიათის მატარებელია. ამ შემთხვევაში ადამიანური გონება აცნობიერებს, რომ მისთვის აბსოლუტური ცოდნა მიუღწეველია, ამიტომ იგი უნდა დასჯერდეს ფაქტებისა და მოვლენების რაციონალურ შემეცნებას. პოზიტიურია ის, რაც ნამდვილია. მეცნიერული აზროვნების მეთოდებია: დაკვირვება და ექსპერიმენტი. კაცობრიობის სიმწიფე პოზიტივისტი მეცნიერი	4. სამრეწველო და მსოფლიო, სამოქალაქო საზოგადოება საზოგადოების ინდუსტრიალიზაცია სოციალური პროცესების სტაბილიზაციას ახდენს და უაზრობა ხდება ყოველგვარი საომარი მოქმედებები. კონტი მიიჩნევდა, რომ მასობრივი წარმოება ბევრად უფრო ეფექტურად აღწევს და იპყრობს საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, ვიდრე ძალადობის გზით განხორციელებული აქტი. მეცნიერულ-ინდუსტრიული საზოგადოება. დემოკრატია. საზოგადოების წამყვან ფენას შეადგენენ ინჟინრები, კომერსანტები, ბანკირები, კაპიტალისტები. კერძო საკუთრების გაუქმება და უთანასწორობის მოსპობა, კონტის აზრით, საზოგადოების მოსპობა იქნება.

შენიშვნა:
კონტის მიხედვით, ცოდნის განვითარების ცალკეულ სტადიას საზოგადოების განვითარების შესაბამისი სტადია შეესაბამება.
„სამი სტადიის“ კანონი კონტმა მისი მასწავლებლისაგან – სენ-სიმონისაგან აიღო და სრულყოფილი და დასრულებული სახე მისცა.

სასურველია დავიმახსოვროთ

სოციალური გარემო – ადამიანის გარემომცველი სფეროს ნაწილი, რომელიც ინდივიდებისაგან, დიდი და მცირე ჯგუფებისაგან, ინსტიტუტებისაგან და კულტურის ელემენტებისაგან შედგება. ის იმ პირობების ერთობლიობაა (ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერ-ღირებულებითი), რომელიც ინდივიდთა არსებობისა და მოქმედებისათვის არის აუცილებელი და რომელიც ამ ინდივიდების მიერ არის შექმნილი.

სოციოლოგები საუბრობენ მიკრო- და მაკროსოციალურ გარემოზე.

მაკროგარემო ერთად აღებულ მთელ სოციალურ და ეკონომიკურ სისტემას მოიცავს.

მიკროგარემო მხოლოდ სოციალურ სფეროს გულისხმობს.

სოციოდრამა – ლათინურ ენაზე – „სოციუს“ და ბერძნ. „დრამა“ – მოქმედება. ჯგუფური ფსიქოთერაპიის ტექნიკა. სოციომეტრიის ფუძემდებლის იაკობ მორენოს მიერ შემუშავებული ემპირიული მეთოდი, რომელიც როლურ თამაშებსა და მოდელირებაზეა აგებული. მისი თემა ჯგუფის პრობლემაა, ხოლო მიზანი – სწავლება, რომელიც კრეატიულ (შემოქმედებით) სოციალურ ცვლილებაზეა ორიენტირებული. ფართოდ გამოიყენება ემპირიულ, განსაკუთრებით ექსპერიმენტულ სოციოლოგიურ კვლევებში. ძირითადი სოციოდრამატული ტექნიკის ელემენტებია: დუბლირება (ჯგუფის ან ინდივიდის), სარკე, როლების გაცვლა, შინაგანი მონოლოგი, აქტიური სოციოდრამა და სხვ.

დარგობრივი სოციოლოგიები

- ზოგადი – თეორიული სოციოლოგია
- ემპირიული სოციოლოგია
- გენდერული სოციოლოგია
- მეტასოციოლოგია
- მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგია
- ცოდნის სოციოლოგია
- კულტურის სოციოლოგია
- განათლებისა და მეცნიერების სოციოლოგია
- ხელოვნების სოციოლოგია
- მოდის სოციოლოგია
- ურბანსოციოლოგია (ქალაქის სოციოლოგია)
- სოფლის სოციოლოგია
- რელიგიის სოციოლოგია
- პოლიტიკის სოციოლოგია
- სამართლის სოციოლოგია
- სამხედრო სოციოლოგია
- სოციოგრაფია
- სოციომეტრია
- სოციალური გერონტოლოგია
- სოციალური ინჟინერია
- ასაკის სოციოლოგია
- დასვენების სოციოლოგია
- კოლექტივის სოციოლოგია
- მედიცინის სოციოლოგია
- რეკლამის სოციოლოგია
- ახალგაზრდობის სოციოლოგია
- მორალის სოციოლოგია
- საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგია
- სქესისა და სექსუალობის სოციოლოგია
- სპორტის სოციოლოგია
- ლიტერატურის სოციოლოგია
- ორგანიზაციის სოციოლოგია
- შრომის სოციოლოგია

- ეკონომიკური სოციოლოგია
- საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის სოციოლოგია
- საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია
- საჯარო სფეროს სოციოლოგია
- ყოველდღიურობის სოციოლოგია
- ოჯახის სოციოლოგია
- მართვის სოციოლოგია
- ემოციების სოციოლოგია
- ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია
- ეკოსოციოლოგია
- ეთნოსოციოლოგია
- გერონტოსოციოლოგია
- სოციოლოგიის ისტორია და თეორია
- ეიზუალური სოციოლოგია
- ფოტოსოციოლოგია და სხვა.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



ბ. მალინოვსკი ტრობრიანის კუნძულების აბორიგენებთან ერთად*

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია („ანთროპოს" – ადამიანი, „ლოგოს" – მოძღვრება, სწავლება, მეცნიერება; სიტყვასიტყვით – მოძღვრება ადამიანის შესახებ. განსხვავებით ადამიანის არსის შემსწავლელი ფილოსოფიური დისციპლინისაგან – ფილოსოფიური ანთროპოლოგიისაგან, სოციალური ანთროპოლოგია ადამიანის სოციალური არსის შემსწავლელი მეცნიერებაა) დისციპლინათაშორისი მეცნიერებაა 'სოგადად ადამიანის შესახებ. იგი ადამიანს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ და კულტურის შემოქმედ არსებას. თავდაპირველად იგი ე. წ. „პრიმიტიული საზოგადოებში" ადამიანთა თანაცხოვრების წეს-ჩვეულებათა შემსწავლელი მეცნიერება იყო. ის ადამიანის შესახებ მეცნიერებებს მიეკუთვნება, ხოლო რამდენადაც საზოგადოება ადამიანთა გაერთიანებაა, იმდენად მათი კავშირი სოციოლოგიასთან აშკარაა. ამ აზრით იგი სოციოლოგიის მონათესავე დარგებს განეკუთვნება.

ინგლისური სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური სკოლა სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს, მაშინ როდესაც, ამერიკული ტრადიციის მიხედვით, მათ შორის სერიოზული განსხვავება არ არსებობს.

ტერმინი „სოციალური ანთროპოლოგია“ ინგლისში ახალდაარსებული კათედრის აღსანიშნავად იქნა შემოღებული, რომელსაც პრიმიტიული საზოგადოებების ცნობილი მკვლევარი ფრეზერი ხელმძღვანელობდა. ფრეზერი ძირითადად დაინტერესებული იყო ადრეული საზოგადოებების ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და სოციალური თანაცხოვრების პრინციპების შესწავლით.



ალფრედ რეჯინალდ რედკლიფ-ბრაუნი

სოციალური ანთროპოლოგიის საგანი ნათლად გამოკვეთეს ინგლისური სოციალურ-ანთროპოლოგიური სკოლის ისეთმა სახელოვანმა წარმომადგენლებმა, როგორებიც ბრონისლაე მალინოვსკი (1884-1942) და ალფრედ რეჯინალდ რედკლიფ-ბრაუნი (1881-1955) არიან. მათ მიხედვით, სოციალური ანთროპოლოგია სოციალურ ურთიერთობებსა და სოციალურ სტრუქტურებს შეისწავლის, ხოლო „კულტურული ანთროპოლოგია“ (კულტურანთროპლოგია) ადამიანს განიხილავს, როგორც „მწარმოებელ არსებას“ („ჰომო ფაბერი“), ანუ, ანგლოსაქსური ტრადიციებიდან გამომდინარე, „იარაღის მკეთებელ არსებას“ („თულ მეიქერ“). ჩვეულებები, განწყობები, მსოფლმხედველობა და რწმენა ამ შემთხვევაში ინტელექტუალური ხასიათის „ტექნიკური საშუალებების“ სახით განიხილება, რომლებიც სოციალური ცხოვრების სამსახურში იმყოფებიან. სოციალური ანთროპოლოგიის შემთხვევაში წინა პლანზეა ადამიანი, როგორც სოციუმის, სოციალური ჯგუფის წევრი, რომელიც სხვებთან კომუნიკაციის უამრავი საშუალებითაა დაკავშირებული. დიურკემის ტერმინოლოგიით, კულტურანთროპლოგიური მიდგომა სოციალურ მოვლენებს შეისწავლის, როგორც ნივთებს, ხოლო სოციალურ-ანთროპოლოგიური, პირიქით, ნივთებს (ნაკეთობებს, იარაღებს, სარიტუალო დანიშნულების საგნებს) განიხილავს, როგორც სოციალურ მოვლენებს, ანუ მათ სოციალურ საზრისს შეისწავლის.

კულტურანთროპოლოგია მატერიალური კულტურის საგნებიდან ამოდის და იმ ფაქტების ანალიზამდე მიდის, რომელიც სოციალურ ცხოვრებას შესაძლებელს ხდის; სოციალური ანთროპოლოგიისათვის კი ამოსავალი თავად სოციალური ცხოვრებაა. მატერიალური კულტურის საგანი სოციალურ ანთროპოლოგიაში იმ ფუნქციას ასრულებს, რომლის გასაგებად აუცილებელია არა მარტო ისტორიული, გეოგრაფიული, მექანიკური ან ფიზიკურ-ქიმიური, არამედ სოციალური ფაქტორების გათვალისწინება. ფუნქციათა ერთობლიობა ახალ ცნებას, სტრუქტურას მოითხოვს. ამგვარად, სოციალური სტრუქტურების შესწავლა სოციალურ-ანთროპოლოგიური კვლევის მოუცილებელი ნაწილი გახდა, ხოლო სოციალურ-ანთროპოლოგიური სკოლა სოციოლოგიაში სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიმართულების (რომლის წარმომადგენლები სოციოლოგიის კორიფეები: ტალკოტ პარსონსი და რობერტ მერტონი არიან) წინამორბედად მოგვევლინა.

როგორც კულტურული, ისე სოციალური ანთროპლოგია ადამიანის შემეცნებისაკენ მიისწრაფვიან, ოღონდ ერთ შემთხვევაში ამოსავალია ადამიანის მიერ შექმნილი ნაკეთობები, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი წარმოდგენები, ამ ნაკეთობათა საზრისი და დანიშნულება; ამ შემთხვევაში კულტუროლოგიამ ანთროპოლოგია გეოგრაფიასთან და ისტორიასთან დააკავშირა, ხოლო ა'სრის სოციალურმა მიმართულებამ – სოციოლოგიასთან და ფსიქოლოგიასთან, ორივე მათგანი კი მჭიდრო კავშირშია ლინგვისტიკასთან. ასე წარმოიშვა ლინგვისტური ანთროპოლოგია, რამეთუ ენა არა მხოლოდ კულტურული მოვლენაა, არამედ სოციალური ცხოვრების შემკვრელი დვრიტაც.

დღეისათვის ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების სოციოლოგიის მიმართულების სამივე დონის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სასწავლო პროგრამების აუცილებელი მოთხოვნაა სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის სწავლება.

*შენიშვნა:


ტრობრიანის, ფიჯის კირიბატის, კუნძულები წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და პაპუა-ახალი გვინეის კუთვნილებაა.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები

„პოლიტიკა არსებობს ადამიანის გაჩენის შემდეგ და ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის შედეგი პოლიტიკისა. პოლიტიკა იმდენად მძლავრი მოვლენაა, რომ სატანასაც კი მან შთააგონა ღმერთის წინააღმდეგ აჯანყება.“

ალექსანდრე ამილახვარი

პოლიტოლოგია



სიტყვა „პოლიტოლოგია“ ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს. „პოლიტიკონ“ – საზოგადოებრიეს, „პოლისი“ – ქალაქ-სახელმწიფოს, „ლოგოს“ – მოძღერებას, სწავლებას ნიშნავს; სიტყვასიტყვით პოლიტოლოგია „პოლიტიკის შესახებ სწავლებას,“ ძველი ბერძნული ტრადიციიდან გამოდინარე, „პოლიტიკაზე საუბარს, სიტყვას“ ნიშნავს; აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მეცნიერების საგანია პოლიტიკა. მისი ძირები ძველ ბერძნულ და რომაულ სამყაროშია საძებნი, თუმცა როგორც მეცნიერულმა დისციპლინამ, მან საკუთარი თავი ამერიკაში, კერძოდ კოლუმბიის უნივერსიტეტში, გამოავლინა, სადაც 1857 წელს ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების კათედრა იქნა გახსნილი; 1872 წელს კი საფრანგეთში გაიხსნა პოლიტიკურ მეცნიერებათა პრივატული სკოლა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ მოხელეებსა და ჩინოვნიკებს ამზადებდა.

საბჭოთა კავშირში სოციოლოგიის მსგავსად პოლიტოლოგიაც აკრძალულ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ამიტომ მისი, როგორც დამოუკიდებელი სოციალური მეცნიერების, ისტორია ჩვენში საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებლობის მოპოვებას უკავშირდება. საბოლოოდ პოლიტოლოგია მეცნიერების სახით XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. საქართველოში იგი განვითარებისა და აღმავლობის გზაზე იმყოფება.

პოლიტოლოგია არის სოციალური მეცნიერება პოლიტიკის, პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკური ურთიერთობებისა და პროცესების, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების გზების, კანონზომიერებების, ფორმების, ორგანიზების, ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ.

პოლიტოლოგიის განსაზღვრის სირთულედ, ჩვეულებრივ, პოლიტიკის, როგორც მეცნიერების, ობიექტად მიჩნეულა განიხილება, რამდენადაც პოლიტიკა უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე, უნივერსალური ფენომენია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აღწევს. ამ აზრით, დასავლეთში პოლიტოლოგიას სოციოლოგიასთანაც კი აიგივებენ. მსგავსი მიდგომა არასწორია. პოლიტიკა და პოლიტიკური ცხოვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია; საზოგადოება უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკა, მისი სოლიდური და აქტუალური, მაგრამ ერთი ცალკეული მხარე, ამიტომ პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის გაიგივება შეცდომაა და მეტი არაფერი; სოციოლოგია იმ მთელის შესახებ (საზოგადოება) მეცნიერებაა, რომლის ცალკეულ ნაწილსაც (პოლიტიკა) პოლიტოლოგია შეისწავლის. პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის ურთიერთკავშირის გ'სით წარმოიშვა მეცნიერების ისეთი დარგები, როგორებიცაა: პოლიტიკური სოციოლოგია, ძალაუფლების სოციოლოგია, ბიუროკრატიის სოციოლოგია და სხვ.

ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან განასხვავებენ პოლიტოლოგიის ფართო და ვიწრო მნიშვნელობებს. ფართო მნიშვნელობით პოლიტოლოგია სხვადასხვა სახისა, დონისა და მასშტაბის ცოდნას გულისხმობს პოლიტიკის შესახებ, ვიწრო მნიშვნელობით კი პოლიტოლოგია არის მეცნიერება, რომლის პირდაპირი მოწოდებაა საზოგადოების პოლიტიკური სფეროსა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენების, ურთიერთობებისა და პროცესების შესწავლა. იგი შეისწავლის პოლიტიკურ შეხედულებებსა და თეორიებს, პოლიტიკურ ინტერესებსა და ძალებს, ინსტიტუტებსა (სახელმწიფო, ხელისუფლება, სამართალი და სხვ.) და ორგანიზაციებს (პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები, ბლოკები და სხვა), პოლიტიკურ სისტემებს, პოლიტიკურ კონფლიქტებს, პოლიტიკურ კულტურას და ა. შ. მის ფუნქციებს შორის მნიშვნელოვანია: თეორიულ-შემეცნებითი, მსოფლმხედველობრივი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, იდეურ-აღმზრდელობითი, პროგნოზისტული და სხვ.

საზოგადოების შესწავლა სრულყოფილი არ იქნება პოლიტიკური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინების გარეშე, ამიტომ თავის პროფესიულ საქმიანობაში სოციოლოგმა იგი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

სოციოლოგია პოლიტიკისადმი მიდგომით გამოირჩევა, ამიტომ მას აუცილებელი, ორგანული კავშირი აქვს პოლიტოლოგიასთან. დასავლეთში ამ ორ მეცნიერებას ერთმანეთთან აიგივებენ, უფრო სწორად, პოლიტოლოგიას სოციოლოგიის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ.

სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის კავშირი კარგად ჩანს პოლიტიკისადმი სოციოლოგიურ მიდგომაში. კერძოდ იმ საკითხების კვლევაში, რომელსაც სოციოლოგები ახორციელებენ. მაგალითად, სოციოლოგიური ინტერესის საგანია, თუ რატომ არ აკმაყოფილებენ ესა თუ ის პოლიტიკური სისტემები საზოგადოების წევრთა დიდი უმრავლესობის (განსაკუთრებით ღარიბების) მოთხოვნებს. შეიძლება დემოკრატიულად მიიჩნეოდეს საზოგადოება, რომლის წევრთა უმრავლესობა პოლიტიკური აპათიის გამო მონაწილეობას არ იღებს არჩევნებში და ა. შ.

სოციოლოგიისათვის პოლიტიკა და პოლიტიკური პროცესები სოციალური განზომილების ნაწილია, შესაბამისად, სოციოლოგიური თვალსაზრისით პოლიტიკა — ეს არის სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ძალაუფლებას ანაწილებს საზოგადოებაში და მისი განეითარების გზებს სახავს და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც იღებს. ამიტომ სოციოლოგიური თვალსაზრისით აქტუალურია ძალაუფლებისა და პოლიტიკური პროცესების ტრანსფორმაციისა და სხვა საკითხების კვლევა, რომლის დროსაც სოციოლოგია პოლიტოლოგიის მონაცემებს ითვალისწინებს.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ჯენი თეიჩმანისა და ქეთრინ ევანსის წიგნიდან „ფილოსოფია“

პოლიტიკური თავისუფლება, როგორც წარმომადგენლობითი მართვა

„... თავისუფლების ძიებანი ხშირად იღებენ სიტყვიერი ომის, ხოლო ზოგჯერ ნამდვილი შეიარაღებული ბრძოლის ფორმას მონარქის ან დიქტატორის ძალაუფლების წინააღმდეგ. მონარქის ან დიქტატორის ძალაუფლება ისწრაფვოდა, რომ მათი ქვეშევრდომები აღწევდნენ ერთგვარ წარმომადგენლობას ძალაუფლებაში. ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, ხალხის წარმომადგენლობის გაღიდება ნიშნავს სუვერენის ძალაუფლების შემცირებას. ასეთია ის მისწრაფება, რომლითაც პოლიტიკური წარმომადგენლობა თავისუფლების ასოციაციის იწვევს.

ყოველგვარი მთავრობა სწრაფავს, მეტ-ნაკლებად, თავის ქვეშევრდომებს, მაგრამ თავისუფლება, სხვა თანაბარ პირობებში, უკეთესია შესწრაფვებთან შედარებით.

მართვის როგორი ფორმა უზრუნველყოფს ყველაზე მეტ თავისუფლებას? ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადამიანები, რომლებიც მართავენ თავის თავს, უზრუნველყოფენ

საკუთარი თავისუფლების მაქსიმუმს, ანუ ცხოერების სხვა უკეთეს პირობებს, სამოქალაქო მშვიდობას.

მაგრამ რა არის თვითმმართველობა? შეიძლება თუ არა მის დამაკმაყოფილებელ ფორმად ჩაითვალოს საპარლამენტო მმართველობა? – არა. აქ ბეური რამ დამოკიდებულია იმათზე, ვინც პარლამენტში სხედან. ასეთია წარმომადგენლობითი მმართველობა? – არა. ეს დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, მმართველობის ორგანოებში წარმოდგენილია მთელი ხალხი თუ მისი გარკვეული ნაწილი. ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, ნებადართულია თუ არა პოლიტიკური პარტიები, საკმაოდ სამართლიანია თუ სრულიად უსამართლოა საარჩევნო სისტემა, იმაზე, რამდენად შეუძლიათ მოახდინონ კენჭისყრის შედეგების ფალსიფიკაცია ან განახორციელონ სხვა უპატიოსნო მანიპულაციები საარჩევნო სისტემაში. ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ იგი გარკვეული ჯგუფების, მაგალითად, შეიარაღებული ძალების, უცხოელი კომუნისტების ან ინვესტორი კაპიტალისტების ინტერესთა საფარველია.

დემოკრატიაზე რაღა ითქმის? დიდ საზოგადოებაში პირდაპირი დემოკრატია, როცა თითოეული მოქალაქე ხმას აძლევს თითოეულ პოლიტიკურ პრობლემას, თითქმის შეუძლებელია. როგორც ჩანს, თავისუფლების იდეალს თვითმმართველობის მეშვეობით თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოში არ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი დემოკრატიის ფორმა. ამ იდეალს ყველაზე მეტად მიუდგება წარმომადგენლობითი მმართველობა, რომელიც ითვალისწინებს რეგულარულ არჩევნებს, სადაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თითოეულმა მოზრდილმა ადამიანმა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პოლიტიკურ პარტიას და დამოუკიდებელ პოლიტიკოსებს, ამასთან გამორიცხულია კენჭისყრის შედეგების ყოველგვარი ფალსიფიკაცია.

ამბობენ, ათენის ქალაქ-სახელმწიფო დემოკრატიული იყოო, ამ სიტყვის საკუთრივი გაგებით, რომელსაც მართლაც ნიშნავდნენ უშუალოდ მოქალაქენი, მაგრამ ფართოდ არის ცნობილი, რომ ათენის მოქალაქეებად ითვლებოდნენ მხოლოდ თავისუფალი მოზრდილი მამაკაცები; ცნობილია ისიც, რომ ეკონომიკა იქ მონობას ემყარებოდა. სინამდვილეში ათენში არ იყო დემოკრატია. ამ ქალაქში ხორციელდებოდა არა არჩევითი წარმომადგენლობითი მმართველობა, ე. ი. ხალხის წარმომადგენლებად გამოდიოდნენ მოზრდილი მამაკაცები, რომლებიც კანონებს ადგენდნენ არა მარტო თავიანთთვის, არამედ დანარჩენ მოქალაქეთათვისაც...“

დაეალება:

– თქვენი აზრით, პოლიტიკური მმართველობის რომელი ფორმაა საუკეთესო და რატომ?

– პოლიტიკური თავისუფლების გარდა კიდევ რა სახის თავისუფლებაზე შეგიძლიათ ლაპარაკი?

სოციოლოგიის მონათესაეე დისციპლინები
ეკონომიკა



საზოგადოების არსებობა დიდწილად ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოებასთანაა დაკავშირებული, წარმოება კი შრომის გარეშე არ არსებობს. ფართო მნიშვნელობით, წარმოებაში მოიაზრება არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესი, არამედ მთლიანი სისტემა, რომლის ელემენტებია განაწილება, გაცვლა და მოხმარება, წარმოებული პროდუქტის მოძრაობა ინდივიდუალურ მიმთვისებამდე. ამ ყოველივეს საკუთარი კანონზომიერება გააჩნია, რომელსაც ცალკე მეცნიერება შესწავლის. გარდა ამისა, თანამედროვე გაგებით, საზოგადოებაზე საუბარს სოციოლოგიის კლასიკოსები (მაგალითად, დიურკემი) შრომის, წარმოების საზოგადოებრივ დანაწილებას უკავშირებდნენ. ორგანიზმის მსგავსად, სადაც უჯრედების გამრავლება მათ შორის ფუნქციების განაწილებას იწვევს, საზოგადოებაში მის წევრთა რაოდენობის ზრდას შედეგად ადამიანთა დიფერენციაცია და სპეციალიზაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მის წევრთა შორის სოლიდარობის ზრდა მოჰყვება. დიურკემის მიხედვით, ეს არის ის პრინციპი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას უდევს საფუძვლად. დიურკემი ეკონომისტი არ იყო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ეკონომიკის გარეშე საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია.

ეკონომიკა ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს. „ოიკოს" – სახლს, ხოლო „ნომოს" – კანონს ნიშნავს. სიტყვასიტყვით „სახლის ანუ მეურნეობის წარმართვის კანონს" ნიშნავს. იგი საზოგადოების საწარმოო მოქმედებასთან და, საერთოდ, იმ ურთიერთობებთან არის დაკავშირებული, რომლებიც წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესში წარმოიშობა.

თავდაპირველად ტერმინი არისტოტელესთან გვხვდება ძვ. წ. IV საუკუნეში. არისტოტელე ეკონომიკას „ბუნებრივ მეცნიერებას" უწოდებდა და მას „ქრემატისტიკას" (ადამიანური მოქმედების სფერო, რომელიც სარგებლიანობის მიღწევას ისახავს მიზნად) უპირისპირებდა.

ამჟამად ეკონომიკაში მოიაზრება: ა) მატერიალური და ადამიანური რესურსების რაციონალური მართვა წარმოების პროცესში; ბ) მატერიალური დოვლათის წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური ინსტიტუტების მთელი სისტემა; გ) ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მწირი რესურსებისათვის კონკურენციის, მათი წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესებს, წესებსა და კანონებს.

როდესაც სოციოლოგი აღწერს, თუ რა როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი უსათუოდ ეკონომიკური მეცნიერების მონაცემებს უნდა დაეყრდნოს ანდა, როდესაც სოციოლოგი სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობას აანალიზებს, იგი ეკონომიკურ კანონზომიერებებს ითვალისწინებს აუცილებლად. მათი ცოდნის გარეშე არ შეიძლება სრულყოფილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენების არსი, რადგანაც ეკონომიკურის გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია. თავის მხრივ, ეკონომიკური მოვლენების არსი გაუგებარი იქნება, თუკი სოციალურის კანონზომიერებები არ ეცოდინება, ამიტომ სოციოლოგია და ეკონომიკა ორგანულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან და სოციალურ მეცნიერებათა ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. ამ მეცნიერებათა სინთეზის გასით არის შექმნილი მეცნიერების ისეთი დარგი, როგორიცაა სოციალური ეკონომიკა და ეკონომიკური სოციოლოგია. სოციალური ეკონომიკა ეკონომიკის ისეთი მიმართულებაა, რომელიც მთლიანად

სოციუმზეა ორიენტირებული, ამიტომაც მას თანამედროვე, ციეილიზებული სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მეცნიერებად მიიჩნევენ.

ეკონომიკური სოციოლოგია

ეკონომიკური სოციოლოგია საზოგადოების ეკონომიკურ პროცესებს სოციალური თეორიების პრიზმაში განიხილავს. იგი სოციალური სინამდვილის ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს შორის კავშირ-ურთიერთობას იკვლევს.

ეკონომიკური სოციოლოგია ტრადიციული ეკონომიკური თეორიის მიერ წარმოდგენილი ადამიანის მოდელისაკენ, ანუ „ჰომო ეკონომიკუსისაკენ" იხრება. ეს ადამიანის განსაკუთრებული ტიპია, რომელსაც ახასიათებს ეგოიზმი და სხვებისაგან დისტანცია, ის ძალზე რაციონალური და ამასთანავე ინფორმირებულია; მოქმედებს ისე, როგორც მანქანა, და ეკონომიკური ინტერესების ლოგიკას ექვემდებარება მხოლოდ. იგი დაცლილია ყოველგვარი სენტიმენტალიზმისა და რომანტიზმისაგან; მისთვის მშვენიერია ის, რაც მომგებიანია; მისი სტრატეგია თანამიმდევრული და რეფლექსური მოქმედებაა, რომლის მიზანი საკუთარ მომავალზე ზრუნვაა. ამასთანავე ის ჩართულია ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობათა ძალზე დახლართულ ქსელში, ხელმძღვანელის ან დაქვემდებარებაში მყოფი პირის სახით შედის სხვადასხვა ორგანიზაციებში, მოქმედებს სოციალურ ჯგუფში, მიეკუთვნება ლოკალურ და ნაციონალურ ერთობებს და სხვა (ადამიანის ეს ტიპი „ჰომო ფაბერში" აქვს აღწერილი მაქს ფრიშს). ადამიანის ასეთი მოდელი დაიწუნა მაქს ვებერმა. თანამედროვე ეკონომიკურმა სოციოლოგიამ თავისუფალი ბაზრების დომინანტურობით თითქოსდა მონახა გამოსავალი, მაგრამ ჩვენ კვლავ თანამედროვე კაპიტალიზმის დაუნდობლობის მოწმე ვართ.

ეკონომიკური სოციოლოგია გაჩნდა, როგორც ეკონომიკური მოვლენების ახლებური ხედვა. ხედვის სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა ახსნილიყო, თუ რა როლს ასრულებდნენ ეკონომიკური სტრუქტურები და ინსტიტუტები საზოგადოებაზე და, პირიქით, საზოგადოების გავლენა ეკონომიკურ სტრუქტურებზე. ასე ჩამოყალიბდა კლასიკური ეკონომიკური სოციოლოგიის ძირითადი მიმართულება: კაპიტალიზმისა და თანამედროვე საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა. ამგვარი კვლევის მაგალითია სოციოლოგიის კლასიკოსების – მაქს ვებერის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" და გეორგ ზიმელის „ფულის ფილოსოფია." თუმცა ეკონომიკური სოციოლოგიის საფუძვლად ალექსის დე ტოკვილის ნაშრომი „დემოკრატია ამერიკაში" (1835-1840 წწ.) მიიჩნევა. ეკონომიკური სოციოლოგიის აღიარებული ყველაზე დიდი კლასიკოსი კი კარლ მარქსია. მარქსთან ერთად მას წარმოადგენენ ვერნერ ზომბარტი, იოზეფ შუმპეტერი და სხვები.

კლასიკური ეკონომიკური სოციოლოგიის მიხედვით, ეკონომიკა თანამედროვე საზოგადოების აუტონომიური სფეროა, რომელშიც ტრანსაქციების ხასიათს რაციონალური კალკულაცია განაპირობებს და ის არაეკონომიკურ ცვლადებს (რელიგია, პოლიტიკა, განათლება და სხვ.) ნაკლებად ექვემდებარება. ეკონომიკაზე არაეკონომიკური ცვლადების გავლენა და ზემოქმედება ყველაზე კარგად მაქს ვებერმა შეისწავლა.

ეკონომიკური და სხვა სოციალური ინსტიტუტების ურთიერთადმოკიდებულების კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების ტალკოტ პარსონსისა და ნეილ სმელზერის შრომებმა.

თანამედროვე ეკონომიკური სოციოლოგია შეისწავლის კულტურასთან, პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებთან ეკონომიკური, საფინანსო და ბიზნეს-ორგანიზაციების კავშირ-მიმართებებს, გიგანტური კორპორაციების გავლენას საზოგადოებაზე, მოსახლეობის ყოველდღიურ ეკონომიკურ ქცევაზე და სხვ.

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ეკონომიკური სოციოლოგიის წიაღიდან აღმოცენდნენ ისეთი დარგები, როგორებიცაა: ინდუსტრიული სოციოლოგია, შრომის ბაზრის სოციოლოგია, მოხმარების სოციოლოგია, თავისუფალი დროის სოციოლოგია, რომელთაც ცოტა მოგვიანებით დაემატა საბაზრო ეკონომიკის სოციოლოგია, ბიზნესის სოციოლოგია და სხვა. ამ მიმართულებით ულტრათანამედროვე დარგებია: რაციონალური არჩევანის სოციოლოგია, რომელიც სოციალურ გაცვლასა და რაციონალური არჩევანის ეკონომიკურ თეორიას ემყარება (ჯ. ჰომანსი და ჯ. კოულმანი) და ქსელური სოციოლოგია (სოციოლოგიის ამ მიმართულებებსა და თეორიებს სტუდენტები „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების" კურსში გაეცნობიან).

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები

დემოგრაფია



დემოგრაფია ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს: „დემოს“ – ხალხი და „გრაფო“ – ვწერ, სიტყვასიტყვით – ხალხთაღწერა. ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის კელაცწარმოებას, მის რიცხოვნობას, დამოკიდებულებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან და ბუნებრივ პირობებთან; იგი სწავლობს მიგრაციებსა და მიგრაციულ პროცესებს, მოსახლეობის განლაგებასა და შემადგენლობას; ყველა იმ ცვლილებას, რომელსაც მოსახლეობა განიცდის, და აანალიზებს ამ ცვლილებათა მიზეზებსა და შედეგებს როგორც ლოკალური, ასევე გლობალური მასშტაბით. იძლევა სასარგებლო რეკომენდაციებს დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც წესი, მოსახლეობის აღწერას დემოგრაფები აკეთებენ ხოლმე. მათ მიერ ჩატარებული კვლევები ფასდაუდებელია სახელმწიფოს მიერ დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, შრომითი რესურსების პროექტირებაში და სხვ.

ტერმინი „დემოგრაფია“ 1855 წელს გაჩნდა, როგორც ფრანგი სწავლულის ა. გიიარის წიგნის სახელწოდება („ადამიანის სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“). იგი „დემოგრაფიას“ ფართო მნიშვნელობით მოიაზრებდა, როგორც „ადამიანური მოდგმის ბუნებრივ და სოციალურ ისტორიას.“ თუმცა დემოგრაფიის ძირები უფრო შორს – ათასწლეულების მიღმა – ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშია საძებნი. იგი უკავშირდება კონფუცის, პლატონისა და არისტოტელეს სახელებს, მაგრამ მეცნიერული ცოდნის სახე ახალ დროში მიიღო. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დემოგრაფიის როლის საკითხი განსაკუთრებული მსჯელობის საგანი XIX საუკუნეში გახდა. ამ დროიდან მოყოლებული დემოგრაფიის შესწავლის საგნად შობადობა და სიკვდილიანობა იქცა. დემოგრაფიის შიგნით გამოიყო დემოგრაფიული სტატისტიკა და დემოგრაფიული დინამიკა (მოსახლეობის მოძრაობა).

დღეს დემოგრაფიას თავისი მკვეთრად გამოხატული კვლევის საგანი აქვს – ეს არის მოსახლეობა. იგი მოსახლეობის რაოდენობას, მის ტერიტორიულ განლაგებასა და შემადგენლობას და მასზე სოციალური, ეკონომიკური, ბიოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორების გავლენას შეისწავლის. უმარტივესი დემოგრაფიული ერთეულია ადამიანი, რომელიც მთელ რიგ ნიშან-თვისებათა – სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, დასაქმების სფეროს, ეროვნების, მოქალაქეობისა და ა. შ. – მატარებელია. მათ დემოგრაფიულ მახასიათებლებს უწოდებენ. ამ ნიშან-თვისებათაგან ბევრი ცვალებადობას განიცდის, რაც ასევე მოსახლეობის ცვალებადობას გულისხმობს, რასაც საბოლოოდ მოსახლეობის დინამიკასთან მივყავართ. მოსახლეობის მოძრაობას დემოგრაფები სამ ჯგუფად ყოფენ: ბუნებრივი – გულისხმობს ქორწინებას, განქორწინებას, სიკვდილიანობას; მიგრაციული – მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებას გულისხმობს, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მოსახლეობის სიმჭიდროვეს, განსახლებას, სეზონურ გადაადგილებას და სხვ. სოციალური – ერთი ჯგუფიდან მეორეში ადამიანთა გადასვლას გულისხმობს. ის დიდად განაპირობებს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის კვლავწარმოებას.

მთელ რიგ მეთოდებს შორის, რომელსაც დემოგრაფია იყენებს, აღსანიშნავია მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი, მათემატიკური მოდელირება და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. ხალხთმოსახლეობის შესახებ დემოგრაფიული ცოდნის სიღრმის ხელს უწყობს მისი კავშირი ისეთ მეცნიერებებთან, როგორებიცაა: სოციოლოგია, ეკონომიკა, ეთნოგრაფია, მოსახლეობის გეოგრაფია, სოციალური ჰიგიენა, სამართალმცოდნეობა; ამ მეცნიერებებთან დემოგრაფიის კავშირის შედეგად სოციალურ მეცნიერებაში მთელი რიგი ახალი დარგები გაჩნდა. მათ შორის აღსანიშნავია სოციალური დემოგრაფია.

სოციალური დემოგრაფია ხალხთმოსახლეობის სოციალური ფაქტორების შემსწავლელი დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინაა. იგი ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორებისა და პირობების შესაბამისად მოსახლეობის რიცხოვნობას, ხალხთმოსახლეობას, მოსახლეობის სტრუქტურას, მიგრაციასა და სხვა დემოგრაფიულ მოვლენათა სოციალურ კანონზომიერებას შეისწავლის, აანალიზებს დემოგრაფიულ პრობლემას და ეძებს მისი გადაჭრის ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი გლობალური დემოგრაფიული პრობლემების შესწავლაში. პირველ რიგში საყურადღებოა მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. თუკი ადრე მსოფლიო მოსახლეობის გაორკეცებას ათეული საუკუნეები სჭირდებოდა, ამჟამად ამისათვის ოროიდე ათეული წელია საჭირო, ეს კი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემას ქმნის. გარდა ამისა, საყურადღებოა თანამედროვე ურბანიზაციული პროცესების (ურბანიზაცია სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის დაჩქარებულ ზრდას ნიშნავს) გათვალისწინება, ადამიანთა უსარმაზარი მასების თავმოყრა მსოფლიოს დიდ ქალაქებში და სხვ.

გლობალურად ითვლება პრობლემა, რომელიც მთელ კაცობრიობას ემუქრება და სერიოზულ საშიშროებას უქმნის მის აწმყოსა და მომავალს. შესაბამისად, მისი გადაწყვეტისათვის მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო.

აღსანიშნავია აგრეთვე მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პრობლემები (მოსახლეობის შედგენილობას დემოგრაფიული სტრუქტურა ჰქვია); თუ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რაოდენობრივ ცვლილებებს ასახავს, მისი შედგენილობის შესწავლა თვისებრივ მახასიათებლებზე წარმოდგენას იძლევა. დემოგრაფიული მახასიათებლებით განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია სიკვდილიანობა და მცირეა შობადობა, ხანდაზმულთა რაოდენობა დიდია; საქართველოში მოსახლეობის რაოდენობაზე და მის სტრუქტურაზე თავის დროზე უარყოფითი გავლენა იქონია II მსოფლიო ომმა, რუსეთ-საქართველოს ომმა, რომელსაც შედეგად აფხაზეთისა და სამაჩაბლოში მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფული შემცირება მოჰყვა და ა. შ. სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება დასაქმება და უმუშევრობა, მოსახლეობის მიგრაციები და ა. შ.

დემოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში

სოციოლოგიაში დემოგრაფიული მიმართულების წარმომადგენლები საზოგადოებრივ ცხოვრებას და მასში მიმდინარე მთელ რიგ სოციალურ ფაქტებსა და პროცესებს დემოგრაფიული კანონზომიერებით ხსნიან. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ დემოგრაფიულ ფაქტორს საზოგადოებაში. სინამდვილეში დემოგრაფიული ფაქტორი (მოსახლეობა) საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია; საზოგადოების არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ საზოგადოებაში მიმდინარე მრავალფეროვანი სოციალური პროცესები მხოლოდ ამ ერთ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული. დემოგრაფიული მიმართულების დადებითი მხარეა ის, რომ იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებს საზოგადოების დემოგრაფიულ მახასიათებლებს და დემოგრაფიულ კანონზომიერებას, რომელიც საზოგადოებას ახასიათებს, მაგრამ მთელი საზოგადოების მხოლოდ დემოგრაფიული კანონებით ახსნა მისი სერიოზული ნაკლოვანებაა. დემოგრაფიული მახასიათებლები საზოგადოების ერთ-ერთი ცალკეული მხარეა მხოლოდ.



თომას რობერტ მალთუსი (1766-1834)

დემოგრაფიული მიმართულების ტიპური წარმომადგენელია ინგლისელი მღვდელი, სწავლული, დემოგრაფი და ეკონომისტი თომას რობერტ მალთუსი.

მალთუსმა თავისი ცნობილი დოქტრინა ჩამოაყალიბა წიგნში: „მოსახლეობის კანონის ცდა.“ ეს მოსახლეობის ე. წ. ზეისტორიული კანონია, რომლის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით,

ხოლო ამ მოსახლეობის არსებობის საშუალებები არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. ეს ქმნის წინააღმდეგობას საზოგადოების განვითარებაში, ამიტომ საჭიროა მოსახლეობის არაეკონომიკურად უზრუნველყოფილი ნაწილის რაოდენობის ზრდის შეზღუდვა, შენელება. მაგალითად, ქორწინების რეგლამენტაციით, შობადობის რეგულირებით ანდა სულაც ომებით. თუმცა მალთუსის დემოგრაფიული კელეციის მეთოდოლოგია თანამედროვე დემოგრაფების მიერ დაწუნებულია, მაგრამ მისი ეს დოქტრინა გარკვეულწილად ეხმიანება თანამედროვეობას, კერძოდ, დღეს მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა დემოგრაფიული – მოსახლეობის ზრდის რეგულირების პრობლემა. ნეომალთუსიანელების აზრით კი, ამ პრობლემის გადწყვეტა ომის გზითაა შესაძლებელი, რაც ამ მეცნიერების ჰუმანურობას ეჭვქვეშ აყენებს. თავისი დემოგრაფიული შეხედულებების გამო მალთუსს სოციოლოგადაც კი მიიჩნევენ, რაც არასწორია. თანამედროვე გაგებით, იგი არ იყო სოციოლოგი.

დემოგრაფიული მიდგომა სოციოლოგიაში

მთელი რიგი სოციალური ფაქტებისა და მოვლენების შესასწავლად სოციოლოგების მიერ გამოყენებულ მიდგომებს შორის ერთ-ერთი უპირველესია დემოგრაფიული მიდგომა. ხედვის ეს ტიპი დემოგრაფიულ მახასიათებლებს საზოგადოებაში ადამიანთა მოქმედებას უკავშირებს, რაც საზოგადოების სოციოდემოგრაფიულ ანალიზს ნიშნავს. ამერიკელი სოციოლოგის ნეილ სმელზერის მიხედვით, დემოგრაფიული ხედვის შედეგად ირკვევა, რომ მესამე სამყაროს ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზები დიდწილად დემოგრაფიული ფაქტორებითაა განპირობებული, რადგანაც მათი რესურსების უდიდესი ნაწილი მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობის სურსათით უზრუნველყოფას ხმარდება (სხვა ტიპის სოციოლოგიური მიდგომებია: ფსიქოლოგიური, ჯგუფური ანუ კოლექტივისტური; ურთიერთზემოქმედებისა და კულტუროლოგიური).

„მოსახლეობის მიგრაციის შესახებ“

„არ უნდა დაგვაეიწყდეს, რომ ნებისმიერი ერის კეთილდღეობა და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძალუძს მას წონასწორობის დაცვა სულიერსა და ბუნებისმიერ საწყისებს, გონებრიესა და ფიზიკურ ცხოერებას შორის. იმისათვის, რომ მაღალ სულიერ დონემდე აღზეეებული ეროვნება არ დაბერდეს, საჭირო რაოდენობა მოსახლეობისა ნიადაგ უნდა იდგეს მისი გაახალგაზრდავებისა და განახლების სათავეებთან, მძიმე საყოფაცხოერებო პირობებშიც არ წყვეტდეს კონტაქტს ბუნებასთან, მიწასთან და აღნიშნული ფუნქციის დაურღეეელად პერიოდულად ანახლებდეს ინტელექტუალური ცხოერების სფეროს...

სულიერ საფუძველზე აღმოცენებული დემოგრაფიული პოლიტიკა – ესაა სელა არა ძნელიდან იოლისა და ხელსაყრელისაკენ, არამედ, პირიქით, ხელსაყრელიდან ძნელისაკენ ამ ძნელის ხელსაყრელად ქცეეისათვის. ესაა გარდამქმნელი ფაუსტური პოლიტიკა ...“

ნაწყვეტი მერაბ კოსტაეას წერილიდან

დაეალება:

– მოამზადეთ თემა და მოიძიეთ მასალები სლაიდ-შოუსათვის: „ჩემი ქალაქის, რაიონის, სოფლის დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.“

– მოიძიეთ გლობალური დემოგრაფიული პრობლემების ამსახველი სხვადასხვა სახის ეიზუალური მასალა და ჯგუფთან ერთად გააკეთეთ მათი პრეზენტაცია და ინტერპრეტაცია.

– გამართეთ დისკუსია დემოგრაფიული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

– შეეცადეთ გააკეთოთ თქვენი ქალაქის, სოფლის ან რაიონის დემოგრაფიული სურათი და ჯგუთან ერთად გააანალიზოთ იგი.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



სოციობიოლოგია

„სოციობიოლოგია“ მომდინარეობს სიტყვიდან – „სოციო“ – საზოგადოება და „ბიოლოგია“ – სიცოცხლის შესახებ მოძღვრება. იგი მრავალი სხვადასხვა მეცნიერების სინთეზის გზით ჩამოყალიბებული დისციპლინათაშორისი მეცნიერებაა. ის ცოცხალ არსებათა ქცევის ახსნას ბიოლოგიურ, ეთოლუციონისტურ კანონზომიერებათა საფუძველზე ცდილობს. სოციობიოლოგია ბიოლოგიისა და სოციოლოგიის შეილობილი მეცნიერებაა, ამიტომ მისი კელევის არეალი ისეთ სფეროებს მოიცავს, როგორიცაა: ეთოლუციონისტური თეორია, ზოოლოგია, გენეტიკა, არქეოლოგია და სხვ. სოციალურ მეცნიერებათა სფეროში იგი ახლოსაა სოციოლოგიასთან (ბიოლოგიზმი, სოციალური დარვინიზმი და სხვ.), ეთოლუციონისტურ ფსიქოლოგიასა და ქცევის ფსიქოლოგიასთან.

XX საუკუნის II ნახევარში იგი ერთ-ერთი ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივი დისციპლინა გახდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1975 წელს ენტომოლოგმა (ენტომოლოგია – მწერების შემსწავლელი მეცნიერება) ედუარდ უილსონმა დაწერა წიგნი: „სოციობიოლოგია: ახალი სინთეზი,“ რომელშიც იგი ეთოლუციონისტური მექანიზმების გამოყენებით ცდილობდა ცხოველთა (ძირითადად ჭიანჭველების) ისეთი სოციალური ქცევა აეხსნა, როგორიცაა ალტრუიზმი, აგრესია და სხვ. ადამიანებს ამ წიგნის მხოლოდ უკანასკნელი თავიღა შეეხებოდა. მოგვიანებით მან ეს ხარვეზი შეავსო და დაწერა წიგნი სახელწოდებით: „სოციობიოლოგია ადამიანთა ქცევის შესახებ“, რომელმაც მას დიდი აღიარება მოუტანა.

ედუარდ უილსონის სოციობიოლოგიური თეორიის ამოსავალია დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანის ქცევა საზოგადოებაში გენეტიკური (ბიოლოგიური) და კულტურული ეთოლუციით არის განპირობებული, კაცობრიობის განცალკევება კი ბუნებრივი გადარჩევის გზით ინდივიდუალურ, სქესობრივ და ჯგუფურ დონეზე მიმდინარეობს; ამ თეორიის მიმდევრები არიან: რობერტ ტრივერსი, რიჩარდ დოკინზი, ჯორჯ უილიამსი, ჯონზეფ ლოპრეტაო და სხვები.

სოციობიოლოგიას თავისი კრიტიკოსებიც ჰყავს (მაგალითად, რიჩარდ ლევონტინი და სტივენ ჯეი გულდი). კრიტიკა ძირითადად ეხება იმას, რომ სოციობიოლოგია სოციალური დარვინიზმის აღორძინებას ცდილობს; ზოგჯერ მას ბიოსოციოლოგიადაც მოიხსენიებენ, რაც, საბოლოო ჯამში, არაკორექტულია და მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკაში არ არის მიღებული.



ბიოლოგისტური მიმართულება სოციოლოგიაში

ბიოლოგისტური მიმართულება თანამედროვე სოციობიოლოგიასთან ნაკლებად არის დაკავშირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სოციოლოგიაში იგი ცალკე მიმართულების სახით ჩამოყალიბდა. უფრო ხშირად მას ნატურალისტური სოციოლოგიის სახელით მოიხსენიებენ. იგი არსებითად მატერიალისტური კონცეფციაა, რომელიც ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობისათვის ადგილს არ ტოვებს. მისი ჩამოყალიბება და განვითარება XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ევროპაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების შედეგად მოხდა. იგი ორი ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი: ორგანიციზმი და სოციალური დარვინიზმი.

ბიოლოგისტური მიმართულების ფუძემდებლად ჰერბერტ სპენსერი მიიჩნევა. მის მიხედვით, საზოგადოება ორგანულ სამყაროსია დაშენებული, ამიტომ მის განვითარებას თან სდევს ორგანული სამყაროს განვითარების კანონები. შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზმებს ბიოლოგიური ორგანიზმების კანონზომიერებანი განაგებენ. სპენსერს ეკუთვნის გამოთქმა „საზოგადოება ორგანიზმია!" ბიოლოგიური ორგანიზმებისათვის აუცილებელია ქსელების ორგანოები (კუჭი, ღვიძლი, ნაწლავები და ა. შ.), მართვის ორგანოები (ტვინი, ნერვული სისტემა) და სისხლის მიმოქცევის ორგანოები (გული, სისხლძარღვები); არც საზოგადოება არსებობს ორგანოთა ამ სისტემის გარეშე: საზოგადოებისათვის აუცილებელია ქსელება, მართვა და განაწილება, რასაც მრეწველობა, მართვა და ვაჭრობა შეესაბამება. სპენსერის მიხედვით, იდენტურია ცოცხალი ორგანიზმისა და საზოგადოების ორგანიზაციის პრინციპები, სტრუქტურა და სტრუქტურული ელემენტების ფუნქციონალური დატვირთვა და სხვ. სპენსერის მიმდევრებმა ხელუხლებლად დატოვეს ცოცხალი ორგანიზმისა და საზოგადოების იგივეობის პრინციპი და ახალი არგუმენტებით გაამყარეს იგი (სპენსერის სოციოლოგიურ კონცეფციას სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები „კლასიკური სოციოლოგიური თეორიების კურსში" ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან).

სპენსერის მიმდევართაგან პ. ჯონ დილიენფელდმა ცალკეული ინდივიდები ცხოველური ორგანიზმის უჯრედებს შეადარა, ორგანოები კი — ოჯახს, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ (ანტიმეტრიულად) განლაგებული ნაწილები კი — ცვარებს, ერთმანეთის შემდეგ განლაგებული ორგანოები — ტომებს, ხოლო საზოგადოების ინტეგრაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა კაპიტალიზმი, ცხოველთა სამყაროსათვის უცხოდ მიიჩნია. დილიენფელდმა აღმოაჩინა, რომ საზოგადოებისა და ორგანიზმის იგივეობა პათოლოგიის განხრითაც დასტურდება. დაავადებული ეკონომიკა მან გონებასისუსტეს, დასნებოვნებული სამართალი — სიცივეს, ხოლო დაავადებული პოლიტიკა დამბლას შეადარა.

სპენსერის მეორე მიმდევარმა ა. შეფლემ საზოგადოების დამკვეთი სტრუქტურების ანალოგი ცხოველებშიც იპოვა ჯაჭვის სახით; ადამიანთა თანდაპირველი გაერთიანებები

და ცხოველთა პომოგენური საზოგადოებების (ფრინველთა გუნდი, ირმების ჯოგი და სხვ.) ფსიქიკური ბუნება მან ერთ-ერთმა პირველმა გააანალიზა და იმ დასკვნამდე მიეიდა, რომ ორივე მათგანისათვის იდენტური ფსიქიკური პროცესებია დამახასიათებელი;

სპენსერიანელი ა. ფულიე საზოგადოებრივი ორგანიზმისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების შერიგებას შეეცადა. ამ გზით მან „ხელშეკრულებითი ორგანიზმის ცნება“ შემოიტანა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების (კონტრაქტის) თეორიის ავტორები არიან ჟან-ჟაკ რუსო და თომას ჰობსი. ეს ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე ადამიანთა გადასვლას გულისხმობს. მის მიხედვით, ადამიანებმა განსაზღვრეს პირობები, რომლის თანახმადაც ისინი მზადყოფნას გამოხატავენ ერთობლივი თანაცხოვრებისა და ხელისუფლების მორჩილებისათვის. საზოგადოებრივი ხელშეკრულება ადამიანებს შორის უშუალოდ დადებული კონტრაქტია. იგი სოციალური წესრიგის გარანტს წარმოადგენს. დღეს მასში პოლიტიკური ვალდებულებების საზღვრების მონიშვნა იგულისხმება, რომელსაც საზოგადოების წევრები ემორჩილებიან.

იდეალური საზოგადოება, ფულიეს მიხედვით, ხელშეკრულებითი ორგანიზმია, რომელშიც საზოგადოებრივი ინტერესები ინდივიდუალურ ინტერესებს ემთხვევა.

ბიოლოგისტური მიმართულების წარმომადგენელმა რ. ეორმსმა კი საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებაზე მიუთითა. თვისებრივად კი ისინი იდენტურად მიიჩნია. ეორმსი საინტერესოა იმით, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მიანიშნა საზოგადოების დარღვეულ ნაწილთა ჰარმონიის აღდგენაზე და ამით სოციალური თერაპიის ცნება შემოიტანა. სოციოლოგია მართლაც რომ სოციალურ თერაპიას ეწევა საზოგადოებასთან მიმართებაში. სოციალური თერაპიის საჭიროება კი სოციალური პათოლოგიების არსებობიდან მომდინარეობს; სოციალური ჰიგიენისა და სოციალური თერაპიის შესახებ ეორმსის მოსაზრებებმა დიდი სასიკეთო გავლენა მოახდინეს სოციოლოგიის შესახებ დადებითი აზრის ფორმირებაზე. ეორმსმა საზოგადოების გაჯანსაღება სოციოლოგიის უმთავრეს ამოცანად მიიჩნია.

ბიოლოგისტური მიმართულების მეორე ფრთის – სოციალური დარვინიზმის ცნობილი წარმომადგენლები არიან: ლ. გუმპლოვიჩი, ლ. ჟოლტმანი, უ. ლიაპუჟი და სხვები. ისინი ბიოლოგიური სამყაროს კანონზომიერებებს მექანიკურად აერცელებდნენ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, დარვინის ეეოლუციური განვითარების თეორიას. მათ სოციალურ ცხოვრებაში გადაიტანეს ბიოლოგიური სამყაროს ეეოლუციური განვითარების კანონები. ამ შემთხვევაში პუმანიზმისთვის არანაირი საფუძველი არ რჩება და ჰობსის პრინციპი მოქმედებს, რომლის მიხედვით ომი ადამიანთა შორის მათი არსებობის ბუნებრივი წესია. ერთი ავიწროებს მეორეს გარკვეული ბუნებრივი, მემკვიდრეობით მიღებული ან შეძენილი უპირატესობით და იმარჯვებს მასზე. გუმპლოვიჩმა არსებობისათვის ბრძოლისა და ბუნებრივი გადარჩევის (იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია) კანონების აბსოლუტიზაცია მოახდინა. ამგვარად გაგებული საზოგადოება დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების ბრძოლის ველია, სადაც სუსტი ყოველთვის დასაღუპადაა განწირული.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ბიოსოციალური არსებაა (ერთდროულად ბიოლოგიური არსებაცაა და სოციალურიც) და მისი ყოფიერების სტრუქტურაში ბიოლოგიურ ფენას გარკვეული ადგილი უკავია, მაინც არასწორია სოციალურის ბიოლოგიურამდე დაყვანა და ამით საზოგადოების სულიერ-გონითი და კულტურულ-შემოქმედებითი მხარეების უგულებელყოფა. მიუხედავად ამ საეალალო შეცდომისა, ბიოლოგისტური მიმართულების პოზიტიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორად მიანიშნა საზოგადოების სისტემურ ხასიათზე, მის სტრუქტურულ მთლიანობასა და სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების ფუნქციურ მიმართებაზე. აქედან არც ისე შორია საზოგადოების სისტემურ და სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურ გაგებამდე, რომელიც XX საუკუნის II ნახევრის სოციოლოგიაში ძალზე პოპულარულია.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



სტატისტიკა

სიტყვა „სტატისტიკა“ ლათინური **Status**-დან მომდინარეობს, რაც „საქმის ვითარებას“ ნიშნავს. მეცნიერებაში ტერმინი გერმანელმა სწავლულმა გოტფრიდ ახენვალდმა 1747 წელს შემოიტანა. მან ამით გერმანიის უნივერსიტეტებში გავრცელებულ კურსს – „სახელმწიფომცოდნეობას“ სახელი შეუცვალა და „სტატისტიკა“ დაარქვა, რითაც საფუძველი ჩაუყარა სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას და სასწავლო დისციპლინას. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური აღწერა კაცობრიობის ისტორიაში ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი, მაგალითად, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომის იმპერიაში.

სტატისტიკა მონაცემთა დამუშავებისა და კვლევის სპეციალურ მეთოდოლოგიას შეიმუშავებს. მის არსენალშია მასობრივი სტატისტიკური დაკვირვებები, დაჯგუფების, საშუალო სიდიდის, ბალანსური, მონაცემთა გრაფიკული გამოსახულებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. თვით სტატისტიკური პრაქტიკა სახელმწიფოს დაარსების დროიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად მასში სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა მიაზრებოდა. მაგალითად, 1792 წლის დროინდელი განმარტების მიხედვით, სტატისტიკა „სახელმწიფოს ახლანდელი მდგომარეობის აღწერას“ ნიშნავდა. სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურების საქმიანობა გარკვეულწილად შესაბამისობაშია ამ განსაზღვრებასთან. მოგვიანებით ტერმინმა „სტატისტიკა“ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა. ნაპოლეონის თქმით, „სტატისტიკა საგანთა ბიუჯეტია“.

დღეს სტატისტიკური მეთოდები აღიარებულია არა მხოლოდ ზოგადად მართვისა და ადმინისტრირების ეფექტურობის მისაღწევად, არამედ ცალკეულ დაწესებულებათა არსებობა მათ გარეშე თითქმის წარმოუდგენელია.

XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერული დისციპლინა – მათემატიკური სტატისტიკა (მათემატიკის ნაწილი) ჩამოყალიბდა. ამ დროიდან მოყოლებული სტატისტიკას, როგორც ცალკე დისციპლინას, განიხილავენ. დღევანდელი მდგომარეობით, სტატისტიკა იმ მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობით იკრიბება და ანალიზი უკეთდება რაოდენობრივ (რიცხობრივ) მოცემულობებს. ამიტომ სოციოლოგიური თვალსაზრისით სტატისტიკაში ცალკეული სოციალური პროცესებისა და მოვლენების რაოდენობრივი მონაცემები მოიაზრება.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის მეთოდები ადამიანური მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ე. წ. „გამოყენებითი და გამოთვლითი სტატისტიკის“ როლი.

სოციოლოგის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ბუნებრივია, ანალიზს საჭიროებს.

უმეტეს შემთხვევაში, ეს ინფორმაცია რიცხვითი მონაცემების სახითაა მოცემული. სწორედ ამ პუნქტში იკვეთება სოციოლოგიისა და სტატისტიკის კავშირ-მიმართება. ამ აზრით, სტატისტიკა სოციოლოგიის მონათესავე დარგია.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება სოციოლოგიური გამოკვლევის დასკვნითი ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისათვის სოციოლოგები რამდენიმე ძირითად საზომს იყენებენ, რომელთა შორის მნიშვნელოვანია საშუალო მაჩვენებლები და კორელაციები.

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები საშუალო მაჩვენებლის სახეს იღებს. ესენია: მოდა, საშუალო მნიშვნელობა და მედიანა.

მოდა ის ციფრია, რომელიც ყველაზე ხშირად ფიგურირებს მონაცემთა სიმრავლეში. მაგალითად, თუკი სოციოლოგი იკვლევს 5 ოჯახს და დაადგენს, რომ მათი წლიური შემოსავლები შემდეგნაირად არის განაწილებული:

I – 10 000 ლარი
II – 10 000 ლარი
III – 20 000 ლარი
IV – 30 000 ლარი
V – 50 000 ლარი

მოცემულ შემთხვევაში მოდალური შემოსავალი 10 000 ლარი იქნება, რადგანაც სტატისტიკურად ის უფრო ხშირად გვხვდება. საშუალოა ის მონაცემი, რომელიც მონაცემთა სიმრავლის ყველა რიცხვის შეკრებით და შემდეგ მონაცემთა საერთო რაოდენობაზე გაყოფით მიიღება.

მედიანა რიცხვია, რომელსაც მონაცემთა თანამიმდევრულ ჩამონათვალში შუა ადგილი უკავია. ყოველივე ეს სოციოლოგიაში სიზუსტის შესატანად ხდება.

რაც შეეხება კორელაციას, იგი ორ ცვლადს შორის მიმართებას გამოხატავს და, ჩვეულებრივ, კორელაციის კოეფიციენტით გამოისახება, რომელიც ათწილადრიცხვს წარმოადგენს ნულიდან ერთამდე. ცვლადებს შორის კორელაციის არარსებობის შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი 0-ის ტოლია, ხოლო როდესაც ორი ცვლადი ხშირად ერთად გვხვდება, მაშინ საუბარია დადებით კორელაციაზე, რომლის კოეფიციენტი +1,0-ია; ამის საპირისპიროა სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია, როდესაც ორი ცვლადი უკუდაკავშირებულია, ანუ ერთის არსებობა მეორეს გამორიცხავს. ამ შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი −1,0-ია. სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზისას კორელაციების უმეტესობა ორ ცვლადს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას შეეხება; არსებობს შემთხვევები, როდესაც კორელაცია შემთხვევითი ხასიათის მქონეა ანდა სხვა, მესამე ცვლადის გაელენის შედეგია, ამიტომ სოციოლოგები გადაამოწმებენ კორელაციებს სხვა მიზეზების დასადგენად, რაც ვალიდურობის (სტატისტიკური დამოუკიდებლობის) შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

სტატისტიკური ინფორმაცია სოციოლოგიაში ცხრილების სახით არის წარმოდგენილი, ამიტომ აუცილებელია სოციოლოგმა ცხრილების წაკითხვა იცოდეს.

დღეს ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის არსენალი სტატისტიკისა და მონაცემთა მათემატიკური და კომპიუტერული დამუშავების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია, ამიტომ სათანადო სოციოლოგიური განათლება ამ ყოველივეს საფუძვლიან სწავლებას გულისხმობს.

სტატისტიკური მიმართულება სოციოლოგიაში


სტატისტიკისა და სოციოლოგიის კავშირზე მიანიშნებს სტატისტიკური მიმართულების არსებობა სოციოლოგიაში, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ბელგიელი მეცნიერი ადოლფ კეტლე. მას მიაჩნდა, რომ სოციოლოგიამ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები სპეციფიკური მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით უნდა იკვლიოს, ანუ ის უნდა დააკვირდეს და შემდეგში აღრიცხოს და გააანალიზოს მთელი რიგი სოციალური კანონზომიერებანი, რაც, კეტლეს აზრით, საკვებით რეალურია. რადგანაც საზოგადოებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოქმედებენ, დაკვირვების ობიექტი უნდა იყოს არა ცალკეული ინდივიდები, არამედ მასობრივი ხასიათის მქონე სოციალური ფაქტები და მოვლენები. მაგალითად, შედარებითი სტატისტიკური ანალიზის მიხედვით ადვილად დგინდება ადამიანთა ასაკის, საქმიანობის სფეროს, ცხოვრების პირობებისა და სხვა ფაქტორების გაელენა შობადობის, სიკვდილიანობისა და ქორწინების რაოდენობრივ მაჩვენებ-

ლებზე, ხოლო სტატისტიკურ თანაფარდობათა გათვალისწინებით შესაძლებელია დადგინდეს საზოგადოებაში მოქმედი ცალკეული კანონები. კეტლემ სოციოლოგიაში შემოიტანა ე. წ. „საშუალო ადამიანის“ ცნება, რაც საშუალო არითმეტიკული მონაცემია. ამ „საშუალო ადამიანის“ რიცხობრივი მაჩვენებლის მეშვეობით დასკვნა კეთდება მთელი საზოგადოების კორელაციურ მაჩვენებელზე, რითაც კეტლემ სოციოლოგია საზოგადოების სტატისტიკურ კვლევას გაუიგივა.

სტატისტიკური მიმართულების მეორე ცნობილი წარმომადგენელია ლე-პლე, რომელიც სტატისტიკის კანონებს მთელს საზოგადოებაზე ავრცელებდა.

სოციოლოგიის ამ მიმართულების უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან სწორად მიანიშნა საზოგადოებრივი ცხოვრების რაოდენობრივ მახასიათებლებსა და მათი სტატისტიკური ანალიზის აუცილებლობაზე. მაგრამ სოციალური ცხოვრების შესწავლა ყოველივე ამით არ ამოიწურება. ჩვენ ვენდობით სოციალურ სტატისტიკას, როდესაც საქმე სოციალური ფაქტებისა და მოვლენების რიცხობრივ მაჩვენებლებს შეეხება; სტატისტიკა ზუსტად ადგენს კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის რაოდენობრივ მაჩვენებლებს დროის ცალკეული პერიოდების მიხედვით, მაგრამ სიძვირის მიზეზების დადგენა მას არ ძალუძს. შემდგომში ამ მიმართულებამ სოციოლოგიის ემპირიული, პრაქტიკული ამოცანების აქტუალიზებას შეუწყო ხელი. სოციოლოგიისა და სტატისტიკის გაიგივების მცდელობაც უნაყოფო აღმოჩნდა, ამ ყოველივეს მეცნიერების ამ ორი დარგის კავშირ-ურთიერთობებისათვის ხელი არ შეუშლია. დღეს სტატისტიკა სოციოლოგიის ერთ-ერთ მონათესავე დარგად ითვლება, ყოველი შემთხვევისათვის, სოციალური სტატისტიკა მაინც.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



სოციალური ეკოლოგია

სიტყვა „ეკოლოგია“ ბერძნული სიტყვებიდან მომდინარეობს. ბერძნულად „ოიკოს“ – სახლს, საცხოვრებელ ადგილს, ხოლო „ლოგოს“ მოძღვრებას, სწავლებას ნიშნავს. ეს არის მეცნიერება, რომელიც გარემოსთან ცოცხალი ორგანიზმების კავშირ-მიმართებას შეისწავლის. ტერმინი „ეკოლოგია“ გერმანელმა ბიოლოგმა ერნსტ ჰეკელმა შემოიტანა: მის მიერ 1866 წელს დაწერილ წიგნში „ორგანიზმების ზოგადი მორფოლოგია“ იგი პირველად გვხვდება.

ჰეკელის დროებასთან შედარებით დღეს ეკოლოგიის ცნებას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. ამჯერად ეკოლოგიურ პრობლემებში გარემოს დაცვის საკითხებია დომინანტური, თუმცა კლასიკური განმარტების მიხედვით ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ურთიერთშემოქმედებას შეისწავლის. ამ აზრით ის ბიოლოგიურ მეცნიერებას მიეკუთვნება.

ეკოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა სინთეზის გზით არის წარმოქმნილი „სოციალური ეკოლოგია,“ რომელიც სოციოლოგიის მონათესავე დარგია. ეკოლოგიისაგან განსხვავებით, მისი ისტორია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. პირველად იგი ამერიკელი სოციოლოგების პარკისა და ბერჯერსის შრომებში გამოჩნდა. თავდაპირველად მის კომპეტენციაში ბიოლოგიური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა შედიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგადი სოციოლოგიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. შემდგომში თანდათანობით გამოიკვეთა და დაიხვეწა მის მიერ გადასაჭრელ პრობლემათა სფერო. ამჟამად იგი დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინაა, რომელიც ბიოსფეროში ადამიანის ადგილისა და როლის შესწავლითაა დაინტერესებული. იგი განსაზღვრავს ბიოსფეროში ადამიანის ცხოვრებისა და განვითარების ოპტიმალურ წესებს. ამასთანავე იგი იმ სოციალური ფაქტორების შესწავლითაა დაკავებული, რომლებიც გარემოსთან მიმართებაში მოქმედებენ.

თანამედროვე სოციალური ეკოლოგია ინტერდისციპლინური მეცნიერებაა, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების სოციალურ კანონზომიერებებს შეიმეც-

ნებს, აანალიზებს ამ ურთიერთმიმართებათა პარმონიზაციის პრინციპებს. მისი ძირითადი ამოცანაა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმიმართებათა ჰარმონიზება, რაც თანამედროვე პირობებში სულ უფრო პრობლემური ხდება. ადამიანმა და საზოგადოებამ შეცვალეს ბუნებრიები გარემო. კაცობრიობის ისტორიის წინა პერიოდებთან შედარებით ამჟამად სახეშეცვლილ ბუნებასთან გვიხდება ურთიერთობა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ და მასთან ერთად წარმოების მოცულობის ზრდამ, ბუნებაზე უკონტროლო ანთროპოგენურმა მოქმედებებმა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა ადამიანი და საზოგადოება. თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირება და განვითარება ეკოლოგიური კატასტროფების ზღვარზე მიმდინარეობს. მსოფლიო მასშტაბით ამის ნათელი მაგალითები უამრავია.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა და გარემოზე უკონტროლო ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბებითა და შედეგებით საქართველოს მთიანი რეგიონები კლასიკური ტიპის მაგალითებად გამოდგება. მწვავე პრობლემად რჩება ატმოსფეროსა და წყლის დაბინძურება, მიწების ეროზია, ეკომიგრანტების პრობლემა, ეკოლოგიურად სუფთა საკვები და ა. შ.

ეკოლოგიური პრობლემების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმია ცნობილი; ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, ეკოლოგიური პრობლემები იყოფა: წარმოშობის მიხედვით: ეკოლოგიურ-ჰიდროტექნიკური და სამრეწველო-ეკოლოგიური; სიმწვავის მიხედვით – არამწვავე, ზომიერად მწვავე, მწვავე და უმწვავესი; სირთულის მიხედვით – მარტივი, რთული და ძალიან რთული; გადაწყვეტის მიხედვით – გადაწყვეტადი, ძნელად გადაწყვეტადი, გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია; ტერიტორიათა მოცულობის მიხედვით – ლოკალური, რეგიონალური და გლობალური; დროის მიხედვით – მცირე პერიოდის, ხანგრძლივი და პრაქტიკულად მუდმივი. ეკოლოგიურ პრობლემებს ყოფენ აგრეთვე გეოგრაფიული ზონების მიხედვით, მაგალითად, სამხრეთის მთის და ა. შ.

მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად მოწოდებულია „მწვანეთა მოძრაობა.“ ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკოლოგიური განათლების, ეკოლოგიური კულტურისა და ეკოლოგიური ცნობიერების პრობლემები.

მასალა განსჯისათვის

„ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ“
(ნაწყვეტი მერაბ კოსტავას წერილიდან)

„ბუნება უბიწოა და ქალწულებრივი. ამადაც ესოდენ ჭეშმარიტია ფრთეული სიტყვები შელლინგისა: „ბუნება ხილული სულია, ხოლო სული – უხილავი ბუნება.“ უმეტესწილად შემთხვევით როდი ცვლიდა გოეტე თავის ქმნილებებში სიტყვა „ღმერთს“ „ბუნებით.“ ჯერ თუნდაც იმიტომ, ხშირი ხსენებით რომ არ შეებილწა სიტყვათა შორის უმთავრესი და უწმინდესი, რითაც ერთდროულად ათი მცნების ცნობილ პუნქტსაც აღასრულებდა. მეორეც, შექმნილი ხომ ნიადაგ შეესატყვისება შემქმნელის ბუნებას. ასე რომ, თავისი წარმომავლობით ბუნება ღვთაებრივია. ჰარმონიაში, მთლიანობაში აღიქვამდნენ ძველი ბერძნები ღვთაებებსა და ბუნებას. მშვენიერიდან და გონიერულიდან შექმნილში ისინი ერთადერთ შემოქმედამდე მაღლდებოდნენ. ბუნებას თავისებურად განაღმრთობდნენ ჯორდანო ბრუნო, სპინოზა, რუსო, ჰეგელი, გოეტე, ლევ ტოლსტოი, ვაჟა-ფშაველა, ალბერტ სტეფენი, ანდრეი ბელი, რუდოლფ შტაინერი და სხვები... სულის რელიგიით ატაცებულ ადამიანებში არასოდეს მინაკლებულა ბუნების რელიგია და სიკეთის მისხალსაც ბუნებაში ისინი მუდამ ღვთის მადლად მიიჩნევდნენ...

მაგრამ უკანასკნელ საუკუნეებში, განსაკუთრებით კი ჩვენს საუკუნეში, ქველაფრისადმი უტილიტარისტულმა დამოკიდებულებამ მრავალში ძირფესვიანად ამოძირკვა ბუნებისადმი სიყვარული და მოწიწება. სწორედ ჩვენი საუკუნე, საუკუნეთა შორის უჭკვიანესი, მაგრამ არა ყოველთვის გონიერული, მეცნიერულ-ტექნიკური გიგანტიზმის, ამასთან გაცოცხლებული გულებისა და დახვეწილი ბიწიერების საუკუნე ულმობლად აღემართა ბუნების წინააღმდეგ, რათა წაებილწა ამსოფლიური სამყოფელი და სარჩო-საბადებელი. შეიბღალა და გამოიფიტა ნიადაგი, დაბინძურდა წყალი და ჰაერი. ოთხი ელემენტიდან ერთადერთი ცეცხლიდა დარჩა შეუბილწავი...

განა უგუნურ ჩარევას ბუნების საქმეებში, უსარშაპარი მასშტაბების მშენებლობას,

ტრანსპორტით გზებით გადატვირთვას, ნებისმიერ გამონაბოლქვ შხამსა და წარმოებათა ნარჩენებს, წიაღისეული და ენერგეტიკული რესურსების ძიებით გაუმაძღრობას, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას, ატომური სადგურებით ზეაწეულ რადიაციას, ტყის საფარის გაუბადრუკებას და ა. შ. არ მიეყვანართ ეკოლოგიურ კატასროფამდე, ფლორისა და ფაუნის, ცალკეულ პოპულაციათა განადგურებამდე ან შემცირებამდე, დედამიწაზე ყოველივე ცოცხალის იავარყოფამდე? რას შეიძლება შეედაროს ეს ამბავი, თუ არა იგაეს მუხისა და ღორის შესახებ? საეალალოა, მაგრამ მეცნიერულმა აზროენებამ საკმაოდ გაუსწრო წინ კაცობრიობის მორალური განეითარების დონეს. სამწუხაროდ, უძველეს ბრძენთა საკრალური მოწოდება: „ერთი ნაბიჯი ცოდნისაკენ საჭიროებს მორალისაკენ ორ ნაბიჯს“ – არ იქნა შესმენილი, ამას კი, თაეის მხრივ, ძალუძს დედამიწა დააყენოს შეუბრალებელი მოულოდნელობებისა და ერთობ სახიფათო, გაურკვეველი მოელენების წინაშე...


ბუნების საქმეებში ჩარევა, მასში ცელილებების შეტანა მხოლოდ იქაა საშური, სადაც ბუნება თავად გვიტოვებს მოქმედების საშუალებას...

დაეალება:

- მოამზადეთ თემა და მოიძიეთ მასალები სლაიდ-შოუსათეის: „ჩემი ქალაქის, რაიონის, სოფლის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.“
- მოიყვანეთ მაგალითები, რომლებიც საზოგადოების ან ჯგუფის შესაბამის „ეკოლოგიურ კულტურაზე“ მიანიშნებენ.
- გამართეთ დისკუსია ეკოლოგიური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები

სოციალური გეოგრაფია



„კლიმატის ძალა ყოველგვარ ძალას აღემატება..“
მონტესკიე

ძველ ბერძნულად „გეო“ – მიწას, „გრაფოს“ – აღწერას ნიშნავს. გეოგრაფია – სიტყვასიტყვით „მიწის აღწერა.“ გეოგრაფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კაეშირის შედეგად შექმნილ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი სოციალური გეოგრაფიაა. იგი საზოგადოების ტერიტორიულ ორგანიზაციას შესაბამის სოციალურ მახასიათებლებს უძებნის. ესა თუ ის საზოგადოება ამ თუ იმ ბუნებრიე გარემოში არსებობს ხოლმე. ამიტომ ბუნებრიეი გარემო უშეალო ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების განეითარებაზე. თაეის მხრივ, საზოგადოებაც ზემოქმედებს ბუნებრიე გარემოზე. სწორედ ამ ურთიერთზემოქმედების სოციალურ თაეისებურებებს შეისწაელის სოციალური გეოგრაფია. ის საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მიჯნაზე იმყოფება.

საზოგადოების გარემომცველ ბუნებრიე გარემოს მიეკუთვნება: დედამიწის რელიეფი, ნიადაგი, საეარგულები, წიაღისეული, ჰაეა, ხლებები და მდინარეები, ტბები და წყაროები, ფლორა და ფაუნა, ტერიტორიული მდებარეობა, ატმოსფერო და სხე. ეს სამყა-

როს ის ნაწილია, რომელიც აუცილებელია ადამიანისა და საზოგადოების არსებობისათვის. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ყოველიეე ორ ნაწილად იყოფა: 1) საარსებო საშუალებებით მდიდარი გარემო (ცხოველები, ფრინველები, ნაყოფიერი მიწები, სასარგებლო წყლები და სხვა; 2) შრომის საშუალებებით მდიდარი გარემო (წიაღისეული, ხეტყე, საამშენებლო მასალები და სხე. პირველი კელაეწარმოებადია, მეორე კი – აღუდგენელი. ორივე მათგანი დედამიწაზე უთანაბროდაა განლაგებული. შესაბამისად, ამ მხრივ საზოგადოებებიც არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. სოციოლოგებს დიდი ხანია, რაც ამ ყოველიეესთან დაკაეშირებული პრობლემები აღელეებთ და სხეა ყეელაფერთან ერთად საკითხის გადაწყეტაში დიდ დახმარებას სოციალური გეოგრაფიის მონაცემებიც უწევენ.

საზოგადოების ეკონომიკური განეითარების დონე გარკეეულწილად ბუნებრიეი გარემოს თავისებურებებზეა დამოკიდებული. ქეეყანა, რომელსაც საერთოდ ან საკმარისი ოდენობით არ გააჩნია ნავთობი ან ხეტყე, იძულებულია ეს ყეელაფერი ამ რესურსებით მდიდარი ქეეყნებისაგან შეიძინოს, რაც, თავის მხრივ, ნედლეულის მომწოდებელზე დამოკიდებულს ხდის მას. ასე იქმნება ქეეყნებს შორის ეკონომიკური უპირატესობები, რაც ძალიან ადეილად პოლიტიკურ უპირატესობად გადაიქცეეა. აი, ამგეარი საკითხების შესწავლას უწყობს ხელს სოციალური გეოგრაფია. საზოგადოებაზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებასთან დაკაეშირებით სოციოლოგიაში სპეციალური თეორია არსებობს, რომელიც „გეოგრაფიული დეტერმინიზმის" სახელითაა ცნობილი.

> დეტერმინიზმი ლათინური სიტყეა **determinare**-დან მომდინარეობს და განსაზღერულობას, შეზღუდეას ნიშნავს. მისი საწინააღმდეგო ცნებაა ინდეტერმინიზმი.

ამ თეორიის მიხედეით, საზოგადოების განეითარებას გეოგრაფიული გარემო განსაზღვრაეს. შესაბამისად, საზოგადოების სრულყოფილი განეითარება მხოლოდ მისთეის ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებშია შესაძლებელი. ციე და ცხელ კლიმატურ პირობებში მყოფი საზოგადოება პრიმიტიულ დონეზე დარჩა, ხოლო ხელსაყრელ გარემო პირობებში მყოფი განეითარდა და ციეილიზაციის მაღალ საფეხურზე ავიდა.

ბუნებრიეი გარემო თავის კეალს არა მარტო საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ, არამედ კულტურულ ცხოერებაზეც ახდენს. იგი არის მხატერული შთაგონების წყარო, რომლის მეშეეობითაც იქმნება პოეტური, პროზაული, ფერწერული, მუსიკალური და სხეა სახის ნაწარმოებები. ასე რომ, საზოგადოების არსებობა და განეითარება ბუნებრივი გარემოს გარეშე წარმოუდგენელია. იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების პროგრესს.

გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში

ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755), თუმცა მონტესკიემდე ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ანტიკური ეპოქის მოაზროენეები პლატონი, არისტოტელე, სტრაბონი, პეროდოტე, ჰიპოკრატე და სხეები. ისინი ადამიანთა შრომით საქმიანობაზე, წეს-ჩეულებებსა და ხასიათზე კლიმატური პირობების გაელენაზე მიუთითებდნენ. მაგალითად, არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ჩრდილოეთის ციეი ჰაერის გამო ამ რეგიონის მცხოერებლები სიმამაცით გამოირჩეიან, თუმცა პოლიტიკური გამჭრიახობისათეის აუცილებელი გონება არ გააჩნიათ. აზიის ცხელი კლიმატის პირობებში მცხოერები ადამიანები სიბრძნითა და გონიერებით გამოირჩეიან, მაგრამ სიმამაცეში მოიკოჭლებენ. ამის გამო ისინი მუდმიეად დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რასაც ეერ ეიტყეით ძეელ ბერძნებზე. ზომიერი კლიმატის პირობებში მცხოერები ბერძნები მამაცნიც არიან და გონიერნიც, შესაბამისად, სხეებზე ბატონობენ. მიუხედაეად ამისა, ეს შეხედულება მაინც არ არის კლასიკური გეოგრაფიული დეტერმინიზმის ნიმუში. ასეთი რამე მონტესკიეედან იღებს სათაეეს. თავის წიგნში „კანონთა გონი" მან საზოგადოების სულიერი, ფსიქიკური და მატერიალური ცხოერების გასაკებად გეოგრაფიული გარემო პირობები დაასახელა. ქეეყნის ნიადაგი, ლანდშაფტი და ფართობი, მონტესკიეს მიხედეით, განსაზღერაეს იქ მცხოერები ხალხის არა მარტო ხასიათს, არამედ მთლიანად საზოგადოების განეითარებას.



მონტესკიე

მონტესკიე ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკური მმართველობა თაეისი ბუნებით მცირე ტერიტორიას მოითხოეს, ხოლო ცხელი კლიმატის პირობებში მყოფ ქეყნებში მმართველობის დესპოტური ფორმაა დამყარებული.

ამ მიმართულების სხეა წარმომადგენლებს შორის ცნობილია ინგლისელი სოციოლოგი და ისტორიკოსი ჰენრი თომას ბოკლი (1821-1862), რომელმაც ძირითადი აქცენტი საზოგადოებაზე არა მარტო კლიმატის, არამედ ლანდშაფტის ზეგაელენაზეც გააკეთა. მაგალითად, სეისმურად აქტიურ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები მოუსეენრობითა და მუდმივი შიშის გრძნობით გამოირჩეიან, ამიტომ ისინი ლოგიკურ აზროვნებას მოკლებულნი არიან, ხოლო იქ, სადაც სტიქიური მოელენების საშიშროება ნაკლებია, ადამიანები რაციონალური აზროვნებითა და ინტელექტის მაღალი დონით გამოირჩეიან. მონტესკიესაგან განსხვაებით, ბოკლი გეოგრაფიულ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შესწაელითაც იყო დაინტერესებული.

გეოგრაფიული მიმართულების წარმომადგენლები იყენენ აგრეთე რუსი სოციოლოგები ს. სოლოეიოეი (1820-1879) და ლ. მეჩნიკოეი (1833-1888). პირეელი მათგანი საზოგადოებაზე რელიეფის, კერძოდ მთა-გორიანი ადგილების, გაელენაზე ამახეილებდა ყურადღებას. მთიან ადგილებში მცხოვრებლებს, მის მიხედვით, თაეისუფლება და დამოუკიდებლობა ახასიათებთ, ხოლო ეაკესა და დაბლობ ადგილებზე დასახლებულთ ერთფეროვანი ცხოვრების წესი აქეთ და ა. შ. მეჩნიკოემა კი კაცობრიობის ციეილიზაცია მთლიანად ჰიდროსფეროთი – მდინარეებით, ზღვებითა და ოკეანეებით, – დეტერმინებულად გამოაცხადა. საკაცობრიო ციეილიზაციის უმარტიეესი საწყისი ფორმა, მის მიხედვით, არის სამდინარო ეპოქა, რამდენადაც ხალხთა შორის მხოლოდ სამდინარო კავშირი არსებობდა. ამის მაგალითებს ძველი აღმოსაელეთის ქეყნები იძლეეა. ეგვიპტური კულტურა და ციეილიზაცია ნილოსის სამდინარო კაეშირებმა წარმოშეა, ტიგროსისა და ეფრატის საშუალებით ასირიულ-ქალდეური კულტურა შეიქმნა, ინდისა და განგის საშუალებით კი – უძეელესი ინდური კულტურა და ციეილიზაცია. შემდგომი – საზღეაო ეპოქის დამწყებები ფინიკიელები არიან, რომელსაც ბერძნები და რომაელები აგრძელებენ. ბოლოს კაცობრიობა საოკეანო ეპოქაში შეეიდა (კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა, ეასკო და გამას მიერ ინდოეთისაკენ საოკეანო გზის გაკეალეა, დედამიწის გარშემო მაგელანის მოგზაურობა და სხე.), რომელიც წინა ეპოქებისაგან თაეისუფლებისა და სოლიდარობის ტენდენციებითა და კულტურათა შორის დიალოგით გამოირჩეა.

XX საუკუნეში გეოგრაფიული მიმართულებიდან ახალი ნაკადი გამოიზარდა „გეოპოლიტიკის“ სახით. „გეოპოლიტიკა“ სიტყვასიტყვით „მიწის პოლიტიკას“ ნიშნავს. ტერმინი XX ს-ის დასაწყისში შეედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა შემოიტანა. იგი აცხადებდა, რომ გერმანიისათეის მისი შესაფერისი სასიცოცხლო სიერცის შექმნაა აუცილებელი, რაც მეზობელი პატარა-პატარა ქეყნების ანექსიის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. შემდგომში ეს მოსაზრება საფუძელად დაედო გერმანულ გეოპოლიტიკას, რომლის მამამთაერად კარლ ჰაუსჰოფერი მიიჩნეა. გერმანული გეოპოლიტიკა ჰიტლერის ოფიციალურ დოქტრინად იქცა. შემდგომში გეოპოლიტიკა დასაელეთის სხეა ქეყნებშიც განეითარდა. გეოპოლიტიკის თანამედროეე თეორიებს შორის აღსანიშნაეია სამუელ ჰანთინგტონის ციეილიზაციათა შეხლის თეორია, ს. კოენის გეოსტრატეგიული არეალისა და გეოპოლიტიკური რეგიონების თეორია, ი. გალტუნგის სესახლმწიფოების თეორია და სხეა. გეოპოლიტიკის ალტერნატიული კონცეფციებია საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის გაერთიანებული ეეროპის თეორია, ჯაეაჰარლალ ნერუს (ინდოეთის პრემიერ-მინისტრი) მიუმხრობლობის კონცეფცია და სხეა. რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება ეერაზიანიზმის პრინციპებს ემხრობა.

თანამედროეე ლიბერალური საერთაშორისო ურთიერთობების შემთხეეაში გეოპოლიტიკამ ტრანსფორმაცია განიცადა. სამხედრო ფაქტორმა უკანა პლანზე გადაიწია და ადგილი დაუთმო ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ქეყნებს შორის ტრანსპოლიტიკურ ურთი-


ერთობებს. გეოპოლიტიკა გეოეკონომიკითა და გეოინფორმაციით შეიცვალა, თუმცა გეოგრაფიული ფაქტორის აქტუალობის აღმნიშვნელად კვლავ რჩება წინსართი „გეო“.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეა ქართული სამეცნიერო ტრადიციებისათვის უცხო არ ყოფილა. მსგავსი იდეები შესაძლებელია ვიპოვოთ ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოისა.“ საქართველოს სამეფო-სამთავროების აღწერისას ვახუშტის ყურადღების გარეშე არ რჩება გეოგრაფიული გარემო, რაც, ჩვენი ვარაუდით, მონტესკიეს მსგავსი გეოგრაფიული დეტერმინიზმის ნიშნებს ატარებს. ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ვახუშტი გეოგრაფიული დეტერმინიზმის კლასიკური წარმომადგენელია, მაგრამ არც ამ მოსაზრების ხელაღებით უარყოფა იქნება ადვილი. ამ მიმართულებით შესაბამისი მეცნიერული კვლევა-ძიებაა საჭირო და შესაძლებელია ჩვენი ვარაუდების გამართლება. ამ კველაფერს მით უფრო აქტუალურს ხდის ის ფაქტი, რომ ვახუშტი მონტესკიეს თანამედროვე მოაზროვნე და მეცნიერია.

გეოგრაფიულ დეტერმინიზმთან ახლოს არის ქართველი მოაზროვნის კონსტანტინე კაპანელის (ჭანტურაია) (1899-1925) ორგანოტროპიზმის თეორია, რომლის მიხედვით, საზოგადოება მის მთლიანობაში გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, კლიმატურ, ტემპერატურულ და სხვა ბუნებრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული, თუმცა იგი ამავე დროს გეოგრაფიულ ფაქტორებზე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაელენაზეც ამახვილებდა ყურადღებას.

დღეს სოციოლოგიაში გეოგრაფიული დეტერმინიზმი პოპულარული თეორია არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მთელი რიგი ცალკეული დებულებების გათვალისწინება მაინც აუცილებელი ხდება ხოლმე, თუნდაც იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ გეოგრაფიული გარემო საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



სოციალური ფსიქოლოგია

სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც ფსიქოლოგიის სხვა დარგებს შორის ყველაზე ახლოსაა სოციოლოგიასთან, რაც განპირობებულია იმით, რომ იგი სოციუმში – საზოგადოებაში ადამიანის ქცევას შეისწავლის.

სოციალური ფსიქოლოგია სათავეს ხალხთა ფსიქოლოგიიდან, საზოგადებრიეი ცხოვრების პრაგმატისტული გაგებიდან და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიიდან იღებს. ტერმინი „სოციალური ფსიქოლოგია“ მაკ-დუგალმა (1908 წ.) შემოიტანა. სოციალური ფსიქოლოგია პიროვნების ინდივიდუალურ ქცევას მასზე მოქმედი სოციალური ფაქტო-

რების ზეგავლენით განიხილავს. აქედან გამომდინარე, იგი შეისწავლის სხვადასხვაგვარი სოციალური გაერთიანებების – ჯგუფის, მასის, სოციალური კლასებისა და ფენების, ორგანიზაციების, ბუნებრივი და კულტურული ერთობების, სოციალური უმცირესობების და ა. შ. – ზეგავლენას ინდივიდის მოქმედების მზაობის ისეთ პირობებზე – როგორიცაა განწყობები, სტერეოტიპები, სოციალური მოტივები და სხვა; ქცევის ტიპებსა და ხერხებზე (ინტერაქცია, კომუნიკაცია და ა. შ.).

ზოგად და სხვა სახის ფსიქოლოგიასთან ერთად სოციალური ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირშია სოციოლოგიასთან. უფრო მეტიც, მას დარგობრივ სოციოლოგიადაც კი განიხილავენ. ამის გამო იგი მარგინალურ ინტერდისციპლინურ მეცნიერებად არის მიჩნეული. სოციალური ფსიქოლოგია, მართლაც, ამ ორი მეცნიერების შუაში იმყოფება. სოციოლოგიაში არსებული ცალკეული მიმართულებებისათვის, როგორიცაა მაგალითად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, იგი მართლაც სოციოლოგიური დისციპლინაა. იგი სოციოლოგიას მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც ემსგავსება. კელვის პროცესში ძალზე ხშირად გამოიყენებს სისტემური დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებს. სოციალური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენლები კ. ლევინი და გ. ოლპორტი არიან.

ფსიქოლოგისტური მიმართულება სოციოლოგიაში

სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური მიმართულების ცნობილი წარმომადგენელია გაბრიელ ტარდი (1843-1904), რომლის მიხედვით, საზოგადოება სულიერ ატომთა კრებულია, რომელთა ნებისმიერი მოქმედება ფსიქოლოგიური მოტივებით არის განპირობებული, ამიტომ სოციალური ცხოვრების გასაღები ფსიქოლოგიურ მექანიზმებშია საძებნი. საზოგადოების უმთავრესი კანონი, ტარდის მიხედვით, არის განმეორებადობა, რომელიც სოციალურ ცხოვრებაში მიბაძვის სახით ელინდება. ამ შემთხვევაში ამოსავალია ანთროპოლოგიური პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანი მიმბაძველი არსებაა. მიბაძვა საზოგადოების შინაგანი ფსიქოლოგიური თავისებურებაა. ტარდის თქმით, „საზოგადოება მიბაძვაა!" საზოგადოებაში ადამიანის ქცევა და მოქმედება სხვა ადამიანების წამხედურობით ხდება. ამის მიხედვით, სოციოლოგიამ მიბაძვის ფაქტები და კანონები უნდა შეისწავლოს და ამგვარად გაერკვეს სოციალური ცხოვრების კანონზომიერებებში. ტარდიმ დაწერილებით გააანალიზა მიბაძვის მექანიზმები, მაგრამ რამდენადაც მიბაძვა ფსიქოლოგიური ფაქტია, მან, ფაქტობრივად, სოციოლოგიისთვის ადგილი არ დატოვა.



გაბრიელ ტარდი

ფსიქოლოგია – ძვ. ბერძნულ ენაზე – „ფსიხე" – სული, „ლოგია" – მოძღვრება, სწავლება; სიტყვასისტყვით – მეცნიერება სულის შესახებ. მისი წარმოშობა დაკავშირებულია არისტოტელეს სახელთან, რომელმაც დაწერა ნაშრომი სახელწოდებით: „პერი ფსიხე" – „სულის შესახებ." არისტოტელეს დროიდან მოყოლებული დღემდე ფსიქოლოგია მეცნიერული ცოდნის სფეროა, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური პროცესების (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, წარმოსახვა, მეხსიერება, აზროვნება და სხვ.), ფსიქიკური მდგომარეობების (მოტივაცია, ემოცია, გრძნობები და სხვ.), ფსიქიკური მახასიათებლების (ხასიათი, ტემპერამენტი და სხვ.), განწყობების წარმოშობას, მათს ფორმირებას, განვითარების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ანუ, ფართო გაგებით, ეს არის ფსიქიკურის შესახებ მეცნიერება.

ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ფაქტი, რომ სული და ფსიქიკა ერთი და იგივე რადია. სული უფრო მაღალი ინსტანციაა, ვიდრე ფსიქიკა.

ამერიკული ფსიქოლოგისტური სოციოლოგიის წარმომადგენელია ლესტერ უორდი (1841-1913). იგი ცნობილია შრომებით: „დინამიკური სოციოლოგია," „წმინდა სოციოლოგია," „გამოყენებითი სოციოლოგია" და სხვები. უორდს მიაჩნია, რომ საზოგადოების არსებობას სუბიექტური და ობიექტური რაგის ფაქტორები განაპირობებენ. პირველ მათ-

განში იგი საზოგადოების წევრთა ემოციებს, მისწრაფებებს, ინტერესებს, გრძნობებს, და ა. შ. გულისხმობს, მეორე რიგის ფაქტორებში კი – ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ-გონებრივ შესაძლებლობებს (ინტუიცია, გამომგონებლობა და სხვ.). ფაქტორთა ორივე რიგი ფსიქოლოგიური ხასიათის მატრებელია.

საზოგადოების მამოძრავებლად ფსიქოლოგიურ ფაქტორებს განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდა ამერიკელი სოციოლოგი ფრანკლინ დელანო გიდინქსი (1855-1913), თუმცა ამასთანავე არაფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც შესაბამის ყურადღებას აქცევდა. სოციოლოგიამ საზოგადოება უნდა შეისწავლოს, როგორც ფსიქო-ფიზიკური რეალობა, მაგრამ ამ შემთხვევაში საფუძველი ფსიქიკური უნდა იყოს. ამ გზით საზოგადოების შესახებ ცალკეულ მეცნიერებათა მიერ მოპოვებული ცოდნა სოციოლოგიამ უნდა განაზოგადოს. ამის გამო ის ზოგადი მეცნიერებაა სოციალური ცხოერების შესახებ. იგი საზოგადოებას, როგორც მთელს, ისე განიხილავს. ამ აზრით, სოციოლოგი ისტორიკოსიც უნდა იყოს, ეკონომისტიც, სამართალმცოდნეც და სტატისტიკოსიც. საზოგადოება კი სხეა არაფერია, თუ არა „კომპანია, ასოციაცია, ადამიანთა გაერთიანება“, ოღონდ ცნობიერი გაერთიანება.

ფსიქოლოგისტური მიმართულების გაელენიან წარმომადგენლად მიიჩნეეა სოციოლოგიის კლასიკოსი გეორ ზიმელი იმის გამო, რომ მან სოციოლოგიის საგნად ადამიანთა ურთიერთზემოქმედების თაეისუფალი, თამაშებრიეი ფორმები, მისიეე ტერმინით, „სოციაცია“ მიიჩნია. ამ მიმდინარეობას აკუთვნებენ სოციოლოგიის ისეთ კლასიკოსს, როგორიცაა პიტირიმ სოროკინი, იმიტომ რომ იგი სოციოლოგიის საგნად ადამიანთა შორის ურთიერთობას მიიჩნეედა. საერთოდ, ამერიკულ სოციოლოგიაში დამკეიდრებულია ტრადიცია, რომ საზოგადოება ადამიანთა, მის ცალკეულ წეერთა ურთიერთობათა კომპლექსია, ურთიერთობა კი სოციალურთან შედარებით ფსიქოლოგიური ხასიათის მატარებელია. ამასთან, არც ზიმელი და არც სოროკინი ფსიქოლოგები არ ყოფილან. ისინი ადამიანებს შორის ურთიერთზემოქმედებისა და ინტერაქციის არა ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, არამედ სოციალურ კანონზომიერებებს ადგენდნენ (ე. წ. ფსიქოლოგისტური მიმართულების წარმომადგენელთა ნააზრეეს სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები არაკლასიკური სოციოლოგიური თეორიებისადმი მიძღენილ სასწაელო კურსში გაეცნობიან).


ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მართლაც დიდი მნიშენელობა აქეთ პიროენებისა და საზოგადოების სულიერი პროცესების შესწაელაში. ფსიქოლოგისტურმა მიმართულებამ დიდი როლი შეასრულა სოციოლოგიის საგნის გაფართოებაში და ხელი შეუწყო სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ცალკე დარგის, ფორმირებას, მაგრამ მისი სერიოზული ნაკლი ფსიქოლოგიური კანონზომიერების აბსოლუტიზაციაში მდგომარეობს. ფსიქოლოგსაც და არაფსიქოლოგსაც უნდა გეახსოედეს, რომ ფსიქიკური საზოგადოების ერთი ცალკეული მხარეა, როგორიც, ვთქეათ, პოლიტიკური ან ეკონომიკური, ამიტომ ფსიქოლოგია ეერასოდეს ეერ დაიკაეებს სოციოლოგიის ადგილს, რომელიც საზოგადოებას მის მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ფსიქიკურთან ერთად, შეისწაელის.

სასურველია დაეიმახსოეროთ

სოციალური დიაგნოსტიკა – გამოყენებითი სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ოპერატიულად აფასებს სოციალური ობიექტის ფუნქციონირების მდგომარეობას, აელენს გადახრებს და ხელს უწყობს სოციალური ობიექტის განვითარებას.

სოციალური ფსიქოთერაპია – გამოყენებითი სოციოლოგიის (ფსიქო-სოციალური ნიშნის მქონე) დარგია. იგი სოციალურ ქცეაზე ზემოქმედების მეთოდების ისეთ სისტემას მოიცაეს, რომელიც გადახრების ნებისმიერი ფორმის კორექტირებისათეის გამოიყენება.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები



სოციალური ფილოსოფია

სოციალური ფილოსოფია ფილოსოფიის დარგია, რომელიც საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის, საზოგადოებრივი პროცესების ფილოსოფიურ კანონზომიერებებს, საზოგადოებაში ადამიანის ადგილისა და როლის ფილოსოფიურ საფუძვლებს შეისწავლის. ამ აზრით იგი ძალიან ახლოსაა თეორიულ, ზოგად სოციოლოგიასთან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ანალიზისას სოციოლოგიასთან მიმართებაში სოციალური ფილოსოფია კრიტიკული ფუნქციის მატარებელია.

სოციალური პრობლემატიკა ფილოსოფიაში ანტიკური და უფრო ადრინდელი დროიდან შედის – ლაო-ძისა და კონფუცის, პლატონისა და არისტოტელეს დროიდან მოყოლებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სოციოლოგები იყვნენ. თანამედროვე გაგებით, სოციოლოგია შორს დგას საზოგადოების ფილოსოფიური ანალიზისაგან, რომელიც ზოგადი ხასიათისაა. უფრო მეტიც, სოციოლოგია ფილოსოფიურ აზროვნებასთან ჭიდილში ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, და გამარჯვებაც მას დარჩა, თუმცა ეს არ აუქმებს სოციალურ-ფილოსოფიური თეორიების საჭიროებას სოციოლოგიისათვის.

ფილოსოფია ორი ბერძნული სიტყვისაგან – „ფილეო“ - მიყვარს და „სოფია“ – სიბრძნე – მომდინარეობს და სიტყვასიტყვით „სიბრძნის სიყვარულს“ ნიშნავს. ტერმინი პითაგორადან იღებს სათავეს, ხოლო სიტყვა „ფილოსოფოსი“ – პერაკლიტედან. საყოველთაო მნიშვნელობა კი სოკრატესთან და პლატონთან მოიპოვა.

ჩვენში საბჭოთა პერიოდში სოციოლოგიური მეცნიერების ტრადიციების არარსებობის გამო სოციალური ფილოსოფია სოციოლოგიასთან იქნა გაიგივებული. ამას სხვა საფუძველიც ჰქონდა, კერძოდ, მარქსისტული იდეოლოგიისაგან თავის დაღწევის მი'ზნით ქართველმა მოაზროვნეებმა სოციალური სინამდვილის ფილოსოფიურ ანალი'ზს მიჰყვეს ხელი, რაც იმდროინდელ ვითარებაში გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ეს ყოველივე ძალ'ზე შორს იდგა ნამდვილი სოციოლოგიისაგან. ასევე არასწორია მოსაზრება, რომელიც სოციოლოგიას ფილოსოფიის ნაწილად მიიჩნევს. ფილოსოფიისაგან სოციოლოგიის „გასათავისუფლებლად“ თავის დროზე დიდი ჯაფა გასწიეს ემილ დიურკემმა და მაქს ვებერმა. სოციოლოგია სოციუმის შემსწავლელი მეცნიერებაა, ფილოსოფია კი – სამყაროსა და ადამიანის შესახებ მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომლის ცოდნა სოციოლოგისათვის აუცილებელია.

ფრაგმენტი სერგი ავალიანის და კახა ქეცბაიას წიგნიდან „ფილოსოფია ყველასათვის“

რა არის ფილოსოფია?

სიტყვა „ფილოსოფია“ წარმომდგარია ორი ბერძნული სიტყვისაგან: „**Phileo**“ – მიყვარს და „**Sophia**“ – სიბრძნე. ამრიგად, „ფილოსოფია“ ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს. ეს ტერმინი პირველად იხმარა ბერძენმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა პითაგორა სამოსელმა (570-500 წწ. ქრისტეს წინ), ხოლო სიტყვა „ფილოსოფოსი“ შემოიტანა მეორე დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტე ეფესელმა (დაახლ. 520-460 წწ. ქრისტეს წინ), მაგრამ ფილოსოფიის ცნებამ საყოველთაო მნიშვნელობა მოიპოვა დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის (428-348 წწ. ქრისტეს წინ) ნაწერებში.

ძველი ბერძნები თელიდნენ, რომ ბრძენი, ე. ი. ყველაზე ჭკვიანი, ყოელისმცოდნე და ყველაზე გამოცდილი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი. ადამიანს კი მხოლოდ ის შეუძლია, რომ უყვარდეს სიბრძნე, ჰბაძავდეს ღმერთს ანუ იყოს სიბრძნის მოყვარული, ე. ი. ფილოსოფოსი. ცხადია, ყველა ადამიანი არ არის და არც შეიძლება იყოს სიბრძნის მოყვარე – ფილოსოფოსი, არამედ ეს ნიჭი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამიტომ ფილოსოფიას ჯერ კიდევ უძველეს დროში ყველა ცოდნაზე მაღლა აყენებდნენ, ხოლო ფილოსოფოსს ყველა ადამიანზე უკეთესად თელიდნენ. ჩვენშიც ხშირად გაიგონებთ: „ეს კაცი ბრძენია, ნამდვილი ფილოსოფოსიაო“. პლატონის აზრით, სახელმწიფოს ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ, ვინაიდან მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ საზოგადოების ინტერესების შეცნობა და სახელმწიფოში ისეთი კანონების შემოღება, რომელიც ხალხს სიკეთეს მოუტანს.

ამასთან დაკავშირებულია ქართული სიტყვა: „სიბრძნისმეტყველება“, რომელიც იგივეს ნიშნავს, რასაც „ფილოსოფია“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ უნივერსიტეტში, რომელიც 1918 წელს დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით გაიხსნა, პირველი და იმ დროს ერთადერთი იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც ფილოსოფიასთან ერთად სხვა მეცნიერებებსაც აერთიანებდა. ტერმინი „სიბრძნისმეტყველება“ დღესაც ქართულ ენაში „ფილოსოფიის“ სინონიმად იხმარება.

პირველი ფილოსოფიური წარმოდგენები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი) ჩაისახა, მაგრამ ფილოსოფია, როგორც ცოდნის დარგი, ჩამოყალიბდა საბერძნეთში ჯერ კიდევ VII-VI საუკუნეებში. ქრისტეს წინ. ასე რომ, ევროპული ფილოსოფია, რომელიც ნამდვილ ფილოსოფიას წარმოადგენს, სათავეს იღებს საბერძნეთში, რომელიც იმ დროს ყველაზე უფრო ცივილიზებული ქვეყანა იყო როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. იმდროინდელმა ბერძნულმა სამყარომ მოგვცა დიდ ფილოსოფოსთა მთელი პლეადა. ბერძნული ფილოსოფიის მწვერვალებს კი წარმოადგენდნენ გენიალური ფილოსოფოსები სოკრატე, პლატონი და მისი ყოფილი მოწაფე არისტოტელე (384-322 წწ. ქრისტეს წინ). მას შემდეგ ფილოსოფიამ ევროპის ქვეყნებში – განსაკუთრებით გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში – დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ბერძნული ფილოსოფიის მნიშვნელობა მაინც იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი (მაგალითად, ა. ნ. უაიტჰედი, 1861-1947) დასავლეთის ქვეყნების თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებას პლატონის ფილოსოფიის კომენტარებად თვლის. ცხადია, ამგვარი შეფასება გადაჭარბებულია, თუმცა იგი ძველი ბერძნული ფილოსოფიის დიდ ღირებულებაზე მიუთითებს.

ძველ ბერძნულ ფილოსოფიას ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში საქართველოშიც კარგად იცნობდნენ. ვარაუდობენ, რომ ქართული სიტყვა „ბრძენი“ წარმომდგარია სიტყვისაგან „ბერძენი“.

ჩასახვისა და განვითარების პირველ ეტაპზე ფილოსოფიად თელიდნენ ყოველგვარ ცოდნას – მათემატიკურს, ასტრონომიულს და ა. შ. ყველა დიდ მეცნიერს ფილოსოფოსი ერქვა. დიდი ფილოსოფოსები ხშირად დიდი მეცნიერებიც იყვნენ. მაგალითად, არისტოტელე იყო არა მარტო ფილოსოფოსი, არამედ აგრეთვე დიდი ასტრონომი, ბიოლოგი, ფსიქოლოგი, ფიზიკოსი და ა.შ. ეს გარემოება ტრადიციად დამკვიდრდა შემდგომი დროის ფილოსოფიურ აზროვნებაში. მაგალითად, დიდი ფრანგი ფილოსოფოსი რენე დეკარტი (1596-1650) იმავე დროს დიდი მათემატიკოსი და ფიზიკოსი იყო. გერმანელი ფილოსოფოსი გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716) იყო მათემატიკოსიც, ფიზიკოსიც, იურის-

ტიც, ისტორიკოსიც და ენათმეცნიერიც. ხშირად ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა ნაშრომები ფილოსოფიური გამოკვლევებად იწოდებოდა. მაგალითად, გენიალური ინგლისელი ფიზიკოსის ისააკ ნიუტონის (1643-1727) მთავარ თხზულებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია კლასიკური მექანიკა, ეწოდება „ბუნებრივი ფილოსოფიის მათემატიკური პრინციპები", ე. ი. ფიზიკური ხასიათის თხზულება მიჩნეულია „ბუნებრივ ფილოსოფიად".

ამრიგად, ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზროვნების დასაბამი ძველ საბერძნეთშია. ეს იმიტომ, რომ ბერძნული ფილოსოფია პრინციპულად განსხვავდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების წინარე არსებული ფილოსოფიური წარმოდგენებისაგან. განსხვავებას ის ქმნიდა, რომ ბერძნული ფილოსოფიის წარმოშობამდე არსებულ ფილოსოფიურ წარმოდგენებს არ ჰქონდათ ცოდნის, დასაბუთების ხასიათი. ფილოსოფია, როგორც ცოდნა, დასაბუთებული სისტემა, პირველად ბერძნულ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა. მაგალითად, პირველი ფილოსოფოსი თალესი (624-547 წწ. ქრისტეს წინ) ამტკიცებდა, რომ სამყაროში ყველაფერი წყლისაგან წარმოიშვა; ამ მოსაზრებას, როგორც არისტოტელე გადმოგვცემს, თალესი იმით ასაბუთებს, რომ ყოველი საგანი წყალს შეიცავს; თუ მის ზედაპირს გადაეფხეკთ და დავაკვირდებით, მისი აზრით, უთუოდ წყლის ნიშნებს (სინესტეს) აღმოვაჩენთ. ეს ნიშნავს, რომ საგნები წარმოშობილია იმისაგან, რისგანაც იგი შედგება, ე. ი. წყლისაგან. თქმა არ უნდა, რომ თალესი ცდებოდა; სამყაროს საგნები წყლისაგან როდია წარმოშობილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ თალესი ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი ფილოსოფიური მოსაზრება ანუ ცოდნის სახე მიეცა თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის, რასაც აღმოსავლურ ფილოსოფიაში ვერ ეხვდებით. ფილოსოფიური წარმოდგენების დასაბუთების მცდელობა ანუ ცოდნის სახით წარმოდგენა ტრადიციად დამკვიდრდა არა მარტო ბერძნულ ფილოსოფიაში, არამედ მთელი შემდგომი ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაში. სწორედ ამიტომ ითვლება, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფიური აზროვნების სამშობლო არის საბერძნეთი.

ფილოსოფიის საგნის შესახებ პირველი წარმოდგენები ჯერ კიდევ 25 საუკუნის წინათ ანტიკურ ფილოსოფიაში ჩაისახა. პირველი ბერძენი ფილოსოფოსები: თალესი, ანაქსიმანდრე (610-546 წწ. ქრისტეს წინ), ანაქსიმენი (585-525 წწ. ქრისტეს წინ), ჰერაკლიტე და სხვები სვამდნენ კითხვებს: რისგან გაჩნდა სამყარო? იგი მატერიალურია თუ იდეალური? რა ადგილი უჭირავს ადამიანს სამყაროში? შეიმეცნება თუ არა გარეგანი სამყარო და ა. შ. ეს კი ის კითხვებია, რომელნიც ფილოსოფოსებს ყოველთვის აღელვებდათ და ახლაც აღელვებთ.

ეს კითხვები ერთ დიდ კითხვამდე შეიძლება დაიყვანოთ, სახელდობრ: როგორია სამყაროს – მთელი სინამდვილის – უსოგადესი კანონზომიერება? რა არის ის, რაც ყოველგვარ არსებულს უძევს საფუძვლად? ერთი სიტყვით, სამყაროს, როგორც მთელის, უსოგადესი კანონზომიერება არის ფილოსოფიური კვლევის ობიექტი, მისი საგანი. ეს არის ფილოსოფიის საგნის წინასწარი განსაზღვრება.

სამყაროს, როგორც მთელის, ერთ-ერთი უსოგადესი ნიშანია არსებობა, რომელიც თანაბრად მიეწერება მატერიალურსაც და იდეალურსაც. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ მატერიალური საგნები სივრცესა და დროში არსებობს; ისინი არის სადღაც (სივრცეში) და ოდესღაც (დროში). დროში არსებობა იმას ნიშნავს, რომ იგი მარადიული არ არის. ყველა მატერიალური სხეული წარმოიშობა, გარკვეული დროის მონაკვეთში არსებობს და შემდეგ ისპობა, კვდება. იდეალური კი არც დროში არსებობს და არც სივრცეში – ზედროულია, მარადიულია. იგი არსებობს ცნობიერებაში, მაგრამ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია. მაგალითად, ის აზრი, რომ ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილს სწორი ხაზი წარმოადგენს ან სამკუთხედის კუთხეების ჯამი ულრის ორი სწორი კუთხის ჯამს, სივრცისა და დროის გარეშეა ანუ არ არსებობს არც გარეგან სამყაროში (სივრცეში) და არც დროში, ე. ი. მარადიულია. ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილს სწორი ხაზი წარმოადგენდა ადამიანის გაჩენამდეც და იარსებებს მასშინაც, ადამიანი ამქვეყნად რომ აღარ იყოს. ამაშია მისი მარადიულობა ანუ ზედროულობა; იდეალურია ღმერთი, რომელიც სივრცისა და დროის გარეშეა ანუ არც მატერიალურია და არც ჩვენს ცნობიერებაშია დამოკიდებული.

არსებობს ისეთი „შუამდებარე" მოვლენებიც, რომლებიც არც მატერიალურია და არც იდეალური ანუ არც სივრცეშია არსებობს და არც მარადიულია. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ემოციები, ფსიქიკური განცდები, რომელიც ადამიანის გარეშე, ე. ი. სივრცეში

არ არსებობს, მაგრამ არც ზედროულია, მარადიული არ არის. ხან რაღაც გეიხარია, ხან გეწყინს, ხან კარგ გუნებაზე ვართ, ხან კი სევდა შემოგვაწვება. ეს ნიშნავს, რომ ფსიქიკური პროცესი დროში არსებობს ანუ არ არის მარადიული, იდეალური. ასეთ პროცესებს ფილოსოფიაში „რეალურს" უწოდებენ.

ყველაფერი ეს იმისათვის ვთქვით, რომ ყოველგვარ არსებულს, მატერიალურსაც და იდეალურსაც, მიუხედავად ამ განსხვავებისა, ერთი უზოგადესი კანონზომიერება აქვს, რომელიც ფილოსოფიის შესწავლის საგანია. ნებისმიერი ფილოსოფიური დისციპლინა თავისი საგნის უზოგადეს კანონზომიერებას სწავლობს; მაგალითად, გნოსეოლოგია (შემეცნების თეორია) შეისწავლის შემეცნებისა და ცოდნის უზოგადეს კანონზომიერებას, ფილოსოფიური ანთროპოლოგია – ადამიანის უზოგადეს კანონზომიერებას, ეთიკა – ადამიანებს შორის ზნეობრივი ურთიერთობის უზოგადეს კანონზომიერებას და ა. შ.

მაგრამ უზოგადესი კანონზომიერება რაღაცის – ასევე უზოგადესის – კანონზომიერებას წარმოადგენს. ეს „რაღაც" არის აბსოლუტური არსი, რომელსაც ფილოსოფიაში „სუბსტანციას" (ლათ. „substantia" – „ქვემდებარე, საფუძვლად მდებარე" – არსება) უწოდებენ, ვინაიდან იგი არის ის, რაც მთელი სინამდვილის – ყოველგვარი არსებულის – ქვემდებარეა, მისი უძირითადესი საფუძველია. ყოველგვარი არსებულის არსებას ანუ სუბსტანციურ არსებას სწავლობს ფილოსოფიის ერთ-ერთი უძირითადესი დარგი – ონტოლოგია. ხშირად, როდესაც ფილოსოფიის საგნის შესახებ ლაპარაკობენ, ონტოლოგიის საგანს გულისხმობენ, რასაც გარკვეული გამართლება აქვს, ვინაიდან ფილოსოფიური დისციპლინებიდან ყველაზე მთავარს ონტოლოგია წარმოადგენს.

ამრიგად, აბსოლუტური არსი ანუ სუბსტანციური არსება, როგორც სამყაროს უზოგადესი კანონზომიერება, არის ის, რასაც ფილოსოფია შეისწავლის. თავიანთი საგნების კანონზომიერებას ყველა მეცნიერება სწავლობს. ფიზიკას აინტერესებს სინამდვილის ფიზიკური კანონზომიერება, ქიმიას – ქიმიური და ა.შ. მაგრამ ისინი ამ ფარგლებს გარეთ არ გადიან. ფილოსოფიას კი აინტერესებს არა სინამდვილის სპეციალური კანონზომიერებანი, არამედ უზოგადესი კანონზომიერება, რომელიც სინამდვილის ცალკეული სფეროების კანონზომიერებებს იქვემდებარებს.

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ფილოსოფია არის უზოგადესი მეცნიერება, ვინაიდან უზოგადესია მისი საგანი. არ არსებობს ფილოსოფიაზე უფრო ზოგადი ცოდნა. ამიტომ ფილოსოფია ყველაზე აბსტრაქტული, კონკრეტული სინამდვილისაგან განყენებული ცოდნის დარგია, რაც ფილოსოფიური იდეების შესწავლის სირთულეს ქმნის. გაცილებით იოლი გასაგებია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, თუნდაც მათემატიკის ცნებებისა და იდეების შინაარსი, ვიდრე ფილოსოფიისა. როდესაც გვეუბნებიან, რომ ატომი შედგება ელექტრონებისა და ბირთვისაგან, ცოცხალ სამყაროში მიმდინარეობს არსებობისათვის ბრძოლა ან მთელი მეტია ნაწილზე და ა. შ. მაშინ ჩვენს შემეცნებას ის აადვილებს, რომ მათი წარმოდგენა ასე თუ ისე შესაძლებელია. მაგრამ როცა გვესმის ასეთი ფილოსოფიური დებულება: მოვლენა არის არსების გამოვლენა, მაშინ მას ვერ წარმოვიდგენთ, ვინაიდან საქმე ეხება არა რაღაც კონკრეტულ საგანს ან მოვლენას, არამედ სრულიად აბსტრაქტულ, განყენებულ მოსაზრებას, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია.

მაგრამ აქედან გამოსავალი ის როდია, რომ ფილოსო-ფიური მსჯელობისაგან თავი შევიკავოთ და კონკრეტული, სპეციალური მეცნიერებებით დავკმაყოფილდეთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნება სინამდვილის შესახებ ღრმა ცოდნა, არ გვეცოდინება ის, რაც ყველაზე საჭიროა ვიცოდეთ. ფილოსოფია იკვლევს სინამდვილის უსოგადეს კანონზომიერებას ანუ მის უღრმეს სფეროებს. ყველა სპეციალური მეცნიერების საფუძველში ფილოსოფია ძევს, ვინაიდან ყველა კონკრეტული რაღაც უფრო 'სოგადს, უფრო სიღრმისეულს ემყარება. სწორედ ამიტომ დიდი მეცნიერები თავიანთი საგნის სიღრმისეული სფეროების კვლევისას ფილოსოფიამდე მიდიან და ფილოსოფოსობას იწყებენ. ამის ნათელი მაგალითია ისეთი გენიალური მეცნიერების მოღვაწეობა, როგორიც იყვნენ ფიზიკოსები მაქს პლანკი (1858-1947), აინშტაინი (1879-1955), ჰაისენბერგი (1901-1976), მათემატიკოსი პუანკარე (1860-1934) და სხვები. ფილოსოფიის საჭიროებას მხოლოდ ის უარყოფს, ვინაც თავისი საქმეც ღრმად არ იცის.

სოგიერთი ფილოსოფოსი სუბსტანციასა და ღმერთს ერთმანეთთან აიგივებს. ამის გამართლებას იმაში ხედავენ, რომ მათ თითქმის ერთიდა იგივე ნიშნები აქვთ: სუბსტანციაც და ღმერთიც უსასრულოა, მარადიულია, იდეალურია, შემოქმედია და ა.შ. ამოდიოდა რა ამ მოსაზრებიდან, ფრანგი ფილოსოფოსი რ. დეკარტი წერდა: „ელაპარაკობთ რა

სუბსტანციის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ისეთი რამ ვიგულისხმოთ, რომელიც თავისი არსებობისათვის არაფერს არ საჭიროებს გარდა თავისი თავისა... ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთი არის მარტო ღმერთი". იზიარებდა რა ამ კონცეფციას, ზოგიერთი ფილოსოფოსი ღმერთს ფილოსოფიის საგნად თელიდა.

ფილოსოფიის საგნად ღმერთის გამოცხადება პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიიდან მომდინარეობს. არისტოტელე ფილოსოფიას (მეტაფიზიკას) უწოდებდა მეცნიერებას ღვთაების შესახებ. ფილოსოფიისა და თეოლოგიის საგნების გაიგივება არა მხოლოდ ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიაში გვხვდება, არამედ ახალ დროშიც. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი (1770-1831) წერდა: ფილოსოფიასა და რელიგიას ერთი და იგივე საგანი აქვს; ეს არის ღმერთი.

მაგრამ ღმერთის ცნებაში ფილოსოფია და თეოლოგია სხვადასხვა შინაარსს დებს. ფილოსოფიაში ღმერთი ნიშნავს მთელი სამყაროს სუბსტანციას, მის შემოქმედს. ამის იქით ფილოსოფია არ მიდის. თეოლოგია კი ღმერთის ცნებას უფრო ფართოდ მოიაზრებს.

ფილოსოფია, ცხადია, მიდის ღმერთამდე, როგორც ყოველგვარი არსებულის სუბსტანციამდე, მაგრამ ფილო სოფიის საგანს ღმერთი მაინც არ წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფილოსოფია და თეოლოგია ერთმანეთს დაემთხვეოდა. ფილოსოფიის საგანია სამყაროს უზოგადესი კანონზომიერება, სუბსტანციური არსი. ამ საგნის კვლევის პროცესში იგი ჩამოაყალიბებს უზოგადეს შეხედულებათა სისტემას გარეგანი და შინაგანი სამყაროს შესახებ, რაც ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. ამრიგად, ფილოსოფია არის მსოფლმხედველობა.

სიტყვა „მსოფლმხედველობა" თითქმის ყველა (ყოველ შემთხვევაში, ევროპულ) ენაზე მსოფლიოს ხედვას ნიშნავს, რაც უშუალოდ მიგვითითებს ფილოსოფიის საგანზე. ფილოსოფიას ხომ მსოფლიოს (სამყაროს, მთელი სინამდვილის) უზოგადესი კანონზომიერება აინტერესებს! ამიტომ ფილოსოფია უნდა გავიგოთ, როგორც მსოფლიოს ხედვა ანუ მსოფლმხედველობა. მსოფლმხედველობის ცნება ორი – ფართო და ვიწრო – აზრით იხმარება. ფართო აზრით მსოფლმხედველობა ნიშნავს მთელი მსოფლიოს ხედვას, მის შესახებ შეხედულებათა სისტემას, სამყაროს აგებულების, მისი კანონზომიერების, მისი არსების შესახებ გარკვეული წარმოდგენების ერთობლიობას. ვიწრო აზრით ლაპარაკობენ პოლიტიკურ, რელიგიურ თუ მითოლოგიურ მსოფლმხედველობაზე, ე. ი. წარმოდგენათა სისტემაზე, რომელიც ადამიანმა შეიმუშავა ამა თუ იმ კუთხით სამყაროს დანახვის შედეგად.

პირველი მსოფლმხედველობა, რომელიც ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ჩამოყალიბდა, იყო მითოლოგიური. მითოლოგია არის მითების, არარეალური წარმოდგენების ერთობლიობა სამყაროს წარმოშობის, ფანტასტიკური ღმერთებისა და რეალური ადამიანების ურთიერთობის შესახებ. იგი, ცხადია, ცდილობს სამყაროს წესრიგის ახსნას, მაგრამ ეს ახსნა ყოველთვის იღუსიურია, არარეალურია. მაგალითად, მითოლოგები ვარაუდობდნენ, რომ ცის თაღი რაღაცაზე უნდა იდგეს, თორემ ძირს ჩამოვარდება. იგი ძირს იმიტომ არ ვარდება, რომ ტიტანის, გოლიათის – ატლანტის – მხრებზე დგას; ასევე დედამიწა კამეჩის რქებზეა მოთავსებული. ხმელეთს მართავს უსენაკესი ღვთაება – ზევსი, ხოლო სღვებსა და ოკეანეებს – პოსეიდონი. გარდა ზევსისა არსებობენ სხვა ღმერთებიც, რომლებიც ზევსს ემორჩილებიან. ისინი ხშირად ერევიან ადამიანთა ცხოვრებაში. მათი ცხოვრების წესი, ბერძენი მითოლოგების მიხედვით, ადამიანთა ცხოვრების წესისაგან არსებითად არ განსხვავდება. ისინი ჭამენ, სვამენ, ღრეობენ, ჩრუშობენ, ქალებს იტაცებენ, შვრს იძიებენ და ა. შ.

მითოლოგებს იგივე პრობლემები აინტერესებდათ, რაც მოგვიანებით ფილოსოფოსების ყველას საგანი გახდა: რისგან წარმოიშვა სამყარო, იგი მატერიალურია თუ იდეალური, თავისუფალია თუ არა ადამიანის ქცევა და ა.შ. ძველი ბერძენი პოეტი და მითოლოგი ჰესიოდე (დაახლ. VIII-VII სს. ქრისტეს წინ) ამტკიცებდა, რომ სამყარო ქაოსისაგან წარმოიშვა. თვითონ გენიალური ჰომეროსის (დაახლ. VIII საუკუნე ქრისტეს წინ) პოემებში „ილიადა" და „ოდისეა" ხშირად გხვდება მითოლოგიური წარმოდგენები. მითოლოგიაში არ არსებობს არავითარი დასაბუთება, არავითარი არგუმენტი; ფანტაზია უსენაკესი დონისა ატარებდა. მიუხედავად ამისა, მითოლოგიური მსოფლმხედველობა არა მარტო წინ უსწრებდა ფილოსოფიურ ანროვნებას, არამედ კიდეც ამზადებდა მის წარმოშობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვები, რომელთაც მითოლოგები აყენებდნენ, ფი-

ლოსოფიაში შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ ამ კითხვებზე ფილოსოფიური პასუხები მითოლოგიური წარმოდგენებისაგან არსებითად განსხვავდებოდა. განსხვავებას ის ქმნიდა, რომ ფილოსოფოსები ცდილობდნენ თავიანთი შეხედულებების დასაბუთებას; მათი მოსაზრებები არ იყო ისეთი ფანტასტიკური, როგორიც მითოლოგიას ახასიათებდა. ცხადია, ფილოსოფიის წარმოშობის შემდეგ მითოლოგიას არსებობა არ შეუწყვეტია, მაგრამ იგი საზოგადოებრივ ცხოერებაში დომინანტურ როლს აღარ ასრულებდა.

გარდა ფილოსოფიური და მითოლოგიური მსოფლმხედველობისა არსებობს აგრეთვე რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელიც ზებუნებრიეი ძალების, კერძოდ ღმერთის, არსებობას ემყარება. რელიგიურსა და მითოლოგიურ მსოფლმხედველობებს შორის არსებობს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. მათ შორის საერთოა ის, რომ არც ერთი მათგანი ცოდნას არ წარმოადგენს, არაფერს არ ასაბუთებს. უფრო ზუსტად რომ ეთქვათ, მითოლოგიაში დასაბუთებას მითოლოგიური ხასიათი აქვს. რატომ ძირს არ ვარდება ცის თაღი? – იმიტომ, რომ იგი ატლანტის მხრებზე დგას. ასეთია მითოლოგიური „დასაბუთება", თუმცა მას დასაბუთებას ვერ დაეარქმეთ, ვინაიდან მასში მეცნიერული არგუმენტაციის ნასახიც კი არ არის. მითოლოგიურსა და რელიგიურ მსოფლმხედველობებს სრულიად განსხვავებული წარმოდგენები აქვთ ღმერთების შესახებ. რელიგია ღმერთს მოწიწებით იხსენიებს, ადამიანი მასში ხსნას ხედავს, მითოლოგიაში კი ღმერთებს ადამიანის ბედი სრულიად არ აინტერესებთ. პირიქით, ისინი ზოგჯერ ადამიანებს უპირისპირდებიან, მათთეის უბედურება მოაქვთ. რელიგიური ღმერთი ზეციურ საუფლოშია, რომელიც იდუმალებით არის მოცული და ადამიანებს მხოლოდ სასწაულებს თუ მოუვლენს. მითოლოგიური ღმერთები კი დედამიწაზე ცხოერობენ; ზეესი ოლიმპოს მთაზეა და ადამიანებს ხშირად სტუმრობს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ რელიგიასა და მითოლოგიას შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობს, მითოლოგიას არაეითარი წვლილი არ მიუძღვის რელიგიის წარმოშობაში. რაც შეეხება ფილოსოფიას, მართალია, იგი მითოლოგიისაგან არ წარმოშობილა, მაგრამ ისესხა ის საკითხები, რომელზეც ზემოთ გექონდა ლაპარაკი.

რელიგიური მსოფლმხედველობა, თავის მხრივ, სხვადასხვა მსოფლმხედველობათა სახით ჩამოყალიბდა. მათ შორის ყველაზე ელემენტარულ ფორმას ანიმიზმი წარმოადგენდა, რომლის მიხედვით, მთელი ბუნება სულიერებით არის განმსჭვალული. შემდგომსა და უფრო სრულ სახეს წარმოადგენდა ანიმიზმი (ლათ. „anima" – სული), რომელიც ამტკიცებდა, რომ მთელი სამყარო სულებით არის სავსე; სულები განაგებენ არა მარტო მატერიალურ სამყაროს, არამედ ადამიანის ქცევასაც. რაგინდ მცდარიც უნდა იყოს ეს თვალსაზრისი, იგი მაინც შეიცავს ერთ გენიალურ იდეას, რომელმაც შემდგომი ეპოქების ფილოსოფიურსა და ფიზიკურ აზროენებაში ფართო ასახეა პოეა. ეს არის მატერიალური სამყაროს ინერტულობის იდეა. ანიმისტები თელიდნენ, რომ მატერიალური სამყარო მკვდარია, უსიცოცხლოა, გარეშე ძალებისაგან დამოუკიდებლად მას არ შეუძლია არც ამოძრაეება, ხოლო თუ მოძრაობს, – არც შეჩერება. ამაეე დროს ისინი ხედავდნენ, რომ ბუნებაში ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, არაფერი არ იმყოფება უძრაე, უსიცოცხლო მდგომარეობაში. საიდან უნდა ჰქონდეთ მატერიალურ სხეულებს მოძრაობისა და ცვალებადობის უნარი? ამ უნარის არსებობა, მათი აზრით, დაკავშირებულია ზებუნებრიეი ძალების, სახელდობრ, სულების არსებობასთან. მხოლოდ სულს შეუძლია მკვდარი მატერიის ამოძრაეება. აქედან კი ისინი იმ დასკენამდე მიდიოდნენ, რომ ბუნება გასულიერებულია, მატერიალურ საგნებსა და მოელენებს სებუნებრიეი სულები მართაეენ. ეს არის ანიმიზმის ძირითადი აზრი.

აღსანიშნაეია ის გარემოება, რომ მატერიის ინერტულობის იდეა, რომელიც ანიმიზმში ჩაისახა, უფრო მოგეიანებით მეცნიერულად დადასტურდა. ნიუტონის მექანიკის პირეელი კანონი, რომელიც ცნობილია ინერციის კანონის სახელწოდებით, სწორედ მატერიის ინერტულობის დასაბუთებას წარმოადგენს. აქედან კი მთელი რიგი ანტიმატერიალისტური იდეების გამოყვანა შეიძლება. იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ თუ მატერია ინერტულია (ამას ბუნებისმეცნიერება ამტკიცებს), მაშინ იგი არ შეიძლება იყოს სუბსტანცია, სამყაროს შემოქმედი, რაც იმას ნიშნავს, რომ მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც მატერიის, როგორც სუბსტანციის, ცნებიდან ამოდის, მეცნიერულ შინაარსს მოკლებულია. ეს კი, თავის მხრივ, იდეალური სუბსტანციის არსებობის იდეამდე მიგეყეანს, ხოლო საბოლოოდ – თეოლოგიამდე.

რელიგიური მსოფლმხედველობის მესამე ფორმაა პილოძოიზმი (ბერძნ. „hyle“ – ნივთიერება, მატერია; „zoe“ – სიცოცხლე), რომელიც ანიმიზმზე უფრო შორს მიდის და ამტკიცებს სიცოცხლის უნიეერსალურობას. პილოძოიზმის მიხედეით, ყეელაფერი ცოცხალია. ასე ფიქრობდნენ პირეელი მატერიალისტები, რომლებიც ისეე და ისეე მატერიის ინერტულობის იდეიდან ამოდიოდნენ. პილოძოიზმის იდეას ბეერი დამცეელი პყავდა, მათ შორის XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტებიც (დიდრო, რობინე).

რელიგიურ მსოფლმხედველობას თაედაპირეელად პოლითეიზმის (მრაეალღმერთიანობის) ხასიათი ჰქონდა. პოლითეიზმის იდეა მან მითოლოგიური მსოფლმხედველობიდან აიღო. შემდგომში პოლითეიზმი მონოთეიზმმა (ერთღმერთიანობამ) შეცვალა. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ძეელი ბერძენი ფილოსოფოსის ქსენოფანეს (VI-V სს ქრისტეს წინ) ბრძოლა პოლითეიზმის წინააღმდეგ და მონოთეიზმის იდეების დაცვა. ქსენოფანეს მონოთეისტური იდე-ები საფუძელად დაედო მონიზმის (ბერძნ. „monos“ – ერთი) წარმოშობას ფილოსოფიაში, რომელიც სამყაროს საწყისად ერთ პრინციპს მიიჩნეედა. ასეთი იყო პარმენიდეს (დაიბ. 540 ან 515 წ. ქრისტეს წინ) მოძღერება არსის, როგორც ერთადერთი პრინციპის, შესახებ. მონიზმის იდეები არა მარტო რელიგიაში შეიჭრა, არამედ ფილოსოფიური აზროენების ერთ-ერთ მამოძრაებელ ფაქტორადაც იქცა.

ქრისტიანული რელიგია მონოთეისტურია მიუხედაეად იმისა, რომ ღმერთი ერთი და სამპიროეანია: მამა, ძე და სულიწმიდა. ძე – იესო ქრისტე – ღმერთკაცია; იგი ერთმანეთთან აკაეშირებს მამა ღმერთსა და ადამიანს; შუამაეალია ღმერთსა და ადამიანს შორის იმით, რომ ორბუნებოეანია; იგი არის ღმერთიც და ადამიანიც. სწორედ ამიტომ ეწოდება მართლმადიდებელ ქრისტიანობას დიოფიზიტური – ორბუნებოეანი.

ქრისტიანული რელიგია უაღრესად პუმანურია; მისი პრინციპებია: „არა კაც პკლა“, „გიყეარდეს მტერი შენი“. ეს ნიშნაეს, რომ იგი უზენაესი ეთიკური და პუმანური პრინციპების დამცეელი და მქადაგებელია, რაც მას სხეა რელიგიური ნომინაციებისაგან განასხეაებს. ადამიანთა ცხოერება რომ ამ პრინციპებზე იყოს აგებული, მაშინ არ იარსებებდა ომები, მკვლელობები, ბოროტება. მართალია, შუა საუკუნეებში კათოლიკური იდეოლოგია ფილოსოფიაზე იყო გაბატონებული და ბეერ ბოროტებასაც სჩადიოდა – კოცონზე წეაედნენ განსხეაებულად მოაზროენე ადამიანებს, – მაგრამ ამაში ბრალი თეითონ ქრისტიანულ რელიგიას კი არ მიუძღეის, არამედ მათ, ეინც ამ უაღრესად პუმანური რელიგიური მოძღერების სახელით ასეე უაღრესად ანტიპუმანურ აქტებს სჩადიოდნენ.

საერთოდ, რელიგიის მნიშენელობა სოციალურ სფეროში იმაში მდგომარეობს, რომ იგი წინ აღუდგეს ბოროტებას, ცოდეებისაგან იხსნას ადამიანები, დაამყაროს მშეიდობა და სათნოება საზოგადოებრივ ცხოერებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანები იშეიათად იცაეენ რელიგიურ დოგმებს ან ისე განმარტაეენ მათ, როგორც მათთეისაა ხელსაყრელი.

რელიგია და ფილოსოფია – რწმენა და ცოდნა – ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხეაედება და მაოი ერთმანეთში აღრეა შეუძლებელია. მიუხედაეად ამ პრინციპული განსხეაებისა, რელიგიას ფილოსოფიური საფუძელები აქეს. არსებობს რელიგიის ფილოსოფია, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური დისციპლინა. რელიგიისა და ფილოსოფიის კაეშირი განსაკუთრებით აშკარა გახდა მეოცე საუკუნის კოსმოლოგიური აღმოჩენების შედეგად, რომელმაც ახეენა რელიგიური და მეცნიერული (კოსმოლოგიური) კრეაციონიზმის (არაფრისაგან ყეელაფრის შექმნა) იდეების თანხედენა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და აქ მისი განხილეისაგან თაეს შეეიკაებთ.

დასასრულ აღენიშნაეთ, რომ მსოფლმხედველობა არ არის უცვლელი, ინერტული. ხშირად ყოეელ ეპოქას თაეისი მსოფლმხედველობა აქეს. ბუნებრიეია, რომ თანამედროეე ადამიანის მსოფლმხედველობა ანტიკური ეპოქის მსოფლმხედველობისაგან პრინციპულად განსხეაედება.

ამრიგად, ფილოსოფიაც, მითოლოგიაც და რელიგიაც არის მსოფლმხედველობა ანუ არსებობს ფილოსოფიური, მითოლოგიური და რელიგიური მსოფლმხედველობანი. მიუხედაეად ამ საერთო ნიშნისა, მათ შორის პრინციპული განსხეაებაა. მითოლოგიური და რელიგიური მსოფლმხედველობების მსგაესება-განსხეაების შესახებ უკეე გექონდა ლაპარაკი. მსგაესება ის არის, რომ ორიეე მსოფლმხედველობაა, არც ერთი ცოდნას არ წარმოადგენს, რწმენის სფეროა. ფილოსოფია კი ორიეე მათგანისაგან იმით განსხეაედება, რომ იგი ცოდნის და არა რწმენის დარგია, დასაბუთებული სისტემაა.

ახლა ენახოთ, თუ რას ნიშნაეს „ფილოსოფია“, როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობა, როგორია ფილოსოფიისა და მეცნიერებათა ურთიერთობა.

ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთობის შესახებ ფილოსოფიის ისტორიაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფცია ჩამოყალიბდა, რომელთაგან ორიეე მცდარია. პირველი კონცეფციის მიხედვით, ფილოსოფია არა მარტო თვითონ არ არის მეცნიერება, არამედ მეცნიერების არსებობას საერთოდ არ საჭიროებს. მეცნიერების ცნების ქვეშ ამ შემთხვევაში სპეციალურ, კონკრეტულ მეცნიერებებს გულისხმობენ, მაგალითად, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და, საერთოდ, ყველა მეცნიერებას გარდა ფილოსოფიისა. ამ კონცეფციის ავტორები და თანამოაზრენი ფილოსოფიასა და მეცნიერებას ერთმანეთისაგან წყვეტენ, თვლიან, რომ ფილოსოფიას შეუძლია მეცნიერებისაგან იზოლირებულად სინამდვილის შემეცნება; იგი სპეციალურ მეცნიერებებზე მაღლა დგას ანუ, როგორც ამბობდნენ, ფილოსოფია არის მეცნიერებათა დედოფალი, ხოლო მეცნიერებანი მისი მხევლებია. ისე, როგორც დედოფალი დამოუკიდებელია მხევლებისაგან, მაგრამ მხევლები დამოკიდებული არიან დედოფალზე, ასევე სპეციალური მეცნიერებანი საჭიროებენ ფილოსოფიას, მაგრამ ეს უკანასკნელი მათ არ საჭიროებს. ფილოსოფია სინამდვილის კანონზომიერებას მარტოოდენ გონებრივი, ლოგიკური ოპერაციების საშუალებით იმეცნებს. ამიტომ ეწოდება ამ კონცეფციას სპეკულაციური ანუ გონებაჭერეტითი. ერთი სიტყვით, სპეკულაციური ფილოსოფია უზომოდ განადიდებდა ფილოსოფიის როლს შემეცნების პროცესში, ხოლო, შესაბამისად, ამცირებდა სპეციალური მეცნიერებების მნიშვნელობას.

ეს კონცეფცია დასაბამს ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში იღებს. თვითონ სიტყვა „ფილოსოფია“ ანუ „სიბრძნის სიყვარული“ ამაზე მეტყველებს. ფილოსოფოსები, როგორც სიბრძნის მოყვარულნი, ამ კონცეფციის დამცველთა აზრით, სხვა ადამიანებზე მაღლა დგანან, ეინაიდან ისინი სხვაზე უფრო ახლოს არიან ღმერთთან, რომელიც ერთადერთი ბრძენია. სპეკულაციური ფილოსოფია განსაკუთრებით შუა საუკუნეებში გავრცელდა, ე. ი. როცა რელიგიური იდეოლოგია მეცნიერებაზე მაღლა იდგა, რწმენა ცოდნაზე იყო გაბატონებული. მაგრამ ამ კონცეფციას მომხრეები არც ახალ დროში მოჰკლებია. მას სხვადასხვა მეტნაკლებობით იცავდნენ გერმანელი ფილოსოფოსები: ფიხტე (1762-1814), შელინგი (1775-1854) და ჰეგელი. ერთი ფილოსოფოსი (ოსტვალდი) ირონიულად შენიშნაედა შელინგის ბუნების ფილოსოფიის შესახებ, რომ შელინგს სურს თავის გრძნობებსა და აზრებში ჩაძირეით შეიმეცნოს აქლემის არსება ისე, რომ ცოცხალი აქლემი არ ნახოსო.

სპეკულაციური ფილოსოფიის მთავარ შეცდომას სპეციალური მეცნიერებისაგან განკერძოება წარმოადგენს. შეუძლებელია ობიექტური სინამდვილის კანონზომიერების შემეცნება სპეციალური მეცნიერებების შედეგების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ამ კანონზომიერებას სპეციალურად სწავლობს. ფილოსოფიის კავშირი გარე სამყაროსთან სპეციალური მეცნიერებებით არის გაშუალებული. მაგალითად, ასტრონომიის ცოდნის გარეშე ფილოსოფიას არ შეუძლია იმსჯელოს ციური სხეულის მოძრაობის შესახებ ან ქიმიის ცოდნის გარეშე სხეულების ქიმიური შემადგენლობის შესახებ და ასე შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიისა და სპეციალური მეცნიერებების ერთმანეთისაგან მოწყვეტა შეუძლებელია.

მეორე უკიდურესობას ფილოსოფიისა და სპეციალური მეცნიერებების ურთიერთობის სფეროში ქმნის ე. წ. სციენტიზმი (წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან scientia – მეცნიერება). როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, სციენტიზმი აზვიადებს მეცნიერების როლს სინამდვილის შემეცნების პროცესში, ხოლო შესაბამისად ამცირებს, ხშირ შემთხვევაში კიდეც უარყოფს ფილოსოფიის შემეცნებით ღირებულებას. სციენტიზმის პოზიციებზე დგას ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ცნობილია პოზიტივიზმისა და ნეოპოზიტივიზმის სახელწოდებით. სიტყვა „პოზიტივიზმი“ წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან „positivus“, რაც ნიშნავს „დადებითს“. ამ შემთხვევაში მხედველობაშია დადებითი ანუ სპეციალური, კონკრეტული მეცნიერებანი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ), რომელთაც ამ ფილოსოფიური მიმართულების მიმდევრები უსენაეს ცოდნად თვლიან, ხოლო ფილოსოფიის დამოუკიდებლობას უარყოფენ. მათი აზრით, ფილოსოფიას არა აქვს არც საკუთარი პრობლემები და არც მათი გადაჭრის გზები; ფილოსოფიამ უნდა იხელმძღვანელოს სპეციალური მეცნიერებების მეთოდებით; ფილოსოფია სხვა არაფერია გარდა სპეციალურ-მეცნიერული კვლევის შედეგების ლოგიკური ანალიზისა. ამიტომ ფილოსოფია, პოზიტივისტების აზრით, არ არის დამოუკიდებელი ცოდნის დარგი. იგი „სპეციალურ მეცნიერებებშია დაეანებული“, – ასე წერდა XX საუკუნის პოზიტივისტური (ნეოპოზიტივისტური) მიმართულების ფუძემდებელი მო-

რიც შლიკი (1882-1936). ეს არის ფილოსოფიის წინააღმდეგ მიმართული სციენტისტური პოზიცია, რომელიც პოზიტივიზმის ნებისმიერ სახეობასა და ნებისმიერი წარმომადგენლის აზროვნებას ახასიათებს.

პოზიტივიზმი და, საერთოდ, სციენტიზმი მართალია, როდესაც ამტკიცებდა, რომ ფილოსოფიამ უნდა გამოიყენოს სპეციალურ მეცნიერებათა მიღწევები, უნდა მოახდინოს მათი ლოგიკური ანალიზი, მაგრამ იგი არ არის მართალი, როცა ფილოსოფიის რიგი მეცნიერების შედეგების ლოგიკურ ანალიზამდე დაჰყავს. მეცნიერების ლოგიკური ანალიზი ფილოსოფიის მიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ – სინამდვილის უზენაესი კანონზომიერების ანუ სუბსტანციური არსების შემეცნების საშუალებას. ფილოსოფია გაანალიზებს მეცნიერების მონაცემებს და მის საფუძველზე დაასკვნის (აღმოაჩენს) ისეთ რაიმეს, რაც სპეციალურ მეცნიერებებს არ აღმოუჩენიათ – სინამდვილის სუბსტანციური არსების უზოგადეს კანონზომიერებას. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიას აქვს სპეციალური მეცნიერებებისაგან განსხვავებული საგანი, რაც მის დამოუკიდებლობას ნიშნავს.

ადრეული ანტიკურობის ეპოქაში ფილოსოფია და სპეციალურ-მეცნიერული ცოდნა არ იყო ერთმანეთისაგან დიფერენცირებული. სიბრძნეს უწოდებდნენ ნებისმიერ ცოდნას – როგორც ფილოსოფიურს, ასევე არაფილოსოფიურს. პირველი ბერძენი ფილოსოფოსები წერდნენ წიგნებს სახელწოდებით „ბუნების შესახებ“, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ნებისმიერი ცოდნა ბუნების შესახებ და ყველა მათგანი ფილოსოფიად იყო მიჩნეული. მეცნიერების გამოყოფა ფილოსოფიისაგან გეიანდელი ამბავია, რაც დაკავშირებული იყო როგორც ფილოსოფიური, ასევე სპეციალურ-მეცნიერული ცოდნის დაგროვებასთან, განვითარებასთან. ფილოსოფიას, რომელიც მოიცავდა მთელ ცოდნას სინამდვილის შესახებ, გამოეყო ამ სინამდვილის ცალკეული სფეროების შემსწავლელი მეცნიერებანი; ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლა ფიზიკამ დაიწყო, ქიმიური პროცესებისა – ქიმიამ, სიცოცხლის მოვლენებისა – ბიოლოგიამ და ა. შ. ასე დაინაწილეს სპეციალურმა მეცნიერებებმა ბუნება, მთელი სინამდვილე, რომელსაც მანამდე მხოლოდ ფილოსოფია სწავლობდა. ამის შედეგად ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს ფილოსოფია უსაგნოდ დარჩა. ერთმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ფილოსოფია შექსპირის ტრაგედიის მთავარ გმირს მეფე ლირს შეადარა, რომელმაც მთელი სამეფო და ძალაუფლება ქალიშვილებს მისცა, ხოლო მას მარტოოდენ მეფის წოდება შერჩა. თუ ფილოსოფიას აღარ აქვს შესწავლის საგანი, მაშინ მისი არსებობა შეუძლებელი და გაუმართლებელი იქნება.

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. მართალია, თითქმის ყველა სპეციალური მეცნიერება ფილოსოფიიდან წარმოიშვა, ფილოსოფიას გამოეყო, მაგრამ ამით ფილოსოფია ოდნავადაც არ დაზარალებულა. სპეციალურმა მეცნიერებებმა წაიღეს ის, რაც მათ ეკუთვნოდათ. ფიზიკური სინამდვილის შესწავლა არ იყო ფილოსოფიის საქმე; ასევე ითქმის ქიმიურ, ბიოლოგიურ, ასტრონომიულ და სხვა ბუნებრივ მოვლენებზე. ამ დიფერენციაციის ანუ სპეციალურ მეცნიერებათა გამოყოფის შემდეგ ფილოსოფიას დარჩა ის, რაც სწორედ მას ეკუთვნოდა და რასაც მეცნიერებები ვერ შეისწავლიდნენ – ეს არის მთელი სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერება, სუბსტანციური არსება, რასაც იგი სპეციალურ მეცნიერებათა მიღწევების ფილოსოფიური განზოგადების შედეგად ადგენს. ასე რომ, ფილოსოფია უსაგნოდ არ დარჩენილა და არც მისი არსებობა და კანონზომიერება დასმულა ეჭვქვეშ.

გერმანელი ფილოსოფოსები ე. ვინდელბანდი (1848-1915) და ჰ. რიკერტი (1863-1936) თვლიდნენ, რომ ფილოსოფიის საგანია ღირებულება. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიას, მათი აზრით, საქმე აქვს არა ობიექტურ სინამდვილესთან, არამედ ამ სინამდვილის შეფასებასთან, სუბიექტურ ფერომენებთან. ღირებულება მართლაც არის ფილოსოფიის შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი (ამის შესახებ ამ წიგნის ცალკე თავში გვექნება მსჯელობა), მაგრამ მისი საგანი ამით არ ამოიწურება. ფილოსოფიის ერთ-ერთ ცენტრალურ დარგს ონტოლოგია – არსზე მოძღვრება – წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიის შესწავლის სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე ზემოაღნიშნულ ფილოსოფოსებს წარმოედგინათ.

დაობენ იმის შესახებ, არის თუ არა ფილოსოფია მეცნიერება. ზოგიერთი ფილოსოფოსი თვლის, რომ ფილოსოფია არ არის მეცნიერება. ძირითად არგუმენტად ის მოაქვთ, რომ მეცნიერება აგურ-აგურ შენდება. ყოველი მეცნიერი განაგრძობს იმ გზას, რაც მისმა წინამორბედმა გაიარა; ფილოსოფიაში კი თითქოს არაფითარი მემკვიდრეობა

არ არის. ყველა ფილოსოფოსი თავიდან იწყებს საქმეს. მოკლედ ვიტყვით, რომ ეს არგუმენტი ფაქტობრივ ვითარებას ეწინააღმდეგება. ერთი მხრივ, სპეციალურ მეცნიერებებშიც ხდება რევოლუცია. კოპერნიკმა (1473-1543) დაანგრია პტოლემეს (II ს.) გეოცენტრული სისტემა; აინშტაინმა უარყო ნიუტონის წარმოდგენები სივრცისა და დროის შესახებ; ნ. ლობაჩევსკიმ (1792-1856) უარყო ევკლიდური გეომეტრიის პარალელობის აქსიომა და ა. შ. მაშასადამე, მეცნიერები უკრიტიკოდ როდი იღებენ წინამორბედების ნააზრევს. მეორე მხრივ, ფაქტია ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაც; დღევანდელი ფილოსოფიური აზროვნება იმ დონეზე როდი დგას, რა დონეზეც 20-25 საუკუნის წინ იდგა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული არგუმენტი ფილოსოფიის მეცნიერულობას ვერ უარყოფს. თუ ფილოსოფია არ არის მეცნიერება, მაშინ რა არის იგი: მითოლოგიური ან რელიგიური მსოფლმხედველობა? ცხადია, არც ერთი. ფილოსოფია არის მეცნიერება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ფილოსოფია ისეთივე მეცნიერებაა, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია ან სხვა რომელიმე სპეციალური მეცნიერება. პრინციპულად განსხვავებულია მისი საგანიც და ამ საგნის ფილოსოფიური კვლევის შედეგები. ფილოსოფია თავისი სიღრმითა და ზოგადობით ყველა მეცნიერებაზე მაღლა დგას. „ყველა მეცნიერება საჭიროა, ვიდრე ის, მაგრამ მასზე უკეთესი არც ერთი არ არის“ (არისტოტელე).

ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, ცნებაში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ იგი არის ცოდნის დარგი, მეცნიერულად დასაბუთებული ლოგიკური სისტემა. ვინც უარყოფს იმას, რომ ფილოსოფია არის მეცნიერება, ცოდნის დარგი, ფაქტობრივად, საერთოდ უარყოფს ფილოსოფიას, რაც სრულიად გაუმართლებელია.

დასასრულ, ძალიან მოკლედ ფილოსოფიისა და იდეოლოგიის დამოკიდებულების შესახებ.

იდეოლოგია (ბერძნ. „idea“ და „logos“ – მოძღვრება) არის იდეებისა და შეხედულებების სისტემა, რომელიც ასახავს ადამიანთა ურთიერთობას ბუნებრივსა და სოციალურ გარემოსთან, აგრეთვე ურთიერთშორის. იგი ყოველთვის რომელიმე საზოგადოების, კლასის, სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება, განამტკიცებს მის პოზიციას, წარმოადგენს მის თეორიულ საფუძველს.

ეს ნიშნავს, რომ იდეოლოგიას ჭეშმარიტების საკითხი საერთოდ არ აინტერესებს ან მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იმ მიზნისათვის გამოადგება, რასაც იგი ემსახურება. აქ აშკარად ჩანს უკვე ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების და იდეოლოგიის განსხვავება. მეცნიერების მიზანი ვინმეს სამსახური როდია; მის მიზანს მარტოოდენ ჭეშმარიტების შემეცნება წარმოადგენს. თუ მეცნიერებას რომელიმე საზოგადოება, სახელწიფო ან გაბატონებული კლასი იყენებს (რაც ხშირად ხდება), ეს მეცნიერების ბრალი არ არის. მეორე მსოფლიო ომში ფიზიკოსების აღმოჩენები ატომურ ფიზიკაში სახელწიფოთა მეთაურებმა დაისაკუთრეს და ადამიანთა გასაჟლეტად გამოიყენეს (ჰიროსიმა, ნაგასაკი), მაგრამ ფიზიკა ამ შემთხვევაში უძლურია. იგი სრულიად უდანაშაულოა.

შეიძლება თუ არა საზოგადოების არსებობა იდეო-ლოგიის გარეშე? – არა, არ შეიძლება. იდეოლოგია ხომ იდეების სისტემაა, რომლის გარეშე არც ერთი ცივილი-ზებული საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს! გააჩნია, ვის ემსახურება ეს იდეოლოგია. თუ მას სახელწიფო თავისი ბატონობის იარაღად იყენებს, როგორც ეს ხდებოდა ფაშისტურ და კომუნისტურ სახელწიფოებში, მაშინ იგი დასაგმობია და ასეთი იდეოლოგია მართლაც უარყოფას იმსახურებს. სულ სხვაა ის იდეოლოგია, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. მის გარეშე არც ერთი საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს.


არსებობს დეიდეოლოგიზაციის ანუ იდეოლოგიის მარწუხებისაგან განთავისუფლების იდეა. იგი უარყოფს ისეთ იდეოლოგიას, რომელიც სახელმწიფოს სამსახურში დგას. ამგვარი დეიდეოლოგიზაციის იდეა უთუოდ პროგრესული და მისაღებია, მაგრამ იგი არაეითარ შემთხვევაში არ უნდა გაიგოთ, როგორც, საერთოდ, იდეოლოგიის უარყოფა.

სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები

ეთნოგრაფია

ძველ ბერძნულ ენაზე „ეთნოს“ – ხალხს, ხოლო „გრაფო“ – წერას ნიშნავს. სიტყვასიტყვით „ხალხის აღწერა.“

ეთნოგრაფია ისტორიის ნაწილია, რომელიც ეთნოსების წარმოშობას (ეთნოგენეზი), შემადგენლობას, განსახლებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებებსა და მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშებს შეისწავლის. ამ საქმიანობით ადამიანები უხსოვარი დროიდან იყვნენ დაკავებული (ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები, საბერძნეთი და რომი).



ეთნოგრაფი და პიგმეელთა ტომის შამანი

ეთნოგრაფიაში მრავალი საინტერესო თეორიული მიმართულების სკოლა არსებობს. მათგან საყურადღებოა: ევოლუციონისტური სკოლა (ტეილორი, ფრეზერი, მორგანი, ბახოფენი, სპენსერი და სხვები), რომლის ცენტრალური კატეგორია ადამიანია; მისგან განსხვავებით, ფუნქციონალისტური (მალინოვსკი, რედკლიფ-ბრაუნი და სხვები) და კულტურანთროპოლოგიური (ფორბენიუსი, მიდი და სხვები) სკოლები აქცენტს კულტურაზე აკეთებენ. მათგან განსხვავდება სოციოლოგიური სკოლა, რომლის წარმომადგენელია სოციოლოგიის კლასიკოსი ემილ დიურკემი. სოციოლოგიიდან ეთნოგრაფიაში გადმოვიდა დიურკემის „კოლექტიური წარმოდგენების“ ცნება. მასში დიურკემი ერთი და იმავე საზოგადოების წევრებისათვის სისტემის სახით ჩამოყალიბებულ საერთო რწმენა-წარმოდგენებს გულისხმობდა, რომლებიც პიროვნების გამოცდილებიდან კი არა, სოციუმიდან მომდინარეობენ და სოციუმში ადამიანთა მოქმედებას წარმართავენ. ეთნოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა აგრეთვე დიურკემის მიერ შემოღებული „საკრალურისა“ და „პროფანულის“ ცნებებიც. ეთნოგრაფიის ამერიკული სკოლიდან აღსანიშნავია ფ. ბოასის სამეცნიერო მოღვაწეობა; ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ე. წ. ფსიქორასისტული თეორია, რომლის წამომადგენლებად ფროიდი და იუნგი ითვლებიან.



ფროიდის მიხედვით, კულტურის წამოშობა „პირველყოფილი მამის“ მკვლელობასთანაა დაკავშირებული. თავის ნაშრომში „ტოტემი და ტაბუ“ იგი ოდიპოსური მდგომარეობისაგან შორს მყოფ სურათს ხატავს: პირველყოფილ თემში ყველა ქალს დესპოტი მამა ფლობს და თავის ვაჟიშვილებს მათთან მიკარების საშუალებას არ აძლევს. ეს დაძაბულობა საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ შვილები მამას კლავენ და ჭამენ, თუმცა შემდგომში ისინი გააცნობიერებენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და სისხლის აღრევისა და ინცესტს ტაბუს დაადებენ. ფროიდის ფსიქოანალიზური კონცეფციით, ორიდე სახის აკრძალვა „ოიდიპოსის კომპლექსის“ წარმომშობი მიზეზი ხდება შემდგომში. იგი ადამიანებს მემკვიდრეობით გადაეცემა და კულტურის საფუძველს წარმოადგენს. ტოტემიზმის დროიდან მოყოლებული, კულტურა აკრძალვებისა და ნორმების კომპლექსს წარმოადგენს, რომელშიც ოდიპოსური ფსიქოლოგიური კონფლიქტი თელემს. ამ მოვლენარე პირველყოფილი სექსუალური მისწრაფებების მაკონტროლებლის როლში ცნობიერება, განსჯა და ბავშვობიდან შეთვისებული

კულტურული ნორმები გვეელინება, იგი ფსიქიკის არაცნობიერ ძალებს არ აძლევს საშუალებას დაარღვიოს ტაბუ და აკაებს მას. ამიტომ, რაც უფრო მაღალია კულტურის განვითარების დონე, მით უფრო რთულდება სოციალური ქცევა, რასაც ვერ უძლებს ფსიქიკა და აქედან იღებს სათაეეს აგრესია, ომები, რეეოლუციები, დანაშაული, სხეა ნეგატიური მოელენები და პროცესები. ფროიდის მიხედვით, კულტურული პროცესები სასიცოცხლო-ბიოლოგიური პროცესების განსაკუთრებული სახეა, რომელიც დიონისესა და ეროსის მიერ დასახული გეგმით მიმდინარეობს, რომელსაც ხელს უშლის საზოგადოებრივი აზრი და სოციალური აუცილებლობა. ეთნოგრაფიული ასპექტით საინტერესოა აგრეთვე ფროიდის მიმდეერის იუნგის იდეები სიზმრებთან და ზღაპრებთან დაკავშირებით.

ეთნოგრაფია ყველაზე ახლოს სოციოლოგიასთან არის. მათ არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კავშირ-ურთიერთობა აქეთ. ეთნოგრაფები თაეიანთ გამოკეეეებში სოციოლოგიის ისეთ მეთოდებს მიმართაეენ, როგორებიცაა: გამოკითხვა (ანკეტირება, ინტერვიუ და სხვა), დაკეირეება, შედარებით-ფუნქციონალისტური ანალიზი და სხე. ამ ორი მეცნიერების კავშირის შედეგია ეთნოსოციოლოგიის არსებობა.

ეთნოსოციოლოგია

ეთნოსოციოლოგია სოციოლოგიის დარგია, რომელიც ეთნიკური ჯგუფების სოციალურ პარამეტრებს შეისწაელის. კერძოდ, მას აინტერესებს ეთნიკური ჯგუფების იდენტობისა და თეითორგანიზების სოციალური თაეისებურებების შესწაელა, მათი ერთობლიეი მოქმედების ანალიზი და ა. შ.

ეთნოსოციოლოგები იკელეეენ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: ეთნიკური ფაქტორების გაელენა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასა და მოსახლეობის მიგრაციაზე; ეთნიკური კუთენილების გათეალისწინებით შრომითი და სხეა რესურსების რაციონალური განაწილების საკითხები; ეროენული თეითცნობიერების სოციალური დეტერმინირებულობა; ეთნოკონფლიქტების სოციალური თაეისებურებები; ეთნიკური ღირებულებითი ორიენტაციები, ქცევის სტერეოტიპები და ა. შ.

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები



პიერ ბურდიე
(1930-2002)

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი. პოსტსტრუქტურალისტური სოციალური თეორიის წარმომადგენელი. „სოციალური ეელისა (ფრ. **champ**) და პაბიტუსის" თეორიის აეტორი. პოლიტიკის სოციოლოგიის აღიარებული მკელეარი.

V ლექცია

თემა: სოციოლოგიის მეთოდები

მეთოდის გარეშე არც ერთი მეცნიერება არ არსებობს. სიტყვა „მეთოდი" ბერძნული სიტყვიდან – „მეთოდოს-იდან" მომდინარეობს და შემეცნების, კვლევის გზას, საშუალებას ნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები სიტყვა „მეთოდოლოგია" – მეთოდების შემსწავლელი სპეციალური მეცნიერება. იმდენად, რამდენადაც სოციოლოგიის მიზანი საზოგადოების შესწავლაა, ბუნებრივია, მას ამ მიზნის მიღწევის გზები და საშუალებებიც გააჩნია, რომლებიც სოციოლოგიის მეთოდებს შეადგენენ.

მეცნიერული კვლევის საერთო მეთოდები:

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სოციოლოგიური კვლევა-ძიება სულ მცირე ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებს; ესენია თეორიული და ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევები.

თეორიულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შემთხვევაში სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, იმ მეთოდებით სარგებლობს, რომლებიც მეცნიერულ შემეცნებაშია დამკვიდრებული. ამიტომ ყველა სხვა მეცნიერების მსგავსად თეორიული სოციოლოგია ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს იყენებს. ანალიზის საშუალებით ნებისმიერი დონის სოციალურ სტრუქტურას ან სისტემას აზრობრივად ვშლით, რის შემდეგაც მათი შემადგენელი ელემენტების ცალკეულ ნიშნებსა და თვისებურებებს ვადგენთ; ანალიზის შედეგად მიღებულ ცოდნას ჭეშმარიტი ღირებულება მაშინ აქვს, როდესაც, ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, დადგენილი იქნება სოციალური სტრუქტურის ელემენტების მთლიანი მნიშვნელობა, რაც სინთეზის გზით მიიღება. ანალიზის მეშვეობით მოპოვებულის სინთეზირება შესასწავლი საგნის შესახებ სრულყოფილი ცოდნის მიღების აუცილებელი პირობაა. ანალიზისა და სინთეზის გზით მიღებულ თეორიულ ცოდნას სოციოლოგი ერთეული ფაქტიდან მის მსგავს ყველა სხვა დანარჩენ ფაქტზე გაავრცელებს, რასაც განზოგადება ჰქვია. ამ აზრით, თეორიული ცოდნა ზოგადობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

თეორიულ-სოციოლოგიური კვლევის არსენალშია აგრეთვე მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ცდა, დაკვირვება და ექსპერიმენტი. ცდის საშუალებით სოციალური რეალობა განიხილება, როგორც ემპირიული მოცემულობა. ეს სოციალური სინამდვილის გრძნობად მოცემულობაზე დაყრდნობით შეცნობას ნიშნავს. დაკვირვება სოციალური სინამდვილის უშუალო აღქმას წარმოადგენს. შესასწავლი საგნის შესახებ, როგორც წესი, პირველად ინფორმაციას დაკვირვება გვაძლევს ხოლმე. ექსპერიმენტი კი სოციალური ობიექტების ხელოვნურად შექმნილი, დაყენებული პირობების მიხედვით შემეცნების საშუალებას იძლევა. ლათინური **experimentum** -გამოცდა საინტერესო სოციალური მოვლენის გამოკვლევას, მასზე საგანგებო დაკვირვებას ნიშნავს, ოღონდ ამისათვის მკვლევარი სოციალური ობიექტის ისეთ ნიმუშს ქმნის, რომელიც თვითონ აინტერესებს და შემდეგ აკვირდება მას. იგი დაკვირვებისაგან იმით განსხვავდება, რომ შესასწავლ ობიექტზე ა'სრობრივი ზეგავლენის მოხდენას ითვალისწინებს, რაც, თავის მხრივ, აქტიურობით ხასიათდება. ექსპერიმენტი იმითაა კარგი, რომ მისი განმეორებაა შესაძლებელი. იგი უშუალობისა და სიზუსტის მაღალი ხარისხითაც გამოირჩევა. ამ მეთოდის სერიო'სული ნაკლია ის, რომ ცდის პირი არაბუნებრივ გარემოში მოხვედრისას დაბა'ბულია ხოლმე, ამიტომ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ე. წ. „ბუნებრივი ექსპერიმენტის" დაყენებით ცდილობენ. ამ შემთხვევა'ში ექსპერიმენტული სიტუაცია ცდის პირისათვის რეალური გარემოს მსგავსად ბუნებრივია.

დაკვირვება, როგორც წესი, წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით გეგმა'ზომიერად და კანონსომიერად ხორციელდება, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია დაკვირვებლის ღირებულებითი ორიენტაცია, ემოციური მდგომარეობა, ამიტომ მისი განმეორების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია. დაკვირვება არ მეორდება. იგი მოცემულ დროსა და სივრცე'ში განხორციელებული ერთჯერადი პროცესია. მეცნიერებაში ფართულებრივ სხვადასხვა სახის დაკვირვებას გამოიყენენ, მაგალითად, სტრუქტურალი'ებულს (კონტროლს დაქვემდებარებულს) და არასტრუქტურალი'ებულს (კონტროლს დაუქვემდებარებელს); თუკი შესასწავლი ჯგუფის საქმიანობა'ში სოციოლოგიც მონაწილეობს, ისე რომ ამის შესახებ ჯგუფის სხვა წევრებმა არაფერი არ იციან, მაშინ პარიულ დაკვირვებასთან

გვაქვს საქმე. რეგულარობის მიხედვით არჩევენ სისტემატურ და შემთხვევით დაკვირვებებს; ორგანიზაციის პირობების მიხედვით – ლაბორატორიულ და საველე დაკვირვებებს და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც შესაცნობი საგანი ცდასა და დაკვირვებაში არ არის მოცემული, სოციოლოგები მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდის – მოდელირების გამოყენებას მიმართავენ. თეორიული „მოდელი" შესასწავლი საგნის თითქმის ყველა ნიშან-თვისების მატარებელია.

მეცნიერული სოციოლოგიური გამოკვლევა ჰიპოთეზების შემუშავებით იწყება. ჰიპოთეზა ბერძნულად საფუძველს, ვარაუდს ნიშნავს. ჰიპოთეზა მოვლენის მიზეზის შესახებ სარწმუნო ვარაუდია, რომელსაც დასკვნის სახე შეიძლება ჰქონდეს. მისი საჭიროება მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სოციალური პრობლემის მიზეზი უცნობია, თუმცა მისი წინამორბედი მრავალი გარემოებაა ცნობილი. ჰიპოთეზის წამოყენება მხოლოდ პირველი ნაბიჯია მეცნიერულ კვლევაში. ამის შემდეგ მისი დასაბუთებაა საჭირო. ჰიპოთეზის წამოყენების წესი ასეთია: ა) იგი თანხმობაში უნდა იყოს ყველა იმ მოვლენასთან, რომელსაც ის ეხება; ბ) რიგი ფაქტების ასახსნელად წამოყენებული ჰიპოთეზებიდან მისაღებია ის, რომელიც ხსნის ჰიპოთეზათა რაოდენობას. მას სამუშაო ჰიპოთეზა ეწოდება; გ) უნდა გაცნობიერებული გვქონდეს, რომ ჰიპოთეზური დასკვნები ალბათური ბუნების მქონეა; ჰიპოთეზა ძირითადად ორი სახისაა: ინდუქციური – ფაქტობრივი სინამდვილის დაკვირვებიდან მომდინარე და დედუქციური – მოვლენის შესახებ ცოდნის ახლებური გააზრებიდან მომდინარე. ჰიპოთეზების შემუშავება სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ზოგადად, პრობლემა რაიმე ნიშნის მიხედვით განისაზღვრება. რეალური გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მისი შედარება ხდება მის ჰიპოთეტურ მოდელთან, რაც, ფაქტობრივად, ჰიპოთეზის შემოწმებასა და დასკვნების გაკეთებას გულისხმობს. კვლევის შედეგად მიღებული საშუალო მნიშვნელობა ნორმატიულ მნიშვნელობას უდარდება და თუ მათ შორის სხვაობა აღმოჩნდება, მაშინ ადგილი აქვს პრობლემას. ჩვეულებრივ, სოციოლოგიაში ძირითადად სამი სახის ჰიპოთეზაა ცნობილი: 1) ჰიპოთეზები რაოდენობრივ მიმართებებზე; 2) ახსნითი ჰიპოთეზები, სოციალური სისტემის ელემენტთა მნიშვნელობების გამოვლინებაზე მიმართული; 3) მაპროგნოზირებელი ჰიპოთეზები.

მეცნიერული კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდები:

ზემოთ საუბარი იყო იმ მეთოდებზე, რომელნიც სოციოლოგიას მეცნიერების ყველა დარგთან საერთო აქვს. ამასთანავე იგი ისეთი მეთოდებითაც სარგებლობს, რომლებსაც მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერება იყენებს. ასეთად შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდი ითვლება. სოციოლოგიასთან ერთად მას ფართოდ იყენებენ ისტორია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება, კულტუროლოგია და სხვ. სოციოლოგია მას შესასწავლი ობიექტების საერთო და განსხვავებული ნიშან-თვისებების, აგრეთვე განმასხვავებელი თვისებურებებისა და ურთიერთშედარებისათვის იყენებს. იგი სახვადასხვა ეპოქების სოციალური პირობების შედარების და მისი ცვალებადობის კანონზომიერებათა დადგენის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე შედარებით-სტატისტიკური მეთოდიც. იგი იდეალური საშუალებაა მასობრივი სოციალური მოვლენების რაოდენობრივი თანაფარდობების ურთიერთშეჯერების გზით კვლევის საქმეში. მართალია, იგი ღიად ტოვებს სოციალური მოვლენების მუდმივი რიცხობრივი თანაფარდობების დეტერმინაციის საკითხს, მაგრამ რიცხობრივ თანაფარდობათა დადგენის გზით თვისებრივ თანაფარდობებამდე მისვლის ფაქტი სოციოლოგიურ გამოკვლევას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

სოციოლოგიის სპეციფიკური მეთოდები:

სოციოლოგიის სპეციფიკური მეთოდები იმ წესებისა და პროცედურების ერთობლიობაა, რომელთაც მხოლოდ სოციოლოგია იყენებს და სხვა მეცნიერებებში სოციოლოგიიდან არის ნასესხები.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივად და თვისებრივად. რაოდენობრივ მეთოდებს მიეკუთვნება მასობრივი და სხვა სახის გამოკითხვა. ისინი ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევაზე არიან ორიენტირებული, როგორიცაა ამა თუ იმ სოციალური ფაქტის თუ მოვლენის გამოვლენის სიხშირე. რაოდენობრივი კვლევა სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით ტარდება. გარდა რაოდენობრივი მახასიათებლებისა, სოციალურ ფაქტებსა და პროცესებს თვისებრივი მხარეც გააჩნია. შესაბამისად, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები სოციალური სინამდვილის ამ

მხარის კელეეაზეა ორიენტირებული. სოციოლოგიური კელეეის თეისებრივი მეთოდები სხვადასხეა კელეეითი ტექნიკისა და სტრატეგიის მატარებელია. მაგალითად, იგი შეიძლება მოიცაედეს ინტერვიუს, დაკეირეებას, მიხოგრაფიულ გამოკელეევას, შემთხვეევის ანალიზს, ფოკუს-ჯგუფს და ა. შ.

თანამედროეე სოციოლოგიური კელეეის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება შერჩეეითი კელეეაა. იგი სოციოლოგის მიერ სპეციალურად შერჩეული სოციალური ობიექტების შესწაელის გზით საჭირო ინფორმაციის მოპოეებას გულისხმობს. შერჩეევის დროს გარკეეული სოციალური ჯგუფიდან კელეეისათეის ცალკეული ერთეულები გამოიყოფა, რომელსაც უშუალოდ ეხება კელეეა. მათ აღსანიშნაედ გენერალური და შერჩეეითი ერთობლიობის ცნებები გამოიყენება. გენერალური ერთობლიობა იმ ჯგუფის ყეელა წეერს ეწოდება, რომელსაც გამოკელეეა მოიცაეს, ხოლო შერჩეეითი ერთობლიობა ამ ჯგუფის ის ნაწილია, რომელიც გამოკელეეაში უშუალოდ მონაწილეობს. შერჩეეითი ერთობლიობის უმთაერესი ნიშანი რეპრეზენტატულობაა; იგი იმას აჩეენებს, თუ რამდენად პროპორციულადა წარმოდგენილი შერჩეეით ერთობლიობაში გენერალური ერთობლიობის ნიშან-თეისებები. ამგეარი კელეეის დროს დიდი მნიშენელობა აქეს იმ წარმომადგენლობითი ნაწილის შერჩეეას, რომლის საშუალებითაც გენერალური ერთობლიობის ბუნების გაგებას ეეარაუდობთ. ამისათეის გარკეეული წესების დაცეაა საჭირო. შერჩეევის შემდეგი მოდელებია ცნობილი:

• შემთხვეევითი შერჩეეა, როდესაც შერჩეევის ერთეულები ქაოსურად არის ამორჩეული. ამორჩეევის პრინციპი შემთხვეევითია.

• ექსპერტთა შერჩეეა, როდესაც ამა თუ იმ სფეროს აღიარებული წარმომადგენლებია შერჩეული. მიზნობრივი შერჩეევის ერთ-ერთი ფორმაა.

• კეოტური შერჩეეა, როდესაც შერჩეევის ზომა წინასწარ განსაზღერულია. მაგალითად, მარკეტინგული გამოკელეევების შემთხვეევაში შერჩეევის ზომა დამკეეთის მიერ არის განსაზღერული.

• მობილური პოპულაციის შერჩეეა, რომელიც პოპულაციის ადგილმდებარეობის დადგენასთან არის დაკავშირებული.

შერჩეევის სახეებიდან ალბათური და არაალბათური შერჩეევაა ცნობილი. ალბათური შერჩეევის დროს გენერალური ერთობლიობის ყეელა ელემენტს შერჩეევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს. არაალბათური შერჩეევის დროს კი ყეელას შანსი სხვადასხვაგვარია. შერჩეევითი კელეეა გარკეეული ხარეეზის მატარებელი შეიძლება იყოს, რაც იმაში ელინდება, რომ მკელეეარი უშუალოდ არ არის დაკავშირებული რეალურ ცხოერებასთან. ეს კავშირი რესპონდენტების შეხედულებებითა და მოსაზრებებით არის გაშუალებული, რაც სუბიექტურობის ელემენტების შემცველია, თუმცა ამგეარი შეზღუდულობის მოსახსნელად სოციოლოგს კელეევის სხვა მეთოდი გააჩნია, რომელსაც საველე კელეევის მეთოდს ეძახიან.

საველე კელეეა საზოგადოებრივ მოელენებსა და პროცესებზე უშუალო დაკეირევების გზით მიმდინარეობს. იგი შეიძლება აშკარა ან ფარული იყოს. სოციოლოგის უშუალო მონაწილეობა შესასწაელ პროცესებში გამოკელეევას მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს, თუმცა არც ეს მეთოდია უნაკლო, რადგანაც შეიძლება, რომ, რასაც სოციოლოგი აკეირდება და აღწერს კონკრეტული ეითარების შემთხვეევაში, სხეა ფაქტებისათეის დამახასიათებელი არ აღმოჩნდეს. თუმცა საველე კელეევის ამ ნაკლის გამოსწორებას სოციოლოგიური გამოკელეევის სხეა მეთოდები ცდილობენ, რომელთა შორის ფართო გამოყენება გამოკითხეის მეთოდს აქვს.

გამოკითხეა სოციოლოგიურ ინფორმაციას სეპირი ან წერილობითი კითხეა-პასუხების საშუალებით მოიპოეებს. კითხეა-პასუხებით სოციოლოგი აელენს რესპონდენტების (გამოსაკითხი ადამიანების) შეხედულებებს, განწყობილებებს, პოსიციებს და ა. შ. რაც ძირითადად ორი წესით: სტანდარტიზებულად — საგანგებოდ წინასწარ შემუშაევებულ კითხეარსე — ანკეტაზე რესპონდენტის პასუხების მიღების გზით და არასტანდარტიზებულად — ანკეტის გარეშე რესპონდენტთან სოციოლოგის გასაუბრების გზით ხდება. შესაბამისად, გამოკითხეის ორი ძირითადი სახე არსებობს: ანკეტური გამოკითხეა და ინტერვიუ. ანკეტა არის კითხეარი, რომელშიც კითხეები შინაარსისა და ფორმის მიხედეით არის დაჯგუფებული და საგანგებოდ შერჩეული. შინაარსის მიხედეით, ანკეტაში წარმოდგენილი კითხეები მთელ რიგ სოციალურ ფაქტებს და მათ ღირებულებით შეფასებებს ეხება. ფორმის მიხედეით, კითხეები შეიძლება იყოს ღია ან ნახეერად დახურული ან დახურული. დახურულ კითხეაზე პასუხს რესპონდენტი თეითონ ირჩეეს მოცემული ეარიანტებიდან („დიახ," „არა,"

„მიჭირს პასუხი“); ღიაა კითხვები, რომლებსაც ასარჩევი პასუხები არ ახლავს და რესპონდენტმა შესასწავლ პრობლემასთან დაკავშირებით თავისუფლად უნდა დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება. ანკეტური გამოკითხვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რესპონდენტსა და მკვლევარ-სოციოლოგს შორის ურთიერთობა ანკეტითაა გაშუალებული. ამ შემთხვევაში რესპონდენტის ანონიმურობა მკაცრად დაცულია, თანაც ინფორმაცია სწრაფად და ოპერატიულად მიიღება. ანკეტურ გამოკითხვასთან ერთად სოციოლოგიაში გამოიყენება აგრეთვე სატელეფონო, საფოსტო, ინტერნეტ- და სხვა სახის გამოკითხვები.

გამოკითხვის მეთოდის იმ სახეს, რომლის დროსაც სოციოლოგი მისთვის საჭირო ინფორმაციას უშუალოდ რესპონდენტისაგან მოიპოვებს, ინტერვიუ ეწოდება. თუმცა ამ ტიპის გამოკვლევის ჩასატარებლად ძალიან დიდი დროა საჭირო. ანკეტირება ან ინტერვიუ შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, თავისუფალი, კლინიკური და სხვა (სოციოლოგიური გამოკვლევის ყველა მეთოდს სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები დაწვრილებით შეისწავლიან მომდევნო კურსებზე, ამიტომ ამჯერად მათზე მხოლოდ ზოგადი საუბრებით შემოვიფარგლებით).

სოციოლოგიაში ხშირია მაგალითები, როდესაც სოციალური ობიექტების კვლევა შეუძლებელია ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით. ეს ძირითადად გარდასულ სოციალურ ფაქტებსა და მოვლენებს შეეხება. მსგავს ვითარებაში სოციოლოგები არსებული წერილობითი, ნაბეჭდი, ფოტო და სხვა მასალის კვლევით შემოიფარგლებიან. დოკუმენტები ადამიანების მიერ შექმნილი მასალებია, რომელიც ინფორმაციის გადაცემას ემსახურება. მაგალითად, XIX საუკუნის დემოგრაფიული პროცესების დადგენა ამ პერიოდის დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი, ხოლო ოჯახთან ან გვართან დაკავშირებული სოციალური ასპექტების გაგებაში ისტორიული დოკუმენტები დაგვეხმარებიან და ა. შ. დოკუმენტები სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს: წერილობით, რომლებშიც სოციალური მოვლენები სიტყვიერადაა აღწერილი. მას მიეკუთვნება ნებისმიერი სახის წერილობითი მასალა: საარქივო დოკუმენტები, პრესის მასალები, მთავრობის დადგენილებები, პირადი წერილები, მოგონებები, მემუარები, ავტოგრაფები, ოფიციალური სტატისტიკა და მრავალი სხვა. მნიშვნელოვანია აგრეთვე იკონოგრაფიული დოკუმენტების გამოყენებაც, რომლებშიც სოციალური სინამდვილე ფოტოზე, კინოფირზე, ვიდეო ან სხვა საშუალებებზეა გადმოცემული. ყოველი მათგანი სოციოლოგიური გამოკვლევის საინტერესო დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს.

თანამედროვე კვლევებში სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ძალიან პოპულარული ფოკუს-ჯგუფის მეთოდია. ეს ისეთი კვლევითი სტრატეგიაა, რომელიც აქცენტს წინასწარ შერჩეულ ადამიანთა მცირე ჯგუფის ინტერვიუირებასა და ინტენსიურ ფოკუსირებულ დისკუსიაზე აკეთებს. სადისკუსიო თემა, რა თქმა უნდა, კვლევის პრობლემას შეეხება. მისი მიზანი გარკვეული სოციალური პრობლემის შესახებ ჯგუფში განსხვავებული შეხედულებების, პოზიციების, განწყობების, რეაქციებისა და შეფასებების შესწავლაა. იგი, შეიძლება ითქვას, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინირებული სახეა. მას იყენებენ მარკეტინგულ კვლევებში, მაგალითად, ბიზნესის სფეროში – საქონლისა და მომსახურების მარკეტინგი; არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი, რომელიც სხვადასხვა სოციალური პროგრამების ეფექტურობის შეფასებას ითვალისწინებს; პოლიტიკური მარკეტინგი, რომლის დროსაც პოლიტიკური მოღვაწის, პარტიის ან ორგანიზაციის იმიჯის შესწავლა მიმდინარეობს და სხვ. ფოკუს-ჯგუფის პარამეტრები (ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა, სოციალური და სხვა მახასიათებლები და ა. შ) გამოკვლევის მიზნებითა და ამოცანებით განისაზღვრება, რომლის წარმატება იმ მოდერატორსაც დამოკიდებული, რომელიც დისკუსიას წარმართავს.

ჩვეულებრივ, ყოველ სოციალურ ჯგუფს ფორმალური და არაფორმალური, ღია და დაფარული სტრუქტურები გააჩნია, რომელთაგან არაფორმალურ, ლატენტურ (დაფარულ) სტრუქტურას მნიშვნელოვანწილად სუბიექტური ფაქტორები, მის წევრთა ემოციური მდგომარეობები და განწყობები განაპირობებენ, რაც, თავის მხრივ ჯგუფის ფუნქციონირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. სოციომეტრიული გამოკვლევა ჯგუფის სწორედ ამ ფარული სტრუქტურების შესწავლაზე აკეთებს აქცენტს. მეთოდის ავტორი ამერიკელი ფსიქიატრი და სოციალური ფსიქოლოგი იაკობ ლევი მორენოა.

ცნობილია მორენოსა და ფროიდის ვენაში შეხვედრის ფაქტი (მორენო ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა).

ლექციის შემდეგ სტუდენტებით გარშემორტყმული მორენოსთეის ფსიქოანალიზის მამას შეკითხეით მიუმართავს, თუ რას აკეთებდა იგი, რაზეც მორენოს უპასუხია: „დოქტორო ფროიდ, მე დაეიწყე იქ, სადაც დაამთაერეთ თქვენ. თქვენ ადამიანებთან ხელოვნურად შექმნილ ეითარებაში, თქვენს კაბინეტში მუშაობთ, მე კი მათ ბუნებრიე გარემოში, ქუჩაში ან სახლში ეხედები. თქვენ მათ ქცეეებსა და ოცნებებს აანალიზებთ, ხოლო მე ეცდილობ ისინი უფრო თამამი და გაბედული გაეხადო, რათა მათ ხელახლა იოცნებონ. მე მათ ღმერთთან თამაშს ეასწაელი ...“ ფროიდი პასუხს ღიმილით შეხეედრია.



ი. ლ. მორენო
(1889-1974)

სოციომეტრიული გამოკელეეების დროს არაფორმალური სტრუქტურისა და შრომითი კოლექტიეის, ცალკეულ პიროენებათა ღირებულებითი ორიენტაციების შესაბამისობა-შეუსაბამობის დონეების კელეეა მიმდინარეობს. მიღებული მონაცემების საფუძელზე კი ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საგრძნობი გაუმჯობესება ხდება.

სოციოლოგიური გამოკელეების მნიშენელოანი მხარეა სოციალური ცელადების ანალიზი. ამ შემთხეეაში სოციოლოგი იმ ფაქტს ითალისწინებს, რომ ცალკეული რიგის სოციალურ მოელენათა ცელილებებს აუცილებლობით სხვა რიგის მოელენათა ცელილებები მოსდეეს, რომ პირეელი მიზეზია, მეორე – შედეგი. ორიეე შემთხეეაში ცელადთან გეაქეს საქმე. ცელადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას კორელაციას ეძახიან. სოციალური ცელადის ცნება საზოგადოებრივი მოელენის უნარს გამოხატაეს, რომლის მიხედეითაც ის სხეადასხეაგეარ მდგომარეობასა და მნიშენელობას იძენს. სოციალურ ცელადებს მიეკუთენება ასაკი, სქესი, განათლება, შემოსაელები, ხელფასი და მრავალი სხვა. სოციალური ცელადი ორგეარია: დამოუკიდებელი და დამოკიდებული. დამოუკიდებელი ცელადის როლს ის მოელენა ასრულებს, რომლის შეცელა შედეგის შეცელას იწეეს. დამოკიდებული ცელადი კი ისეთი მოელენაა, რომლის ცვალებადობა სხეა მოელენის ცვალებადობაზეა დამოკიდებული. თუკი მიზეზ-შედეგობრივი კაეშირები დადგინდება დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცელადებს შორის, სოციოლოგიური ჰიპოთეზა, რომლის შესახებაც ჩეენ ზემოთ ეისაუბრეთ, დასაბუთებულად მიიჩნეეა.

დაბოლოს, სოციოლოგიური გამოკელეეა, როგორც წესი, რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირეელი ეტაპი სოციოლოგიური გამოკელეების პროგრამის შემუშაეებაა, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული გამოკელეების მიზანი და განსაზღერული უნდა იყოს კელეების მეთოდები. სასურეელია პროგრამამ საცდელი ე. წ. „პილოტაჟური“ გამოკელეების ჩატარება გაითალისწინოს, რაც შერჩეული მეთოდის უტყუარობაში დარწმუნების კარგი საშუალებაა. კელეების მეორე ეტაპი უშუალოდ გამოკელეების ჩატარებაა, რომელსაც მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება და ანალიზისათეის მომზადება მოსდეეს. მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშაეება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ხდება, რომლის ცოდნა სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათეის თანამედროეე პირობებში აუცილებელია. სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზის შემდეგ გამოკელეების დასკენითი ეტაპი დგება, რომელიც კელეების შედეგების შეჯამებას და საბოლოო ანგარიშის პრეზენტაციას ითალისწინებს. დასკენითი ნაწილი წარმოუდგენელია იმ რჩეებისა და რეკომენდაციების გარეშე, რომელსაც სოციოლოგი იძლეეა საკელე პრობლემასთან დაკაეშირებით.

ასე შეიძლება დაეასრულოთ ჩეენი ზოგადი საუბრები სოციოლოგიური კელეების მეთოდების შესახებ, რადგანაც მომაეალ სოციოლოგებთან ერთად უახლოეს მომაეალ'ში მათი საფუძელიანი შესწაელა მოგეიწეეს.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ენტონი გიდენსის წიგნიდან „სოციოლოგია“
სოციოლოგიური კითხვები

„კარგი გამოკვლევა საზოგადოებრივი ცხოვრების ახლებურ გაგებაში უნდა გეხმარებოდეს. ის თავისი შეკითხვებითა და მიღებული შედეგებით უნდა გეაკვირვებდეს. პრობლემები, რომლებიც თეორიული და პრაქტიკული კვლევების თვალსაზრისით სოციოლოგებს აინტერესებთ, ხშირად იმ კითხვებს ჰგვანან, რომლებიც სხვა ადამიანებსაც აღელვებთ, თუმცა მსგავსი კვლევის შედეგები ჩვენს ყოველდღიურ წარმოდგენებს ხშირად ეწინააღმდეგება.

როგორია უმცირესობათა ცხოვრების პირობები? რატომ არის, რომ ადრინდელთან შედარებით დღევანდელ მსოფლიოში ბევრად უფრო მეტი მდიდარი ცხოვრობს, მაგრამ შიმშილის არსებობა მაინც ფაქტია? რა შედეგებამდე მიგვიყვანს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება? დაიწყება თუ არა ოჯახის, როგორც ინსტიტუტის, ნგრევა? ამ და მსგავს მრავალ კითხვაზე პასუხს სოციოლოგები სცემენ. მათი მუშაობის შედეგები საბოლოოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეიჩნიოთ. მით უფრო, როდესაც სოციოლოგიური თეორიისა და გამოკვლევის მიზანი იმ სპეციალტურ მანერებზე უარის თქმაა, რომლებიც მსგავსი საკითხების განსჯისას ობივატელს ახასიათებს. კარგი სოციოლოგობა შეკითხვების მაქსიმალურად სწორად დასმა და დასკვნების გაკეთებამდე ყველაზე გამოსადეგი ფაქტობრივი მტკიცებულებების მოპოვებაა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენთვის სასარგებლო სოციოლოგიური კვლევის მეთოდები უნდა ვიცოდეთ, რომლებიც კონკრეტული სამუშაოს მიმდინარეობისას უნდა გამოვიყენოთ. ასევე საუკეთესოდ უნდა ვიცოდეთ ამ მეთოდებით მიღებული შედეგების ანალიზი.

იმ შეკითხვათაგან, რომლებსაც თავიანთ გამოკვლევაში სოციოლოგები სვამენ, ზოგიერთი მათგანი მთლიანობაში ფაქტოლოგიურია. მაგალითად, დანაშაულისა და მართლმსაჯულების მთელი რიგი ასპექტების გარკვევისათვის სისტემური სოციოლოგიური გამოკვლევაა აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვეძლო შემდეგი კითხვები დაგვესვა: რა სახის დანაშაულებია უფრო მეტად გავრცელებული? დამნაშავეთა რა ნაწილს აკავებს პოლიცია? მათ შორის რამდენი ადამიანი იხდის სასჯელს? მსგავსი ფაქტოლოგიური კითხვები პასუხისათვის ხანგრძლივ კვლევას საჭიროებენ.

ამა თუ იმ საზოგადოების შესახებ ფაქტოლოგიური ინფორმაცია ყოველთვის ვერ გვეტყვის ესა თუ ის შემთხვევა არატიპურია თუ ფართოდ გავრცელებულ ფაქტს წარმოადგენს. ხშირად სოციოლოგებს სურთ შედარებითი შეკითხვები დასვან. მაგალითისათვის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სოციალურ წყობასა და კანონმდებლობას შორის არცთუ მცირე განსხვავება არსებობს. ტიპური შედარებითი კითხვა შესაძლებელია ასეთი იყოს: რა განსხვავებაა ქცევის კრიმინალურ მოდელსა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას შორის ამ ორ ქვეყანაში?

სოციოლოგიური საქმიანობის განხორციელებისას ჩვენ არა მარტო უკვე არსებულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობებს უნდა ვუყურებდეთ, არამედ ერთმანეთს ვადარებთ მათს აწმყოსა და მომავალს. ამ შემთხვევაში სოციოლოგები განვითარების შესახებ კითხვებს სვამენ. იმისათვის, რომ თანამედროვე სამყაროს ხასიათი გავიგოთ, ჩვენ საზოგადოების უკვე არსებული ფორმების შესწავლა და მომხდარ ცვლილებათა ანალიზი მოგვიწევს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გაჩნდა პირველი ციხეები და როგორია ისინი დღეს.

ფაქტობრივი კითხვის დასმით ჩვენ იმას ვაკეთებთ, რასაც სოციოლოგები ემპირიულ კვლევებს ეძახიან. აქ ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ ხდება რაღაც მოვლენა. ოღონდ სოციოლოგია, რაც უნდა მნიშვნელოვანი არ იყოს, მხოლოდ ფაქტების შეგროვება არ არის. ჩვენ ყოველთვის ამ ფაქტების ინტერპრეტაციას უნდა ვახდენდეთ და ამისათვის თეორიული შეკითხვების დასმა უნდა ვისწავლოთ. მრავალი სოციოლოგი ძირითადად ემპირიულ საკითხებზე მუშაობს, მაგრამ ამასთანავე, თუკი ისინი თეორიული ცოდნით არ იხელმძღვანელებენ, საეჭვოა, რომ მათი საქმიანობა შედეგიანი იყოს“.

სოციოლოგის მიერ შეკითხვის დასმის წესი

ფაქტობრივი კითხვა	რა მოხდა?	დიდ ბრიტანეთში 1980-იანი წლებიდან გოგონები უფრო უკეთეს შედეგებს აღწევდნენ სწავლაში, ვიდრე ვაჟები.
შედარებითი კითხვა	ხდებოდა თუ არა ეს ყველგან?	ეს გლობალური მოვლენა იყო თუ მხოლოდ ბრიტანეთს ახასიათებდა?
განვითარების კითხვა	ხდებოდა თუ არა ეს თანდათან?	როგორი იყო გოგონათა საგანმანათლებლო მომზადების დონე დროის გარკვეულ პერიოდში?
თეორიული კითხვა	რა უდევს საფუძვლად ამ მოვლენას?	რატომ სწავლობენ გოგონები უკეთ? რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, რომ ეს ფენომენი აეხსნათ?

1963 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ქენეთ ენდრიუსმა ბიზნეს-პოლიტიკისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ანალიზის მეთოდი, რომელიც დღეს „სვოტ“ ანალიზის სახელით არის ცნობილი. ამ დროიდან მოყოლებული ანალიზის ამ მეთოდს ფართოდ იყენებენ ადამიანური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. იგი ანალიზის დროს საკვლევი ობიექტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გამოყოფას ითვალისწინებს.

დავალება:

– „სვოტ“ ანალიზის გამოყენებით გამოარკვიეთ სოციოლოგიის კვლევის მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები და შეეცადეთ შესაბამისი ინფორმაცია ცხრილების სახით წარმოადგინოთ.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 65-76.
2. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, თბ., 1998. გვ: 22-122.
3. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კვლერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, თავი II, სოციოლოგია და სამეცნიერო კვლევა, გვ. 3-20.
4. ქ. ნონიაშვილი, კვლევის მეთოდები ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიაში, თბ., 2010. გვ. 36-111.

დამატებითი ლიტერატურა:

1. Э. Гидденс, Социология, М. 2005. გვ. 548-560.
2. Дж. Масионис, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 54-90.
3. А. Кравченко, В. Анурин, Социология, ПИТЕР. 2004. გვ. 9-63.



ანკეტის შედგენის ზოგადი წესები

სოციოლოგიური გამოკითხვის ანკეტა პირველადი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გაერცელებული საშუალებაა, რომლის შედგენა ძალზე შრომატევადი და მეტად საპასუხისმგებლო საქმეა თუნდაც იმ მხრივ, რომ შესაბამისი მეთოდიკის ცოდნას მოითხოვს, რომელიც მკვლევარ-სიოციოლოგს გარკვეული წესების დაცვას ავალდებულებს.

ანკეტის შედგენისას უპირველესი მოთხოვნა, რაც მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს, მისი მიზნების განსაზღვრაა. ამის გარეშე სხვა დანარჩენი სამუშაო აზრს კარგავს. ანკეტის შინაარსი: შეკითხვები, პასუხების ვარიანტები, შესავალი და დასკვნითი ნაწილები – უშუალო კავშირშია მის მიზნებთან. მაგალითად, მარკეტინგული კვლევების შემთხვევაში ანკეტირების მიზანი კლიენტთა მოთხოვნილებების გამოვლენაა. შესაბამისად, მიღებული ინფორმაცია დაინტერესებულ კომპანიას საშუალებას აძლევს ასორტიმენტის კორექტირება მოახდინოს, კლიენტთა მომსახურების ხარისხი გააუმჯობესოს, თანამშრომლობის ახალ-ახალი ფორმები დანერგოს და სხვ.

სოციოლოგიური გამოკვლევის ანკეტა ერთიანი კვლევითი ჩანაფიქრით გაერთიანებული შეკითხვებია, რომელიც რესპონდენტისაკენ არის მიმართული და შესასწავლი ობიექტის ან საგნის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებას ისახავს მიზნად. იგი მაქსიმალურად ადაპტირებული უნდა იყოს გამოკითხვის პირობებთან და, ამასთანავე, რესპონდენტის სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან.

ანკეტაში დასმული შეკითხვები ნათლად და გასაგებად უნდა იყოს ფორმულირებული. მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ რთულ და რესპონდენტისათვის გაუგებარ ტერმინოლოგიას. კითხვა უნდა იყოს კონკრეტული, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული და ცალსახად ინტერპრეტირებადი. მნიშვნელოვანია აგრეთვე ანკეტის დიზაინისა და გაფორმების საკითხიც. იგი პროფესიონალიზმის გამოვლენის კარგი საშუალებაა, რომელიც გამოკვლევისადმი დადებით განწყობას შეუქმნის რესპონდენტს, ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ ანკეტის

ა) შრიფტის ზომა კომფორტული და მისაღები უნდა იყოს რესპონდენტისათვის;

ბ) შეკითხვები ერთმანეთისაგან გამოყოფილი უნდა იყოს; შესაძლო პასუხის ვარიანტებისაგან სასურველია მათი მუქი ან უფრო მსხვილი შრიფტით გამოყოფა იმისათვის, რომ არც ერთი შეკითხვა რესპონდენტისათვის შეუმჩნეველი არ დარჩეს;

გ) თუკი შეკითხვა ღიაა, მაშინ ანკეტაში საკმარისი ადგილი უნდა იყოს დატოვებული იმისათვის, რომ რესპონდენტმა საკუთარი მოსაზრება თავისუფლად ჩაწეროს;

დ) თუკი შეკითხვა რთულია, მაშინ სასურველია დამატებითი მითითებების მიცემა, რომელიც განცალკევებული უნდა იყოს შეკითხვის ტექსტისაგან;

ე) ანკეტის ტექსტის ფურცლის ორივე გვერდზე დაბეჭდვა სასურველი არ არის, რადგანაც საწინააღმდეგო შემთხვევაში დიდია ალბათობა იმისა, რომ ანკეტა ბოლომდე შეუვსებელი დარჩეს. ამ შემთხვევაში გამონაკლისი შეიძლება ბროშურის სახით დაბეჭდილი ანკეტა იყოს მხოლოდ.

შეკითხვის სახეები:

ანკეტაში დასმული შეკითხვა შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს:

- შეკითხვები, ცნობიერების ფაქტებზე ორიენტირებული,
- ქცევის, მოქმედების ფაქტებზე ორიენტირებული.
- რესპონდენტის პიროვნებაზე ორიენტირებული.

ფორმის მიხედვით:

- ღია, ნახევრად ღია,

- დახურული, ნახევრად დახურული,
- კომბინირებული,
- პირდაპირი,
- ირიბი.

ფუნქციის მიხედვით:

- ძირითადი
- არაძირითადი

– ცნობიერების ფაქტებზე ორიენტირებული შეკითხვები მიმართულია აღმიანთა შეხედულებების, მოლოდინების, სამომაელო გეგმების და სხვა მსგავსი კატეგორიების გამოელენაზე;

– მოქმედებაზე ორიენტირებული შეკითხვები ძირითადად სოციალურ ქცევას შეეხება;

– პიროვნებაზე ორიენტირებულ შეკითხვებში რესპონდენტის პიროვნული მახასიათებლები იგულისხმება;

– ღია არის შეკითხვა, რომელსაც შესაძლო პასუხის ვარიანტები თან არ ახლავს და რესპონდენტმა მისთვის სასურველი პასუხი თვითონ უნდა ჩაწეროს შესაბამის გრაფაში; ღია კითხვები რესპონდენტს არაფერს არ უნდა კარნახობდეს და არც არაფერს უნდა ახვევდეს თავს. ნახევრად ღია შეკითხვა კი ნაწილობრივ დახურული შეკითხვის ელემენტების შემცველია;

– დახურულ შეკითხვას თან ახლავს შესაძლო პასუხის ვარიანტები, რომელთაგან რესპონდენტი მისთვის სასურველ ვარიანტს ირჩევს; დახურული შეკითხვა ალტერნატიულია, თუკი რესპონდენტი პასუხის მისთვის სასურველ მხოლოდ ერთ ვარიანტს ირჩევს, ხოლო არაალტერნატიულია, თუკი იგი პასუხის რამდენიმე ვარიანტს ირჩევს; ნახევრად დახურული შეკითხვა ნაწილობრივ ღია კითხვის ელემენტების შემცველია. მოცემული პასუხის ვარიანტებიდან შესაძლებელია რესპონდენტისათვის არც ერთი არ იყოს მისაღები, ამიტომ დახურულ კითხვებთან ერთად ღია კითხვასაც სთავაზობენ ხოლმე.

– პირდაპირია შეკითხვა, რომელიც რესპონდენტისაგან გარკვეული მოელენებისადმი კრიტიკულ მიდგომას ითვალისწინებს, რასაც უმეტესწილად რესპონდენტები თავს არიდებენ ხოლმე. ასეთ ვითარებაში საქმეში ირიბი შეკითხვები ერთვება, ანუ რესპონდენტს წარმოსახვითი სიტუაცია ეძლევა, რომელიც მთელი რიგი უხერხულობებისაგან ათავისუფლებს მას.

– ძირითადია შეკითხვა, რომელიც უშუალოდ კელევის საგანს შეეხება.

– არაძირითადი შეკითხვები ძირითად შეკითხვათა ადრესატის გამოელენას ემსახურება (კითხვა-ფილტრი) ანდა რესპონდენტის გულწრფელობას ამოწმებს (საკონტროლო კითხვები);

– „მენიუს“ ტიპის კითხვებში პასუხები ისეთნაირადაა დალაგებული, რომ ლოგიკურად ერთმანეთს არ გამორიცხავენ;

– საკონტროლო კითხვა აზრის, შეხედულების სიმყარეს ამოწმებს;

– კითხვა-ფილტრი რესპონდენტთა დაინტერესებულ ნაწილს სხვებისაგან გამოარჩევს;

– კითხვა-„მახე“ არაკეთილსინდისიერი და არაკომპეტენტური რესპონდენტების გამოსავლენადაა მოწოდებული;

– საკონტაქტო კითხვები ანკეტის დასწყისშია მოთავსებული და რესპონდენტთან კონტაქტის დამყარებას უწყობს ხელს. იგი ძალზე მარტივია და მასზე პასუხის გაცემა რესპონდენტისათვის სასიამოვნოა;

– ჩამხშობი შეკითხვები, როგორც წესი, საკონტროლო შეკითხვების წინ ეძლევა ხოლმე რესპონდენტს და მისი ემოციური აღგზნებადობის ხარისხისა და ყურადღების სხვა შეკითხვაზე გადატანას ემსახურება;

– ბუფერული ანუ გარდამავალი შეკითხვები ანკეტის ა'სრიბრიეი ბლოკების წყალგამყოფია. მათი მეშვეობით ხდება თემიდან თემაზე გადასვლა.

შეკითხვების დასმისას სოციოლოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პასუხი „დიახ“ რესპონდენტისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე „არა.“ არაცითარ შემთხვევაში რესპონდენტისაგან არ უნდა მოვითხოვოთ რაიმე სახის არგარი'შები და სხვა მსგავსი რამ. ამასთანავე უნდა გავახსოვდეს, რომ ანონიმურობის პრინციპი მკაცრად უნდა იყოს დაცული.

ანკეტის შედგენის პროცესს სოციოლოგები კონსტრუირებას ეძახიან.

ანკეტის სტრუქტურა

- ანკეტის შესავალი ნაწილი

ანკეტის ეს ნაწილი შეიცავს თხოვნა-მიმართვას რესპონდენტისადმი, მოკლედ და კონკრეტულად აცნობს მას კვლევის მიზნებს, შემკვეთსა და შემსრულებელს. აქვე რესპონდენტის გასააქტიურებლად სასურველია იმის ხაზგასმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკვლევი პრობლემის გადაწყვეტაში რესპონდენტის მოსაზრებებს. ადამიანს ყოველთვის სიამოვნებს, როდესაც მის აზრს აფასებენ, მას ჭკუას ეკითხებიან, ამიტომ ამ ფაქტორის გამოყენება სოციოლოგიურ გამოკვლევაში აუცილებელია. ანკეტის შესავალი ნაწილი საკონტაქტო კითხვებით უნდა იწყებოდეს. ამ მარტივმა და სასიამოვნო შეკითხვებმა რესპონდენტი სხვა შეკითხვებზე პასუხისათვის უნდა მოამზადოს ისე, რომ არ მობეზრდეს ეს ყოველივე.

- ძირითადი ნაწილი

გამოკითხვის მიზნებიდან, ამოცანებიდან და ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, შინაარსობრივი შეკითხვები ანკეტის ამ ნაწილშია თავმოყრილი. შესაბამისად, მთავარ დატვირთვასაც ანკეტის ეს ნაწილი ატარებს, ამიტომ მის ფორმირებას, მასში შეკითხვების განლაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ, მისი ფორმირების სამი ძირითადი პრინციპია მეტ-ნაკლებად ცნობილი.

– შეკითხვების ლოგიკური თანამიმდევრულობის პრინციპი: როდესაც შეკითხვები წინასწარ დადგენილი სქემისა და ლოგიკის მიხედვით არის ფორმულირებული.

– მონოცენტრულობის პრინციპი: როდესაც ანკეტაში ერთი ცენტრალური შეკითხვაა ფორმულირებული და დანარჩენები დამხმარე შეკითხვების როლს ასრულებენ მხოლოდ. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ძირითადი შეკითხვა ანკეტის შუა ნაწილშია მოთავსებული;

– პოლიცენტრისტული პრინციპი: როდესაც არა ერთი, არამედ რამდენიმე ძირითადი შეკითხვაა ჩამოყალიბებული.

- დასკვნითი (პასპორტული) ნაწილი

ანკეტის ეს ნაწილი რესპონდენტის სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებს (სქესი, ასაკი, პროფესია, ეროვნება, განათლება, მოქალაქეობა, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი ან სამუშაო და სხვ.) შეეხება.

ანკეტის შედგენისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მის შესავსებად რესპონდენტს დიდი დრო არ უნდა ესაჭიროებოდეს. ამისათვის საკმარისია 30-40 წუთი; ანკეტა არ უნდა იყოს შეკითხვებით გადატვირთული; კლასიკური ტიპის ანკეტა 15-20 კითხვაზე მეტს არ შეიცავს; სასურველია, რთული შეკითხვები ანკეტის შუა ნაწილში იყოს მოთავსებული; ყოველი შეკითხვა გრამატიკისა და ლოგიკის წესების დაცვით უნდა იყოს შედგენილი; ლოგიკურობის პრინციპის დაცვა ნიშნავს, რომ დასაწყისში ამა თუ იმ ფაქტის დადგენაზე უნდა იყოს საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ მის შეფასებაზე, რაც სოციოლოგიური გამოკვლევის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა.

თუკი გამოკითხვა ინტერვიუს მეთოდით ტარდება, მაშინ კითხვარს ან ინტერვიუს ბლანკს თან უნდა ახლდეს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირებული შეკვეთის წესები და ცალკეული მითითებები ინტერვიუერისათვის. ფორმულირებები, რომელსაც ინტერვიუერი იყენებს, წარმოსათქმელად ადვილი უნდა იყოს და რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს არ უნდა შეიცავდეს.

დავალება:

- შეადგინეთ სოციოლოგიური გამოკითხვის ანკეტა თქვენთვის სასურველ რომელიმე თემაზე.
- ჯგუფში ისაუბრეთ იმაზე, თუ რა და რა სახის შეკითხვები გამოიყენეთ თქვენ მიერ შედგენილ ანკეტაში; ცალ-ცალკე დაახასიათეთ თითოეული მათგანი.
- ისაუბრეთ იმაზე, თუ რა პრინციპი დაუდეთ საფუძვლად თქვენ მიერ შედგენილ ანკეტას და რატომ.

მეცნიერულ-სოციოლოგიური კელეის ეტაპები ე. დიურკემის მიხედვით	
I ეტაპი	**პრობლემის განსაზღვრა** საკელეი თემის შერჩევა და ძირითადი კონცეფციების განსაზღვრა.
II ეტაპი	**ლიტერატურის მიმოხილვა** არსებული თეორიის გაცნობა და თემის კელევა. თემის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზი.
III ეტაპი	**ჰიპოთეზების ჩამოყალიბება** კაეშირის დადგენა გაზომად ცელადებს შორის ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაზომეა და ჰიპოთეზების შემოწმება*.
IV ეტაპი	**კელეის გეგმის შერჩევა** მკელეარმა უნდა მოახდინოს იმ მეთოდის შერჩევა, რომლის მეშვეობითაც ჩაატარებს გამოკელეას: მაგ. გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი და ა. შ.
V ეტაპი	**მონაცემთა შეგროვება** ჰიპოთეზების შესამოწმებელი მონაცემების ანუ ფაქტების შეგროვება: სტატისტიკური მასალა, ინტერვიუს ანდა ანკეტირების შედეგები.
VI ეტაპი	**მონაცემთა ანალიზი** მონაცემების დამუშაება
VII ეტაპი	**დასკვნების გაკეთება** მიღებული შედეგების შეჯამება და მათი დაკაშირება არსებულ თეორიასთან; შემდგომი კელეისათვის პრობლემების დადგენა

*შენიშვნა:

ცელადი სოციოლოგიური სიდიდე არის სოციალური ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი, რომელიც დროთა განმაელობაში იცელება. მაგალითად, დიურკემის მიხედვით, ასეთია თვითმკელელობების კოეფიციენტი. ცელადი სიდიდე შეიძლება იყოს დამოკიდებული და დამოუკიდებელი.

სასურველია დაეიმახსოვროთ

Empirical Sociology

ემპირიული სოციოლოგია – სოციოლოგიის დარგი; სოციოლოგიურ გამოკელეათა მთელი კომპლექსი, რომელიც სოციოლოგიური გამოკელეის მეთოდებისა და ტექნიკის საფუძველზე სოციალური ინფორმაციის მოპოებასა და ანალიზზეა ორიენტირებული.

Empeiria ბერძნულად ცდას, დაკვირვებას ნიშნაეს.

ემპირიულის ქვეშ ზოგადად ადამიანური გამოცდილება, დაკვირვება იგულისხმება.

Applied Sociology

გამოყენებითი სოციოლოგია – პრაქტიკული ხასიათის დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინაა. იგი თეორიული და ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის, სოციოლოგიის მეთოდოლოგიისა და კელეის სხვადასხვა მეთოდების საშუალებით შეისწავლის და წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ პრაქტიკულ ამოცანას.

სოციოლოგიური გამოკვლევა

„– დადის, წერს, გამოკითხვას ატარებს, მთელი დღე კომპიუტერთან ზის ...“

2010-2011 წლებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების I და II კურსების სტუდენტებმა სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარეს, რომელიც ქართული საზოგადოების სოციოლოგიური ცოდნის დონეს და შესაბამის კულტურას შეეხებოდა. გამოკვლევაში 50 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 2-2 რესპონდენტი გამოკითხა. მთლიანობაში 100 ადამიანი გამოიკითხა. სტუდენტები მათ შემდეგი კითხვებით მიმართავდნენ: „რა იცით სოციოლოგიის შესახებ?“ და „თქვენი აზრით, ვინ არის და რას აკეთებს სოციოლოგი?“

დასმულ კითხვას შედარებით ზუსტი პასუხი იმ ადამიანებმა გასცეს, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ შეხება სოციოლოგიასთან ან სოციალურ მეცნიერებებთან საერთოდ (უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში და სხვ.); მათი პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი (6-7%) აღმოჩნდა. გამოკითხულთა დაახლოებით 30%-მა აღნიშნა, რომ სოციოლოგი „სხვის აზრებს შეიწავლის, დადის, წერს, გამოკითხვას ატარებს ან მთელი დღე კომპიუტერთან ზის,“ ხოლო რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ, სამწუხაროდ, არ იცოდა, რა არის სოციოლოგია. უნდა ითქვას ისიც, რომ გამოკვლევაში დაახლოებით თანაბრად იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სოციოლოგია საქართველოში არც ისე პოპულარული მეცნიერებაა, რასაც თავისი მიზეზები გააჩნია. საბჭოთა იდეოლოგიის წლებში იგი აკრძალული იყო. მას გასაქანი მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიეცა, ამიტომ დიდი ხნის მანძილზე ჩვენში, ფაქტობრივად, არ არსებობდა სოციოლოგიური კვლევის ტრადიციები, ამიტომ ამ ყველაფერმა უარყოფითად იჩინა თავი ჩვენი გამოკვლევის შემთხვევაში. გარდა ამისა, სოციოლოგიის მიმართულება საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან რამდენიმეს აქვს მხოლოდ. არც სოციოლოგიური კვლევის ცენტრების რაოდენობაა მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი. კერძო ფირმები და კომპანიები ნაკლებად არიან დაინტერესებული პროფესიონალური სოციოლოგიური სერვისებით. თითქმის არ არსებობს დაწესებულება, სადაც სოციოლოგია დასაქმებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის ინტერესი ამ ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ მაინც საგრძნობლად მატულობს. ეს კანონზომიერიცაა, რადგანაც საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნები, თავისუფალი საეჭრო და საბაზრო ეკონომიკის პირობები, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები და საზოგადოების გაღიავების პროცესები სოციოლოგიას აუცილებლად ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებენ ქართულ საზოგადოებაში და, შესაბამისად, სოციოლოგიური ცოდნის კულტურის დონეც ამაღლდება. მალე ალბათ წარსულს ჩაბარდება ის დრო, როდესაც სოციოლოგის არსებობა მხოლოდ მოახლოებული არჩევნების წინ გაახსენდებათ.



სასურველია დაეიმახსოვროთ

Clinical Sociology
კლინიკური სოციოლოგია – გამოყენებითი სოციოლოგიის ნაწილია, რომელიც სოციალური ადაპტაციისა და სხვა სოციალური პრობლემების კვლევისას კვლევის თერაპიულ მეთოდებს შეიმუშაევებს და გამოიყენებს.
დასაელეთის ქეყნებში ძალზე პოპულარული სპეციალობაა სოციოლოგ-კლინიცისტი.

Social Engineering
სოციალური ინჟინერია – გამოყენებითი სოციოლოგიის დარგია, რომელიც ორიენტირებულია:

- ადამიანთა ქცეევისა და განწყობის შეცელაზე.
- სოციალურ პრობლემათა გადაწყეტაზე.
- ცვალებად გარემოში სოციალური ინსტიტუტების ადაპტირებაზე, სოციალური აქტიეობის შენარჩუნებაზე და სხვ.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები



კლასიკური ფრანგული სოციოლოგიის მამამთავარი – ემილ დიურკემი

სოციოლოგიის კლასიკოსი, ფრანგული სოციოლოგიური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი ემილ დიურკემი დაიბადა 1858 წლის 15 აპრილს პარიზის ჩრდილო-აღმოსაელეთით მდებარე პატარა ქალაქ ეპინალში, რაბინის ოჯახში. ბავშეობიდან სასულიერო მოღვაწეობისათეის ემზადებოდა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმეზე ხელი აიღო. 1879 წელს მესამე ჯერზე მოეწყო პარიზის უმაღლეს სკოლაში, რომელიც 1882 წელს დაამთაერა. დიურკემის მასწაელებლები ცნობილი მეცნიერები ემილ ბუტრუ და ფიუსტელ დე კულანჟი იყენენ. სამი წლის მანძილზე ფრანგული პროეინციის ლიცეუმებში ფილოსოფიას ასწავლიდა. 1885 წელს სოციალურ მეცნიერებათა შესასწაელად გერმანიაში გაემგზაერა. იქიდან დაბრუნებულმა სოციალურ მეცნიერებისა და ფილოლოგიაში ბორდოს უნიეერსიტეტში დაიწყო ლექციების კითხეა. 1893 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „შრომის საზოგადოებრიეი დანაწილება“ და 1896 წელს სოციალურ მეცნიერებათა კათედრას ჩაუდგა სათაეში. ეს ფაქტობრიად მოელს მსოფლიოში სოციოლოგიის პირველი კათედრა იყო.

ბორდოს უნიეერსიტეტში მუშაობის წლებში დიურკემმა გამოაქეეყნა თაეისი ორი ყველაზე მეტად ცნობილი და შემდგომში სოციოლოგიის კლასიკად ქცეული ნაშრომი: 1) „სოციოლოგიური მეთოდის წესები“ და 2) „თეითმკვლელობა“. 1898-1913 წლებში ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ მსოფლიოში პირველ სამეცნიერო ჟურნალს სოციოლოგიაში – „სოციოლოგიურ წელიწდეულს.“ 1902 წელს პროფესორი გახდა და სორბონაში გადაეიდა, სადაც „სოციოლოგიისა და აღმსრდელობით მეცნიერებათა კათედრას“ ჩაუდგა სათაეში. 1912 წელს გამოაქეეყნა რელიგიის სოციოლოგიის კლასიკად ქცეული სქოლტანიანი ნაშრომი „რელიგიური ცხოერების ელემენტარული ფორმები.“ დიურკემი 59 წლის ასაკში 1917 წლის 15 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა. მისი ღეაწლი სოციოლოგიის სფეროში ფასდაუდებელია. იგი არის საზოგადოების სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ანალიზის

პიონერი, რელიგიის სოციოლოგიის კლასიკოსი; დიდი წელილი მიუძღვის სოციოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეში. დღესაც ანგარიშგასაწევი და აქტუალურია დევიაციის, სოციალური სოლიდარობისა და თვითმკვლელობის პრობლემათა მისეული ანალიზი.

დიურკემმა სოციოლოგიის საგნის ნათლად ჩამოყალიბებული კონცეფცია შეიმუშავა. იგი სოციოლოგიური მეთოდის კლასიკოსად ითვლება („სოციოლოგიური რეალიზმი"). დიურკემის მიხედვით, საზოგადოება სამყაროს ზოგად წესრიგში ჩართული ობიექტური რეალობაა, რომელსაც სპეციფიკური კანონები გააჩნია. მის შემადგენელ ინდივიდებთან შედარებით იგი პირველადია. სოციოლოგიამ საკუთარი მეთოდების მეშვეობით სპეციფიკური ნიშნების მქონე სოციალური რეალობა უნდა შეისწავლოს. აქედან გამომდინარე, სოციოლოგიის საგანია სოციალური ფაქტი. იგი ინდივიდისაგან დამოუკიდებელია და მასთან მიმართებაში ნორმატიულ-მაიძულებელი ფუნქცია გააჩნია. სოციოლოგიის ამოცანაა გაარკვიოს, თუ რატომ ერთიანდებიან ადამიანები საზოგადოების სახით, რატომაა მათთვის ღირებული და მნიშვნელოვანი სტაბილური სოციალური წესრიგი და რა კანონები მართავს ადამიანთა შორის ურთიერთობებს. ქვეყნის მთავრობას სოციოლოგიამ რეკომენდაციები უნდა მისცეს თანამედროვე საზოგადოების მოწყობის თაობაზე. სოციოლოგიური კვლევა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური, რელიგიური, მეტაფიზიკური და სხვა სახის ზეწოლისაგან. იგი მეცნიერულ სიმართლეზე უნდა იყოს დაფუძნებული. სოციოლოგია მკაცრი, ობიექტური მეცნიერებაა და, შესაბამისად, სოციოლოგი პრინციპული და უკომპრომისო ადამიანი უნდა იყოს.

დიურკემმა საზოგადოების ორი ძირითადი ტიპი გამოყო: არქაული და ინდუსტრიული, რომლის საფუძველი სოლიდარობის ხარისხით განისაზღვრება. არქაული საზოგადოება მექანიკური სოლიდარობით გამოირჩევა, სადაც ინდივიდუალური ცნობიერება მთლიანად კოლექტიური ცნობიერების მიერაა შთანთქმული. ინდუსტრიული საზოგადოება ორგანული სოლიდარობით ხასიათდება. მისთვის ნიშანდობლივია შრომის დანაწილება და მისი შესაბამისი სპეციალიზაცია. რაც უფრო პრიმიტიულია საზოგადოება, მით უფრო ჰგვანან ადამიანები ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვით ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. რაც უფრო მეტია საზოგადოებაში განსხვავებულობა, მით უფრო მეტია ადამიანებს შორის სოლიდარობისა და ტოლერანტობის ხარისხი, მით უფრო ფართო და მასშტაბურია დემოკრატიის ბაზისი.

ადამიანი, დიურკემის თვალსაზრისით, ორმაგი რელობაა, **Homo duplex**, რომელშიც ორი – პიროვნული და საზოგადოებრივი, ინდივიდუალური და სოციალური ებრძვის ერთმანეთს. საზოგადოება განსაკუთრებული სახის რელობაა, რომლის ელემენტარული „სასენი აგურები" სოციალური ფაქტებია – ქცევის ნიმუშები, რომლებიც ინდივიდზე გარეგან, მაიძულებელ ზეგავლენას ახდენენ და ობიექტურობით ხასიათდებიან. საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე კოლექტიური აზროვნების პირობებში მხოლოდ ერთეული ადამიანის – ბელადის ნება ვლინდება, მხოლოდ მას თუ შეეძლო საზოგადოებრივი აზრის გამოწვევა. შემდგომში ეს ვითარება კარდინალურად შეიცვალა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებით (ინგლისური, ფრანგული და ამერიკული საზოგადოებები).

სოციალური სოლიდარობა დიურკემის სოციოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია. სოციალური სოლიდარობა არის ის ძალა, რომელიც საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს. სოლიდარობის ორი ძირითადი ტიპი გამოყო დიურკემმა: მექანიკური და ორგანული; მექანიკური სოლიდარობა ინდუსტრიულამდელ საზოგადოებას ახასიათებს. ამ შემთხვევაში ინდივიდები ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ და ერთმანეთისაგან არაფრით გამოირჩევიან. ორგანული სოლიდარობა ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანია. ამ შემთხვევაში სახეზეა შრომის დანაწილება და ადამიანები იმ ფუნქციისა და როლის მიხედვით, რომლებსაც ისინი საზოგადოებაში ასრულებენ, მაქსიმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს კი დემოკრატიულობის საფუძველს წარმოადგენს. რაც უფრო ორგანულია საზოგადოება, მით უფრო მაღალია მისი დემოკრატიის ხარისხი. დემოკრატია საზოგადოების განვითარების მწვერვალია. იგი სოციალური ორგანიზაციის რთული ფორმაა, იმიტომ რომ ინდივიდის წინაშე სოციალური ფაქტების უსაზღვროდ ერცელი არჩევანია. მისი ქცევა პოლივარიანტული ხდება, რასაც ადამიანი ტოტალიტარულ საზოგადოებაში მოკლებულია. ამ ტიპის საზოგადოებაში ადამიანები მკაცრად დადგენილ ერთსა და იმავე ნორმებს ავტომატურად ასრულებენ.

დიურკემი ერთ-ერთი პირველია კოლექტიური ცნობიერების ცნების სოციოლოგიური ანალიზის საქმეში. კოლექტიურ ცნობიერებაში იგი ერთი და იმავე საზოგადოების წევრთა

ობიექტური ხასიათის მქონე საერთო ინტერესებს, ღირებულებით ორიენტაციასა და მისწრაფებებს მოიაზრებდა. დიურკემმა სოციოლოგიაში ანომიის (პათოლოგიის, ნორმიდან გადახრის) ცნება შემოიტანა. მის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნორმალური და პათოლოგიური საზოგადოებები. პათოლოგიურ საზოგადოებაში სახეზეა ანომია – ძველი ნორმებისა და ღირებულებების გაუფასურება და უფუნქციობა. დიურკემის მიხედვით, ანომიის სახეებია: სოციალური უთანასწორობა, შრომის რუტინიზაცია, საწარმოო ძალის დეგრადაცია, კლასობრიეი კონფლიქტები. ამ პრობლემებისაგან თავის დაღწევის გზას რეფორმები წარმოადგენს.

დიურკემმა ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა თვითმკელელობის სოციოლოგიური ანალიზი. დიურკემამდე თვითმკელელობის მრავალი სხვადასხვა მიზეზი იყო დასახელებული: კლიმატური, გეოგრაფიული, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფსიქოპათოლოგიური და სხვა. დიურკემმა თვითმკელელობის უამრავი ფაქტის სტატისტიკურ-სოციოლოგიური ანალიზი მოახდინა და დაასკვნა, რომ თვითმკელელობა სოციალური ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც ადამიანებს შორის ურთიერთობა განაპირობებს. მან ინდივიდის სხვადასხვა სოციალური ნორმებით განპირობებული თვითმკელელობის შემდეგი ტიპები გამოყო: 1) ეგოისტური – ადამიანის მიერ სოციალური კავშირების მიზანმიმართული გაწყვეტა; საზოგადოების მაინტეგრირებელი ძალები სუსტია. 2) ალტრუისტული – როდესაც საზოგადოების მაინტეგრირებელი ძალები თვითშენახვის ინსტინქტზე მაღლდება; 3) ანომიური – როდესაც საზოგადოებაში მოშლილია სოციალური რეგულირება და ინდივიდს დაკარგული აქვს სოციალური იდენტობა; 4) ფატალისტური – როდესაც რომელიმე ჯგუფი ან ორგანიზაცია ძალუმად თრგუნავს პიროვნებას; იგი საზოგადოების მიერ ადამიანის „წრეგადასული კონტროლის“ გამო ჩნდება. დიურკემის მიერ შემოღებული წესის მიხედვით, თვითმკელელობის კოეფიციენტი დგინდება თვითმკელელობის რაოდენობასა და მოსახლეობის საერთო რაოდენობას შორის თანაფარდობით. დიურკემმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კათოლიკეებთან შედარებით თვითმკელელობის კოეფიციენტი პროტესტანტებს შორის უფრო მაღალია. იგივე ითქმის ქორწინებაში არმყოფი, დაუოჯახებელი ადამიანების მიმართ. ყოველივე ამის შემდეგ საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ დიურკემმა დაასკვნა, რომ თვითმკელელობის ძირითადი მიზეზი სოციალური კავშირების შესუსტებაა.

დიურკემი ებერთან ერთად სამართლიანად ითვლება რელიგიის სოციოლოგიის კლასიკოსად. რელიგია მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო და მეტი არსად სხვაგან. რელიგიის მარქსისტული გაგებისაგან განსხვავებით, დიურკემს მიაჩნია, რომ რელიგია ილუზია კი არ არის, არამედ ადამიანური მოღვაწეობის ისეთი სფეროა, სადაც ღმერთის ცნებაში სოციალური სინამდვილე იგულისხმება. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეში კონტი და სპენსერი უფრო პოპულარულები იყვნენ, თანამედროვე სოციოლოგიაში დიურკემს უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე მათ. შეიძლება ითქვას, რომ დიურკემმა სისრულეში მოიყვანა და დაასრულა კონტისა და სპენსერის მიერ დაწყებული საქმე და ამით უკედავყო საკუთარი სახელი, ხოლო სოციოლოგიური ცოდნა და სოციოლოგიური კულტურა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

* * *

„სოციალური რეალობის სპეციფიკის შეგრძნება იმდენად აუცილებელია სოციოლოგისათვის, რომ მხოლოდ განსაკუთრებულად სოციოლოგიურ კულტურას შეუძლია მისი მომზადება და მიყვანა სოციალური ფაქტების გაგებამდე.“

„სოციოლოგია, მართლაც, მხოლოდ იმ დღეს შეიძლებოდა დაბადებულიყო, როდესაც იგრძნეს, რომ არამატერიალური სოციალური მოვლენები მაინც რეალურ ნივთებად რჩებიან და კელეას ექვემდებარებიან.“


„შეუძლებელია სოციალური მოვლენების ინდივიდუალურიდან გამოყვანა, მთელისა – ნაწილიდან, რთულისა – მარტივიდან, საზოგადოების დედუქცია – ინდივიდიდან. საზოგადოება არის რეალობა **sui generis**; მას საკუთარი თვისებები აქვს, რასაც საერთოდ ვერ ეხვდებით მთელს დანარჩენ სამყაროში.“

ემილ დიურკემი

საკითხავი მასალა

ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის მოკლე ისტორია

„სოციოლოგიის მოწოდება დააეადებული საზოგადოების განკურნებაა."
ი. ლ. მორენო



როგორც ეიცით, თანამედროვე გაგებით, სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ეეროპული მოელენაა, რომელიც XIX ს-ის I ნახეეარში გაჩნდა. ბუნებრივია, სოციოლოგიის ისტორიაც აქედან იწყება. ამ ფაქტის გათეალისწინებით, ანტიკური ან შუა საუკუნეების დროინდელი მოაზროენეების სოციოლოგობაზე საუბარი უსაფუძელოა. ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის შესახებაც იგივე ითქმის.

ისტორიულად საზოგადოებრივი აზრის მიმართ ადამიანები გულგრილნი არც ერთ ეპოქაში არ ყოფილან. მიუხედაეად ამისა, კლასიკური გაგებით, ემპირიული სოციოლოგია ახალი დროის ეეროპული ფენომენია.

ემპირიული მონაცემების შეგროებით და მოპოებით ადამიანები უხსოეარი დროიდან იყენენ დაკაებული. პირეელობა ამ შემთხვეეაში იმ ხალხებს ეკუთვნით, რომლებმაც სახელმწიფოებრიობას ჩაუყარეს საფუძველი. ესენი ძველი ბერძნები, რომაელები, ეგეიპტელები, ჩინელები, ინდოელები, სპარსელები, კაეკასიელები და ებრაელები არიან.

ემპირიული მონაცემების შეგროების ყეელაზე მარტივი და საყოეელთაოდ გაერცელებული ფორმა იმ დროისათეის მოსახლეობის აღწერა იყო, რომელიც თითქმის რეგულარულად – ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ძეელ ეგეიპტესა და რომში. ე. წ. სოციალური სტატისტიკა ფარაონებსა და მეფეებს ქეეყნის სამართაეად სჭირდებოდათ. მათ უნდა სცოდნოდათ, თუ რამდენი იყო ქეეყანაში გადასახადების გადამხდელთა და პოტენციურ მეომართა რაოდენობა. ასე რომ, მხოლოდ ძეელი ეგეიპტიდან მსგაესი სახელმწიფოებრიეი დოკუმენტის სახით 1,5 ათასზე მეტი ტექსტია ჩეენამდე მოღწეული. ფარაონ ამაზისის დროს (570-526 წწ. ძვ. წ.) ყოეელი მოსახლე ეალდებული იყო სპეციალურად ამ საქმისთეის დანიშნული მოხელის წინაშე გამოცხადებულიყო და მისთეის მიეწოდებინა საკუთარი საქმიანობის, შემოსაეალებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ძეელ საბერძნეთში სოლონის მმართეელობის დროს (დაახლოებით 635-559 წწ. ძვ. წ.) მოსახლეობის შემოსაეალებისა და გადასახადების აღრიცხეის საკმაოდ რთული სტატისტიკური სისტემა არსებობდა. ათენში უძეელესი დროიდან მოქმედებდა შობადობის, სიკედილიანობისა და მოსახლეობის მიგრაციის საკმაოდ გამართული რეესტრი. მსგაესი პროცედურების შესახებ მდიდარ მასალას რომის ისტორია იძლეეა. საკუთარი ქეეყნის ფინანსური და სამხედრო მდგომარეობის ცოდნის მიზნით მოსახლეობის აღწერა ორჯერ ჩაუტარებია რომის ლეგენდარულ დამაარსებელ რომულუსს. მოსახლეობის აღწერა რომში ყოეელ ხუთ

წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. მსგავსი საქმიანობით დაკავებული იყვნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიები. უძველესი წყაროები საინტერესო ცნობებს იძლევა საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის, პროფესიული სტრუქტურის, შრომის სოციალური ორგანიზაციის შესახებ, რაც ანგრევს მითს ძველაღმოსავლური საზოგადოებების პრიმიტიულობის შესახებ და მათში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას ადასტურებს.

აღნიშნული მიმართულებით საინტერესო მასალას შუა საუკუნეები და ახალი დრო იძლევა. ამ მხრივ აღსანიშნავია ვილპელმ დამპყრობლის დავალებით 1086 წელს ინგლისში შექმნილი „საშინელი სამსჯავროს წიგნი.“ მასში სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი მამულები იყო აღწერილი. როგორც „საშინელ სამსჯაროზე“ არ დაიმალება არაფერი, ასევე ფეოდალებსაც არ უნდა დაემალათ მამულები მეფისათვის. ამის მიხედვით დაწესდა სამეფო გადასახადები. XVIII საუკუნიდან შობადობისა და სიკვდილიანობის აღწერა კათოლიკურმა ეკლესიამ რეგულარულად დაიწყო. ასე რომ, მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციამ საეკლესიო წიგნებში მოიყარა თავი. მსგავსი დოკუმენტები, ისევე როგორც მოსახლეობის აღწერის დამადასურებელი ფაქტები (მოსახლეობის აღწერას მიმართაედნენ ქართველი მეფეები და საქართველოში მოსული დამპყრობლები), საქართველოს ისტორიიდანაც არის ცნობილი. ანალოგიური წიგნები ინგლისში 1538 წელს კრომველმა შემოიღო. სამრეწველო გადატრიალების შემდეგ ახალი დროის ევროპაში ეს წესი შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ ემპირიული სოციოლოგიის საფუძვლებს სწორედ ამ დროიდან ეყრება საფუძველი.

ემპირიული სოციოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, აღსანიშნავია თომას მალთუსის (1766-1834) მოღვაწეობა. სოციალურ მეცნიერებათა ისტორიაში იგი შევიდა „ხალხთმოსახლეობის შესახებ კანონით.“ სოციალურ მოვლენათა აღწერისას იგი მათემატიკურ აპარატს იყენებდა და სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებს მკაცრ მათემატიკურ ფორმულირებას აძლევდა, რითაც დიდად შეუწყო ხელი მათემატიკური მეთოდების დანერგვას სოციოლოგიაში. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო ფრანგმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა პიერ ლაპლასმა (1749-1827).

გართულებულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ემპირიული კვლევები მოითხოვა, რასაც შესაბამისი მეთოდიკის დახვეწა დასჭირდა. ამ საქმით ბუნებისმეტყველები, მათემატიკოსები (ჯ. გრაუნტი, ე. ჰალეი, ჟ. ფურიე, პ. ლაპლასი) და სახელმწიფო მოხელეები (გ. კინგი, ჩ. დავენანტი, ჟ. კოლბერი, ე. კერსებუმი და სხვ.) იყვნენ დაკავებული, მაშინ როდესაც თეორიული სოციოლოგიის განვითარებაზე სოციოლოგიის კლასიკოსები ზრუნავდნენ.

თანამედროვე გაგებით ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგია ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში ჩაისახა და განვითარდა, არნახულ მიღწევებს კი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აშშ-ში მიაღწია. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სრულყოფა-დახვეწა (რ. მერტონი, პ. ლაზარსფელდი, ჯ. ლანდბერგი და სხვ.), სოციოლოგიის ემპირიული მიმართულების განვითარება კაპიტალისტური საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნილებებით საზრდოობდა. ამ ვითარების გამოხატულება იყო აშშ-სა და ინგლისში სპეციალური მოძრაობების წარმოშობა, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა სოციალური დაკვეთა.

ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები და წარმომადგენლები

ინგლისი

ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთ სამშობლოდ ინგლისი მიიჩნევა, რასაც არაერთი გამოკვლევა ადასტურებს. ჯერ კიდევ 1598 წელს გამოიცა ჯონ სტოუნის ნაშრომი „ლონდონის გამოკვლევა“, ხოლო 1777 წელს გამოცემული ჯონ ჰოვარდის უნიკალური გამოკვლევა ინგლისისა და უელსის საგრაფოების ციხეების აღწერას შეეხებოდა (პატიმართა კვება, ტანისამოსი, შრომის პირობები და სხვ.). არსებული მდგომარეობა მის მიერ შედარებული იყო საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის ციხეებში არსებულ ვითარებასთან. იგი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შედარებითი ანალიზის მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ანკეტირების მეთოდის საყვირველს შესწავლა ჯონ ჰოვკლერმა შოტლანდიის სოფლის მოსახლეობის შრომის პირობები (21-ტომიანი ნაშრომი).

აღსანიშნავია აგრეთვე ჯეიმზ ქეი-შატლუორტის გამოკვლევა „მანჩესტერის ფეიქართა ცხოვრების მორალური და ფიზიკური პირობები“ (1832 წ), რომელიც მუშათა სანიტარულ პირობებს შეეხებოდა. სიღარიბის პრობლემის ემპირიულ შესწავლას აწარმოებდა ლიეურ-პულელი მკვლევარი ჩარლზ ბუტი (1840-1916). 1889-1903 წწ-ში გამოცემული მისი წიგნი „ადამიანთა ცხოვრება და შრომა ლონდონში“ (17 ტომი) ჩართული დაკვირვების საფუძველზე იყო დაწერილი. ამისთვის იგი საგანგებოდ ლონდონის ღარიბთა კვარტალში ცხოვრობდა. მანვე ჩაატარა ინტერვიუს მეთოდით (1800 ინტერვიუ) მოსახლეობის რელიგიურობის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევა, რომელშიც ცოლ-ქმარი ბეატრისა (1858-1943) და სიდნეი (1859-1947) ვებები იღებდნენ მონაწილეობას. მოგვიანებით ცოლ-ქმარმა მათ მიერ მუშათა მოძრაობის სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე გამოაქვეყნა გამოკვლევა „ტრედ-უნიონიზმის ისტორია“ (1894). 1910 წელს იორკში ს. რაუნტრიმ ოჯახური ბიუჯეტის პრობლემები გამოიკვლია. 1890 წელს ჩ. ბუტმა და ს. რაუნტრიმ პირველებმა დააფიქსირეს სიღარიბის ზღვარი. მაშინ ის კვირაში 1 ფუნტის ტოლი იყო.

ინგლისურმა სოციოლოგიამ დიდი წვლილი შეიტანა მენეჯმენტისა და შრომის პრობლემების შესწავლის საქმეში. შესაბამისად, აქ შრომისა და მენეჯმენტის სოციოლოგია განვითარდა. ამ დროიდან მოყოლებული ინგლისში დღემდე არ შენელებულა ყურადღება გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევების მიმართ.

საფრანგეთი

საფრანგეთში ემპირიული სოციოლოგიის ფუძემდებლად ლუი ვილარმეს (1782-1863) მიიჩნევენ. ნაპოლეონის არმიის ყოფილმა ექიმმა სოციალური ჰიგიენის სფეროში მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა. განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი გამოკვლევა ფრანგულ მანუფაქტურებში მუშათა მდგომარეობის შესახებ (1840 წ.). ამ გამოკვლევის საფუძველზე საფრანგეთში ბავშვთა შრომის შესახებ საგანგებო კანონი იქნა მიღებული (1841 წ.). სოციალური ჰიგიენის სფეროში ემპირიული გამოკვლევებით ცნობილია ალექსანდრა პარან-დიუშატლე (1770-1836). საფრანგეთში „მორალური სტატისტიკის“ ფუძემდებლად მიშელ მერი (1802-1867) ითვლება თავისი ნაშრომით „მორალური სტატისტიკა საფრანგეთსა და ინგლისში“ (1860). მრეწველობის განვითარებასა და დანაშაულის რაოდენობას შორის კავშირი მან აღმოაჩინა. მუშათა ოჯახების ე. წ. მონოგრაფიული კვლევის საქმეში კლასიკად ითვლება ფრედერიკ ლე პლეს (1806-1882 წწ.) შრომები, რომელთაგან გამორჩეულია „ევროპელი მუშები“ (6 ტომი). მასში მუშათა ოჯახების ტიპოლოგიაა მოცემული. ამ მიმართულებით საფრანგეთში ცნობილია ე. წ. „ლე პლეს სკოლა“, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ა. ტურვილი, ე. დელმონი და სხვები. თეორიული თვალსაზრისით ისინი, ძირითადად, გეოგრაფიულ დეტერმინიზმს წარმოადგენდნენ. ფრანგულმა სოციოლოგიამ მსოფლიოს ემპირიული სოციოლოგიური კვლევების ჩატარებისა და ორგანიზების, კვლევის შედეგების რეალიზაციის უდიდესი გამოცდილება მოუპოვა. ემპირიულ კვლევებს თანამედროვე საფრანგეთში, როგორც ევროპის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანაში, დიდი ყურადღება ექცევა.

ძირითადი მიმართულებები

ამ დროისათვის ევროპაში ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები იყო:

- პოლიტიკური არითმეტიკა – საზოგადოებრივი მოვლენების უბრალო არითმეტიკული, რაოდენობრივი აღწერა.
- სოციალური ფიზიკა – ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევების ერთობლიობა (ა. კეტლეს მიხედვით).
- სოციალური ჰიგიენა – შრომისა და ყოფა-ცხოვრების სანიტარული პირობების აღწერა.
- მორალური სტატისტიკა – მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტელექტუალური და მორალური მახასიათებლების რაოდენობრივი შესწავლა.
- სოციოგრაფია – ტერიტორიული და პროფესიული გაერთიანებების მონოგრაფიული აღწერა.

გერმანია

გერმანიაში ზემოთ აღნიშნული მიმართულებები მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, თუმცა ზოგიერთ მათგანს თავისი წარმომადგენლები გერმანიაშიც გამოუჩნდა. ასეთი იყო, მაგალითად, „მორალური სტატისტიკის" წარმომადგენელი ერნსტ ენგელი (1821-1896). იგი ე. წ. „საბიუჯეტო კანონის" აღმოჩენად არის მიჩნეული. ამ კანონის მიხედვით, გამოვლენილ იქნა, რომ ოჯახის ტიპისა და შემოსავლების ოდენობის მიუხედავად არსებობისათვის აუცილებელ საგნებზე გაწეული ხარჯები ყოველთვის გარკვეული პრინციპით ნაწილდება. მან მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ რაც უფრო ღარიბია ოჯახი და მიზერულია მისი შემოსავალი, მით უფრო მეტია კვების ხარჯები.

ემპირიული სოციოლოგიისადმი დიდი ინტერესით, როგორც ემპირიკოსი სოციოლოგები, ცნობილი არიან სოციოლოგიის კლასიკოსები: ფერდინანდ თიონისი და მაქს ვებერი. იმ დამსახურების გარდა, რომელიც თიონისს კლასიკური სოციოლოგიის წინაშე მიუძღვის, იგი ცნობილია, როგორც მეტად საყურადღებო სტატისტიკური და სოციოგრაფიული გამოკვლევების ავტორი და ორგანიზატორი. იგი პრაქტიკულად იკვლევდა დამნაშავეობის, თვითმკვლელობის და სხვა პრობლემებს. მან თავის თეორიულ-სოციოლოგიურ კონცეფციაში ერთ-ერთმა პირველმა გამოყო ემპირიული სოციოლოგია, როგორც აღწერითი დარგობრივ-სოციოლოგიური დისციპლინა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებას პირველად ევროპაში მთელი სერიოზულობით მაქს ვებერი მიუდგა. თავის მიერ დაგეგმილ ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში იგი თვითონ ღებულობდა მონაწილეობას (6 გამოკვლევა).

1872 წელს გერმანიაში ინტელექტუალთა (სოციოლოგები, ისტორიკოსები, ეკონომისტები და სხვ.) დიდმა ჯგუფმა, რომელშიც მ. ვებერი, ა. ვებერი, ფ. თიონისი, გ. შმოლერი შედიოდნენ, „სოციალური პოლიტიკის საზოგადოება" დააარსეს. ამ საზოგადოებამ 1890-1891 წწ-ში გერმანიაში აგრარული ურთიერთობების შესასწავლად სოციოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა. გამოკვლევის პროგრამა და ანკეტა 27 წლის მაქს ვებერმა შეადგინა. დარიგებული 3 ათასი ანკეტის 70% დაბრუნდა, ხოლო 10 ათასი საექსპერტო ბლანკიდან – ათასზე მეტი. გამოკვლევის შედეგები 890-გვერდიან ნაშრომში აისახა, რომლის 120 გვერდი მუშათა და გლეხთა ოჯახების შემოსავლების ამსახველ ცხრილებს ეკავა. საკუთარი ძმის – ალფრედის წინადადებით, 1908 წელს ვებერი მრეწველობის სფეროში დასაქმებულ მუშათა მდგომარეობის შესწავლას შეუდგა. „გამოკვლევის გეგმა" და ინსტრუქცია ინტერვიუს ბლანკისათვის მანვე შეადგინა. ვებერის ცოლმა – მარიანამ 1924 წელს გამოკვლევა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. ნაშრომში ვებერი ინდუსტრიული სოციოლოგიის მეთოდოლოგიური პრინციპების ფუძემდებლად მოგვევლინა. 1910 წელს ვებერმა მეშახტეებისა და ფეიქრების მასშტაბურ გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა (ვებერის ცოლი საფეიქრო ფაბრიკის მეპატრონე იყო). ვებერის დროს ემპირიული სოციოლოგია მაინცდამაინც პოპულარული არ იყო. მაღალ აკადემიურ წრეებში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, სოციოლოგია ელიტარულ მეცნიერებად იყო მიჩნეული, რომელსაც მოსახლეობის დაბალ ფენებთან არაფერი ესაქმებოდა. ვებერი ერთ-ერთი პირველია, ვინც მსგავსი სტერეოტიპი დაანგრია. ის მიიჩნევდა, რომ სოციოლოგია აკადემიური ელიტის სადისკუსიო კლუბი კი არ არის, არამედ უაღრესად პრაქტიკული მეცნიერება, რომელსაც საზოგადოებისათვის უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია. საგულისხმოა, რომ სოციოლოგიური მეცნიერების განვითარება გერმანიაში (და მთელს დასავლურ სამყაროში) ვებერის მიერ მონიშნული გზით წარიმართა.

მსოფლიო სოციოლოგიაში გერმანული სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამსახურება ემპირიული კვლევების მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებაა. დღეისათვის გერმანიაში ემპირიულ სოციოლოგიურ კვლევებს ძალზე ხშირად მიმართავენ სახელმწიფოებისათვის მტკივნეული მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად.

ამერიკის შეერთებული შტატები

XIX საუკუნის ბოლოს განვითარებითი სოციოლოგიის მსოფლიო ცენტრად აშშ იქცა. ზოგადად აშშ-ში განვითარებითი სოციოლოგიის ისტორია სამ პერიოდად იყოფა:

I პერიოდი XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის 20-იან წლებს მოიცავს. ამ შემთხვევაში სოციალური რეფორმებისადმი ინტერესი დომინანტობს. საყურადღებო ეყრება სოციალურ ინ-

ჟინერიას (ფ. ტეილორი, გ. ემერსონი. გ. ტაუნა, ს. ტომპსონი). პრაქტიკული კელეებისადმი გულგრილნი არც აკადემიური სოციოლოგიის წარმომადგენლები დარჩენილან. მაგალითად, ალბიონ სმოლი ჩიკაგოს სამოქალაქო ფედერალურ სამსახურში იყო ჩართული; უილიამ ტომასი ჩიკაგოს ვიცე-კომისიაში მუშაობდა, ხოლო რობერტ ეზრა პარკი ჩიკაგოს სამოქალაქო ლიგის წევრი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ სოციოლოგები პრაქტიკული საქმიანობითაც იყენენ დაკავებული. ამერიკის სოციოლოგიურ რუკაზე ჩიკაგო შემთხვევით არ გაჩენილა. ემპირიული სოციოლოგიის აყვავების ხანა ჩიკაგოს სკოლას უკავშირდება.

გამოყენებითი სოციოლოგიის საკითხი 1859 წელს გახდა აშშ-ში პირველად აქტუალური. სოციოლოგიის საჭიროებაზე მკელეერები ბევრს დაეობდნენ. საკითხი შეეხებოდა იმას, თუ რა არის სოციოლოგიის საბოლოო მიზანი – ახალი ცოდნის შექმნა თუ კონკრეტული მტკივნეული პრობლემების მოგვარებაში დახმარების გაწევა. სოციოლოგიის ორმა ძირითადმა ორიენტაციამ აქედან აიღო სათავე: 1) ე. წ. ბაზისური სოციოლოგია, რომელიც ახალი ცოდნის მიღებაზე და, შესაბამისად, პროფესიონალებზე იქნა ორიენტირებული და 2) მომხმარებელზე, პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტაზე ორიენტირებული გამოყენებითი სოციოლოგია.

გამოყენებითი სოციოლოგიის ცნობილი წარმომადგენლები არიან „ამერიკული მოძრაობის“ ე. წ. „მეცნიერული მენეჯმენტის“ მიმდევრები: ფრედერიკ უინსლოუ ტეილორი (1856-1915), რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის შრომის სოციოლოგიის, შრომის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში; უ. ოგბორნი, პ. ლაზარსფელდი, პ. ბრიჯმენი, რ. მერტონი, გ. ზეტერბერგი. ამ დროისათვის აშშ-ში უკვე 3 ათასზე მეტი სოციოლოგიური გამოკელევაა ჩატარებული. ამ ხნის განმავლობაში დაიხვეწა ტესტირების, სკალირებისა და სოციომეტრიის მეთოდები; სრულყოფილი გახდა სოციოლოგიური გამოკელევის პროცედურები და ა. შ. აშშ-ში გამოყენებითი სოციოლოგიის „ბუმი“ შრომის ბაზრის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი. II მსოფლიო ომის შემდეგ ამგვარი „ბუმის“ ახალი ტალღა წამოვიდა.

II პერიოდი – 1920-1959 წწ. სოციოლოგიური კელევის რაოდენობრივი მეთოდოლოგიის არნახული გაფურჩქნის პერიოდია. ამ პერიოდში გამოყენებით სოციოლოგიაში ხდება მათემატიკური მეთოდების საბოლოო დამკვიდრება, კელევის ახალი მეთოდებისა და ტექნიკის შექმნა. XX ს-ის 40-50-იან წლებში დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი სოციოლოგიური კელევის მეთოდების ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულდა (კეტლეს მიერ შედგენილი პიროვნების შემსწავლელი თექვსმეტფაქტორიანი ტესტი; ვაკსლერის თემატური აპერცეფციისა და ინტელექტის შემსწავლელი ტესტი და სხვა მრავალი). ემპირიული სოციოლოგიის სფეროში საინტერესო გამოკელევებს აწარმოებდნენ ცნობილი სოციოლოგები: ლ. უორდი, უ. სამნერი, ფ. გიდინქსი, ე. როსი, ჩ. კული, უ. ტომასი, ფლ. ზნანეცკი, ს. ტაუფლერი, ე. შლიზი, გ. ბლუმერი, მ. იანოვიცი და სხვ. 60-იან წლებში ჩიკაგოელებმა ემპირიული კელევის განსაკუთრებული მეთოდი – ჩართული დაკვირვება შეიმუშავეს. 70-იანი წლებიდან კელევის რაოდენობრივი მეთოდების პრიმატი თეისებრივმა ჩაანაცვლა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფორმალიზებული იტერვიუსა და დოკუმენტური ანალიზის მეთოდიკის დახვეწაზე. დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე სოციოლოგებმა უილიამ თომასმა და ფლორიან ზნანეცკიმ შეისწავლეს ამერიკაში ემიგრირებული პოლონელი გლეხების მდგომარეობა, რომელიც კლასიკურ ნაშრომად ითვლება ამ სფეროში.

ამერიკული სოციოლოგიის ისტორიაში ამ დროიდან მოწინავე პოზიციებზე ჰარვარდის სკოლა გამოდის. 1927-1932 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულთა ჯგუფი ე. მეიოს (1880-1948) ხელმძღვანელობით ცნობილ „ჰორტონის ექსპერიმენტებს“ ატარებს. ფაქტობრივად, აქედან დაიწყო ამერიკაში ინდუსტრიული სოციოლოგიის განვითარება. ექსპერიმენტი ჩიკაგოს მახლობლად, „ვესტერნ ელექტრიკ კომპანიაში“ ოთხ ეტაპად ტარდებოდა. პირველ რიგში გამოკელეულ იქნა განათების როლი წარმოების საქმეში, შედეგად აღმოჩნდა, რომ თურმე საგრძნობი იყო მისი გაელენა შრომის ნაყოფიერებაზე. კელევის მეორე ეტაპმა წარმოებაში დასაქმებულთა შორის ურთიერთობის ლატენტური (დაფარული) ფორმების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი; მესამე ეტაპზე ჯგუფის, შრომითი კოლექტივის კარდინალური შესწავლის აუცილებლობის საკითხი დადგა; კელევის მეოთხე ეტაპზე მეიომ კელევაში არატრადიციული მეთოდებიც ჩართო და ამისათვის ცნობილი ანთროპოლოგი უ. უაიტი მოიწვია. მან ე. წ. სოფტ-მეთოდოლოგია, კერძოდ არასტრუქტურალიზებული ინტერვიუ, გამოიყენა. მეიოს ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ შრომის ნაყოფიერება დიდწილად „ადამიანურ ფაქტორებზეა“ დამოკიდებული. გარდა ამისა, გამოკელეაში გამოიკვეთა ჰარვარდის სკოლის ძირითადი ამოსავალი პრინციპები: 1) ადამიანი, როგორც სოციალური ჯგუ

ფის (მიკრო და მაკრო) წერი და ჯგუფზე ორიენტირებული არსება; 2) ბიუროკრატიული სისტემა ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას; 3) ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ადამიანზე და არა წარმოებაზე. აქედან შრომის სოციოლოგიის ახალი პარადიგმა – წარმოების ჰუმანიზაცია, გუნდური თამაშის პრინციპები და მოსამსახურეთა განათლების სრულყოფაზე ზრუნვა იღებს სათავეს.

III ეტაპი – XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება (ა. მასლოუ, ფ. ჰერცბერგი, დ. მაკგრეგორი და სხვ.). ეს პერიოდი კომერციული სოციოლოგიური გამოკვლევების „ბუმით" არის გამორჩეული. გამოყენებითი სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პაულ ლაზარსფელდმა (1901-1976), რომელმაც მათემატიკისა და ფსიქოლოგიის მეშვეობით მთლიანად გადაასხვაფერა გამოყენებითი სოციოლოგია. მან 1943 წელს გერმანიიდან აშშ-ში, ნიუარის უნივერსიტეტში გადაიტანა მის მიერ შექმნილი „ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური კვლევითი ინსტიტუტი," რომელმაც კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას ჩაუყარა საფუძველი.

ბოლო დროს ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის ნამდვილ მექად იქცა აშშ. 1980 წელს აშშ-ში სოციოლოგიის 120 ფაკულტეტი იყო. დღეს აშშ-ში ასობით ორგანიზაციაა, რომელიც გამოყენებითი სოციოლოგიითაა დაკავებული. 1980 წელს 14,5 ათასი სოციოლოგი მუშაობდა აშშ-ის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, 6,8 ათასი კი – ემპირიული სოციოლოგიის სფეროში (კერძო ბიზნესი, არამომგებიანი ორგანიზაციები, მთავრობა). ეს მაჩვენებელი ნელ-ნელა ემპირიული სოციოლოგიის სასარგებლოდ იცვლება.

აშშ-ში გამოყენებითი სოციოლოგიის სპეციალისტების დასაქმების სქემა (%-ში)

დასაქმების სფეროები	1990 წ.
ყველა სოციოლოგი	100%
მთავრობა	41,26%
ფედერალური მთავრობა	4,29%
შტატების მთავრობა	28,01%
ადგილობრივი მთავრობა	8,96%
წარმოებისა და მომსახურების სფერო	58,74%
განათლება	19,36%
სხვა პროფესიული ორგანიზაციები	11,69%
ჯანდაცვა	14,03%
არაკომერციული ორგანიზაციები	7,67%
ბიზნესი და მენეჯმენტი	5,06%
სხვა სამსახურები	0,92%
წარმოების სხვა დარგები	0, 01%

აშშ-ის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში პრაქტიკოსი სოციოლოგების მომზადებაში აქტიურად გამოიყენება ინდივიდუალური და აუდიტორული მეცადინეობები, სასწავლო ფილმები, როლური თამაშები, სოციოდრამა, აუდიოტაიპები, კომპიუტერი და სწავლების მრავალი სხვა მეთოდი, რომელთა პროცენტული წილი სწავლებაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: საველე გამოკვლევები (38%), დამოუკიდებელი გამოკვლევები (25%), წიგნები (25%), ფილმები (23,5%), როლური თამაშები და სოციოდრამა (21,3%), კომპიუტერი (20,4%), საქმიანი თამაშები (19%), აუდიოტაიპები (18,5%), თვითსწავლა (17,3%), სპეციალური პრეზენტაციები (16,1%), კურსების ტელევიზიონური ტრანსლაციები (15,1%), მიღწევები (12,9%), პროგრამირება (12, 5%), სახელმძღვანელოები (9,8%), გამოცდები (9,15).

შენიშვნა:

ცხოვრებისეული სიტუაციები უამრავ სიურპრიზს სთავაზობს პრაქტიკოს სოციოლოგს, ამიტომ ის მუდმივად ახალ-ახალი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ამყოფებს. შესაბამისად, ყველაზე დიდი სირთულე სწორედ აქ იჩენს თავს. კერძოდ, სოციოლოგი ადვილად შეიძლება მოექცეს მმართველი ელიტის ანდა კლიენტის დამკვეთის გავლენაში, რაც ობიექტურობის პრინციპის დარღვევაა. ის არ უნდა იქცეს მათი ინტერესების მსახურად.

„რა ვართ ჩვენ საზოგადოების გარეშე? – არაფერი!
რა არის საზოგადოება ჩვენ გარეშე? – არაფერი!"

VI ლექცია

თემა: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები:

საზოგადოება

სოციოლოგიის ცნებათა შორის მთავარი საზოგადოების ცნებაა. ის ყველა სოციოლოგიურ ცნებასთან შედარებით ზოგადობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. სოციოლოგისათვის საზოგადოების ცნებას იმიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ მის გაგებაზეა დამოკიდებული სოციოლოგიის, როგორც მთლიანი მეცნიერული სისტემის, ხასიათი. ამიტომ საზოგადოების ცნების განსხვავებული გაგება ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებულ სოციოლოგიურ თეორიებს წარმოშობს. სოციოლოგიის ამა თუ იმ ტიპს საზოგადოების ესა თუ ის გაგება უდევს საფუძვლად. თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი ნეილ სმელზერი თავის წიგნში „სოციოლოგია" ამბობს, რომ ამ სიტყვას ყოველდღიურ მეტყველებაში ყველანი თავისუფლად ვიყენებთ, მაგრამ მეცნიერებისათვის მისი განმარტება დღემდე დიდი თავსატეხია, რაშიც, იმავე სმელზერის თქმით, საზოგადოების შესახებ საყოველთაოდ გაერცელებული მრავალი მოსაზრების არსებობა ქმნის სიძნელეს. მოსაზრებათა სიმრავლიდან მთავარისა და არსებითის გამოყოფა პრობლემა გახდა.

ჯერ კიდევ არისტოტელე შენიშნავდა, რომ საზოგადოება მოქალაქეთა ერთობლიობაა, რომელიც საკუთარი არსებობისათვის საკმარისია. ამის შემდეგ უამრავი მოსაზრება გამოითქვა საზოგადოებაზე, მაგრამ არისტოტელეს აზრი, რომ საზოგადოება ადამიანთა ერთობა, კავშირი და გაერთიანებაა, ყველა მათგანშია შენარჩუნებული. ჰობსი, რუსო და ლოკი ამბობდნენ, რომ საზოგადოება კონტრაქტით (ხელშეკრულებით) გაერთიანებულ ადამიანთა ერთობაა. სოციოლოგიის მამა კონტი მიიჩნევდა, რომ საზოგადოება სოციალური ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ერთობლიობაა, ხოლო სპენსერის აზრით, საზოგადოება ადამიანურ მიმართებათა მუდმივობაა; ტარდს მიაჩნდა, რომ საზოგადოება მიმბაძველ ადამიანთა ურთიერთობაა; სოციოლოგიის კლასიკოსი დიურკემი კი საზოგადოებას იმ ინდივიდთა კრებულად წარმოადგენდა, რომლებიც ერთმანეთთან მუდმივ მიმართებაში იმყოფებიან. თითოეული ამ მოსაზრებიდან ჩანს, რომ საზოგადოების ცნება ერთი რომელიმე ცალკე აღებული ნიშნის მიხედვით არის განმარტებული, რაც არასწორია. ამ ყველაფერთან ერთად საზოგადოება ამავე დროს ადამიანთა ურთიერთობაა, ადამიანთა ურთიერთობა კი მრავალგვარი შეიძლება იყოს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა გაერთიანებაა, რომელიც ისტორიული და კულტურული ხასიათის მქონეა. ერთმანეთთან კავშირით ადამიანები ისტორიულ და კულტურულ სამყაროს ქმნიან, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების სპეციფიკას წარმოადგენს.

საზოგადოება ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების შედეგად წარმოშობილი სინამდვილეა, თუმცა ერთად ცხოვრება საზოგადოების არსობრივ ნიშანს არ წარმოადგენს, რადგანაც ერთად ცხოვრება ბიოლოგიური სამყაროს ცალკეულ წარმომადგენელთათვისაც არ არის უცხო. მაგალითად, მწერების, ფრინველების, ცხოველებისა და ციებისისხლიანი ორგანიზმების ერთობას საზოგადოებად მოიხსენიებენ ხოლმე და იტყვიან: ჭიანჭველების საზოგადოება, ფუტკრების საზოგადოება და სხვ. თუმცა თითოეული მათგანის ბუნებრივი ერთობა თვისებრივად განსხვავდება ადამიანთა ერთობებისაგან. არც ერთი ბუნებრივი ერთობა შეგნებული კავშირების შედეგად არ არის შექმნილი. გარდა ამისა, ჭიანჭველების საზოგადოება, რაც იყო ასეულობით წლების წინათ, ისეთივეა დღესაც, რასაც ვერ ეტყვით ადამიანთა იმ დიდ ერთობაზე, რომელსაც საზოგადოება ჰქვია. საზოგადოების სპეციფიკის გამომხატველია ტერმინი სოციუმი. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ადამიანები არიან სოციალური, ანუ ისეთი არსებები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ერთობლივი ცხოვრებითა და საქმიანობით, შეგნებული, მყარი, აუცილებელი და განმეორებადი ურთიერთობებით. საზოგადოება – ეს არის სოციუმი, რომელსაც შრომის სოციალური დანაწილება ახასიათებს (დიურკემი). საზოგადოების ცნება ადამიანთა თანაცხოვრების კანონზომიერებათა გაცნობიერებას გულისხმობს. ის ადამიანთა შეგნებული და გაცნობიერებული ერთობაა. მისი ინტერპრეტაციის არაერთი საინტერესო პარადიგმაა ცნობილი სოციოლოგიაში.

საზოგადოების ცნების ინტერპრეტაციის პარადიგმები:

საზოგადოების ცნების ინტერპრეტაციის პარადიგმა სულ მცირე ორ უმთავრეს კითხვაზე პასუხს გულისხმობს: ეს კითხვებია: რა არის საზოგადოება? რატომ და როგორ იცვლება ის?

ემილ დიურკემი – ფუნქციონალისტური პარადიგმა:

დიურკემის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება სუბიექტების ერთობლიობაა, ის ობიექტური ბუნების მატარებელია და, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, იგი ინდივიდებისაგან შექმნილი, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი რეალობაა. ის უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდთა უბრალო ჯამი. იგი საკუთარი ცხოვრებითა და კანონებით არსებობს, რომლებიც ჩვენი პირადი გამოცდილების ფარგლებს სცდება. ჩვენ მიერ შექმნილი რეალობა ჩვენთან მიმართებაში გარეგანი და მაიძულებელი ხასიათის მქონეა. მისი არსებობა წინ უწრებს ჩვენს არსებობას: საზოგადოება არსებობდა ჩვენამდე და ჩვენ შემდეგაც იარსებებს. რამდენადაც ის ტოტალური რეალობაა, მას ჩვენზე ზემოქმედების ძალა აქვს და, შესაბამისად, იგი მიმართულებას აძლევს ჩვენს აზრებსა და მოქმედებებს. ამას თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავზე გამოცდის საზოგადოების მიერ შექმნილი ნორმებისა და წესების, უფრო სწორად, კოლექტიური ცნობიერების ზემოქმედების სახით, რომლისაგან თავის დაღწევა არავის არ შეუძლია. საზოგადოებაში ყველაფერს სოციალურობის დამღა ასის. დიურკემმა დაადგინა, რომ საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება მისი შემადგენელი სოციალური ელემენტების ფუნქციის გარეშე შეუძლებელია. ამ აზრით, საზოგადოება ერთ მთლიანობად შეკრული სისტემაა, რომლის ყოველი ელემენტი გარკვეული ფუნქციის მატარებელია და საზოგადოებას ერთ მთლიან სისტემად კრავს. თუნდაც ისეთი უარყოფითი მოვლენა, როგორიც დანაშაულია, დიურკემის მიხედვით, გარკვეული სოციალური ფუნქციის მატარებელია. იგი სოციალური თვალსაზრისით „ნორმალური" მოვლენაა, რადგანაც მის გარეშე საზოგადოება არ არსებობს. დანაშაულის ამგვარი გაგება შორს დგას მისი იურიდიული განმარტებისაგან. დიურკემის მტკიცებით, საზოგადოება არამარტო „ჩვენ გარეთ," არამედ „ჩვენ შიგნითაც" იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ჩვენგანის პიროვნება სოციალური ნორმებისა და წესების გაშინაგანების გზით ვითარდება. ჩვენი აზრების, შეხედულებების, გრძნობების, განცდებისა და მოქმედებების მასაზრდოებელი წყარო საზოგადოებაა, რომელიც მორალური კანონებითა და კულტურული ნორმებით ჩვენს ქცევებს არეგულირებს. დიურკემის აზრით, ადამიანთა სურვილებსა და მოთხოვნილებებს საზღვარი არა აქვს და მათ შეიძლება დაღუპონ იგი, თუ დროზე არ ჩაერია საზოგადოება თავისი სოციალური რეგულაციის მექანიზმებით, რისი საჭიროება და აუცილებლობა დიურკემმა თვითმკვლელობის ანალიზისას დაადასტურა. მაგალითად, რატომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოპ-ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი ან როკ-მომღერალი კურტ კობეინი თვითნგრევის ტენდენციის მატარებელნი არიან? მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ამ მუსიკალურ მიმდინარეობათა გაჩენამდე დიდი ხნით ადრე დიურკემმა დაადგინა, რომ თვითმკვლელობის მაჩვენებელი მაღალია იქ, სადაც საზოგადოებრივი რეგულირების ხარისხი ძალიან დაბალია. შესაბამისად, უსაზღვრო თავისუფლება, რომელიც ახალგაზრდობაში სიმდიდრესთან და დიდებასთანაა დაკავშირებული, თავის მხრივ, მსხვერპლის სახით თვითმკვლელობას მოითხოვს.

დიურკემმა ისიც შეამჩნია, რომ ტრადიციულ საზოგადოებასთან შედარებით თანამედროვე საზოგადოება ნაკლებად ხღუდავს ადამიანს, რაც დიურკემს მაინცდამაინც არ მოსწონს, რადგანაც მასში ანომიის (უნორმობის) საშიშროება იმალება. ანომიის დესტრუქციულ ეფექტზე მეტყველებს შემდეგი მაგალითიც: მოულოდნელი დიდება ადამიანებს ტრადიციულ საქმიანობასა და ოჯახს აშორებს, ანგრევს მის ღირებულებით სამყაროს და ბოლოს ეს ყველაფერი შეიძლება ფატალური შედეგებით დამთავრდეს, ამიტომ, დიურკემის თანახმად, ინდივიდუალური სურვილები თანხმობაში უნდა იყოს სოციალურ მოთხოვნებთან, რაც თანამედროვე სამყაროში ძნელი მისაღწევია. პიროვნებისა და საზოგადოების „ბრძოლის არენაზე", ნიცშესაგან განსხვავებით, სოციოლოგიის კლასიკოსი საზოგადოების მხარეზე დგას. საზოგადოების შემკვრელი და მაკონსტრუირებელი ძირითადი ფაქტორი, დიურკემის მიხედვით, სოლიდარობის პრინციპია. ამ პრინციპის მიხედვით განასხვავა მან ერთმანეთისაგან ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოებები. ტრადიციული საზოგადება მექანიკური სოლიდარობის პრინციპზეა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ერთმანეთისადმი საჭიროებას მექანიკურად, აუტომატურად განიცდიან.

თანამედროვე საზოგადოებამ სოლიდარობის სხვა ფორმა მოითხოვა. ამიერიდან ადამიანები ტრადიციებით, მორალითა და ადათ-წესებით კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ორგანული სოლიდარობის პრინციპით, რაც შრომის დანაწილებასა და ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზაციაში გამოიხატება. თუ ტრადიციულ საზოგადოებაში სხვებისადმი ჩემს ურთიერთმიმართებას მორალური წესები განაპირობებდნენ და ამის გამო ვიყავი მათ მიმართ სოლიდარული, თანამედროვე საზოგადოებაში სხვებისადმი სოლიდარობას ახალი ცხოვრების წესი განაპირობებს. ამიერიდან თითოეული ჩვენგანი ათასობით ჩვენთვის უცნობ, მაგრამ საჭირო ადამიანებზე ვართ დამოკიდებული ჩვენთვის აუცილებელი საგნებისა და მომსახურების მოსაპოვებლად. ასეთია დიურკემისეული საზოგადოების გაგება. მოგვიანებით მისი ფუნქციონალისტური პარადიგმა უფრო მაღალ სოციოლოგიურ დონეზე ამერიკელმა სოციოლოგებმა ტალკოტ პარსონსმა და რობერტ მერტონმა აიყვანეს.

გერჰარდ ლენსკი – სოციოკულტურული პარადიგმა:

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის გერჰარდ ლენსკის შრომები სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებს შორის კოლოსალური განსხვავებების დანახვაში გვეხმარება. ლენსკიმ ძირითადი აქცენტი იმ ცვლილებებზე გადაიტანა, რომელიც საზოგადოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მოაქვს თან. ამ პროცესების აღსანიშნავად ლენსკიმ, სოროკინის მსგავსად, სოციოკულტურული ევოლუციის ცნება მოიშველია. მისი აზრით, სოციალური ცვლილებების ტემპს ტექნოლოგიები განაპირობებენ, შესაბამისად, საზოგადოების ტიპოლოგიასაც ის უდევს საფუძვლად. წარმოიდგინეთ რამდენიმე საუკუნის წინ მცხოვრები ადამიანი თანამედროვე საზოგადოებაში. რა მოუვიდოდა მას, როდესაც ისეთ ფაქტებთან მოუწევდა შეხება, როგორიცაა სექსი ტელეფონით, ხელოვნური გული, გენური ინჟინერია, სინჯარის ბავშვები და ინ-ვიტრო განაყოფიერება, ელექტრონული ფოსტა, ბირთვული საფრთხე, ტრანსსექსუალიზმი, კომპიუტერული ტრაქტები, სატელევიზიო შოუები და მრავალი სხვა. ლენსკიმ აჩვენა, რომ ახალი ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების სილრმეებში აღწევს და მთლიანად მოიცავს მას. ეს პროცესი ყოველ საზოგადოებას ახასიათებს. ამდაგვარი პროცესი იყო თავის დროზე ჩვენი წინაპრების მიერ ორთქლის ან ქარის ენერგიის გამოყენება. ტექნოლოგიური ცვლილებები კულტურის პროგრესსაც ნიშნავს, ამიტომ კაცობრიობის სოციოკულტურული პროგრესის გზაზე ლენსკიმ 5 ძირითადი ტიპის საზოგადოება გამოყო. საზოგადოების ტიპოლოგიაზე ლენსკის გარდა არაერთი თანამედროვე სოციოლოგი ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ყოველი მათგანის უმთავრესი ტენდენციები მოცემული აქვს ლენსკის. გარდა ამისა, ლენსკის ტიპოლოგია საზოგადოების ბუნებისა და რაობის ასახსნელადაა საყურადღებო.



გერჰარდ ლენსკი
(დაბ. 1924 წ. 13. 09.)

მონადირეთა და შემგროვებელთა საზოგადოება

ყველაზე პრიმიტიული საზოგადოებები მონადირეობითა და შემგროვებლური მეურნეობით ინახავენ თავს, რაც ნადირობისა და მცენარეული საკვების შეგროვებისათვის პრიმიტიული იარაღების გამოყენებას გულისხმობს. ლენსკი მიჩნევს, რომ ადამიანის გაჩენიდან მოყოლებული ძვ. წ. მე-12 ათასწლეულამდე ყველა ადამიანი ან მონადირე, ან შემგროვებელი იყო. მსგავსი საზოგადოებები კაცობრიობის ისტორიაში მრავალად ყოფილა და არიან დღესაც. მაგალითად, აესტრალიელი აბორიგენები, კასკას ტომები კანადის სამხრეთ-დასაელეთით, ბუშმენები ჩრდილო-დასაელეთ აფრიკაში, ბატეკები მალაიზიაში და სხვ.



აფრიკელი ბუშმენები

ცხოვრების ამ წესის მიმდევარ ადამიანებს დიდი სასიცოცხლო სივრცე სჭირდებათ, ამიტომ ისინი საცხოვრებელ ადგილს წარამარა იცვლიან. საზოგადოება გვაროვნულ პრინციპზეა აგებული. ოჯახი მოიპოვებს და ანაწილებს საკვებს, იცავს საკუთარ წევრებს. ამ ტიპის საზოგადოების ადამიანები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან, თუმცა გარკვეული ასაკობრივი და გენდერული თავისებურებები აქაც არის. მაგალითად, ბავშვები და მოხუცები აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც შეუძლიათ. ძირითადი საქმიანობით ჯანმრთელი და შედარებით ახალგაზრდები არიან დაკავებული. მამაკაცები ნადირობენ, თევზაობენ. ქალები საკვებად ვარგისი მცენარეული ნაყოფის, ბოლქვებისა და ძირების შეგროვებით არიან დაკავებული. გენდერული უპირატესობა, ლენსკის მიხედვით, ამყარ საზოგადოებაში არც ერთი სქესის წარმომადგენელს არა აქვს, არც ფორმალური ლიდერია გამოკვეთილი. ერთადერთი ადამიანი, ვინც ყველას პატივისცემას იმსახურებს, შამანია მხოლოდ, რომელიც სხვებისაგან განსხვავებული მატერიალური უპირატესობის მფლობელი არ არის. ლენსკი ამგვარ საზოგადოებას egalite -თანასწორობა) უწოდებს. სიცივესა და სიცხეში გარეთ ყოფნა ამ ადამიანთა გამძლეობას აფერხებს. ბევრი მათგანი ისე კვდება, რომ 20 წლის ასაკსაც ვერ აღწევს. დღეს ეს საზოგადოებები უმძიმეს დღეში არიან, რადგანაც ჩვენი საუკუნის ტექნოლოგიურმა პროგრესმა მათი საარსებო სივრცე შეზღუდა. მათი ცხოვრების პირობების და წეს-ჩვეულებების შესწავლა კი სოციოლოგიური ანალიზის ცხოველი ინტერესის საგანია ყოველთვის.

მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა საზოგადოება

10-12 ათასი წლის წინათ მომხდარმა ტექნოლოგიამ საზოგადოების ცვლილება დაიწყო. ადამიანებმა შრომის პრიმიტიული იარაღების მეშვეობით მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა დაიწყეს, თუმცა ამ საქმიანობას მხოლოდ ადმიანთა გარკვეულმა ნაწილმა მისცა ხელი, – მათ, რომლებიც ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრობდნენ, ხოლო უდაბნოებსა და მთებში მცხოვრებლებმა ცხოველების მოშინაურება დაიწყეს და მესაქონლეობას მისცეს ხელი. დღეს მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა საზოგადოებები სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში გვხვდება. განსაკუთრებით ცნობილია სახარის უდაბნოში მცხოვრები ტუარეგის ტომი. ცხოველთა მოშინაურებამ და მიწათმოქმედებამ პროდუქტების წარმოება საგრძნობლად გაზარდა, ამან, თავის მხრივ, ხელოსნობა და ვაჭრობა განავითარა.



ტუარეგის ტომის წარმომადგენელი

ადამიანებმა თმების შეჭრა და ტატუირება დაიწყეს. გაჩნდნენ ქურუმები. მონადირეთა საზოგადოებასთან შედარებით საზოგადოების ეს ტიპი უფრო რთული და სპეციალიზებულია. მონადირეს სამყარო გასულიერებულად წარმოედგინა. მიწათმოქმედი თაყვის წინაპრებსა და ღმერთს, როგორც ყოველივეს შემოქმედს, სცემს თაყვანს. მესაქონლეთა და მიწათმოქმედთა საზოგადოება უფრო მწარმოებლური გახდა, შესაბამისად, გაჩნდა სოციალური უთანასწორობა, რასაც ომები და კანიბალიზმი მოჰყვა.

აგრარული საზოგადოება

ლენსკის აზრით, დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი ტექნოლოგიური რევოლუცია მოხდა, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს დიდი ნაწილი. ეს აგროკულტურის ჩამოყალიბება იყო, რაც გუთნის გამოგონებასა და მისი საშუალებით ხვნა-თესვასთანაა დაკავშირებული.




ამ ფაქტს ლენსკი „ცივილიზაციის გარიჟრაჟს“ უწოდებს. ამ დროიდან მოყოლებული მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. სოფლის მეურნეობის განვითარებამ საზოგადოების წევრთა შრომის კიდევ უფრო რთული დანაწილება გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, სოციალური დიფერენციაციის წყარო გახდა. აგრარული საზოგადოებები სოფლის მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობით გამოირჩეოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გლეხები და მიწის მეპატრონეები არიან. ლენსკის ეს საზოგადოების ე. წ. ელიტარული ნაწილის ჩანასახად მიაჩნია. ამ ტიპის საზოგადოების წევრთა უმთავრესი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა, თუმცა მრეწველობაც ვითარდება, მაგრამ მას წამყვანი ადგილი ჯერ არ უკავია. აგროკულტურამ საზოგადოებაში მანამდე არსებული გენდერული ბალანსი დაარღვია და მამაკაცს ქალთან შედარებით მეტი უპირატესობა მიენიჭა. თავის მხრივ, აგრარული საზოგადოებებიც არ არის ერთგვაროვანი. ეს იმის გამოა, რომ აგრარული ტექნოლოგია ადამიანებს ფართო ცხოვრებისეულ არჩევანს სთავაზობს. აგრარულ საზოგადოებას გარკვეულწილად ტრადიციულ საზოგადოებასაც

უწოდებენ, თუმცა ასეთი დეფინიცია ლენსკისთვის მიუღებელია. ტრადიციულია ის საზოგადოება, რომელსაც ტრადიციები და ადათ-წესები მართავენ.

ინდუსტრიული (სამრეწველო) საზოგადოება

ინდუსტრიული საზოგადოება კაცობრიობის ისტორიაში სამრეწველო ერის დადგომამ წარმოშვა. იგი ფაბრიკა-ქარხნული წარმოების განვითარებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებებით არის გამოწვეული. ამ ტიპის საზოგადოების ტექნოლოგიური ნიშნებია მანქანების, ელექტროგანათების, მაციერების, ლიფტებისა და სარეცხი მანქანების წარმოება, რასაც ძალიან მალე მოჰყვა ტელეფონის, რადიოს, ტელევიზორისა და ელექტრონული შეტყობინების საშუალებათა გაჩენა, ხოლო თანამედროვე საზოგადოება უკვე კომპიუტერისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოწმეც გახდა. აგრარული საზოგადოებისაგან განსხვავებით, ინდუსტრიულმა საზოგადოებამ ადამიანები სახლიდან ფაბრიკა-ქარხნებში გადაიყვანა. შრომის დანაწილებამ, რომლის შესახებაც თავის დროზე დიურკემი საუბრობდა, მანამდე არნახულ დონეს მიაღწია. ინდუსტრიულმა ტექნოლოგიამ ოჯახის ტრანსფორმაცია გამოიწვია. ის უკვე აღარ არის სოციალური ცხოვრების ცენტრი. ლენსკიმ მიანიშნა, რომ ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ სიღარიბის ძველი პრობლემა მაინც ვერ მოხსნა. ინდუსტრიამდელ საზოგადოებასთან შედარებით აქ გაიზარდა განათლებულ ადამიანთა რაოდენობა და, საერთოდ, განათლების როლი. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ადამიანის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს. ინდუსტრიულ საზოგადოებაში უკვე ნათლად არის გამოკვეთილი ურბანიზაციისა და სეკულარიზაციის ტენდენციები.



განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქური ცხოვრების წესის დამკვიდრება და მოსახლეობის განლაგება მეგაპოლისებში, რაც ინდუსტრიული საზოგადოების აუცილებელი ნიშანია. საყურადღებო ფაქტია აგრეთვე მეცნიერების განვითარება, რომელიც ინდუსტრიული საზოგადოების თანამდევი პროცესია. საზოგადოების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ცვლილებები ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, მეცნიერების განვითარების კარგშე წარმოუდგენელია. ლენსკის მიხედვით, დღევანდელი ინდუსტრიული საზოგადოებების ძირითადი ნაწილი ევროპასა და აზიაში გვხვდება.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება

ინდუსტრიული საზოგადოებების უმრავლესობა (მაგალითად, ამერიკული, იაპონური, ფინური და სხვ.) ტექნოლოგიური განვითარების მომდევნო ფაზაში შეიცვალა, რომელსაც პოსტინდუსტრიული საზოგადოება ეწოდება. ტერმინი ამერიკელმა სოციოლოგმა დენიელ ბელმა შემოიტანა იმ ახალი ტექნოლოგიების აღსანიშნავად, რომელიც ეკონომიკის ახალი ტიპის საფუძველს ქმნის და ინფორმაციის წარმოებაზეა ორიენტირებული.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკა „სერვისულ მეურნეობაზეა“ აგებული. მას მაღალი მარკეტინგული კულტურა ახასიათებს, რაც თავისთავად პიროვნებათშორისი კომუნიკაციების, განათლების, თეორიული ცოდნისა და მეცნიერული კვლევების პრიორიტეტს გულისხმობს. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მატერიალური საგნების წარმოებაა მნიშვნელოვანი, პოსტინდუსტრიულში ეს ადგილი ცოდნამ, ინფორმაციამ დაიკავა. ამ ტიპის საზოგადოების ინფორმაციულ ეკონომიკას კომპიუტერული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ. ამ ტიპის საზოგადოების სინონიმია „ცოდნის საზოგადოება.“




დენიელ ბელი
(1919-2011)

სოციალური ორგანიზაციების მკვლევარმა ამერიკელმა სოციოლოგმა ამიტაი ეტციონიმ 1968 წელს თავის ერთ-ერთ ნაშრომში „აქტიური სოციუმის" იდეა წამოაყენა, რომელშიც თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებსა და ამ ცვლილებათა შედეგებზე ამახვილებდა ყურადღებას. ეტციონის მიერ წარმოდგენილი „აქტიური სოციუმი," ფაქტობრივად, პოსტმოდერნისტული საზოგადოება იყო იმ აზრით, რომ იგი კარდინალურად განსხვავდება თანამედროვე, მოდერნისტული საზოგადოებისაგან. ჩვეულებრივ, პოსტმოდერნისტულ საზოგადოებას პოსტინდუსტრიულთან აიგივებენ, რაც არასწორია. პოსტმოდერნისტული საზოგადოება ბევრად განსხვავდება პოსტინდუსტრიულისაგან (პოსმოდერნისტული საზოგადოების პრობლემატიკას სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები „პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების" კურსის შესწავლისას გაეცნობიან).

ინფორმაციული (ქსელური) საზოგადოება

1962 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ფრისტომ მეკლაპმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ცოდნის წარმოება, გადაადგილება და, შესაბამისად, ნებისმიერი პროდუქტის მსგავსად ყიდვა-გაყიდვა. ამერიკელი ეკონომისტის ამ იდეაზე იაპონელი მკვლევრები 10 წელი მუშაობდნენ. კვლევის იდეა მატერიალურ ფასეულობებთან შედარებით ინფორმაციული ფასეულობების პრიორიტეტის შესახებ მოსაზრებას ემყარებოდა. ცოდნისა და ინფორმაციის გაგიების გამო „ინფორმაციული საზოგადოების" ცნებას ხშირად აკრიტიკებენ და მის სანაცვლოდ „ავტომატიკისა და კავშირის საზოგადოების" ცნებას გვთავაზობენ (პერტი ჰემანუსი, ილკი ნინულუტო და სხვ.). მიუხედავად ამ კრიტიკისა, სოციოლოგები „ინფორმაციული საზოგადოების ცნებას" დღეს მაინც ხმარობენ. ინფორმაციული საზოგადოების თეორეტიკოსად ითვლება ესპანელი წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი მანუელ კასტელსი.



მანუელ კასტელსი (დაბ. 1942 წ.)


ინფორმაციული საზოგადოების ეკონომიკა ინფორმაციის შეგროვებასა და მოხმარებაზეა დამოკიდებული. თანამედროვე სოციოლოგების აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება კომუნიკაციური და ინფორმაციული ბუნების მატარებელია, საიდანაც უკვე ერთი ნაბიჯია ინფორმაციულ საზოგადოებამდე, რომლის სტრატეგიული რესურსი ინფორმაციაა. ინფორმაციის წარმომქმნელი ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების შესაძლებლობები კი, ფაქტობრივად, გრანდიოზულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შედეგად შევამჩნევთ, რომ, ლენსკის მიხედვით, საზოგადოებად ადამიანებს აერთიანებს ყველასათვის საერთო კულტურა, რომლის ფორმები ტექნოლოგიური განვითარების დონეების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტექნოლოგიის გართულებასთან ერთად რთულდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმები და ა. შ. შესაბამისად, საზოგადოებებს შორის განსხვავებებს ქმნის ტექნოლოგია, რომელიც სოციალურ გარდაქმნებს ბიძგს აძლევს.

კარლ მარქსი – კონფლიქტოლოგიური პარადიგმა:

საზოგადოების ცნების ინტერპრეტაციის ერთ-ერთი პარადიგმატული მოდელია მარქსის მიერ შემოთავაზებული თეორიული მოდელი, რომელიც თანამედროვე სოციოლოგიაში კონფლიქტოლოგიური პარადიგმის სახელით არის ცნობილი. მის მიხედვით, წარმოება, ეკონომიკური ფაქტორები საზოგადოების, როგორც „სოციალური ორგანიზმის," არსებობისა და ცვალებადობის განმსაზღვრელნი არიან. შესაბამისად, საზოგადოების ისტორია წარმოების, ეკონომიკის განვითარების ისტორიაა. ის განსაზღვრავს საზოგადოებისა და ადამიანის არა მარტო ფიზიკურ არსებობას, არამედ სულიერ ცხოვრებასაც. მარქსის მიხედვით, ყოველი საზოგადოების ბაზისზე გარკვეული ზედნაშენია აღმართული. როგორი-

ცაა ბაზისი, ისეთია ხელნაშენი, ე. ი. საზოგადოების პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრიეი, კულტურული და ა. შ. ღირებულებანი. ბაზისი ადამიანთა წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა ანუ საზოგადოების ეკონომიკური წყობილებაა. საზოგადოებას წარმოება განაპირობებს, მაგრამ წარმოება მთელი რიგი სოციალური კონფლიქტების მატარებელია. კონფლიქტის წყაროა სოციალური უთანასწორობაა რომელიც, მარქსის მიხედვით, კიდევ უფრო აუტანელი ხდება კაპიტალიზმის შემთხვევაში.



მოსახლეობის დიდი ნაწილი კაპიტალიზმის პირობებში, ამბობს მარქსი, პროლეტარებად – ადამიანებად, რომლებიც თავიანთ სამუშაო ძალას ყიდიან, გადაიქცევიან. კონფლიქტი პროლეტარებსა და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებს შორის გარდაუვალი ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, რევოლუციებით მთავრდება. რევოლუციის საბოლოო მიზანი უთანასწორობის მოსპობა და კომუნისტური საზოგადოების აშენებაა. ლენსკის შეხედულებების მარქსის ენაზე თარგმნის შემთხვევაში გამოდის, რომ ადრინდელი საზოგადოებები კომუნისტურ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ. კომუნიზმი ისეთი საზოგადოებრიეი წყობაა, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს თანაბარად მიუწვდება ხელი მისთეის აუცილებელ მატერიალურ რესურსებზე. კაპიტალიზმის შემთხვევაში ასეთი რამ გამორიცხულია, ამიტომ იგი მწვავე სოციალური კონფლიქტების წყარო ხდება. სოციალური კონფლიქტი პირველ რიგში კლასთა ბრძოლას გულისხმობს (მარქსის ტერმინია). გარდა კლასთა ბრძოლისა, კაპიტალიზმი გაუცხოების წყაროა და ამიტომაც მიუღებელია მარქსისთათეის. მან გაუცხოების ოთხი ფორმა გამოყო: 1) შრომის პროცესისაგან გაუცხოება – კაპიტალიზმის შემთხვევაში შრომა რუტინულ საქმიანობად იქცევა, რომელიც ადამიანს ადამიანურობას აკარგვინებს და მარქანად აქცევს; 2) შრომის პროდუქტებისაგან გაუცხოება – იგულისხმება, რომ მის მიერ წარმოებული საქონელი მუშას არ ეკუთვნის; 3) სხვა მუშებისაგან გაუცხოება – წესით, შრომამ ადამიანებს შორის ურთიერთობა უნდა მოაწესრიგოს, მაგრამ კაპიტალიზმი აქაც ამაზრზენ სახეს იღებს, თანამშრომლობის ნაცვლად კონკურენციას ამკვიდრებს და ადამიანებს ერთმანეთის მტრებად აქცევს; 4) ადამიანის არსისაგან გაუცხოება – კაპიტალისტური საზოგადოება ადამიანს ადამიანურობის ყველა ნიშან-თვისებას უკარგავს. ადამიანი მოწყვეტილია საკუთარ არსს. ამ შემთხვევაში ადამიანის ახალი ტიპი ყალიბდება, რომელსაც მარქსი „ჰომო ეკონომიკუსს“ უწოდებს. ეს არის ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებს და მეტი არაფერი. გაუცხოების ფორმები კიდევ უფრო ამძაფრებენ სოციალურ კონფლიქტებს. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი რევოლუციაშია. მარქსისტულ იდეებს ისტორიამ და დრომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ამ თეორიამ საბჭოთა ექსპერიმენტი არ გაამართლა და წარსულს ჩაბარდა. მაგრამ მარქსის იდეა საზოგადოების ინტერპრეტირებისას გასათვალისწინებელია.



მოგეიანებით საზოგადოების მარქსისტულ პარადიგმაზე დაყრდნობით შეიმუშავა პოლონელმა სოციოლოგმა იან შჩეპანსკიმ „საზოგადოებრიეი ცხოვრების“ ცნება, რომელშიც მან მოიაზრა ყველა მოვლენა, რომელიც ინდივიდთა ურთიერთშემოქმედებითია და ერთობით არის განპირობებული. საზოგადოებრიეი ცხოვ-

რების ძირითად ფაქტორებად მან მიიჩნია ბიოლოგიური, ტერიტორიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები. აქედან გამომდინარე, საზოგადოება არის ბიოლოგიური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლებით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა. საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი დიურკემი საზოგადოებაში ადამიანთა ერთობას ხედავდა, მარქსმა მასში მისი საპირისპირო ტენდენციები დაინახა – არა ერთობა, არამედ განხეთქილება და სოციალური კონფლიქტები. საზოგადოების ცნების მარქსისაგან განსხვავებული გაგება ჰქონდა სოციოლოგიის კლასიკოსს მაქს ვებერს.

მაქს ვებერი – რაციონალისტური პარადიგმა:

ვებერმა უარი თქვა როგორც ტექნოლოგიის, ასევე წარმოების სისტემის მიხედვით საზოგადოების ცნების ინტერპრეტაციაზე და ადამიანის მიერ სამყაროს ხედვაზე გააკეთა აქცენტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდუსტრიამდელი საზოგადოებები ტრადიციაში არიან ჩაძირულნი, ხოლო კაპიტალისტური ანუ თანამედროვე საზოგადოებები – რაციონალურობაში; ტრადიციაში ვებერი იმ წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებსა და განწყობილებებს მოიაზრებდა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ტრადიციული საზოგადოების წევრები წარსულით ცხოვრობენ. ეს დაახლოებით თიონისის „გემაინშაფტის" (თემის) მსგავსი გაერთიანებაა, რომელიც კონტრასტულ სურათს ქმნის თანამედროვე საზოგადოებასთან – „გეზელშაფტთან" (საზოგადოება) მიმართებაში, რომლის ძირითადი ნიშანი, ვებერის მიხედვით, რაციონალობაა. რაციონალობა ნიშნავს, რომ ადამიანთა მოქმედებას საზოგადოებაში მკაცრად გათვლილი და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ამის ტიპური მაგალითია კაპიტალისტური საზოგადოება. ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის აღსანიშნავად შემოიტანა ვებერმა ტერმინი – საზოგადოების რაციონალიზაცია. ეს იგივე საზოგადოების „განჯადოება" და დემაგიზაციაა, რაც ტრადიციული ნორმების ნაცვლად სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას ნიშნავს (ეს პროცესები თანამედროვე ქართულ საზოგადოებასაც ახასიათებს, რაც ტრადიციული ღირებულებების დამცველთა მხრიდან ძალზე მტკივნეულად აღიქმება. „საზოგადოების რაციონალიზაცია" და „დესაკრალიზაცია" თეითონ საზოგადოების განვითარების შინაგანი ლოგიკიდან უნდა მომდინარეობდეს და არა ხელოვნურად, ვიღაცის პროეცირებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს). ვებერის მიხედვით, კაპიტალისტური საზოგადოების აღმავლობა არა ეკონომიკურმა, არამედ მორალურ-ეთიკურმა და რელიგიურმა ფაქტორებმა განაპირობა, განსაკუთრებით პროტესტანტიზმმა, რომელიც კარგად მოერგო რაციონალიზებულ საზოგადოებას. „კაპიტალიზმის სული" „რაციონალიზმისა და პროტესტანტიზმის სულთან" თანხმობაში აღმოჩნდა, რამაც შედეგად არნახული ეკონომიკური წარმატება მოუტანა საზოგადოებას. რაციონალობამ და პროტესტანტულმა ეთიკამ დაუდეს სათავე ინდუსტრიულ რევოლუციას და კაპიტალიზმს, რამაც, თავის მხრივ, განსაზღვრა თანამედროვე საზოგადოება. ვებერმა საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის 7 მთავარი ნიშანი გამოყო:

1) მკაფიოდ გამოყოფილი სოციალური ინსტიტუტები – რასაც მოკლებული იყო ადრინდელი საზოგადოება. ყველა სოციალური ინსტიტუტის ფუნქციას ოჯახი ასრულებდა. თანამედროვე საზოგადოებაში კი მკაფიოდ არის გამოყოფილი რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და განათლების ფუნქციის მატარებელი სოციალური ინსტიტუტები. ამ შემთხვევაში სიციალურ ინსტიტუტთა დიფერენციაციასთან გვაქვს საქმე.

2) მსხვილმასშტაბიანი ორგანიზაციები – თანამედროვე რაციონალობა თვალშისაცემია მსხვილმასშტაბიანი ორგანიზაციების გავრცელების შედეგადაც. თანამედროვე საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი, მილიონობით ადამიანი, ამ ტიპის ორგანიზაციებშია დასაქმებული.

3) სპეციალიზებული ამოცანები – ტრადიციული საზოგადოების წევრებისაგან განსხვავებით, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანები სპეციალიზებულ სამუშაოთა მთელ წყებას ასრულებენ. სატელეფონო წიგნში ჩახედვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რამდენად მრავალი პროფესია არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში.

4) პირადი დისციპლინა – თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი აქტივია თვითდისციპლინა; თვითდისციპლინებული პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს პროტესტანტული ეთიკა ასრულებს. ვებერის აზრით, წარმატებულობისა და ეფექტურობის საიდუმლო სწორედ რელიგიურ მსოფლმხედველობაშია უნდა ვეძებოთ.

5) დროის ფაქტორის გაცნობიერება – ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანები დროს ჩვეულებისამებრ მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის მიხედვით საზღვრავენ. თანა-

მედროეე საზოგადოებამ კი დროის ფაქტორის აქტუალიზება მოახდინა და ადამიანმა გააცნობიერა, რომ „დრო ფულია!"

6) ტექნიკური კომპეტენტურობა – ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს იმის მიხედვით აფასებენ, თუ ეინ ეინ არის. თანამედროეე საზოგადოებაში კი ადამიანის შეფასების კრიტერიუმია, თუ ეინ რა არის, რაც მთელი რიგი უნარ-ჩეეევების ქონაასეა დამოკიდებული.

7) პიროენულობის დაკარგეა – რაციონალურ საზოგადოებაში ახლო ურთიერთობებთან შედარებით ტექნიკური კომპეტენტურობაა პრიორიტეტული. საჭიროების შემთხვეევაში, როდესაც ჩეენ სხეადასხეა სპეციალობის ადმიანებთან მივდიეართ, სრულებით არ გვაინტერესებს მათი პიროენულობა, სულაც არ აღეიქეამთ მათ, როგორც პიროენებებს. რაციონალიზებულ სამყაროში ადამიანური გრძნობებისა და პიროენულობისათეის ადგილი არ რჩება. თანამედროეე ადამიანმა იცის, რომ მათი კონტროლი ძალზე ძნელია, ამიტომ უარს ამბობს მათზე. დღეევანდელ საზოგადოებას უპიროენო ადამიანები წარმოადგენენ.

საზოგადოების რაციონალიზაციასთან არის დაკაეშირებული ეებერის ბიუროკრატიის თეორია.

ტერმინი ბიუროკრატია XVIII საუკუნის ეეროპაში გაჩნდა და თაეიდანეე უარყოფითი ელფერი დაჰკრაედა. პირეელი, ეინც მას დადებითად შეხედა, ეებერი იყო. ჩეეულებრიე ბიუროკრატია სახელმწიფო აპარატის საშუალო რანგის ჩინოენიკური სისტემაა.

ეებერის მტკიცებით, თანამედროეე საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა იერარქიულად მოწესრიგებული როლების განაწილებას მოითხოეს, რომელიც ჩამოყალიბებულია მკაფიოდ განსაზღერული უპიროენო წესებისა და პროცედურების საფუძეელზე. ეებერმა განსაზღერა ბიუროკრატიის „იდეალური ტიპი", რომელიც იმის გასაზომად გამოიყენება, თუ რამდენად ბიუროკრატიულია ორგანიზაცია. ბიუროკრატიის ნიშნებია:

- იერარქიულად ორგანიზებული როლების სისტემა. ეერტიკალური დაქეემდებარება – ორგანიზაციის ხელმძღეანელით დაწყებული რიგითი თანამშრომლებით დამთაერებული;
- სამუშაო რეჟიმის რეგულირება გარკეეული წესებით;
- მკაცრი სამსახურებრიეი დისციპლინა;
- კანცელარია;
- ოფიციალურისა და პირადულის მკაცრი გამიჯენა.

ეს ყეელაფერი, ეებერის მიხედვით, ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობის პირობაა, ამიტომაც ბიუროკრატია თანამედროეე საზოგადოების უმნიშენელოეანესი შემადგენელი ნაწილია. მის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროეე საზოგადოებრიეი ცხოერების გაგება. რაც შეეხება გაუცხოების პრობლემას, მარქსის მსგაესად, ეებერიც ამჩნეედა, რომ თანამედროეე საზოგადოება, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობისთეისაა მოწოდებული, ხელნელა მონსტრად (ურჩხულად, ლეეიათანად) გადაიქცა, რომელმაც გადაყლაპა ადამიანი, თუმცა, მარქსისაგან განსხაეაებით, პრობლემის მოსაგეარებლად რეეოლუციებისათეის არ მიუმართაეს. მას ბოლომდე მიამიტურად სჯეროდა თაეისი რაციონალისტური კონცეფციისა და ეგონა, რომ ის ადამიანებს ბედნიერებას მოუტანდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. რაციონალიზმმა კრახი განიცადა (ნიცშე და პოსტმოდერნისტები) და სოციოლოგიურ აზროენებაში ახალი პორიზონტი გამოჩნდა პოსტმოდერნისტული სოციოლოგიის სახით. მიუხედაეად ამისა, ეებერის რაციონალისტურმა პარადიგმამ, რომელსაც ფერდინანდ თიონისიც ი'სიარებს, სა'სოგადოების ცნების ინტერპრეტაციის ახალ ასპექტებზე გაამახეილა ყურადღება.

სა'სოგადოების ცნების სოციოლოგიური კელეეა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. მკელეერები მის სულ უფრო ახალ-ახალი ასპექტების გამოელენაზე არიან ორიენტირებული. მათგან ერთ-ერთი შეღარებით უახლესი მოსა'სრებები წარმოდგენილია ნეილ სმელ'სერის წიგნში „სოციოლოგია", რომელშიც ყეელა შეხედულება არის თაემოყრილი. მის მიხედვით, მთაეარია იმის ცოდნა, თუ ადამიანთა რა სახის გაერთიანების შეიძლება ეუწოდოთ საზოგადოება. ამის მიხედვით, სა'სოგადოებად ადამიანთა გაერთიანება იქცეეა მა'მინ, როდესაც მას აქეს:

- საკუთარი ტერიტორია. მაგალითად, ქართული საზოგადოება თაეის ტერიტორიულ საზღერებში არსებობს;
- პყაეს საკუთარი მოსახლეობა და მისი შეესება ხდება შობადობით. მნიშენელოეანია აგრეთეე მიგრაციული პროცესებიც;

• განეითარებული კულტურა. კულტურის მოდელები სხვადასხვაგვარია, იმის მიხედვით, თუ როგორ აფორმებს ესა თუ ის საზოგადოება საკუთარ ბიოლოგიურ და სხვა მოცემულობებს;

• „პოლიტიკური" დამოუკიდებლობა. საზოგადოება რაღაც სხვა სისტემის ქვესისტემა კი არ არის, არამედ თვითონ არის დამოუკიდებელი მაკროსამყარო.

საზოგადოების ცნება იხმარება აგრეთვე სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებების აღსანიშნავადაც. მაგალითად, „ექიმთა საზოგადოება" – ერთი პროფესიის მქონე ადამიანთა ჯგუფია; არსებობს ასევე გამოთქმა „მაღალი საზოგადოება." ამ შემთხვევაში ადამიანთა გაერთიანების საფუძველი რაღაც განსაკუთრებული სახის საერთო ინტერესებია. საზოგადოების ცნება სულ სხვა ელფერს იძენს, როდესაც მას რომელიმე ქვეყნის სახელწოდებასთან ერთად ვახსენებთ, მაგალითად, ქართული ან ამერიკული საზოგადოება. ამ შემთხვევაში ჩვენ საზოგადოების ალბათ ყველაზე გაერცელებულ თანამედროვე გაგებასთან გვაქვს საქმე, რომელიც გულისხმობს გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებს, ერთიან საკანონმდებლო და ეკონომიკურ სისტემას და ა. შ. ასე რომ, ჩვენ დაერწმუნდით იმაში, რომ საზოგადოების ცნების დეფინიცია არც ისე ადვილი საქმე ყოფილა. გარდა ამისა, საქმეს ართულებს აგრეთვე სოციალური ტრანსფორმაციების საოცრად დაჩქარებული ტემპები, რომლის აღსანიშნავად სოციოლოგებს ახალ-ახალი ტერმინები შემოაქვთ.

ფერდინანდ თიონისი: ტრადიციულიდან თანამედროვე საზოგადოებისაკენ:

თემი „გემაინშაფტი"	საზოგადოება „გეზელშაფტი"
ტრადიციული ადათ-წესები, რწმენა, დაუწერელი კანონები.	ფორმალური სამართალი, „დაწერილი კანონები."
ნათესაური კავშირები, ახლობლობა.	პროფესიონალური სპეციალიზაცია, რომელიც საოჯახო როლებს არ ემთხვევა.
თანაგრძნობა და ურთიერთდახმარება, ადამიანი სხვას შეიძლება უანგაროდ დაეხმაროს.	პიროვნული ინტერესების რაციონალური განხორციელება, ადამიანებს შორის საქმიანი ურთიერთობები, ფულით ანგარიშსწორება და სხვ.
კულტურა რელიგიურ ღირებულებებზეა დაფუძნებული; საკრალურის პრიმატი.	კულტურა საერო, სეკულარიზებულ ღირებულებებზეა დაფუძნებული, საკრალურის პროფანაცია.
ძირითადი ინსტიტუტია ოჯახი, თემი და მეზობლები; სოფლის თემი. ადამიანთა ბუნებრივი გაერთიანება.	ადამიანთა ხელოვნური გაერთიანება, დიდი გაერთიანებები და ორგანიზაციები, ასოციაციები და სხვ. (მთავრობა, საქმიანი წრეები, პოლიტიკური პარტიები და ა. შ.).



კ. რ. პოპერი
(1902-1994)

ღია და დახურული საზოგადოება

ღია და დახურული საზოგადოების ცნება ავსტრო-ინგლისელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა კარლ რაიმუნდ პოპერმა შემოიღო.

პოპერის მიხედვით, დახურული საზოგადოება სტატიკური სოციალური სტრუქტურით, შეზღუდული სოციალური მობილობით, ტრადიციონალიზმით, ინოვაციებისადმი მოუმზადებლობითა და დოგმატური ავტორიტარული იდეოლოგიით ხასიათდება (როგორც წესი, ეს ტოტალიტარული სახოგადოებაა).

ღია საზოგადოება კი საზოგადოების ისეთი ტიპია, რომელიც დინამიური სოციალური სტრუქტურით, მაღალი სოციალური მობილობით, ინოვაციურობით, კრიტიციზმით (არ არსებობს თემა, რომელიც კრიტიკისათვის დახურულია), ინდივიდუალიზმით და პლურალისტური დემოკრატიული იდეოლოგიით ხასიათდება. აქ ადამიანს არჩევანის სრული თავისუფლება აქვს. ღია საზოგადოებაში სახელმწიფო იდეოლოგია სრულებით არ არსებობს, ხოლო სინდისის და სხვა ტიპის თავისუფლება კონსტიტუციით არის გამყარებული. მასში დიდი ასპარეზი ეთმობა შემოქმედებით აზროვნე-

ბასა და ნოვაციებს. თუ დახურულ საზოგადოებაში ყველას მაგივრად ერთი ადამიანი ან ადამიანთა მცირე ჯგუფია პასუხისმგებელი, ღია საზოგადოებაში ყოველი ცალკეული ადამიანია პასუხისმგებელი, ამიტომ ამ ტიპის საზოგადოება პასუხისმგებლობისადმი განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევა. პოპერმა ამ საკითხების ანალიზს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა სახელწოდებით: „ღია საზოგადოება და მისი მტრები."

ულრიხ ბეკი: რისკების საზოგადოება

1986 წელს მიუნხენის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა ულრიხ ბეკმა ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომი გამოაქვეყნა სახელწოდებით: „რისკების საზოგადოება", რითაც სოციოლოგიაში საზოგადოების კიდევ ერთი ახალი ცნება შემოიტანა.



ულრიხ ბეკი

ბეკის მიხედვით, მოდერნიზაციამ და გლობალიზაციამ ინდუსტრიულ საზოგადოებას ბოლო მოუღო, რომლის სიღრმეში თანამედროვეობის ახალი მოდელი – რისკების საზოგადოება თელემდა. პოსტმოდერნიზმის პარადიგმა, რომლის მიხედვით ჩვენ უკვე თანამედროვეობის მიღმა – პოსტთანამედროვეობაში ვიმყოფებით, ბეკმა „მეორე თანამედროვეობის" ცნებით შეცვალა. ის აღნიშნავს, რომ თანამედროვე ინსტიტუტებმა უკვე გლობალური ხასიათი შეიძინეს, ხოლო ყოველდღიური ცხოვრება საბოლოოდ განთავისუფლდა ტრადიციებისაგან და საზოგადოების ახალი ტიპი – რისკების საზოგადოება გაჩნდა. იმას, რასაც პოსტმოდერნისტებთან ქაოსი ან მოდელების არარსებობა ჰქვია, ბეკთან რისკი ეწოდება. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრესის ფონზე რისკი თანამედროვეობის ცენტრალური პრობლემა ხდება. რისკები კი უამრავია გენმოდიფიცირებული პროდუქტებით დაწყებული გლობალური დათბობითა და ქორწინებისა და ოჯახის პრობლემებით დამთავრებული (იგულისხმება ოჯახის ტრასფორმაცია). რისკები საზოგადოებაში ყოველთვის იყო, ამბობს ბეკი, მაგრამ დღევანდელი რისკები ადრინდელს ვერ შეედრება, რადგანაც მათ ცვალებადობა განიცადეს. დღეს ისინი სულ სხვა ხასიათის მატარებელნი გახდნენ. რისკების მართვა კი არ ოფიციალური პოლიტიკის, არამედ „სუბპოლიტიკის" (ბეკის ტერმინია) საქმეა, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკის ფორმალურობისმიღმა მექანიზმებს გულისხმობს.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი იან შჩეპანსკის წიგნიდან „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები"

ცხოველთა გაერთიანებანი

„ცხოველთა გაერთიანებების კვლევა ძალიან საინტერესოა სოციოლოგიისათვის, ვინაიდან ცხოველებში შეიმჩნევა მკვრივი კავშირები. ისინი ემყარებიან მისწრაფებებს, რომლებიც ადამიანებსაც ახასიათებთ. ამ კავშირებს ცხოველთა არსებებს შორის არ განსაზღვრავს რაიმე ეკონომიკური ან კულტურული ფაქტორები, რის გამოც მათი მაგალითით შეიძლება დაეადგინოთ, თუ რა გაელენას ახდენს ფიზიოლოგიური ან, უფრო ფართოდ, ბიოლოგიური ფაქტორები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ამიტომ ცხოველთა საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი ხანია, რაც სოციოლოგების ცხოველ ინტერესს იწვევს.

ცხოველთა სამყაროში არსებობს სხვადასხვანაირი გაერთიანებანი. გაერთიანებებს აქ ვუწოდებთ მხოლოდ ისეთებს, რომლებშიც ეხლებით ურთიერთქმედებას ცოცხალ არსებათა ქცევაში. მასასიადამე, მწერების გუნდი, საფუტკრის ღამეს პარკში ანთებული ლამპის გარშემო რომ ტრიალებს, ჯერ კიდევ არ არის რაიმე გაერთიანება, ვინაიდან ის მხოლოდ არსებათა გროვაა, რომელიც ლამპამ მიიზიდა დაუძლეველი ტროპიზმით, რაც თითოეულ არსებაში ინდივიდუალურად მოქმედებს. ცხოველთა საზოგადოებების განხილვისას ჩვენ ვეცნობით გაერთიანებათა სხვა განსაზღვრებას, ვიდრე მცენარეთა გროვის განხილვისას. ღამპის გარშემო თავმოყრილ მწერთა გროვაში არ არსებობს ურთიერთმოქმედება და ერთად ყოფნა არ წარმოადგენს რაიმე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სხვა არსებებთან კონტაქტის მოთხოვნილებამ კი არა, მხოლოდ სინათლისადმი სწრაფვამ გააერთიანა ეს გუნდი. ცხოველთა გაერთიანებაზე ელაპარაკობთ მხოლოდ იქ, სადაც გაერთიანება დაკმაყოფილების შედეგია და სადაც ერთობლივი ცხოვრება სახეობის „ნერვული წესასწორობის" პირობა ხდება.

ცხოველთა გაერთიანება შეიძლება გარკვეული წესით განვალაგოთ. გამოვყოფთ, უწინარეს ყოვლისა, არა კოორდინირებულ გაერთიანებებს, რომლებშიც ერთმანეთის შემცველ არსებათა გარკვეული რაოდენობა, იესება რა ახალმოსულებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეულ ადგილთან. ასეთი გაერთიანებები გვხვდება მწერებში: მაგალითად, ტარაკნები დროებით ქმნიან ასეთ გაერთიანებებს, თუმცა თითოეულ მათგანს შეუძლია იცხოროს აგრეთვე იზოლირებულადაც. ჭიამაიებიც გროვდებიან წელიწადის გარკვეულ დროს და ქმნიან ასეთ გაერთიანებებს.

მარტივი კოორდინირებული გაერთიანებანი იმით განსხვავდებიან წინა გაერთიანებებისაგან, რომ მათში გაერთიანებული არსებანი კოორდინირებულ ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, შეეხოთ მუხლუხების ერთობლიე მოგზაურობას, ისინი ცოცხალი ხალიჩასავით მოძრაობენ ერთი მიმართულებით, თუმცა მათ შორის არ არის „წინამძღოლი," ასეთივეა კალიებისა და სხვა მიგრაციით მოქმედი მწერების ღრუბლები. ასეთ გაერთიანებაში ყველა არსება ერთსა და იმავე ფუნქციებს ასრულებს.

დაბალი ტიპის გაერთიანებას ახასიათებს ის, რომ ერთობლიობაში მყოფ საერთო ამოცანას ასრულებენ. ზოგიერთი მუხლუხები, მაგალითად, საერთო ბადეს აქეთებენ, ობობები ქსოვენ საერთო აბლაბუდას. მაღალი ტიპის გაერთიანებას ქმნიან ტერმიტები, კრაზანები, ფუტკრები და ჭიანჭველები. მათი კონსტრუქციები ძალიან რთულია, არსებებს ცალკე ცხოერება არ შეუძლიათ, ეს არის მყარი გაერთიანებანი, რომლებიც ასრულებენ რთულ, კარგად კოორდინირებულ ფუნქციებს. ამ არსებათა ურთიერთდამოკიდებულება ძალიან მაღალ დონეზეა.

ხერხემლიანებში ეხედებით წარმავალი ხასიათის უფრო ელემენტარულ გაერთიანებებსაც და მყარ, შეკავშირებულ გაერთიანებებსაც, რომლებშიც არსებათა შორის მეტოქეობა მინიმუმამდეა დაყვანილი და რომლებიც კოორდინირებულად იცელიან ადგილსამყოფელს და აველენენ შრომის დანაწილების უნარს. მათ არ ახასიათებთ მორფოლოგიური განსხვავებანი, რომლებსაც დაემყარებოდა გაერთიანებაში შესრულებული განსხვავებული ფუნქციები, როგორც ეს ნიშანდობლივია მწერებისათვის, მაგრამ უკვე არსებობს იერარქიის ჩანასახები და არიან წინამძღოლები. ხერხემლიანთა გაერთიანებანი შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად: დამოუკიდებლად მცხოერები, მონოგამიურ ხერხემლიანთა ოჯახური გაერთიანებანი. აქ გვხვდება სხვადასხვა სახის ოჯახები, რომლებიც არსებობენ დროებით და მუდმივად, ისინი ზოგჯერ ერთიანდებიან თავისუფალ ჯგუფებად, მაგალითად, მგლების ხროვა. მონოგამურ ხერხემლიანთა გაერთიანება, რომლებიც ეწვევიან ჯოგურ ცხოერებას, შეადგენენ მონოგამიური ოჯახების მყარი გაერთიანების უფრო მუდმივ სახეობას. ესენი არიან ფრინველები, რომლებიც ქმნიან დროებით მჭიდრო და შეკრულ გუნდს და არ იკარებენ ამ სახეობის სხვა არსებებს გარკვეულ ტერიტორიაზე. პოლიგამიურ ხერხემლიანთა გაერთიანებანი გვხვდება შედარებით ხშირად ძუძუმწოერებში. მაგალითად, შველები, ველური ცხენები და სხვა ცხოველები ქმნიან ასეთ ჯოგებს. ამ სახის უმაღლესი ტიპია მაიმუნთა გაერთიანება.

ხერხემლიანთა გაერთიანება უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, ვიდრე მწერების გაერთიანება, ვინაიდან ბუნებრივ მდგომარეობაში მათზე დაკვირვება გაცილებით უფრო ძნელია. ყოველ შემთხვევაში, მათს საზოგადოებრივ ცხოერებაში აუცილებელია განვასხვაოთ გაერთიანებაში ცხოერების შედეგები ცალკეულ ცხოველთა შორის კავშირების შედეგებისაგან. მაგალითად, ზოგიერთი ცხოველი გაერთიანებაში გაცილებით ადვილად ეგუება გარემოს ცვლილებებს, მათი ზოოლოგიური პროცესები გაერთიანებაში მიმდინარეობს სხვანაირად, ვიდრე იზოლაციის მდგომარეობაში და ა. შ. ამ შედეგებისაგან აუცილებლად უნდა განვასხვაოთ მოვლენები, რომლებიც წარმოიშობა ოჯახური კავშირების, სექსუალური ურთიერთობის, მემკვიდრეობაზე ზრუნვის, ოჯახში დედალ-მამლის ურთიერთობის შედეგად.

ცხოველთა სოციოლოგიის შესწავლა უმთავრესად მიმდინარეობს მწერების საზოგადოებრივი ბიოლოგიისა და ხერხემლიანთა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის შემეცნების გზით, თუმცა ეს გამიჯვნა ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის თვითნებურია და ზოგიერთი მკვლევარი მწერების ფსიქოლოგიასაც ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევაში როგორც მწერების, ისე ხერხემლიანთა გაერთიანებებში ადგილი აქვს დიფერენციაციისა და ფუნქციების განაწილების იერარქიის, კასტურობის მოვლენებს, ცალკეულ არსებათა ქცევის საზოგადოებრივი რეგულირების ფაქტებს, სხვადასხვანაირ კვებას, იმის მიხედვით, თუ რომელ კასტას ეკუთვნიან, როგორია შრომის დანაწილება, „მორობა." ხერ-

ხემლიანთა გაერთიანებებში გეხვდება ისეთი მოელენები, როგორიცაა გარკვეული ტერიტორიის დაპყრობა და მისი დაცვა სხვა ჯოგების შემოჭრისაგან, თავისებური ერთობლიეი ცხოერების ორგანიზაცია, რაც დამოკიდებულია ტერიტორიაზე, საკუთარი ტერიტორიის „მოწყობა“ და მისი „აღნიშენა“, სპოგადოებრიეი იერარქია და ძალაუფლება, სრუნეა და აღსრდა, „მეუღლეთა ერთგულება“ და ა. შ.

ცხოველთა სოციოლოგია ანუ ცხოველთა საზოგადოებრიეი ცხოერების შესწავლა ზოოლოგიის სპეციალური განყოფილებაა, მაგრამ მის დასკენებს გარკვეული მნიშენელობა აქეს ადამიანთა საზოგადოებრიეი ცხოერების შესწავლისათეის. უწინარეს ყოელისა, ჩეენ ეხედავთ, რომ ადამიანთა ერთობლიე ცხოერებაში მიმდინარე ბეერი მოელენა შეიმჩნეეა აგრეთეე ცხოველთა ერთობლიე ცხოერებაშიც. მათ საფუძელები აქეთ ორგანიზმის კონსტიტუციაში, ფიზიოლოგიურ პროცესებში, იმპულსებსა და ბიოლოგიურ მოთხოენილებებშიც. ამიტომ ცხოველთა საზოგადოებრიეი ცხოერების კელეეის შედეგებს დიდი მნიშენელობა ენიჭება აგრეთეე ადამიანთა საზოგადოებრიეი ცხოერების ბუნებრიეი საფუძელების შესწაელისას. რა თქმა უნდა, ბუნებრიეი პირობები ადამიანთა ერთობლიეი ცხოერების ერთადერთი დეტერმინანტი როდია, მაგრამ მათი შესწაელა აუცილებელი და მნიშენელოანია“.

დაეალება:

– ყურადღებით წაიკითხეთ ზემოთ მოყეანილი ფრაგმენტი და ერთმანეთს შეადარეთ ადამიანთა და ცხოველთა გაერთიანებანი, გამოყაეით მათთეის საერთო და განსხვაებული, სპეციფიკური ნიშნები;

– მოამზადეთ ესეი თემაზე: „ადამიანი და ცხოველი.“

ძირითადი ლიტერატურა:

1. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 3-10.
2. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნიეერსიტეტი. თბ., 2007. მეცნიერება საზოგადოების შესახებ. თაეი I, გვ. 7-14.
3. Э. Гидденс, Социология, М. 2005. გვ. 17-20.

დამატებითი ლიტერატურა:


8. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 5-12.
9. კახა ქეცბაია, ჟურნალისტიკის სოციოლოგია (საგანი, ამოცანები, მეთოდები), თბ., 2003. გვ. 5-13.
10. ე. კოდუა, სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1998, გვ. 7-25.
11. ა. ბერძენიშეილი, ღია-ინფორმაციული საზოგადოება და დემოკრატია. კრ. „ფილოსოფიური ძიებანი,“ ტ. XV, გვ. 332-344.
12. Дж. Масионис, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 24-36.
13. А. Кравченко, В. Анурин, Социология, ПИТЕР, 2004. გვ. 9-36.
14. Руководитель авторского колектива П. Павленок, Социология, М. 2002. გვ. 7-19.
15. Поппер, К. Открытое общество и его враги (The Open Society and Its Enemies). т.1- 2, 1965.

რა არის საზოგადოება

„–ჯგუფის სახით ინდივიდთა უბრალო თავმოყრა ჯერ კიდევ არ შეადგენს საზოგადოებას. სოციოლოგიური გაგებით, საზოგადოება იქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდთა ურთიერთშეხების გარდა მათ შორის კოოპერაცია არსებობს. სანამ ჯგუფის წევრები თავიანთ ძალისხმევას ერთი საერთო მიზნის ან მიზნების გარშემო არ გააერთიანებენ, მანამდე მათ შორის გამაერთიანებელი კაეშირი უმნიშვნელოა...

საზოგადოება ორგანიზმია...“

ჰერბერტ სპენსერი



მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ზურაბ ხასაიას წიგნიდან „მეტაფიზიკური ნიჰილიზმი“
თავი V. ადამიანთა საზოგადოება

„ე) საზოგადოებისა და პიროვნების წინააღმდეგობა

საზოგადოება პიროვნებებისაგან შედგება, ხოლო პიროვნება საზოგადოების წევრია. თუ ადამიანებს არ ესმით საზოგადოებრივი ნორმები, მაშინ საზოგადოება არ არსებობს. მეორე მხრივ, თუ საზოგადოებაში არ აღიზარდა, ადამიანი პიროვნებად არ ჩამოყალიბდება.

მაგრამ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის მხოლოდ დადებითი კაეშირი რიდია. მათ შორის უდიდესი უარყოფითი ურთიერთობაც არსებობს – საზოგადოება ზღუდავს პიროვნებას, კეეცავს მის თავისუფლებას. მეორე მხრივ, პიროვნება არღვევს საზოგადოების ნორმებს. ეს ქმნის წინააღმდეგობას საზოგადოებას და პიროვნებას შორის პირველესად უნდა აღინიშნოს ამ წინააღმდეგობის ისტორიულობის შესახებ. ეს წინააღმდეგობა მეტნაკლებად ყოველთვის არსებობს, მაგრამ საქმეც ამ მეტნაკლებობაშია. საზოგადოების ისტორია მიემართება მონოლოთურობიდან „ქვანტურობისკენ“ ანუ ერთგვაროვნებიდან და შინაგანი სიმტკიციდან მრავალგვარობისა და არამდგრადობისკენ, რღვევისკენ.

საზოგადოების ერთგვაროვნებას და მონოლოთურობას განაპირობებს მისი უპიროვნობა. ადამიანებში ნაკლებია თვითცნობიერება და სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევა. მათი ცხოვრება მარტივია და სტიქიურად, ბუნების მსგავსად მიმდინარეობს. თეითონ კი, ასე ვთქვათ, ნაკლებად ერევიან თავიანთ ცხოვრებაში.

ასეთ პირობებში წესებიც ბუნებრიულად, სტიქიურადაა ჩამოყალიბებული და ადამიანები მათ მიჰყვებიან უდრტვინველად, უყოყმანოდ, დოგმატურად. ტაბუს მოელენა განამტკიცებს მათ იგიეობას თაეიანთ წესებთან, თემთან. ადამიანი ფიქრადაც არ უშეებს დარღეეას და მონუსხულია ტაბუთი.

ამიტომ აქ არც წინააღმდეგობაა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. ადამიანი ეთანხმება ნორმებს და, ასე ეთქეათ, თაეისუფლად, გარეგანი და შინაგანი იძულებების გარეშე ემორჩილება მათ. შესაბამისად, არც საზოგადოებაა მტრულად ინდიეიდის მიმართ. ის ისეეე ზრუნაეს მასზე, როგორც ცხოველი თაეის ასოზე.

საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირების პირეელ ისტორიულ გამოელენად, ალბათ, უნდა ჩაითეალოს ის დაპირისპირება, რასაც პუშკინი პოეტისა და მდაბიოს (чернь) დაპირისპირებას უწოდებდა. ამ დაპირისპირებას შემოქმედების აქტი იწეეს.

მდაბიოები ისინი არიან, ეინც ცხოველებიეით თაეჩაღუნულნი მიჰყეებიან ცხოერების არაისტორიულ დინებას. „პოეტი" კი ისაა, ეინც ოცნებობს და ცდილობს ეგრეთ წოდებულ გაუმჯობესებას. ეს იწეეს ტაბუს დარღეეის შიშს და უცნაურ გაუცხოებას. „პოეტს" მოიკეეთაეენ, ეითარცა აესულს და მზაკეარს, ხალხისთეის საშიშ „რეციდიეს".

როგორი თბილიცაა თემი თეინიერი წეერის მიმართ, ისეე სასტიკია „პოეტის" ანუ „ურჯულოს" მიმართ. უნდა ეიფიქროთ, რომ პოეტი იყო პირეელი მსხეერპლი სასტიკი თემის. თაეიდან ეს დაპირისპირება გაკეირეებას უფრო იწეეს თემის მხრიდან, ეიდრე სიძულეილს, მაგრამ ისტორიულად ეს წინააღმდეგობა თანდათან სწორედ სიძულეილში გადაიზრდება. თანდათან პოეტი მეამბოხე პიროენებად იქცა, ხოლო მდაბიო – მოხელეთა ძალოან ჯგუფად.

რაკი ყინული დაიძრა, დაპირისპირება განეითარდა. გაუმჯობესებისკენ სწრაფეა, რაც პოეტური ფანტაზიიდან აღმოცენდა, გადაიზარდა სამეურნეო წინსელაში. თემი გართულდა და კორპორაციებით დაიქსელა. ამან გაამრაელა წესები და ნორმები. ცხოერების ბუნებრიე რხეეაში ეს ნორმები ხშირად ერთმანეთს გადაეწნება და აიბურდება...

საზოგადოებისა და პიროენების დაპირისპირება ძალას იკრებს სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ. სახელმწიფოს წარმოშობა იმას ნიშნაეს, რომ საზოგადოების შინაგანმა დანაწეერებამ უმაღლეს ხეეარს მიაღწია. საზოგადოება, როგორც ერთიანი მონოლითი, აღარ არსებობს. ის, ასე ეთქეათ, საზოგადოებათა კრებულია.

შესაბამისად გაიხრწნა და სადღაც გაქრა „საერთო ინტერესი". სამაგიეროდ, წარმოიშეა ჯგუფური და პირადი ინტერესები. პიროენება საბოლოოდ გამოეყო საზოგადოებას. ამიერიდან წესრიგის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ გარეგანი ძალდატანებით. იქმნება ფორმალური ძალოანი დაწესებულება, სახელმწიფო, რომელიც პიროენებას კანონს უწესებს და ძალას ატანს...

ე) „მიკროადამიანი"

„თანამედროე ადამიანი" საზოგადოების ისტორიული ფორმალიზაციის შედეგია. საზოგადოება ისტორიის გზაზე ნაწეერდება „მცირე სოციალურ ჯგუფებად" და ექვემდებარება ფორმალურ წესებს ანუ ისეთ ნორმებს, რომლებიც მიღებულია შეთანხმებით და დაცულია ოფიციალურად გამწესებული მოხელეების მიერ.

ამით ადამიანი კარგაეს მისასელელ გზას ეგრეთ წოდებული საერთო ინტერესებისკენ. მართლაც, საზოგადოება, როგორც საერთო ინტერესების მატარებელი, აღარ არსებობს – ის სოციალური ჯგუფების გროეაა. მეორე მხრიე, ადამიანი ძალიან მცირეა იმისთეის, რომ ატაროს დიდი ინტერესი. ის „დიდი თემობის" წეერი კი არაა, არამედ „მცირე სოციალური ჯგუფისა". ის „სოციალური ატომია."

ამგეარი ადამიანის ჩამოყალიბება იწყება ჯერ კიდეე ანტიკური პოლისის რღეეიდან. დიდი იმპერიების ხანაში ბერძენი მოწყდა საზოგადოებრიეი მოღეაწეობის ცოცხალ ასპარეზს. ის დიდი იმპერიის მოქალაქედ იქცა, იმპერიისა, რომელსაც მისი თეალი და „პლასტიკური" ცნობიერება ეერ გასწედებოდა.

მაგრამ ბერძენმა იპოეა შინაგანი გ'სა „ზოგადისკენ" – ეს იყო ჩაკეტეა საკუთარ თაეში და მიერთება გონებასთან ანუ „აუცილებლობასთან". სტოელებმა და ეპიკურეელებმა გაკეალეს ეს ახალი გზა პიროენების გადასარჩენად. თეითჩაღრმაეებით ადამიანი უერთდებოდა საკუთარ „მე"-ზე უპირობოდ მაღლა მდგომ სრულიერ ერთიანობას და ხდებოდა დიდი, უხრწნელი მსოფლიოს ნატეხი.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უპირობოდ უარყო ეს გზა. მან ცოდეად და წარმარ-

თულ ცთომილებად გამოაცხადა გონება და აუცილებლობა. „ბედთან შერიგება," რასაც სტოელები ქადაგებდნენ, ქრისტიანებს დიდ გაუგებრობად ეჩვენებოდათ. მათ სწამდათ, რომ ბუნება და ზნეობა სრულიად გამორიცხაეს ერთმანეთს. ადამიანმა თაეი უნდა დააღწიოს ბუნებას, გონებასა და აუცილებლობას – სტოელების ამ „წარმართულ სამებას" და მიეხდოს წმინდა წერილების საიდუმლოს.

ამით „ზოგადთან" ადამიანის მიმართება შენარჩუნებულია, ოღონდ ახალ საფუძველზე, და ადამიანი განაგრძობს ცხოერებას „უმაღლეს განზომილებაში".

იცელება ეითარება ახალ დროში. ჯერ რენესანსი, მერე კი განმანათლებლობა უარყოფს გონებისთეის მიუწედომელ აეტორიტეტს ერთადერთი მიზეზით – გონებისადმი რწმენის გამო. თანდათან მკრთალდება და იკარგება ადამიანის „დიდი განზომილება", როგორც ის ესმოდა შუა საუკუნეებს.

სამაგიეროდ, ადამიანს სწამს, რომ გონება იხსნის მას. გონებით მიიღწეეა ჯეშმარიტება და ნამდეილი არსებობა – **„liberte, egalite, fraternite"** („თაეისუფლება, თანასწორობა, ძმობა").

მაგრამ აქედან მაინც გამოსჭეიეის გეზი „მიკროადამიანისკენ". ეს განსაკუთრებით ჩანს ეგრეთ წოდებული „ადამიანის ბუნებრიეი უფლებების" გაკერპებაში. ადამიანი უარს ამბობს თაეის საერთო ადამიანურ მოეალეობებზე, რაც მას ბუნებაზე და ყეელა ქმნილებაზე მაღლა აყენებდა, და ებღაუჭება თაეის მიწიერ ინდიეიდუალობას. ეს ჰგაეს ბიბლიური ესაეის სულმოკლეობას, როცა მან ოსპის შეჭამადისთეის დათმო პირმშოობა ანუ ღეთის კურთხეეა.

განმანათლებლობა გონებისადმი რწმენით მაინც ინარჩუნებდა მიმართებას „ზოგადთან", რადგან სწამდა გონების შინაგანი, აუცილებელი კაეშირი ზნეობასთან. როგორც ბერძნული განმანათლებლობის „კოლორიტს" სოკრატეს, ისე ახალი დროის განმანათლებლებსაც სწამდათ: მცოდნე არ ჩაიდენს ბოროტებას!

დიდმა ფრანგულმა რეეოლუციამ გაფანტა ეს ილუზია. გონებამ კიდეე უფრო გააძრაელა ბოროტება. გონებისადმი რწმენა წარსულს ჩაბარდა და იქცა ტექნიკისადმი რწმენად. ადამიანმა უარი თქეა სულიერ ინტერესებზე და ძალაუფლების მოტრფიალედ იქცა. ის იქცა „სოციალურ ატომად", რომელმაც იცის მხოლოდ თაეისი კუთხე-კუნჭული, ისტერიულად იცაეს მას და ცდილობს მის გაფართოებას.

მისთეის „ღმერთი მოკედა". ღმერთი, რომელსაც ის წარამარა ახსენებს, „მისი ღმერთია", მასაეით პატარა და მიკერძოებული. ამიტომ ეს არაა ღმერთი. ღმერთი „მკედარია".

ნიცშე ამ მდგომარეობის ერთ მთაეარ მხარედ „ღმერთის სიკედილს" აცხადებს, მეორე მხარე კი „პატარა ადამიანია", „კაცუნაა". მას, ფიზიკის ენაზე „მიკროადამიანი" შეიძლება ეუწოდოთ.

„მიკროადამიანი" პატარაა, რადგან მან არ იცის სულიერი ინტერესები. ის ეერ განასხეაებს სიკეთესა და ბოროტებას. მათ შორის განსხეაეება სრულიად პირობითად, შეფარდებითად ეჩვენება.

შეიძლება დაბეჯითებით ითქეას: ამ დიდი კრიზისის თაეიდათაეი „ლიბერალური დემოკრატიაა". გონებისადმი რწმენაც, ფაქტობრიეად, ლიბერალური დემოკრატიის სხეაგეარი დასახელებაა.

მართლაც, ადამიანთა თანასწორობის ქადაგებამ საშინელ ღეღეში ჩააგდო პიროენება. უკანასკნელს მოენატრა სიქსტუს IV-ს და დომინიკელი ტორკემადას ხანა; ის ცეცხლი და მახეილი, რითაც ებრძოდნენ მას წარსულში. ბერძნული ოსტრაკიზმი, კათოლიკური ინკეიზიცია, იაკობინური გილიოტინა, ბოლშეეიკური გულაგი – ყოეელიეე ეს მისნად ისახაედა პიროენების განადგურებას.

მაგრამ ეს საშუალება და იარაღი უეარგისი იყო – საწინააღმდეგო შედეგს აღწეედა. პიროენების წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა ასეთი ხისტი მეთოდებით, პირიქით, გმირს ქმნიდა ფიზიკურად განადგურებული პიროენებისგან. ამიტომ, პიროენების წინააღმდეგ მარადიული ომის მიუხედაეად, საზოგადოებამ ეერ გაანადგურა პიროენება. პირიქით, დიდების სხეითა და შარაეანდედით შემოსა იგი.

მხოლოდ ლიბერალურმა დემოკრატიამ ანუ მმართეელობის სრულმა დემოკრატიზაციამ, ცხოერების ამ ეეროატლანტურმა მოდელმა შეძლო პიროენების განადგურება. დემოსის აშეება იქნებ პიროენების დასაშლელად იყო ჩაფიქრებული. დემოსის ყეელა ხერელიდან წამოსულმა სიბინძურის ნიაღეარმა გადარეცხა სხეაობა სიკეთესა და ბოროტებას შორის – პიროენების ეს აუცილებელი პირობა.

ამ გზაზე დიდი როლი ითამაშა საინფორმაციო საშუალებათა ტექნიკურად აღჭურეა-

მაც. ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაციების კაკაფონია, რითაც სუნთქავს დემოკრატიული მედია, ადამიანის დაბადებიდანვე ქანცავს და შლის მის პიროვნულ შრუაგულს.

ადამიანს თავიდანვე არ ანებებენ განმარტოებას, საკუთარ თავში ჩაღრმავებას, შინაგანი ძალების თავისუფალ განვითარებას. ადამიანი რჩება, ბიბლიის ყაიდაზე რომ ეთქვათ, ცოდვით დაცემულ, წამხდარი ბუნების არსებად. ეს ბუნება კიდევ უფრო ვითარდება და ტექნიკურად აღიჭურვება. ტრადიციულ „მიმართებას ღმერთთან" ცვლის „მიმართება ტექნიკურ მოწყობილობებთან". „მიკროადამიანი" ცხოვრობს ტექნოლოგიურ გარემოში და თვითონაც ტექნიკურ მოწყობილობას ედრება, ოღონდ მანქანებს შორის ყველაზე გაუმართავი, უხარისხო მანქანაა.

აი, რა შემზარავი ჭეშმარიტებით უმასპინძლდება ბაგეან რაჯნიში თავის მსმენელებს: „მეტი ტექნიკა და კომფორტი, მეტი ფორიაქი და ტანჯვა, ბედნიერება კი – ნაკლები! აი მეცნიერების მთელი წარმატება. რაც უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ მექანიკურ დანადგარებს, მით უფრო ნაკლებად ხართ საჭირონი თავად თქვენ და ზედმეტ ბარგად გრძნობთ თავს. ადრე თუ გვიან კომპიუტერი შეასრულებს თქვენს ფუნქციებს მთლიანად და ეს მდგომარეობა თვითმკელელობამდე მიგიყვანთ.

მანქანები სულ უფრო უმჯობესდება და იხვეწება. უთქვენოდაც ყველაფერი კარგად მიდის. თქვენ, უბრალოდ, მოძველდით. გამოდის და გამოდის ყველაფრის ახალ-ახალ მოდელი. მხოლოდ ადამიანი რჩება არათანამედროვე მოდელად. ასეა, საგანთა შორის თქვენ ერთადერთი მოძველებული არსება ხართ!"

დავალება:

- მოიყვანეთ საზოგადოებისა და პიროვნების წინააღმდეგობის ამსახველი თქვენთვის ცნობილი მაგალითები და ჯგუფში გააანალიზეთ.
- იზიარებთ თუ არა ფრაგმენტის ავტორის მოსაზრებებს „მიკროადამიანის" შესახებ (პასუხი დაასაბუთეთ)?
- ჯგუფში იმსჯელეთ ტექნიკური პროგრესის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები
კლასიკური ინგლისური სოციოლოგიის ფუძემდებელი – ჰერბერტ სპენსერი



დიდი ინგლისელი სოციოლოგი, სოციოლოგიის პოზიტიური სკოლის წარმომადგენელი ჰერბერტ სპენსერი დაიბადა 1820 წლის 27 აპრილს ქალაქ დერბიში, მასწავლებლის ოჯახში. უარი თქვა კემბრიჯში განათლების მიღებაზე (შემდგომში ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პროფესორობაც იუარა). ერთი პერიოდი მასწავლებლობდა კიდეც; იყო რკინიგზის მოხელე, ინჟინერი, ჟურნალისტი (ჟურნალ „ეკონომისტის" რედაქტორის თანაშემწე). ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის მეტად ცნობილ ადამიანებთან: ჯ. ელიოტთან, ჯ. ლუისთან, ჯ. ს. მილთან და ჯ. ტინდელთან. საფრანგეთში რამდენიმეჯერ მოგზაურობისას კონტს ხვდებოდა. 1853 წელს მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება მეცნიერებას (ისტორია, ფილოსოფია, სოციოლოგია) მიუძღვნა. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია კონტის პოზიტივიზმმა და იმ დროისათვის ძალზე პოპულარულმა ევოლუციონიზმმა.

სპენსერის შემოქმედების გასაღებს წარმოადგენს ნაშრომი „ძირითადი საწყისები" (First Principles, 1862). დარვინის სახეთა თეორიის გამოქვეყნებამდე შვიდი წლით ადრე სპენსერმა დაწერა სტატია „განვითარების ჰიპოთეზა" (The Development Hypothesis), რომელშიც ევოლუციის იდეები ჰქონდა ჩამოყალიბებული. იგი ევოლუციის ერთ-ერთ ფაქტორად ბუნებრივ გადარჩევას აღიარებდა (ის არის ავტორი ტერმინისა „მეტ-ნაკლებად შეგუებულთა გადარჩენა"). ევოლუცია მას ესმოდა, როგორც „მატერიის ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესი." სპენსერის მთავარი ნაშრომია მრავალტომეული სახელწოდებით „სინთეზური ფილოსოფიის სისტემა" (A System of Syntetic Philosophy). იგი მოიცავს: „ბიოლოგიის პრინციპებს" (2 ტომი. 1864-1867), „ფსიქოლოგიის პრინციპებს" (2 ტომი. 1855), „ეთიკის პრინციპებს" (2 ტომი. 1892-93), „სო-

ციოლოგიის პრინციპებს" (The Principles of Sociology, 3 ტომი. 1876-1896). ამ ნაშრომებიდან მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე ფასეულია სპენსერის სოციოლოგიური გამოკვლევები, ასევე მისი ორი სხვა ტრაქტატი: 1) „სოციალური სტატიკა" (Social static, 1851) და 2) „სოციოლოგიური გამოკვლევები" (The Study of Sociology, 1872) და რეაქციული, რომელშიც სისტემატიზებულია სოციოლოგიური მონაცემები, „აღწერითი სოციოლოგია" (Descriptive Sociology, 1873-1881).

სპენსერი „ორგანიცისტული სოციოლოგიური სკოლის" ფუძემდებელია. მის მიხედვით, „საზოგადოება ორგანიზმია, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად ეეოლუციას განიცდის." ინდივიდუალიზმი სოციალური ეეოლუციის პროცესის შედეგია. თავის ავტობიოგრაფიაში (გამოქვეყნდა სიკვდილის შემდეგ, 1904 წ.) იგი ულტრაინდივიდუალისტის სახით წარმოგვიდგება, ადამიანად, რომელიც თვითდისციპლინებულობითა და დიდი შრომისმოყვარეობითაა გამორჩეული, ოღონდ იუმორის გრძნობისა და რომანტიზმის გარეშე.

სპენსერი 1903 წლის 8 დეკემბერს ბრაიტონში გარდაიცვალა. იგი პოზიტივიზმის, ეეოლუციონიზმის, ორგანიციზმის და ლიბერალიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო. ეწინააღმდეგებოდა რეეოლუციას და სოციალისტურ იდეებს არ იზიარებდა. საზოგადოების დაბალი ფენებისათვის განათლების ხელმისაწვდომობა მაინცდამაინც არ იზიდავდა; უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა განათლების დემოკრატიზაციის მიმართ და სხვ.

სპენსერი სოციალური ინსტიტუტების თეორიის ავტორია. ადამიანთა სოციალური ცხოვრების თვითორგანიზების ფორმად მას სოციალური ინსტიტუტები მიაჩნდა, ამბობდა, რომ ეს ინსტიტუტები ბუნებით ასოციალურ არსებას – ადამიანს სოციალურ არსებად აქცევსო. სპენსერი შემდეგი სახის სოციალურ ინსტიტუტებს გამოყოფდა: საშინაო – ოჯახი, ქორწინება, აღზრდა-განათლება; რიტუალური – ადამიანის ყოველდღიურ ქცევას არეგულირებენ ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ეტიკეტი და სხვა; პოლიტიკური – ჩნდება მთელი რიგი კონფლიქტების მოსაგვარებლად; საეკლესიო – ეკლესია-მონასტრები, რელიგიური ტრადიციები, სამრევლო სკოლები და სხვა; პროფესიული და სამრეწველო ინსტიტუტები – შრომის დანაწილების საფუძველზე იქმნება და პროფესიული ნიშნით ახდენს ადამიანთა კონსოლიდირებას. სამრეწველო ინსტიტუტები საზოგადოების საწარმოო სტრუქტურას უზრუნველყოფენ.

სპენსერის თეორიის მიხედვით, საზოგადოება, ბიოლოგიური ორგანიზმის მსგავსად, ინდივიდთა ერთობლიობაა, რომელიც იბადება, იზრდება და კვდება. იგი სამი შედარებით ავტონომიური ერთეულისაგან შედგება: 1) მწარმოებელი, 2) მომმარაგებელი და 3) მარეგულირებელი. მან შემდეგი სახის საზოგადოების ტიპოლოგია მოგვცა: მხედრული საზოგადოება – ძალადობასა და ცენტრალიზებულ კონტროლზეა დამყარებული; სამრეწველო საზოგადოება – ემყარება სამრეწველო კონკურენციას, რომელშიც იმარჯვებს ის, ვინც მორალური და ინტელექტუალური თვისებებით მდიდარი და ძლიერია. ამ ტიპის საზოგადოება პოლიტიკური თავისუფლებითა და მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებით გამოირჩევა. სპენსერის აზრით, სოციალური ეეოლუციის პრინციპებია: „ბუნებრივი გადარჩევა", „ბრძოლა არსებობისათვის" და „ძლიერთა გადარჩენა." საზოგადოებაში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებში მთავრობა არ უნდა ჩაერიოს. მხოლოდ ასეთ პირობებში იმოქმედებს ეეოლუციის კანონი. მთავრობა ამ კანონს ხელს არ უნდა უშლიდეს. რაც შეეხება სოციალიზმს ანდა კომუნიზმს, ის, სპენსერის მიხედვით, შეუძლებელია, რადგანაც ადამიანი პატიმოყვარე, უსამართლო და ეგოისტი არსებაა. სოციალური ორგანიზმის ყოველი ნაწილი, ბიოლოგიური ორგანიზმის მსგავსად, საკუთარ ფუნქციას ასრულებს (ამის გამო სპენსერს ფუნქციონალიზმის წარმომადგენლადაც მიიჩნევენ). ინდივიდუალიზმის მომხრე სპენსერმა პიროვნების რამდენიმე ძირითად უფლებაზე გაამახვილა ყურადღება. ესენია: პიროვნების უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება, სინდისისა და გამოხატვის თავისუფლება. სპენსერს მიაჩნდა, რომ პოლიტიკური უფლებები საჭიროა პიროვნების უფლებათა დასაცავად. თავისი ლიბერალისტური შეხედულებების მიუხედავად, სპენსერი ქალებისათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭების სასტიკი წინააღმდეგი იყო.

* * *

„ყოველი ადამიანი უნდა აკეთებდეს იმას, რაც მას სურს, თუკი ეს არ არღვევს სხვა ადამიანის თავისუფლებას."

„მეცნიერება ორგანიზებული ცოდნაა."

ჰერბერტ სპენსერი

„კულტურა ადამიანური ცხოვრების ორგანიზებას ახდენს. ადამიანთა ცხოვრებაში იგი იმაეე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ცხოველთა სამყაროში გენეტიკურად დაპროგრამებული ქცევა ახორციელებს“
ნეილ სმელზერი

VII ლექცია

თემა: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები:

კულტურა

საზოგადოების ცნებასთან ერთად კულტურის ცნება თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიაა. იგი იმ ფაქტორებისა და ძალების კომპლექსია, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოელენებსა და პროცესებს განსაზღვრავენ. ამ მოელენებისა და პროცესების შესასწავლად სოციოლოგიამ სპეციალური ხედვა, მიდგომა გამოიმუშავა, რომელიც კულტუროლოგიური ხედვის სახელითაა ცნობილი. მის მიხედვით, სოციალური სინამდვილისა და ამ სინამდვილეში ადამიანთა სოციალური ქცევისა და მოქმედების საიდუმლოებათა გასაღები კულტურის კელეეაში მდგომარეობს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ თავად კულტურა სოციალური ფენომენია. ამის გამო თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიაში საზოგადოებასა და, კულტურას შორის ტოლობის ნიშანს სვამენ, ანუ, ჩვეულებრივ, როდესაც მსჯელობენ საზოგადოებაზე, კულტურას გულისხმობენ და, პირიქით, როდესაც საუბრობენ კულტურაზე, საზოგადება აქვთ მხედველობაში. კულტურისადმი მსგავსი მიდგომა მისი სოციალური ბუნებიდან მომდინარეობს. ზოგადი აზრით, კულტურის ცნება ხომ ყველაფერ იმას გულისხმობს, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი.

ძველ საბერძნეთში ტერმინ „კულტურას“ ეთანადება სიტყვა „პაიდეია,“ რომელიც „შინაგანი კულტურის“ გამომხატველი სიტყვაა. სიტყვა „კულტურა“ ლათინური ზმნა – colo-დან არის ნაწარმოები, რომელიც (მიწის) მოელას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს.



ციცერონი

პირველად სიტყვა „კულტურა“ მარკუს პორციუს კატონ უფროსის (ძვ. წ. 234-149 წწ.) მიწათმოქმედებისადმი მიძღვნილ ტრაქტატში გეხვდება (**De agri cultura**). ტრაქტატი არამარტო მიწის დამუშავების წესებს, არამედ მისადმი განსაკუთრებულ სულიერ დამოკიდებულებასაც შეეხება. შემდგომ რომაელმა ორატორმა მარკუს ტულიუს ციცერონმა (ძვ. წ. 106-43 წწ.) სიტყვა კულტურა ფილოსოფიასთან მიმართებაში გამოიყენა და აღნიშნა, რომ „ფილოსოფია სულის კულტურაა,“ ანუ მას მიაჩნდა, რომ ფილოსოფოსი სულისა და გონების კულტურის მატარებელი გამორჩეული ადამიანია.

ლათინურ ტრადიციაში სიტყვა „კულტურას“ რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, იგი მიწის დამუშავებას, მოელას, სოფლის მეურნეობას, აღზრდას, განათლებას, განეითარებასა და თაყვანისცემას ნიშნავდა. ტერმინმა დამოუკიდებელი ცნების სტატუსი ახალი დროის ეეროპაში მოიპოვა გერმანელი იურისტისა და ისტორიკოსის სამუელ პუფენდორფის ნაშრომებში, რომელშიც მან ტერმინი საზოგადოებაში, „ხელოვნურ გარემოში“ აღზრდილი ადამიანის ბუნებრივ, „ეელურ გარემოში“ აღსრდილ ადამიანთან შესადარებლად გამოიყენა.

კულტურის ცნების წარმომაელობის შესახებ არსებულ სხვა მოსაზრებათაგან საინტერესოა მისი დაკაეშირება სიყვა „კულტთან“ – მსახურებასთან. ამ გაგებით სიტყვა „კულტურა“ რელიგიური წარმომაელობის მქონეა, რითაც ხაზგასმულია სულიერ-გონით სამყაროსთან მისი კაეშირი. ცნობილი რუსი მხატეარი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, არქეოლოგი და მოგზაური ნიკოლოზ რერიხი კულტურას „სინათლის, სამყაროს კეთილი საწყისის თაყვანისცემასთან“ აკაეშირებდა და ამბობდა, რომ სიტყვა „კულტურა“ წარმოდგება ორი სიტყვისაგან: „კულტი“ ყოველთვის მსახურებასთან ასოცირდება, ხოლო „ური“ აღმოსაელურ სწაელებში ცეცხლისა და სინათლის გამომხატველი სიტყვაა.

კულტურის შემსწავლელ სპეციალურ მეცნიერებაში – კულტუროლოგიაში ამ ცნების ოთხასზე მეტი განსაზღვრებაა ცნობილი. გარდა ამისა, ჩვეულებრივ ყოველდღიურ მეტყველებაშიც მრავალფეროვანია „კულტურის" გაგება, სადაც მას ძალზე ხშირად ვიყენებთ, განსაკუთრებით რაიმესადმი შეფასებითი მიდგომის შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც ვინმეზე იტყვიან, „კულტურული ადამიანიაო", მის დადებით შეფასებას გულისხმობენ, ხოლო გამოთქმა „უკულტუროა" ნიშნავს, რომ მას უარყოფითად აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვა „კულტურა" მრავალ განსხვავებულ ასოციაციას იწვევს, იგი მაინც რჩება ჩვენი ცხოვრების მაორგანიზებელ უმთავრეს ფაქტორად. ამის გამო სოციოლოგებს კულტურისადმი გაცხოველებული ინტელექტუალური და პროფესიონალური ინტერესი ყოველთვის ჰქონდათ.

კულტურის მრავალი განსაზღვრებიდან უმთავრესის გამოყოფით მის შემდეგ დეფინიციას მივიღებთ:

• კულტურა არის ის, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი. ის სოციალური მემკვიდრეობა ანუ სოციალური ტრადიციაა;

• კულტურა არის ის, რასაც სწავლობენ. ამ აზრით, იგი არ წარმოადგენს ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლენას. კულტურა სოციალიზაციის პროცესში შექმნილი და შეძენილი ნორმების ერთობლიობაა;

• კულტურა საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა, ანუ იგი, ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთმოქმედების პროდუქტია, მეორე მხრივ, ამ ურთიერთმოქმედებათა სახეების განმსაზღვრელი პირობაა. ერთი სიტყვით, კულტურა არის ის ღირებულებები, შეხედულებები, ქცევის ნორმები და მატერიალური საგნები, რომლებიც ადამიანის ცხოვრების წესის ფორმირებას ახდენენ.

ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობასთან ერთად ახალი ფენომენი – კულტურა ანუ მეორე ბუნება ჩნდება. მისი არსებობა მხოლოდ ადამიანთან და საზოგადოებასთან არის დაკავშირებული. არ არსებობს მეცნიერება, რომელსაც ამ ცნებასთან არ ჰქონდეს შეხება. მაგალითად, მიკროორგანიზმების კულტურა, ტექნიკური კულტურა, ფიზიკური კულტურა და სხვა. სხვადასხვა სააზროვნო ფენომენი კულტურის ცნებაში სხვადასხვა შინაარსს დებდა. განმანათლებლებმა მასში განათლების მომენტი შეიტანეს; კანტმა – ზნეობრიობა; ჰეგელმა – გონის განვითარება; ნეოკანტიანელებმა – ღირებულების ცნება; სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური სკოლის წარმომადგენლებმა – ღირებულებათა სისტემა.

კულტურა იწყება იქ, სადაც საგანთა თვისებებზე, ბიოლოგიურ და სხვა მოცემულობებზე დაყრდნობით ადამიანი სპეციალურ არსებათა სამყაროს, „მეორე ბუნებას" ქმნის. ამ აზრით, იგი ადამიანის შემოქმედებითი, შრომითი საქმიანობის სფეროა. არსებობს კულტურის ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით, კულტურა არის საზოგადოების ისტორიის მანძილზე ადამიანთა მიერ შექმნილი და ქმნადობის პროცესში მყოფი მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობა; ვიწრო გაგებით, კულტურა მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილ სულიერ ღირებულებათა ერთობლიობაა. ამ აზრით, კულტურის ცნება ცივილიზაციის ცნებას უპირისპირდება.

„ცივილიზაცია" ლათინური სიტყვა civilis-იდან მომდინარეობს, რაც სამოქალაქოს ნიშნავს. მისი რამდენიმე მნიშვნელობაა ცნობილი. ერთ-ერთი მნიშვნელობის მიხედვით, იგი არის დიდ სივრცეზე განფენილი ცხოვრების წესი, რომელსაც დამოუკიდებელი ღირებულებათა სისტემა და შესაბამისი მსოფლმხედველობა აქვს. ამ აზრით, ცივილიზაცია კულტურის ცნების სინონიმადაც გამოიყენება; ფრანგულ და ინგლისურ განმანათლებლურ ტრადიციაში ცივილიზაციის ცნებას ველურობის ცნების საპირისპიროდ იყენებდნენ. ამ შემთხვევაში ცივილიზებულობა ლტოლვების, აფექტებისა და ძალადობის რეგულირებასა და ურთიერთობის ფორმათა დახვეწას ნიშნავდა. ცივილიზაციის ეს გაგება ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში დღესაც გამოიყენება.

ცივილიზაციის ის გაგება, რომელიც მას კულტურის ცნებასთან აპირისპირებს, გერმანელმა ფილოსოფოსებმა, სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ფრიდრიხ ნიცშემ და ოსვალდ შპენგლერმა შეიმუშავეს. გერმანულ სააზროვნო ტრადიციაში ცივილიზაცია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ინსტრუმენტულ გამოყენებას ნიშნავს. კულტურა ცოდნას, მოქმედებას, ობიექტებსა და ინსტიტუტებს გულისხმობს, რომლებსაც თავისთავადი, სუვერენული ღირებულება აქვს და პროფანული ცხოვრების მოთხოვნილებებზე მაღლა დგას, ცივილიზაცია კი პროფანული ცხოვრების მოთხოვნი-

ლებების იქით ვერ მიდის და, შესაბამისად, მეცნიერებასა და ტექნიკას, ეკონომიკასა და პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას, კულტურა კი – რელიგიას, ხელოვნებას, მორალსა და ტრადიციებს; შპენგლერის აზრით, ცივილიზაცია კულტურის ნასუფრალით იკვებება; ციეილიზაციის ეპოქა მაშინ დგება, როდესაც კულტურის მზე ჩაესვენება; ციეილიზაცია თანამედროვე საზოგადოების მაცნეა. შპენგლერმა თავის მთავარ ნაშრომს „ევროპის დაისი დაარქვა“, რითაც ტრადიციული საზოგადოების აღსასრული და ახალი ეპოქის დადგომა იწინასწარმეტყველა, ამ ახალი ეპოქის გაუკუღმართებული ცხოერება კი სააშკარაოზე ფრიდრიხ ნიცშემ გამოიტანა.



ფრიდრიხ ნიცშე
(1844-1900)



ოსვალდ შპენგლერი
(1880-1936)

კულტურის უპირველესი არსებითი შინაგანი მახასიათებელი არის შემოქმედება. იგი ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ნიადაგზე იქმნება და ძირითადად მის მიზნებსა და ინტერესებზეა დამოკიდებული. იგი აუცილებლად ადამიანის გააზრებული მოქმედებაა. კულტურის მეორე უმთავრესი მახასიათებელი თავისუფლებაა. ნებისმიერი ღირებულების შექმნის პროცესში ადამიანს იმის შესაძლებლობა აქვს, რომ ის ფორმა და შინაარსი მისცეს გარდასაქმნელ ობიექტს, გამოსახატავ აზრს, იდეას, განცდას და ა. შ. რომელიც მას სურს. ეს კი მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობით მიიღწევა. თავისუფლება არის უპირველესი პირობა იმისა, რომ ბუნებას გამოსტაცო ის, რასაც იგი მასზე აქტიური გაელენის გარეშე არ იძლევა. თავისუფლებასთან ერთად კულტურის შინაგანი მახასიათებელია მიზანდასახულობა. ადამიანი ყოველივეს გარკვეული მიზნის მიხედვით, წინასწარი განზრახვით ქმნის. მაშასადამე, მიზნისეული ელემენტი აუცილებელია კულტურისათვის, თუმცა საკმარისი არ არის. კულტურის ნიმუშის შექმნას ესთეტიკური ხედვა სჭირდება. ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური სამყარო მშვენიერების იდეითაა განმსჭვალული. ამ აზრით, კულტურა ლამაზის, მშვენიერისა და ამაღლებულის განსახიერებაა.

მატერიალური და სულიერი კულტურა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველივე, რაც ადამიანის ხელით იქმნება, მისი მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია. იგი ყოველივეს ხელებითა და გონებით ქმნის. კულტურის წყარო ადამიანის იდეალური, სულიერი სამყაროა. ეს საწყისი მონაწილეობს კულტურის ნებისმიერ სფეროში. ჩვეულებრივ, კულტურას ორ დიდ სახედ: მატერიალურ და სულიერ კულტურებად ყოფენ.

მატერიალურ კულტურას ადამიანების მიერ შექმნილი საგნები შეადგენენ. ეს შეიძლება იყოს შრომის იარაღები, მოწყობილობები, პროდუქტები, ისტორიული და თანადროული შენობა-ნაგებობანი, ტრანსპორტი და საკომუნიკაციო საშუალებანი, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები და ა. შ. ანუ ყოველივე ის, რაც ადამიანთა მრავალფეროვანი მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი. ამიტომაც მატერიალური კულტურა ნიეთიერად არსებობს. იგი მატერიალური ღირებულების მქონეა.

სულიერი კულტურა კი ადამიანის სულიერ-გონითი შემოქმედების შედეგებს გულისხმობს. ესაა იდეები, შეხედულებები, თეორიები, ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, რელიგია, ადამიანთა ჯეროვანი ქცევის წესები და მრავალი სხვა. მათ არსებობის სულიერი ხასიათი აქვთ და ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი. თუ მატერიალური კულტურა თავისი შინაარსითა და მიზნისეული გამოელინების ფორმებით ნივთიერია, სულიერი პირიქითაა, შინაარსით ის იდეალურია, ხოლო გამოელენის ფორმებით – მატერიალური. მაგალითად, პოეტური აზროვნება ენობრივ გარსშია მოქცეული, მხატვრის ჩანაფიქრი – ფერებში, მუსიკოსის იდეა – ბგერებში, მოქანდაკის იდეები – ქვაში და ა. შ. მიუხედავად ამისა, ეს დაყოფაც მხოლოდ პირობითი ხასიათის მატარებელია, რადგანაც ძნელია საუბარი წმინდა მატერიალურ ან წმინდა სულიერ კულტურაზე, რაც კულტურის ამ ორი სახის საერთო – ანთროპულ (ადამიანურ) და სოციალურ (საზოგადოებრივ) საფუძვლებზე მიანიშნებს, რაც, თავის მხრივ, კულტურებს შორის განსხვავებას კარგ ნიადაგს უქმნის. თუმცა, მიუხედავად კულტურებს შორის განსხვავებისა, ყოველ მათგანს 5 ძირითადი საერთო კომპონენტი აქვს. ესენია: სიმბოლოები, ენა, ღირებულებები, ნორმები და ცოდნა (ტექნოლოგია).

კულტურის ელემენტები

სიმბოლოები

სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად, ადამიანები გარემომცველ სამყაროს გრძნობის ორგანოების საშუალებით აღიქვამენ, მაგრამ მათგან განსხვავებით ადამიანს სხვა უნარიც აქვს განვითარებული – იგი საზრისს დებს რეალობაში, ანუ სამყაროს ცალკეულ ელემენტებს სიმბოლოებად გარდაქმნის („ადამიანი სიმბოლოების შემქმნელი არსებაა," – ერნსტ კასირერი), მის მიერ შექმნილ საგნებსა და მოვლენებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევს; ამ შემთხვევაში კულტურა სიმბოლოებისა და ნიშნების მოწესრიგებული სისტემის სახით გვევლინება. კულტურის ეს ელემენტი ხშირად გამოიყენება რეკლამის ტექნიკაში. სიმბოლოს ამგვარი გაგების გამო, თავის მხრივ, რეკლამა არა მარტო ბიზნესის აუცილებელი ელემენტია, არამედ კულტურის შემადგენელ ნაწილად იქცევა. განსხვავებულ კულტურასთან არადაკვალიფიცირებული მიმართების მიზეზი ამ კულტურის სიმბოლოების მნიშვნელობის არცოდნა ან არგაგება შეიძლება იყოს. აქედან კი ე. წ. „კულტურულ შოკამდე" ძალზე ახლო მანძილია. მაგალითად, შესაძლებელია ზოგ კულტურაში თავის დაქნევა თანხმობის ნიშანი იყოს, ზოგან კი – უარყოფის. შესაბამისად, ამ კულტურის სიმბოლოების მნიშვნელობის არცოდნა დიდი უსიამოვნების მიზეზი შეიძლება გახდეს. განსხვავებული სიმბოლოები აქვთ არა მარტო სხვადასხვა კულტურებს, არამედ ერთი კულტურის შიგნითაც შეიძლება განსხვავებული სიმბოლოების არსებობა. მაგალითად, ერთსა და იმავე კულტურაში შესაძლებელია ბეწვის ქურქი სიმდიდრის ნიშანიც იყოს და ცხოველებისადმი ველური მოპყრობის განსახიერებაც.

ენა

კულტურის სამყაროს გასაღებს ენა წარმოადგენს, რადგანაც ის ადამიანებს ურთიერთშემოქმედების, ინტერაქციის საშუალებას აძლევს. იგი ამავე დროს კულტურულ მემკვიდრეობას და კულტურული ტრანსმისიის (პროცესი, რომლის შედეგად კულტურა თაობიდან თაობას გადეცემა) მექანიზმს წარმოადგენს. ჩვენს ორგანიზმში არსებული გენების მსგავსად, ენა კულტურის ორგანიზმის გენების ფუნქციას ასრულებს. ენის მეშვეობით მკვიდრდება კულტურაში საუკუნეობით დაგროვილი სიბრძნე და ტრადიციები. ენა გვაგებინებს სხვათა გამოცდილებას. ენის ფუნქცია ზოგადად და განსაკუთრებით მისი სოციალური ხასიათი კარგად ჩანს დიდი გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის გამონათქვამში, რომ „ენა ყოფიერების სახლია". სოციოლოგიას ენასთან მიმართებაში ის უფრო აინტერესებს, თუ როგორ მყარდება ადამიანებს შორის ურთიერთობა მისი საშუალებით და როგორ აყალიბებს ენა სოციალურ სინამდვილეს. სოციოლოგიის მამა ოგიუსტ კონტი ამბობდა, რომ „ენა იმ ტიპის სიმდიდრეს ქმნის, რომლითაც ერთდროულად და თანაბრად სარგებლობს ნებისმიერი ადამიანი და ამით მის ცოდნას არანაირი ზიანი არ ადგება". თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში მიღებული თეზისის მიხედვით, ჰაიდეგერის ცნობილი გამონათქვამი ასეთნაირად გაიგება: ადამიანები სოციალურ სინამდვილეს ენის კულტურული პრიზმიდან იღებენ.

ღირებულებები

სინამდვილისადმი შემეცნებით ან ესთეტიკურ დამოკიდებულებასთან ერთად ადამიანს ღირებულებითი ხედვა და, შესაბამისად, ღირებულებითი უნარები და ორიენტაცია გააჩნია, რაც, ფაქტობრივად, სინამდვილისადმი შეფასებითს დამოკიდებულებას ნიშნავს, ოღონდ ამ შემთხვევაში შეფასებას ვაჭრობასთან და ყიდვა-გაყიდვასთან არაფერი აქვს საერთო. ღირებულება რაღაცის მოწონებას ან არმოწონებას გულისხმობს და, ამდენად, სუბიექტურობის ნიშნით ხასიათდება. ეს ის კრიტერიუმებია, რომლებიც კარგისა და ცუდის, სასურველისა და არასასურველის, კეთილისა და ბოროტის და ა. შ. გარჩევაში გვეხმარება. მაგალითად, რითი აიხსნება ლედი გაგას ანდა ჯეიმზ ბონდის პოპულარობა? ყოველი მათგანი გარკვეული ნიშნების მატარებელია, რომელთა მეშვეობით ფასეულობათა გავრცელებული და პოპულარული სისტემა იქმნება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი იზიარებს ან არ იზიარებს. კულტურული ღირებულებები დიდ გაელენას ახდენენ პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

თანამედროვე საზოგადოების კულტურული ღირებულებების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილოთ ამერიკელი სოციოლოგების მიერ ჩამოყალიბებული თანამედროვე ამერიკული კულტურის ფუნდამენტური ღირებულებები.

თანამედროვე ამერიკული კულტურის ფუნდამენტური ღირებულებებია:

- **თანაბარი შესაძლებლობები** – ამერიკული საზოგადოების წევრებისათვის მნიშვნელოვანია არა თანაბარი მდგომარეობა, არამედ თანაბარი შესაძლებლობები, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი აქვს ყველას.
- **კონკურენტულობა და წარმატებულობა** – რაც იმას ნიშნავს, რომ სპორტში, პოლიტიკაში, ბიზნესში, უნივერსიტეტსა თუ სხვაგან მხოლოდ გამარჯვებისათვის ეთამაშობთ. კონკურენციაში გამარჯვებული შესაბამის ჯილდოსაც იღებს წარმატების სახით.
- **მატერიალური კომფორტი** – წარმატების მიღწევის შედეგად მოპოვებული ფული მატერიალური სიამოვნების წყარო ხდება. ნათქვამია, „ბედნიერებას ვერ იყიდიო," მაგრამ შეძლებული ამერიკელებისათვის ეს სასაცილოა.
- **აქტიურობა და თავდადებული შრომა** – ამერიკელი ის ადამიანია, ვინც თავის ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანს, ოღონდ ამას ის დიდი შრომისა და აქტიურობის ფასად აღწევს. ამ შემთხვევაში წამყვან ღირებულებას წარმოადგენს არა ბედს შერიგება, არამედ მოქმედება და მხოლოდ მოქმედება.
- **პრაქტიკულობა და ეფექტურობა** – ამერიკელების დიდი ნაწილი პრაქტიკას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე თეორიას. პრაქტიკული საქმიანობა იმდენად არის ღირებული, რამდენადაც მას ფული მოაქვს. აღსანიშნავია, რომ ამის გამო ამერიკას არა აქვს განყენებული ფილოსოფიური აზროვნება. ამერიკული ფილოსოფია – პრაგმატიზმი – სარგებლიანობის პრინციპზეა აგებული. სამაგიეროდ, ამერიკას, აქვს სოციოლოგია, ძალზე პრაქტიკული და ეფექტური მეცნიერება, რომელიც ფულის შოვნის სამსახურშია ჩამდგარი.
- **პროგრესი** – ამ ღირებულებითი ორიენტაციის მატარებელი ადამიანი ფიქრობს, რომ აწმყო ყოველთვის ჯობია წარსულს. პროგრესი ამ შემთხვევაში „სიახლის" და „საუკეთესოს" სინონიმია და ზნეობრივ განვითარებასთან არაფერი საერთო არა აქვს.
- **მეცნიერება** – მეცნიერული ცოდნა იმიტომ არის ამერიკული ღირებულებების აუცილებელი შემადგენელი, რომ მის საფუძველზე იქმნება უახლესი ტექნოლოგიები, რომელთა დახმარებითაც ამერიკელები მრავალი მწვავე პრობლემის გადაწყვეტას იმედოვნებენ.
- **დემოკრატია და თავისუფალი მეწარმეობა** – ეს ღირებულება პოლიტიკურ არჩევანში თავისუფლებას, ხოლო ეკონომიკის სფეროში თავისუფალი წარმოების განვითარებას გულისხმობს.
- **თავისუფლება** – იგი პიროვნების ინდივიდუალური ინიციატივებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭებას ნიშნავს. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ადამიანი თავისი პერსონალური მიზნების მიღწევაში შეზღუდული არ უნდა იყოს.
- **ჯგუფისადმი კუთვნილება, იდენტობა** – ინდივიდუალური თავისუფლების აღიარებასთან ერთად ამერიკელების დიდი ნაწილი ადამიანს ჯერ კიდევ აფასებს გენდერული, ეთნიკური, რასობრივი და ა. შ. კუთვნილების მიხედვით.

ამერიკული კულტურის ღირებულებითი ორიენტაცია მოტანილია ამერიკელი სოციოლოგის რობინ უილიამსის (1970 წ.) მიხედვით.

ღირებულებათა სოციოლოგიური ანალიზის საინტერესო თემაა „ღირებულებათა კონფლიქტის" საკითხი. ხშირად საზოგადოებაში ხდება ისე, რომ მისი ერთი ნაწილი რომელიმე ღირებულების დასაცავად გამოდის, ხოლო სხვა ნაწილი უარყოფს მას. მსგავსი კონფლიქტები თანამედროვე საზოგადოების მშენებლობის გზაზე გარდაუვალია. ამ შემთხვევაში ადამიანები კიდევ უფრო მეტად სწავლობენ წინააღმდეგობათა მოგვარების გზების ძიებას.

ნორმები

ყოველი კულტურა შესაბამისი წესებისა და მოლოდინების (ექსპექტაციების) სისტემას ქმნის, რომელთა მეშვეობითაც ის ადამიანთა ქცევას არეგულირებს. სწორედ ამ წესებისა და მოლოდინების სისტემას ჰქვია ნორმა. ღირებულებასთან შედარებით მას ეიწრო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუკი პატიოსნება და ინდივიდუალიზმი ღირებულებებია, მაშინ მათგან გამომდინარე წესი, რომ სტუდენტმა გვერდზე მჯდომი სტუდენტისაგან დავალება არ უნდა გადმოიწეროს, – ნორმაა. ნორმები უმეტესწილად სიტუაციური ხასიათის მქონეა და შემთხვევებისა და მოვლენებისაგან მომდინარეობს, ამიტომ ღირებულებებთან შედარებით სწრაფად იცვლება. ნორმები სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვანაირია, თუმცა ერთი კულტურის ან ერთი სოციალური ჯგუფის შიგნითაც შეიძლება სხვადასხვა სახის ნორმის არსებობა. ადამიანები, რომლებიც კულტურის შიგნით აღიარებულ ნორმებს უარყოფენ, მეამბოხეებად, მარგინალებად ან სნობებად მიიჩნევიან. ამასთან მათ მიმართ მიდგომა სხვადასხვა კულტურაში ან ერთი კულტურის შიგნით შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, მაგალითად, ტოლერანტული ან არატოლერანტული. ჰოლანდიურ კულტურაში პომოსექსუალისტების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებაა, რასაც ვერ ვიტყვით რომელიმე ტრადიციული კულტურის შემთხვევაში და ა. შ. ზოგჯერ ხდება, რომ ნორმა სახელმწიფო კანონად გადაიქცევა (მაგალითად, კანონი ღალატის წინააღმდეგ). ზოგჯერ ნორმებს ავტორიტეტებიც ქმნიან.

ამერიკულ საზოგადოებაში არსებული დიდი მორალური მნიშვნელობის მქონე ნორმების აღსანიშნავად სოციოლოგმა უილიამ სამნერმა შემოიღო ტერმინი „ჩვეულება," რომელსაც ტაბუ, ანუ აკრძალვების სისტემა მიეკუთვნება; თუმცა თანამედროვე კულტურას ტაბუს ტრადიციულისგან განსხვავებული გაგება აქვს. ის, რაც ტრადიციულ საზოგადოებაში ტაბუირებული იყო, თანამედროვეში ნებადართულია.

ღირებულებებისა და ნორმების საფუძველზე იქმნება კულტურის „რეალური" და „იდეალური" მოდელები. ის, რაც ცხოვრებაში ყოველდღიურად ხდება, ბევრად ჩამორჩება კულტურის იდეალურ ტიპს. ამის საილუსტრაციოდ ერთი ამერიკული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები გამოდგება, რომლის მიხედვით, დაოჯახებულ მამაკაცთა 25% და ქალთა 10% აღიარებს, რომ ხშირად ღალატობს თავის მეუღლეს. არადა, „კულტურის იდეალური ტიპის" მიხედვით, ისინი ერთმანეთის ერთგულნი უნდა იყვნენ, მაგრამ „რეალური კულტურა" სულ სხვა რამეზე მეტყველებს; თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კულტურულმა ნორმებმა აზრი დაკარგეს.

ცოდნა და ტექნოლოგიები

ცოდნასა და ტექნოლოგიებში ფაქტების, მრწამსისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ერთობლიობა მოიაზრება, რომელთაც თითოეული ჩვენგანი დროთა განმავლობაში იძენს. ის ყველა იმ ინფორმაციას მოიცავს, რომელიც შეიძლება ერთ კითხვაში გავაერთიანოთ: როგორ? მაგალითად, როგორ შევიდე ინტერნეტში? როგორ დავრეკო მობილურით? როგორ დავქოქო ან ვატარო მანქანა და ა. შ.

თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია ცოდნის კონტროლი, რაც ინფორმაციის თანაბარ განაწილებას გულისხმობს. ეს იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებაში ადამიანთა კარგად და ცუდად ინფორმირებულთა ჯგუფები და ფენები ჩნდებიან, რაც, თავის მხრივ, უთანასწორობის ახალი ფორმაა. წარმოიდგინეთ, ეს იგივეა, მშიერი და მაძღარი ადამიანები რომ შეეადაროთ ერთმანეთს. აქ „ინფორმაციულ შიმშილზეა" საუბარი. ის, ვინც ინფორმაციის მფლობელია, უფრო წარმატებულია და ა. შ. ტექნოლოგიურმა პროცესებმა კულტურის ახალ სახეს – ვირტუალურ კულტურას ჩაუყარეს საფუძველი. ამ ტიპის კულტურის სახეებია მუდამ მომღიმარე მაკდონალდი, დისნეის პერსონაჟები, სუპერმენი და სხვები. ისინი იმ ღირებულებებს განასახიერებენ, რომლებიც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ფორმირებას ახდენენ. მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ისტორიულ, ტრადიციულ ღირებულებებთან. ისინი ამ ღირებულებათა სუროგატებია, რომლებიც ერთი მიზნისათვის – ფულის საშოვნელადაა შექმნილი.

კულტურული მრავალფეროვნება

კულტურული მრავალფეროვნების ცნებით სოციოლოგები სხვადასხვა კულტურების განსხვავებათა შედეგად კულტურის, როგორც მთლიანობის, ჩამოყალიბებას აღნიშნავენ. კულტურული მრავალფეროვნება გულისხმობს, რომ არსებობს სხვადასხვა სახის ღირებულებები, გემოვნებები, ცოდნა და ნორმები, რომლებიც საბოლოო ჯამში ერთიან მსოფლიო კულტურას, ანუ მსოფლიო კულტურულ მოზაიკას ქმნიან. ეს დაახლოებით სხვადასხვა ფერის ძაფებით მოქსოვილი ფერადი ხალიჩის მსგავსია. ამ მრავალსახეობაში თითოეული კულტურა უნიკალური და განუმეორებელია, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თითოეული კულტურა საკუთარი იდენტობის მატარებელია, რაშიც დიდ როლს ენა ასრულებს. საქართველოს მაგალითი ადასტურებს, თუ რა დიდი როლი შეასრულა ქართულმა ენამ საბჭოთა რეჟიმის პირობებში კულტურული იდენტობის შენარჩუნებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში. კულტურის მრავალფეროვნება კულტურებს შორის დიალოგსა და ტოლერანტობას გულისხმობს.

თავის მხრივ, კულტურათა შორის კავშირი კულტურული დიფუზიის მიზეზიც შეიძლება გახდეს. კულტურათა დიფუზია კულტურებს შორის კავშირის მეშვეობით ერთი ადგილიდან მეზობელ რეგიონში ინოვაციების გავრცელებას ნიშნავს (კულტურის დიფუზიის მაგალითია ალ. მაკედონელის ლაშქრობები, რომლის მეშვეობით აზიის ქვეყნებში ბერძნული კულტურა შეიდა).

ელიტარული და პოპულარული კულტურა


კულტურული მრავალფეროვნება შესაძლებელია ამა თუ იმ სოციალური ფენის ან ჯგუფისადმი კუთვნილებას გულისხმობდეს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის არის ხელმისაწდომი კულტურის ესა თუ ის ფორმა. ამ ტიპის განსხვავებათა აღსანიშნავად სოციოლოგები ელიტარული და პოპულარული კულტურის ცნებებს იყენებენ. ელიტარული კულტურა საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის, რაღაც ნიშნით გამორჩეულთათვისაა დამახასიათებელი (ტერმინი „ელიტარული კულტურა“ სათავეს „მაღალშობლიანთა კულტურიდან“ იღებს. XIX საუკუნეში პოპულარული მეცნიერების – ფრენოლოგიის გაელენით გავრცელებული იყო შეხედულება ადამიანის პიროვნებისა და პიროვნული თვისებების თავის ქალის ფორმაზე დამოკიდებულების შესახებ. ამის მიხედვით, „მაღალშობლიან“ ადამიანთა გემოვნება უნაკლოდ მიიჩნეოდა). პოპულარული კულტურა კი ყველასათვის ხელმისაწვდომი და მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული კულტურაა. კულტურათა ასეთი დაყოფა მიუღებელია, რადგანაც არც ელიტის და არც მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენელთა გემოვნება და ინტერესები ყოველთვის ერთნაირი არ არის და არც შეიძლება იყოს.

სუბკულტურა

სუბკულტურა ერთიანი კულტურის შიგნით კულტურის განსაკუთრებულ სფეროს აღნიშნავს. ის არა მარტო განსხვავებას, არამედ იერარქიულობას გულისხმობს. იგი გაბატონებულ ან „მეინსტრიმულ“ (ძირითადი კულტურული მიმართულება დროის გარკვეულ მონაკვეთში) კულტურაში ისეთი ელემენტების შერევას გულისხმობს, რომელიც მთელს მსოფლიოშია აღიარებული. საზოგადოებაში ყოველთვის არსებობენ ცალკეული ჯგუფები, რომლებიც სპეციფიკურ კულტურას ქმნიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის კულტურის ანდერგრაუნდს (კულტურის ჯეშმარიტი, შემოქმედებითი მიმართულებების ერთობლიობა) საკუთარი მრავალფეროვნების შენარჩუნებაში.

მულტიკულტურალიზმი

მულტიკულტურალიზმი ამერიკაში შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც ამერიკის კულტურულ მრავალფეროვნებას აღიარებს, მაგრამ სხვადასხვა კულტურული ტრადიციების ერთმანეთთან გათანაბრებას იდეალისწინებს. ამ საქმეში პრობლემას ქმნის ენისა და უმცირესობების საკითხები. თუმცა მულტიკულტურალიზმი ამერიკაში დღემდე პრობლემატურია.






კონტრკულტურა

კონტრკულტურა გაბატონებული კულტურის საპირისპიროა. ბევრი მკვლევარი მას კულტურის განახლებისა და გარდაქმნის წინაპირობად განიხილავს. კონტრკულტურის მაგალითია 1960 წელს არსებული კულტურული მეინსტრიმის წინააღმდეგ პიპებისა და მოგეიანებით პანკების გამოსელა ამერიკაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა და გმობდა კონკურენტულ, ეგოისტურ და მეტერიალისტურ ამერიკულ კულტურას და ცხოვრების საერთო სტილის მიმდევარი იყო. კონტრკულტურები დღესაც აქტიურად გამოდიან და იბრძვიან გაბატონებული კულტურების წინააღმდეგ.

მასკულტურა

მასობრივი კულტურა XX საუკუნის მოელენაა. იგი მანამდე არსებული ყველა ტრადიციული კულტურული ნორმის ტრანსკულტურულ ნორმად გადაქცევას გამოხატავს. მასკულტურა ე. წ. საშუალო, მასის ადამიანზეა გათელილი და მისთვის გასაგებ ენაზეა შექმნილი. მისი ძირითადი მიმართულებებიდან გამოყოფენ ბავშვთა სუბკულტურას, რომელიც ბავშვებისთვის განკუთვნილი მასკულტურის საგნების ინდუსტრიას წარმოადგენს – ესაა სტანდარტული სათამაშოები და თამაშები, ბავშვთა მანიველირებელი აღზრდის ტექნოლოგიები და სხვ. მასკულტურას ახასიათებს შოუინდუსტრია და მასობრივი სანახაობები.



იგი ბაზრისათვის არის განკუთვნილი და მასში ჭარბობს სექსის კულტი, ძალადობის პროპაგანდა და ეგოიზმი. მის დემოკრატიულ პროცესად შენიღბვასა და გასაღებას ხელს უწყობს თანამედროვე მედია და კომუნიკაციის საშუალებები. მასკულტურა ადამიანს მხოლოდ ბიოსოციალურ არსებად განიხილავს, რომელსაც ჭამისა და სექსის მეტი არაფერი ახსოვს.

მარგინალური კულტურა

კულტუროლოგიური გაგებით, ტრანზიტულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არის მარგინალური (კიდეზე, ზღვარზე მყოფი) კულტურის წარმომადგენელი, ანუ ამ ტიპის სოციალური ჯგუფი განსაზღვრულ კულტურულ იდენტობას მოკლებულია და მისი კულტურული მდგომარეობა გაურკვეველია. მარგინალური კულტურა სოციალური ტრანსფორმაციების შედეგია. მას ახასიათებს კულტურული პლურალიზმი, არსებული ღირებულებებისა და ნორმების უარყოფა, სოციალური ჯგუფის ცნობიერების მთლიანობის რღვევა და შინაგანი დისკომფორტი. რელიგიურ ტერმინოლოგიას თუ ეიხმართ, ეს არის „ბოლო ჟამის," ანუ „აპოკალიფსური კულტურა."

გლობალური კულტურა

თანამედროვე გლობალიზაციურმა პროცესებმა და ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა კულტურის გლობალიზაციის პროცესები დააჩქარა. კულტურის გლობალიზაცია ნიშნავს იმას, რომ კულტურის აქტორები მთელი მსოფლიოს ხალხები ხდებიან და შედეგად ისეთი კულტურა იქმნება, რომელიც სამომხმარებლო ხასიათის მატარებელია. გლობალური კულტურის სიმბოლოებია სუპერმარკეტებისა და ჰიპერმარკეტების სისტემა. თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ჩასელისას თქვენ აღმოაჩენთ, რომ იქაც ისეთნაირად აცვიათ ადამიანებს, როგორც თქვენთან; არც იქ მოსმენილი პოპ-მუსიკა იქნება თქვენთვის უცხო და ა. შ. ეს ყველაფერი გლობალურმა ეკონომიკამ, კომუნიკაციის გლობალურმა სისტემებმა და გლობალურმა მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია. თუმცა ამ ყოველივეს გარკვეული წინააღმდეგობაც ახლავს, კერძოდ ის, რომ ადამიანები სამყაროს საკუთარი კულტურის პრიზმიდან უყურებენ და შესაბამისად, ასეთი ადამიანები მტკიცნეულად განიცდიან კულტურის გლობალიზაციას და გლობალური კულტურის წარმოქმნის პროცესებს.

კულტურის სოციოლოგიური ანალიზი

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კულტურა ჩვენი გარემომცველი სამყაროს, პირველ რიგში კი სოციალური რეალობის გააზრებაში გვეხმარება. შესაბამისად, სოციოლოგიის ამოცანა კულტურის შესწავლაში მდგომარეობს. ამ ამოცანის განხორციელების შედეგად სოციოლოგიაში რამდენიმე თეორიულ-სოციოლოგიური მიდგომა იქნა შემუშავებული, რომელთა შორის მნიშვნელოვანია კულტურის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ანალიზი.

კულტურის სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური ანალიზი

სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური სოციოლოგიური პარადიგმა კულტურას, როგორც კომპლექსურ სტარტეგიას, განიხილავს, რომლის მიზანი ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. ამ შემთხვევაში კულტურის საფუძვლად ღირებულება განიხილება (პარსონსი, უილიამსი და სხვ.). ფუნქციონალისტური აზროვნება სხვა კულტურების საზრისის წვდომასა და მათგან მომდინარე ცხოვრების წესის გაგებაში გვეხმარება. თუკი კულტურები ადამიანურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სტრატეგიებია, მაშინ მსოფლიოში არსებულ კულტურებს შორის საერთო ნიშნები უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე განსხვავება მათ შორის. სხვადასხვა კულტურათა შედარებითი ანალიზის გზით ამერიკელმა სოციოლოგმა ჯორჯ მერდოკმა მათი ათამდე საერთო ნიშანი გამოყო, რომლებსაც კულტურული უნივერსალიები უწოდა. ერთ-ერთი ასეთი უნივერსალია არის ოჯახი, რომლის ფუნქციები ნებისმიერ კულტურაში თითქმის ერთნაირია. მერდოკის მიერ გამოყოფილი კიდევ ერთი ასეთი უნივერსალია არის ხუმრობა, რომელიც ყველა კულტურაში სოციალური დაძაბულობის მოხსნის ფუნქციას ასრულებს. კულტურისადმი ამგვარ მიდგომას ის ნაკლოვანება ახასიათებს, რომ იგი კულტურებს შორის განსხვავებებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ მისთვის კულტურული სტაბილურობა სოციოლოგიურად უფრო მნიშვნელოვანი ცნებაა, ვიდრე კულტურებს შორის განსხვავებულობა.


კულტურა სოციალური კონფლიქტის თეორიის მიხედვით

სოციალური კონფლიქტის სოციოლოგიური პარადიგმა ძირითად აქცენტს კულტურებს შორის უთანასწორობაზე აკეთებს, რის მაგალითად ამ თეორიის მომხრეებს (მარქსი) საზოგადოებაში ერთი რომელიმე კულტურული ღირებულების გაბატონებული მდგომარეობა მიაჩნიათ. მათ მიაჩნიათ, რომ კულტურას ეკონომიკა განაპირობებს. რაც მატერიალისტური თეორიაა, რომელიც იდეალისტურ სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურ მიდგომას ეწინააღმდეგება. ეს თეორია ისეთ ღირებულებას, როგორიცაა თავისუფალი კონკურენცია, კაპიტალისტურ ეკონომიკასთან აიგივებს. აქედან მომდინარეობს კულტურის ისეთი გაგება, რომლის მიხედვით, ის ადამიანებს შორის უთანასწორობას ალრმავებს. ყოველივე ამას კულტურათა შეხლამდე მივყავართ.

> კულტურული შეყოვნება – უილიამ ფილდინგ ოგბორნის მიერ შემოღებული ცნებაა. კულტურული შეყოვნება მაშინ გვხვდება, როდესაც საზოგადოების მატერიალური და ტექნოლოგიური მდგომარეობა წინ უსწრებს სულიერი კულტურის (მრწამსი, ადათ-წესები, ფილოსოფიური სისტემები და სხვ.) ტრანსფორმაციას.

კულტურის სოციობიოლოგიური ანალიზი

სოციობიოლოგიური პარადიგმა, ერთი მხრივ, ბიოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, სოციოლოგიას ეყრდნობა. იგი კულტურის შექმნის პროცესში ბიოლოგიური ფაქტორების მონაწილეობაზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, სოციობიოლოგ ალფრედ კინზს მიაჩნია, რომ „ორმაგი სტანდარტის" აშკარად უნიერსალური სექსუალური ქცევის საფუძველი წმინდა ბიოლოგიურია. მის მიხედვით, მთელს მსოფლიოში ქალებთან შედარებით მამაკაცებს უფრო მეტად სურთ სექსუალური ურთიერთობების ქონა არა მარტო ერთ, არამედ მრავალ პარტნიორთან, რასაც ის ქალისა და მამაკაცის ორგანიზმების ბიოლოგიური განსხვავების საფუძველზე, კერძოდ სხვადასხვა პროდუქტული სტანდარტების არსებობით, ასაბუთებს. მიუხედავად ამისა, სოციობიოლოგებს მაინც მწირი ფაქტები აქვთ იმის დასადასტურებლად, რომ კულტურის შემოქმედება ბიოლოგიური კანონებითაა განპირობებული. კულტურა სოციალური ფაქტია, რომელიც ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. თუმცა სოციობიოლოგიის დამსახურება ის არის, რომ ის იმ მექანიზმებს აანალიზებს, რომლის მიხედვითაც კულტურის მიღწევათა შეთვისება ხდება. ერთი რამ ცხადია, რომ კულტურა ბუნებისაგან განსხვავებული სინამდვილეა. შეიძლება ითქვას, ბუნების, ბიოლოგიური მოცემულობის ადამიანისა და საზოგადოების იდეების, ღირებულებებისა და ნორმების მიხედვით გაფორმებაა. ყოველი დამიანი და საზოგადოება ამ პროცესში უნიკალური და ორიგინალურია. შესაბამისად, აქედან მომდინარეობენ ქართული, ამერიკული, ფრანგული და ა. შ კულტურები.



ალფრედ ეებერი
(1868-1958)

კულტურას, როგორც სოციალურ რეალობას, ცალკე სოციოლოგიური დისციპლინა შეისწავლის, რომელსაც კულტურის სოციოლოგია ჰქვია (სოციოლოგიის ამ დარგის პრობლემებს სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები უახლოეს ხანებში გაეცნობიან). ტერმინი „კულტურის სოციოლოგია" მაქს ეებერის უმცროსმა ძმამ ალფრედ ეებერმა შემოიტანა.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი იან შჩეპანსკის წიგნიდან „სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები"

კულტურის გაელენა საზოგადოებრიე ცხოერებაზე

„...შეეადაროთ ორი ათი წლის ბიჭი. ერთი მათგანი დაიბადა ლოძში, საფეიქრო მრეწველობის მუშის ოჯახში, მეორე – ესკიმოსების სადგომში ალიასკის ჩრდილო-დასაელეთ სანაპიროზე. პირველმა მათგანმა იცის გამრაელების ტაბულა, იცის, რას ემყარება აეტომობილის მუშაობა, იცის პოლონეთის ბეერი ისტორიული თარიღი, იცნობს ქუჩაში მოძრაობის წესებს, ახსნის მზის ამოსელასა და ჩასელას და ა. შ. ყეელაფერი ეს ალიასკაში მცხოერებ ბიჭს არც გაუგია.



სამაგიეროდ, მან იცის კარაქის კეთება, ქამანდის ხმარება, გზის გაგრება ქარიშხალშიც, პოლარულ ღამეშიც, შეუძლია მარხილში ძაღლების შებმა და ბეერი სხეა რამ, რაზედაც ლოძელ ბიჭს არაფერი გაეგება. მასაც შეუძლია ახსნას მზის ამოსელა და ჩასელა, მაგრამ მისი ახსნა სულ სხვანაირია, ისეე როგორც მისი წარმოდგენების სისტემა ცხოერებაზე, ოჯახზე, რელიგიაზე, სამართალზე და ა. შ. აი აღსრდის შედეგები სხვადასხვა კულტურაში. ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც განსაზღერაეენ მათი სწაელების ბიოლოგიურ საფუძველებს, იდენტურია, მაგრამ სწაელების შედეგები – სრულიად განსხვაებული, ეინაიდან ორიეე მიეკუთენება სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემას, მათი ოჯახები სხვადასხვანაირად მოიპოებენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს, განსხვაებულია ერთობანი, რომლებსაც ისინი მიეკუთენებიან, განსხვაებულია მათი საზოგადოების კულტურა. ამრი-

გად, ორიენ ბიჭის ცოდნა განსხვაებულია, მათ ღირებულებათა სხვადასხვა კრიტერიუმი, სხვადასხვა წეს-ჩვეულება, სხვადასხვა ქცევის პრინციპები და ადამიანების ქცევაზე განსხვაებული რეაგირება აქვთ. ალიასკელმა ბიჭმა იცის, რომ ვინმეს, პატივისცემის ნიშნად, ზურგი უნდა შეაქციოს და ისე დადგეს; ლოპელმა ბიჭმა იცის, რომ ვინმეს ზურგის შექცევა შეურაცხყოფაა; ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება.

ბავშვის პიროვნების ფორმირებისა და ერთობაში ცხოვრებასთან მისი შეგუების ამ პროცესს, რომელსაც საფუძვლად უდევს ბავშვის სწავლება და კულტურასთან ზიარება, რაც მას საშუალებას აძლევს ჩასწვდეს ამ კულტურას და შეგნებულად იმოქმედოს მის ფარგლებში, ჩვენ სოციალიზაციის პროცესს ეუწოდებთ. ამ პროცესის მეშვეობით კულტურა აყალიბებს საზოგადოების ახალ წევრებს, ასწავლის მათ, როგორ მოიქცნენ, რა აკეთონ, რომ დაისახონ მთავარი ცხოვრებისეული მიზნები და მიაღწიონ მათ..."

დაავალება:

– ყურადღებით წაიკითხეთ მოყვანილი ფრაგმენტი და ჯგუფში გააანალიზეთ. შეეცადეთ თქვენც მოიყვანოთ მსგავსი მაგალითები.

– რაში გამოიხატება სოციალიზაციის პროცესის არსი და რა როლს ასრულებს კულტურა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში?

– მოამზადეთ საპრეზენტაციო თემა: კულტურა და ბუნება.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი თამაზ ბუაჩიძის წიგნიდან „ფილოსოფიური ნარკვევები" (ტ. II.)

რა არის კულტურა?

„–ბუნება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთ ნაწილს. მეორე ნაწილის განმსაზღვრელი თვითონ ადამიანია. ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიყვან მარტივ მაგალითს: ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, უნდა გამოიკვებოს, და საგულისხმოა ის, რომ საკვების მოპოვების, დამზადების და მიღების წესს თვითონ ადამიანი ადგენს. ეს მაგალითი გამოდგება კულტურის განსაზღვრებისათვის. ამ ცნებას უფრო ხშირად ფართო აზრით იყენებენ. კულტურა ფართო მნიშვნელობით ყოველივე იმის ერთობლიობაა, რაც ადამიანის, თავისუფალი მოქმედების, შემოქმედების შედეგია. ამ შემთხვევაში „კულტურა" და „ცივილიზაცია", ასევე ფართო გაგებით, ემთხვევა ერთმანეთს. ადამიანი იწყება მხოლოდ იქ, სადაც იწყება ასე გაგებული კულტურა ან ასე გაგებული ცივილიზაცია: ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისგან, რომ ცხოველი ცხოვრობს მხოლოდ ბუნების სფეროში, ადამიანი კი ცხოვრობს ორ სფეროში – ბუნებისა და კულტურის სფეროში. ადამიანი ვერ იარსებებს, თუ არ შექმნა ხელოვნური იარაღები, ხელოვნური საგნები, თუ არ დაუმატა ისინი ბუნებრივ საგნებს. ხშირად ისმის კითხვა: ნუთუ ადამიანში ყველაფერი ცვალებადია, ნუთუ ადამიანში არ შეიძლება რაღაც უცვლელის პოვნა? ადამიანი ხომ სწორედ ადამიანია და არა ნიანგი ან ვირთხა? რა არის მისი ეს უცვლელი არსება? ჩვეულებრივი პასუხი ასეთი იქნება: ადამიანის უცვლელი არსება სწორედ შემოქმედებაა, ე. ი. ცვალებადი საგნების, ახლის შექმნის უნარია. ადამიანი ქმნის ისეთ ფენომენებს, რომლებსაც ბუნებაში ვერ იპოვით – მაგალითად, ტანსაცმელს, სახლს, ტაძარს, მეცნიერებას, მწერლობას, სინდისის წესებს, რელიგიას, სახელმწიფო წყობას. ადამიანის არსება სწორედ შემოქმედებაა, რომლის ნაყოფი ტრადიციად იქცევა და თაობათაშორისობით თაობიდან თაობას გადეცემა. ასე იქმნება ადამიანთა ისტორია. მე აღვნიშნავდი კიდევ ერთ გარემოებას: ადამიანი ქმნის კულტურას, მაგრამ ამავე დროს კულტურა ქმნის ადამიანს – როგორიცაა კულტურა, ისეთია ადამიანი, არც ერთ პიროვნებას არ ძალუძს გადააბიჯოს თავის კულტურას. ყოველი ბავშვი ეზიარება თავისი ერის ენას, ტრადიციებს, სინდისის წესებს: ენა ადამიანის შექმნილია, მაგრამ ბავშვის წინაშე „ძევს", როგორც ასათვისებელი ობიექტური საგანი. ასევეა კულტურის სხვა ფენომენებიც.

რაღგანაც კულტურა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების რაობას, საკვირველია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ვთქვათ, I საუკუნის ადამიანი თანამედროვე ადამიანისაგან, მაშინ როდესაც I საუკუნის მგელი ან ვირთხა თანამედროვე მგლის ან ვირთხის იგივეობრივია. რაც შეეხება „კულტურისა" და „ცივილიზაციის" ცნებათა სხვაგვარ გამოყენებას, უნდა ითქვას შემდეგი: შპენგლერმა ამ ორი მდგომარეობის განსასხვავებლად დროის ცნება შემოიტანა: ყოველ კულტურას, ე. ი. შემოქმედებას, გარკვეული დროის შემდეგ მოსდევს ცივილიზაცია – შემოქმედების კვდომის, გახევების პერიოდი. ამ კულტურისა და ცივილიზაციის წყვალგამყოფი დროა.

თანამედროვე კულტურის ძირითადი ტენდენციები

ახლა სხვა დროა. დღეს ტექნიკის არნახული განვითარების ეპოქაა. დღეს ადამიანს ემსახურება უამრავი რამ – ჩქარი მატარებელი, ფეშენებელური გემი, უსწრაფესი თვითმფრინავი, სხვადასხვა ტიპის აეტომანქანა. ტექნიკის განვითარებას არ შეიძლებოდა გაელენა არ მოეხდინა ადამიანზე. ძალიან ხშირად ფიქრის, ჭერეტის „ლირიკის," „რომანტიკის" ადგილს იკავებს შიშველი საქმე, „ფიზიკა." ჰომეროსის, შექსპირის, რუსთაველის სამყარო შეცვალა გართობამ – შემთხვევითი როდია, რომ ადამიანთა უმრავლესობა ასეა გატაცებული სერიალების ცქერით. თანამედროვე ადამიანი უფრო „Homo faber"-ია – მწარმოებელი, ვიდრე „Homo creator"-ი – შემოქმედი. ის მიწიერი, ყოველდღიური ინტერესების მონაა, აქედანაა ძალადობისა და სექსის კულტი.

ამგვარი, მე ვიტყოდი, ანტიჰუმანური გატაცებების დაძლევა შესაძლებელია არა რაღაც „კოლექტიური" ღონისძიებების მეშვეობით, არამედ თავისუფალი საზოგადოების შექმნით. დაე, ყოველმა ადამიანმა თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი: ძალით ვერც ერთ ადამიანს ვერ წაართმევ „Homo faber"-ობას.

დავალება:

– წაიკითხეთ მაქს ფრიშის მოთხრობა „Homo faber"-ი და დაახასიათეთ მისი მთავარი გმირის ვალტერ ფაბერის პიროვნება. მოძებნეთ ანალოგიური გმირები საზღვარგარეთულ და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და ჯგუფში იმსჯელეთ მათ შესახებ.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი აკაკი ყულიჯანიშვილის წიგნიდან „კულტურის თეორია"

კულტურის თამაშებრივი თეორია



იოჰან ჰაიზინგა
(1872-1945)

„... ჰოლანდიელმა კულტუროლოგმა იოჰან ჰაიზინგამ თამაში დააკავშირა არა მხოლოდ ხელოვნებასთან, არამედ კულტურასთანაც...

იგი ამტკიცებს, რომ კულტურაში მონაწილეობს და არსებით როლს ასრულებს თამაშის ელემენტი, მეტიც, თამაშის ეს ელემენტია კულტურის მაცოცხლებელი სული, მის გარეშე კულტურა ვერ იარსებებს, ხოლო თამაშის სულის დაკნინება კულტურის დაკნინებასაც ნიშნავს. ჰაიზინგასთვის თამაში არის თავისუფლების განხორციელება, რომელიც ქმნის კულტურას, რაც უფრო მეტია, ვიდრე თვითშენახვა და გადარჩენისათვის ბრძოლა. ჰაიზინგას აზრით, თამაში უფრო მეტია, ვიდრე წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენა ანდა ფიზიოლოგიურად განსაზღვრული ფსიქიკური რეაქცია. თამაში, როგორც ასეთი, სცილდება წმინდა ბიოლოგიური თუ წმინდა ფსიქიკური მოღვაწეობის ფარგლებს, იგი საზრისის მქონე ფუნქციაა. ჰაიზინგა თვლის, რომ რადგანაც თამაში საზრისის მქონეა, მასში არამატერიალური ელემენტიც მონაწილეობს, რასაც გონს, „სულს" უწოდებს. თამაში კულტურაში გვხვდება, როგორც მოცემული სიდიდე, რომელიც წინ უსწრებს კულტურას და შემდგომ თან სდევს მას დასაბამიდან აწმყომდე. თამაში ყველგან წარმოგვიდგება, როგორც ქცევის ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განსხვავებული რაგვარობა. ჰაიზინგას აზრით, თამაში სახეებით მანიპულირებას ეფუძნება, რომ ის სინამდვილეს სიცოცხლის მოძრავ ფორმებს უნაცვლებს და ამით მის გარდასახვას ახდენს. ჰაიზინგა ცდილობს თამაშის პროცესშივე დაკვირვებით ჩასწვდეს თამაშს, როგორც კულტურული ცხოვრების ფაქტორს.

ჰაიზინგას აზრით, ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოღვაწეობის ყველა სახე იმთავითვე გამსჭვალულია თამაშით. თამაში თავისთავად არის კულტურის ერთ-ერთი საფუძველი და მისი მონაწილე. თუკი კულტურაში დაკნინდება თამაშის როლი და მნიშვნელობა, ეს მაუწყებელი იქნება კულტურის კრიზისისა. ჰაიზინგა XX საუკუნის კულტურის კრიზისის ფესვებს სერიოზულობით აღსავსე XIX საუკუნეში ხედავს, რომელსაც დიდი ადგილი არ დაუთმეებია თამაშის ფუნქციისათვის კულტურულ პროცესში. ტენდენციებმა, რომელიც ამ ფუნქციას გამორიცხავს, თანდათან გაბატონებული ადგილი დაიკავა. ჰაიზინგა აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის საზოგადოების სუ-

ლისკეეთებაში შემოიჭრა სასარგებლოს, ფხიზლის, პროზაულის, კეთილდღეობის ბურჟუაზიული იდეალი. საზოგადოებრივი თვითშემეცნება, განათლებისაკენ სწრაფვა, მეცნიერული განსჯა კულტურული პროცესის დომინანტებად იქცა.

კულტურის საზოგადო გასერიოზულიება XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი მოელენაა. ეს კულტურა წინამორბედ ეპოქაზე გაცილებით ნაკლები ზომით თამაშდებოდა. ჰაიზინგას აზრით, XIX საუკუნის კულტურის თითქმის ყველა გამოელინებაში თამაშის ფაქტორი მკვეთრად ინაცვლებს უკანა პლანზე, საზოგადოების როგორც გონითი, ისე მატერიალური კულტურა მკვეთრად აფერხებს ამ ფაქტორს. საზოგადოებამ ნათლად გააცნობიერა თავისი ინტერესები, მეცნიერული გეგმით შეიარაღდა და საკუთარი მიწიერი კეთილდღეობის მოსაპოვებლად შრომას შეუდგა. განათლებისა და დემოკრატიის იდეალებმა აღარ დაუტოვეს ადგილი თამაშის მარადიულ პრინციპს.

ჰაიზინგა გამოწვლილვით აანალიზებს XX საუკუნის კულტურის კონკრეტულ ფორმებთან – მეცნიერებასთან, სპორტთან, ხელოვნებასთან, პოლიტიკასთან და სხვა, – თამაშის კავშირს და ასკვნის, რომ XX საუკუნის კულტურა კიდევ უფრო დაცლილია თამაშის სულისგან. ჰაიზინგას აზრით, თანამედროვე საზოგადოებრივი თამაშებრივი შინაარსის გასაგებად ჯერ კარგად უნდა გავაცნობიეროთ ორგვარი მცდარი მიდგომის შესაძლებლობა. ერთი მხრივ, შეიძლება წავაწყდეთ თამაშებრივი ფორმების მეტ-ნაკლებად შეგნებულ გამოყენებას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩანაფიქრის დასაფარად. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არ კულტურის მარადიულ თამაშებრივ ელემენტთან, არამედ ცრუ თამაშთან.

თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს თვისება, რაღაცით თამაშს რომ წააგავს და თანამედროვე კულტურაში თამაშის ელემენტის დაწინაურების ილუზიას ქმნის. ასეთ მდგომარეობას ჰაიზინგა უწოდებს პუერელიზმს, რომლითაც ჩვეულებრივ აღინიშნება ჰუბერტიტის პერიოდისათვის ნიშნეული სულის მდგომარეობა, რაღაც საშუალო ბავშვურობასა და ჭაბუკურ გაუწონასწორებლობას შორის. ჰაიზინგას აზრით, თანამედროვე ადამიანი, როგორც წესი, ამა თუ იმ ორგანიზებულად მოქმედი კოლექტიეის შემადგენლობაში თითქოს ჰუბერტიტის ანუ სიყრმის ხანის მასშტაბებით იქცევა. ეს ის ჩვეულებებია, რასაც სულიერი ურთიერთობების დღევანდელი ტექნიკა აპირობებს. პუერელიზმს მიეკუთვნება, მაგალითად, ბანალური გართობა, უხეში სენსაციის სურვილი, მასობრივი სანახაობისადმი ლტოლვა, იუმორის გრძნობის ნაკლებობა, შეუწყნარებლობა, გამძაფრებული რეაქცია როგორც ანტიპათიის, ისე სიყვარულის გამომხატველ სიტყვებზე".

დავალება:

– თქვენი აზრით, რა კავშირი აქვს კულტურას თამაშთან?

– ეთანხმებით თუ არა ჰაიზინგას თეორიას? პასუხი დაასაბუთეთ.

დავალება:

– თქვენი შეხედულებისამებრ გამოყავით კლასიკური და თანამედროვე ქართული კულტურის ძირითადი ღირებულებები და შესაბამისი მასალა ცხრილების სახით წარმოადგინეთ.

– თქვენი აზრით, შეინიშნება თუ არა თანამედროვე ქართულ კულტურაში მარგინალობის ელემენტები (დადებითი პასუხის შემთხვევაში კონკრეტული მაგალითები მოიყვანეთ)?

– აღწერეთ, თუ რა გავლენას ახდენს მედია და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები კულტურაზე.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 157-196.
2. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 32-41.
3. ა. ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია, თბ., 2009. გვ. 32-75; 122-197; 244-254.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. ფერეოლი, სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი. (რუს. ნაწ). სანკტ-პეტერბურგი. 2003. გვ. 50-54.
2. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაწ). გვ. 100-138.
3. ე. კოდუა, კულტურის სოციოლოგია, თბ., 2001. გვ. 113-185 ; 286-292.

<table>
<tr><td colspan="4">პრაქტიკუმი კულტურის სოციოლოგიაში</td></tr>
<tr><td>თემა:</td><td colspan="3">კულტურის საბჭოური და პოსტსაბჭოური მოდელები</td></tr>
<tr><td>მიზანი:</td><td colspan="3">საბჭოური და თანამედროვე სიმბოლიკისადმი საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულების გამოვლენა</td></tr>
<tr><td>საეარაუდო ობიექტები:</td><td>სხვადასხვა თაობის საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფები</td><td colspan="2">1) 30 წლამდე,
2) 30-დან 50 წლამდე,
3) 50 წელს ზემოთ.</td></tr>
<tr><td>კვლევის მეთოდი:</td><td colspan="3">ქუჩაში გამოკითხვა</td></tr>
<tr><td>გამოკვლევის ჩატარების ადგილი:</td><td colspan="3">თავისუფლების მოედანი, მეტრო „რუსთაველის“ ამოსასვლელი, მეტრო „დელისის“ ამოსასვლელი, ვაგზლის მოედანი.</td></tr>
<tr><td>ანკეტური შეკითხვები:</td><td>1) რას ფიქრობთ გმირთა მოედანზე მდგარი არქიტექტურული ძეგლის შესახებ?

იგივეს ეკითხებით რომელიმე საბჭოური არქიტექტურული ძეგლის შესახებ</td><td colspan="2">პასუხის ვარიანტები:
1) მომწონს,
2) არ მომწონს,
3) არ ვიცი, რა ვთქვა.</td></tr>
<tr><td></td><td>2) თქვენი აზრით, რას აღნიშნავს მოცემული არქიტექტურული ძეგლი?

იგივეს ეკითხებით რომელიმე საბჭოური არქიტექტურული ძეგლის შესახებ</td><td colspan="2">ღია კითხვაა და სტუდენტებმა პასუხის ვარიანტები უნდა ჩაიწერონ</td></tr>
<tr><td></td><td>3) როგორ ფიქრობთ, რამდენად უხდება თანამედროვე თბილისს ეს არქიტექტურული ნამუშევარი?

იგივეს ეკითხებით რომელიმე საბჭოური არქიტექტურული ძეგლის შესახებ</td><td colspan="2">პასუხის ვარიანტები:
1) უხდება და უნდა იყოს,
2) არ უხდება და არ უნდა იყოს,
3) არ ვიცი, რა ვთქვა.</td></tr>
<tr><td>ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც გამოკვლევას ჩაატარებს</td><td colspan="3">სოციოლოგიის მიმართულების I კურსის სტუდენტები</td></tr>
</table>

გამოკვლევის ჩატარების ეადები	სასწავლო კურსის II სემესტრის დასაწყისი
მონაცემთა ანალიზის ეადები	სასწალო კურსის II სემესტრის დასაწყისი
გამოკვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმა	ჯგუფში პრეზენტაცია და სოციალური დებატები საკვლევ თემაზე

მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

სასურველია, თუკი გამოკვლევის ჩატარებამდე გაეცნობით ბ. გროისის წიგნს „უტოპია და გაცვლა", რაც დაგეხმარებათ უკეთესად გაიგოთ, თუ რა ადგილი უჭირავს თანამედროვე სიმბოლურ სივრცეში კულტურის პოსტსაბჭოთა და თანამედროვე მოდელებს.

ღია შეკითხვაზე პასუხის მიღებისას შეეცადეთ, რომ რესპონდენტთან ხანგრძლივ დისკუსიაში არ შეხვიდეთ, მაგრამ არც ისე მოიქცეთ, რომ მას საუბარი შეაწყვეტინოთ.

იმედია, პრაქტიკუმის შესრულება მცირე პროფესიულ სიამოვნებას მაინც მოგანიჭებთ.

მომავალ შეხვედრამდე აუდიტორიაში.

- შენიშვნა:

თანამედროვე და საბჭოური კულტურის ძეგლები შეგიძლიათ თქვენ თვითონ შეარჩიოთ. აქ მოყვანილი ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ მაგალითის როლს ასრულებს.

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები




რაიმონ არონი (1905-1983)

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი და ლიბერალი; ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი თეორეტიკოსი.

ეს საინტერესოა

„არ შეიძლება რაიმეს სიმართლეში დარწმუნდე, თუ ის ფოტოზე არაა აღბეჭდილი"
ემილ ზოლა



„თუკი გამონათქვამს „შეჩერდი წამო – რა მშვენიერი ხარ" კინემატოგრაფიასთან მიმართებაში გამოვიყენებთ, მაშინ ფოტოგრაფიას მივიღებთ ..."

ფოტოსოციოლოგია

მელანქოლიური ფოტოგრაფი – რეჟისორ მარკ რომანეკის (აშშ, 2002 წ.) ფილმიდან „ფოტო ერთ საათში" – საყოფაცხოვრებო ფოტოსურათების სიუხვეში ჩვენი ცხოვრების არაფოკუსირებული დეტალების დანახვას ცდილობს. „ბევრი არ იღებს ისეთ წერილმანებს, როგორიცაა მიტოვებული სახლი, ჭყლეტა ბენზინგასამართ სადგურზე, გადაგდებული სათამაშო, მაგრამ სწორედ მსგავსი წერილმანები ქმნიან მთლიან სურათს, რის ფოტოგრაფირებასაც ადამიანები არ ახდენენ," – გაკეირვებულია იგი.



ფოტოსურათის, როგორც არტეფაქტის (ლათინურად **artefactum** ხელოვნურად შექმნილს ნიშნავს; ზოგადად მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშებს კულტუროლოგიასა და სოციოლოგიაში არტეფაქტებს მიაკუთვნებენ) არსი, მისი პოლისემიურობა (ასევე პლაკატის, ფილმის ან ღია ბარათის) ისეთი კონტექსტებითაა განპირობებული, როგორებიცაა: სოციალური მოცემულობა, რეალობა და რეჟისურა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ფოტოგრაფია ალმოჩენაა სოციოლოგიაში. „ფოტოგრაფია და სოციოლოგია თითქმის ერთდროულად მოევლინენ ქვეყანას". თავდაპირველად ფოტოგრაფიის, როგორც სოციალური ინფორმაციის წყაროს, მიმართ დიდ ინტერესს მაინცდამაინც არ იჩენდნენ სოციოლოგები, თუმცა დღეს ეს ვითარება გამოსწორებულია და ვიზუალური სოციოლოგია ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოპულარული მიმართულებაა თანამედროვე სოციოლოგიაში. დღეს ფოტოსურათზე აღბეჭდილი ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის სახე და მოქმედების ადგილი სოციოლოგიური კვლევის მიმზიდველი სფეროა. ყოველდღიურობის სოციალური კონსტრუქციონიზმი და საჯაროობა არის ის, რასაც სოციოლოგი ფოტოსურათებში, განსაკუთრებით საოჯახო ალბომებში ეძებს.

სოციოლოგიური თვალსაზრისით, ფოტოგრაფიას ძალზე დიდი ევრისტიკული პოტენციალი აქვს. სოციოლოგისათვის ფოტოგრაფია სულ მცირე სამი ასპექტით მაინც არის საინტერესო:

- როგორც კვლევის ობიექტი;
- როგორც მასალა სოციოკულტურული ანალიზისათვის;
- როგორც სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი საშუალება.

ფოტოტექსტის წაკითხვა

სოციოკულტურული თვალსაზრისით, ფოტოსურათი ძალზე საინტერესო ტექსტია. ყოველი ფოტო ამა თუ იმ სოციოკულტურული რეალობის შესახებ გვესაუბრება. მასთან საუბრო ენა ყველაზე უკეთ სოციოლოგმა იცის, რაც ფოტოტექსტის ორმაგ წაკითხვას გულისხმობს: პირველია ტექსტის წარმომქმნელ სისტემათა მნიშვნელობის (სიმბოლოებისა და ნიშნების) წვდომა, მეორე კი – ფოტოსურათზე აღბეჭდილი სიტუაციის მნიშვნელობის გაგება. ტექსტის წარმომქმნელი მოელენის სუბიექტი ის კულტურული რეალობაა, რომელიც ფოტოზეა გამოსახული. მოქმედების ადგილის მნიშვნელობა ფოტოგრაფისა და ფოტოგრაფირების პროცესის სოციალური ურთიერთზემოქმედების შედეგია. ფოტოგრაფიაში „პროკრუსტეს სარეცელს" ქმნის არა კადრის საზღვრები, არამედ ფოტოგრაფირების პროცესი. ამის შეგრძნება ყველას შეუძლია, ვისაც „არაკლასიკური" ობიექტები ერთხელ მაინც გადაუღია. ცნობილი ფაქტია, თუ როგორი შიში ჰქონდათ ფოტოგრაფირების მიმართ აბორიგენებს, როდესაც ფოტოაპარატის საშუალებით მათ გამოსახულებებს ანთროპოლოგები აფიქსირებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ფოტოსურათი სულის გარკვეულ ნაწილს ართმევდა. შემგომში აღმოჩნდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არანაკლებ გაუძნელდა სოციოლოგს ფოტოაპარატით, ვიდრე ანთროპოლოგს აბორიგენთა შორის. იგულისხმება ის ფაქტი, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მრავალად არიან ისეთი სოციალური ჯგუფები, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში ფოტოგრაფირებას არ გულისხმობენ, თუმცა მოდერნის კულტურა ასე თუ ისე მთლიანობაში მაინც ფოტოგრაფირების რეგლამენტაციას ახდენს. ამასთან, როგორც სხვა სახის სოციოლოგიურ გამოკვლევებში, ეთიკური საკითხები აქაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ზოგადად, ფოტოსოციოლოგია ვიზუალური სოციოლოგიის შემადგენელი ნაწილია.

ფოტოსოციოლოგიის ყველაზე მეტად ცნობილი ერთ-ერთი თანამედროვე წარმომადგენელია პოსტმოდერნისტი ჟან ბოდრიარი, რომელიც ფოტოგრაფიით იყო გატაცებული.

ფოტოსოციოლოგიაში და, ზოგადად, ვიზუალურ სოციოლოგიაში საინტერესო წიგნის ავტორია თანამედროვე პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა. მისი წიგნი „ვიზუალური სოციოლოგია" სოციოლოგიის ამ მიმართულების კლასიკურ ნაშრომად არის მიჩნეული.

თანამედროვე სოციოლოგიიდან
ვიზუალური სოციოლოგია
(მცირე ამონარიდები)

„ჩვენი ცხოვრების დიდ ნაწილს ფოტოსურათები წარმართავენ. ინფორმაციული წარწერები იკონოგრამებმა (ინფორმაციის მატარებელმა გამოსახულებებმა) შეცვალა, რომლებიც მთელ რიგ აკრძალვებს გამოხატავენ. ამგვარად გარესამყაროს აღქმა ფოტოების საშუალებით ხდება. „ვიზუალური წარმოსახვა" – ვიზუალური სამყაროსა და მასში ჩვენი ადგილის კრიტიკული გააზრებაა.



პიოტრ შტომპკა

სოციოლოგია და ფოტოგრაფია დაახლოებით ერთდროულად გაჩნდნენ. 1839 წელს კონტი წერს „პოზიტიური ფილოსოფიის კურსის" ბოლო ფრაგმენტებს, რომელშიც ახალი მეცნიერული დარგის აღსანიშნავად პირველადაა შეტანილი სიტყვა „სოციოლოგია." თითქმის იმავე წელს აღმოჩენილ იქნა ფოტოგრაფია – საფრანგეთში ლუი დაგერისა და ნისეფორ ნიეპსისა და ინგლისში უილიამ ტალბოტის მიერ.

ფოტოები ორი უმთავრესი მიზნის რეალიზებაში გვეხმარება:

1) ფოტოებზე გამოსახული დეტალების დაწვრილებითი შესწავლა საზოგადოების თავისებურებათა ახსნაში გვიწყობს ხელს, რაც ფოტოს უბრალოდ აღწერა არ არის. როგორც ტიმოთი კარი წერს: „ვიზუალური სოციოლოგიის სპეციალისტი ობიექტების გარეგნულ მხარეზე დაკვირვებით შინაგანის დამოკიდებულებას ცდილობს". რაც ეხმიანება სოციოლოგიაში გაჟრცელებულ გამოთქმას: „როცა რაიმეს გარეგნული მხარე სოციოლოგიურ ახსნა-განმარტებასთანაა დაკავშირებული, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ვიზუალური სოციოლოგიის სპეციალისტის დავალება შესრულებულია."

2) მეორე მიზანი, ცოტა არ იყოს, უფრო ამბიციური და ძნელია: ფოტოგამოსახულების მეშვეობით გამოვიკვლიოთ საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების, კულტურის ან საზოგადოებრივი სტრუქტურის არსებული კანონზომიერებანი. ამ შემთხვევაში საუბარი საზოგადოებრივ მოვლენებს შორის რეგულირებადი, განმეორებადი დამოკიდებულებების გამოვლენას შეეხება.

ვიზუალურ მონაცემებს მიეკუთვნება ნებისმიერი საგანი, ადგილი, შეტყობინება ან სიტუაცია, რაც კი შესაძლებელია თვალხილულმა ადამიანმა აღიქვას. ვიზუალური სოციოლოგიისათვის მხოლოდ ვიზუალური მონაცემები არსებობს, რომლებიც ადამიანის მოქმედებებს უკავშირდება, უფრო ზუსტად, ის მონაცემები, რომლებზეც ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ზემოქმედების ნაკვალევია აღბეჭდილი, რაც ვიზუალური სოციოლოგიის ინტერესების სფეროდან ბუნების არაჩვეულებრივ პანორამებს გამორიცხავს. მთაგორიანი პეიზაჟის ულამაზესი ხედები, ოკეანის ჰორიზონტზე მზის ჩასვლა, ტროპიკული მხეცები და სხვა საზოგადოების შესახებ არაფერს გვეუბნებიან (მსგავსი ფოტოები ვიზუალური სოციოლოგიის შესწავლის საგანი მაშინათვე გახდება, როგორც კი მათზე ადამიანის ზემოქმედების კვალი იქნება აღმოჩენილი). როდესაც ფოტოზე თხილამურებით მოსრიალეთა დაშვება იქნება გამოსახული, ანდა თუკი ოკეანეზე გემს შეენიშნაეთ, ცხოველები კი სახლთან ახლოს გალიაში აღმოჩნდებიან, მაშინ გახდება ის სოციოლოგიური კვლევის საგანი. ამ შემთხვევაში ფოტო შეგვიძლია მაშინაც კი შევისწავლოთ, თუკი მასზე ადამიანი არაა გამოსახული.

თუ ფოტოაპარატი ადამიანის თვალის თავისებური გაგრძელებაა, მაშინ მის მიერ შესრულებულ ოპერაციებს ჩვეულებრივ ენაზე შეიძლება „ხედვა“ და „ყურება“ ვუწოდოთ. „ხედვა“ რაღაცის გარედან დანახვა, პასიური დაკვირვებაა; „ყურება“ რაღაცაზე აქტიური კონცენტრირებაა, რომელიც სუბიექტური ან კულტურული თვალსაზრისით ღირებულია.

ფოტოზე დაკვირვებისას აუცილებელი ყურადღება მივაქციოთ:

- იმას, რაც მასზეა გამოსახული – სიტუაცია ან საგანი;
- ფოტოზე გამოსახულის კულტურულ ორიენტაციას;
- ფოტოზე გამოსახულის სუბიექტურ ან კულტურულ რეაქციებს, რაც იმაში გამოხატება, თუ როგორები ჩანან ისინი ფოტოზე.

ფოტოგრაფი-სოციოლოგი საზოგადოების იმ წევრებს შორის, რომელთა გამოკვლევაც მიზნად აქვს დასახული, გარკვეული დროის გატარების შემდეგ სწავლობს, თუ რისი გადაღებაა უმჯობესი, სად ხდება უფრო სიღრმისეული და არა ზედაპირული სოციალური დრამა და როგორაა შესაძლებელი მისი სამზეოზე გამოტანა.

ამიტომაც აუცილებელია:

- გამოსაკვლევი ამოცანის ნათლად ჩამოყალიბება;
- განსაზღვრული ანალიზისათვის ფოტომასალის ამორჩევა;
- ფოტოების კოდირების ოქმის შედგენა: ფოტოზე გამოსახულის სქესი, ასაკი, კანის ფერი, რაცმა-დახურვის მანერები (დასავლური თუ ეგზოტიკური), გარემოცვა (ქალაქელები თუ სოფლელები), ტექნოლოგია (შრომის საგნები და ინსტრუმენტები) და რიტუალები (რელიგიური ქმედებები);
- სუბიექტურობისაგან თავდასაღწევად სურათების კოდირება;
- ფოტოების რაოდენობრივი ანალიზი – მათზე აღბეჭდილი ყოველი კატეგორიის სიხშირის განსაზღვრა;
- დასკვნების ჩამოყალიბება.

***

„ჩვეულებრივ, ფოტოგრაფია რეალობის შეცნობის საშუალებად მიიჩნევა. ის მტკიცებულებაა. ფოტოს ნახვისას ჩვენ ყოველგვარი ეჭვი გვეფანტება და ვწყვეტთ ყოყმანს. ფოტო მომხდარი ფაქტის უტყუარი მტკიცებულებაა.“

სუზენ ზონტაგი

***

ბოდრიარის მიხედვით, ფოტოგრაფია მიანიშნებს იმაზე, თუ როგორი ილუზორული, მოჩვენებითი და ვირტუალური შეიძლება იყოს რეალობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ფოტო რეალობის სიმულაციის კარგი ნიმუშია, – ასე ფიქრობს ბოდრიარი.

პრაქტიკუმი ეიზუალურ სოციოლოგიაში	
თემა:	წარმატებული ადამიანის იმიჯი XX-XXI საუკუნის ქართულ ეიზუალურ კულტურაში
მიზანი:	ადამიანის იდეალური ტიპის კონსტრუირების ტექნიკის კვლევა სხვადასხვა ეპოქის კულტურული სახეებისა და ნიმუშების მიხედვით
ამოცანები:	1. პიროვნების რეპრეზენტაციისა და თვითპრეზენტაციის ცვლილებათა ანალიზი; 2. სოციალური „წარმატების“ გენდერული (ქალი და მამაკაცი) სტერეოტიპების შედარება;
საეარაუდო ობიექტები (კვლევის ინდიკატორები)	• პოზა და სახის გამომეტყველება, მზერის მიმართულება; • პორიზონტთან მიმართებაში ფიგურის მდგომარეობა; • მიმიკა და ჟესტები; • ტანსაცმლის, ინტერიერის ან ლანდშაფტის დეტალები, რომლის ფონზე „პერსონაჟებია“ გამოსახული; • სხვა ადმიანებთან დამოკიდებულება; • „წარმატების ატრიბუტები“ – სიმბოლოები და ნიშნები, რომლებიც სოციალურ განსხვავებას ნიღბავენ; • გამოსახულების კომპოზიციური თავისებურებები – ცალკეული ფრაგმენტების „მონტაჟის“ ტექნიკა; • ტექსტები „კადრებზე“ ან მინაწერები გამოსახულებებზე და ა. შ.;
წყაროები:	• სხვადასხვა სახის ფოტოდოკუმენტები; • ძველი გაზეთები და ჟურნალები; • მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის კინოფილმებიც; • საოჯახო ფოტოალბომები; • სხვადასხვა სახის მინაწერები საოჯახო და სხვა სახის ფოტომასალებზე და სხვ.
ინდივიდუალური დავალება:	შეკაგროეოთ ეიზუალური მასალა: 3 გამოსახულება (2 მამაკაცის და 1 ქალის) 1960-1970-იან წლების დროინდელი; 1990-2000 წლების დროინდელი და 2000-2011 წლების დროინდელი. ყოველ ტრიადაში 1 გამოსახულება აუცილებლად ხელმძღვანელი მუშაკის ან პოლიტიკური ლიდერის უნდა იყოს; 1 – მასობრივად გავრცელებული პროფესიის ტიპური წარმომადგენლის; 1 – ხელოვნების და კულტურის წამომადგენლის. ამგვარად, სულ 9 გამოსახულება იქნება საჭირო მოსამზადებელი სლაიდ-შოუსათვის.
მეთოდები:	ეიზუალური ანალიზი და დაკვირვება
ჩატარების ვადები:	სასწავლო კურსის ბოლოს
კვლევის შედეგების წარმოდგენის ფორმა:	ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია – სლაიდ-შოუ

ყოველი სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის ნამუშევარი
შემდეგი პარამეტრების მიხედვით შეფასდება:

- კონცეპტუალობა, შესასრულებელი პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა;
- შესაბამისი თეორიული მასალისა და ლიტერატურის ცოდნა.
- ემპირიული მონაცემების ხარისხი და ანალიზის სისწორე.
- ლოგიკურობა და არგუმენტაცია.
- დამოუკიდებელი ხედვა და დასკვნები.
- გადმოცემის სტილი და ტექნოლოგიების ცოდნა.

მეთოდური რეკომენდაციები

ადამიანის პაბიტუსი, სახის გამომეტყველებისა და სხეულებრივი კონსტრუქციის ჩათვლითაც კი, სოციალური და პროფესიული კუთვნილების ნიშნები, ტანსაცმელი და მოდა, ინდივიდუალური განსხვავებები და ა. შ. – ეს ყველაფერი სოციოლოგიური კვლევის ამოუწურავი ინტერესის საგანია. ადამიანის გარეგნული სახე, მისი იმიჯი შესაძლებელია კულტუროლოგიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა სახის კვლევის საგანი იყოს, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია განვიხილოთ ის კულტურული ნიშნები და სიმბოლოები, რომელთა დახმარებითაც იქმნება (კონსტრუირდება) წარმატებული ადამიანის „სოციალური პორტრეტი," ანუ ადამიანისა, რომელმაც საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა.

ყოველ ეპოქაში „სხეულებრიობის" განსაკუთრებული ტექნიკა არსებობდა, რომელიც გამოჩენილ, წარმატებულ ადამიანებს შესაფერის, კომფორტულ გარეგნულ იერს უქმნის. ადრე ამისათვის დღევანდელ იმიჯმეიკერებზე არანაკლებ პროფესიონალურად ზრუნავდნენ მკერაები, ფოტოგრაფები, მხატვრები, მოდელიორები და სხვა მსგავსი სპეციალობის ადამიანები. საკითხის ღრმად შესწავლისას ირკვევა, რომ წარმატებული ადამიანების მიერ სხვების წინაშე საკუთარი თავის წარდგენაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი ამბავი არ არის (თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში ამ საკითხის თეორეტიკოსი ირვინგ ჰოფმანია). ის, როგორც რეჟისორი, ისე ითვალისწინებს „სადამდგმელო ეფექტებს." ამ შემთხვევაში პუბლიკის მოლოდინებს ეწირება საკუთარი სულიერ-გონითი სამყარო და პირადი სურვილები; თუმცა პიროვნების სოციალური რეპრეზენტაციის საშუალებები სხვადასხვანაირია, ამიტომ ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ ის გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, რომლებიც სხვადასხვა დროში სხვადასხვანაირია, ამისათვის კი ვიზუალური სოციოლოგიის მეთოდს გამოვიყენებთ.

მოკლე პასუხი კითხვაზე – „რა არის ვიზუალური სოციოლოგიის მეთოდი?" – დაახლოებით ასეთი შეიძლება იყოს: ეს არის გამოსახულების გაშიფვრის საშუალება, რომლითაც დაკვირვების მონაცემებს ვერბალური ანალიტიკური სახე ეძლევა, რაც ემპირიული მონაცემების ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო საშუალებაა.

ვიზუალური სოციოლოგიის მეთოდი პირველად ინგლისელმა და ამერიკელმა ანთროპოლოგებმა გამოიყენეს „პრიმიტიული კულტურების" შესასწავლად (შესაბამისი ფოტოები და ფილმები); დღეს ვიზუალური ანთროპოლოგია ერთ-ერთი მოდური სპეციალობაა დასავლეთში. კვლევის ეს მეთოდი გამორჩეულია იმით, რომ:

- კვლევის საგნად აღებულია არა სხვა ხალხების, არამედ საკუთარი კულტურა;
- ემპირიული მასალის სახით გამოიყენება მთელი რიგი „ვიზუალური ტექსტები";
- კვლევის პროცესში აქცენტი კეთდება არა ცალკეული არტეფაქტების შესწავლაზე, არამედ სიმბოლური და სოციალური სტრუქტურების ურთიერთმიმართებაზე (სტატუსი, ნორმები და სხვ.);

ვიზუალური ანალიზის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით სასურველია გაეცნოთ პ. შტომპკას, პ. ბურდიეს, რ. ბარტის, უ. ეკოს და ჟ. ბოდრიარის ნაშრომებს, რაც გარკვეულწილად გამოკვლევის თეორიული ბაზის შექმნასა და დამოუკიდებელი ხედვის ჩამოყალიბებაში გამოგადგებათ. კვლევის დასრულებისთანავე თქვენ

მოგიწევთ საკუთარი ტექსტის შექმნა. ნუ იფიქრებთ იმაზე, სწორია თუ არა ის, რაც დაწერეთ. საკუთარი მოსაზრებები ჩამოაყალიბეთ რისკიანად და თავისუფლად. ამასთანავე თქვენ მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაო უნდა იყოს თანამიმდევრული, ლოგიკური და სოციოლოგიური და ლიტერატურული გაგებით დასრულებული. ეს პრაქტიკული დაცალება თქვენგან საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს; ემპირიული ეიზუალური მასალა თეორიული ცოდნით დატვირთეთ და საბოლოო ჯამში სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ნიმუში – „ნაჯერი აღწერა" გამოგიცათ (ტერმინი კლიფორდ გირცმა შემოიტანა).

იმედია, პრაქტიკუმის შესრულება მცირე პროფესიულ სიამოვნებას მაინც მოგანიჭებთ.

მომაცალ სააუდიტორიო შეხვედრამდე.

ძირითადი ლიტერატურა:

1. **Штомпка П.** Введение в визуальную социологию (интеракция, интервью, интерпретация), 2007, № 4, გვ. 6-12. URL:http://sociologist.nm.ru/articles/schtompka_01.htm
2. **Барт Р.** Camera lucida. Комментарий к фотографии. — М., 1997. Электронный вариант книги см.: URL:http://nova.iatp.by/03/barthes_camera_lucida.pdf
3. **Гирц К.** «Насыщенное описание»: В поисках интерпретативной теории культуры // Культурология. XX век. Дайджест. Ч. I. М.: ИНИОН, 1997.
4. **Эко У.** Отсутствующая структура. Введение в семиологию. — М., 1998.
5. **Гофман И.** Представление себя другим в повседневной жизни. — М.: "Канон-Пресс-Ц", "Кучково поле", 2000, СС. 296-392. (Глава "Роль выразительности в передаче впечатлений о себе").
6. **Визуальная антропология:** новые взгляды на социальную реальность: Сб. научн. ст. / Под ред. Е.В. Ярской-Смирновой, П.В. Романова, В.Л. Круткина. — Саратов: Научная книга, 2007.
7. **Женщина и визуальные знаки** / Под ред. А. Альчук. — М.: Идея-Прогресс, 2000.
8. **Захаров А.В.** Что значит интерпретировать текст?
9. **Sontag Susan.** On photography URL: http://www.susansontag.com

დამატებითი ლიტერატურა:

1. Сальникова Е.В. Мир внешний — мир внутренний // Наука телевидения. Научный альманах, вып. 2. — М.: ГИТР, 2001.
2. Сальникова Е.В. Советская культура в движении: от середины 1950-х к середине 1980-х. Визуальные образы, герои, сюжеты. — М.: Изд-во ЛКИ, 2008.
3. Петровская Е. Непроявленное. Очерки по философии фотографии. — М.: «Ad Marginem», 2002. См. также ее статьи в журнале "Синий диван", 2005, № 4.
4. Брекнер Р. Изображенное тело. Методика анализа фотографии // Интер, 2007,
5. Подорога В.П. Символ и выражение. — М.: 2002.
6. Михалкович В.И., Стигнеев В.Т. Поэтика фотографии. — М., 1989.
7. Дашкова Т.Ю. Невидимые миру рюши: одежда в советском предвоенном и военном кино // ТМ, весна 2007.
8. Козлова Н.Н. Социально-историческая антропология. — М.: Ключ-С, 1999.
9. Нуркова В.В. Зеркало с памятью. Феномен фотографии. Культурно-исторический анализ. — М.: РГГУ, 2006.
10. Ad Marginem'93. Ежегодник лаборатории постклассических исследований Института философии Российской академии наук. — М.: "Ad marginem", 1994.

ინტერნეტრესურსები:

1. URL:http://www.ruthenia.ru/folklore/hristoforova3.htm
2. Визуальная антропология в образовании: опыт и перспективы

Институт проблем современного искусства — Статьи о визуальной социологии и массовой культуре. Библиография. Медиа-репрезентации пола.

• შენიშვნა:

მიუხედავად იმისა, რომ პირველკურსელებთან ნაადრევია ეიზუალური სოციოლოგიის პრობლემებსა და მეთოდიკაზე საუბარი, ვფიქრობთ, რომ მათთან აღრეული შეხება საქმეს ნამდვილად არ გააფუჭებს.

საკითხავი მასალა

სოციოლოგიის კლასიკოსები

„ადამიანი დიდი ასოებით“ – რუსული წარმომაელობის დიდი ამერიკელი სოციოლოგი – პიტირიმ სოროკინი



„პიტირიმ სოროკინი რთული და რაღაცით პარადოქსული ადამიანი იყო. ის ზუსტად გრძნობდა დროის კონფლიქტებს და მათს სწორ ფორმულირებას ახდენდა. თავისი პედაგოგიური და სასწაელო-სამეცნიერო საქმიანობით მან დიდი წელილი შეიტანა პარეარდის უნიეერსიტეტში სოციოლოგიის ფორმირების საქმეში. სოციოლოგიის კორიფე – პარსონსი მისი კოლეგა იყო, ხოლო „მისტერ სოციოლოგია“ – მერტონი – მოწაფე. პიტირიმ სოროკინი – ეს იყო „ადამიანი დიდი ასოებით“ (ამონარიდი პარეარდის უნიეერსიტეტის გაზეთიდან).

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სოციოლოგი პიტირიმ სოროკინი დაიბადა 1889 წლის 23 იანეარს ეოლოგდის გუბერნიაში, სოფელ ტურიაში (ამჟამად რესპუბლიკა კომი). როგორც „ტრადიციულ“ რუსულ ოჯახში გაზრდილს, მეტად მძიმე ბავშეობა ჰქონდა. დედა ადრე გარდაეცეალა. ხელოსანი მამა მუდმივად სამუშაოს ძებნაში იყო და ამიტომაც მცირეწლოეან ბაშეებთან ერთად ბეერს მოგზაურობდა. ალკოჰოლის მოყეარულს ხშირად „თეთრი ხურეება“ ემართებოდა, რომლის დროსაც ბაშებს სასტიკად უსწორდებოდა. ბაშებისადმი ასეთი უდიერი მოპყრობის შედეგი დიდხანს ემჩნეოდა პიტირიმს სახეზე (მას ტუჩი გაუსკდა). ამის გამო მან თაეის ძმებთან ერთად მიატოეა მამა და მას სიკედილამდე (1900 წლამდე) არ შეხეედრია.

იგი, როგორც ესერთა პარტიის წეერი, აქტიურად იყო ჩართული რეეოლუციური იდეების პოპულარიზაციის საქმეში, რის გამოც სამი წელი ციხეში იჯდა. ციხეში ყოფნის ჟამს გაეცნო კროპოტკინის, ტოლსტოის, დარეინისა და სპენსერის იდეებს. პარტიულ საქმიანობას კარგა ხანს განაგრძობდა „ამხანაგ ივანოეის“ ფსეედონიმით.

1908 წელს ჩაეიდა პეტერბურგში. სურდა სოციოლოგიის განხრით გაეგრძელებინა სწაელა ბეხტერეეის მიერ პეტერბურგის უნიეერსიტეტში ახალდაარსებულ ფსიქონეეროლოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ მოუხდა იურიდიული ფაკულტეტის დამთაერება (მსოფლიოში ცნობილმა სოციოლოგებმა მ. კოეალეესკიმ და ე. დე რობერტიმ აქ დააარსეს სოციოლოგიის პირეელი კათედრა. მოგეიანებით პეტროგრადის უნიეერსიტეტში პიტირიმ სოროკინმაც დააარსა სოციოლოგიის კათედრა, სადაც მოღეაწეობა მას არ დასცალდა). 1910 წელს გამოჩნდა მისი პირეელი პუბლიკაციები. სოროკინი ხშირად მონაწილეობდა ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რაც შემდეგში აისახა მის სოციოლოგიურ შრომებში.

1922 წლის 26 სექტემბერს რუსული ინტელიგენციის სხეა ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად გასახლებულ იქნა პეტერბურგიდან ე. წ. „ფილოსოფიური გემით.“ მცირე ხნით იყო ბერლინში, შემდეგ აშშ-ში გამგზაერებამდე ცხოერობდა ჩეხეთში. 1923 წელს ჩაეიდა აშშ-ში. კითხულობდა ლექციებს აშშ-ის სხეადასხეა კოლეჯებსა და უნიეერსიტეტებში. 1930 წელს გახდა აშშ-ის მოქალაქე. 1931 წელს პარეარდის უნიეერსიტეტში დააარსა სოციოლოგიის ფაკულტეტი, რომელსაც ხელმძღეანელობდა 1942 წლამდე. 1931-1959 წლებში იყო ჰარეარდის უნიეერსიტეტის პროფესორი. იყო ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1965 წ). გარდაიცეალა 1968 წელს.

ძირითადი ნაშრომებია: „სოციოლოგიის სისტემა.“ ორტომეული. 1920; „დანაშაული და შურისძიება, სოციოლოგიური ეტიუდი საზოგადოებრიეი ქცეევისა და მორალის ძირითად ფორმათა შესახებ,“ 1914; „სოციალური და კულტურული დინამიკა“ – აღიარებულია სოციოლოგიის კლასიკურ ნაშრომად, ოთხი ტომი. 1937-1941; „რეეოლუციის სოციოლოგია,“ მ. 2005; „სოციალური მობილობა,“ მ. 2005; „სამართლის ზოგადი თეორიის ელემენტარული საკითხები,“ მ. 2009; „რუსეთის თანამედროეე მდგომარეობა.“ 1923; „რუსი ერის ძირითადი ნიშნები მეოცე ასწლეულში,“ 1967; „ჩეენი დროის კრიზისი,“ 1914; საინტერესოა აგრეთეე მისი სტატია „ლენინი – ფანატიკოსი და სოციალური ექსტრემისტი.“ 1963 წელს აშშ-ში გამოიცა მისი აეტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „გრძელი გზა.“ მისი მოწაფეები იო-

ვნენ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული სოციოლოგები: მერტონი, პარსონსი, მილსი. პქონდა მიმოწერა ა. აინშტაინთან, ჯ. კენედისთან, ა. ტოინბისთან, ა. შვაიცერთან.

თავის თავს „ემპირიულ პოზიტივიზმს" მიაკუთვნებდა. არის სოციოკულტურულ ცვლილებათა და სოციალური მობილობის თეორიის ავტორი.

მსოფლიო ისტორიული პროცესი მის მიერ გაგებული იყო, როგორც კულტურის ძირითადი ტიპების ციკლური ცვალებადობა, რომლის საფუძველი სიმბოლოთა და ღირებულებათა ინტეგრირებული სისტემაა. სოროკინმა დიდი ყურადღება დაუთმო თანამედროვე კულტურის კრიზისის პრობლემის კვლევას; კულტურის კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად მან „რელიგიური იდეალისტური კულტურა" მიიჩნია. ამიტომაც მისი სოციოლოგიის ამოსავალ პრინციპად ითვლება „იდეაციონალური კულტურის" ცნება, რომლისათვის ზნეობის პრიმატია პრიორიტეტული. მის მიხედვით, სოციოლოგიის საგანია სხვადასხვა ისტორიულ და კულტურულ ეითარებაში ფუნქციონირებად სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების შესწავლა. იგი მრავალმხრივ საინტერესო მოაზროვნეა. მისი იდეები სიცოცხლისუნარიანია არა მხოლოდ სოციოლოგიის, არამედ ფილოსოფიის, ისტორიის, კულტუროლოგიის, სამართლის, ეთიკისა და ხელოვნების სფეროებში.

იგი ერთ-ერთი პირველია, ვინც კრიტიკულად აფასებს რუს ერს. მუდმივად ოპოზიციონერს, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ეყო გამბედაობა, რომ ჯერ კიდევ 1917 წელს ავისმომასწავებელი დიაგნოზი დაესვა საკუთარი ერისათვის – „რუსეთი მძიმე სენითაა დაავადებული!" ამ ავადმყოფობას ბოლშევიზმი ჰქვია. მხოლოდ ავადმყოფ ერს აქვს ექსკლუზიური ამ ფენომენთან დაკავშირებით. პ. სოროკინის სტატია „სოციოლოგის ჩანაწერები – ავადმყოფი რუსეთი" იმ Zeitgaist-ის მატარებელია, რომელშიც ის დაიწერა, მაგრამ კვლავაც აქტუალურია იმდენად, რამდენადაც რუსეთი ამ ავადმყოფობისაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა, მეტიც უბედურება, ის არის, რომ მას არ სურს ამ ავადმყოფობას თავი დააღწიოს.

* * *

„ჩვენ ჯერ კიდევ იმდენად ცოტა რამ ვიცით სოციალურ მოვლენათა „იდუმალი" სამყაროს შესახებ, რომ ამ სფეროში რეალობასთან მიახლოებულ ნებისმიერ ცოდნასაც კი ფასდაუდებელი ღირებულება აქვს."

„სოციოლოგია უნდა იყოს ზუსტი მეცნიერება. ის სუბიექტური მსჯელობებისაგან უნდა განთავისუფლდეს."

პიტირიმ სოროკინი

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები



ფრედერიკ ჯეიმსონი

ამერიკელი სოციოლოგი. მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის აღიარებული მკვლევარი. ე.წ. „ზომიერი პოსტმოდერნიზმის" წარმომადგენელი.

VIII ლექცია

თემა: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები:

სოციალიზაცია

სოციოლოგიის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოციალიზაციის ცნებას უკავია. სოციალიზაცია ადამიანის სოციუმის წევრად გახდომას, ანუ, უბრალო სიტყვებით რომ ეთქვათ, ადამიანის გასაზოგადოებრიობას, საზოგადოებრიე არსებად ქცევას ნიშნავს, ამიტომ სოციოლოგია დაინტერესებულია სოციალიზაციის პროცესის მთელი რიგი მექანიზმების შესწავლით.

სოციალიზაცია ადამიანის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის წესებისა და ღირებულებათა ათვისების პროცესია, რომლის დროსაც იგი საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს. ამდენად, სოციალიზაცია აქტიური პროცესია, რომელშიც ადამიანის ცნობიერება და ნებელობა მონაწილეობს. მსგავსი რამ ცხოველთა სამყაროში არ არსებობს, რადგანაც ცხოველის ქცევა და მოქმედება ბიოლოგიურად წინასწარ დაპროგრამებულია, ადამიანები კი გარკვეულ სოციალურ გამოცდილებას საჭიროებენ იმისათვის, რომ კულტურული ღირებულებები აითვისონ და საზოგადოებაში თავი კომფორტულად იგრძნონ. სოციალური გამოცდილება პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. პიროვნება ამ გამოცდილების ინტერნალიზაციის ანუ შეთვისების გზით ყალიბდება. ადამიანი სოციალიზაციის პროცესში სოციუმის მიერ ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული გამოცდილების შედეგად შემუშავებულ ნორმებს შორის გარკვეულ არჩევანს აკეთებს: ზოგ ნორმას იღებს, როგორიც ის არის, ზოგს კიდევ უარყოფს. ამ უარყოფის პროცესში იგი შეიძლება ახალი ღირებულებების შემქმნელადაც მოგვევლინოს. ამიტომ სოციალიზაციის პროცესი არსებული ტრადიციული მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად სიახლესაც გულისხმობს, ანუ ამ აზრით სოციალიზაცია ნოვაციურობის ტენდენციების მატარებელიც არის.

სოციალიზაციის პროცესი თვითობის შეგრძნებასაც გულისხმობს. საკუთარ ინდივიდუალობას, „მეობას," ანუ თანამედროვე ტერმინით რომ ეთქვათ, იდენტობას ადამიანი სოციალურ არსებად ჩამოყალიბების პროცესში შეიგრძნობს. ამ დროს ხდება თვითობის განვითარება. ამიტომაც თანამედროვე სოციოლოგიამ იდენტობა და სოციალიზაცია ერთმანეთთან დააკავშირა, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში გააიგივა კიდევაც.

სოციალიზაციის პროცესის სოციოლოგიური ანალიზი ადამიანის განვითარების ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში სახეზეა ორი ძირითადი მიდგომა: პირველი – საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური, რომლის ცნობილი წარმომადგენელია ჩარლზ დარვინი. მან ადამიანის განვითარება მემკვიდრეობით მიღებულ ბიოლოგიურ კანონზომიერებას დაუქვემდებარა; ხოლო მეორე მიდგომა ამ საქმეში სოციალურ გარემოს ანიჭებს უპირატესობას და ამიტომაც იგი სოციალურ-მეცნიერულ მიდგომადაა ცნობილი (მაგალითად, ბ. უოტსონი და სხვები), ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიოლოგია მთლიანად უნდა ამოვიღოთ ადამიანის განვითარების პროცესიდან. ამის გაკეთება უგუნურება იქნება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის ყოფიერების სტრუქტურის პირველი შრე არის ბიოლოგიური, ბუნებრივი მოცემულობა, რომელსაც სოციალურის სახით მასთან შედარებით ყოფიერების უფრო მაღალი ფენა მოსდევს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანი ბიოსოციალური არსებაა, სწორედ ეს გვაქვს მხედველობაში. ბუნება ამ შემთხვევაში სოციალურის არსებობის ფიზიკური საფუძველია, ამიტომ მას თავის მნიშვნელობას არ ეუკარგავთ სოციოლოგიაში, მაგრამ ბუნებაში არ ხდება ადამიანის სოციალიზაცია. ეს პროცესი სოციუმის პრეროგატივაა, ამიტომ სოციოლოგიისათვის ყოფიერების ამ სფეროს კვლევაა მნიშვნელოვანი. ადამიანს ადამიანად სოციალური გარემო ანუ საზოგადოება – „მეორე ბუნება" აყალიბებს. ამის საილუსტრაციოდ სოციოლოგიაში ხშირად მოჰყავთ სოციალური იზოლაციის მაგალითები, მაგალითად, სოციალური გარემოსაგან იზოლირებული ბავშვების ტრაგიკული ისტორიები (გაიხსენეთ რადიარდ კიპლინგის მოთხრობა „მაუგლი") და სხვ.

სოციალიზაციის თეორიები

ფსიქოლოგისტური თეორიები:

ზიგმუნდ ფროიდი: პიროვნების ელემენტები – პიროვნების ფროდისეული თეორია ფსიქოანალიზის სახელით არის ცნობილი. მის მიხედვით, ადამიანს ორი ძირითადი მოთხოვნილება აქვს: პირველი – სქესობრიეი, რომელსაც ფროიდი ცხოვრების ინსტინქტს ანუ ეროსს (ძველბერძნული ლხინისა და სიყვარულის ღმერთი) უწოდებს, და მეორე – აგრესიული მისწრაფება, სიკვდილის ინსტინქტი ანუ თანატოსი (ძველბერძნული სიკვდილის ღმერთი). ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები (სიცოცხლის, სიყვარულის სურვილი და სიკვდილი) ადამიანის ფსიქიკის ღრმა ფენის – არაცნობიერის დონეზე მოქმედებენ და ძალზე ხშირად არასასურველ ფსიქიკურ ატმოსფეროს – ღრმა ფსიქოლოგიურ დაძაბულობას იწვევენ. მოთხოვნილებათა ამგვარი გაგების საფუძველზე ფროიდმა პიროვნების სამწევრიანი ფსიქოლოგიური მოდელი შექმნა. პიროვნების შემადგენელი ელემენტებია: იდი, მე და ზემე („იდი," „ეგო," და „სუპერეგო"). „იდი" (ლათინურად „ის, იგი) ადამიანის ძირითადი მისწრაფებების გამოხატულებას წარმოადგენს და თავისი ფესვები ბიოლოგიურ სამყაროში აქვს გადგმული. ის დაბადებისთანავე არსებობს, მაგრამ საზოგადოება ეწინააღმდეგება მას. იმისათვის, რომ არ მოხდეს ფრუსტრაცია (მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობისა და მარცხის შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკური მდგომარეობა), ბავშვმა უნდა ისწავლოს რეალისტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ამ საქმეს ახორციელებს ეგო (ლათინურად „მე"), რომელიც ინდივიდის გაცნობიერებულ ძალისხმევას წარმართავს მემკვიდრეობითი მოთხოვნილებებისა და საზოგადოებრივი ნორმების ერთმანეთთან შესათავსებლად. იგი მაშინ ვითარდება, როდესაც ჩვენ საკუთარ იდენტობას გავაცნობიერებთ, მაგრამ ამასთანავე გვესმის, რომ ყველაფერს, რაც გვსურს, ერთბაშად ან საერთოდაც ვერ მივიღებთ. საბოლოოდ ადამიანის პიროვნებაში სუპერეგოს (ლათინურად „ზემე") განვითარება ხდება, რომელიც ჩვენ მიერ ინტერნალიზებულ (შეთვისებულ) კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს წარმოადგენს. ის სინდისის როლს ასრულებს და გვიხსნის, თუ რატომ არ შეიძლება მივიღოთ ის, რაც გვსურს. მისი ფორმირება მაშინ იწყება, როდესაც ბავშვი მშობელთა კონტროლს გააცნობიერებს და მიხვდება, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინება აუცილებელია.

იდი და სუპერეგო ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფება და თუკი მათი მოგვარება ბავშვობის ასაკში ვერ მოხერხდა, იგი შემდგომში ზედაპირზე ამოვა და პიროვნების ფსიქიკურ მოშლას გამოიწვევს. მესა და ზემეს კონფლიქტი – ეს იგივე პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია. მათ შორის კომპრომისს ფროიდმა სუბლიმაცია დაარქვა. იგი ადამიანის ეგოისტური მისწრაფებების სოციალურად მისაღებ ქცევად გარდაქმნას გულისხმობს (თავის სექსუალურ ენერგიას სუბლიმაციას უკეთებს ანუ სხვა, სოციალურად მისაღებ მიზნებს დაუსახავს და მათ შესაბამისად მოქმედებს). ამის მაგალითია ოჯახის შექმნა (ფროიდის მიხედვით, ოჯახი სუბლიმირებული სექსია), სპორტი (აგრესიის სუბლიმირება ხდება) და ა. შ. ფროიდის შრომებმა დიდი დაეა და კამათი გამოიწვია, მაგრამ ფროიდმა ადამიანის პიროვნებისა და სოციალური ბუნების თითქმის ყველა თანამედროვე მკვლევარზე უდიდესი გავლენა მოახდინა. სოციოლოგებს ეს თეორია ასწავლის, რომ სოციალური ნორმების ათვისების პროცესი სიღრმისეული პიროვნული ხასიათის მატარებელია და მისადმი ზერელე დამოკიდებულება დაუშვებელია.

ჟან პიაჟე: პიროვნების კოგნიტური განვითარება – შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ ადამიანური კოგნიციის შესწავლის საფუძველზე პიროვნების განვითარების თეორია შექმნა. კოგნიცია ამ შემთხვევაში შემეცნებით და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ნიშნავს. ამის მიხედვით, მან პიროვნების კოგნიტური განვითარების ოთხი ეტაპი გამოყო:

- **სენსომოტორული სტადია** – ამ სტადიაზე ბავშვებს არათუ თავიანთი თავის აღქმის, არამედ საკუთარი არსებობის შეგრძნებაც კი არა აქვთ. ეს ადამიანის განვითარების ის დონეა, როდესაც იგი სამყაროს მხოლოდ შეიგრძნობს. ადამიანებთან და საგნებთან ინტერაქციის შედეგად ბავშვი რწმუნდება, რომ მისი გარემომცველი საგნები მუდმივია. ამას პიაჟე საგანთა მუდმივობის კონცეფციას უწოდებს. ამის მაგალითია ის, რომ ბავშვისთვის დედის არსებობა მუდმივობაა.
- **წინარე ოპერაციონალური სტადია** – დაახლოებით 2 წლის ასაკში ბავშვები წინარე ოპერაციონალურ სტადიაში გადადიან, როდესაც ისინი პირველად იწყებენ ენობრივი და სხვა სიმბოლოების გამოყენებას. ამ შემთხვევაში მათ ჯერ კიდევ არა აქვთ სა-

მისა და მოცულობის შესახებ წარმოდგენა, რაც აბსტრაქტულ აზროვნებას საჭიროებს. ამ უნარის განვითარება კი დაახლოებით 7 წლის ასაკიდან იწყება.

- კონკრეტული ოპერაციების სტადია – დაახლოებით 7-11 წლის ასაკიდან ბავშვებში უკვე მათს გარემომცველ სინამდვილეში არსებული მიზეზობრივი კავშირების აღქმა შეინიშნება. ამ სტადიაზე ისინი მხოლოდ ერთეული სიმბოლოებით ოპერირებენ.
- ფორმალური ოპერაციების სტადია – ამ სტადიაზე ინდივიდები აბსტრაქტულად და კრიტიკულად აზროვნებენ. იგი დაახლოებით 12 წლის ასაკიდან იწყება.

პიაჟემ პიროვნების სოციალიზაციის ფროიდისაგან განსხვავებული თეორია წარმოადგინა, რომელშიც გადამწყვეტ სიტყვას აზროვნება, გონების აქტიურობა და შემოქმედება ასრულებს, თუმცა ვერც იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, რომ სოციალიზაციის ამ სტადიებს ადამიანი ნებისმიერ საზოგადოებაში აუცილებლად გაივლის. ამასთან გასაზიარებელია პიაჟეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანი თავისი კოგნიტური, ინტელექტუალური მონაცემებით საკუთარი იდენტობის, თვითობის ფორმირების პროცესის აქტიური და არა პასიური მონაწილეა.

სოციოლოგიური თეორიები:


ჩარლზ ჰორტონ კული: „სარკისებური მეს“ თეორია – ამერიკელი სოციოლოგის ჩარლზ ჰორტონ კულის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა წამოდგენა აქვთ ჩვენზე სხვებს. ამის მეშვეობით ვაყალიბებთ საკუთარ ქცევას; ვირჩევთ ვისთან როგორ მოვიქცეთ და ასე ექმნით სოციალურ სინამდვილეს.

ასე რომ, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანები ერთგვარი სარკის როლს ასრულებენ ჩვენთან მიმართებაში, უფრო სწორად, ჩვენი იდენტობის შეფასებაში. სარკისებური მე სამი ნაწილისაგან შედგება: 1) რას ფიქრობთ იმაზე, თუ როგორ გვიყურებენ სხვები? 2) როგორ აფასებენ სხვები იმას, რასაც ჩვენში ხედავენ? 3) რა დამოკიდებულება გვაქვს ჩვენ ამ შეფასებების მიმართ? აქ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სარკისებური მე სხვა ადამიანების წარმოდგენებისა და შეფასებების პირდაპირი ასახვაა. ამჯერად საუბარი იმას შეეხება, რომ ჩვენ სხვების მეშვეობით აღვიქვამთ საკუთარ იდენტობას. სარკე აქ მეტაფორაა იმ სოციალური სინამდვილისა, რომელიც ნაწილობრივ ჩვენი შექმნილია.



პირველი თაობის ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ ჰორტონ კული (1864-1929)

ჯორჯ ჰერბერტ მიდი: სოციალური „მე,“ I და Me – საზოგადოების მიერ ინდივიდის ჩამოყალიბების პროცესის საჩვენებლად ამერიკელმა სოციოლოგმა ჯორჯ ჰერბერტ მიდმა (სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიტიკოსმა) „სოციალური მეს“ სოციალურ-ბიჰევიორისტული (ბიჰევიორიზმი ქცევათმეცნიერებას ნიშნავს) თეორია შეიმუშავა.



ჯორჯ ჰერბერტ მიდი (1863-1931)

მიდის თანახმად, პიროვნული „მე“ სოციალური გამოცდილების პროდუქტია. მას საზოგადოება ქმნის ადამიანებს შორის ურთიერთმოქმედების (ინტერაქციის) მეშვეობით. ინტერაქცია ადამიანებს შორის სიმბოლოების (სიტყვები, ჟესტები, სხვადასხვა ნიშნები) გაცვლას წარმოადგენს (აქედან – სიმბოლური ინტერაქციონიზმი), რომელიც ერთმანეთის განსრახვას გვაგებინებს. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განსრახვის გასაგებად საჭიროა საკუთარი თავისადმი „სხვისი თვალებით“ შეხედვა, ანუ სხვისი როლის მიღება. აქ ისევე სარკის სიმბოლოსთან მიგვიყვანართ. როდესაც მე საკუთარ თავს სხვისი თვალებით ვუყურებ, ეს ნიშნავს ჩემი მეს გაორებას, ანუ, უფრო სწორად, იმას, რომ მე ორი ნაწილისაგან შედგება: „სუბიექტური მე“ – I და „ობიექტური მე“ – Me. სუბიექტური მე ჩემი აზროვნებისა და მოქმედების ინიციატორია, ხოლო ობიექტური მე სხვების მიერ დანახული ჩემი თავია. სოციალური ინტერაქცია ამ ორი მეს აქტიური დიალოგია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაეკეთო თუ არა რამე ან ასე მი-

ეიქცე თუ ისე. – ამის შესახებ გადაწყვეტილებას სუბიექტური მე იღებს, ხოლო ობიექტური მე მეუბნება, რომ ასე თუ მოიქცეი, ასეთი იქნება სხვების რეაქცია, ანუ ჩემ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე სხვების მხრიდან მოსალოდნელი რეაქციის შესახებ პროგნოზებს აკეთებს. გარდა ამისა, მიდმა „მეს" განვითარების კონცეფციაც ჩამოაყალიბა, რომლის არსი სხვისი როლის ათვისებაში მდგომარეობს. პირველ ეტაპზე ბავშვი სხვისი როლის იმიტაციას აკეთებს მხოლოდ. ხოლო როდესაც ლაპარაკს ისწავლის, მე საკუთარ თავს თამაშში გამოავლენს და არა ყველა სხვის, არამედ მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვანი სხვის (მაგალითად, დედა, მამა, ბებია, ბაბუა) როლების თამაშს იწყებს. როლების თამაში, მიდის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესში ჩართულობის ნიშანია, რომლის მომდევნო ეტაპი ერთდროულად რამდენიმე სხვისი როლის თამაშს ნიშნავს. მასში უკვე ბევრი ადამიანია ჩართული. ამ ბოლო ეტაპზე მე რამდენიმე სხვა მეს აერთიანებს, რომელის აღსანიშნავად მიდმა განზოგადებული მეს ცნება შემოიღო. ეს იგივე სოციალური მეა – მე, რომელიც სოციალიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა.

სოციალიზაციის პროცესში მორალური აზროვნების პრიმატის შესახებ ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელს ლორენს კოლბერგს, რომელმაც პიაჟეს ცალკეული დებულებები დააზუსტა, თუმცა მისი კვლევები მხოლოდ ბიჭებს შეეხებოდა. ამ ფაქტმა მის კოლეგა ქეროლ გილიგანს უბიძგა იმისკენ, რომ სოციალიზაციის პროცესში გენდერული ფაქტორი გაეთვალისწინებინა. ამისათვის მან ბიჭებისა და გოგონების მორალურ განვითარებას მიაქცია ყურადღება და აღმოაჩინა, რომ ორივე მათგანი ქცევისა და შეფასებების სხვადასხვა სტანდარტებს იყენებს და ამის მიზეზი კულტურული განპირობებულობაა. მისმა გამოკვლევებმა კიდევ უფრო გააფართოვა სოციალიზაციის პროცესის ცოდნა და სოციოლოგების მზერა მანამდე უცნობი ფაქტორებისაკენ მიმართა. თანამედროვე ფსიქოლოგმა ერიკ ერიქსონმა სოციალიზაციის პროცესს უფრო ფართოდ და მასშტაბურად შეხედა და მის მიერ გამოყოფილი სტადიების მიხედვით ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. მთლიანობაში, მის მიერ მოცემულმა მოდელმა სოციალიზაციის ისეთი აგენტების შესწავლას შეუწყო ხელი, როგორებიცაა ოჯახი, სკოლა, თანატოლები და სხვ.

სოციალიზაციის აგენტები

სოციალიზაციაზე ნებისმიერი სახის სოციალური ან კულტურული გამოცდილება ახდენს გავლენას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვეულებრივი პირობები სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ, ამიტომ მათი ცალ-ცალკე განხილვაა აუცილებელი. მათ სოციალიზაციის აგენტებს ეძახიან.

ოჯახი

უპირველესი სოციალური სამყარო ბავშვისათვის არის ოჯახი. პირველი სოციალური და კულტურული გამოცდილების წყარო ოჯახია. ეს ის სარკეა, რომელშიც ბავშვები თავიანთ თავს ხედავენ. ოჯახის ღირებულებები, დამოკიდებულებები და ცხოვრების წესი პიროვნებად აყალიბებენ ბავშვებს. ისინი ოჯახის მეშვეობით ითვისებენ საკუთარი საზოგადოების კულტურას და სოციუმის წევრებად ყალიბდებიან. ოჯახში გადაეცემა მათ გენდერული სტერეოტიპები („ქალის საქმე" და „კაცის საქმე"), ისტორიული ცნობიერება და სხვა. ამიტომ ოჯახის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციის პროცესში გასარკვევად.

სკოლა

სკოლა ბავშვის სოციალურ სამყაროს კიდევ უფრო აფართოებს. იგი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ბავშვები მანამდე მათთვის უცხო და უცნობ ადამიანებს ხვდებიან და მათთან უწევთ ურთიერთობა. გარდა იმისა, რომ მათთვის აუცილებელ ცოდნას იღებენ, ბავშვები აქ სოციალიზაციის ძალზე აქტიურ და სიცოცხლით აღსავსე პროცესებში არიან ჩართულნი. სკოლაში სწავლებასთან ერთად აღზრდის პროცესიც მიმდინარეობს, რაც გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციის ქონას გულისხმობს, ამიტომ სკოლა სოციალიზაციის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტია, თუმცა გენდერული ფაქტორების გათვალისწინება აქაც აუცილებელია.

თანატოლები

მეგობრებთან, თანატოლებთან ყოფნა განსაკუთრებული მოვლენაა ბავშვებისათვის. თანატოლთა ჯგუფი ისეთი სოციალური კატეგორიაა, რომლის წევრებს აერთიანებს საერთო ინტერესები, სოციალური მდგომარეობა და ასაკი. ეს ის გარემოა, სადაც ბავშვები უფროსების კონტროლის არიდან გადიან და სხვებთან ურთიერთობებს, ოჯახისა და სკოლი-

საგან განსხვაებით, დამოუკიდებლად ამყარებენ. ამიტომ თანატოლთა წრე მშობლების მუდმივი თავსატეხი და პრობლემაა ხოლმე. თანატოლთა წრეში მოხვედრისას ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია, როგორ მიიღებენ მას თანატოლები, გამოუცხადებენ თუ არა ჯგუფურ სოლიდარობას და იქნება თუ არა პოპულარული და ა. შ. სოციალურად პოზიტიურია, როდესაც სოციალიზაციის აგენტები შეთანხმებულად მოქმედებენ. მაგალითად, როდესაც ოჯახისა და თანატოლთა წრის სოციალიზაცია ერთმანეთს ემთხვევა.

მასმედია

მასმედია საზოგადოების ფართო ფენებისათვის განკუთვნილ საკომუნიკაციო საშუალებათა ერთობლიობაა. მასში იგულისხმება რადიო, ტელევიზია, ფილმები, ვიდეოჩანაწერები, კომპაქტ-დისკები, კომპიუტერული პროგრამები, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხვ. ამ მედიასაშუალებებიდან ბავშვების სოციალიზაციაზე განსაკუთრებულ გაელენას ტელევიზია და კომპიუტერული პროგრამები ახდენენ. ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდ დროს ატარებს ან ტელევიზორთან, ან კომპიუტერთან, რაც მშობლების შეშფოთებას იწვევს, რადგანაც ტელეგადაცემების უმრავლესობა პიროვნების განვითარებას კი არა, გადაგვარებას უწყობს ხელს. კომიკოსი ფრედ ალენი ხუმრობდა თურმე ტერმინ მედიაზე, რომელიც „საშუალოს“ ნიშნავს, – ამიტომაც არის, რომ სატელევიზიო გადაცემების უმრავლესობა უკეთესის ხილვის სურვილს აღძრავს ხოლმე. სექსის, ძალადობისა და გარყვნილების ყურება, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე და ამიტომაც მშობელთა აღშფოთება გასაგებია, თუმცა არც მედიის როლის გაზვიადება იქნება მართებული პოზიცია. მედიიდან მიღებული ინფორმაცია სათანადო ინტერპრეტაციის შემთხვევაში არც ისე საშიში უნდა იყოს, თუმცა მედია სოციალიზაციის მძლავრი აგენტი რომ არის, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე, ეს ისედაც ნათელია.


სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში. რესოციალიზაცია და დესოციალიზაცია

მართალია, სოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაშვობის ასაკში, მაგრამ სოციალური და კულტურული ღირებულებებისა და ნორმების ათვისების პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. სოციალური სამყარო ათასგვარ ოინებს გვიწყობს და ყოველდღიურად ახალ-ახალ როლებს გვთავაზობს, რომელთა ათვისება ან უარყოფა ზრდასრულ ასაკში სოციალიზაციის აუცილებელი მახასიათებელია. აბა, გაიხსენოთ კარგად, მანამდე უცნობი რამდენი რამის „დასწავლა“ მოახერხა თითოეულმა ჩვენგანმა?

სოციალიზაციის უკანასკნელი ტიპი, რომელიც მილიონობით ადამიანის გამოცდილებაზეა დამყარებული, ისეთ ტოტალურ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული, როგორიც ციხე, საპყრობილეა – გარემო პირობა, რომლის დროსაც ადამიანი საზოგადოებისაგან იზოლირებულია და მისი მოქმედებები ციხის ადმინისტრაციის მიერ იმართება. თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგის ირვინგ გოფმანის მიხედვით, ტოტალურ ინსტიტუტებს სამი არსებითი ნიშანი ახასიათებთ: 1) აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის კონტროლი, თვით სიზმრების ჩათვლითაც კი; 2) ტოტალური ინსტიტუტის საყოფაცხოვრებო სფერო აბსოლუტურად სტანდარტიზებულია. ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი და სხვა ყველასათვის ერთნაირია; 3) პატიმარს სხვები კარნახობენ, სად, როდის და როგორ მოეპყრას საკუთარ თავს. ამ ინსტიტუტებს ერთი მიზანი აქვთ – მოახდინონ პიროვნების რესოციალიზაცია, მკაცრი კონტროლის გზით პატიმრის პიროვნების რადიკალური შეცვლა. რესოციალიზაცია ორმაგი პროცესია. ის არსებული იდენტობის წაშლას და ახლის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ზოგი პატიმარი ახერხებს ამას, ზოგი კი ვერ ახერხებს და „მარადიულ ტუსაღად“ რჩება, მაგრამ რა ექნათ ჩვენ, რომლებსაც ეს არ გვეხება? რას გვიშვერება ჩვენ სოციალიზაცია – აუკუღმართებს თუ ამდიდრებს ჩვენს პიროვნებას? ეს კითხვები დაფიქრებას საჭიროებენ.

ახალ ცხოვრებაში სოციალიზაციის პროცესის სიძნელე კარგად უწყიან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებმა. მათ განცდას ალბათ კარგად გამოხატავს 1970 წელს ამერიკაში დასახლებული ლაოსელი ემიგრანტის სიტყვები, რომელმაც მოულოდნელად ტრადიციული საზოგადოებიდან მაღალტექნოლოგიურ, ჰეტეროგენულ საზოგადოებაში ამოჰყო თავი: „თავს ისე ეგრძნობ, როგორც საგანი, რომელიც ცეცხლში ჩაგდებისას არ იწვის და წყალში მოხვედრისას დინებას მიჰყვება.“ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ძალიან ბევრმა წარმომადგენელმა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა სოციალიზაცია და თავისი სიცოცხლე ტრაგიკულად დაამთავრა.

სოციალურობის განცდის გაქრობას დესოციალიზაცია ჰქვია. პიროვნების დესოციალიზაცია ტოტალური ინსტიტუტების ნიშან-თვისებაა. ისინი ანგრევენ პიროვნების სოციალურ მეს და ამიტომაც სოციალურად საშიშ მოვლენას წარმოადგენენ. ამაში გამოიხატება ტოტალიტარული საზოგადოებების ანტისოციალური ბუნება.



დეენილთა კოპაქტური დასახლება

ჩვეულებრივ, სოციალიზაციის მკვლევრები არაფერს ამბობენ სოციალიზაციის სხვა აგენტების შესახებ, ამიტომ ჩვენ დაჟინთ, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში სოციალიზაციის აგენტი შეიძლება იყოს რელიგია და რელიგიური ცნობიერება. დასავლელი სოციოლოგები მასზე იმიტომ არ ამახვილებენ ყურადღებას, რომ ფიქრობენ, თანამედროვე დესაკრალიზებულ საზოგადოებაში რელიგიამ დაკარგა ეს ფუნქცია, რაც საქმისადმი არასწორი მიდგომაა. სოციალიზაციის კიდევ ერთი საინტერესო აგენტი შეიძლება იყოს მოდა, რეკლამა, შრომითი კოლექტივი, არმია, სხვადასხვა კლუბები და ა. შ.

დავალება:

– ჩამოაყალიბეთ საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებები სოციალიზაციის თეორიებთან დაკავშირებით. რაში ეთანხმებით მათ და რაში არა?

– მოიყვანეთ მაგალითები რეალური სოციალური ცხოვრებიდან, რომლებშიც ასახული იქნება ოჯახის, სკოლის, თანატოლების ან მედიის როლი ბავშვის სოციალიზაციის პროცესში.

– სოციალიზაციის აგენტებიდან თქვენ რომელს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

– უნდა დაემსგავსოს თუ არა სასწავლო დაწესებულება ტოტალურ ინსტიტუტს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება?

– მოიყვანეთ რესოციალიზაციის მაგალითები და ჯგუფში იმსჯელეთ მათ შესახებ.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 197-236.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაშე). გვ. 170-196.
2. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს.ენაზე). გვ. 33-54.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები
„სოციაციის თეორია“ – გეორგ ზიმელი



კლასიკური გერმანული სოციოლოგიის საყოველთაოდ აღიარებული წარმომადგენელი, ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, გვიანდელი პერიოდის „სიცოცხლის ფილოსოფიის“ წარმომადგენელი გეორგ ზიმელი დაიბადა 1858 წლის 1 მარტს ბერლინში. სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც შემდგომში 20 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ანტისემიტური განწყობილების შედეგად არც თუ ისე წარმატებული აკადემიური კარიერა ჰქონდა. დიდი ხნის მანძილზე პრივატ-დოცენტის დაბალი თანამდებობა ეკავა, თუმცა მსმენელთა შორის დიდი პოპულარობით და მაქს ვებერისა და ჰენრიხ რიკერტის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1914 წელს სტრასბურგის უნივერსიტეტის შტატიანი თანამშრომელი გახდა. პირველი მსოფლიო ომის გამო ამ უნივერსიტეტმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ზიმელი 1918 წლის 28 სექტემბერს 60 წლის ასაკში თირკმლების კიბოთი გარდაიცვალა.

ზიმელი ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, როგორც „სიცოცხლის ფილოსოფიის“ გვიანდელი პერიოდის წარმომადგენელი. ნიცშეს ნააზრევთან ერთად მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია კანტმა და ნეოკანტიანელობამ (მისი დისერტაცია კანტს შეეხებოდა). მიუხედავად ამისა, ზიმელის დამსახურება მეცნიერების სფეროში, როგორც სოციოლოგიისა და კულტურის თეორეტიკოსისა, უფრო მეტია, ვიდრე ფილოსოფიისა და ესთეტიკის დარგში. სოციოლოგიაში მან საკუთარი თავი „სოციაციის თეორიით“ ანუ „სოციალური ურთიერთობის თეორიით“ დაიმკვიდრა. მას აგრეთვე კონფლიქტოლოგიის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ.

ზიმელის მიხედვით, წმინდა ანუ ფორმალური სოციოლოგია არ კვლევს იმას, თუ როგორ იქმნება ცალკეული ინდივიდების ურთიერთობებისაგან სოციუმი. საზოგადოება სოციალური ურთიერთობებისაგან იქმნება. სოციალური ცხოვრების ძირითადი ფორმებია: 1) სოციალური პროცესები – მას მიეკუთვნება მუდმივი კონკრეტული მდგომარეობებისაგან დამოუკიდებელი მოვლენები; მაგალითად, ისეთი, როგორიცაა მოდა. მოდა მსგავსი და განსხვავებული ნიშნების მატარებელი სოციალური ცხოვრების ფორმაა. მოდის მიმდევარი ადამიანი განსაზღვრული ჯგუფისადმი კუთვნილებასა და საკუთარ გამორჩეულობას ერთდროულად ავლენს. მოდის ანალიზმა ზიმელი „მოდის სოციოლოგიის“ ფუძემდებლად აქცია.

2) სოციალური ცხოვრების ფორმებს ქმნის აგრეთვე სოციალური ტიპები – (ცინიკოსი, ღარიბი, არისტოკრატი, და სხვ), და 3) „განვითარების ფორმები“ – რაც ჯგუფის ან სოციალური ერთობის წევრთა ძალისხმევით ჯგუფის გაფართოების უნივერსალურ პროცესს გულისხმობს. ჯგუფის წევრთა რაოდენობა ინდივიდუალობის ხარისხის შემცირების ხარჯზე ხდება.

ზიმელმა დიდი დრო მოანდომა სოციოლოგიის ცნებითი აპარატის სრულყოფის საქმეს. მას მიაჩნდა, რომ სოციოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელსაც კელვეის საკუთარი საგანი და მეთოდოლოგია გააჩნია. ოღონდ სოციოლოგია მასთან „სოციაციის“ ფარგლებს ვერ გასცდა. ზიმელის ძირითადი ნაშრომებია: 1) „სოციალური დიფერენციაცია. სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ (1890); 2) „ისტორიის ფილოსოფიის პრობლემები“ (1892-1893 წწ); 3) „ეთიკის შესავალი“ (1892-1893 წწ); 4) „ფულის ფილოსოფია“ (1900); 5) „რელიგია“ (1906); 6) „სოციოლოგია“ (1908); 7) „კულტურის ფილოსოფია“ (1911); 8) „გოეთე“ (1913); 9) „რემბრანდტი“ (1916); 10) „სოციოლოგიის ფუნდამენტური საკითხები“ (1917).

* * *

„ურთიერთობათა სამყარო – ეს არის თამაში, რომლის ყოველი მოთამაშე თანასწორია და რომელშიც ყველა მოთამაშე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს.“

„ყოველი მოდა ისე გამოიყურება, თითქოს მარადიულად არსებობდეს.

მოდის ყოველი შემდგომი გაერცელება დასასრულისაკენ მიემართება, რადგანაც იგი განსხვავებულობას სპობს.“

გეორგ ზიმელი

ეს საინტერესოა

ლედი გაგას ფენომენი, როგორც სოციოლოგიური კვლევის საგანი

„ხშირად თავს უილბლო მოწყენილობით ვგრძნობ ხოლმე. ამიტომ თითქმის ყოველ დილით ვეუბნები საკუთარ თავს, რომ მე სუპერვარსკვლავი ვარ. მე ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ შევძლებ ვიყო ისეთი, როგორიც ჩემს ფანებს სურთ. თუმცა ხშირად მეჩვენება, რომ ადამიანებს ჩემი განადგურება სურთ".

ლედი გაგა
2011 წ. 05.

სტეფანი ჯონათან ანჯელინა გერმანოტა, იგივე ლედი გაგა, იტალიური წარმომავლობის ამერიკელი პოპ-მომღერალი და კომპოზიტორი, დაიბადა 1986 წლის 28 მარტს. იგი ხუთი გრემის და უამრავი სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოსა და ტიტულის მფლობელია. ლედი გაგას ალბომები კოლოსალური რაოდენობით იყიდება მსოფლიოში. მისი ფსევდონიმი „ჭუინის"ცნობილი სიმღერიდან „Radio Ga Ga-დან" მომდინარეობს.



„დიდებისა და წარმატების სოციოლოგია"

2011 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ამერიკაში სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი სოციოლოგიის მიმართულებით უნიკალური აკადემიური კურსის შემოღებას აპირებს. იგი პოპ-მომღერალ ლედი გაგას დიდებისა და წარმატების „საიდუმლოებას" მიეძღვნება, იუწყება უნივერსიტეტის გაზეთი **„The Daily Gamecock"**. აკადემიური კურსის სახელწოდება „დიდების, წარმატების სოციოლოგია" იქნება. მას უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის პროფესორი მეთიუ დეფლემი წაიკითხავს. იგი პირადად იცნობს მომღერალს და არის მისი ფანი (მის კონცერტებს ესწრება და ლედი გაგას სიმღერების ასეულობით დისკის მფლობელია). თავიდან მას ჩაფიქრებული ჰქონდა ლედი გაგას ფენომენი მაგალითად მოეყვანა „დიდების, წარმატების სოციოლოგიის" სალექციო კურსის კითხვის დროს, მაგრამ შემდგომში გადაწყვიტა, რომ მთელი კურსი მიეძღვნა მისთვის, რაშიც ხელი სტუდენტებმა შეუწყვეს, რომლებმაც ლედი გაგას ისე შეხედეს, როგორც „სოციალურ მოვლენას." „საქმე მის პიროვნებასა და იმ მუსიკაში როდია, რომელსაც ის მღერის, არამედ ეს იმ მოვლენებთან და პროცესებთანაა კავშირში, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში ხდება. კერძოდ მილიონობით ინტერნეტ-მომხმარებელი „ფეისბუქზე" თავის თავს მომღერლის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო ასეთების რიცხვმა ბლოგ „თვითერზე" ექვს მილლიონს მიაღწია." ამ ფაქტებით აღფრთოვანებული სოციოლოგი ამბობს, რომ ეს „დიდი სოციალური ფენომენია." კურსის მიზანი ამ ფენომენის ანალიზი იქნება. პასუხი გაეცემა კითხვას: რა გახდა პოპ-მომღერლის დიდებისა და წარმატების მიზეზი? რა პირობებში მიაღწია მან მსოფლიო დიდებას? რაში მდგომარეობს მისი არნახული თავბრუდამხვევი წარმატების საიდუმლო? ამასთან ერთად ლექციებზე ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხზე, როგორიცაა „რას ნიშნავს პოპულარულ ადამიანად ყოფნა და როგორ აღწევენ ადამიანები წარმატებას?"

მეთიუ დეფლემი 30 წელიწადია სოციოლოგიას სწავლობს. 1995 წლიდან კი უნივერსიტეტის პროფესორია. იგი კრიმინოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის სპეციალისტია, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ „ნებისმიერი მოვლენის სოციოლოგიური ანალიზია შესაძლებელი.

კლასიკური გაგებით, სოციოლოგია სოციალურ ფაქტებსა და მოვლენებს აანალიზებს. თუკი ლედი გაგას ფენომენს ისე განვიხილავთ, როგორც სოციალურ მოვლენას, მაშინ იგი თავისთავად შემოვა სოციოლოგიური ანალიზის სფეროში და, შესაბამისად, აქ გასაკვირი არაფერია. საქმე ისაა, თუ რა რაკურსით შეეხედავთ ამ ყველაფერს. სოციოლოგიას მართლაც აინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აღწევენ ადამიანები წარმატებას, დიდებასა და პოპულარობას. ამ შემთხვევაში იგი აქცენტს წარმატების განმაპირობებელ სოციალურ საფუძვლებზე აკეთებს, ლედი გაგას შემთხვევაში – იმაზე, თუ რა სოციალურმა ფაქტორებმა განაპირობა მისი პოპულარობა. მსგავს პრობლემებს აანალიზებს ახალი დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინა „დიდების, წარმატების სოციოლოგია."

ლედი გაგას წარმატების საიდუმლო მრავალი უცნაურობითა და სიურპრიზით აღსავსე თანამედროვე, პოსტკლასიკური საზოგადოების სოციალურ სინამდვილეშია საძებნი, თუმცა ერთი რამ საყვედურით ნათელია: მსგავსი არაორდინარული სასწავლო კურსის შემოღება დროის მოთხოვნაა, დროისა, რომელიც, ეინ იცის, კიდევ რა სიახლეებს გვპირდება.



ლედი გაგა აქტიურად გამოდის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა (ლესბოსელები, ბისექსუალები, ტრანსგენდერები) უფლებების დასაცავად. ამ მხრივ ამერიკის სენატსაც კი მიმართა თხოვნით, რომ გაეუქმებინათ კანონი, რომლის მიხედვითაც იმ ადამიანებს, ვინც საზოგადოების წინაშე არ მალავენ საკუთარ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას, ეკრძალებათ აშშ-ის არმიაში სამსახური.

დიდების სოციოლოგიისა და მისი მსგავსი სხვა ტიპის სუპერთანამედროვე სოციოლოგიური დისციპლინების წარმოშობა პოსტთანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სულ მცირე სამი მიზეზით არის განპირობებული: 1) საზოგადოების დემოკრატიზაციის მაღალი დონე; 2) ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების გაველენის შესუსტება და 3) ყოველდღიური ცხოვრების „საეჭრო საგნად" გადაქცევა (მერკანტილიზმი).

დღეეანდელი საზოგადოება მთელი რიგი წარმოსახვითი, ვირტუალური ერთობების არაცენტრალიზებული კონგლომერატი გახდა, რომელთაც თავისი არსით ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. თანამედროვე ადამიანები ერთი რომელიმე ტრადიციული იდეის გარშემო არ არიან თავმოყრილი. ამ ტიპის საზოგადოების ერთიანობას ქმნიან ე.წ. წარმატებული, დიდების მწვერვალზე მყოფი ადამიანები, რომელთა შორის ერთ-ერთია ლედი გაგა. თანაც აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადგილი აქვს დიდების კომერციალიზაციას.

დავალება:

– როგორ ფიქრობთ, როგორ აღწევენ ადამიანები ცხოვრებაში დიდებასა და წარმატებას?

– აირჩიეთ თქვენთვის სასურველი რომელიმე წარმატებული ან დიდების მწვერვალზე მყოფი ადამიანი და მოამზადეთ ესეი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწია მან ამ ყველაფერს.

„ნაცელად იმისა, რომ გაიცხოთ ადამიანები, ეცადეთ გაუგოთ მათ. ეცადეთ მიხვდეთ, რატომ იქცევიან ისინი ასე და არა სხვაგვარად“.
დეილ კარნეგი

IX ლექცია

თემა: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: ინტერაქცია

სოციალური ურთიერთმოქმედების პრობლემისადმი ინტერესი სოციოლოგიამ თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე გამოაელინა. სოციოლოგიის ფუძემდებელი ოგიუსტ კონტი თავის „სოციალურ სტატიკაში“ (სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი „სოციალურ დინამიკასთან“ ერთად) სოციალური კავშირების ბუნების ანალიზისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოციალური ურთიერთმოქმედება საზოგადოების სტრუქტურის საბაზისო ელემენტი შეიძლება იყოს; ხოლო სოციოლოგიის კლასიკოსის მაქს ვებერის მიერ შემოღებული „სოციალური მოქმედების“ ცნება სწორედ რომ სოციალურ ურთიერთმოქმედებათა ბუნების გაგებას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში სოციალური მოქმედება სხვებზე მიმართული მოქმედებაა, რომელიც მათი ქცევისა და განწყობების შეცვლისკენაა მიმართული, რასაც მოთხოვნილებათა, მისწრაფებათა და ინტერესთა დაკმაყოფილება მოსდევს. არც დიურკემი ყოფილა ამ პრობლემის ანალიზისაგან დიდად დაშორებული. მისი სოციოლოგიური კონცეფციის უმთავრესი კატეგორია – სოციალური სოლიდარობა – ურთიერთზემოქმედების ღრმა სოციოლოგიური ანალიზის შედეგადაა მიღებული. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე ამ პრობლემას სოციოლოგთა განსაკუთრებული ყურადღება არ მოკლებია და იგი სოციოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცნებად იქნა აღიარებული.

სოციალური ურთიერთმოქმედება – ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები მოქმედებენ და სხვებთან ურთიერთობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის სოციალური რეალობა, რომელშიც თითოეული ჩვენგანი იმყოფება, სოციალურ ურთიერთმოქმედებათა შედეგია. სოციოლოგმა უნდა იცოდეს, თუ როგორ კონსტრუირდება რეალობა, რომელსაც ის შეისწავლის. ამის გამო სოციალური ურთიერთმოქმედება სოციოლოგიური ანალიზის მეტად საინტერესო ობიექტია, განსაკუთრებით თანამედროვე სოციოლოგიისა.

ურთიერთმოქმედება სოციალური კავშირის (კონტაქტის) საფუძველზე ყალიბდება. ურთიერთმოქმედება მოქმედებათა სისტემურობითა და მუდმივობით ხასიათდება, რომლის მიზანი პარტნიორის რეაქციის გამოწვევაა. გარკვეული აზრით, ეს პარტნიორზე ზემოქმედებაა. აქედან ირკვევა, რომ ურთიერთმოქმედება, სულ მცირე, ორი ადამიანის, ორი ერთობის ან ორი ჯგუფის მოქმედებათა სისტემაა, რომლის გარეშე სოციალური ცხოვრება არ არსებობს, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა სახის ურთიერთმოქმედება არ არის სოციალურობის ბუნების მქონე. სოციალურია ისეთი ურთიერთმოქმედება, რომელიც სხვა ადამიანთან, ჯგუფთან ან ერთობასთან არის მიმართებაში ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ინტერაქციული ურთიერთმოქმედებაა – ურთიერთმოქმედება, რომელსაც შედეგად ინტერაქცია მოჰყვება. ამ შემთხვევაში ინტერაქცია და კომუნიკაცია არ უნდა აეურიოთ ერთმანეთში. კომუნიკაციის ცნებაში უმთავრესი კომუნიკაციის ობიექტია, ანუ ის, რასაც საუბარი შეეხება, მაშინ როდესაც ინტერაქციის შემთხვევაში წინა პლანზე საუბარში მონაწილეთა ურთიერთობაა მნიშვნელოვანი. ტერმინი ინტერაქციაც სწორედ ამ მნიშვნელობის მქონეა (ინგლისურ ენაზე: **interaction** ლათინურიდანაა შემოსული ინგლისურში: **inter** და **activus** – ურთიერთმოქმედება, აქტიური ურთიერთზემოქმედება ადამიანებს ან ჯგუფებს შორის, რიგორც უწყვეტი დიალოგი; ურთიერთობა). კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს, რომელიც ინტერაქციის – ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია.

თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, სოციალური სინამდვილე აიგება სხვებთან ჩვენი ურთიერმოქმედების, ინტერაქციის მეშვეობით. ე. ი. გამოდის, რომ სოციალური სტრუქტურა მასზე ყოფილა დამოკიდებული, თუმცა, თავის მხრივ, სოციალური სტრუქტურაც ახდენს გავლენას სოციალურ ურთიერთმოქმედებაზე. ის წარმართავს, მიმართულებას აძლევს სოციალურ ინტერაქციას. ჩვენისმიერ საზოგადოებაში ყოველდღიური სიტუაციების გააზრებას ადამიანები სწორედ სოციალური სტრუქტურის მეშვეობით ახდენენ. ამდენად, აქტუალური ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ რისგან შედგება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

სოციალური ინტერაქცია აუცილებლად სოციალურ ურთიერთობას გულისხმობს. ამერიკელმა სოციოლოგმა ჩარლზ პორტონ კულიმ, ინტერაქციის ხასიათიდან გამომდინარე, პირვე-

ლადი და მეორეული სოციალური ჯგუფები გამოყო, რომელთაც შესაბამისი ურთიერთობები ახასიათებთ. პირველადი ჯგუფის ნიშნებია: 1) მუდმივი უშუალო, პირისპირ ურთიერთობა; 2) მკვეთრად გამოხატული იდენტიფიკაცია ჯგუფთან; 3) მკვეთრად გამოხატული კავშირი ჯგუფის წევრებს შორის; 4) ურთიერთობათა მრავალმხრივობა; 5) მდგრადობა. მეორეული ჯგუფის ნიშნებია: 1) უშუალო ურთიერთობათა შეზღუდულობა; 2) ჯგუფთან პერსონალური იდენტიფიკაციის სისუსტე; 3) სუსტი კავშირები ჯგუფის წევრებს შორის; 4) შეზღუდული მეორეული ურთიერთობები; 5) დროებითობა. პირველად ჯგუფებში ადამიანებს ახლო ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან; მათ იციან ერთმანეთის ჭირ-ვარამი; ის ტრადიციული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი. თანამედროვე საზოგადოებაში კი ურთიერთობები ეტიკეტზე ანუ კულტურულ ნორმებზეა დამყარებული; პირველადი, პირდაპირი ურთიერთობებია მეგობრობასა და სიყვარულზე აგებული ურთიერთობები; მეორეული ანუ არაპირდაპირი ურთიერთობაა უცხოებს შორის ურთიერთობა, თანამშრომლობა სამსახურში, ბიუროკრატია და ურთიერთობის ყველა ის ფორმა, რომელიც გარკვეული სახის შეთანხმებასა და კულტურულ თუ სხვა ნორმებზეა დამყარებული. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ურთიერთობის მესამე რიგი, ე. წ. მესამეული ურთიერთობა, რომელშიც ჩართული მხარეები შესაძლებელია არასოდეს არ შეხვდნენ ერთმანეთს, ასეთია, მაგალითად, მედიაურთიერთობა.

სტატუსი

სოციალური ურთიერთმოქმედების არსებობა ძნელი წარმოსადგენია მასში ჩართულ ადამიანთა სოციალური მდგომარეობის შესახებ წინასწარი საბაზისო ხასიათის მქონე შეფასებების გარეშე. სოციალური მდგომარეობის აღსანიშნავად სოციოლოგები სტატუსის ცნებას ხმარობენ. იგი ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის მეტ-ნაკლებად მყარი პოზიციაა საზოგადოებაში, რომელიც განსაზღვრულ უფლებებთან და მოვალეობებთანაა დაკავშირებული. ჩვეულებრივ მეტყველებაში სტატუსის ცნება „პრესტიჟის“ ცნებასთანაა დაკავშირებული. თუმცა პრესტიჟის „ცნება“ შეფასებით პოზიციასთანა დაკავშირებული, იგი საზოგადოების ან მის წევრთა მიერ სხვადასხვა მოვლენების სოციალური მნიშვნელობების დადებითი ან უარყოფითი შეფასებაა, რომელიც სოციალური აღიარების, მოწონების, წახალისების და ა. შ. მოტივაციას წარმოადგენს.

სტატუსი ჩვენი სოციალური იდენტობის ნაწილია, რომელიც ინტერაქციაში გვეხმარება. ამაზე მიანიშნებდა სოციოლოგიის ერთ-ერთი კლასიკოსი გეორგ ზიმელი, როდესაც ამბობდა, რომ „ვისთანაც არ უნდა იყოს, ურთიერთობის უპირველესი პირობა იმის ცოდნაა, თუ ვისთან გაქვთ თქვენ საქმე“. ნებისმიერ ადამიანს ერთდროულად რამდენიმე სტატუსი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, მოზარდ გოგონას მშობლებისათვის შვილის სტატუსი აქვს, ძმისთვის – დის, თანატოლებისათვის – მეგობრის, ხოლო სკოლის გოგონათა ფეხბურთის გუნდის წევრებისათვის – მეკარის და ა. შ. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ათობით სხვადასხვა სტატუსს იძენს და კარგავს. სოციოლოგები სტატუსის კლასიფიკაციას იმის მიხედვით ახდენენ, თუ რა პრინციპის საფუძველზე ხდება მისი მოპოვება.

- მიწერილი სტატუსი – სოციალური მდგომარეობა დაბადებით ან მემკვიდრეობით ან უნებურად მიიღება (მაგალითად, ქალწულის ან თინეიჯერის სტატუსი).
- მიღწეული სტატუსი – სოციალური მდგომარება ან პოზიცია საკუთარი ძალისხმევის წყალობით მიიღწევა (მაგალითად, სოციოლოგიის დოქტორი, ქმარი, მასწავლებელი და ა. შ.).
- ძირითადი ანუ დომინანტი სტატუსი – რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური იდენტობისათვის და რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ნარჩუნდება (მაგალითად, ის ძირითადი საქმიანობა, რომლითაც ადამიანი მთელი თავისი ცხოვრება დაკავებულია). ნეგატიურ პლანში დომინანტი სტატუსი შეიძლება იყოს რაიმე სახის სერიოზული დაავადება, მაგალითად, შიდსი. ასეთი სტატუსის მქონე ადამიანებთან ურთიერთობას, ჩვეულებრივ, ერიდებიან ხოლმე.

უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალური სტატუსის ცნების საფუძველია არა ეკონომიკური, არამედ სოციალური მდგომარეობა. სოციალური სტატუსის კვლევა მაქს ვებერის სახელთანაა დაკავშირებული. იგი მას სოციალური დიფერენციაციის (სტრატიფიკაციის) ანალიზის ანალიტიკურ საშუალებად იყენებდა.

როლი

სოციალური ურთიერთმოქმედების მეორე შემადგენელი ნაწილია როლი. როლი მოსალოდნელი ქცევაა, რომელსაც ინდივიდი კერძო სიტუაციაში ასრულებს და რომელიც კონკრეტულ სტატუსთანაა დაკავშირებული. საზოგადოებაში ადამიანებს აქვთ სტატუსი და

მათ შესაბამის როლებს ასრულებენ. სტატუსი და როლი დიდწილად კულტურაზეა დამოკიდებული. როლი სოციალურად კონსტრუირებული ქცევაა. მთელი ჩვენი სოციალური ცხოვრება როლების ათვისების (სწავლის) პროცესია. როლების კლასიფიკაცია მოახდინა პარსონსმა. მან ხუთი კრიტერიუმის საფუძველზე შემდეგი სახის როლები გამოყო:

- ემოციურობის ხარისხის მიხედვით, ზოგი როლი ემოციურ თავშეკავებას გულისხმობს, ზოგი, პირიქით, ამჟღავნებს მას;
- მიღების წესის მიხედვით, ზოგი ინდივიდს მიეწერება, ზოგი ძალისხმევით მოიპოვება;
- მასშტაბის მიხედვით, ზოგი როლი ერთი სახის ურთიერთობებს მოიცავს, ზოგი ფართო და მრავალასპექტიანია;
- ფორმალიზაციის მიხედვით, ზოგი როლი შეესაბამება დადგენილ წესებს, ზოგიერთი არაფორმალურ ურთიერთობებს ემყარება;
- მოტივაციის მიხედვით, ზოგი როლის შესრულებას პირადი სარგებლიანობა უდევს საფუძვლად, ზოგს – სხვაზე ან საზოგადოებაზე ზრუნვა;

როლების მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მოლოდინები ვიქონიოთ და წინასწარ ვიცოდეთ, თუ როგორ მოიქცევიან სხვები სხვადასხვა სიტუაციებში და როგორი იქნება მათზე რეაქციები. ამდენად, როლების არსებობა საზოგადოებაში სოციალური წესრიგისა და სოციალური ურთიერმოქმედების განმსაზღვრელია.

რეალობის სოციალური კონსტრუირება

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენს მოქმედებას სტატუსი და როლი აძლევს მიმართულებას, ჩვენც ჩვენივე აქტიურობით რაღაც ახალს ვუმატებთ მას და ასე იქმნება ის სინამდვილე, რომელშიც გვიწევს ყოფნა. ამ პროცესის აღსანიშნავად თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებულია გამოთქმა „რეალობის სოციალური კონსტრუირება." ფაქტობრივად, ეს არის სოციალური ურთიერთმოქმედების პროცესი, რომლის მეშვეობით აქტიური შემოქმედებით ადამიანები სოციალურ რეალობას ქმნიან. ინტერაქციის სტრუქტურის შესახებ თანამედროვე სოციოლოგიაში არსებულ თეორიებს შორის მნიშვნელოვანია: სიმბოლური ინტერაქციონიზმი, დრამატურგიული მიდგომა, ეთნომეთოდოლოგია, საუბრის ანალიზი, სოციალური გაცვლის თეორია და ემოციების სოციოლოგია.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი

მაქს ვებერი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ როლს, რომელსაც ყოველდღიური ქცევა სოციალური სტრუქტურის შესანარჩუნებლად ასრულებს. შემდგომში მან არაერთ სოციოლოგიურ თეორიას მისცა ბიძგი ამ მიმართულების კვლევა-ძიებაში. ამ თეორიებს შორის ჯორჯ ჰერბერტ მიდის სიმბოლური ინტერაქციონიზმია გამორჩეული. ტერმინი სიმბოლური ინტერაქციონიზმი მიდის მიმდევარ ბლუმერის მიერ არის შემოღებული (1969 წ.).

მიდის სიმბოლური ინტერაქციონიზმი სამ ამოსავალ დებულებაზეა დამყარებული: 1) ადამიანები საგნების მიმართ იმ მნიშვნელობების საფუძველზე მოქმედებენ, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური სინამდვილე იმ მნიშვნელობებისაგან შედგება, რომელსაც ადამიანები საგნებსა და მოვლენებს მიაწერენ; 2) საგანთა მნიშვნელობა იმ სოციალური ინტერაქციიდან მიიღება, რომელიც ადამიანებს შორის არსებობს; 3) ეს მნიშვნელობები კი სიმბოლური ინტერპრეტაციის საგანი ხდება (ჰმა, სიტყვები, ჟესტები, გამომეტყველება, აღნაგობა და ა. შ.), ანუ, მიდის მიხედვით, ინტერაქცია სიმბოლოთა გაცვლის ფორმის სახით მიმდინარეობს. აქტორი მნიშვნელობებს იმ სიტუაციის მიხედვით, რომელშიც ის იმყოფება, ამოწმებს და სახეს უცვლის მას. სიმბოლური ინტერაქციის დროს ადამიანები ჟესტების ინტერპრეტირებას ახდენენ, რაც მათთვის შესაფერისი მნიშვნელობების მინიჭებას ნიშნავს. ინტერაქციის პროცესში მყოფი ადამიანები მხედველობაში იღებენ იმას, თუ რას აკეთებენ სხვები და საკუთარ ქცევას სხვათა მოქმედებების გათვალისწინებით აყალიბებენ, რაც სხვისი როლის ათვისებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში სოციალური ინტერაქცია როლების ორმხრივ ათვისებად გადაიქცევა. საბოლოო ჯამში, სიმბოლური ინტერაქციონიზმი შეგვახსენებს, რომ საზოგადოება მის წევრებს შორის ურთიერთზემოქმედების შედეგია, ოღონდ საზოგადოების ქვეშ ამ შემთხვევაში ყოველდღიურობა იგულისხმება, ანუ ის სინამდვილე, როგორსაც მას ადამიანები აქტუალურად აღიქვამენ.

ეთნომეთოდოლოგია

სიმბოლურ-ინტერაქციონისტული პარადიგმა ამტკიცებს, რომ ადამიანები სოციალურ რეალობას ყოველდღიური ინტერაქციის მსელელობაში ქმნიან. მაგრამ როგორ განვსაზღვრაეთ ჩვენ რეალობას? – ამ კითხვაზე პასუხს ეთნომეთოდოლოგია („ეთნოს"– ხალხი, „მეთოდოლოგია" – მეთოდების, გზების, საშუალებების შესახებ მოძღვრება) იძლევა. ეთნომეთოდოლოგია თანამედროვე ამერიკელმა სოციოლოგმა ჰაროლდ გარფინკელმა შექმნა და ის იმ გზებისა და საშუალებების შესწავლაა, რომელთა დახმარებითაც ადამიანები თავიანთ გარემომცველ ყოველდღიურობას გაიაზრებენ. გარფინკელი შეეცადა სოციალური სინამდვილის შიგნიდან გააზრებას. ამ გააზრებაში თითოეულ ჩვენგანს ხელს უშლის ის, რომ ჩვენ დაბადებიდანვე სხვადასხვა კულტურულ სცენარებს ვართ შეზრდილი და ამიტომ მათ არსებობას სათანადოდ ვერ აღვიქვამთ, რაც, პირველ რიგში, ყოველდღიურობის რუტინულობის ბრალია. ყოველდღიურობის გასაანალიზებლად გარფინკელმა სპეციალური მეთოდი გამოიგონა, რომელსაც **breching** – ექსპერიმენტი დაარქვა. ექსპერიმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საგანგებოდ მოხდეს საზოგადოებაში არსებული კულტურული ნორმების დარღვევა და შემდეგ – რეაქციების ჩანიშვნა და ანალიზი. ეს ყოველივე იმის საჩვენებლად დასჭირდა გარფინკელს, რომ სოციალური რეალობის სტაბილური წყობა თითოეული ჩვენგანის ერთმანეთთან ყოველდღიური ინტერაქციისაგან აიგება. ეთნომეთოდოლოგიას ძალიან ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, რომლებიც მას არასერიოზულ კვლევად მიიჩნევენ იმის გამო, რომ ის ჩვეულებრივ მოვლენებს არაჩვეულებრივი მეთოდებით იკვლევს. ასეა თუ ისე, ეთნომეთოდოლოგია ყოველდღიურობის სიღრმისეულ ანალიზში შეუცვლელია.

გარფინკელი თავის სტუდენტებთან ერთად საგანგებოდ არღვევდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს და შემდეგ ამ დარღვევებზე რეაქციებს იწერდა. ექსპერიმენტის დროს გარფინკელის სტუდენტები სახლში ისე იქცეოდნენ, თითქოს სტუმრები ყოფილიყვნენ; სუპერმარკეტში ბაზრის მსგავსად იქცეოდნენ და ა. შ. არასტანდარტულ ქცევებზე რეაქციების ანალიზით გარფინკელმა ინტერაქციის იმ ავტომატურ, გაუცნობიერებელ კანონებზე გააკეთა აქცენტი, რომლითაც სოციალური რეალობის ჩამოყალიბება ხდება.

დრამატურგიული ანალიზი: „თეითპრეზენტაცია"

დრამატურგიული მიდგომის თეორეტიკოსი თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი ირვინგ გოფმანია. მის მიხედვით, სოციალური სინამდვილე იმპროვიზებული თამაშებისა და სკეტჩების სერიაა. შესაბამისად, დრამატურგიული ანალიზისათვის სოციალური ინტერაქცია თეატრალური წარმოდგენის მსგავსია, ოღონდ ნამდვილი თეატრისაგან განსხვავებით აქ რაიმე დირექტიევები არ არსებობს, ამიტომ მოქმედი პირები თვითონ წყვეტენ, ვინ რა როლს შეასრულებს, მაგრამ ამასთანავე ისინი ცდილობენ სხვა მონაწილეებიც დაარწმუნონ იმაში, რომ მათ მიერ შესრულებული როლი ბუნებრივია. ამის აღსანიშნავად მან სპეციალური ტერმინი „შთაბეჭდილებათა მართვა" შემოიტანა. გოფმანის მიხედვით, ეს არის საშუალება იმისათვის, რომ ადამიანმა გააკონტროლოს ის, თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე. ინტერაქცია საკუთარი თავის სხვებისადმი წარდგინების, თვითპრეზენტაციის პროცესია, წარმოდგენათა მართვა კი – თვითპრეზენტაციის შედეგად სხვების შეხედულებათა კონტროლი. ამიტომ საკუთარი თავის სხვებისადმი წარდგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგან (პიროვნულ) და გარეგან (ჩაცმა-დახურვა და სხვა) ნიშან-თვისებებს. ძალიან ხშირად უცოცი თავის უცოცობას გარეგნული ნიშნებით (ჩაცმა-დახურვა) მალავს. იმისათვის, რომ წარმოდგენა გაგრძელდეს, ადამიანები ხშირად ისე მოქმედებენ, თითქოს მათ მიერ განხორციელებული როლი ბუნებრივი იყოს, ხოლო თუკი ვინმე შეცდომას დაუშვებს, ამ შემთხვევაში ისე მოიქცევიან, თითქოს არაფერი შეუმჩნევიათ. ამას გოფმანი „განზრახ არშემჩნევას" ეძახის. იმისათვის, რომ მუდმივად სცენაზე ყოფნით არ დაიღალოს ადამიანი, სოციალურ სინამდვილეს მეორე მხარეც აქვს – კულისები, ეს ერთგვარი დასასვენებელი ადგილია, რომელიც უკლებლივ ყველა დაწესებულებას აქვს. გოფმანის დრამატურგიული ანალიზი კიდევ უფრო წინგადადგმული ნაბიჯია სოციალური ინტერაქციის გასაღების ძიებაში.

საუბრის ანალიზი

ინტერაქცია, ფაქტობრივად, ადამიანებს შორის დიალოგია. დიალოგი საუბრის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ XX საუკუნის სოციოლოგებმა განსაკუთრებული ყურადღება საუბრის ანალიზისაკენ წარმართეს. საუბრის ანალიზის თეორეტიკოსი პარვეი საჰსია. იგი ფიქრობდა, რომ ყოველდღიურობის წყობა საუბრების გზით არის წარმოშობილი. ამის საჩვენებ-

ლად შემთხვევით საუბრებს იწერდა და შემდეგ მათ დეტალურ ანალიზს აკეთებდა. საჩსმა თავისი კოლეგები საუბრის სტრუქტურის ანალიზით დაიწყო, მაგრამ მისი შემდგომი მკვლევრები ისეთი საკითხებითაც დაინტერესდნენ, როგორიცაა საუბრის ფუნქცია, შინაარსი და ინტერპრეტაცია. საჩსმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თითქმის ყველა საუბარს ბევრი საერთო დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. საუბრის ანალიზი განსაზღვრავს, თუ როგორ ვიყენებთ სტრუქტურას საუბრის წაყვანისა და საკუთარი მიზნების მისაღწევად.

სოციალური გაცვლა

სოციალური გაცვლის თეორეტიკოსები ამერიკელი სოციოლოგები ჯორჯ ჰომანსი და პიტერ ბლაუ არიან.



ჯორჯ ჰომანსი (დაიბადა 1910 წ.), ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი

მათი აზრით, სოციალური ინტერაქცია გაცვლის პრინციპზეა დამყარებული. საუბარია როლების გაცვლაზე. გაცვლა ნაცვალგების პრინციპით იმართება. როდესაც ვინმე ჩვენთვის გაირჯება, ყურადღებას მოგვაქცევს ან რაიმეს გვაძლევს, ნაცვალგება მოითხოვს, რომ ჩვენც შესაბამისად გადავიხადოთ და ვაწარმოოთ ბალანსი ე. წ. სოციალური აღრიცხვის წიგნში. ბლაუ გაცვლას ეკონომიკური კუთხით უყურებდა, ჰომანსი კი — ბიჰეიორიზმის პოზიციიდან. ანუ მას მიაჩნდა, რომ ადამიანები უფრო ხშირად იმ ქცევას იმეორებენ, რომელმაც მათ წარსულში რაიმე ჯილდო ან წარმატება მოუტანა. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანებს შორის ინტერაქციას სწორედ გაცვლა წარმართავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი იმის გადაწყვეტის დროს, რა მოიმოქმედოს, აფასებს პოტენციურ სარგებელსა და ხარჯებს და მათ დაბალანსებას ცდილობს. მსგავსი რამ ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. გაცვლა ანგარებას გულისხმობს, რაც ტრადიციულ საზოგადოებაში ნაკლებ მიიჩნევა, თუმცა ამერიკელი სოციოლოგები ფიქრობენ, რომ გაცვლა ყოველთვის არ არის ცივი და ანგარებიანი (მაგალითად, მშობლების თავგანწირვა შვილებისათვის და სხვ.).

ემოციების სოციოლოგია

სოციალური ინტერაქციის ბუნების ასახსნელადაა მოწოდებული ე. წ. ემოციების სოციოლოგია, რომელიც გრძნობებსა და ემოციების გამოხატვას მიიჩნევს ინტერაქციის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. მაგალითად, შეჯმუხნული წარბისა და ბაგრაზებული ქცირილი ის უესტებია, რომლებიც სხვებს ბრაზზე მიანიშნებენ. ემოციები ბეიმხელენ ურთიერთობაში, სირცხვილს თუ სიყვარულს. თითოეული ემოციალურად ორგანიზებულია. ემოციების სოციოლოგები (თომას სჩიფი და სუზან რეთფორდი) ყურადღებას უმობენ სირცხვილის ქცევას. ისინი ფიქრობენ, რომ ის უმთავრესია ადამიანურ ემოციებში. მან შეიძლება საჭირო ემოციების მარკირებულად მიიქციოს. ამიტომაა მაგრამ ადამიანებმა ეს უნდა ისწავლონ. ინტერაქცია გარკვეულწილად ემოციების მართვაა, რაც ძალზე ხშირად ემოციების ნორმებს ეფუძნება. თანამედროვე საზოგადოებაში ახალი ემოციური ნორმები ჩნდება. ემოციების მართვა ზოგჯერ

სებში, მაგრამ პრიორიტეტული პოზიციები მათ არ უკავიათ, რასაც ემოციების სოციოლოგიამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

იუმორი: რეალობასთან თამაში

სოციალურ ინტერაქციაზე სერიოზული საუბარი იუმორის გარეშე წარმოუდგენელია. იუმორი ჩვენი ყოველდღიურობის განუყრელი ნაწილია. ინტერაქციის პროცესში მას სიცილაღე და სიხალისე შეაქვს. ის თითქმის ყველა კულტურაშია წარმოდგენილი. იგი რეალობის კონსტრუირების პროდუქტია და კონტრასტებიდან მომდინარეობს. სოციოლოგები იკელევენ მის დინამიკას, თემატიკასა და ფუნქციებს. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოსახსნელად, კონფლიქტური სიტუაციების განსამუხტავად და სხვ. მასში ჭარბად არის თამაშის ელემენტები, რის გამოც მას სოციალურ სინამდვილესთან თამაშადაც კი განიხილავენ. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იუმორის საშუალებით ადამიანი შეგნებულად გაურბის ან მაღლდება რუტინულ ყოველდღიურობაზე, რომელიც არც ისე ხშირად შეესატყვისება ჩვენს მოთხოვნებს. ცნობილი ფაქტია, დაჩაგრული და დაპყრობილი ქვეყნები კომიკოსთა დიდი რაოდენობით გამოირჩეიან ხოლმე. იუმორის გარეშე მართლაც ძნელი წარმოსადგენი და რუტინული და აუტანელი იქნებოდა ადამიანებს შორის ურთიერთობა. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ადამიანს იუმორის გრძნობა არა აქვს, ის ვერ აცნობიერებს საკუთარ თავისუფლებას და რუტინული ყოველდღიურობის ტყვეობაში რჩება სამუდამოდ. ერთი მცირედი გაღიმებით ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავთან ერთად გარემომცველი სამყაროს შეცვლა, ამიტომ ხშირად გაიღიმეთ.

რაც შეეხება სოციალურ ინტერაქციას, იგი სოციალური ცხოვრების ყველაზე მეტად ამოუცნობი, უცნაური და შემოქმედებითი მხარეა. ყოველივე ის, რაც მის შესახებ ითქვა, ჯერ კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მის სიღრმეებშია დამალული, ამიტომ ამ მიმართულებით წარმართული სოციოლოგიური კვლევა-ძიება ახალ-ახალი სიურპრიზების მოლოდინში უნდა იყოს მუდამ.

დავალება:

– შეეცადეთ ჩაატაროთ **breching** ექსპერიმენტი თქვენ მიერ შერჩეულ ჩვეულებრივ გარემოში და ჯგუფში ლექტორის დახმარებით გააანალიზეთ მიღებული შედეგები.

– განსაზღვრეთ თქვენი სოციალური სტატუსი და როლი. დააგინეთ, რა კავშირია მათ შორის.

– ერთ-ერთი ხუმრობა სოციოლოგებზე ასეთია:

„კითხვა: რამდენი სოციოლოგია საჭირო ნათურის გამოსაცვლელად?

პასუხი: არც ერთი, რადგანაც მასთან ყველაფერი წესრიგშია; სისტემის გამოცვლაა საჭირო."

რა არის აქ სასაცილო? როგორი ადამიანები მიხვდებიან ამ ხუმრობას? რატომ ვერ გაიგებს მას ყველა?

– თქვენი აზრით, რა განსხვავებაა სოციალურ და თეატრალურ დრამატურგიას შორის? რაში ეთანხმებით ჰოფმანს და რაში არა?

– რას ნიშნავს „სოციალური ბუღალტერია" და იზიარებთ თუ არა სოციალური გაცვლის თეორიას? პასუხი დაასაბუთეთ.

– ამ თემებიდან ერთ-ერთი მოამზადეთ საპრეზენტაციოდ:

- ემოციების სოციოლოგია,
- იუმორის სოციოლოგია.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 99-156.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაშრ). გვ. 197-223.
2. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს.ენაზე). გვ. 130-167.
4. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 72-82.
5. დ. კარნეგი, როგორ შეიძინოთ მეგობრები, როგორ მოვიმხრიოთ ადამიანები. თბ., 1992. გვ. 25-43.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები

ეკონომიკური სოციოლოგიის კორიფე – კარლ მარქსი



Karl Marx

მსოფლიოში ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი, პოლიტიკური ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე კარლ მარქსი (მორდეხაი ლევი) დაიბადა 1818 წლის 5 მაისს პრუსიაში, ქალაქ ტრირში, ადვოკატის ოჯახში (მისი სახლ-მუზეუმი ტრირში მდებარეობს მისამართზე: Brucrtnstrase, 10). 1841 წლს ექსტერნად დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და დასაცავად წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის." იყო ჰეგელიანელი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბონში გადასახლდა აკადემიური კარიერის მოწყობის მიზნით, მაგრამ ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული მთავრობის პოლიტიკის გამო გეგმები ჩაეშალა და უარი თქვა სამეცნიერო კარიერაზე. იგი მემარცხენე ჰეგელიანელებთან დაახლოებული რაინელი რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენლის მიერ კიოლნში დაარსებულ ოპოზიციურ გაზეთ „Rheinische Zeitung-ში" ჯერ ჟურნალისტად, შემდეგ კი რედაქტორად იწყებს მუშაობას. ამ დროისათვის იგი პრუსიის მონარქიის რევოლუციური დამხობის ლოზუნგებით გამოდიოდა. მთავრობის მიერ გაზეთის დახურვამ მარქსი პოლიტიკური თვალსაზრისით მოუმზადებლობაში დაარწმუნა და იგი დიდი გულმოდგინებით შეუდგა ამ ხარვეზის აღმოფხვრას.

1843 წელს დაოჯახდა და საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. აქ იგი ჰაინრიხ ჰაინესა და ფრიდრიხ ენგელსს გაიცნობს. ამ უკანასკნელს იგი ცხოვრების ბოლომდე არ შორდება. მუშათა კლასის პრობლემატიკით იგი ენგელსმა დააინტერესა. 1845 წელს პარიზიდან გაძევებული მარქსი ბრიუსელში გადაბარგდა, სადაც ენგელსთან ერთად დაწერა ნაშრომი „გერმანული იდეოლოგია," რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ჰეგელი. 1847 წელს ის ენგელსთან ერთად საიდუმლო ორგანიზაციას – „კომუნისტთა კავშირს" აარსებს და 1848 წლის 21 თებერვალს თავის ცნობილ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს" აქვეყნებს. 1848 წლის თებერვლის რევოლუციის დასაწყისში ბელგიიდან გასახლებული მარქსი ჯერ პარიზში, შემდეგ გერმანიაში, კიოლნში ჩადის და თავისი გაზეთის აღდგენას ცდილობს, თუმცა ამ საქმეში ხელმოცარეის შემდეგ გერმანიიდან გასახლებული ლონდონში იდებს ბინას. მარქსი აქ სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ლონდონში მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიკური თეორია და აქტიურად ჩაერთო მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში. 1867 წლის მაისში დაიბეჭდა მისი „კაპიტალის" პირველი ტომი. მარქსი ლონდონში 1883 წლის 14 მარტს 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. მარქსის „კაპიტალის" მომდევნო II და III ტომები მისი სიკვდილის შემდეგ ენგელსმა გამოსცა.

იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიოში (ნიცშე და ფროიდი), მარქსს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ის მრავალმხრივი ფიგურაა და ამიტომაც მის მიმართ გამოთქმული შეფასებებიც არაერთგვაროვანია. მარქსისტული იდეოლოგიის 70-წლიანი დიქტატურიდან გამომდინარე, სულში მარქსიზმი წყეულ ფენომენად არის მიჩნეული. ევროპაში მას „მკვდარ ძაღლს" ეძახიან. ყველაფერი ეს მარქსისტული თეორიის დიქტატორულ იდეოლოგიად და პოლიტიკური ცხოვრების წესად ქცევამ გამოიწვია. მიუხედავად ასეთი ნეგატიური შეფასებისა, მარქსი მაინც რჩება მსოფლიოში ანგარიშგასაწევ და გენიალურ ეკონომისტად და სოციოლოგად. ეს ის სფეროებია, სადაც მარქსი მაქსიმალურად კომპეტენტურია დღესაც.

ფილოსოფიაში მარქსის შრომებმა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ფორმირება მოახდინა; ეკონომიკაში – დამატებითი ღირებულების თეორიის შექმნა; პოლიტიკაში – კლასთა ბრძოლის თეორიისა და სხვ. სოციოლოგიაში მარქსმა საზოგადოების ეკონომიკური ანალიზი მოგვცა; აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ გაუცხოების პრობლემის ანალიზი; მარქსი ცნობილია, როგორც საზოგადოებისადმი სისტემური მიდგომის ერთ-ერ-

თი გაელენიანი წარმომადგენელი. მისი სოციოლოგიური კონცეფციით, სოციალური განპირობებულია ეკონომიკურით, ხოლო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის დასაყრდენი ძალაუფლება და ძალადობაა. ამ კონტექსტში იგი „ძალაუფლების სოციოლოგიის," „პოლიტიკური სოციოლოგიისა" და კონფლიქტოლოგიის კლასიკოსად წარმოგვიდგება.

მარქსის მიხედვით, დიდებული პოეზია და რთული სამართლებრივი და სოციალური დაწესებულებები შიმშილის წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლისა და მკაცრ კლიმატურ პირობებში ვერ წარმოიშობა. ადამიანი, მის მიხედვით, საზოგადოებრივი არსებაა. საზოგადოება განსაზღვრავს ადამიანის განვითარებასა და პირად შესაძლებლობებს. ნებისმიერი სახელმწიფოსა და საზოგადოების შინაგან სტრუქტურას მისი საწარმოო ძალების განვითარების დონე განაპირობებს, ამიტომაც საზოგადოების ეკონომიკის ცოდნა ამ საზოგადოების ცოდნის ტოლფასია. ეკონომიკის ცოდნა კი საკუთრების ცნების ანალიზს მოითხოვს. სწორედ საკუთრების ფორმების სხვადასხვა ტიპი უდევს საფუძვლად საზოგადოების სხვადასხვა ტიპს. მარქსის აზრით, საკუთრების პირველი ფორმა არის ედემი. კაცობრიობის ისტორიის ამ სტადიაზე ჯერ კიდევ არ არის წარმოება განვითარებული. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებაში შრომა თითქმის არ არის განაწილებული. საკუთრების მეორე ფორმა არის მონობა, რომელიც ედემშიც არსებობდა, მაგრამ ფარულად. მისი არსებობა უკვე იგარაუდებოდა ოჯახის სტრუქტურაში. საკუთრების ეს ფორმა მოსახლეობის გამრავალების შემდეგ ჩნდება და თავის თავს აგრარულ, ფეოდალურ საზოგადოებაშიც ინარჩუნებს. საკუთრების მესამე ფორმა – კაპიტალისტური საკუთრება არსებობს ყველგან, სადაც თავს იჩენს ვაჭრობა და წარმოება, ანუ სადაც საზოგადოების ახალი ფენის წარმომადგენლები – კაპიტალისტები ჩნდებიან. მარქსის მიხედვით, კაპიტალისტები აკონტროლებენ წარმოების საშუალებებსა და ფულს, შესაბამისად მათ ხელშია ძალაუფლება. საკუთრების მეოთხე ფორმა სოციალისტური საკუთრებაა. ამ შემთხვევაში კერძო საკუთრება მინიმუმამდეა დაყვანილი და უკვე ერთი ნაბიჯია დარჩენილი უკლასო – კომუნისტურ საზოგადოებამდე, რომლის მისაღწევად კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციის გზით დამხობაა საჭირო. მარქსის მიერ შემუშავებული მოდელი – ედემი, მონობა, კაპიტალიზმი ყველა საზოგადოებამ უნდა გაიაროს იმისათვის, რომ კომუნიზმს მიაღწიოს. თუმცა მსგავსი მოდელი წინააღმდეგობაში მოდის ისტორიულ ფაქტებთან, რომელთა მიხედვით, წარმატებული სოციალისტური რევოლუციები მოხდა არა ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, არამედ აგრარულ მეურნეობაზე დამყარებულ სახელმწიფოებში – რუსეთში, კუბასა და ჩინეთში. ასე რომ, ამ მხრივ მარქსის კონცეფცია მრავალი ხარვეზის შემცველია. თუმცა კაპიტალისტური საზოგადოების ანალიზში მარქსს ბადალი არ ჰყავს. რეალურად არსებული საზოგადოების ანალიზში მას ბევრი რამ დაეჯერება, რასაც ვერ ეიტყვით იმ საზოგადოებაზე, რომელიც მარქსის იდეაში არსებობდა და რომლის შესახებაც ის წინასწარმეტყველებდა.



მარქსის მთავარი ნაშრომი „კაპიტალი"

მარქსისტული თეორიის მარცხის მიუხედავად, მისი ავტორის ნააზრევმა დიდი გაელენა მოახდინა შემდგომი პერიოდის დასავლურ აზროვნებაზე, განსაკუთრებით ეგზისტენციალიზმზე (ჟან-პოლ სარტრი), შემეცნების თეორიაზე (მაქს შელერი), ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელთა ნააზრევზე (მაქს ჰორკჰაიმერი, თეოდორ ადორნო, ჰერბერტ მარკუზე, ერიხ ფრომი, იურგენ ჰაბერმასი), სტრუქტურულ სოციოლოგიაზე და სხვ. მარქსისტულ თეორიასთან ოპონირებით არაერთი საინტერესო, ახალი და ალტერნატიული სოციალური თეორია იქნა ჩამოყალიბებული (მაგალითად, მ. ვებერისა და კ. პოპერის თეორიები). მარქსიზმი შეუთავსებელი აღმოჩნდა პიროვნების თავისუფლებასთან და „ღია საზოგადოების თეორიასთან."

მარქსის ძირითადი შრომებია: 1) „ეკონომიკურ ფილოსოფიური ხელნაწერები" (1844 წ.); 2) „თეზისები ფოიერბახის წინააღმდეგ" (1845 წ.); 3) „გერმანული იდეოლოგია" (1846 წ); 4)

„ფილოსოფიის სიღატაკე“ (1847); 5) „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ); 6) „კაპიტალი“ და სხვ.

1999 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მარქსი ათასწლეულის უდიდეს მოაზროვნედ იქნა აღიარებული, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის მონაცემებით მარქსი პირველია იმათ შორის, ვისადმი ყველაზე მეტი ნაშრომია მიძღვნილი.

„პოლიტიკაში დასახული მიზნის მისაღწევად თვით ეშმაკთან შეიძლება კავშირის დამყარება, ოღონდ იმაში უნდა იყო დარწმუნებული, რომ შენ ეშმაკს მოატყუებ და არა ეშმაკი მოგატყუებს შენ.“

კარლ მარქსი

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ჯენი თეიჩმანისა და ქეთრინ ევანსის წიგნიდან „ფილოსოფია“

მარქსის მემკვიდრეობა

„– ჩვენს დღეებში მარქსის თეორია შეიძლება წარმოგვიდგეს მხოლოდ, როგორც ინტელექტუალური თამაში, რომელიც იფარგლება მოძველებული რწმენით პროგრესის შესახებ, მაგრამ მარქსის უტოპიურ შეხედულებათა ძალის ჯეროვანი შეუფასებლობა მისი მოძღვრების გაუგებლობა და შეზღუდულობა იქნებოდა. მარქსის გავლენა განიცადა მოაზროვნეთა არა ერთმა თაობამ არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მთელი ჩვენი საუკუნის მანძილზე ყველა მეტად გამოჩენილი ევროპელი ინტელიგენციის წარმომადგენელი კითხულობდა მარქსს. ჟან-პოლ სარტრი, სიმონა დე ბოვუარი, მიშელ ფუკო, ანტონიო გრამში, რომ აღარაფერი ეთქვათ პერბერტ მარკუზეზე, თეოდორ ადორნოსა და იურგენ ჰაბერმასზე, – ყველა ისინი ერთ დროს აღფრთოვანებული იყვნენ მისი თხზულებებით.


საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ მარქსის იდეები გადმოიღეს და თავისებურად გარდაქმნეს ჩვენი დროის ყველაზე სახელგანთქმულმა პოლიტიკოსებმა. მარქსიზმის ტრანსფორმაცია მოახდინა ლენინმა, რომელმაც ეს თეორია შეუხამა თავის ხედვას რუსეთის სახელმწიფო სოციალიზმის საჭიროებათა შესახებ. ფიდელ კასტრომ გამოიყენა იგი კუბის რევოლუციაში. მაო ძედუნმა ისარგებლა მარქსიზმის ჩინური ვერსიით, გრამშიმ – ევროპულით. სახელმწიფო სოციალიზმის იდეის აქტიურმა გამტარებლებმა სიტყვიერი ხარკი მოიხადეს კლასობრივი ბრძოლის წინაშე, ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატის გამარჯვება მათ სასიკეთოდ გადაწყდა, და ეს მტკიცება ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმის წინასწარმეტყველებას სახელმწიფოს კვდომისა და უსახელმწიფოო საზოგადოების აყვავების შესახებ...“

ეს საინტერესოა

„თანამედროვე დასაელეთში სექსმა უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე სულმა. იგი ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც თავად ცხოვრება“.

ჯორჯ რიტცერი

სექსუალობის სოციოლოგია



„უბიწოების ქამარი“

ქალის სექსუალობის კონტროლი არა მარტო სექსუალობის სოციოლოგიის, არამედ, საერთოდ, საკაცობრიო ისტორიის ერთ-ერთი მყარი ელემენტია. შუა საუკუნეების ევროპულმა საზოგადოებამ ამისათვის სპეციალური მოწყობილობა, ე. წ. „უბიწოების ქამარი“ გამოიგონა, რომელსაც ქალებს აცმევდნენ და ამით უზღუდავდნენ მათ სექსუალური აქტის შესრულებას. დღეს ამგვარ მოწყობილობას ეერსად შეეხვედებით, მაგრამ სექსუალობაზე კონტროლის მექანიზმები თანამედროვე საზოგადოებაშიც შენარჩუნებულია.

სექსუალობას თანამედროვე სოციოლოგები სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, იგი სოციალური უთანასწორობის გამოხატულებაა. ამის მაგალითს ამერიკა იძლევა, რომლის მთელ ტერიტორიაზე პროსტიტუცია აკრძალულია, მაგრამ პოლიციელების მიერ დაკავებულთა სტატისტიკით ირკვევა, რომ ამ აკრძალვის დამრღვეთა უმრავლესობა ქალები არიან. როგორც წესი, ამ მიზეზით ისინი უფრო ხშირად ხვდებიან პოლიციის განყოფილებაში. ეს ფაქტი სოციოლოგებს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროსტიტუციით დაკავებულ ქალთა რაოდენობა ასეთი კოლოსალური არ იქნებოდა, მათ რომ მამაკაცების დარი ეკონომიკური შესაძლებლობები ჰქონოდათ. ამ მოსაზრებას სოციოლოგიაში ძირითადად ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლები არ იზიარებენ და, შესაბამისად, ამ კუთხით ქალთა უფლებების დასაცავად იბრძვიან. ფემინისტების აზრით, თუკი ქალში მხოლოდ სექსუალობას მიეაქცევთ ყურადღებას და მეტს არაფერს, მაშინ ძველი დროის ადამიანებს დაემსგავსებით, საიდანაც მომდინარეობს სიტყვა „პორნოგრაფია“ (ბერძნულად „პორნე“ – მამაკაცის სექსუალურ მხეცალს, მსახურს ნიშნავს), რომლებიც ქალს, როგორც სახმარ ნივთს, ისე განიხილავდნენ.

სექსუალობა და სექსი თანამედროვე საზოგადოებაში ინდუსტრიადაა ქცეული. დღეანდელ კულტურაში სექსუალობა სპორტულ გატაცებად იქცა. ამ ყველაფერმა თავისი ასახვა პოვა თანამედროვე ადამიანის მეტყველებაში და ა. შ. სექსუალობასთან დაკავშირებით სოციოლოგიაში ცნობილია ე. წ. „უცნაური იდენტობის თეორია,“ რომელიც მამაკაცთა სექსუალური ორიენტაციის საკითხს შეეხება.

საყურადღებოა აგრეთვე სექსუალური განათლების საკითხიც. ამერიკის მთელი რიგი სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში სპეციალური საგანი – „სექსუალობის საფუძვლებია“ შეტანილი, რამეთუ ამერიკელ თინეიჯერთა ნახევარზე მეტი აღიარებს, რომ მათ სექსუალური გამოცდილება უკვე 16 წლის ასაკში ჰქონდათ. ასეთ ვითარებაში მყოფი ამერიკელები მიიჩნევენ, რომ სექსუალური განათლების შემოღებას აზრი აქვს, თუმცა ამის შემდეგ არსებული სტატისტიკური მონაცემები საქმის გამოსწორებასთან დაკავშირებით დადებითი ტენდენციების არსებობას არ ადასტურებენ, ამიტომ სექსუალური განათლების შემოღების მოწინააღმდეგეები ამ საქმეში ოჯახს და მშობლებს ანიჭებენ უპირატესობას.

ეს საკითხი ძალზე პრობლემატურია ჩვენთანაც. მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი დღემდე სხვადასხვაგვარია.

საინტერესოა, როგორ ფიქრობთ თქვენ ამ საკითხებთან დაკავშირებით?

თემა სოციალური დებატებისათვის:

- რა საჭიროა სექსუალური განათლება?

მოიყვანეთ სექსუალობაზე კონტროლის მექანიზმების მაგალითები თანამედროვე საზოგადოებაში?

X ლექცია

თემა: სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: დევიაცია

საზოგადოების ისტორია არის მოწმე იმისა, რომ საზოგადოება ნებისმიერ დროსა და ეპოქაში ცდილობდა ადამიანური ქცევის არასასურველი ფორმების ჩახშობას. საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევით უმეტესწილად ბოროტმოქმედები ან გენიოსები, ზარმაცები ან სულმეტად შრომისმოყვარენი, ღარიბები ან მდიდრები გამოირჩევიან ხოლმე. საზოგადოებაში მიღებული და აღიარებული საშუალო ნორმისაგან დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით გადახრა, როგორც წესი, საზოგადოების სტაბილურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამიტომ სოციოლოგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სტაბილურობის მექანიზმების კელევას, რაც, ფაქტობრივად, დევიაციის კელევასაც ნიშნავს.

დევიაცია ლათინური სიტყვა **deviattio** - დან მომდინარეობს, რაც გადახრას ნიშნავს. მან ბიოლოგიასა და ფიზიკაში უფრო ადრე დაიმკვიდრა თავი, ვიდრე სოციოლოგიაში. სოციოლოგიაში იგი შედარებით გვიან დამკვიდრდა საზოგადოების მიერ აღიარებული კულტურული ნორმების გაცნობიერებული და წინასწარგანზრახული დარღვევის აღსანიშნავად. მისი გაგება სოციალური კონტექსტისა და სიტუაციის გათვალისწინებას საჭიროებს. ის სოციალურად კონსტრუირებული მოქმედებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სოციალური კონტექსტის გარეშე არ არსებობს, ანუ ქცევა, თავისთავად აღებული, არც ნორმალურია და არც დევიანტური. მისი დევიანტურობა სოციალური კონტექსტიდან და სიტუაციიდან გამომდინარეობს. დევიანტურ ქცევას ხშირად ადარებენ დანაშაულს – საზოგადოებაში ოფიციალურად მიღებული სისხლის სამართლის ნორმების დარღვევას, თუმცა სოციოლოგები მათი გაიგივების კატეგორიული წინააღმდეგი არიან. მაგალითად, გიდენსი მიიჩნევს, რომ დევიანტური ქცევა და დანაშაული არაეითარ შემთხვევაში არ უნდა აეურიოთ ერთმანეთში, რადგანაც დევიანტური ქცევა უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა, ვიდრე დანაშაული. დანაშაული ნორმიდან ისეთი გადახრაა, რომლის დროსაც ირღვევა კანონი. მაშინ როდესაც დევიაციის მრავალი ისეთი ფორმა არსებობს, რომელიც კანონით არ ისჯება, მაგალითად, ნუდიზმი (ლათინურად **nudus** -შიშველი) და ა. შ.

დანაშაულისა და დევიანტური ქცევის შესწავლით ძირითადად ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მეცნიერებაა დაკავებული. ესენია კრიმინოლოგია და დევიანტური ქცევის სოციოლოგია. კრიმინოლოგია ქცევის იმ ფორმებს შეისწავლის, რომლებიც სისხლის სამართლის კანონითაა გათვალისწინებული. მას, როგორც წესი, დანაშაულის კრიტერიუმები, დანაშავეობის დონის ცელილებები და მის შესამცირებლად მიმართული პოლიტიკა აინტერესებს. დევიანტური ქცევის სოციოლოგია, ბუნებრივია, კრიმინოლოგიური გამოკელევის შედეგებს იყენებს, მაგრამ ამასთანავე იგი ისეთ გადახრილ ქცევებს შეისწავლის, რომელთაც კრიმინოლოგია არ ეხება და მის კომპეტენციაში არ შედის. სოციოლოგებს აინტერესებთ, თუ რატომ განიხილება ზოგიერთი ქცევა, როგორც დევიანტური, ვინ არის დევიანტი, რა უბიძგებს მას გახდეს დევიანტი ანდა სად გადის ზღვარი ნორმალურობასა და გადახრას შორის.

> დევიაცია – გადახრა არის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც საზოგადოების ან ჯგუფის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და ღირებულებებს არღვევს. ქცევამ რომ დევიანტურის სტატუსი მიიღოს, ამისათვის ის სოციალურ სტანდარტებს უნდა არღვევდეს. რამდენადაც სოციალური სტანდარტები იცვლება, იმდენად დევიაციის შესახებ წარმოდგენაც იცვლება.

დევიანტური ქცევის ამხსნელი თეორიები

დანაშაულისა და ნორმიდან გადახრის ბუნების ახსნა ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა. მის ახსნას არაერთი მეცნიერება ცდილობდა. შესაბამისად, დევიანტური ქცევის შესახებ სხვადასხვა თეორიების წარმოშობის საფუძველიც ეს გახდა. დროთა განმავლობაში მეცნიერებაში უამრავი საინტერესო თეორიული და სხვადასხვა სახის ემპირიული მასალა დაგროვდა მის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგიას დევიანტური ქცევის კელევაში სოლიდური სამეცნიერო გამოცდილება დაუგროვდა, საკითხი მაინც არ შეიძლება ბოლომდე გადაწყვეტილად ჩაითვალოს, რადგანაც ვერც ერთი თეორია ამომწურავ პასუხს ვერ იძლევა დევიაციის ბუნების შესახებ, თუმცა მათ გარეშე დევიანტური ქცევის მექანიზმების მეტად დახლართულ ლაბირინთებში გზის გაკვალვა შეუძლებელი იქნება.

ბიოლოგიური თეორიები: „კრიმინალური ტიპები“

ბიოლოგიური თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა ბიოლოგიური ინსტინქტების გამოხატულებას წარმოადგენს, ამიტომ დანაშაულისა და დევიაციის კვლევისას აქცენტი მათ ბიოლოგიურ მიზეზებზე კეთდებოდა. ცნობილი იტალიელი ექიმი, ფსიქიატრი და კრიმინალისტი ჩეზარე ლომბროზო ფიქრობდა, რომ ბიოლოგიურ საფუძვლებთან შედარებით სოციალური პირობების გაელენა კრიმინალურ ქცევაზე უმნიშვნელოა. მან ციხის ექიმად მუშაობისას დამნაშავეთა გარეგნობისა და ფიზიკური ნიშან-თვისებების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ კრიმინალური ტიპების იდენტიფიცირება მთელი რიგი ანატომიური ნიშნების მიხედვითაა შესაძლებელი. ლომბროზოს აზრით, დამნაშავე ამოიცნობა, მაგალითად, დიდი ყურებით, თაეის ქალისა და ყბების სიდიდით, გრძელი ხელებით და ა. შ. არუ დამნაშავე ადამიანი მაიმუნისმაგეარი წინაპრის მსგაესია. შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი დეგენერაციითა და გონებრიეი ჩამორჩენილობით გამოირჩეეა, რამდენადაც ის ბიოლოგიურად განუეითარებელი დარჩა. ლომბროზომ დამნაშავის ოთხი ძირითად ტიპი გამოყო: სულთამხუთავი, ქურდი, მოძალადე და თაღლითი. კარგა ხნის მანძილზე ლომბროზოს მოსაზრებები დიდი კამათისა და მსჯელობის საგანი იყო, თუმცა მის შემდგომ არსებული ბიოლოგიური თეორიების უმრავალესობა მის დებულებებს ყურადღების გარეშე არ ტოვებდა.



ჩეზარე ლომბროზო
(1835-1909)

ლომბოზო ციხის ექიმი და ფსიქიატრი იყო. მას ძალიან ბეერი საინტერესო ნაშრომი აქეს დაწერილი. დეეიაციასთან დაკაეშირებით საინტერესოა მისი ნაშრომი „ქალი – დამნაშაეე და მეძაეი.“ ამ ნაშრომში მან ქალის ფენომენი სიყეარულთან, პროსტიტუციასთან და დანაშაულთან მიმართებაში განიხილა და იმ დასკენამდე მიეიდა, რომ ქალის ძირითადი ინსტინქტი არის დედობა. სწორედ ის განსაზღვრას ქალის ქცევას მთელი მისი ცხოერების მანძილზე.



ლომბროზოს წიგნში („დამნაშაეე ადამიანი“) წარმოდგენილი კრიმინალური ტიპები.

ლომბროზოს მიერ მითითებული ფიზიკური ნიშნების პოენა ადამიანთა ნებისმიერ პოპულაციაში არ გაჭირდება. გარდა ამისა, მის მიერ დასახელებული ფიზიკური ნიშნებით შესაძლებელია არათუ დეეიანტი, არამედ ნორმის დამცველი და მიმდეეარიც გამოირჩეოდეს.

ლომბროზოს შემდეგ მსგავსი კელეები უილიამ შელდონმა ჩაატარა. იგი სხეულის აგებულებაზე ამახვილებდა ყურადღებას და ასკვნიდა, რომ დამნაშავეობისაკენ უფრო მეტად ათლეტური აღნაგობის ადამიანები არიან მიდრეკილნი. დღეს ამ პრობლემების კელეით გენეტიკაა დაკავებული, თუმცა რაიმე ხელმოსაჭიდი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის. კრიმინალური ქცევის გენეტიკური საფუძვლების პოვნა ამ მეცნიერებამ ვერ მოახერხა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ შემთხვევაში ბიოლოგიური ფაქტორების გამორიცხვა არასწორია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ დევიაციას ბიოლოგიური საფუძვლები აქვს მხოლოდ.

ფსიქოლოგიური თეორიები: პიროვნული ფაქტორები, „ანორმალური ფსიქიკური მდგომარეობა"

დევიანტობის ფსიქოლოგიური გაგება ინდივიდუალური ანორმალურობის ცნებაზეა დამყარებული. ამ თეორიის მიხედვით, დევიანტობის მიზეზი წარუმატებელი სოციალიზაციის პროცესია. ამის ილუსტრირებას ახდენს ამერიკელი მკვლევრების უოლტერ რეკლესისა და საიმონ დინიტცის შრომები. მათ აჩვენეს, რომ დევიანტები ძირითადად პათოლოგიური ფსიქიკის მქონე პიროვნებები არიან (მაგალითად, საკუთარ თავში ჩაკეტილნი, პიროვნულ ემოციებს მოკლებულნი, იმპულსურად მოქმედნი და ა. შ.). ისინი ძალადობიდან სიამოვნების მიღებას ცდილობენ და, შესაბამისად, დანაშაულსაც ამ მიზეზით სჩადიან. თუმცა უნდა ითქვას, რომ მსგავს თეორიებს დანაშაულის მხოლოდ ცალკეული ასპექტების ახსნა თუ შეუძლიათ, რადგანაც ყველა სახის დანაშაულის ფსიქოლოგისტური ახსნა გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ყოველი შემთხვევისათვის, უნდა გავითვალისწინოთ, ის რომ ორივე, როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგისტური თეორია გვეუბნება (ერთ შემთხვევაში დანაშაულის მიზეზი ადამიანის სხეულშია მოთავსებული, მეორე შემთხვევაში – თავში), რომ დანაშაულის შემთხვევაში რაღაცა „სჭირს პიროვნებას" და არა საზოგადოებას, ამიტომ დანაშაულის მიზეზებს საზოგადოებაში სოციოლოგია და სოციოლოგიური თეორიები ეძებენ.

სოციოლოგიური თეორიები

ფუნქციონალისტური თეორია – ემილ დიურკემი: დევიანტობის ფუნქციები

სოციოლოგიის კლასიკოსმა ემილ დიურკემმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დევიანტობა სოციალური ორგანიზაციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. დევიაციის დიურკემისეული გაგების ნოვატორულობა იმაში გამოიხატება, რომ განსაცვიფრებელი იდეა წამოაყენა, რომლის მიხედვით, დევიაციაში არაფერი ანორმალური არ არის. პირიქით, ის აუცილებელია საზოგადოებისათვის, რაც მის ფუნქციებში ელინდება. დიურკემმა დევიაციის ოთხი ძირითადი ფუნქცია გამოყო:

- კულტურული ნორმებისა და ღირებულებათა გამყარება – დიურკემი მიიჩნევს, დევიაციასთან მიმართებაში საზოგადოება აყალიბებს, თუ რომელი ქცევაა მისაღები და რომელი არა. ეს იმას ნიშნავს, რომ დევიაცია ხელს უწყობს ნორმების გამყარებას. მაგალითად, მართლმსაჯულება დანაშაულის ცნების გარეშე აზრს დაკარგავდა.
- დევიაციაზე რეაქცია მორალურობის საზღვრებს აზუსტებს – დევიანტის იარლიყის მიკერებით საზოგადოება ზღვარს ავლებს და მონიშნავს, თუ სად მთავრდება ნორმალურობა და სად იწყება მისგან გადახრა.
- დევიაციაზე რეაქცია სოციალური ერთიანობის პირობა ხდება – ნორმიდან გადახრაზე ადამიანები ერთნაირად რეაგირებენ, რაც მათდა უნებურად მათი ერთიანობის პირობა ხდება. როგორც წესი, საზოგადოების წევრები ერთნაირად რეაგირებენ დევიაციაზე, ანუ, დიურკემის ტერმინოლოგიით, ამ საქმეში ისინი სოლიდარულები არიან. ეს კი მათ ერთიანობას ნიშნავს.
- დევიაცია ბიძგს აძლევს სოციალურ ცვლილებებს – დევიანტები თავიანთი ქცევით საზოგადოების ნორმალურობის საზღვრების შეცვლის ტენდენციით ხასიათდებიან, ანუ ხშირად სოციალურ ცვლილებათა ბიძგის როლს ასრულებენ. აღვნიშნავთ შესაძლებელია, რომ იგი სოციალური სტაბილურობის ნაცვლად სოციალურ ცვლილებათა წყაროდ მოგვეელინოს საზოგადოებაში, ოღონდ ამ შემთხვევაში საზოგადოების ტიპს გააჩნია. ტრადიციული საზოგადოება კონსერვატიულია, ხოლო თანამედროვე საზოგადოება ჰეტეროგენულად უდგება ამ საკითხს, ანუ საზოგადოებაში, სადაც მკვეთრად დადგენილი წესები არ არის, დევიაციისადმი მიდგომა მსუბუქია.

რობერტ კინგ მერტონის დაძაბულობის თეორია

დიურკემისაგან განსხვავებით, მერტონმა აჩვენა, რომ დევიანტობის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საშუალებებს გვთავაზობს საზოგადოებრივი წესრიგი მის მიერ დაწესებული ნორმების მისაღწევად, ანუ მერტონი ამბობს, რომ დევიაციის საფუძვლები საზოგადოების სტრუქტურაში დევს. მან იგი სოციალური დაძაბულობის ცნებას დაუკავშირა. სოციალური დაძაბულობა იმ ადამიანის ქცევას ახასიათებს, რომელიც ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, სადაც საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმები სოციალურ სინამდვილესთან კონფლიქტში მოდიან. მაგალითად, თანამედროვე საზოგადოებაში ყველას მიერ მიღებული ნორმები მატერიალური წარმატების მიღწევაზე აკეთებენ აქცენტს, რის მისაღწევადაც თვითდისციპლინა და ინტენსიური შრომაა საჭირო. შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც სინამდვილეში შეუპოვრად იღწვიან, წარმატებას უნდა აღწევდნენ, მიუხედავად იმისა, თუ საიდან დაიწყეს მათ ცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგანაც ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის ამ წარმატების მიღწევის საშუალებები შეზღუდულია. ამ შემთხვევაში ადამიანები წარმატების მიღწევას ნებისმიერი საშუალებებით ცდილობენ, იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო. ასეთ პირობებში დევიანტობა ეკონომიკური უთანასწორობის მეორეულ პროდუქტად იქცევა. ამგვარად, მერტონის თქმით, არსებული სოციალური დაძაბულობა სხვადასხვა სახის დევიანტურ ტიპს აყალიბებს. მაგალითად, კონფორმისტი ტრადიციული მიზნების მისაღწევად საზოგადოების მიერ აღიარებულ საშუალებებს იყენებს, ნოვატორი კი არატრადიციულ საშუალებებს მიმართავს ტრადიციული მიზნების მისაღწევად, ხოლო რიტუალისტი შესაძლებელია ტრადიციულ მიზნებს არ იზიარებდეს, მაგრამ მათ მისაღწევ საშუალებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს. მისგან განსხვავებით, რეტრიტისტი (ინგლისურ ენაზე **retreat** – უკანდახევა) არც მიზნებს იზიარებს და არც საშუალებებს. იგი ამოვარდნილია კულტურის მეინსტრიმიდან (ალკოჰოლიკები, ნარკომანები, „ბომჟები“ და სხვები). მისი დევიანტობა ცხოვრების ტრადიციული სტილიდან ამოვარდნაში მდგომარეობს. ცხოვრების დაძაბულობის შედეგად განცდილ ფიასკოზე რეაქცია არის ჯანყი, ბუნტი ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ. ბუნტისთავები კონტრკულტურას აყალიბებენ და არსებული სოციალური წესრიგის ალტერნატივას ქმნიან.



დიურკემისა და მერტონის ფუნქციონალისტური მიდგომა დევიაციის ფუნქციების გარკვევაში დაგვეხმარა, მაგრამ არაფერი გვითხრა იმ პროცესის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი დევიანტი გახდეს. ამ კითხვაზე პასუხი სიმბოლურ ინტერაქციონისტულ თეორიას აქვს მომზადებული.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი: იარლიყების მიკერების თეორია

სიმბოლური ინტერაქციონისტული პარადიგმა გვიხსნის, თუ როგორ განსაზღვრავენ ადამიანები ყოველდღიურ სიტუაციებში დევიაციას. სიმბოლური ინტერაქციონიზმის ფიალში ჩაისახა და განვითარდა იარლიყების მიკერების თეორია, რომელიც იმ პროცესების ანალიზს ახდენს, როდესაც გარკვეულ ინდივიდებს ანუ ჯგუფებს პოზიტიურ ან ნეგატიურ თავისებურებებს, სტერეოტიპებს ან ე. წ. იარლიყებს მიაწერენ („მიაკერებენ“). ამ მიდგომამ დიდი გავლენა იქონია დევიაციის პრობლემის სოციოლოგიურ ანალიზზე. იარლიყების მიკერების თეორიის კლასიკოსი ჰოვარდ ბეკერი ამტკიცებდა, რომ მოქმედებები, თავისთავად აღებული, არც კარგია და არც ცუდი: ნორმალურობა და მისგან გადახრა სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები, რაც იმას ნიშნავს, რომ დევიაცია არის არა მოქმედების თვისება, არამედ მოქმედებისათვის სხვათა მიერ მიწერილი („მიკერებული“) წესები და სანქციები. „ჩიკაგოს სკოლამ,“ უფრო სწორად, სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა აჩვენა ნეგატიური იარლიყების გავლენა ადამიანთა თვითცნობიერებაზე, განსაკუთრებით, დევიანტური იდენტობის, დევიანტური კარიერისა და დევიანტური სუბკულტურის

განეითარებაზე. ვინ ახდენს იარლიყების მიკერებას? ამ საქმით ძირითადად დაკავებული არიან მოსამართლეები, მედია და პოლიცია, ანუ სოციალური კონტროლის აგენტები. თუმცა ზოგჯერ ხდება ისე, რომ კრიმინალური კარიერის (ლოფმანის მიერ შემოღებული ტერმინია) ადამიანებში დევიანტური ქცევა ჩვევაში გადადის და სტიგმის სახეს იღებს. სტიგმა მკვეთრად გამოხატული სოციალური იარლიყი ან ფიზიკური ნიშანია, რომელიც პიროვნების ან ჯგუფის იდენტობის დევალვაციასა და დისკრედიტაციას ახდენს. დევიაციის შემთხვევაში ასეთი ნიშანი ინდივიდის კრიმინალური რეპუტაციაა. იარლიყების მიკერების თეორიას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მათ მიაჩნიათ, რომ იარლიყების მიკერების პროცესი ამ თეორიაში უკიდურესად გაზვიადებულია, რადგანაც ავტომატურ პროცესადაა მიჩნეული, რომელიც ინდივიდის პიროვნულ თვისებებს უგულებელყოფს.



ჰოვარდ ბეკერი

ამერიკელი სოციოლოგი ჰოვარდ ბეკერი მიიჩნევს, რომ სოციალური სტრუქტურების პრაქტიკული გამოხატულება სოციალური პროცესებია. სოციოლოგიამ სწორედ სოციალური პროცესები უნდა შეისწავლოს. სოციალურ პროცესში იგი პიროვნებას, სოციალურ ინსტიტუტებსა და კულტურას გულისხმობს.

ჰოვარდ ბეკერი იარლიყების მიკერების თეორიის კლასიკოსია.

პირველადი და მეორეული დევიაცია

ამერიკელმა სოციოლოგმა ედვინ ლემერტმა შენიშნა, რომ გარკვეული სახის ნორმათა დარღვევა (მაგალითად, ლექციების გაცდენა, ადრეულ ასაკში ალკოჰოლის მიღება და სხვ.) გარშემომყოფთა მხრიდან სუსტი რეაქციებით გამოირჩევა. მსგავსი ტიპის მოქმედებას ლემერტმა პირველადი დევიანტობა უწოდა. მაგრამ ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დევიანტური მოქმედება ადამიანის ცხოვრების წესად არის ქცეული (მაგალითად, როდესაც ადამიანი თავს არ ანებებს ალკოჰოლურ სასმელს, მას ლოთის იარლიყს მიაკერებენ, რაც, თავის მხრივ, ამ ადამიანის კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს და იგი კიდევ უფრო უმატებს სმას და ცხოვრების წესად აქცევს მას). მაშინ მეორეულ დევიანტობასთან გვაქვს საქმე.

დევიაცია კონფლიქტის თეორიის მიხედვით

კონფლიქტის სოციოლოგიური თეორია ასწავლებს, თუ როგორ აისახება და რა გაელვებას ახდენს დევიაციაზე სოციალური უთანასწორობა. ამგვარი მიდგომის მიხედვით, დევიანტად ვინმეს აღიარება ან არაღიარება იმ კატეგორიის ადამიანებზე არის დამოკიდებული, რომლებიც ძალაუფლების მფლობელები არიან. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა, კანონი მდიდართა ინტერესების დასაცავად არისო შექმნილი. ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერ საზოგადოებაში ნორმები მდიდრებისა და ძალაუფლების მქონეთა ინტერესების გამომხატველნი არიან, რაც ამ ყოველივეს მოკლებულ ადამიანს დევიანტად აქცევს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში დევიანტის იარლიყს იმ ადამიანს მიაკერებენ, ვინც კაპიტალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ გამოდის, ამიტომ ამგვარ საზოგადოებაში კონფლიქტი ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. კაპიტალისტური საზოგადოება მხოლოდ იმ ნორმების დარღვევაზე რეაგირებს, რომელიც მხოლოდ მას უქმნის საფრთხეს. ასე რომ, ნარკომანია ამერიკაში მთავარ სოციალურ პრობლემად არ განიხილებოდა მანამ, სანამ ის ღარიბებისა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემა იყო, მაგრამ როგორც კი ნარკომანია რიცხვში საშუალო კლასისა და თეთრკანიანთა შორის მოიმატა, იგი იმწუთას დიდი სოციალური საფრთხის შემცველ მოვლენად მოინათლა და მის წინააღმდეგ ინტენსიური ღონისძიებების გატარება დაიწყო.

კონფლიქტის თეორიამ დევიაციის მიზეზად ეკონომიკური უთანასწორობა დაასახელა, თუმცა მან სათანადოდ ვერ გაითვალისწინა დიურკემის შეხედულება იმის შესახებ, რომ დევიაცია საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მიუხედავად ყველგან არსებობს.

სოციალური კონტროლის თეორია

ამერიკელმა სოციოლოგმა ტრევის პირშიმ სოციალური კონტროლის თეორია შეიმუშავა, რომლის მიხედვით, დევიანტური ქცევისადმი მიდრეკილება, ე. წ. დევიანტური ცდუნება, ყველა ადამიანშია, მაგრამ ასეთი საქციელისაგან მათ სოციუმი, გარშემომყოფთა წრე

იცავს. კერძოდ, ადამიანები წარმოიდგენენ, თუ რას იფიქრებენ მათზე ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები. მსგავსი წარმოდგენა კიდევ უფრო მძაფრი ხდება, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რომ მის ურიგო საქციელს შეიძლება სამსახურის დაკარგვა მოჰყვეს და ა. შ. ამგვარად, ხორციელდება ე. წ. სოციალური კონტროლი; მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ არაფერი აქვთ დასაკარგი და კანონის დამრღვევებად გვეელინებიან. პირშიმ სოციალური კონტროლის ოთხი ტიპი შემოგეთავაზა:

• მიბმულობა – მყარი სოციალური კავშირები კონფორმულობის პირობა ხდება, ანუ ადამიანებს არსებულ ნორმებთან მიაბამს, სუსტი კი, პირიქით, თავისუფალ სივრცეს უქმნის მას და დევიაციისკენ უბიძგებს;

• ერთგულება – თუ ადამიანი საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციის კანონიერი საშუალებების ერთგულია, მაშინ ის არასოდეს იქნება დევიანტი. ისეთი ადამიანია დევიანტობისაკენ მიდრეკილი, რომელიც ნაკლებად არის დარწმუნებული წარმატების მიღწევაში;

• ჩართულობა – ადამიანის ჩართულობა კანონიერ საქმიანობაში (სამსახურში, სწავლაში, სპორტში და სხვა) დევიანტობის წარმოშობასა და განვითარებას აფერხებს. ისინი, ვინც ამგვარი საქმიანობით დაკავებული არ არიან და უსაქმოდ დაყიალობენ, დიდი ალბათობაა, რომ დევიანტები გახდნენ;

• დარწმუნებულობა – მორალური და საზოგადოებრივი ნორმების მიმართ რწმენა ხელს უშლის ადამიანს დევიანტური ქცევის ჩადენაში.

პირშის ანალიზში დევიანტური ქცევის მანადე არსებული ყველა მიზეზი ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. თუმცა აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დევიაციას სხვადასხვა მოტივაცია აქვს. ეს შეიძლება იყოს სიძულვილი (დანაშაული ვინმეს ან რამეს სიძულვილის გამო), რასობრივი ან ეთნიკური შუღლი, ან სულაც გენდერული პრობლემები და სხვა. სოციოლოგებმა შეისწავლეს აგრეთვე დანაშაულის სახეები და გამოყვეს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მაგალითად, სხვების მიმართ ძალადობა), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მაგალითად, სხვისი საკუთრების ხელყოფა), ორგანიზებული დანაშაული და სხვა. შესაბამისად, საზოგადოებას მთელი რიგი მეთოდები აქვს შემუშავებული დევიაციისა და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ საქმის შესასრულებლად არის მოწოდებული ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა პოლიცია, სასამართლოები და ციხეები. სოციოლოგებმა სასჯელის გამამართლებელ შემდეგ ოთხ მოტივზე გააკეთეს აქცენტი:

• შურისძიება – სასჯელის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. სასჯელი ამ შემთხვევაში ჩადენილი ამორალურობის საზღაურად არის მიჩნეული;

• დაკავება, საზოგადოებისაგან იზოლირების საშუალებით – ამგვარი მიდგომა თანამედროვე ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპია ის, რომ დევიაცია დამანგრეველად მოქმედებს საზოგადოებაზე და ამიტომაც დევიანტების იზოლირებაა აუცილებელი.

• რეაბილიტაცია – ეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული თანამედროვე სტრატეგიაა. ამ შემთხვევაში დევიანტობა განიხილება, როგორც სოციალური (მაგალითად, სიღარიბე) და პიროვნული (ფსიქიკური დაავადება და სხვა) პრობლემების შედეგი, რომელიც შეძლებისდაგვარად სარეაბილიტაციო პროცედურებს გულისხმობს;

• სოციალური დაცვა – ესეც თანამედროვე მიდგომაა, ოღონდ რეაბილიტაციასთან შედარებით უფრო მსუბუქი. თუკი საზოგადოებას არ ძალუძს ან არ უნდა დევიანტების რეაბილიტაცია და სოციალური პირობების რეფორმირება, აი, მაშინ იწყებს ამოქმედებას სოციალური დაცვის მექანიზმები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

მიუხედავად ამისა, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ პოლიცია, სასამართლოები და ციხეები დევიაციისა და დამნაშავეობის მხოლოდ შემცირებას უწყობენ ხელს. გარდა ამისა, სოციოლოგს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ დევიანტური ქცევა „მხოლოდ ცუდი ადამიანებისაგან“ კი არა, ცუდი საზოგადოებისაგან მომდინარეობს.

დელიკვანტობა

დელიკვანტობის ცნებით სოციოლოგიაში აღნიშნავენ არალეგალურ ან ანტისოციალურ მოქმედებებს, რომლებიც სხვადასხვა სახის სოციალურ და სამართლებრივ ნორმათა დარღვევასთანაა დაკავშირებული. დელიკვანტობის კვლევის ტრადიციებს სოციოლოგიაში XX ს-ის 20-იან წლებში სათავე „ჩიკაგოს სკოლის" სოციოლოგებმა (პარკი, ბურგესი) ჩაუყარეს, როდესაც ქალაქური უბნების გარემოში ე. წ. „საძმოებისა" და ბანდების ემპირიული შესწავლა დაიწყეს. ფაქტობრივად, დელიკვანტური სუბკულტურების კვლევა ამით დაიწყო. სოციოლოგებმა აჩვენეს, რომ ჯგუფში არსებული მეტნაკლებად მყარი სტრუქტურები და ღირებულებები დამნაშავედ ქცევის პროცესს განაპირობებს. დელიკვანტური ქცევის სხვადასხვა პირობებს იკვლევდა დ. მაცა. მან „დელიკვანტური დრეიფის" ცნება შემოიტანა. მის მიხედვით, ინდივიდები დევიანტური სუბკულტურის საქმიანობაში კი არ არიან ჩართულნი, არამედ საზოგადოების მიერ აღიარებული მორალური მიზნებისა და ნორმების თანდათანობით „ნეიტრალიზებისა" და მათ სუბიექტურ ინტერპრეტაციას ახდენენ, რომლის მიხედვით ეს ნორმები მიუღებელია. ამ შემთხვევაში ინდივიდი არაკანონიერ მოქმედებებს სჩადის ისე, რომ დანაშაულის ან სირცხვილის გრძნობას საერთოდ არ განიცდის.

დაფალება:

– როგორ ფიქრობთ, რატომ არის დევიაცია სოციოლოგიური განსჯის საგანი?
– თქვენი აზრით, რატომ მიაკერებენ ხოლმე ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას დევიანტის სტატუსს?
– კრიტიკულად განიხილეთ დევიაციის შესახებ არსებული თეორიები და ჩამოაყალიბეთ საკუთარი მოსაზრებები მათ შესახებ. ამ თეორიებიდან რომელს ეთანხმებით და რომელს არა?
– შეეცადეთ, რომ ესეის ან საპრეზენტაციო მასალის სახით წარმოადგინოთ დევიაციის პრობლემის მოგვარების თქვენეული ხედვა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 237-284.
2. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაშე). გვ. 178-217.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. შერეოლი. სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი. (რუს. ნაშე). სანკტ-პეტერბურგი. 2003. გვ. 13-16.
2. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაშე). გვ. 257-300.
3. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნაშე). გვ. 197-242.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები
„თემი და საზოგადოება" – ფერდინანდ თიონისი
(„Gemeinschaft und Gesellschaft")



კლასიკური გერმანული სოციოლოგიის გაელენიანი ფიგურა ფერდინანდ თიონისი დაიბადა 1855 წლის 26 იენისს შლეზინგ-ჰოლშტეინის მხარეში, ქალაქ ოლდენსეორტის მახლობლად მდებარე პატარა სოფელ რიპში, ფერმერის ოჯახში. ცხოერობდა პატარა ქალაქ პუსუმში. თიონისი გერმანიაში პროფესიული სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იყო „გაგებითი სოციოლოგიის" წარმომადგენელი და „ფორმალური სოციოლოგიის" თეორეტიკოსი და დამცველი. მას მრავალმხრიეი განათლება ჰქონდა მიღებული. სწაელობდა ფილოსოფიას, ისტორიას, კლასიკურ ენებს, არქეოლოგიას, ეკონომიკასა და სტატისტიკას იენის, ბონის, ლაიფციგის, ბერლინისა და ტიუბინგენის უნიეერსიტეტებში. 1877 წელს ტიუბინგენის უნიეერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის დარგში დოქტორის ხარისხი მიიღო. ცხოერების დიდი ნაწილი კილის უნიეერსიტეტში გაატარა პრიეატ-დოცენტის წოდებით. სრული პროფესორი 1918 წელს 63 წლის ასაკში გახდა (პენსიაზე გასელამდე ორი წლით ადრე). პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ის ჯერ კიდეე მანამდე ასწაელიდა, სანამ 1933 წელს ნაცისტებმა არ შეუშალეს ხელი. ის ამ დროისათეის მსოფლიო დონის სახელოვანი მეცნიერი იყო. ნაცისტური დოქტრინები მის ლიბერალურ ღირებულებით ორიენტაციასთან შეუთაესებელი აღმოჩნდა მიუხედაად იმისა, რომ ერთი პერიოდი სოციალისტური იდეებისადმი სიმპათიებსაც კი იჩენდა. სახელოვან მეცნიერს ძალდატანებით ეერა ფერს გააკეთებინებდნენ და ამიტომაც იგი სამსახურიდან დაითხოეს. იგი პატარა ზღეისპირა ქალაქ ჰუსუნში განმარტოდა. ფერდინანდ თიონისი 1936 წლის 9 აპრილს ქ. კილში გარდაიცვალა.

თიონისის მიზანი იყო სოციოლოგია მრავალგანსომილებიან მეცნიერებად ჩამოეყალიბებინა, რომლითაც ის სოციოლოგიის ფორმალური თეორიის (სკოლის) ფუძემდებლად გეეცნება. იგი ერთმანეთისაგან განარჩეედა წმინდა, გამოყენებით და ემპირიულ სოციოლოგიას. პირველი საზოგადოებას სტატიკურ მდგომარეობაში შეისწაელის, მეორე – დინამიკაში, ხოლო მესამე სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით თანამედროეე საზოგადოების ცხოერებისეულ ფაქტებს შეისწაელის. ემპირიულ სოციოლოგიას მან სოციოგრაფია უწოდა (სიტყეასიტყეით „საზოგადოების აღწერას" ნიშნაეს). თიონისი საზოგადოების ორ ტიპს და, შესაბამისად, საზოგადოებრიეი კაეშირების ამდენიეე ფორმას განარჩეედა ერთმანეთისაგან: თემურსა და საზოგადოებრიეის ხოლო სოციალური ცხოერების ფორმებად მიიჩნეედა: 1) სოციალურ ურთიერთობებს, 2) ცალკეულ ჯგუფებს და 3) გაერთიანებებს, კორპორაციებს.

თიონისის უმთავრესი სოციოლოგიური ნაშრომია „თემი და საზოგადოება“ (1887 წ.). ამ წიგნის მიხედვით, საზოგადოება ადამიანური ნების პროდუქტია. ნების ინდივიდუალური გამოხატულება მის კოლექტიურ გამოხატულებაში ერთიანდება და შედეგად სოციალური სტრუქტურა მიიღება. ის ორი ტიპის ნებას ასახელებს: ა) ბუნებრიეი – თემის, „გემაინშაფტის“ საფუძველია და ბ) რაციონალური – საზოგადოების, „გეზელშაფტის“ საფუძველს წარმოადგენს. პირველი მათგანი ტრადიციული საზოგადოების მახასიათებელია, ხოლო მეორე თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისთვისაა ნიშანდობლიეი. თემი მყარ ოჯახურ კავშირებზე, სიყვარულსა და ურთიერთგაგებაზეა დაფუძნებული, სადაც სოციალური კავშირები ბუნებრიეია. შეიძლება ითქვას, ეს „ბუნებრიეი საზოგადოებაა“, საზოგადოება კი ეკონომიკურ, ე. ი. „ხელოვნურ“ საწყისებზეა აგებული. ამ შემთხვევაში სოციალურ ურთიერთობებს წარმოება და მოხმარება განაპირობებს. ეს საქმიანი „ორგანიზაციის“ მსგავსი რეალობაა, რომელშიც სამოქალაქო, ციეილიზებული და რაციონალიზებული ნება მოქმედებს. მისთვის უცხოა სიყვარული და თანაგრძნობა. ამ სამყაროში მძაფრი კონკურენცია ბატონობს.

თიონისის მიერ შემუშაევებული საზოგადოების ტიპოლოგია თანამედროვე სოციოლოგიაში სიცოცხლისუნარიანი და აქტუალურია. ფერდინანდ თიონისის სხვა სოციოლოგიური ნაშრომებია: „დანაშაული, როგორც სოციალური მოელენა“ (1909 წ.); „მორალი“ (1909 წ.); „საზოგადოებრიეი აზრის კრიტიკა“ (1922 წ.); „საკუთრება“ (1926 წ.); „პროგრესი და სოციალური განვითარება“ (1926 წ.); „სოციოლოგიის შესავალი“ (1931 წ.).

„სოციალური ცხოერების ფაქტები ისე ძლიერ განსხვაედებიან იმ ფაქტებისაგან, რომლებსაც ბუნების მკვლევარი შეისწაელის, რომ ეს განსხვაება არასოდეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რადგანაც სოციალურ ცხოერებაში თანდათანობით შემოდის სოციალური ნების წარმონაქმნები, ანუ სოციალური არსებები, რომელთა მსგავსი მთელს დანარჩენ სამყაროში არსად არ მოიპოვება.“

ფერდინანდ თიონისი

* * *

ადამიანთა ნამდვილი და მყარი ერთობლიეი თანაცხოერებაა თემი. მასთან შედარებით საზოგადოება გარდამავალი და ილუზორულია. ამიტომ „გემაინშაფტი“ უნდა გავიგოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ხოლო „გეზელშაფტი“, როგორც ცვალებადი აგრეგატი და არტეფაქტი“.


ფ. თიონისი

XI ლექცია
თემა: სოციალური ჯგუფები და ორგანიზაციები

სოციალური ჯგუფები

ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეული ჩვენგანი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრის სახით არის ჩართული, ანუ ერთობლიეი ცხოერების სხვადასხეა ფორმის შემადგენელი ნაწილი ვართ. ადამიანთა ერთობლიეი ცხოერების სხვადასხეა ფორმების შესწავლა, კლასიფიკაცია, მისი შემადგენელი ელემენტების აგებულების აღწერა და მასში მიმდინარე პროცესების ანალიზი სოციოლოგიური კელევა-ძიების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ჩვეულებრივ, სოციოლოგიაში ადამიანთა ერთობლივი მყარი ცხოერების აღსანიშნავად „სოციალური ერთობის" ცნება გამოიყენება ხოლმე. იგი ზოგადი სოციოლოგიური კატეგორიაა, რომელსაც ფართო მნიშვნელობა აქეს და ადამიანთა ყველანაირ გაერთიანებას მოიცავს.



სოციალური ერთობის ერთ-ერთ ფორმას ჯგუფი წარმოადგენს. სოციალური ჯგუფი ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფი ორი ან მეტი ადამიანისაგან იქმნება. სოციალური ჯგუფის წევრებს ღირებულებათა საერთო სისტემა აქეთ და სხეა ერთობისაგან განკერძოების გარკეეული პრინციპით არიან გამოყოფილნი. თანამედროვე სოციოლოგიაში დამკეიდრებული თვალსაზრისის მიხედვით, ჯგუფი არ არის მხოლოდ პიროვნული კონტაქტების საფუძველზე შექმნილი თავისუფალი სოციალური წარმონაქმნი. მას საკუთარი შინაგანი ორგანიზაცია, კონტროლის შესაბამისი ფორმები და ქცეეის ნიმუშები გააჩნია. ჯგუფის იდენტობის ნიშანი გარკეეულ ღირებულებებთან ერთად შეიძლება იყოს სიმბოლოები, ლოზუნგები, იდეები, სხვადასხეა სახის მატერიალური საგნები და ა. შ. მათი აუცილებლობა ჯგუფში ერთობისა და ჯგუფისადმი კუთენილების გრძნობის განეითარებით არის გამოწვეული. ჯგუფის ღირებულებითი ორიენტაციის საფუძველზე ყალიბდება „ჯგუფის ცნობიერება," ანუ „ჩვენის" გაგება. აქედან მომდინარეობს დიქოტომია: „ჩვენ" და „ისინი." „ისინი" ამ შემთხვევაში იმ ადამიანებს გულისხმობს, რომლებიც ჯგუფის წევრები არ არიან.

ჯგუფის აგებულებაში სხვა ისეთი ელემენტებიც იგულისხმება, რომლებიც ჯგუფის წევრები არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ ადამიანი ჯგუფში შედის არა მთელი თაეისი პიროვნებით, არამედ მხოლოდ მასში შესასრულებელი როლის გამო. ზოგიერთი ჯგუფი კი მთლიანად შთანთქაეს პიროვნებას (მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური ან რელიგიური ჯგუფი და სხეა). ამიტომ უმეტესწილად ჯგუფი განსაზღვრაეს მისი წევრის გარეგნულ იერ-სახეს (მაგალითად, ჯარში ან პოლიციაში და სხეა) და მორალურ ნიშანთა კომპლექსს (მაგალითად, ისეთი რამე არ უნდა ჩაიდინოს, რაც ჯგუფის ღირსებას შებღალაეს). ჯგუფი ადგენს აგრეთვე მის წევროა ფუნქციებსაც. როგორც წესი, შინაგანად მჭიდროდ შეკაეშირებული, ფიზიკურად და მორალურად მტკიცე და ნათლად გამოკეეთილი ფუნქციების მქონე ჯგუფები მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად არიან მოწოდებულნი.

მის წევრთა გაერთიანების მიხედვით ჯგუფი შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია არის ჯგუფი, რომლის წევრებს არანაირ განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ უყენებენ და ამიტომ მისი წევრობა თაეისუფალია ყველასათვის, ხოლო დახურულ ჯგუფში ახალი წევრის მიღების კრიტერიუმები ზუსტად არის დადგენილი და განსაზღვრული. არსებობს კიდევ ე. წ. შეხლებული ჯგუფები, რომლის წევრად გახდომა არც მკაცრად შეზღუდულია და არც მთლად თაეისუფალი.

ჯგუფის იდენტობის საფუძველი, როგორც ზემოთ ითქვა, „ჩვენ" გრძნობის ქონასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის შემადგენლობა ძალზე დინამიკურია (გარკვეული დროის შემდეგ იგი შეიძლება მისმა წევრებმა გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო დატოვონ), იგი მაინც არ კარგავს საკუთარ იდენტობას და არსებობას განაგრძობს.

ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ის ამოცანაა, რომლის შესრულება მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა. მაგალითად, მეგობართა წრე ადვილად გადაიქცევა ჯგუფად, თუკი ის გარკვეულ საერთო მიზნებსა და ამოცანებს დაისახავს (თუნდაც ერთობლივი გართობის მოწყობა). ამოცანების ქონა მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებს გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობის დანაწილებას მოითხოვს და ა. შ. ჯგუფის ამოცანა მის წევრთა ცალკეულ ამოცანათა ჯამი კი არ არის, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ცნებაა, რომელიც ცალკეული წევრების ფუნქციების შესრულების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. ჯგუფის ამოცანები მისი არსებობის საზრისს ქმნიან, ამიტომ წარსულში შესრულებული ამოცანების განსჯა ჯგუფის ტრადიციის არსებითი ელემენტია.

ჯგუფის წევრთა პოზიციების სისტემისაგან იქმნება ჯგუფის მიკროსტრუქტურა. ჯგუფის წევრთა პოზიცია ჯგუფში მათი მდგომარეობაა, რომელიც გარკვეული უფლებამოსილებების შესრულებასთანაა დაკავშირებული.

ამერიკელმა სოციოლოგმა ერლ ედვარდ იუბენკმა (1887-1945, ცინცინატის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის ხელმძღვანელი) ჯგუფების შესახებ ამერიკულ ლიტერატურაში არსებული მასალების ანალიზის შედეგად ჯგუფის კლასიფიკაციის 7 ძირითადი პრინციპი გამოყო:

- **კლასიფიკაციები ეთნიკური ან რასობრივი კუთვნილების საფუძველზე;**
- **კულტურული განვითარების დონის მიხედვით;**
- **ჯგუფის სტრუქტურის ტიპების საფუძველზე;**
- **ჯგუფის მიერ უფრო დიდ ერთობებში შესრულებული ამოცანებისა და ფუნქციების საფუძველზე;**
- **წევრებს შორის კონტაქტების უპირატესი ტიპების საფუძველზე;**
- **ჯგუფში არსებული კავშირის სახეობის საფუძველზე;**
- **სხვა პრინციპებზე დამყარებული სხვადასხვა კლასიფიკაცია;**

ჯგუფის წევრთა რაოდენობის მიხედვით გამოიყოფა მცირე, საშუალო და დიდი ჯგუფები. მცირე ჯგუფი რამდენიმე ათეული წევრისაგან შედგება, რომლებიც საერთო საქმიანობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და მყარი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. დიდი სოციალური ჯგუფი მრავალრიცხოვანი წევრებისაგან შედეგება, რომელთაც უშუალო ურთიერთობა არა აქვთ ერთმანეთთან (მაგალითად, ადამიანთა მასობრივი გაერთიანებანი, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფები). დიდ და მცირე ჯგუფებს შორის არსებობენ ე. წ. საშუალო ჯგუფები. სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ ამ სახის ჯგუფები ძალიან ჰგვანან დიდ ჯგუფებს და ამიტომაც მათსე ყურადღებას სპეციალურად არ ამახვილებენ.

ჯგუფში არსებულ ურთიერთობათა ფორმის მიხედვით ერთმანეთისაგან გამოირჩევა პირველადი და მეორეული ჯგუფები. ტერმინი „პირველადი ჯგუფი" ამერიკელმა სოციოლოგმა ჩარლზ ჰორტონ კულიმ შემოიტანა. პირველადი ჯგუფი მცირე ჯგუფის განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომელიც მის წევრთა უშუალო კონტაქტზეა დამყარებული. ამ ჯგუფის წევრები ჯგუფის საქმიანობაში მაღალი ემოციური ჩართულობით გამოირჩევიან. ასეთი პირველადი ჯგუფი არის ოჯახი. კული აღნიშნავდა, რომ ოჯახში მიმდინარე ურთიერთქმედებებს ყველა ცივილიზაციაში ერთგვაროვანი ხასიათი აქვს, რომ ეს ურთიერთქმედებანი იმ კავშირებიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველი სხვა წევრების წინაშე პასუხისმგებლობა და მათ მიმართ მზრუნველობა და სიყვარულია. მსგავსი ხასიათი აქვს თანატოლთა და მეზობელთა ერთობასაც. მეორეული ჯგუფი გარკვეული მიზნის სარეალიზაციოდ არის შექმნილი. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ნიშნობრივ კონტაქტებს ენიჭება.

ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციისა და კონტროლის ფორმალურ სისტემას ემყარებიან, ფორმალურ ჯგუფებს წარმოადგენენ. მაგან განსხვავებით, არაფორმალური ჯგუფები ორგანიზაციისა და კონტროლის არაფორმალურ სისტემას ემყარებიან. სოციოლოგები საუბრობენ აგრეთვე მინიმალურ (ექსპრესიულ) ჯგუფებზეც, რომლებიც გარკვეული ტიპის

სამუშაოს შესასრულებლად იქმნება. იგი მისი წევრების ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

კომუნიკაციის ფორმის მიხედვით ჯგუფის სახეებია: „წრე," „ბორბალი," „ჯაჭვი" და სხვ. ასევე გამოირჩევიან კენტი და ლუწრიცხოვანი ჯგუფები; პოლიტიკის სოციოლოგიაში გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ინტერესთა ჯგუფები," „ზეწოლის ჯგუფები" და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე „ინ და აუტ-ჯგუფებიც." „ინ-ჯგუფად" ისეთი სოციალური ჯგუფი იწოდება, რომელიც თავის წევრებს ჯგუფის იდენტობისა და ღირსების დაცვისაკენ მოუწოდებს. მისი საპირისპიროა „აუტ-ჯგუფები" – ჯგუფები, რომლებიც ოპოზიციის ან მოწინააღმდეგის როლში გამოდიან.

ჯგუფში ლიდერობა

ჯგუფის ფუნქციონირება დიდწილად დამოკიდებულია ჯგუფში ლიდერობაზე. სოგ-ჯერ არის, რომ ძალიან ბევრ მეგობრულ ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერი არ არის, რაც დიდი სოციალური ჯგუფის შემთხვევაში გამორიცხულია.



ლიდერი ჯგუფის ხელმძღვანელია, რომელსაც ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და დასაცავად ერთობლიეი მოქმედებისათვის სხვებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

მეორეულ ჯგუფებში ლიდერი აუცილებელია. სოციოლოგები ლიდერობის ორ ძირითად ნაირსახეობას გამოყოფენ: ინსტრუმენტალურ და ექსპრესიულ ლიდერობას. პირველი მათგანი ჯგუფის ისეთ ხელმძღვანელს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ჯგუფის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული. მსგავსი ლიდერის შემთხვევაში წარმატების მიღწევაში ჯგუფის წევრებს ეჭვი არ ეპარებათ. ამ ტიპის ლიდერებს ციცი და უკარება ხასიათი აქვთ. მათთვის მთავარია მხოლოდ საქმე. ექსპრესიული ლიდერისათვის უმთავრესია არა ჯგუფის მიზნების მიღწევა, არამედ ჯგუფის მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნება. ისინი ურთიერთობაში თბილი და ჰუმანურნი არიან.

ლიდერობის სამი სტილი

სოციოლოგები ლიდერობას იმ სტილის მიხედვით ახასიათებენ, რომელიც გადაწყვეტილებების მიღებაში ელინდება. შესაბამისად, ლიდერობის სამ განსხვავებულ სტილსა საუბარი.

- **ავტორიტარული ლიდერობა:** ლიდერობა ფოკუსირდება გადაწყვეტილებათა მიღებისას სხვისი აზრის მიუღებლობასა და ლიდერის მიმართ სხვების უსიტყვო მორჩილებაზე;
- **დემოკრატიული ლიდერობა:** აქცენტირებულია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სხვების მაქსიმალურად ჩართულობასა და მათი აზრების გათვალისწინებაზე;
- **Muna laissez-faire-ტიპის ლიდერობა** (ფრანგულად „მარტოობაში დარჩენას" ნიშნავს), განყენებული ლიდერობა: ამ ტიპის ლიდერობის შემთხვევაში ჯგუფი ლიდერისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

ლიდერის შესახებ არაერთი საინტერესო თეორია არსებობს. მაგალითად, ლიდერის ქარიზმატული კონცეფცია მიიჩნევს, რომ ლიდერი სპეციფიკური სალიდერო უნარებით გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს და არა ნებისმიერი ადამიანი; ინტერაქციული თეორიების მიხედვით, ლიდერი შეიძლება იყოს ინტერაქციის სისტემაში ჩართული ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შესაფერისი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა (პიროვნული თავისებურებები, ჯგუფის წევრთა აზრი მის შესახებ და სხვა); სიტუაციური თეორია ანუ ჯგუფური დინამიკური მიდგომა ამბობს, რომ ლიდერობა ჯგუფში შექმნილი სიტუაციის შედეგია; სინთეზური (კომპლექსური) თეორიის მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ ლიდერობა სინთეზური ხასიათის მოვლენაა, რომელიც ზემოაღნიშნულ ყველა ფაქტორს მოიცავს. მიუხედავად ას-

რთა სხვადასხვაობისა, სადაეო არ არის ის, რომ ლიდერი მართლაც ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა, მათი გაყოლიება; ინტელექტის მხრივ შეუძლია დიდი მოცულობის ინფორმაციის ათვისება და სათანადო ინტერპრეტაცია; შემგუებლობის მხრივ ადვილად ეგუება ცვალებად მოთხოვნებს. ლიდერის თვისებებს შორის მნიშვნელოვანია გულმოდგინება, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი დიდი ენთუზიაზმით მიდგომა, საკუთარი ინტერესების მსხვერპლად გაღება და ა. შ.

სოციალური ქსელი

სოციოლოგიის კლასიკოსმა გეორგ ზიმელმა თავის დროზე მცირე ჯგუფების სოციალური დინამიკა შეისწავლა და ბევრი საინტერესო ახალი ცნება თუ ტერმინი შემოიტანა სოციოლოგიაში. ორი წევრისაგან შემდგარ სოციალურ ჯგუფს მან დიადა უწოდა (მაგალითად, ცოლ-ქმარი). დიადა ინტერაქციის ინტენსიობით გამოირჩევა. მასთან შედარებით ტრიადა (სამწევრიანი ჯგუფი) ინტერაქციის კიდევ უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. სოციალური კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ქსელი. სოციოლოგები მას სუსტ სოციალურ კავშირებს მიაკუთვნებენ. მიუხედავად კავშირის სისუსტისა (კავშირის უშუალობა იგულისხმება), ის თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში ერთ-ერთი უმძლაერესი რესურსია. მისი საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა მსოფლიო აბლაბუდა – ინტერნეტი, რომლის გარეშე თანამედროვე კომუნიკაციები წარმოუდგენელია.

სოციალური ორგანიზაციები

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი წინაპრები ძირითადად მცირე სოციალურ ჯგუფებად (ოჯახები, გვარები, მეგობართა და ახლობელთა წრეები და სხვა) ცხოვრობდნენ. სოციალური ცხოვრების მსგავსი ფორმა ტრადიციული ტიპის საზოგადოებებისათვის იყო დამახასიათებელი. ამჟამად, თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური ცხოვრება მთელი რიგი ფორმალური ორგანიზაციების გარშემო ტრიალებს, რომლებთან ურთიერთობა თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურად უხდება. ასე რომ, სოციოლოგიური ანალიზის სფეროში სოციალური ორგანიზაციების ცნება შემოდის.

ტერმინ „სოციალურ ორგანიზაციას" რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი მნიშვნელობის მიხედვით, იგი მიზნობრივ ჯგუფს, იმ ადამიანთა გაერთიანებას აღნიშნავს, რომლებიც გარკვეული მიზნების განხორციელებას ორგანიზებულად ესწრაფვიან. ზოგიერთი სოციოლოგის აზრით, „სოციალური ორგანიზაციის" მსგავსი გაგება თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებასთანაა შესაბამისობაში, რომელსაც რაციონალიზებული შინაგანი ორგანიზაციის მქონე ადამიანთა დიდი გაერთიანებების არსებობა ახასიათებს.

ორგანიზაციის ცნების მეორე მნიშვნელობაში ადამიანებისა და მოქმედების სხვადასხვა საშუალებების ხელმძღვანელობისა და მართვის წესები და ფუნქციების კოორდინაცია იგულისხმება.

ორგანიზაციის ცნების მესამე მნიშვნელობა კი ინდივიდების, სოციალური ჯგუფების ან ინსტიტუტების მოქმედებათა სისტემას გულისხმობს, რომელიც ჯგუფის წევრთა თანაცხოვრების ჰარმონიზებას ახდენს. ორგანიზაციის ცნების ამ განმარტებებიდან ჩანს, რომ იგი სადისკუსიო საკითხთა რიგს განეკუთვნება. ზოგჯერ მის ნაცვლად „სოციალურ წყობას" ხმარობენ, რაც ალბათ პოლიტოლოგიური ტერმინი უფროა, ვიდრე სოციოლოგიური. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალური ორგანიზაცია ადამიანების, ჯგუფებისა და ინსტიტუტების მართვის, ფუნქციებისა და საშუალებების კოორდინების მეთოდების სისტემად განიხილება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ სპონტანურ წესებთან, რომლებსაც არავინ არ წარმართავს.

სოციოლოგები განასხვავებენ ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციას. პირველი სუსტად ფორმალიზებული, ინსტიტუციონალიზებული როლისაგან და სანქციების ფორმალური სისტემებისაგან შედგება, ანუ სამართლებრივი გზით დადგენილი წესებისა და დაწესებულებათა ფორმალური სისტემისაგან. არაფორმალურ ორგანიზაციებში სოციალური როლების, არაფორმალური ინსტიტუტებისა და არაფორმალური სანქციების ისეთი სისტემა მოიაზრება, რომელიც თაობიდან თაობას ადათ-წესებითა და ტრადიციებით გადაეცემა და ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში სპონტანურად წარმოიშობა.

ამერიკელმა სოციოლოგმა ამიტაი ეტციონიმ ფორმალური ორგანიზაციების სამი ტიპი გამოყო: უტილიტარული, ნორმატიული და იძულებითი.

- უტილიტარული ორგანიზაციები: ყველა ის ადამიანი, რომელიც ხელფასის გამო მუშაობს, უტილიტარულ ორგანიზაციას ეკუთვნის – ორგანიზაციას, რომელიც ადამიანებს თავიანთი შრომის საფასურს უხდის. მაგალითად, მსხვილ ბიზნესში არსებობს მოგება მეწარმისათვის, ხოლო მოსამსახურეთათვის – ხელფასი. ამ შემთხვევაში ორგანიზაციის წევრად გახდომას საფუძვლად ხელფასის მიღება უდევს;
- ნორმატიული ორგანიზაციები: ნორმატიულ ორგანიზაციებში ადამიანები შედიან არა ხელფასის, არამედ იმ მიზნის გამო, რომელსაც ისინი მორალურად მისაღებ ღირსების საქმედ მიიჩნევენ (მაგალითად, სხვადასხვა სახის თავისუფალი ასოციაციების წევრობა);
- იძულებითი ორგანიზაციები: ამ ტიპის ორგანიზაციების წევრობა იძულებით ხდება (მაგალითად, ციხეები ან ფსიქიატრიული საავადმყოფოები და სხვა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფო იძულებითი ორგანიზაციაა პაციენტისათვის, მაგრამ უტილიტარულია ფსიქიატრისათვის, რომელიც იქ მუშაობს და ხელფასს იღებს, ხოლო ნორმატიული ორგანიზაციაა იმ ადამიანისათვის, რომელიც ნებაყოფლობით ქველმოქმედებას ეწევა და საავადმყოფოს ეხმარება).

ორგანიზაციის ცნების სოციოლოგიური ანალიზით ძირითადად ორგანიზაციული სოციოლოგიაა დაკავებული, რომელიც თავის საფუძვლებს მაქს ვებერის მიერ შემუშავებული ბიუროკრატიის თეორიიდან იღებს. სოციოლოგიაში არსებობს აგრეთვე ორგანიზაციის თეორია, რომელიც მართვის ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურების თეორიულ ანალიზს აკეთებს. მასზე დიდი გავლენა იქონია სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურმა სოციოლოგიამ. მან ორგანიზაცია სისტემის სახით წარმოადგინა, რომელსაც ორგანიზაციული სიცოცხლისუნარიანობა და გარემოსადმი ადაპტაცია ახასიათებს (პარსონსი, მერტონი).

ბიუროკრატია

ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ბიუროკრატია ორგანიზაციის ეფექტური მართვა და ორგანიზაციული საკითხების ზუტად გადაწყვეტის საშუალებაა. იგი მართვის ჩინოვნიკურ აპარატთან ასოცირდება და უარყოფით შეფერილობას იძენს, თუმცა მაქს ვებერმა ბიუროკრატია საზოგადოების აუცილებელ ელემენტად მიიჩნია და მის შესახებ ყოველდღიურობაში გაერცელებული აზრის ნაცვლად პოზიტიური შინაარსი ჩადო მასში. ვებერმა იდეალური ბიუროკრატიული ორგანიზაციის 6 ძირითადი ნიშანი გამოყო. ესენია:

- სპეციალიზაცია: ბიუროკრატიას სპეციალიზაციის შესაბამისად მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრება ახასიათებს;
- თანამდებობრივი იერარქია: ბიუროკრატიული ორგანიზაცია თანამშრომელთა ვერტიკალური თანამდებობრივი წესრიგით ხასიათდება;
- მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი წესები სისტემა: კულტურული ტრადიციების ნაცვლად ბიუროკრატიული ორგანიზაცია წინასწარ დადგენილი რაციონალიზებული წესების მიხედვით მოქმედებს;
- ტექნიკური კომპეტენცია: ბიუროკრატებს მათი შესაფერისი უნარ-ჩვევები აქვთ, რომელიც დადგენილი წესების შესასრულებლად აუცილებელია;
- უპიროვნობა: პიროვნებაზე მაღლა ბიუროკრატიული წესები დგას. აქ პიროვნული მომენტები გამქრალია;



- ფორმალური, წერილობითი კომუნიკაცია: ბიუროკრატიის გულია არა ადამიანები, არამედ ქაღალდები. ადამიანებს შორის კომუნიკაცია მკაცრად ფორმალიზებულ და ოფიციალურ სახეს ატარებს.

ვებერის მიხედვით, იდეალური ბიუროკრატია ადამიანის ყოველ ნაბიჯს მისანიმიმართულად არეგულირებს, თუმცა რეალურად ადამიანები საკმაოდ კრეატულები არიან ბიუროკრატიულ შაბლონებთან მიდგომაში. ასეთ შემთხვევაში ბიუროკრატიის არაფორმალურ ასპექტებთან გვაქვს საქმე. ბიუროკრატიას მთელი რიგი პრობლემები ახასიათებს. მათ შორის ერთ-ერთი ბიუროკრატიული გაუცხოებაა, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ვებერი ამახვილებდა ყურადღებას. მისი აზრით, ფორმალური ინსტიტუტები ადამიანს განუწყვეტლივ მოძრავი მექანიზმის უბრალო ჭანჭიკად აქცევენ. სოციოლო-

გიის კლასიკოსი დარწმუნებული იყო, რომ ბიუროკრატიული აპარატი ადამიანთა სასიკეთოდ არის შექმნილი და არა მათ დასათრგუნად. ბიუროკრატიამ პიროვნულობა შეიწირა მსხვერპლად, რასაც, ებერისაგან განსხვავებით, მძაფრად განიცდიდნენ ფრიდრიხ ნიცშე და ფერდინად თიონისი. ბიუროკრატიის კიდევ ერთი თავსატეხი მერტონის მიერ შემოტანილი ბიუროკრატიული რიტუალიზმის ცნებაა. მერტონი მასში ბიუროკრატიული წესების რიტუალების დონეზე აყვანას გულისხმობდა, როდესაც უპირატესი ბიუროკრატიული წესებია და არა ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევა. XX ს-ის დასაწყისში გერმანელმა სოციოლოგმა რობერტ მიხელსმა (1876-1936) ბიუროკრატია ოლიგარქიასთან (ადამიანთა მცირე ჯგუფის მმართველობა) დააკავშირა. ბიუროკრატიულ იერარქიულ სისტემაში ოლიგარქია განცხრომაში იმყოფება. ამ დროიდან მოყოლებული ბიუროკრატია პოლიტიკური მეცნიერების ცხოველი ინტერესის საგანი გახდა.

დღეს სოციოლოგები იმედოენებენ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მიდინარე პროცესები (მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, შრომის სახისა და ხასიათის შეცვლა და სხვა) დადებითად იმოქმედებენ ბიუროკრატიაზე და უფრო ადვილი იქნება ბიუროკრატიული პროცესების მეცნიერული მართვა, რის მაგალითად ამერიკული და იაპონური ორგანიზაციები მოჰყავთ ხოლმე (მაგალითად, მაკდონალდის ქსელები), თუმცა ერთი რამ ცხადია: მიუხედავად სიახლეებისა, პიროვნების თავისუფლებასთან მიმართებაში ბიუროკრატიული აპარატი კვლავ პრობლემად რჩება.

ფრაგმენტი იან შჩეპანსკის წიგნიდან
„სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები“
რა არის სოციალური ჯგუფი?

„... ჩვენ (სოციალურ) ჯგუფს ვუწოდებთ პირთა გარკვეულ რაოდენობას (არანაკლებ სამს) – რატომ არანაკლებ სამ პირს? შეიძლება შეხვედეთ სოციოლოგებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ უკვე წყვილი (ორი) შეადგენს სოციალურ ჯგუფს. მე კი ვფიქრობ, რომ წყვილი, ესე იგი, ორი ადამიანი, ქმნის გარკვეულ სახეობას, რომელშიც წარმოშობილ ურთიერთობებსაც არ გააჩნიათ დიდი ერთობების, უწინარეს ყოვლისა, ჯგუფების ურთიერთობათა დამახასიათებელი ნიშნები. მე ვფიქრობ, რომ ჯგუფი იწყება მხოლოდ იქ, სადაც ერთი სოციალური ორგანიზაციის ფარგლებში ინდივიდ ა-ს ურთიერთობა აქვს არა მარტო ბ-სთან, არამედ გ-სთანაც, აგრეთვე იმასთანაც, რაც ხდება ბ-სა და გ-ს შორის ...“

დაევალება:

– შეეცადეთ საკუთარი გამოცდილებიდან მოიყვანოთ პირველად და მეორეულ ჯგუფებს შორის განსხვავების მაგალითები.

– თქვენი აზრით, რატომ ზღუდავს ბიუროკრატია პიროვნებას და რა გამოსავალი უნდა მოიძებნოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

– ლიდერობის რომელი ტიპია თქვენთვის მისაღები და რატომ?

ძირითადი ლიტერატურა:

1. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 609-654.
2. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაშრ). გვ. 308-331.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. ფერეოლი, სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი. (რუს. ნაშრ). სანკტ-პეტერბურგი. 2003. გვ. 8-11.
2. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნაშრ). გვ. 224-257.
3. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნაშრ). გვ. 168-196.
4. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 98-101, 113-122.

საკითხავი მასალა
სოციოლოგიის კლასიკოსები



მ. ვებერი თავის სტუდენტებთან ერთად

დიდი გერმანელი სოციოლოგი – მაქს ვებერი

გამოჩენილი გერმანელი სოციოლოგი, ისტორიკოსი და ეკონომისტი მაქს (მაქსიმილიან კარლ ემილ) ვებერი დაიბადა 1864 წლის 21 აპრილს ერფურტში (ალფრედ ვებერის უფროსი ძმა). 1892-1894 წწ.-ში ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია, შემდგომში – ექსტრაორდინარული პროფესორი, ნაციონალური ეკონომიკის პროფესორი ფრაიბურგის (1894-1896 წწ.-ში), ჰაიდელბერგისა (1896წ.) და მიუნხენის (1919 წ). უნივერსიტეტებში; „გერმანული სოციოლოგიური საზოგადოების" დამაარსებელი (1909). 1919 წელს ვერსალის მოლაპარაკებაში გერმანული დელეგაციის მრჩეველი იყო. მისი თეორიული ნაშრომებია: „ბირჟა და მისი მნიშვნელობა," „მეურნეობის ისტორია," „მეცნიერება, როგორც მოწოდება და ხელობა," „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა," „გაგებითი სოციოლოგიის ზოგიერთი კატეგორიის შესახებ," „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული," „ქალაქი." იგი არის „სოციალური მოქმედების თეორიის," „გაგების სოციოლოგიის," „ურბანსოციოლოგიის," „ეკონომიკური სოციოლოგიის," „პოლიტიკური სოციოლოგიის," „კაპიტალიზმის თეორიისა" და „რელიგიის სოციოლოგიის" თეორეტიკოსი. თანამედროვე სოციოლოგიის არაერთი გაელენიანი და ანგარიშგასაწევი მიმართულების წარმომადგენელი დაეალებულია მისგან.

ვებერის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გაელენა მოახდინა ვილჰელმ დილთაის „გაგების თეორიამ" და ნეოკანტიანელობის ბადენის სკოლის (ვინდელბანდთან და რიკერტთან ერთად რომლის წარმომადგენელი ვებერიც იყო) მიერ შემუშავებულმა მეცნიერებათა კლასიფიკაციის კონცეფციამ: საბუნებისმეტყველო (ნომოთეტური კელეის მეთოდი – მსგავსი, განმეორებადი მოელენების კელეებზე ორიენტირებული) და გონისმეცნიერებანი (იდიოგრაფიული მეთოდი – უნიკალური მოელენების კელეებზე ორიენტირებული). საკუთარ კონცეფციას ვებერმა „გაგების სოციოლოგია" უწოდა. სოციოლოგია სოციალური მოქმედების ანალიზს ახდენს, მის მიზეზებს იკელევს. სოციალური მოქმედება თავისუფალი აქტორის (მოქმედი ინდივიდის) ქცეევაში ელინდება, რომელიც სუბიექტური საზრისის მატარებელია. საზრისის შემეცნება მხოლოდ გაგების გზითაა შესაძლებელი. გაგება ნიშნავს სოციალური მოქმედების იმ საზრისის შემეცნებას, რომელსაც თავად სუბიექტი დებს ამ ქცეევაში. ამიტომაც სოციოლოგიაში ადამიანურ ურთიერთობათა, მსოფლმხედველობათა და იდეათა მთელი პალიტრა, ანუ ადამიანური კულტურის მრავალფეროვნება იყრის თავს.


ვებერმა სოციოლოგიის აგებისას კონტისა და სპენსერისაგან განსხვავებული გზა აირჩია: მან უარი თქვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მსგავსად სოციოლოგიის ზუსტ მეცნიერებად ჩამოყალიბებაზე და სოციოლოგია, როგორც კულტურის განზოგადებული კელეა, პუმანიტარულ მეცნიერულ პრინციპებზე დააყუძნა, რომელიც თავისი მეთოდოლოგიითა და საკელეო საგნით ცოდნის სუვერენულ დარგს წარმოადგენს. ვებერს, როგორც ნეოკანტიანელს, მიაჩნდა, რომ სოციოლოგიის კლასიკოსების მიერ ფორმულირებული ზოგადი კატეგორიები: „საზოგადოება," „სახელმწიფო," „ინსტიტუტი" და სხვა ონტოლოგიურ სტატუსს მოკლებული ფენომენებია, რადგანაც თითოეული მათგანი ცნობიერების მიერ შექმნილი კონსტრუქციებია, რომელთაც საეროო არაფერი აქეთ სინამდვილესთან. მხოლოდ სოციალური მოქმედებაა ერთადერთი რეალობა სოციოგალოებრიც ცხოვრებაში. ის არის სოციუმის „საშენი აგური," ატომი, ამიტომაც მასზე უნდა იყოს მიმართული სოციოლოგის მზერა. თუმცა ყველანაირი ქცევა არა არის სოციალური მოქმედება. სოციალურ მოქმედებას თავისი განსაკუთრე-

ბული ნიშნები აქეს. ესენია: საზრისი – გასაზრისიანებული მოქმედება და ამ მოქმედებაზე სხვათა რეაქცია და მისგან მოსალოდნელ შედეგზე ორიენტაცია.

გაგების სოციოლოგიის ძირითადი კატეგორიებია: ქცევა, მოქმედება და სოციალური მოქმედება. ვებერის მიერ ფორმულირებული სოციალური მოქმედების ფორმებია: 1) მიზან-რაციონალური – სუბიექტმა ზუსტად იცის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს დასახულ მიზანს. ეს ფორმალურ-ინსტრუმენტალური ცხოვრებისეული ორიენტაციის მოდელია; 2) ღირებულებით-რაციონალური – სოციალური მოქმედების საზრისს სუბიექტის ღირებულებითი ორიენტაცია განსაზღვრავს; 3) ტრადიციული – სუბიექტის აქტიურობა შაბლონურ ქცევაში ვლინდება, რომლის საზრისიც ტრადიციებითა და სხვა დადგენილი ნორმებითაა განსაზღვრული; 4) აფექტური – სუბიექტის მოქმედებას ემოციური მდგომარეობა, აფექტები განაპირობებენ. სოციალურ მოქმედებათა სისტემა, ვებერის მიხედვით, ქმნის სოციალურ ურთიერთობებს. სოციალურ ურთიერთობებს აღნიშნავს ისეთი ცნებები, როგორიცაა ბრძოლა, სიყვარული, კონკურენცია, გაცვლა და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური ურთიერთობა ინდივიდის მიერ სავალდებულოდაა მიჩნეული, მაშინ ის კანონიერი სოციალური წესრიგის სტატუსს იძენს. სოციალური მოქმედების ფორმათა შესაბამისად ვებერი კანონიერი – ლეგიტიმური წესრიგის ოთხ ტიპს გამოყოფს: 1) ტრადიციულს, 2) აფექტურს, 3) ღირებულებით-რაციონალურს და 4) ლეგალურს.

ვებერის სოციოლოგიის მეთოდის განმსაზღვრელია მისი „იდეალური ტიპების თეორია." „იდეალური ტიპი" ამა თუ იმ მოვლენის „კულტურულ საზრისს" აფიქსირებს. ის ევრისტული ჰიპოთეზაა, რომელსაც დიდძალი ისტორიული მასალა წესრიგში მოჰყავს. ამ თეორიის მიხედვით, ვებერმა ეკონომიკის სოციოლოგიის კულტუროლოგიური ანალიზი გააკეთა, რომლის მიხედვით ტრადიციული და მიზან-რაციონალური ეკონომიკური მოქმედება განასხვავა ერთმანეთისაგან. ამათგან პირველი უძველესი დროიდან არსებობს, მეორე კი მხოლოდ ახალი დროიდან ჩნდება.

ტრადიციონალიზმის დაძლევა თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ვებერმა დაასკვნა, რომ კაპიტალიზმის იდეალური ტიპი რაციონალიზმზეა დამყარებული და, მარქსისაგან განსხვავებით, მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით არ განისაზღვრება. თავის ნაშრომში – „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" – ვებერი თანამედროვე კაპიტალიზმის გენეზისს სწვდის, უკავშირებს რა ამ პრობლემას რელიგიის სოციოლოგიას, კერძოდ პროტესტანტობას. ამ შემთხვევაში ვებერის გენიალური აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველაზე უკეთ დაინახა ის კავშირი, რომელიც არსებობს პროტესტანტული რელიგიის ეთიკურ კოდექსსა და კაპიტალისტურ ეკონომიკას შორის. პროტესტანტობაში ძირითადი აქცენტი კეთდება არა დოგმატიკაზე, არამედ მორალურ პრაქტიკაზე, რომელიც ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაში – შრომაში ვლინდება. შრომა ადამიანის ამქვეყნიური ვალია. ის ყველამ უნდა მოიხადოს. ეს არის ის, რასაც ვებერმა „საერო კატეხიზმო" უწოდა. საერო ცხოვრების რაციონალიზაციის აღსანიშნავად ვებერმა სპეციალური ტერმინი „განჯადოება" შემოიტანა. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი მაგიური ცრურწმენებისაგან თავისუფლდება. კაპიტალიზმის ისტორიაში იგი რეფორმაციასა და კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირდება.



ვებერის მთავარი სოციოლოგიური ნაშრომი

ვებერი აგრეთვე ცნობილია, როგორც ძალაუფლების სოციოლოგიის წარმომადგენელი. მის მიერ გამოყოფილია ძალაუფლების (ბატონობის) ლეგიტიმაციის (შესაბამისად, პოლიტიკური ლიდერის) სამი ტიპი: 1) რაციონალური – ემყარება არსებული წესრიგის კანონიერებას; 2) ტრადიციული – ემყარება ტრადიციას და 3) ქარიზმატული – ემყარება სებუნებრიობასა და ირაციონალიზმს (სოც შემთხვევაში გმირობა, გენიალობა), რომელიც ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება. ამ კონტექსტშია ფორმულირებული ვებერის რაციონალური ბიუროკრატიის კონცეფცია, რომელიც ძალაუფლების პირველ ტიპთანაა დაკავშირებული. დემოკრატიის ცნების ანალიზისას ვებერი პოლიტიკური მმართველობის ამ ფორმის ორ ნაირსახეობაზე მიუთითებს: „ბელადის პლებისციტური დემოკრატია" და „პლებისციტური დემოკრატია ბელადის გარეშე", რომლის მნიშვნელობა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მინიმუმამდე შემცირებაა.

ვებერის სოციოლოგიური შრომები აქტუალურია დღესაც. მათ გარეშე თითქმის წარმოუდგენელია თანამედროვე სოციოლოგია. ვებერი 56 წლის ასაკში, 1920 წლის 14 ივნისს მიუნხენში გაერცელებული გრიპის ეპიდემიის შედეგად გარდაიცვალა. მისი ყველაზე მეტად ცნობილი და აღიარებული მოწაფეები არიან სოციოლოგები: შიუცი და გარფინკელი.

* * *

„სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც მიისწრაფვის სოციალური მოქმედების გაგებისაკენ და ამით კაუზალურად ხსნის მის პროცესსა და მოქმედებას."
„სამეცნიერო სფეროში „ავტორიტეტულია" ის, ვინც მხოლოდ ერთ საქმეს ემსახურება."
„მოწოდებით მეცნიერებისა და ნამდვილი პროფესიონალების მოსასმენად ჩვენს ლექციებზე მოსულმა სტუდენტებმა როდი უწყიან, რომ ასი პროფესორიდან ოთხმოცდაათი არათუ არ არის ცხოვრების ფეხბურთის ოსტატი, არამედ საერთოდ შორს დგას იმ საქმისაგან, რომელსაც ემსახურება."
„მხოლოდ დარდითა და მოლოდინით ვერაფერს გახდები. სხვანაირი მოქმედებაა საჭირო – უნდა შეესაბამებოდე „დღის მოთხოვნებს" და საკუთარ საქმეს ადმიანურად და პროფესიონალურად უნდა მოეპყრა. მოცემული მოთხოვნა მარტივი და გასაგები გახდება მაშინ, როდესაც ყოველი ჩვენგანი საკუთარ დემონს იპოვის და მის ხმას მოუსმენს."

მაქს ვებერი

ეს საინტერესოა

სპორტის სოციოლოგია

სპორტის სოციოლოგია დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინაა, რომელიც სპორტს განიხილავს, როგორც სოციალურ ფენომენს. მის მიხედვით, სპორტი გაცნობიერებული სათამაშო საქმიანობაა, რომელიც კავშირშია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეროვნულ და ა. შ. სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან. სპორტის სოციოლოგიის პრობლემებია: სპორტი, როგორც სოციოკულტურული მოვლენა, სპორტის სოციალური ფუნქცია, სპორტი და დასვენება, სპორტი და აგრესია და მრავალი სხვა. იგი ძალზე პოპულარული დარგია განვითარებულ ქვეყნებში. ამ დარგის სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებაში. დასავლეთის ქვეყნებში სპორტულ დაწესებულებებსა და კლუბებში სოციოლოგიური სერვისი ჩვეულებრივი მოვლენაა. სპორტის სოციოლოგია სპორტული კოლექტივებისა და ორგანიზაციების სოციალური პრობლემების კვლევას სპეციფიკური მეთოდებით ახორციელებს.

პელე, დიეგო მარადონა, ლიონელ მესი, დები უილიამსები, რაფაელ ნადალი, მაიკლ ჯორდანი, როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი და ა. შ. – დღეს ისინი მსოფლიოში ალექსანდრე მაკედონელზე, იულიუს კეისარსა და ნაპოლეონზე უფრო მეტად ცნობილი ადამიანები არიან. მათი სახელები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ნებისმიერი ასაკისა და სპეციალობის ადამიანებმა იციან.





დებ უილიამსებს „დიდი სლემის" ტურნირი ერთეულთა შორის 20-ჯერ აქვთ მოგებული. ვინუსის ანგარიშზე 7 გამარჯვებაა, ხოლო სერენამ გამარჯვება 13-ჯერ იზეიმა. რაც შეეხება ერთ-ერთ პრესტიჟულ – უიმბლდონის ტურნირს, უკანასკნელი 11 ტურნირიდან მათ 9 აქვთ მოგებული. ამასთან ფინალში დები 4-ჯერ შეხვედნენ ერთმანეთს.

თანამედროვე სოციოლოგები სპორტს განიხილავენ, როგორც ყოველდღიური ცხოვრების წესსა და სოციალურ მოვლენას. სპორტის ამგვარი გააზრება მოცემული აქვს ცნობილ ფრანგ სოციოლოგს პიერ ბურდიეს წიგნში: „განსხვავება, მსჯელობის სოციალური კრიტიკა" (თარგმნილია ქართულ ენაზე). ბურდიეს მიხედვით, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენები განსხვავებული ინტენსივობით მისდევენ სპორტის ამა თუ იმ სახეობას, რომლის პროცენტული მაჩვენებელი მით უფრო მატულობს, რაც უფრო მაღ-

ლა აედიეართ სოციალური იერარქიის კიბეზე. სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილობის ტრანსფორმაცია უმალ აისახება სპორტზე. მის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სპორტის ე. წ. „ელიტარული" და „მასობრივი" სახეობები, მაგალითად: სამთო-სათხილამურო სპორტი, დოღი და ჩოგბურთი, თუმცა ამ სტანდარტს ანგრევს ფეხბურთი. იგი მთლიანად მოიცავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს.

თანამედროვე ადამიანისათვის სპორტის მნიშვნელობასა და როლზე კარგად მიანიშნებს ცნობილი პარიზელი სტილისტის პოლ ლაგერფელდის მაგალითი, რომელიც ამბობს, რომ „დღეს შეუძლებელია მოდური იყო, თუკი სხეული ჰარმონიულად არ გაქვს განვითარებული" (სხეულის ჰარმონიულად განვითარება კი სპორტის გარეშე წარმოუდგენელია). ლაგერფელდის ბინა ტრენაჟორების დარბაზს ჰგავს. ამით ხაზგასმულია სპორტის, როგორც ცხოვრების წესის, აუცილებლობა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ეს დარგი მალე გახდება პოპულარული, რადგანაც დღეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მთელი რიგი სპორტული წარმატებების დიდი წილი გამართულ სოციოლოგიურ სამსახურზე მოდის.

ფეხბურთი, როგორც გლობალური სოციალური ფენომენი



თანამედროვე პოსტკლასიკური საზოგადოება ძნელი წარმოსადგენია ფეხბურთის გარეშე. დღეს ის ერთ-ერთი გლობალური თამაშია. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას იაპონელმა ექსპერტებმა 30 მილიარდზე მეტი სატელევიზიო ჩართვა დაითვალეს. ეს ციფრები კიდევ უფრო მატულობს ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე. მისი გავრცელების არეალი დიდად აჭარბებს გაეროსაც კი. მსგავსი მასობრივი ხასიათის მქონე მსოფლიო ფენომენი, ბუნებრივია, სოციოლოგიურ ახსნას საჭიროებს. რით აიხსნება ფეხბურთის ასეთი პოპულარობა? როგორია მისი პოპულარობის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული საფუძვლები? რა გაკვლენას ახდენს ფეხბურთი თანამედროვე მსოფლიო წესრიგში? ეს არის ის კითხვები, რომლებსაც ფეხბურთის სოციოლოგიამ უნდა გასცეს პასუხი. განსაკუთრებული კვლევის საგანია ფეხბურთის რაციონალიზაციისა და კომერციალიზაციის საკითხი. პოსტკლასიკურ ეპოქაში ფეხბურთის ტრანსფორმაცია მოხდა. იგი, ფაქტობრივად, დაიცალა ირაციონალიზმისაგან და პრაგმატული, ძალზე მერკანტილური სახე მიიღო.

* * *


„ფეხბურთმა გათანგა და გააბრუა მასები. ადამიანურ და პოლიტიკურ დრამაზე მაღლა ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა უყოყმანოდ, სრულებით ღიად და დაუფარავად ფეხბურთის მატჩს აყენებს."

ჟან ბოდრიარი

XII ლექცია

თემა: სოციალური ინსტიტუტები

ტერმინი „ინსტიტუტი" ლათინური სიტყვა **institutum**-იდან მომდინარეობს და იმას ნიშნავს, რაც დაწესებულია, დადგენილია. მას სოციოლოგიაში, სხვა მეცნიერებებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა გაგება აქვს, რომლებიც ოთხ ძირითად მნიშვნელობამდე შეიძლება დავიყვანოთ: 1) ტერმინი „ინსტიტუტი" შეიძლება აღნიშნავდეს გარკვეულ პირთა ჯგუფს, რომლებიც საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებენ; 2) ინსტიტუტი შეიძლება იყოს იმ ფუნქციების ორგანიზაციული კომპლექსი, რომლებსაც ჯგუფის ზოგიერთი წევრი მთელი ჯგუფის მიმართ ასრულებს; 3) ინსტიტუტი არის დაწესებულება ან დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელიც ცალკეულ ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს საშუალებას აძლევს შეასრულოს უპიროვნო საზოგადოებრივი ფუნქციები საკუთარი ან ჯგუფის წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით; 4) ინსტიტუტს უწოდებენ სოციალურ როლს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯგუფისათვის. ინსტიტუტის ცნების ოთხივე განმარტება შეიძლება მის ორ, ფართო და ვიწრო გაგებაში გაეაერთიანოთ.



ვიწრო გაგებით, ინსტიტუტის ცნებას ტექნიკური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და სპეციალიზირებულ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებს აღნიშნავს, ფართო მნიშვნელობით კი საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებული სფეროს მარეგულირებელ ნორმებს ნიშნავს. თანამედროვე სოციოლოგიაში მიღებული განსაზღვრების მიხედვით, სოციალური ინსტიტუტების ცნებაში იგულისხმება სოციალური ცხოვრების მთელი რიგი სფეროების: ოჯახის, რელიგიის, განათლების, ეკონომიკისა და პოლიტიკის, მარეგულირებელი ნორმების, ღირებულებების, სიმბოლოების, რწმენა-წარმოდგენების, როლებისა და სტატუსების შედარებით სტაბილური და ინტეგრირებული ერთობლიობა.

ინსტიტუტის ბუნების გასაგებად მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ყველასათვის ცნობილია, რომ გარემოსთან ცხოველები ინსტინქტების მეშვეობით არიან დაკავშირებულნი. ინსტინქტი ევოლუციის პროცესის შედეგად ცხოველთა გადასარჩენად გამოჩარხული ბუნების ძლაერი ინსტრუმენტია. მაგრამ რა ქნას ადამიანმა? მან ხომ ყველა თავისი ინსტინქტი დაკარგა, ხოლო რაც შემორჩა, არ არის საკმარისი სწრაფადცვალებად სოციალურ გარემოში ორიენტირებისათვის. ასეთ ვითარებაში მშველელის როლში სოციალური ინსტიტუტები გამოდიან. ისინი საზოგადოებაში იმ როლს ასრულებენ, რასაც ინსტინქტები ცხოველთა სამყაროში. თუ ინსტინქტები ბუნების ევოლუციის შედეგად არიან გამოყვანილნი, სოციალური ინსტიტუტები კულტურის ევოლუციის შედეგად არიან მიღებულნი. ოღონდ სოციალური ინსტიტუტები ეხმარებიან არა მარტო ერთეულ ინდივიდებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას. მათი მიზანია საზოგადოების წევრთა უმთავრესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სოციოლოგებმა შეისწავლეს მსგავსი მოთხოვნილებანი და აღმოაჩინეს, რომ ყველასათვის აუცილებელი და უმთავრესი მოთხოვნილებანი არც ისე ბევრია; აღმოჩნდა, რომ მათი რაოდენობა ხუთს არ აღემატება, შესაბამისად, სოციალური ინსტიტუტების რაოდენობაც ამდენივეა.

- გვარის გაგრძელების მოთხოვნილება (ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტი);
- უსაფრთხოებისა და სოციალური წესრიგის მოთხოვნილება (პოლიტიკური ინსტიტუტები, სახელმწიფო);
- საარსებო საშუალებათა მოპოვების მოთხოვნილება (ეკონომიკური ინსტიტუტები, წარმოება);
- მომავალი თაობებისადმი ცოდნის გადაცემის მოთხოვნილება (განათლების ინსტიტუტები, ფართო გაგებით, მეცნიერება და კულტურა);
- სულიერი პრობლემების მოგვარებისა და ცხოვრების საზრისის ძიების მოთხოვნილება (რელიგიური ინსტიტუტები).



ტორსტეინ ბუნდე ეებლენი
(1857-1929)

ერთ-ერთი პირეელი, ეინც მასშტაბურად მიუდგა სოციალური ინსტიტუტების შესწაელის საკითხს, ამერიკელი სოციოლოგი ტორსტეინ ეებლენი იყო. მის მიხედეით, საზოგადოების განეითარება სოციალური ინსტიტუტების ბუნებრიეი გადარჩეის პროცესია. საზოგადოების ისტორიის გარიერაჟზე ადამიანთა ერთობაში პრომისკუიტეტი – ქაოსური სექსუალური ურთიერთობა ბატონობდა. ის ადამიანთა მოდგმას გენეტიკური გადაგეარებით ემუქრებოდა, ამიტომ თანადათანობითი აკრძალეების მეშეეობით ამ ურთიერთობათა შეზღუდეა მოხდა. პირეელი აკრძალეა სიხლის აღრეას შეეხებოდა. ასე გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში სოციალური ნორმის პირეელი სახე. შემდეგ დროთა განმაელობაში სხეა ნორმებიც გაჩნდა. კაცობრიობა არსებობისათეის ბრძოლას სწაელობდა და გარემო პირობებთან ადაპტაციას ახდენდა. ასე წარმოიქმნა პირეელი სოციალური ინსტიტუტი – ოჯახი. ოჯახური ცხოერების ნორმები და წესები სხეა ანალოგიურ ინსტიტუციონალიზებულ ნორმებთან ერთად თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ისინი აძლეედნენ მიმართულებას ადამიანთა ცხოერებასა და აზროენებას, დეეიანტებს მკაცრად სჯიდნენ და ა. შ. აქედან გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ მიიჩნეედნენ სოციალურ ინსტიტუტებს საზოგადოების მიერ ღადგენილი ადათ-წესებისა და ტრადიციების სისტემად ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელი ტორსტეინ ეებლენი და მისი მოწაფე უილიამ ჰამილტონი. ინსტიტუტის ცნების ამ გაგებიდან მომდინარეობს ინსტიტუციონალიზმის ცნება, რაც სოციალური ურთიერთობების ან სოციალურ ურთიერთობათა პრაქტიკის დაკანონებას, დაწესებას ნიშნაეს. მაგალითად, სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციაში სახელმწიფოს მიერ სტანდარტებისა და დადგენილებების შემუშაეება იგულისხმება, რომლის მიხედეით უნდა ფუნქციონირებდეს სოციოლოგიური კულეეის ცენტრები, სასწაელო და სამეცნიერო დაწესებულებები სოციოლოგიის განხრით, უნდა ხდებოდეს ჟურნალების, სახელმძღანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემა და სხეა. ე. ი. ინსტიტუციონალიზაცია სოციალური ნორმების დაკანონებას ნიშნაეს. ფაქტობრიეად, ეს ინსტიტუტების ფორმირების, საზოგადოებაში თაეის დამკეიდრების პროცესია.

სოციალურ ინსტიტუტებს იკულეედა აგრეთეე ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, რადიკალური სოციოლოგიის წარმომადგენელი ჩარლზ რაით მილსი. ინსტიტუტი მას წარმოედგინა, როგორც ცალკეული სოციალური როლების ერთობლიობის საზოგადოებრიეი ფორმა. ინსტიტუტების კლასიფიკაცია მან მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების მიხედეით მოახდინა და რელიგიური, სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და ოჯახური ინსტიტუტები გამოყო.

ინსტიტუტის ცნება სოციალურ მოქმედებებს დაუკაეშირა სოციოლოგმა პიტერ ბერგერმა. მის მიხედეით, ინსტიტუტი სოციალურ მოქმედებათა განკურძოებული კომპლექსია და მეტი არაფერი, მაგალითად, ქორწინება, იურიდიული კანონი, ორგანიზაციულად გაფორმებული რელიგია და ა. შ.

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გერმანელი სოციოლოგი არნოლდ გელენი (1904-1976) ინსტიტუტს განმარტაედა, როგორც ადამიანის მოქმედებათა მარეგულირებელ დაწესებულებას, რომელიც ისეე აუცილებელია ადამიანის მოქმედებებისათეის მიმართულების მისაცემად, როგორც ცხენისათეის – აღკირი. ეს იმას ნიშნაეს, რომ ინსტიტუტები არა მარტო აწესრიგებენ ადამიანთა მოქმედებას, არამედ აკონტროლებენ კიდეეც იმისათეის, რომ მან რამე ისეთი არ ჩაიდინოს, რაც საზოგადოებისათეის ზიანის მომტანი იქნება.

სოციოლოგების აზრით, სოციალური ინსტიტუტები ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ და კულტურულ სახეს განსაზღრაეენ. ისინი ისე არ ჰგანან ერთმანეთს, როგორც კულტურები. მაგალითად, ქორწინების ინსტიტუტი სხეადასხეა ხალხებს სხეადასხეაგეარი აქეთ განსხეაეებული რიტუალებითა და ქცეების წესებით.

ეეელა ინსტიტუტი შეიძლება დაიყოს ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტად. მაგალითად, ადამიანთა დროებით გაერთიანებას, ესო'ში ფეხბურთის მოთამაშე ბაე'შეებს თაეიანთი წინამძღოლი ჰყაეთ, მაგრამ ამ ტიპის ინსტიტუტს მკარი ორგანიზაციის გარან-

ტია არა აქვს, ამიტომ მას არაფორმალურ ინსტიტუტს ეუწოდებთ. როდესაც წინამძღოლი (ლიდერი) ოფიციალურად დადგენილი წესების მიხედვით არის არჩეული და მას მოქმედების საშუალებები და მეთოდები დეტალურად, კანონის მსგავსად აქვს მოწესრიგებული, მაშინ საქმე გვაქვს ფორმალურ ინსტიტუტთან. ბავშვთა ფეხბურთის გუნდის წინამძღოლობა არაფორმალური ინსტიტუტია, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტობა – ფორმალური.

თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებულია ინსტიტუტების დაყოფა მათ მიერ შესასრულებელი შინაარსობრივი ამოცანების საფუძველზე, რაც ინსტიტუტების განსახორციელებელ ძირითად ფუნქციებს შეესაბამება. ზოგადად, ინსტიტუტების ფუნქცია ადამიანთა ცხოერების უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარებაა. მაგალითად, მილიონობით შეყვარებული ადამიანი ოჯახისა და ქორწინების ინსტიტუტის დახმარებით აგვარებს თაეის პრობლემას, აეადმყოფობის შემთხვეეაში ჯანდაცეის ინსტიტუტებს მიმართაეს და ა. შ. ადამიანები ინსტიტუტების მეშვეობით აწესრიგებენ და აყალიბებენ სოციალურ ცხოერებას. ამ მიზნით არის შექმნილი სახელმწიფო, მთავრობა, პოლიცია, სასამართლო, ადეოკატურა და სხვ.

ინსტიტუტები სოციალური კონტროლის ფუნქციასაც ასრულებენ. ისინი თაეიანთი ნორმატიული წესრიგით ადამიანებს სტიმულს აძლეეენ თაეი შეიკაეონ დეეიანტური ქცეეისაგან და დისციპლინას ამკეიდრებენ საზოგადოებაში.

ინსტიტუტები აგრეთვე კომუნიკაციური ფუნქციის მატარებლებიც არიან. ამ შემთხვეეაში ისინი კულტურის იმ ნაწილად განიხილება, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ინფორმაციას აერცელებს, დაგროეილ ისტორიულ გამოცდილებას მომაეალ თაობებს გადასცემს და ა. შ. ინსტიტუტებს მნიშვნელოეან სოციალურ ფაქტებად მიიჩნეედა ემილ დიურკემიც. ინსტიტუტების შესახებ ყოეელიეე ზემოაღნიშნულის გათეალისწინებით ძნელი არ არის ინსტიტუტების ზოგადი დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა:

- **ინდიეიდების მიერ ინსტიტუტები აღიქმება, როგორც გარეგანი რეალობა:** სხვა სიტყეებით რომ ეთქეათ, ყოეელი ცალკე აღებული ადამიანისათეის ინსტიტუტი გარეგანია ანუ დამოუკიდებელია ჩეენი სურეილებისა და ფანტაზიებისაგან;
- **ინდიეიდების მიერ ინსტიტუტები აღიქმება, როგორც ობიექტური რეალობა:** ეს, ფაქტობრიეად, წინამდებარე დახასიათების განმეორებას წარმოადგენს, მაგრამ მას არ ემთხვეეა.
- **ინსტიტუტებს მაიძულებელი ძალა აქვთ:** საზოგადოების წეერად ყოფნა თითოეულ ჩეენგანს, მოსწონს თუ არა ეს, მთელი რიგი წესების შესრულებას ავალდებულებს. ასეა ინსტიტუტებიც, რომლებსაც პიროენებასთან მიმართებაში მაიძულებელი ხასიათი აქვთ. მაგალითად, ოჯახის ინსტიტუტი გვაიძულებს დაეემორჩილოთ მის მიერ დადგენილ წესებს. ასეა პოლიტიკური, ეკონომიკური და სხეა ინსტიტუტები.
- **ინსტიტუტებს მორალური აეტორიტეტი აქვთ:** რაც იმაში გამოიხატება, რომ ინსტიტუტი არა მარტო სჯის დეეიანტს, არამედ მორალურად კიცხაეს მას.
- **ინსტიტუტები ისტორიულობის ნიშნით ხასიათდებიან:** ეს იმას ნიშნაეს, რომ ინსტიტუტები საზოგადოების ხანგრძლიეი ისტორიული განეითარების შედეგია. ისინი არსებობდნენ ჩეენამდე და ჩეენ შემდეგაც იარსებებენ.

ძირითადი სოციალური ინსტიტუტების ფუნქციები და სტრუქტურული ელემენტები

ფუნქცია	ინსტიტუტი	ძირითადი როლი	ფიზიკური ნიშანი	სიმბოლური ნიშანი
ბაეშვის მოელა-პატრონობა, აღზრდა. მასზე ზრუნეა	ქორწინება და ოჯახი	დედა, მამა, შვილი	სახლი	ბეჭედი (საქორწინო), კონტრაქტი
საკეების, ტანსაცმლის და საცხოვრებლის მოპოეება	ეკონომიკური	მენარმე, დაქირაეებული მუშა, მყიდველი, გამყიდველი და სხვ.	ფაბრიკა, ოფისი, მაღაზია და სხვ.	ფული, სავაჭრო მარკა, რეკლამა

არსებული წესებისა და კანონების მხარდაჭერა	პოლიტიკური	კანონმდებელი, სამართლის სუბიექტი და სხვ.	პარლამენტი, მთავრობის სასახლე, გამგეობის შენობა და სხვ.	დროშა, კოდექსი, ქარტია
რწმენისა და იმედის განმტკიცება	რელიგიური	მღვდელი, მრეელი	ტაძარი, ეკლესია-მონასტერი	ჯვარი, ბიბლია, საკურთხეე-ლი
ადამიანთა სოციალიზაცია, მათ მიერ საბაზისო ღირებულებების ათვისება	განათლება	მასწავლებელი, მოსწავლე	სკოლა, კოლეჯი, სახელმძღვანელო, უნიეერსიტეტი და სხვ.	დიპლომი, ხარისხი

სოციალური ინსტიტუტის ფუნქცია ძალიან მარტივია – ესაა სარგებლიანობის მოტანა საზოგადოებისათეის, თუმცა ზოგჯერ იგი ამას ეერ ასრულებს და მაშინ სოციოლოგები სოციალური ინსტიტუტის დისფუნქციაზე ლაპარაკობენ. სამწუხაროდ, დღეეანდელ საზოგადოებაში დისფუნქციის მაგალითები უამრაეია, მაგალითად, როდესაც ოჯახი ან განათლება თაეის ფუნქციას ეერ ასრულებს (ოჯახის დანგრეეა, პიროენების მანიეელირებელი საგანმანათლებლო პროგრამა და სხეა). სოციალურ ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს აშკარა და ფარული (ლატენტური) ფუნქცია და დისფუნქცია. ინსტიტუტის ფუნქცია ან დისფუნქცია აშკარაა, როდესაც იგი ოფიციალურად არის გამოცხადებული და ამის შესახებ საზოგადოების ყეელა წეერი ინფორმირებულია, ხოლო ლატენტური, პირიქით, საზოგადოების წეერებისათეის დაფარულია. ლატენტური ფუნქციები ლატენტურ დისფუნქციასთან შედარებით უნებელია და ზიანის მომტანი არ არის, ამასთან არის შემთხეეეები, როდესაც ლატენტური ფუნქციები პოზიტიურია. ამის მაგალითს ცნობილი საავტომობილი კომპანიის „ფორდის" შემქმნელის პენრი ფორდის ცხოერება იძლეეა. მას ჭირიეით სძულდა პროფკაეშირები, დიდი ქალაქები, მსხეილი კრედიტები და განეადებით ეაჭრობა, მაგრამ ის ერთ-ერთი იყო იმათ შორის, ეინც ამ ინსტიტუტების სტიმულირებისა და ხელშეწყობისათეის ყეელაფერს აკეთებდა იმ მოსაზრებით, რომ ამ ინსტიტუტების ლატენტური ფუნქციები მისი ბიზნესის სასარგებლოდ არის მომართული.

შენიშენა:

სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები ახლო მომაეალში ძირითადი სოციალური ინსტიტუტების შესახებ ცალკე ლექციებს მოისმენენ. მაგალითად: ოჯახისა და ქორწინების პრობლემებს „ოჯახის სოციოლოგიაში" გაეცნობიან; რელიგიის საკითხებს – „რელიგიის სოციოლოგიაში;" სახელმწიფოს, პოლიტიკისა და ძალაუფლების პრობლემებს „პოლიტიკის სოციოლოგია" გააცნობს მათ; წარმოების, შრომისა და ბიზნესის საკითხებს „ეკონომიკური სოციოლოგია" შეასწაელის; პიროენების სოციალიზაციისა და განათლების პრობლემატიკის ანალიზს „განათლების სოციოლოგიის" კურსი ითეალისწინებს; თანამედროეე საზოგადოებაში მიმდინარე ინსტიტუციურ ცელილებებს სტუდენტები „ინსტიტუციურ ცელილებათა სოციოლოგიის კურსზე" გაეცნობიან, ამიტომ სოციოლოგიის შესაეალ კურსში მათი დაწერილებითი განხილეა, ეფიქრობთ, მიზანშეწონილი არ არის.

მასალა განსჯისათეის

ფრაგმენტი იან შჩეპანსკის წიგნიდან
„სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები"
სოციალური ინსტიტუტები

„– თანამედროეე საზოგადოებაში ყოეელი ადამიანი სარგებლობს უამრაეი სხეადასხეა ინსტიტუტის მომსახურებითა და მუშაობით. იგი იბადება ოჯახში, იზრდება ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებში, სხეადასხეაგეარ სკოლებში, მუშაობს სხეადასხეა საწარმოში, სარგებლობს ქალაქის ტრანსპორტით, რკინიგზის მომსახურებით, ინფორმაციას იღებს გაზეთებიდან, რადიოთი, ტელეეიზიით; კინოთეატრები, კლუბები აწყობენ მისთეის გასართობებს; სხეადასხეა მაღაზიები ამარაგებენ; მის უსაფრთხოებას უზრუნეელყოფს მილიცია და სასამართლო; საშინაო მეურნეობას, წყლის, გაზის, ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნეელყოფს შესაბამის დაწესებულებათა სისტემა; იგი სარგებლობს ჯანდაცეის სამსახურით და ა. შ. მოკლედ რომ ეთქეათ, თითოეული ადამიანი ისწრაფეის დაიკმაყოფილოს სასიცოცხლო მოთხოენილებანი, ამიტომ ამყარებს კონტაქტებსა და სოციალურ ურთიერთობებს, ქმნის მოთხოენილებათა დაკმაყო-

ფილების საშუალებებს, მუშაობს ამ საშუალებათა მოპოვებისათვის, ზემოქმედებს სხვა ადამიანებზე ან რეაგირებს მათ მოქმედებაზე, ყოველ ნაბიჯზე ჩართულია სხვა-დასხვა ინსტიტუტის ქსელში, რომლებიც არეგულირებენ მის საქმიანობასა და ქცევას."

დაეალება:

– ყურადღებით წაიკითხეთ ფრაგმენტი. ცნობილი პოლონელი სოციოლოგის მიერ დასახელებულ ინსტიტუტებს კიდევ რამდენიმე თანამედროვე სოციალურ ინსტიტუტს ხომ არ მიუმატებდით?

სასურველია დავიმახსოვროთ

სეკულარიზაცია – რელიგიური აზროვნების, რელიგიური ცხოვრებისა და ორგანიზაციების მიერ სოციალური გაელენისა და მნიშვნელობის დაკარგვის პროცესია. ეებერი ამბობდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერული აზროვნება და რაციონალიზმი იკავებენ რელიგიური რწმენის ადგილს. ამას ის საზოგადოების „განჯადოებას," „დემაგიზაციას" ეძახდა. ფაქტობრივად, ეს რელიგიის საერო, სამოქალაქო ცხოვრების ერთ-ერთ რიგით ნაწილად გახდომის პროცესია, რომელიც ტრადიციული ღირებულებების მომხრეთა მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება ყოველთვის. პარსონსი ამის შესახებ ამბობდა, რომ რელიგია გაელენას კი არ კარგავს, არამედ უფრო მეტად სპეციალიზებული ხდება, რაც საკამათო საკითხია დღესაც.

მასალა განსჯისათვის

ფრაგმენტი ელეინ ტოფლერის წიგნიდან „მომაელის შოკი" დანგრეული ოჯახი



ელეინ ტოფლერი, ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი (დაიბადა 1928 წელს)

„... სადაცაა ნოვაციების ტალღა დაგეატყდება თავს... ნოვაციები ღრმად შეაღწეევენ ჩეენს პირად ცხოვრებაში და ოჯახის შიგნით არნახულ დაძაბულობას შექმნიან.

ოდესღაც ოჯახი მიიჩნეოდა საზოგადოების დარტყმებისაგან თავდაცვის მძლავრ საშუალებად. დიდ სამყაროსთან ბრძოლის შემდეგ ნაცემ-ნაგვემი ადამიანი ოჯახში მოითქვამდა სულს და ჭრილობებს მოიშუშებდა, მაგრამ ზეინდუსტრიული რეეოლუციის განეითარებასთან ერთად „ეს შოკის საწინააღმდეგო" საშუალება თვითონ ხდება შოკის წყარო.

საზოგადოების კრიტიკოსებისათვის სანეტარო დრო დადგა: ოჯახი „სრული გაქრობის ზღვარზეა," – აცხადებს ფერდინანდ ლანდბერგი ნაშრომში „სამყაროს მომაეალი სახეცვლილება." მას ეთანხმება ფსიქოანალიტიკოსი უილიამ ეულფი: „ოჯახი მოკედა; ის ბავშეის დაბადებიდან ერთ ან ორ წელზე მეტხანს ვერ ძლებს. ასეთი იქნება მისი ფუნქცია მომაეალში." პესიმისტები გეარწმუნებენ, რომ ოჯახი მისანმიმართულად მიესწრაფება არყოფნისაკენ, მაგრამ იშვიათად ამბობენ, თუ რა მოეა მის ნაცვლად.

მათ საწინააღმდეგოდ ოპტიმისტები გეარწმუნებენ: როგორც არსებობდა ოჯახი ყველა სხვა დროში, ისე იარსებებს ახლაც. სოციერთები იმის მტკიცებასაც კი ცდილობენ, რომ ოჯახი თავის ოქრის ხანას უახლოვდება. მოცალეობის ზრდასთან ერთად, ვარაუდობენ ისინი, ოჯახის წეერები უფრო მეტ დროს გაატარებენ ერთად და უფრო მეტ კმაყოფილებას მიიღებენ ერთობლიეი მოქმედებიდან. „ოჯახი, სადაც ყველა ერთად თამაშობს, ერთად რჩება" და ა. შ.

არსებობს სხვა, უფრო ღრმა მოსაზრებაც: მომაეალი დროის ქარიშხალი ადამიანებს აიძულებს უფრო ღრმად შეიდნენ ოჯახში. „ადამიანები იმიტომ იქორწინე-

ბენ, რომ უფრო მყარ სტრუქტურაში პოეონ თავშესაფარი," – წერს დოქტორ ირეინ გრინბერგი, ალბერტ აინშტაინის სამედიცინო კოლეჯის ფსიქიატრიის პროფესორი. ამ მოსაზრების თანახმად, ოჯახი ცვალებადობის ქარიშხლისაგან დაზღვევის საშუალებაა. მოკლედ რამდენად ცვალებადი და უჩვეულოა გარე სამყარო, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ოჯახის როლი.

შესაძლებელია ამ კამათში ორივე მხარე არასწორი იყოს, რამდენადაც მომავალი უფრო ნათელია, ვიდრე გეგონია. ოჯახები, შესაძლოა, არ გაქრება და არც ახალ, იქროს საუკუნეში შევა. უფრო მოსალოდნელია, რომ ის ნამსხვრევებად იქცეს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდგომში ახალი და უცნაური სახე მიიღოს.

დავალება:

– ეთანხმებით თუ არა ამერიკული სოციალური ფუტუროლოგიის წარმომადგენლის მოსაზრებას ოჯახის მომავლის შესახებ?

– როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ოჯახის დანგრევის უმთავრესი მიზეზი?

– ტოფლერის ტერმინებია „ერთჯერადი ქორწინება" და „სერიული ქორწინება." თითოეული მათგანი წარმატებული დროებითი კავშირების გამომხატველი ცნებებია. ტოფლერს მიაჩნია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახმა ტრანსფორმაცია განიცადა და „ერთჯერად ოჯახად" გადაიქცა. ეთანხმებით თუ არა ტოფლერის ამ მოსაზრებას ოჯახისა და ქორწინების ტრანსფორმაციის შესახებ?

დავალება:

– მოიძიეთ შესაბამისი მასალები, რომლებიც ასახავენ ქორწინების რიტუალის განსხვავებას სხვადასხვა ხალხებსა და კულტურებში და მოაწყვეთ მათი განხილვა-პრეზენტაცია ჯგუფში.

– თქვენი აზრით, სოციალური ინსტიტუტების ფუნქციებიდან რომელია უფრო მეტად მნიშვნელოვანი და რატომ?

– თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა საზოგადოება სოციალური ინსტიტუტების გარეშე?

– მოამზადეთ ესეი თემაზე: „პიროვნების თავისუფლება და სოციალური ინსტიტუტები."

ძირითადი ლიტერატურა:

1. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაზე). გვ. 155-177, 371-395, 426-460. 461-494.
2. ი. შჩეპანსკი, სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები, თბ., 1997. გვ. 85-90.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. ფერეოლი. სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუს. ნა'ხე). სარკტპეტერბურგი. 2003. გვ. 32-33.
2. ა. კრაუჩენკო, სოციოლოგია, მ. 1999. (რუს. ნაზე). გვ. 332-352.
3. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნა'ხე). გვ. 390-521.

საკითხავი მასალა

ფრაგმენტი კახა ქეცბაიას ლექციიდან რელიგიის სოციოლოგიაში საზოგადოების ტრანსფორმაცია და რელიგია

„სიცრუე იქნება უკანასკნელი საყვირის ხმა, რომელიც ადამიანის მოდგმას ღვთის სამსჯავროზე მოუხმობს, რადგან თქმულა, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ვერ პოვებს რწმენას დედამიწაზე."

ფრენსის ბეკონი

„ადამიანს დააკლდა ღმერთი და გაცოფდა."
კონსტანტინე გამსახურდია

თანამედროვეობამ მრავალი სიურპრიზი მოუმზადა კაცობრიობას, რომელთა შორის ერთ-ერთი სოციალური ტრანსფორმაციაა. შექმნილ ვითარებას პოსტმოდერნულ მდგომარეობას უწოდებენ (ლიოტარი). ამ შემთხვევაში ტრანსფორმაციის გარეშე თითქმის არც ერთი სოციალური თუ სულიერ-გონითი ფენომენი არ რჩება, მათ შორის რელიგიაც, რომელიც უაღრესად კონსერვატიული ფენომენია. იგი, როგორც წესი, ყოველთვის ინარჩუნებს თავისთავადობას, მაგრამ ეს ხდება კლასიკურ ეპოქაში, პოსტკლასიკურში კი იგი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. პოსტმოდერნულ ეპოქაში რელიგია მასკულტურის ნაწილად იქცევა (ბოდრიარი), რაც საზოგადოებას მთელ რიგ ნოეაციებს სთავაზობს (რელიგიურ ნოეაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ე. წ. ახალი რელიგია ჩნდება ან უკვე არსებული ისე იცვლება, რომ ის ცდილობს უკეთ მოერგოს ადამიანთა საჭიროებებს). ამ შემთხვევაში ტრანსფორმირდება არა მხოლოდ რელიგია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, არამედ, რაც ყველაზე მეტად საგანგაშოა, რელიგიური რწმენა. ყოველივე ეს თანამედროვე რელიგიის სოციოლოგიაში მწვავე დებატების საგანი ხდება.

რელიგიის სოციოლოგიაში მისი ფუძემდებლების (დიურკემისა და ვებერის) დროიდან მოყოლებული ყოველთვის აქტუალური იყო საკითხი რელიგიის მომავლის შესახებ, თუმცა თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე მთელმა რიგმა გლობალურმა პროცესებმა რელიგიის მომავლის შესახებ საკითხს უფრო მეტი სიმწვავე და აქტუალობა შესძინეს და იგი ერთ-ერთ ყველაზე მეტად საკამათო საკითხად აქციეს.

რელიგიის სოციოლოგიის, როგორც რელიგიის შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინის, დანიშნულებაში იმპლიციტურად იგულისხმება მისი შესასწავლი საგნის პერსპექტივაში დანახვა და მომავლის პროგნოზირება, მით უფრო მაშინ, როდესაც რელიგიასთან დაკავშირებით დღეს შექმნილი ვითარება რამდენადმე საგანგაშოა.

დღეს უკვე ყველასაგან აღიარებული ფაქტია და სიახლე ამაში არაფერია, რომ კაცობრიობა პოსტკლასიკურ ეპოქაში იმყოფება, რაც კლასიკური ღირებულებების დევალვაციას ნიშნავს. საკაცობრიო კულტურაში ამ პროცესის დაწყების მაუწყებელი ფრიდრიხ ნიცშე იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა აუწყა კაცობრიობას „ღმერთის სიკვდილის" შესახებ. „ღმერთის სიკვდილი" „ადამიანის სიკვდილსაც" ნიშნავდა, მაგრამ ფუფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ კაცობრიობას მაშინ ამისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელმა" კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა." თუკი XX საუკუნეს „ღმერთის სიკვდილის" დამღა ახზის შუბლზე, XXI საუკუნისათვის ასეთი რამ „ადამიანის სიკვდილი" იქნება (არსებული რეალობა იმდენად პესიმისტური და შემზარავია, რომ თვით ყველაზე დიდ პესიმისტს – შოპენჰაუერსაც კი შეშურდებოდა ასეთ ეპოქაში ცხოვრება). შექმნილი რეალობის ყოველგვარი დრამატიზების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს ძალზე მტკივნეულად აისახება რელიგიის მომავალზე.

ამჟამად არავინ არ დაეჭვებს იმაზე, რომ გლობალიზაციის პროცესის პარალელურად საზოგადოების ახალი ტიპის – ტრანსფორმირებადი საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება, სადაც ყველა სოციალური ინსტიტუტი ცვლილებას განიცდის. მაგალითად, ბოლო ასწლეულში შეიცვალა კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკა, ღირებულებათა სისტემა და, საკვირველია, რომ ყოველივე ამის მსგავსად შეიცვლება საზოგადოების რელიგიური ცხოვრება. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც მაღალ ტექნოლოგიებსა და სამყაროს მეცნიერულ მიდგომას ეფუძნება, რელიგიის როლის უკანა პლანზე გადაწევა მოხდა, რამაც (კლასიკური რელიგიის სოციოლოგიის მსგავსად) თანამედროვე რელიგიის სოციოლოგია რელიგიის გაქრობაზე აი-

ლაპარაკა. რობერტ ბელის თქმით, გლობალიზაციამ გამოიწვია „სამოქალაქო რელიგიის“ გაჩენა, რომელიც კეზირელიგიური ლოიალურობაა, სადაც მოქალაქეობა რელიგიურ შეფერილობას იღებს. ყოველიეე ეს პოსტკონფესიური საზოგადოების წარმოშობას უწყობს ხელს. სოციოლოგების მიხედვით, ამ ტიპის საზოგადოებაში წინა პლანზე წამოიწევა ელექტრონული, ე. წ. კიბერეკლესიის ცნება, რომელიც საბოლოო ჯამში „ვირტუალური რელიგიურობის“ საწყისად მოიაზრება[1]. ამ შემთხვევაში საზოგადოების განვითარების მაგისტრალურ ხაზს „საკრალურიდან საეროსაკენ,“ „ზესთასოფლურიდან ამსოფლურისაკენ“ სელა წარმოადგენს, რომლის დროსაც საკრალური სულ უფრო მეტად კნინდება და საბოლოო ჯამში დესაკრალიზებულ საზოგადოებას ეიღებთ. ამ ყოველიეეს სეკულარიზაციის პროცესი უდეეს საფუძველად, რომელსაც თანამედროვე რელიგიის სოციოლოგიაში, არცთუ უსაფუძველოდ, მოდერნიზაციის პროცესს უკავშირებენ. „ვირტუალური რელიგიის“ ცნებასთან ერთად რელიგიის სოციოლოგიაში კიდეე ერთი ახალი ტერმინი – „რელიგიური ინოვაციები შემოვიდა[2].“

„ვირტუალური რელიგიის“ ცნება „ვირტუალური საზოგადოებისა“ და „ვირტუალური ადამიანის“ ცნებებთანაა კაეშირში. იმ მრავალ საჭირბოროტო საკითხთაგან, რომელიც რელიგიის მომავალთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთი ახალი ტექნოლოგიებია, რომელიც, თავის მხრივ, პოსტმოდერნული რეალობის არსებითი მახასიათებელია იმდენად, რამდენადაც საუბარია ინდუსტრიული ტექნოლოგიის მნიშვნელობის ჩანაცვლებაზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რაც, თავისთავად, არსებული რეალობის გაქრობას ნიშნავს. მის ადგილს ახალი რეალობა იკავებს, რომელიც ადამიანს თანამედროვე ტექნოლოგიებით – ტელეეიზიით (უკვე მოძველებული), სოციალური ქსელებით და კოლოსალურად გაზრდილი თანამედროვე მედიასაშუალებებით მიეწოდება. იმისათვის, რომ ადამიანმა შეიგრძნოს საკუთარი არსებობა, ის უნდა არსებობდეს ამ ვირტუალურ სიერცეში – საკომუნიკაციო ეკრანზე, ფეისბუქზე, მაისფეისზე და ა. შ. პოსტმოდერნისტ ბოდრიარის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში მედიასაშუალებები, ცოდნისა და გართობის ინდუსტრია ბატონობს, რომელმაც ინდუსტრიული საზოგადოება და მისი ღირებულებითი სამყარო ჩაანაცვლა. ქსელური საზოგადოება ნიშნების მწარმოებელი სისტემებით მანიპულირებს, რომელიც საკუთარი თავის გარდა სხვას არაფერს აღნიშნავს. იქმნება ისეთი ტოტალური ვირტუალური რეალობა, რომელიც სიმულაციაზე, თვალთმაქცობასა და მიმბაძეელობაზეა დამყარებული. ეს არის ახალი სინამდვილე, ე. წ. ვირტუალური რეალობა – არსებული სინამდვილის ხელოვნური ასლი, რომელიც უკვე იმდენად მნიშვნელობს, რომ ნამდვილ სინამდვილეს აზრი აქვს დაკარგული. სოციოლოგიის ენაზე ამას სოციალურის სიკვდილს ეძახიან (ბოდრიარი). ამიერიდან ადამიანი სიმულირებულია – ნამდვილი ადამიანის ნაცვლად სახეზეა მისი სიმულაცია.[3] ვირტუალურ რეალობაში ადამიანი მხოლოდ მისი ციფრული გამოსახულების სახით არსებობს, რადგანაც ერთადერთი რეალობა ზერეალური, ვირტუალური სიერცეა, რომელიც სხვა სახის რეალობას გამორიცხავს. ფაქტობრივად, ეს ის არის, რასაც ჩვენ „ადამიანის სიკვდილს“ ვუწოდებთ. ბუნებრივია, ადამიანისა და საზოგადოების ვირტუალიზაცია რელიგიასაც შეეხო, რის გამოც სოციოლოგები შეშფოთდნენ და რელიგიის მომავლის შესახებ ალაპარაკდნენ. დაიწყო მსჯელობა და ცხარე კამათი იმის შესახებ, თუ რა ბედი ელის რელიგიას პოსტკლასიკურ, ვირტუალურ საზოგადოებაში.

მთავარი, ცენტრალური კითხვებია: მართლა ხდება თუ არა რელიგიის როლის დაკნინება თანამედროვე საზოგადოებაში? თუკი ეს ასეა და რელიგია საზოგადოებაზე თავის მნიშვნელობასა და გავლენას მართლაც კარგავს, მაშინ როგორი იქნება ამ პროცესის საბოლოო ფინალი? ხომ არ მიედინებართ ურელიგიო საზოგადოებისაკენ? პერსპექტივაში ეს ქველაფერი ე. წ. ახალი რელიგიების წარმოშობით უნდა დამთავრდეს? თუ პირიქით მოხდება, ყოველიეე ეს საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს და ტრადიციული რელიგიები ახალ გარემოში ახალი ენერგიით შეიარაღებიან და სიცოცხლისუნარიანობას დაიწყებენ? ეს კითხვები რეალურია, რადგანაც რეალურია საზოგადოების ტრანსფორმაციის დაჩქარებული ტემპი. მთავარი კითხვა კი ასეთია: თუკი კულტურა იქცა მასკულტურად, იყიეე ხომ არ ემუქრება რელიგიასაც? მით უფრო მაშინ, როდესაც, ბოდრიარის სიტყვებით თუ ვიტყვით, თანამედროვე კულტურა ნაგვის წარმოებად, ხოლო ადამიანი ლამისაა ნაგვად იქცეს.

---

[1] Мясоник Дж., Социология, М., 2004. გვ. 641-642.

[2] ამის შესახებ იხილეთ: ქ. კალპური, დ. ლაითი, ს. კელერი. სოციოლოგია, თბ., 2008. იდიას საჯარო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თავი 13. რელიგია. გვ. 545.

[3] იხ. ჟან ბოდრიარი. „სიმულირებულები და სიმულაციები“ ჟურნალში „პარალელური ტექსტები.“ თბ., 1997. გიგი თევზაძის თარგმანი.

ამ კითხვებზე პასუხი დროის მოთხოვნაა. ეს არის ის გამოწვევა, რომლის წინაშეც რელიგიის სოციოლოგია აღმოჩნდა დღეს. ამ კითხვებს, რომლის დასმაც კი რელიგიური თვალსაზრისით მკრეხელობაა, პასუხები სჭირდება. ტრადიციულ რელიგიებს მასზე საკუთარი მომზადებული პასუხი აქვთ. სხვა საქმეა, თუ რას ამბობენ ამის შესახებ იმ მეცნიერული დისციპლინის წარმომადგენლები, რომელთა უშუალო პროფესიული საქმიანობა რელიგიის შესწავლაა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რელიგიის მომავლის საკითხის თეორიული ანალიზი სოციოლოგიაში ემპირიულ მასალასა და ფაქტებსეა დამყარებული.

რელიგიაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთელი რიგი ფაქტორები ახდენენ გავლენას. ესენია: განათლება, მეცნიერება და ტექნიკა, მორალურ-ეთიკური ნორმები, პოლიტიკური ცხოვრება და ეკონომიკა; ამ სფეროებში მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო ამწვავებს რელიგიის მომავლის საკითხს, ამიტომ საბოლოო ჯამში საკითხი რელიგიის მომავლის შესახებ ზოგადად საზოგადოების მომავლის შესახებ საკითხის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტია. თუ რელიგიას არა აქვს მომავალი, მაშინ საზოგადოებასაც არ ჰქონია მომავალი და პირიქით.

ისტორიულად, პირველი პროგნოზი რელიგიის მომავლის შესახებ სოციოლოგიის მამას, კონტს ეკუთვნის. კონტის პროგნოზით, მომავლის საზოგადოებაში რელიგია მეცნიერებას უნდა ჩაენაცვლებინა. ეს აზრი აზროვნების ისტორიაში კარგა ხანს ბატონობდა, XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის შუა ხანების ჩათვლით. მისი საყოველთაოდ ცნობილი მიმდევრები სოციოლოგიაში პოზიტივიზმის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ერნსტ მახი და ბერტრან რასელი იყვნენ. მათი აზრით, მეცნიერება კაცობრიობას ბედნიერებას მოუტანდა, თუმცა გულის სიღრმეში ამ დებულების სისწორეში თავის დროზე კონტსაც ეჭვი ეპარებოდა. მიუხედავად ამისა, მან, როგორც სოციოლოგმა, იცოდა, რომ საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება რაღაც იდეალი, რომელიც მის წევრებში ალტრუიზმსა და სულგრძელობას აღძრავს. სწორედ მსგავსი კეთილშობილური პათოსით იყო მოტივირებული მისი პოზიტიური რელიგია. კონტის პროგნოზი არ გამართლდა. იგი მისი მსგავსი სხვა იდეების დარად თავიდანვე უპერსპექტივო იყო, რადგანაც რელიგიის შექმნა ხელოვნურად შეუძლებელია. ჩანს, ეს ჩვეულებრივ მოკვდავთა ძალებს აღემატება. გარდა ამისა, ცხოვრებამ აჩვენა, რომ მეცნიერებამ არათუ ვერ გახადა ადამიანი ბედნიერი, პირიქით, მას მთელი რიგი უბედურებები და ტრაგედიები მოუტანა. ახლა უკვე ყველასათვის სანუკვარი მეცნიერება გახდა თავსატეხი. კონტის იდეა მხოლოდ ერთ პუნქტში აღმოჩნდა წარმატებული; კერძოდ, მან აჩვენა საზოგადოებისათვის რელიგიის აუცილებლობა. კონტის შეცდომაზე რელიგიის სოციოლოგიის უფრო დიდმა წარმომადგენელმა დიურკემმა მიუთითა. მან აღნიშნა ის, რაც კონტს მხედველობიდან გამორჩა, ეს არის ის, რომ რელიგია ადამიანის გაცნობიერებული, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს არასოდეს არ წარმოადგენს, რომ მისი შემოქმედი ძალები ადამიანისათვის უცნობია. იგი თავისთავად ჩნდება, როგორც ადამიანის სოციალური ცხოვრების დასაწყისი და გარანტი. რელიგიის რაციონალური პროექტირების ფაქტი ისტორიაში ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა, რადგანაც მასში რაციონალურს ირაციონალური სჭარბობს ყოველთვის.

რელიგიის გაქრობაზე მარქსისტული სოციალური თეორიაც საუბრობდა. მარქსი რელიგიას გაუცხოების შედეგად და „ყალბი ცნობიერების" ფორმად მიიჩნევდა, თუმცა რელიგიის სოციოლოგიური ანალიზი მარქსთან ცალმხრივი იყო. იგი სათანადოდ ვერ აფასებდა რელიგიის როლს საზოგადოებაში. მარქსისტული რელიგიის სოციოლოგია უტოპიური თეორია იყო, რომლის მცდარობა და უტოპიურობა კარგად გამოჩნდა ჩვენში მარქსისტული იდეოლოგიის კრახის ეპოქაში. რელიგიის გაქრობამდე უფრო ადრე რელიგიის არათუ მარქსისტული თეორია, საერთოდ მარქსიზმი გაქრა.

მარქსის შემდეგ ემილ დიურკემა შემოგვთავაზა დაფიქრება იმაზე, არსებობს თუ არა ისეთი სოციალური ფუნქცია, რომელშიც რელიგია შეუცვლელია. ამ საკითხის სოციოლოგიური ანალიზის შედეგად მან დაასკვნა, რომ რელიგიის გარეშე ადამიანს გაუჭირდება საკუთარი ცხოვრების კრიტიკული გააზრება; მისთვის რელიგია ყოველთვის ახალ საზრისებს შობს; ემილ დიურკემის მიხედვით, რელიგია რადიკალური სოციალური ცვლილებების პოტენციალის მქონეა (იგულისხმება პროტესტანტიზმი). საკრალურის დაკარგვის თეორიის ავტორიც ემილ დიურკემია. ის მიიჩნევდა, რომ ტექნოლოგიისა და ბიუროკრატიის ბატონობა თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის ცნობიერებას და მისწრაფებებს პრაგმატული ინტერესებით განსაზღვრავს და კომფორტზე ზრუნვით საზოგადოების ისეთ ტიპს ქმნის, რომელშიც ყოველივე წინასწარ დადგენილი და განსაზღვრულია. ამ შემთხვევაში რელიგიურობასთან ერთად მაღალი იდეალებისა-

კენ სწრაფვა, მშენიერების ტრფიალი და პეროიკული აღმაფრენა იკარგება. ამ პროცესის აღსანიშნავად მან „განჯადოების“ ცნება შემოიტანა. ამჯერად იგი რელიგიისა და თანამედროვე ცნობიერებას შორის კონფლიქტის ცნებიდან ამოდიოდა და, კონტის მსგავსად, რელიგიაზე ამ უკანასკნელის გამარჯვებაც იწინასწარმეტყველა. თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიის როლის დაკნინებას ვებერი სამყაროს რაციონალური ხედვის მიერ ბანალური უტილიტარიზმის დამკვიდრებაში ხედავს, რაც რელიგიის მხრიდან რაციონალურობის პიპერტროფირებით გამოწვეული სულიერი აცადმყოფობის სინდრომად აღიქმება.

რელიგიის მომავლის შესახებ კლასიკური სოციოლოგიური თეორიების მხრიდან ასეთი არასახარბიელო პროგნოზების მიუხედავად, რელიგია ჩვენულ რიტმში აგრძელებს თავის არსებობას. ის კი არა, პირიქით, XX საუკუნეში მთელი რიგი ქვეყნები (მაგ., საქართველო) რელიგიური რენესანსითაც გამოირჩეიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საკრალურის არსებობა გრძელდება, რაც სოციოლოგებს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ რელიგია განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ადამიანთა ცხოვრებაში ყოველთვის მონაწილეობს. ამაზე მიანიშნებდა დიურკემი, როდესაც ამბობდა, რომ რელიგიაში მარადიულია დაეანებული, რომ რელიგია ილუზია და სამყაროს ყალბი ხედვა კი არ არის, არამედ სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით ყველაზე მეტად ცოცხალი რეალობაა, რომლის გათანაბრება მეცნიერებასთან ან იდეოლოგიასთან არ შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიურ მომენტებს რელიგია გარკვეულწილად შეიცავს. რელიგიისადმი დიურკემის მიმართება, მიუხედავად მისი პოზიტიური შინაარსისა, რელიგიურ ადამიანს არ მოეწონება, რადგანაც იგი რელიგიის სოციოლოგიურ გაგებას იძლევა. ეს იმას ნიშნავს, რომ რელიგია დიურკემისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი ადამიანებში სოციალური ენერგიის აღმძერელია; დიურკემს, როგორც სოციოლოგს, რელიგია აინტერესებს, იმიტომ რომ იგი მასში ადამიანის სოციუმის წევრად მაფორმირებელ მძლავრ ფაქტორს ხედავს (საერთოდ, უნდა იქვას, რომ მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირებამ რელიგიის სოციოლოგიის შესაძლებლობაზე უარყოფითი გაელენა იქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს დაპირისპირება მოიხსნა და ცოდნისა და რწმენის ტოლპირველადობა აღიარებულ იქნა, შესაძლებელი გახდა უფრო თამამი საუბარი რელიგიის სოციოლოგიის შესახებ. დღეს იგი დარგობრივ სოციოლოგიურ დისციპლინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო და გამორჩეულია არა მარტო თავისი საგნით, არამედ იმით, რომ მასში ერთმანეთს ხვდებიან საერო, სამოქალაქო და ზესაერო, ზესამოქალაქო ღირებულებები. იგი მიწიერისა და ზეციურის შეხვედრის ადგილია).

ვებერის მსგავსად, დიურკემიც ამჩნეედა საზოგადოების მიმართულების გეზს და ამიტომაც მიაჩნდა, რომ ტრადიციული რელიგიები ვერ პასუხობენ ან არ შეესაბამებიან თანამედროვე ადამიანისა და საზოგადოების სოციალურ გამოცდილებას; იგი ეარაუდობდა, რომ სამომავლოდ მათი ტრანსფორმაცია გარდაუვალი ქნება. ახალი ტიპის საზოგადოებას, დიურკემის აზრით, ახალი რელიგია დასჭირდება. თუკი ეს ასეა, მაშინ რელიგიის მომავლის შესახებ საკითხი, დიურკემის მიხედვით, სხვა რაკურსით უნდა იქნეს დასმული. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა საზოგადოება რელიგიის გარეშე? თუკი რელიგიას დიურკემისებურად გავიგებთ, მაშინ ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითი იქნება, მაგრამ საკრალურის არსებობა ძალაში დარჩება, რადგანაც საზოგადოებას წმინდა, საკრალური საგნების გარეშე არსებობა არ შეუძლია. საკრალურის მოთხოვნა ყოველთვის ძალაში იქნება, ოღონდ ის ღმერთი, რომელსაც ტრადიციული რელიგია გვთავაზობდა, დაძლეული იქნება (ბოხენეკერი). რელიგიის სოციოლოგიის დიდ წარმომადგენელს სოციუმის საიდუმლოებათა გასაღების ძიების პროცესში მხედველობიდან გამორჩა უმთავრესი რამ – ის, რომ ჭეშმარიტი რელიგია და რელიგიური რწმენა ყოველთვის ახალი და თანამედროვეა.

ვხედავთ, რომ ტრადიციული რელიგიების არსებობა ფაქტია. აქედან გამომდინარე, ძნელი არ არის თქმა იმისა, რომ, გარკვეული აზრით, კონტის, დიურკემის, მარქსისა და ვებერის კლასიკური თეორიები რელიგიის შესახებ არასწორი იყო და რელიგია მარადიულია. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება პრობლემათა რიგი, რომელიც რელიგიის მომავლის საკითხს ნეგატიურ ჭრილში წარმოაჩენს. ასეთია ტილიხის მოსაზრება თეოსმის კრიზისის შესახებ. ის, რასაც ტილიხი თეოსმის კრიზისს ეძახის, ვებერის მიერ მინიშნებული სულიერი და სოციალური ცხოვრების რაციონალიზაციის შედეგია. მიუხედავად ამისა, ეს პროცესები რელიგიის არსებობას რეალურ საფრთხეს ვერ უქმნიან.

ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს პ. ბერგერიც (ამერიკელი სოციოლოგი, სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიმართულების წარმომადგენელი თანამედროვე სოციოლო-

გიაში. ბოსტონის უნივერსიტეტის კულტურის, რელიგიისა და მსოფლიო პრობლემების კელეიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი). მისი აზრით, რელიგიამ კარგად აუღო ალღო თანამედროვე საზოგადოებრივ პროგრესს. მასში თეითგადარჩენის ინსტინქტმა იმძლავრა და იგი კარგად შეეწყო თანამედროვე საზოგადოებას (ჯ. ბერგერს ამ შემთხვევაში კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი აქეს მხედველობაში). ბერგერის სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგია კარგად მეზობლობს თანამედროვე საზოგადოებასთან. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ამ საზოგადოების წევრების მხოლოდ პირადი ცხოვრებით შემოიფარგლება და უწინდელი ცენტრალური, „უნივერსუმის მაკონსტრუირებელი" ინსტიტუტის ფუნქცია დაკარგული აქვს. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლას, ეს ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს რელიგია საკუთარი ლეგიტიმურობის გარანტად დასჭირდება და ა. შ. ანუ რელიგია თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ ფორმალურად არსებობს, როგორც სამუზეუმო ექსპონატი, რადგანაც საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ეთნოსი, კულტურა და სახელმწიფო რელიგიურ საზრისს თანდათან კარგავენ, თუმცა ეს რელიგიის დასასრულს არ ნიშნავს. თანამედროვე სოციოლოგების აზრით, ეს რელიგიის ტრადიციული ფორმების ფინალს მოასწავებს მხოლოდ.

როდესაც სოციოლოგები რელიგიის მომავალზე საუბრობენ, მათ სხვადასხვანაირად ესმით რელიგიის ცნება. კლასიკური რელიგიის სოციოლოგიის წარმომადგენლებს რელიგიის ტრადიციული გაგება აქვთ მხედველობაში. რელიგიის სოციოლოგიის თანამედროვე მკვლევრების გაგება კი ტრადიციულისაგან რამდენადმე განსხვავებულია, რადგანაც, რაოდენ საკამათოც არ უნდა იყოს, ისინი მიიჩნევენ, რომ თანამედროვე სეკულარიზებულ საზოგადოებაში დემოკრატიის, პლურალიზმის, თავისუფლებისა და მსგავსი საბაზო ღირებულებების ზეობის პირობებში ღმერთი ტირანის სახით წარმოდგება და ადგილი აქვს რელიგიურობის მონოპოლიზებას (მაგალითად, გ.ზიმელი). გ. ზიმელის მიხედვით, საკითხი შემდეგნაირად დგას: დროთა განმავლობაში ტრადიციული რელიგიები ვერ შეძლებენ თავიანთი ღირებულებების კონსერვაციას, რაც საზოგადოების დესაკრალიზაციას კი არა, თეიზმის კრიზისს მოასწავებს. მისი აზრები ამ შემთხვევაში ტილიხის აზრებს ემთხვევა, რომელიც რელიგიის მომავალს „თეიზმის მიღმა" ხედავს. ეს კი ტრადიციული რელიგიის ე. წ. სამოქალაქო რელიგიად გადაქცევას ნიშნავს. თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიურობა მასკულტურის ნაწილად იქცევა და ასეთი თეიზმი ათეიზმზე უარესი შეიძლება იყოს. ტილიხის პროგნოზით, საბოლოოდ რელიგიური რწმენა განიძარცვება რელიგიური სამოსლისაგან და რჩება რწმენა, რომელსაც საკუთარი სხეული – ეკლესია, კულტი, თეოლოგია არა აქვს. ასეთია რელიგიის არატრადიციული, თანამედროვე გაგება, რაც ალბათ ძნელი წამოსადგენია.

ტილიხის მიერ XX საუკუნის შუახანებში ამგვარად წარმოდგენილი რელიგიური რწმენის სოციოლოგიური პორტრეტი არატრადიციული რელიგიების სახით მოგვცა რ. ბელამ. მის წიგნში „გულის ჩვევები. ინდივიდუალიზმი და „კომინტმენტი" ამერიკულ ცხოვრებაში" რელიგია წარმოდგენილია, როგორც აშშ-ის საჯარო ცხოვრების ერთ-ერთი რიგითი სტრუქტურული ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ამერიკელები საკუთარი თემის ცხოვრებაში არიან ჩართულნი. რელიგიის ამ თანამედროვე მკვლევრის დასკვნა ასეთია: თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში რელიგიის როლი სხვა ინსტიტუტების მსგავსად არსებითად შეიცვალა. აქ საქმე რელიგიის როლის დაკნინებას კი არ შეეხება მხოლოდ. რელიგიური დოქტრინების მნიშვნელობის დაკარგვა ხომ რელიგიის აღსასრულის ტოლფასია! ამერიკული საზოგადოების ტრანსფორმაციის პარალელურად ტრანსფორმაციას განიცდის რელიგიაც, რასაც რელიგიისათვის სოციალური სივრცის შესხლეტვა მოჰყვა თან. მორწმუნე ამერიკელის აზრით, მისი ურთიერთობა ღმერთთან რელიგიური იდენტობის ფარგლებს გარეთ გადის. ამისათვის იგი საჭიროდ არ მიიჩნევს რომელიმე რელიგიის აღმსარებელი იყოს. ამერიკელი სოციოლოგების აზრით, ეს რელიგიისა და რელიგიურობის ულტრათანამედროვე საფეხურია, რასაც ისინი პოსტთანამედროვე საფეხურს უწოდებენ.

აქამდე ამერიკულმა საზოგადოებამ რელიგიური პროგრესის „ადრეთანამედროვე" საფეხური გაიარა, ამიტომ ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებენ მაღალგანვითარებული და განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნების რელიგიებს. პოსტთანამედროვე საფეხურზე თუ რა სახეს მიიღებს რელიგია, ამერიკელი სოციოლოგების აზრით, ბევრად არის დამოკიდებული იმ სოციოკულტურულ ტრანსფორმაციაზე, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება განიცდის. ამ შემთხვევაში ტრადიციულ რელიგიებს გაუჭირდებათ არსებობა. ამერიკელი სოციოლოგის, ფენომენოლოგიური სოციოლოგიის ფუძემდებლის ა. შიუცის აზრით კი, ამ ტიპის საზოგადოებაში რელიგიას მხოლოდ პიროვნული ხასიათი ექნება და მეტი არაფერი.

სხეა ეითარებაა განეითარებად ქეეყნებში. აქ ტრადიციული რელიგიები, გრძნობენ რა მოსალოდნელ საფრთხეს, შეძლებისდაგეარად იბრძეიან საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად, თუმცა აქაც დაწყებულია ისტორიულიდან „ადრეთანამედროვე" რელიგიისაკენ სელის პროცესები. ოღონდ ამ ქეეყნებში თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიების საზოგადოებრიე ცხოერებაში ჩართეის დონე ძალზე დაბალია. აქ მხოლოდ მსგაეს ტენდენციებთან ან კიდეე საზოგადოებრიეი ცხოერების განეითარების დონესთან შეუსაბამოდ მსგაესი ტექნოლოგიების ბრმა, გაუაზრებელ ექსპორტთან გეაქეს საქმე. მიუხედავად ამისა, ამ ქეეყნებში რელიგია ჯერ კიდეე არ თმობს საკუთარ პოზიციებს და საკუთარი თაეის გადარჩენას თანამედროვე საზოგადოების მოთხოენებთან ადაპტაციის უნარის გამომუშაეებით ცდილობს. ამ შემთხეევაში პირეელი რიგის ამოცანაა სეკულარიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესის გადალახეა ან მისი გამკლაეება, მისთეის სათანადო ალტერნატიეების მონახეა და ა. შ.

საინტერესოა აგრეთეე ცნობილი სოციალური ფუტუროლოგის, სკანდალური წიგნის – „მომაელის შოკის" აეტორის ე. ტოფლერის პროგნოზი რელიგიის მომაეალთან დაკაეშირებით, რომელიც, ამ ტიპის სხეა მკელეერების პროგნოზებისაგან განსხეაეებით, ოპტიმისტური და დამაიმედებელია. ტოფლერის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სისწრაფე და თაეისუფლების მაღალი ხარისხი ადამიანთათეის შოკისმომგერელი იქნება. ამას ის „მომაელის შოკს" უწოდებს. მის წიგნში დეტალურადაა გაანალიზებული წარმოუდგენელი მასშტაბის ის ტრანსფორმაცია, რომელიც ადამიანისა და საზოგადოების თითქმის არცერთ კუთხე-კუნჭულს არ ტოეებს ხელუხლებლად. ერთადერთი გამონაკლისი ამ ტოტალურ და ყოელისმომცეელ პროცესში არის რელიგია, რომელიც თეითმყოფადობას კელაეაც ინარჩუნებს და, შესაბამისად, მისი მომაეალიც ნათლით მოსილია[4].

რელიგიის მომაელის შესახებ პესიმისტურ და ნიჰილისტურ წარმოდგენებს რელიგიაზე თანამედროვე, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სულ უფრო მსარდი გაელენა უდეეს საფუძელად. ამ მხრივ რელიგიის სფეროში მიმდინარე პროცესების აღსანიშნაად რელიგიის სოციოლოგიაში მრაეალი ახალი ტერმინი გაჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი აწ უკეე შედარებით მოძეელებული ტერმინი ტელეეეანგელიზმია, რაც სახარებისეული თემების საქადაგებლად სატელეეიზიო და მედიატექნოლოგიების გამოყენებას ნიშნაეს. ეს, ფაქტობრივად, ეეანგელისტური პრაქტიკის ამერიკულ-პროტესტანტული ეერსიაა[5]. ტელეეეანგელიზმის ულტრათანამედროვე ეერსიას ამ სფეროში ინტერნეტპრაქტიკა წარმოადგენს. ეს ყეელაზე მტკიენეულ და საკამათო საკითხთა რიგს მიეკუთენება დღეს. მის შესახებ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული პრინციპული პოზიცია არათუ სოციოლოგებს, არამედ ტრადიციული რელიგიების წარმომადგენლებს შორისაც ძნელად თუ მოიძებნება. აზრთა სხეადასხეაობაში ორი ძირითადი პოზიციაა გამოკეეთილი: ერთნი მასში რელიგიის არნახულ ტრანსფორმაციას, ტრადიციული რელიგიების ფინალსა და „ახალი რელიგიის" – ე. წ. ეირტუალური რელიგიის დასაწყისს ხედაეენ, მეორენი ამ პროცესებში რელიგიას ეერანაირ ტრანსფორმაციას ეერ ატყობენ და მიმდინარე პროცესებს განიხილაეენ მხოლოდ, როგორც კომუნიკაციის, ინფორმაციის გადაცემის საშუალებათა ეფექტურ გამოყენებას რელიგიურ პრაქტიკაში. ამ თეალსაზრისის მიხედეით, რელიგიის მომაელის შესახებ ნიჰილისტური სოციოლოგიური თეორიები საქმის ყითარებას განგებ ამუქებენ ანდა, უბრალოდ რომ ყთქეათ, ეს ყეელაფერი მათი უმეცრების შედეგია, თუმცა დღეს უკეე ფაქტია რელიგიური ცხოერების ეირტუალიზაცია, რაც, თაეის მხრიე, მის მომაეალს ერთობ პესიმისტურს ხდის.

თითქოს არაფერი საგანგაშო არ უნდა იყოს იმაში, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოყენებულ იქნეს თუნდაც ქადაგებისათეის, მაგრამ საქმეს ართულებს მისი გამოყენების მცდელობა ღეთაებრიეი საიდუმლოებების შესასრულებლად. მხედეელობაში გეაქეს აღსარების საიდუმლო. მისი ეირტუალიზაცია, რომელსაც დღეს აქეს ადგილი, სრულიად ახალი და გაუგონარი ფენომენია. სწორედ აქედან იღებს სათაეეს რელიგიის ფინალობის პრობლემა. რელიგიური თეალსაზრისით რაც არ უნდა მიულებელი იყოს, ამ ტექნოლოგიას დღეს უკეე თაეისი მომხმარებელი პყაეს (ამის დამადასტურებელ ფაქტებს დაინტერესებული მკითხეელი დღეს სოციოლოგიის ნებისმიერ სახელმძღეანელოში იხილაეს). მრაეალი სხეადასხეა პროგრამა არსებობს, რომელთა მეშეეობით თუნდაც ბინიდან გაუსელელად შესაძლებელია ეირტუალური ექსკურსია მსოფლიოს ნებისმიერი ტაძრის დასათ-

[4] E. Тофлер. Шок Будущего. М. 2002. გე. 146-147.

[5] ჭ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი. სოციოლოგია, თბ., 2008. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თაეი 13. რელიგია. გე563.

ვალიერებლად. დათვალიერებას კიდევ არა უშავს რა, რომ არა აქამდე გაუგონარი ისეთი ფაქტი, როგორიცაა ვირტუალური სანთლის დანთება. რელიგიური გაგებით, ეს უმძიმესი ცოდვაა, რადგანაც ამ შემთხვევაში უსისხლო მსხვერპლშეწირვის რელიგიური აქტის შებღალვასთან გვაქვს საქმე. მაგრამ დესაკრალიზებულ საზოგადოებაში, სადაც „რელიგია სპეციფექტი გახდა," ასეთი რამ საკმაოდ რეალურია[6].

ინფორმაციული სივრცე ადამიანის სულიერი ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული გარსია, ამიტომ ვირტუალური და კიბერეკლესია ვერასოდეს ვერ შეცვლის ნამდვილ ტაძარს. ის რეალური ტაძრის პაროდია და სიმულაციაა მხოლოდ. ერთხელაც იქნება, ადამიანი გამოაღვიძებს ამ სიმულაციისა და ვირტუალური რეალობის ტყვეობიდან და ისევ მიუბრუნდება მარადიულ ჭეშმარიტებასა და ნამდვილ რელიგიურ რწმენას. ფსევდორელიგიისა და ფსევდორწმენის ილუზიით გათანგულს, ეტყობა, ჯერ კიდევ დიდი გამოცდა ელის წინ. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ხელოვნურად შექმნილ, ვირტუალურ სივრცეში კონსტრუირებულ ფსევდორელიგიას არა აქვს მომავალი და რომ ყოველგვარი ექსპერიმენტები ამ სფეროში იმთავითვე დასაღუპავად განწირულია.

რელიგიური ცხოვრება ტრანსცენდენტთან ცოცხალი ურთიერთობაა, რომელიც ვირტუალიზაციის შემთხვევაში იკარგება. ვირტუალური ეკლესია ვერასოდეს ვერ შეძლებს დაეხმაროს თუნდაც იმ ადამიანს, რომელსაც ტაძარში სიარული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უჭირს. ასეთ ადამიანს ლოცვის გამძაფრებულ სურვილს ვირტუალური ეკლესია ვერ დაუკმაყოფილებს. რაც შეეხება აღსარების ინტერნეტით მიღების ნოვაციას, შესაძლებელია ეს დასაშვები იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ აღსარება შეიძლება ანონიმური იყოს. გარდა ამისა, ეს სახიფათოც შეიძლება იყოს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ადამიანის სულიერ ცხოვრებას შეეხება. ყოველივე ეს იმ ექიმის მოქმედებას ჰგავს, რომელსაც ავადმყოფი თვალით არ უნახავს და ისე უნიშნავს მკურნალობას. აღსარების ფუნქცია მარტო ცოდვათა მიტევება როდია. ამასთან ერთად მისი მიზანია ადამიანი ხელახლა გახადოს ეკლესიის წევრი. ხოლო იქ, სადაც ეკლესია არ არის, ბუნებრივია, მასში შესვლის სურვილიც არ არსებობს. ვირტუალური ეკლესია, პირიქით, თრგუნავს ტაძარში სიარულის სურვილს. ის აუკუღმართებს ნამდვილ რელიგიურ გრძნობებს.

ეკლესია ქრისტეს სხეულია. იმისათვის, რომ ამ სხეულის ნაწილი გახდე, მასთან ცოცხალი კონტაქტია საჭირო, რასაც ინტერნეტაღსარება ხელს უშლის. რაც შეეხება ქადაგებას და ღვთის სიტყვის გავრცელებას, ამისათვის ინტერნეტი კარგი საშუალება შეიძლება იყოს, მაგრამ ქადაგება ხომ მხოლოდ mp3 ფორმატის აუდიო ან ვიდეოჩანაწერი არ არის, ის ღვთის ცოცხალი სიტყვაა, რომელიც ამბიონიდან უნდა წარმოითქვას. გარდა ამისა, ინტერნეტს საკუთარი მეტყველების წესი აქვს, რომელიც ღვთისმსახურების ენას არ შეესაბამება[7]. რელიგიის ციფრული გამოსახულება აბსურდია და მეტი არაფერი.

ამ საკითხების ანალიზისას გასათვალისწინებელია ის საყვედური, რომელსაც თანამედროვე ავტორები კლასიკური თეორიების მომხრეთა მისამართით გამოთქვამენ. კერძოდ, პოსტსეკულარულ ეპოქაში უსაფუძვლოა სეკულარული საზოგადოების ენით მეტყველება[8]. ეს საყვედური, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, მაგრამ არა რელიგიის მისამართით, რადგანაც რელიგია მარად ახალი და მარად ცოცხალი ფენომენია. იგივე სოციოლოგების დასკვნებით, ვერაფერი ვერ შეცვლის ღმერთთან ადამიანის პიროვნულ მიმართებას, რომელიც ყველაზე კარგად ტრადიციულ რელიგიურ ცხოვრებაშია მოცემული. ამიტომ ასეთ ვითარებაში ზოგადი დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი იყოს: საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესი ფაქტია, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით არც ისეთი ფაქტი, რომელიც მსოფლიო რელიგიების არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

თანამედროვე საზოგადოების რაციონალიზაცია, ვირტუალიზაცია და ინტელექტის საფუძველზე მართვის (ქსელური ეკონომიკა) მოთხოვნა, საკმარისია, ტრადიციულ რელიგიებში ბუნებრივ უკურეაქციას გამოიწვევს და სასოგადოება ისევ დადგება ირაციონალიზმისა და მისტიკის მოთხოვნის წინაშე. ეს კი დესაკრალიზებულ საზოგადოებას ისევ მარადიულ ღირებულებებთან დააბრუნებს, ხელს შეუწყობს მასობრივი ცნობიერების დესკრედიტაციას და ყოველისშემძლე გონების მორალურ უძლურებას კიდევ უფრო გამოააშკარავებს.

---

[6] იხ. Ж. Бодрийар. Америка. Санкт-Петербург. 2000. გვ.36.

[7] Виртуальная религия. http:/www:ierei-karenev.ru/list/internet.htm

[8] შდრ. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევა. იურგენ ჰაბერმასისა და იოსეფ რატცინგერის წერილები. მთარგმნელი გია ბარამიძე. რედაქტორი გია ხუბუა. თბ., 2010.

თანამედროვე გლობალიზაციური პროცესების პარალელურად რელიგიას საზოგადოებასთან დიალოგის უფრო მეტი საშუალება მიეცა. კლასიკური თუ არაკლასიკური სოციოლოგიური თეორიების მთელი რიგი პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, მისი მომავალი ბედ-იღბალი დიდად არის დამოკიდებული იმ ადამიანის ზნეობრივ მდგომარეობაზე, რომელიც გლობალური პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას. გარდა ამისა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ღირებულებები, რომლის სადარაჯოზეც ტრადიციული რელიგია იმყოფება, – სიყვარული, მშვიდობა, სასოება და ტოლერანტობა, ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებია, რომლებზეც უარის თქმის შემთხვევაში თვით კაცობრიობის მომავალი დადგება ეჭვქვეშ. ამ კუთხით რელიგიის მომავალი უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე ამას თანამედროვე სოციოლოგები წინასწარმეტყველებენ. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა აგრეთვე თანამედროვე რელიგიური ცნობიერების ღიაობა საზოგადოებასთან და განსხვავებულ კულტურებთან მიმართებაში.

საეროსა და სასულიეროს შორის დიალოგი კარგად ეხმიანება „პლანეტარული ცნობიერების“ ეთიკასა და სოლიდარობის ზოგადსაკაცობრიო იდეას. ცალკეული არაერთგვაროვანი რელიგიური რეაქციები, რომელთაც ადგილი აქვს თანამედროვე საზოგადოებაში, იმ წინააღმდეგობაზე მიანიშნებს, რომელიც გლობალიზაციის მანიელირებელ პროცესებს სდევს თან. თუკი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია თანამედროვე საზოგადოება, არის ღირსება დედამიწაზე დღეს მცხოვრები ადამიანისა, მაშინ რელიგიის მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ზომის სოციალურად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადამიანი იმ სამყაროში, რომელშიც იგი ცხოვრობს, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეინარჩუნებს ადამიანი ადამიანობას.

ტრადიციული რელიგიური თვალსაზრისით, რელიგიის ფინალობასა და ტრანსფორმაციაზე საუბარი მკრეხელობაა და მეტი არაფერი, რაც საბოლოო ჯამში რელიგიისა და მარადიული ღირებულებების ფინალობაზე კი არა, თანამედროვე ადამიანისა და საზოგადოების კრიზისზე მიანიშნებს, კერძოდ იმაზე, რომ თანამედროვე ადამიანის ყოფიერება ფინალობის („ყოფნა-არყოფნის“) ზღვარზე იმყოფება. ბოდრიარს თუ დაეუჯერებთ, მარადიული ღირებულებები კი არა, ადამიანი მოკვდა.

<u>შენიშვნა:</u>

ადვილი შესაძლებელია, რომ ღრმად მორწმუნე, რელიგიურ ადამიანებს რელიგიის სოციოლოგიაზე საუბარი არასერიოზულად მიაჩნდეთ, იქიდან გამომდინარე, რომ რელიგია რწმენის საუფლოა, რომელიც მეცნიერული დისკურსის მიღმაა, ხოლო სოციოლოგია საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც, ერთი შეხედვით, იქ ყოფს თავს, სადაც მას არაფერი ესაქმება.

სინამდვილეში ეს ასეც არის. საქმე ისაა, რომ სოციოლოგიას არ ძალუძს და არც ეევალება რელიგიურ ჭეშმარიტებათა არც უარყოფა და არც აღიარება. სოციოლოგია რელიგიურ რწმენას არანაირ საფრთხეს არ უქმნის. სოციოლოგები არ აკეთებენ დასკვნებს რომელიმე რელიგიის „აქკარგიანობის“ შესახებ, რელიგია სოციოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში იმ გარემოების გამო შემოდის, რომ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. არ არსებობს ურელიგიო საზოგადოება და ურელიგიო ადამიანი. რელიგია ასაზრისიანებს ადამიანის ცხოვრებას, განსაზღვრავს მის ქცევას, მსოფლმხედველობასა და ღირებულებით ორიენტაციას. ამაში ვლინდება რელიგიის სოციალური ბუნება, რომელსაც რელიგიის სოციოლოგია შეისწავლის. ზოგადად, რელიგიის სოციოლოგიის ამოცანა რელიგიის სოციალური და არა ზებუნებრივი საზრისის ძიებაში მდგომარეობს.

რელიგიის სოციოლოგია სხვა სოციოლოგიური დისციპლინებისაგან არა მხოლოდ თავისი საგნითაა გამორჩეული, არამედ იმით, რომ მასში ერთმანეთს ხვდება საერო, სამოქალაქო და ზესაერო, ზესამოქალაქო და საკრალური ღირებულებები. იგი მიწიერისა და ზეციურის, საეროსა და საკრალური შეხვედრის ადგილია, რაც მის მიმართ ინტერესს ერთიორად ზრდის.

წარმოდგენილი ლექცია სტატიის სახით ჟურნალ „რელიგიაში“ (№4, თბ., 2010) გამოქვეყნდა. ავტორმა იგი რელიგიის სოციოლოგიის მკვლევრის, საქართველოში ამ დარგის პიონერის, პროფესორ ოთარ გაბიძაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

საკითხავი მასალა
სოციოლოგია საფრანგეთში

თითქმის ყველა მოწინავე ევროპულ ქვეყანას აქვს საფუძველი სოციოლოგიის სამშობლოდ მოჰქონდეს თავი, რამდენადაც XIX საუკუნის დასაწყისიდან ევროპული საზოგადოების გარდაქმნის პროცესი ამის თქმის საშუალებას იძლევა. სოციოლოგიის მამის ოგიუსტ კონტის ნაშრომებიც ამ პროცესებს ეხმიანებოდა. ჩამოყალიბების პირველი დღეებიდან, ამერიკული სოციოლოგიისაგან განსხვავებით, ფრანგული სოციოლოგია შორს იყო მიმდინარე სოციალური პრობლემების პრაქტიკული მოთხოვნილებების ანალიზისაგან. ის იმთავითვე საზოგადოების უზოგადესი კანონების შესწავლისაკენ იყო ორიენტირებული. ამის გამო ფრანგულმა სოციოლოგიამ თეორიული სახე და ბუნება დიდხანს შეინარჩუნა. განსაკუთრებული ინტელექტუალური გაელენა მასზე ე. წ. ფრანგულმა სოციალურმა აზროვნებამ (მონტესკიე, დიდრო, ვოლტერი), ფრანგულმა განმანათლებლობამ (საფრანგეთი ხომ განმანათლებლობის სამშობლოა) და დეკარტეს რაციონალიზმმა მოახდინა. ოღონდ ამ ინტელექტუალური ნაკადის წარმომადგენელთა სოციოლოგობა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს.

კონტის „პოზიტიური ფილოსოფიის კურსს" წინ უსწრებდა რუსოს სოციალური კონტრაქტის თეორია, სოციალური თანასწორობის (სენ-სიმონი, ფურიე), პროგრესის (კონდორსე) და „სოციალური ფიზიკის" (კეტლე) იდეები. ამასთან ერთად სოციოლოგიის წარმოშობამდე ფრანგულ კულტურას რევოლუციური გამოცდილება უკვე მიღებული ჰქონდა (მას უკვე ჰყავდა რევოლუციის გმირები: დანტონი, მარატი, რობესპიერი). აქედან უკვე ერთი ნაბიჯია „ადამიანის უფლებათა დეკლარაციამდე." რევოლუციის დროინდელი საფრანგეთის ისტორიის შესწავლა (ინგლისელი ისტორიკოსი თომას კარლაილი და სხვები) შემდგომში ევროპული მასშტაბის სოციალური აზროვნების წარმოქმნის მიზეზი გახდა. ერთი ნაწილი ამ შტუდიებისა განმანათლებლობას ეყრდნობოდა: ფ. ბიუბე (1796-1865), ლ. ბლანი (1811-1882), ჟ. ჟორესი (1859-1919), ა. მატეზი (1874-1932); მეორე ნაწილი კი მის კრიტიკას აწარმოებდა: ა. ლამარტინი (1791-1869), ი. ტენი (1828-1893), ლ. მადლენი (1871-1956). ყოველივე ამის შედეგად ფრანგულ კულტურას პირველი სერიოზული ისტორიული სკოლა შეემატა, რომელშიც „რესტავრაციის დროის ისტორიკოსები" – ფ. გიზო (1787-1874), ჟ. ტერი (1795-1856), ო. მინე (1796-1884), – შეიდნენ. რაც შეეხება კულტურულ კონტექსტს, XIX ს-ის შუახანებიდან, ინგლისისგან განსხვავებით, საფრანგეთში „პირველობისათვის ბრძოლაში" ისტორიული მეცნიერება და სოციოლოგია ეჯიბრებოდა არა პოლიტიკურ ეკონომიას, არამედ დიდი გაელენის მქონე მხატერულ ლიტერატურას: ბალზაკი (1799-1850), ჰიუგო (1802-1885), ფლობერი (1821-1880), მოპასანი (1850-1893), ზოლა (1840-1902).

ნაპოლეონის შემდგომი ფრანგული კულტურის სოციალური ფონი მნიშვნელოვანი ისტორიული მოელენებით მდიდრდებოდა. XIX საუკუნიდან საფრანგეთი კოლონიალურ სახელმწიფოთა კლუბის წევრი ხდება. მას კიდევ ორი (1830 და 1848) რევოლუცია გადახდება თავს. ბისმარკის გერმანიასთან მარცხის მიუხედავად, თავისუფლების იდეალები ფრანგულ ხასიათში მაინც არ იკარგება (1870 წლის პარიზის კომუნა). შემდგომში თანასწორობის იდეა ფრანგულ სამართალში პოვებს თავშესაფარს, რომელიც ნაპოლეონის კოდექსზე იყო დამყარებული; თავისუფლებისა და პროგრესის იდეა კი ახალ მეცნიერებაში – სოციოლოგიაში იპოვის თავის სავანეს. სოციოლოგიისათვის შესანიშნავ გარემოს წარმოადგენდა ევროპულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ცელილებები, კერძოდ ინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება, მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბება, კომერციული ურთიერთობების აქტუალიზება, ფულის სოციალური პრესტიჟისა და სტატუსის განმაპირობებელ ელემენტად ქცევა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-ინტელექტუალური ფონი იყო ახალი მეცნიერებისათვის – სოციოლოგიისათვის. სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების, იდეა საფრანგეთში ჩაისახა. ეს ორი რევოლუციის შუა პერიოდში (1830-1848 წწ.) მოხდა. ტერმინის შემქმნელი პოზიტივისტი ოგიუსტ კონტი გახდა, რომელმაც „პოზიტიური ფილოსოფიის კურსის" მეოთხე ტომში (46 ლექცია) საზოგადოების სტადიური განვითარების კანონები და მის შესახებ მეცნიერება – სოციოლოგია მოგვცა. კონტის თანამედროვენი იყვნენ სტატისტიკური განზომილების მქონე „სოციალური ფიზიკის" ავტორი კეტლე და „კათოლიკური სოციოლოგიის" ლიდერი ლე-პლე, რომელიც სოციოლოგიის ისტორიაში დარჩა, როგორც ოჯახის შესწავლაზე ორიენტირებული სოციალური კვლევის მონოგრაფიული მეთოდის ფუძემდებელი.

კონტის მიერ შექმნილი ახალი მეცნიერების განვითარების გზა იმთავითვე არ იყო იაფარდით მოფენილი, თუმცა ძალიან მალე გამოჩნდა კაცი, რომელმაც ეს ახალი მეცნიერება მანამდე არნახულ სიმაღლეებამდე აიყვანა. თანამედროვე სოციოლოგიაზე მან დიდი გაელენა მოახდინა. ეს კაცი სოციოლოგიის კლასიკოსი ემილ დიურკემია. „კონტმა სოციოლოგიის კონტურები შემოსაზღვრა (თქვა, რომ საზოგადოება ბუნების მსგავსად მეცნიერულ შესწავლას ექვემდებარება. ამ შემთხვევაში მათი მეთოდები იდენტურია), დიურკემმა კი სოციოლოგია ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გაელენისაგან გაათავისუფლა და ფეხზე დააყენა.

დიურკემის დროიდან სოციოლოგია უფრო პოპულარული ხდება საფრანგეთში. ამის ნიშანია XIX ს-ის 80-90-იან წლებში მოქმედი სოციოლოგიური გამოცემები: ჟურნალები: „სოციალური რეფორმა," „სოციალური მეცნიერებები," მოგვიანებით ეორმსის ინიციატივით შექმნილი „საერთაშორისო სოციოლოგიური ჟურნალი." 1898 წელს დიურკემმა დააარსა „სოციოლოგიური წელიწდეული" (სულ ჟურნალის 12 ნომერია გამოსული), რომელშიც დიურკემის სოციოლოგიზმის მომხრე მოწაფეები: მ. მორისი, მ. პალბვარკი, ლ. ლეეი-ბრიული, ს. ბუგლე, ჟ. დაეი, პ. ფოლკონე, ფ. სიმიანი თანამშრომლობდნენ.

დიურკემმა პირველმა შექმნა ფრანგული სოციოლოგიური სკოლა. განსაკუთრებით პოპულარული გახდა დიურკემი მას შემდეგ, რაც სოციოლოგიის ერთ-ერთმა კორიფემ – პარსონსმა თაეის ცნობილ წიგნში „სოციალური მოქმედების სტრუქტურა," რომელიც დიურკემის გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, 1937 წელს გამოვიდა, დიურკემის სოციოლოგიური კონცეფცია სპეციალური ანალიზის საგანი გახადა. მის შესახებ პარსონსი ამბობს, რომ სოციოლოგიაში დიურკემი მოვიდა, როგორც კონტის მიმდეეარი, რომელმაც ძალზე რთული და ორიგინალური სოციოლოგიური კონცეფციის შექმნით დაიმკვიდრა თაეი. პარსონსმა ოთხ ძირითად ეტაპად დაყო მისი სოციოლოგიური შემოქმედება:

1) პირველ პერიოდს შეესაბამება დიურკემის სადისერტაციო ნაშრომი „შრომის საზოგადოებრივი დაყოფა" (1893 წ.). ეს ე. წ. ფორმალურ-პოზიტივისტური პერიოდია – გულისხმობს ფორმალური სოციოლოგიის ფორმირების პროცესს. ამ შემთხვევაში დიურკემის ძალისხმევა საზოგადოების ინდივიდუალისტური თეორიების კრიტიკისკენაა მიმართული (კრიტიკის ობიექტი სპენსერის თეორიაა). დიურკემი მიიჩნევს, რომ საზოგადოება ინდივიდთა ჯამი როდია. აზრი იმის შესახებ, რომ სოციალური ურთიერთობები შეთანხმებულ და დეკლარირებულ ურთიერთობებზეა დამყარებული, რომელიც პირად ინტერესებს ეფუძნება, დიურკემისათვის მიუღებელია. საზოგადოების არსი ზნეობრივ ნორმებშია, რომელიც დეკლარირებულ პრაქტიკას არეგულირებს. საზოგადოების ბუნება სოლიდარობის იმ ტიპით განისაზღვრება, რომელიც მის საფუძველში დევს. თაეის პირველ სოციოლოგიურ ნაშრომში დიურკემმა მექანიკური და ორგანული სოლიდარობის ცნებები შემოიტანა, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა ტიპებს წარმოადგენენ. ამ პერიოდში დიურკემი მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების უტილიტარული თეორიების კრიტიკით არ შემოფარგლულა. იგი არც მარქსის კლასთა ბრძოლის თეორიას იზიარებდა და საერთოდ არ ისიდაედა საზოგადოების ის თეორიული მოდელები, რომლებიც საფრანგეთსა და გერმანიაში იყო შექმნილი. დიურკემისათვის ამოსაეალი სოციალურობის ცნებაა. სოციალურობა, როგორც ასეთი, „ინდივიდუალური ქცევის კონტროლს" გულისხმობს. ამის გათვალისწინებით დიურკემის მიერ შემდგომ პერიოდში შემოტანილი „სოციალური ფაქტი" გარეგანი და მაიძულებელი გახდება.

2) მეორე ეტაპად პარსონსი პოზიტიურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული იგივე იდეების სისტემატიზაციას განიხილავს, რის ნიმუშებად „სოციოლოგიური მეთოდის წესებსა" (1895 წ.) და „თვითმკვლელობას" (1897 წ.) მიიჩნევს. მან ხაზი გაუსვა ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ემპირიული სოციოლოგიისათვის. ამ პერიოდში შემოაქვს დიურკემს „სოციალური ფაქტისა" და „ანომიის" ცნება, აყალიბებს დეეიაციის სოციოლოგიის საყუძვლებს.

3) მესამე ეტაპში პოზიტივისტური პოზიციების გადახედვას გულისხმობს პარსონსი, რაც რამდენიმე სტატიაშია ფიქსირებული: „ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოდგენები" (1899 წ.), „მორალური განათლება" (1902-1903 წწ.), „მორალური ფაქტის დეტერმინაცია" (1907 წ.) და სხვ.

4) მეოთხე პერიოდი ემპირიული გამოკვლევების ახალ სფეროს შეეხება, რაც თაეის კულმინაციას აღწევს ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები" (1913 წ.). მნიშვნელოვანი წელილი მიუძღვის დიურკემს თანამედროვე საზოგადოების მორალური კრიზისის ანალიზის საქმეში. ამ მხრივ იგი აკრიტიკებდა თაეის თანამედროვე ფსიქოლოგს, კრიმინალისტსა და სოციოლოგს ტარდს, რომლის მიხედვით, საზოგადოების ძირი-

თადი კანონია მიბაძვა. ამის საპირისპიროდ, დიურკემის აზრით, საზოგადოება არის რეალობა – **Sui Generis**. იგი ერთგვარ მორალურ ერთობას წარმოადგენს (სოციოლოგია კი სოციალური ფაქტების შემსწავლელი მეცნიერებაა), ოღონდ აქ რელიგიური მორალი არ იგულისხმება. დიურკემი ამ შემთხვევაში საერო მორალის დამფუძნებლად გვევლინება.

განსაკუთრებულია დიურკემის ღვაწლი სოციოლოგიური ცნებების ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში. დღეს უკვე თამამად შეიძლება თქმა იმისა, რომ არა მარტო ფრანგული, არამედ მთლიანად საკაცობრიო მასშტაბით სოციოლოგიის ისტორია დიურკემამდელ და დიურკემის შემდგომდროინდელ პერიოდებად იყოფა (მსგავსად ფილოსოფიის ისტორიის სოკრატემდელ და სოკრატეს შემდგომ, ნიცშემდელ და ნიცშეს შემდგომდრინდელ პერიოდებად დაყოფისა). შემდგომში დიურკემის სოციოლოგიური იდეები გაელენას ახდენს ისეთ მიმდინარეობებზე, როგორებიცაა სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, სტრუქტურული ლინგვისტიკა, საერთოდ, ფრანგული სტრუქტურალიზმი და სხვ.

ფრანგული სოციოლოგიის პოსტდიურკემისეული პერიოდიდან გამორჩეულია ედმონდ გობლოს (1858-1935) 1925 წელს გამოცემული წიგნი: „სოციოლოგიური ეტიუდი თანამედროვე ფრანგული ბურჟუაზიის შესახებ," რომელშიც ფრანგული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის აქტუალური საკითხებია გაანალიზებული დიურკემის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ შექმნილმა სოციოლოგიურმა სკოლამ თუმცა გააგრძელა არსებობა, მაგრამ ისეთი აქტიურობითა და პოპულარობით არ გამოირჩეოდა, როგორითაც ადრეულ პერიოდში. ამ სკოლის ტრადიციების შენარჩუნებაში დიდი წვლილი შეიტანეს მისმა მოწაფეებმა: მარსელ მოსმა (1872-1950), იგი ამავე დროს დიურკემის ახლო ნათესავიც იყო, და მორის ხალბვაკრმა (1877-1945); მოსმა დიურკემის მიერ დაარსებული ჟურნალის გამოცემის გაგრძელება სცადა. მონაწილეობდა პარიზის უნივერსიტეტში ეთნოლოგიის ინსტიტუტის შექმნაში, იყო ჟორესის მიერ დაარსებულ გაზეთ „**Humanite**"-ს თანამშრომელი და 1906 წელს კორესპონდენტის რანგში რუსეთშიც იმყოფებოდა. მორის ხალბვაკრი გეიან შეუერთდა ჯგუფ **Anne Sociologique**-ს. მის სიცოცხლეში არც ერთი მისი ნაშრომი აღიარებული არ ყოფილა თანამედროვეთა მიერ. გარდაცვალების შემდეგ კი გაირკვა, რომ იგი ახალი სოციოლოგიური კონცეფციის – კოლექტიური მეხსიერების თეორიის აეტორი ყოფილა. ის 1944 წელს სორბონის უნივერსიტეტმა ახლადშექმნილი სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად აირჩია, თუმცა 1945 წელს ნაცისტებმა დააპატიმრეს და ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს, საიდანაც ცოცხალი არ დაბრუნებულა. მისი წიგნი „სოციალური კლასები და მორფოლოგია" 1970 წელს ხელახლა გამოიცა საფრანგეთში.

II მსოფლიო ომის შემდგომ ფრანგულ სოციოლოგიაზე საგრძნობლად იმოქმედა ფრანგულმა ეგზისტენციალიზმმა და მარქსიზმმა (ე. წ. დასავლური მარქსიზმი). ამ პერიოდის ანუ (II მსოფლიო ომის შემდგომი) პირველი თაობის სოციოლოგები არიან: კ. ლევი-სტროსი – ფუნქციონალისტური მიმართულების წარმომადგენელი, სტრუქტურულ ლინგვისტიკაზე დაყრდნობით სოციალურ-ანთროპოლოგიური კვლევებით იყო დაკავებული; ჟ. ფრიდმანი – ინდუსტრიული სოციოლოგიის პრობლემათა კვლევის ინიციატორი საფრანგეთში; ჟ. სტეტცელი – დიდი როლი შეასრულა საფრანგეთში საზოგადოებრიეი აზრის კვლევის საქმეში; საყურადღებოა მისი 1957 წელს დაწერილი სტატია „სოციოლოგია საფრანგეთში." ამ თაობის სოციოლოგებს შორის მაინც გამორჩეული ფიგურა რაიმონ არონია. მან მიაღწია იმას, რომ 1958 წელს უმაღლესი განათლების ფრანგულ სისტემაში შემოღებულ იქნა სოციოლოგის დიპლომი – **Licence de Sociology**. საინტერესო გამოკვლევები აქვს არონს თეორიული სოციოლოგიისა და, განსაკუთრებით, პოლიტიკური სოციოლოგიისა და ინდუსტრიული სოციოლოგიის სფეროში. ომის შემდგომი „პირველი თაობის სოციოლოგებმა" მყარი მეცნიერული საფუძვლები შექმნეს მომდევნო, ე. წ. „მეორე თაობის" სოციოლოგებისათვის, რომელთა შორის გამოირჩევიან: მ. კროზე, ა. ტურენი, ა. მენდრასი, ჟ. რეინო, ე. დე დემპრი. სოციოლოგიური ინიციაცია მათ ამერიკაში მიიღეს.

საფრანგეთი გამორჩეულია აგრეთვე დიდი ტრადიციების მქონე სოციოლოგიური კვლევის ცენტრებითა და ინსტიტუტებით, რომელთაგან გამორჩეულია 1924 წელს დაარსებული „სოციოლოგიის ფრანგული ინსტიტუტი," პარიზის, ბორდოსა და სტრასბურგის უნივერსიტეტების სოციოლოგიის კათედრები; 1946 წლიდან დღემდე საინტერესო გამოკვლევებს ატარებს „სოციოლოგიურ გამოკვლევათა ცენტრი," 1945 წლიდან – „დემოგრაფიულ გამოკვლევათა ნაციონალური ინსტიტუტი," 1938 წლიდან – „საზოგადოებრიეი აზრის ფრანგული ინსტიტუტი" და „სტატისტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ნაციონალური ცენტრი." საფრანგეთში ფუნქციონირებს სოციოლოგიური კვლევითი ცენტრები და ინსტი-

ტუტები დარგობრივი მიმართულებით, მაგალითად, „შრომის სოციოლოგიის ინსტიტუტი," „ფსიქოსოციოლოგიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი," „სოციოლოგიისა და რელიგიის კათოლიკური ცენტრი" და სხვ.

ფრანგული სოციოლოგიის თანამედროვე წარმომადგენელთა შორის გაელენიანი ფიგურები არიან პიერ ბურდიე (1930-2002), ჟაკ დერიდა (1930-2004), მიშელ ფუკო (1926-1984) და ჟან ბოდრიარი (1929-2007).

ბურდიეს არ მოიხსენიებენ „მეორე თაობის" ფრანგ სოციოლოგთა შორის, იმიტომ რომ აღიარების პიკს ამერიკაში მიაღწია. იგი პარიზში სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დირექტორი იყო 1960 წლიდან, არონის გადადგომის შემდეგ კი ეროპული სოციოლოგიური ცენტრის დირექტორის პოსტი ეკავა. 1970 წლიდან განათლებისა და ხელოვნების სოციოლოგიის პრობლემებს იკვლევდა. 1975 წელს დააარსა ინტერდისციპლინური ჟურნალი **„Actes de la recherché en sciences socisle,"** ხოლო 1975 წელს გამოსცა წიგნი „განსხვაეებანი," 1980-იან წლებში კი **„Homo Academicus"**-ი, „ენა და სიმბოლური ძალაუფლება," 2000 წელს – „პასკალიანური განაზრებანი." იგი ახალი იდეების სინთეზირების დიდოსტატია თანამედროვე ფრანგულ სოციოლოგიაში, აეითარებდა ინტერესის თეორიაზე აგებულ მოძღვრებას ადამიანისა და საზოგადოების შესახებ.

თანამედროვე ცვალებად სამყაროში აქტორზე ორიენტირებულ სოციოლოგიურ თეორიებს შორის გამორჩეულია ჟაკ დერიდას პოსტსტრუქტურალისტური დეკონსტრუქციის კონცეფცია, მიშელ ფუკოს სტრუქტურალისტური და პოსტმოდერნისტული თეორია, ჟან-ფრანსუა ლიოტარის პოსტმოდერნული მდგომარეობა და ჟან ბოდრიარის პოსტმოდერნისტული სოციოლოგია; ამ მოაზროვნეთაგან ფრანგული პოსტმოდერნისტული სოციოლოგიის კორიფე ჟან ბოდრიარია გამორჩეული, რომელიც თანამედროვე ტრანსფორმირებადი სოციალური სამყაროს გასაღებს იძლევა. მისმა სოციოლოგიურმა კონცეფციამ დიდი გაელენა მოახდინა არა მარტო ფრანგულ, არამედ მთლიანად თანამედროვე საკაცობრიო სოციოლოგიურ აზროვნებაზე.

სოციოლოგიური კვლევის ცენტრებით, თეორიული და ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის კლასიკური და თანამედროვე უმდიდრესი ტრადიციებით, საუნივერსიტეტო, სასწავლო და აკადემიური კვლევის გამოცდილებით საფრანგეთი სოციოლოგიის ნამდვილი ოაზისია.



ჟან ბოდრიარი
(1929-2007)

* * *

„...სოციალური უპირობოდ არსებობდა, მაგრამ ახლა უკვე ის არ არის_ სოციალურის პერსპექტიული სიერცე დასრულდა_შეიძლება თუ არა სოციუმზე კელაეინდებურად საუბარი? ლოს-ანჟელესში უკვე არაეითარი სოციალურობა არ არსებობს და მის შესახებ შემდგომ თაობებს არაფერი ეცოდინებათ. ჯერჯერობით ლოს-ანჟელესში ტელევიზიის, კინოს, ტელეფონისა და აეტომობილის თაობა ცხოვრობს_განთესილი თაობა, როგორც სოციალური, მხოლოდ პერსპექტიეის სიერცეში, სიმულაციის სიერცეში არსებობს. სიმულაციის სიერცე – ეს რეალობისა და მოდელის შერევის ადგილია."

* * *

„მხედველობის დაკარგაესთან ერთად სათვალეები და კონტაქტური ლინზები გახდა ჩვენი საგვარეულო პროთეზი. ამის მსგავსად კომპიუტერი გადაიქცა ხელოვნურ პროთეზად ადამიანებისა, რომლებიც აზროვნების უნარს კარგაეენ."

* * *

„...ჩვენი კულტურა ნაგვის წარმოებად იქცა. სხვა კულტურები, უბრალო გაცელითი ციკლის შედეგად, ჭარბ პროდუქციას ქმნიდნენ და სიჭარბის კულტურას დაუდეს სათავე, ჩვენი კი აუარება ნაგავს აწარმოებს, რომელსაც ნამდვილი საცელელი ღირებულება ადევს. ადამიანები საკუთარ ნარჩენთა ნარჩენები ხდებიან – აი, ასეთია საზოგადოება, რომელიც გულგრილია საკუთარი ღირებულებებისადმი, საზოგადოება, რომელიც თაეისივე თავს გულგრილობისა და სიძულვილისაკენ უბიძგებს."

ჟან ბოდრიარი

XIII ლექცია
თემა: სოციალური სტრატიფიკაცია

სოციალური სტრატიფიკაცია სოციოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. ის საზოგადოების ფენებად დაყოფას შეეხება და პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ რატომ იყოფიან ადამიანები ღარიბ, შეძლებულ და მდიდართა ფენებად. რეალურ სოციალურ ცხოვრებაში ადამიანებს შორის უთანასწორობა დიდ როლს ასრულებს. ეს ის კრიტერიუმია, რომლის მიხედვითაც ჩვენ გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლებს სოციალური იერარქიის მაღალ ან დაბალ საფეხურზე ვაყენებთ, რაც საზოგადოების ფენებად დაყოფას ანუ სოციალურ სტრატიფიკაციას ნიშნავს.



ტერმინი სტრატიფიკაცია ლათინური ენიდან მომდინარეობს (**stratum**–ფენას, ხოლო **facio** კეთებას ნიშნავს). სოციოლოგიაში იგი გეოლოგიური მეცნიერებიდან შემოვიდა (გეოლოგიური თვალსაზრისით, მიწა სხვადასხვა ფენებად არის დაყოფილი).

თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალური სტრატიფიკაცია განიმარტება, როგორც სისტემა, რომლის საშუალებითაც საზოგადოება გარკვეული კატეგორიის ადამიანებს იერარქიულად ანაწილებს. იგი ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა:

• სოციალური სტრატიფიკაცია ინდივიდუალურ განსხვავებათა უბრალო გამოხატულება კი არ არის, არამედ საზოგადოების თავისებურებას წარმოადგენს: არც მდიდრები, არც ღარიბები არ არიან პასუხისმგებელი სოციალური სტრატიფიკაციის წარმოშობისათვის. ეს მათზე კი არა, საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ის ქმნის მსგავს სისტემას, რომელიც შემდგომში ყოველი ჩვენგანის ცხოვრებას განსაზღვრავს.

• სოციალური სტრატიფიკაცია თაობებს მოიცავს: იმაში დასარწმუნებლად, რომ სტრატიფიკაცია საზოგადოების ნიშანია და არა ინდივიდის, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ უთანასწორობა თაობებს მოიცავს. თითქმის ყველა საზოგადოებაში შეილებს ის სოციალური მდგომარეობა უკავიათ, რაც ადრე მათ მშობლებს ეკავათ. თუმცა ადამიანთა მდგომარეობა საზოგადოებაში უფრო ხშირად „ჰორიზონტალურ“ პლანში იცვლება, როდესაც ისინი სამსახურს იცვლიან. როგორც წესი, ადამიანთა უმრავლესობისათვის სოციალური მდგომარეობა მთელი ცხოვრების მანძილზე უცვლელი რჩება, მიუხედავად ისეთი გამონაკლისებისა, როგორებიცაა, მაგალითად, ბრიტნი სპირსი ან მაიკლ ჯორდანი, რომლებსაც ამჟამინდელთან შედარებით ადრე საკმაოდ მოკრძალებული სოციალური მდგომარეობა ეკავათ საზოგადოებაში.

• სოციალური სტრატიფიკაცია უნივერსალურია, მაგრამ ამასთანავე ცვალებადი: სოციალური სტრატიფიკაცია ყველგანყოფია, მაგრამ რა მიზეზით და რამდენად უთანასწორია ადამიანთა მდგომარეობა, ეს კონკრეტულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ერთ შემთხვევაში ეს პრესტიჟითაა განპირობებული, მეორე შემთხვევაში – სიმდიდრით ან ძალაუფლებით. ზოგიერთ საზოგადოებაში უთანასწორობა აშკარა და თვალშისაცემია, სოგში კი არა.

• სოციალური სტრატიფიკაცია არა მხოლოდ უთანასწორობას, არამედ გარკვეულ დამაჯერებლობასაც გულისხმობს: დამაჯერებლობაში იგულისხმება ის, რომ მიუხედავად უთანასწორობისა ადამიანებს სჯერათ არსებული სოციალური წესრიგის სამართლიანობა.

სტრატიფიკაციის ისტორიული ტიპები

კასტური სისტემა: საზოგადოების კასტური სტრატიფიკაციის შემთხვევაში ადამიანი საზოგადოებრივ მდგომარეობას შთამომავლობით იღებს. კასტა სოციალური ნორმებით, სპეციფიკური ტრადიციებით, ქცევითა და ცხოვრების ერთნაირი სტილით გაერთიანებულ ადამიანთა დახურული ფენაა. მისი წევრობა წინასწარ დადგენილი და გარკვეულია. კონტაქტები სხვა კასტებთან აკრძალულია და კასტიდან კასტაში გადასვლა წარმოუდგენელია. როგორც წესი, იგი ძირითადად არაეკონომიკური კრიტერიუმებით იქმნება. კასტური სტრატიფიკაცია ახასიათებს მთელ რიგ აგრარულ საზოგადოებებს. ამის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა (აპარტეიდის პოლიტიკა, რომელიც უახლოეს პერიოდამდე 5 მილიონამდე ევროპული წარმომავლობის სამხრეთაფრიკელის ძალაუფ-

ლებასა და სიმდიდრეს უზრუნველყოფდა ქვეყნის 35-მილიონიან შაეკანიან მაცხოვრებლებთან შედარებით).

კლასობრივი სისტემა: აგრარულისაგან განსხვავებით, ინდუსტრიული წარმოება დიდწილად ადამიანის ტალანტზეა დამოკიდებული, რაც კლასობრივი სისტემის წარმოქმნას უწყობს ხელს. საზოგადოების კლასობრივი სტრატიფიკაცია ადამიანის წარმომაელობასთან ერთად მის ინდივიდუალურ მიღწევებზეა დამოკიდებული. კასტურთან შედარებით კლასობრივი სტრატიფიკაცია უფრო ღიაა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც შესაბამისი განათლება და საჭირო უნარ-ჩვევები აქვთ. კლასობრივი სისტემის განვითარებული ფორმაა მერიტოკრატია.

კლასი საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციაში ისეთი მაკროჯგუფია, რომელიც მსგავსი მატერიალური რესურსების და ცხოვრების წესის მქონე ადამიანებს აერთიანებს. კლასის ცნება მარქსის შემოღებულია მეცნიერებაში. მის მიხედვით, კლასის წარმოშობა წარმოების საშუალებებისადმი ადამიანის დამოკიდებულებით არის განპირობებული. მარქსისგან განსხვავებით, ვებერის აზრით, კლასობრივი სტრატიფიკაციის განმაპირობებელია განათლება, კვალიფიკაცია, გამოცდილება, სოციალური სტატუსი და პრესტიჟი; თანამედროვე სოციოლოგიაში ამ კრიტერიუმებს დაემატა პროფესია, შემოსავლების ოდენობა, რელიგიური კუთვნილება და სხვ.

მერიტოკრატია: ინდუსტრიული საზოგადოება მერიტოკრატიისაკენ მიისწრაფვის (მერიტოკრატია საზოგადების რჩეული ნაწილია, რომლისადმი კუთვნილება განისაზღვრება არა ჩამომავლობით ან სოციალური მდგომარეობით, არამედ პიროვნული უნარებითა და ინდივიდუალური ძალისხმევით; ის სიტყვასიტყვით „ნიჭიერთა მმართველობას“ ნიშნავს). ამ შემთხვევაში სოციალური იერარქიის კიბეზე ადამიანის მდგომარეობას განსაზღვრავს მისი მიღწევები და მის მიერ შესრულებული სამუშაო. ამ ტიპის სტრატიფიკაცია ყველასათვის წარმატების მიღწევის თანაბარ შესაძლებლობებს ქმნის, თუმცა მოლოდინი ისეთია, რომ თანაბარ შედეგებს ალბათ ყველა ვერ მიაღწევს.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორიულ-სოციოლოგიური ანალიზი

სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური პარადიგმის მიხედვით,

- სოციალური სტრატიფიკაცია საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას ამყარებს და ქვეთანისმყოფელ გაველენას ახდენს მასზე.
- სოციალური სტრატიფიკაცია ადამიანის ტალანტსა და შესაძლებლობებს მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან აწონასწორებს.
- ის ღირებულებები, რომლებიც სოციალურ უთანასწორობას აკანონებენ, საზოგადოების ფართო ფენების მიერ არის აღიარებული.
- რამდენადაც სოციალური სტრატიფიკაცია სასარგებლოა საზოგადოებისათვის, იმდენად იგი სტაბილურია.

სოციალური კონფლიქტის პარადიგმის მიხედვით,

- სოციალური სტრატიფიკაცია სოციალური კონფლიქტის შედეგია. კონფლიქტის წყარო სოციალური და სხვა სახის რესურსების მხოლოდ ცალკეული ადამიანებისათვის ხელმისაწვდომობაა.
- სოციალური სტრატიფიკაცია ახშობს და გვას უღობავს ადამიანის ტალანტისა და შესაძლებლობების განვითარებას.
- სოციალური სტრატიფიკაცია მხოლოდ ცალკეულ ადამიანთათვისაა სასარგებლო; იგი აუცილებლობას არ წარმოადგენს.
- რამდენადაც სტრატიფიკაცია მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილის ინტერესებს გამოხატავს, იმდენად ის დიდი სტაბილურობით არ გამოირჩევა.

სოციალური სტრატიფიკაციის მარქსის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტი უკლასო საზოგადოება იყო. ამ ტიპის საზოგადოების შექმნის საბჭოთა გეგმამ კრახი განიცადა. მარქსს მიაჩნდა, რომ სოციალური იერარქიის არსებობა იდეოლოგიაზე (კულტურული ღირებულებების, შეხედულებების, იდეების სისტემა, რომელიც არსებულ სოციალურ სტრატიფიკაციას ამართლებს) იყო დამოკიდებული, ამიტომ უკლასო საზოგადოების ასაშენებლად შესაბამისი იდეოლოგია იყო საჭირო. მარქსის ამ ჩანაფიქრის ნაწილი იყო საბჭოთა იდეოლოგია, რომელმაც ადამიანებს დაპირებული ბედნიერება ვერ მოუ-

ტანა. რალფ დარენდორფმა ოთხი მიზეზი დაასახელა იმისა, თუ რატომ არ ხდება მარქსისტული რევოლუციები.

- კაპიტალისტთა კლასის ფრაგმენტაცია: დღეს მსხვილი კომპანიების მფლობელები მილიონობით აქციონერები არიან. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც კაპიტალს მხოლოდ ერთეულები ფლობდნენ.
- ცხოვრების მაღალი დონე: საზოგადოებაში გაიზარდა გონებრივი შრომით დაკავებულ ადამიანთა რიცხვი და ადამიანთა უმეტესობა საკუთარ თავს უზრუნველყოფილად მიიჩნევს.
- მუშათა ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა: ადრე მუშებს არ ჰქონდათ მძლავრი ორგანიზაციული გაერთიანებები, ამჟამად მათ აქვთ პროფკავშირული და სხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციები.
- უფრო ფართო სამართლებრივი დაცვა: თანამედროვე საზოგადოებაში შრომა უსაფრთხოა და კანონმდებლობითაა დაცული. გარდა ამისა, არსებობს უამრავი სადაზღვეო კომპანია და ა. შ.

მაქს ვებერი: კლასი, სტატუსი და ძალაუფლება

ვებერმაც იცოდა, რომ სოციალური სტრატიფიკაცია კლასობრივი კონფლიქტის შემცველია, მაგრამ ეს კონფლიქტები მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებამდე არ დაჰყავდა. ვებერის მიხედვით, სოციალურ სტრატიფიკაციას უთანაბრობის სამი განსხვავებული მაჩვენებელი აქვს:

- ეკონომიკური უთანასწორობა: ვებერმა მას კლასის მდგომარეობა უწოდა. ის, მარქსისაგან განსხვავებით, კლასებს განიხილავდა არა როგორც მკაცრად ფორმულირებულ კატეგორიებს, არამედ ისეთ მოცემულობად, რომელიც იერარქიულ კიბეზე მაღალსა და დაბალს შუა, საზღვარზე იმყოფება;
- სტატუსი ანუ სოციალური პრესტიჟი: ვებერის აზრით, საზოგადოების სოციალურ წყობაში ინდივიდის ადგილი დამოკიდებულია იმ სტატუსსა და პრესტიჟზე, რომელიც მას აქვს;
- ძალაუფლება: ძალაუფლების ქონა სოციალური სტრატიფიკაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებელია, რომ ჩინოვნიკი იმის გამო, რომ ძალაუფლების მფლობელია, სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე იმყოფებოდეს, მაგრამ ამავე დროს ძალზე დაბალი პრესტიჟით ხასიათდებოდეს, და პირიქით.

აქედან ჩანს, რომ, მარქსისაგან განსხვავებით, ვებერის მიდგომა სტრატიფიკაციისადმი მრავალასპექტიანია, რომელმაც დიდი გაელენა მოახდინა მის შემდგომ სოციოლოგიაზე.

სტრატიფიკაციის გაზომვა

წარმოვიდგინოთ სოციალური სივრცე, რომელშიც ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდგომარეობები უთანაბროა. დაახლოებით ასე მოიაზრებდა სოციალურ სტრატიფიკაციას პიტირიმ სოროკინი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა იგი. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ სტატუსებს შორის უთანასწორობა სტრატიფიკაციის უმთავრესი თვისებაა. ასე რომ, სოროკინიდან მომდინარეობს სტრატიფიკაციის გაზომვის საკითხი, რომელსაც სტრატიფიკაციის ძირითადი ფორმები შეესაბამება.

- ეკონომიკური სტრატიფიკაცია – იზომება შემოსავლების ოდენობით;
- პოლიტიკური სტრატიფიკაცია – იზომება ძალაუფლების ფლობის მაჩვენებლებით;
- პროფესიული სტრატიფიკაცია – იზომება პრესტიჟითა და განათლების დონით;

სტრატიფიკაციის სხვა ფორმებიც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ისინი იმდენად მნიშვნელოვანი არაა.


თანამედროვე სოციოლოგიაში სტრატიფიკაციის გასაზომ კოორდინატთა სისტემაში საზომი ერთეულები ვერტიკალურად და ერთმანეთის გვერდით არიან განლაგებულნი. ეს ერთეულებია:

- შემოსავლები (დოლარებში),
- ძალაუფლება (იმის მიხედვით, თუ რამდენ ადამიანზე ვრცელდება მიღებული გადაწყვეტილება),
- განათლება (განათლების მისაღებად დახარჯული წლების რაოდენობა),
- პრესტიჟი (სტატუსისადმი პატივისცემა).

სოციალური ფენები თანამედროვე საზოგადოებაში (აშშ-ის მაგალითი).

ჩვეულებრივ საზოგადოებაში გამოყოფენ „დაბალ," „მაღალ" და „საშუალო" ფენებს. სოციალური ფენები დიდი სოციალური ჯგუფების მსგავსად იქმნება ადამიანთა უთანასწორო მდგომარეობის შედეგად. ისინი, ვინც დიდ საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით, შემოსავლებით, უფლება-მოვალეობებით, კულტურის დონით, ცხოვრების წესით და სხვა ნიშნებით. მაგალითად, აშშ-ში მაღალი კლასის შიდა ზედა ფენას ძალზე მდიდარი ადამიანები მიეკუთვნებიან, ხოლო მაღალი კლასის შიდა ქვედა ფენას – არისტოკრატიული წარმომავლობის, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით მოპოვებული ქონების პატრონები. საშუალო კლასის, ე. წ. „თეთრსაყელოიანთა" (გონებრივი შრომის ადამიანები) ზედა ფენაში მაღალი განათლების, ინტელექტუალური შრომისა და დიდი შემოსავლების მქონე ადამიანები – იურისტები, ექიმები, ბანკირები და სხვები, შედიან. საშუალო კლასის დაბალი ფენა ძირითადად საკანცელარიო დარგებში მომუშავე ადამიანებისაგან შედგება. დაბალი კლასის ზედაფენას, ე. წ. „ცისფერსაყელოიანებს" (ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები) სამრეწველო და მსგავს სხვა სფეროებში დასაქმებული ადამიანები მიეკუთვნებიან. დაბალი კლასის დაბალ ფენას ყველაზე გაჭირვებული, ეკონომიკურად და სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ადამიანები ქმნიან.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროცესები ნელა, მაგრამ ბუნებრივად მიმდინარეობს ქართულ საზოგადოებაშიც. საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური სტრატიფიკაციის მოდელი (პარტიული ნომენკლატურა, ინტელიგენცია, მუშათა კლასი და გლეხობა) ისტორიას ჩაბარდა. ამჟამად ქართულ საზოგადოებაში იგივე სტრატებია, რაც ამერიკულში ან ბრიტანულში. რაც შეეხება მათი განვითარების (განსაკუთრებით საშუალო ფენის) დაბალ დონეს, თუკი სხვა ფაქტორებმა არ შეუწყვეს ხელი, საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონები მაინც იზრუნებენ მის მოგვარებაზე.



საბჭოთა კავშირის დაშლის (1991წ.) დროიდან დღემდე არნახულ ტრანსფორმაციას განიცდის საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაცია. 1991 წლიდან დღემდე ადამიანთა ერთი ნაწილი ძალიან გამდიდრდა, ხოლო მეორე ნაწილი ძალიან გაღარიბდა.

სოციალური სტრატიფიკაციის ფუნქციები

იქნებ პარადოქსია, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით სოციალური უთანასწორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. ამერიკელმა სოციოლოგებმა კინგსლი დევისმა და ვილბერტ მურმა დაახლოებით 50 წლის წინათ გამოთქვეს მსგავსი მოსაზრება. კითხვას, თუ რატომ არის საზოგადოება სტრატიფიცირებული, მათ შემდეგნაირად უპასუხეს: იმიტომ რომ ეს საზოგადოების კეთილდღეობისათვისაა აუცილებელი. მათი ეს მოსაზრება თანამედროვე სოციოლოგიაში „დევის-მურის თეზისის“ სახელითაა ცნობილი. ამ თეზისის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი საზოგადოება შეიძლება იყოს ეგალიტარული (ფრანგულად **egalite** – თანასწორობა), ოღონდ იმ დოზით, რა დოზითაც ასრულებენ ადამიანები ამა თუ იმ სამუშაოს, რომლისთვისაც ისინი გარკვეულ ჯილდოს იღებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ მიერ კეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაოსათვის საზღაური ანუ ჯილდო იქნება შემოსავალი, პრესტიჟი ან გარკვეული ძალაუფლება, რომელთა მოპოვება განსაზღვრავს ჩვენს ადგილს საზოგადოების ამ თუ იმ ფენაში. ამ მოსაზრებას სოციოლოგიაში უკრიტიკოდ არ ჩაუვლია. სოციოლოგმა მელვინ ტუმინმა შემდეგი სახის საკითხი წამოაყენა: როგორ უნდა მოხდეს გარკვეული სახის საქმიანობის მნიშვნელობის შეფასება? ტუმინის აზრით, ამ თეზისის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ სოციალური სტრატიფიკაცია ყოველთვის არ უწყობს ხელს პიროვნული უნარების გამოვლინებას. თავის მხრივ, ამგვარი კრიტიკული მოსაზრება ისევ კონფლიქტების თეორიასთან გვაბრუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური უთანასწორობა არა მარტო სოციოლოგიის, არამედ ზოგადად ქაოსობრიობის მარადიული და დაუწყვეტელი პრობლემაა.

მასალა განსჯისათვის

კურტ ვონეგუტი – „საშინი თანასწორობა“



კურტ ვონეგუტი
(1922-2007)

ცნობილი ამერიკელი მწერლის კურტ ვონეგუტის მოთხრობა „პარისონ ბერჟერონი“ ასეთი სიტყვებით იწყება:

„არავინ არავისზე უფრო ძლიერი და სწრაფი არ იყო– მიდიოდა 2081 წელი და, ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანი თანასწორი გახდა. არა მხოლოდ ღვთისა და კანონის წინაშე, ისინი თანასწორნი იყვნენ ყველა მიმართებაში. არავინ არ იყო არავისზე ჭკვიანი. არავინ არ გამოიყურებოდა სხვაზე უკეთესად. თანასწორობა კონსტიტუციის 211-ე, 212-ე და 231-ე შესწორებიდან გამომდინარეობდა და გენერალური გამთანაბრებლის აგენტების მუდმივი სიფხიზლით იყო უსრულყოფილი ...“

ვონეგუტი გვაფრთხილებს, რომ ყველასათვის მიმზიდველი და სანუკვარი თანასწორობა შესაძლებელია საშინიც აღმოჩნდეს. თავის მოთხრობაში მან სოციალური ინჟინერიის კოშმარი აღწერა, რომლის მეშვეობითაც ის უნარები, რაც ადამიანებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, მთავრობის მიერ სისტემატური სახით არის ნეიტრალიზებული. ვონეგუტის დასკვნა ასეთია: ეგალიტარულ საზოგადოებას პიროვნების ინდივიდუალობის ნიველირება მაქსიმუმამდე აჰყავს.

დაალება:

– როგორ ფიქრობთ, სოციალური უთანასწორობა აუცილებელია თუ არა საზოგადოებისათვის?

– ეთანხმებით თუ არა ცნობილი ამერიკელი მწერლის მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთეთ.

დავალება:
– თქვენი აზრით, რა განსხვავებაა საზოგადოების კასტურ და კლასობრივ სტრატიფიკაციას შორის?
– რა სახით უწყობს ხელს თანამედროვე საზოგადოება მერიტოკრატიის განვითარებას?
– როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა პქონდეს, დევის-მურის თეზისის მიხედვით, ფირმის დირექტორს მეტი ანაზღაურება, ვიდრე რიგით თანამშრომელს?
– მოიძიეთ შესაბამისი მასალები საპრეზენტაციო თემისათვის: „სოციალური სტრატიფიკაციის ტრანსფორმაცია საქართველოში."

ძირითადი ლიტერატურა:

1. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაზე). გვ. 251-307.
2. გ. ასათიანი, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. თბ., 1969. გვ. 5-28.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. ფერეოლი, სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუს. ნაზე). სანკტ-პეტერბურგი. 2003. გვ. 128-129.
2. ა. კრაჩენკო, სოციოლოგია, მ. 1999. (რუს. ნაზე). გვ. 207-232.
3. ნ. სმელზერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნაზე). გვ. 273-361.

მასალა განსჯისათვის

გენდერის სოციოლოგია

ფრაგმენტი ჯენი თეიჩმანისა და ქეთრინ ევანსის წიგნიდან „ფილოსოფია"

ერთი თუ ორი სქესი

„... 1949 წელს სიმონა დე ბოუვარი წერდა: „სიმართლე რომ ვთქვათ, საკმარისია სასეირნოდ გავიდეთ, ხალხს თვალი მოვავლოთ და დავრწმუნდებით, რომ ადამიანები ორ კლასად იყოფიან. განსხვავებულია მათი ტანსაცმელი, სახეები, სხეულები, ღიმილი, სიარული, ინტერესები, საქმიანობა."

მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს და ღრმა ფესვები აქვს გადგმული საპირისპირო შეხედულებას, თითქოს სინამდვილეში კაცობრიობა ერთსქესიანია. ეს, როგორც ჩანს, არაცნობიერი შეხედულება, კერძოდ, ელინდება წარმოდგენაში ქალების, როგორც არანორმალური მამაკაცების, შესახებ. ქალები არიან ბაგშვობაში ზრდაშეჩერებული, აყადმყოფი ან კასტრირებული მამაკაცები. ეს უცნაური აზრი გეხვდება ზოგიერთი მოაზროვნის, მათ შორის არისტოტელეს, შოპენჰაუერის, ფროიდის და ოტო ვაინინგერის თხზულებებში.

თვალსაზრისს, რომლის თანახმად, კაცობრიობა ერთსქესიანი სახეობაა ან შეიძლება ასეთად იქცეს, იზიარებს ზოგი ფემინისტი აგტორი, რომლებიც იცავენ ანდროგინობის იდეალს.

ეს იდეალი გულისხმობს, რომ ყველაზე საუკეთესო შესაძლებელი მდგომარეობა ისაა, რომელშიც გაუქმებული იქნებოდა სქესობრივი როლები ჩასახვის, ორსულობისა და დედობის დონემდე. ყველა ინსტიტუციონალური და პიროვნებათშორისი ურთიერთობა ასეთ მდგომარეობაში თავისუფალი იქნებოდა ხელისუფლებისაგან, დათრგუნვისა და უსამართლობისაგან. ანდროგინული იდეალის განხორციელება შეიძლებოდა უახლოეს მომავალში ხელოვნური განაყოფიერებისა და მეცნიერულ დამუშავებათა მეოხებით, რაც შექმნიდა საშუალებას ბაგშვების დაბადებისა და გაზრდისა ლაბორატორიებში.

ფემინიზმის ამ ნაირსახეობის მომხრენი ამტკიცებენ, თითქოს მამაკაცებისა და ქალების განსაკუთრებული ფსიქიკური მახასიათებლები სოციალური ინჟინერიის შედეგია. მათი აზრით, უნდა დაეივიწყოთ ფუძემდებლური იდეოლოგიები, რაც ქალებს საშუალებას მისცემს იყვნენ ძლიერნი და გამბედავნი, ლოგიკურად მოაზროვნენი და ანალიზის უნარის მქონენი, ნაკლებად აინტერესებდეთ ისეთი ულირსი და მომქანცველი საქმე, როგორიცაა ჩვილი ბაგშვის მოელა. თავის მხრივ, მამაკაცები იქნებოდნენ უფრო მზრუნველნი და მგრძნობიარენი, თუკი ეს თვისებები კულავინდებურ ღირსებად ჩაითვლება.

ფემინიზმის სხვადასხვა ტიპი

ანდროგინული იდეალი, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ ტრადიციული ქალური როლები მოსაწყენი, მომქანცველი და ულირსია, მაშინ როდესაც ტრადიციული მამაკაცური როლები საინტერესო და აღამიანურად მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთი ფემინისტი


სხეა შეხედულებისაა.

ამ მეორე სკოლის ფემინისტები ამტკიცებენ, რომ მამაკაცებისა და ქალების ბუნება ნამდვილად განსხვაებულია და რომ ქალური ბუნება და ფსიქოლოგია ისეთივე ღირებულების მქონეა, როგორითაც მამაკაცური. ქალებს აქვთ განსაკუთრებული თვისებები და უნარები, ქალური აზროვნების სტილი უფრო ინტუიციურია, ემოციურად უფრო გულწრფელია, შემოქმედებითი და ფართოა, ვიდრე მამაკაცების აზროვნება. ეს სტილი წარმოადგენს მეცნიერული, რაციონალური, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნების წესის სრულფასოვან ალტერნატივას. ამ ფემინისტების ამოცანაა არ განხორციელდეს ანდროგინული იდეალი, მათ უნდა მიაღწიონ სპეციფიკური ქალური უნარების, მათი ჭეშმარიტი ღირებულებების აღიარებას, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე სათანადოდ არ ფასდებოდა პატრიარქალურ საზოგადოებაში.

ფემინისტური მოძრაობა ორ კლასად იყოფა თანასწორობისა და სამუშაო ადგილის საკითხების თაობაზეც.

ერთ-ერთი ამ სკოლის თანახმად, მამაკაცებთან თანასწორობა სამუშაო ადგილებზე არსებითი მნიშვნელობის ამოცანაა. სხეა სკოლის ფემინისტები კი ამტკიცებენ, რომ ასეთი წონასწორობის მიღწევა არ არის საჭირო. განსხვაება სქესებს შორის უნდა აღიაროს საზოგადოებამ, მაგრამ ახალი ფორმით, რამდენადაც თანასწორი დამოკიდებულება მამაკაცებისა და ქალებისადმი ნიშნავს უსამართლო დამოკიდებულებას ამ უკანასკნელებისადმი. ქალები ზრდიან ბაღშებს და ბაღშებზე ზრუნვა უმთავრესად მათ ეკისრებათ. სამუშაოზე დაქირავებისას თანაბარი პირობები ნიშნავს, რომ ქალები უნდა მუშაობდნენ უფრო მეტს, ვიდრე მამაკაცები (რაც ხდებოდა კიდეც ყოფილ საბჭოთა კავშირში).

მაგრამ საესებით ცხადია, რომ თუ შრომის თანასწორი პირობები იწვევენ უსამართლობას, შრომის უთანასწორო განაწილებას, მაშინ ეს შრომის პირობები სინამდვილეში არ არის თანასწორი. საბოლოო ანგარიშით, განსხვაება ორ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს შორის ემყარება სიტყვა „თანასწორის“ გაურკვეველ მნიშვნელობას...“



ცნობილი ამერიკელი ფემინისტის ანჯელა დევისის კანადაში, ალბერტას უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლა (2006 წ.).

დავალება:

– როგორია თქვენი პოზიცია ფემინისტურ დებატებში: იზიარებთ თუ არა ფემინისტურ იდეებს? პასუხი დაასაბუთეთ.

საკითხავი მასალა
სოციოლოგია ინგლისში

ძალზე საინტერესო ისტორია აქვს სოციოლოგიას ინგლისში. სოციოლოგიური ცოდნის განვითარების თვალსაზრისით ინგლისი მოწინავე ქვეყნებს მიეკუთვნება. ინგლისურ სოციოლოგიურ სკოლას არაერთი მსოფლიოში აღიარებული წარმომადგენელი ჰყავდა და ჰყავს დღესაც, რის დასადასტურებლად სოციოლოგიის კლასიკოსის პერბერტ სპენსერისა და ენტონი გიდენსის სახელის ხსენებაც კი იკმარებდა.

დღევანდელი ინგლისის საგანმანათლებლო სისტემა სოციოლოგიის სწავლების გარეშე წარმოუდგენელია. სოციოლოგია საჭალდებულო საგანთა რიცხვშია შეტანილი. ინგლისურმა სოციოლოგიამ დიდი როლი შეასრულა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, საგნის შესახებ სრულიად განსხვავებული ხედვის ჩამოყალიბებაში. ინგლისური სოციოლოგიური სკოლის ტრადიციებიდან მომდინარეობს მოსაზრება, რომ სოციოლოგია არის არა უბრალოდ საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერება, არამედ მისი უპირველესი საგანი მრავალფეროვანი სოციალური ურთიერთობებია, რომლისგანაც მოიქსოვება მთელი სოციალური სინამდვილე. ამიტომ, ინგლისური ტრადიციიდან გამომდინარე, სოციოლოგია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან – სოციალურ ანთროპოლოგიასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან და სოციალურ პოლიტიკასთან – ერთად ისწავლება. დღეისათვის ინგლისის 80-ზე მეტ უნივერსიტეტში 3000-ზე მეტი სოციოლოგია დასაქმებული. ყოველწლიურად 1000-ზე მეტი ახალგაზრდა იღებს სოციოლოგიის ბაკალავრის დიპლომს.

ინგლისში სოციოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა. პოლიტიკური ცხოვრებიდან აღსანიშნავია პარლამენტარიზმი, პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარების შუალედური გზების პოვნა, იმპერიის გადაქცევა ე. წ. „მსოფლიო სახელოსნოდ," ვიგებისა და ტორების კონფლიქტი, მუშათა და ჩარტისტული მოძრაობები, საარჩევნო რეფორმა, პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობა და სხვები; კულტურული ფაქტორებიდან აღსანიშნავია ჯენტლმენობასთან დაკავშირებული იდენტობა და ღირებულებითი ორიენტაცია, რომლის ამოსავალი პრინციპია: „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა."

ბრიტანული კულტურული ტრადიციის ცენტრალური იდეა პიროვნების დამოუკიდებლობა და სამოქალაქო ღირსებისა და მოვალეობის ცნებაა. ყოველივე ამან საქმაო საფუძველი შეუქმნა ისეთი ფენომენის წარმოშობას, როგორიც ბრიტანული სოციოლოგიაა. იგი სოციოლოგიის მსოფლიო გამოცდილებისა და საკუთრივ ბრიტანული ემპირიული და თეორიული სამეცნიერო-კვლევითი ტრადიციების ორიგინალური შერწყმაა. თავის მხრივ, ბრიტანული სოციალური აზროვნება ანგლოსაქსური კულტურის საფუძველს ქმნის, რომელიც თავისთავადობას გლობალიზაციის ეპოქაშიც ინარჩუნებს. მისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: პოლიტიკური ლიბერალიზმი, რელიგიური ტოლერანტობა, კომპრომისები მთელ რიგ უკიდურესობებს შორის, ემპირიზმისა და პოზიტივიზმისაკენ მიდრეკილება. განსაკუთრებით ეს უკანასკნელია საყურადღებო. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ემპირიზმი და პოზიტივიზმი ინგლისური მოვლენაა აზროვნების ისტორიაში. ე. წ. ინგლისური სოციოლოგიური პოზიტივიზმი კემბრიჯის ფილოსოფიური ტრადიციების (ბ. რასელი, ლ. ვიტგენშტეინი) საფუძველზეა აღმოცენებული. გარდა ამისა, ინგლისური სოციოლოგია აუცილებლად ითვალისწინებს შოტლანდიურ განმანათლებლობას, ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას, დარვინიზმსა და სოციალური სამართლიანობის თეორიებს (თუნდაც უტოპიურს). საბოლოო ჯამში ინგლისური სოციოლოგია ემპირიზმისა და პოზიტივიზმის გზას დაადგა. ამიტომ აქ ძალზე პოპულარული ემპირიული სოციოლოგიაა.

ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, ინგლისში სოციოლოგიის ისტორია ცოლ-ქმარ ვებების სახელთანაა დაკავშირებული. მათ მიერ 1835 წელს დაარსებულ ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში სოციოლოგიაც ფიგურირებდა. სოციოლოგიის პირველი კათედრა აქ 1907 წელს დაარსდა შოტლანდიელი ფსიქანთროპოს, ჯინმე მარტინა უაიტის სახსრებით. მისი პირველი ხელმძღვანელი ევოლუციონისტური თეორიის მიმდევარი ლ. ტ. ჰობჰაუზი (1864-1929) იყო, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სწვეობრივი პროგრესის მომხრე იყო. თავის იდეები მან 1906 წელს გამოცემულ წიგნში – „სწვეობრიობის ევოლუცია" – გადმოსცა. პირველი თაობის ინგლისელ სოციოლოგებს შორის თომას ჰემფრი მარშალი გამოირჩევა ნაშრომით „მოქალაქეობა და სოციალური კლასი," რომელიც 1949 წელს კემბრიჯში წაკითხული ლექციების საფუძველზე დაიწერა. მასში დას-

მულ საკითხთაგან უმთავრესი კითხვა „მუშის ჯენტლმენად გადაქცევის შესაძლებლობას“ შეეხებოდა. მარშალის კელეგამ აჩვენა, რომ საზოგადოების წევრთა სტატუსით თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავლების მიხედვით თანასწორობა.

ინგლისური სოციოლოგიის მკელევრის ჯორჯ რამინის აზრით, იმდენად პოპულარულ და ანგარიშგასაწევ ინტელექტუალურ მიმართულებად ჩამოყალიბდა ინგლისში სოციალური ანთროპოლოგია, რომ მან, ფაქტობრივად, სოციოლოგიის ადგილიც კი დაიკავა. მისი საყოველთაოდ აღიარებული წარმომადგენლები არიან: ედვარდ ვესტერმარკი (1886-1939, ძირითადი შრომებია: „მსოფლიო იდეების წარმოშობა და განვითარება,“ 1906-1908; „საქორწინო რიტუალი მაროკოში,“ 1914; „ქორწინების მოკლე ისტორია,“ 1926; „რიტუალი და რწმენა მაროკოში,“ 1926; „სიბრძნე და გონიერება მაროკოში,“ 1930; „ქორწინების მომავალი დასავლურ ცივილიზაციაში,“ 1936; „ქრისტიანობა და მორალი“ 1939); ალფრედ რეჯინალდ რედკლიფ-ბრაუნი (1881-1955, ძირითადი ნაშრომებია: „ეთნოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის მეთოდები,“ 1923; „კუნძულელების ცხოვრება,“ 1922 და სხვ.) და ბრონისლავ კასპარ მალინოვსკი (1884-1942, ძირითადი შრომებია: „მაგია, მეცნიერება და რელიგია,“ 1928; „დანაშაული და ადათ-წესები ველურების საზოგადოებაში,“ 1926; „პრიმიტიული ფსიქოლოგიის მითი,“ 1926; „რწმენისა და მორალის საფუძვლები,“ 1936; „სექსის ფსიქოლოგია,“ 1923; „ფსიქოანალიზი და ანთროპოლოგია,“ 1924; „მამა პრიმიტიულ ფსიქოლოგიაში,“ 1927; „ველურების სექსუალური ცხოვრება,“ 1929.). სოციალური ანთროპოლოგიის გარეშე მართლაც ძნელი წარმოსადგენია ინგლისური სოციოლოგია, მაგრამ მათი გაიგივება მთლად სწორი არ არის. უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალური ანთროპოლოგია ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ინგლისურ სოციოლოგიაში.

მკელევრები (მაგალითად, პროფესორი ჰოსლი და სხვები) ინგლისური სოციოლოგიის ისტორიის რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ. ადრეული პერიოდი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდელ დროს გულისხმობს. ინგლისურმა სოციოლოგიამ საკუთარი იერ-სახე ფაქტობრივად II მსოფლიო ომის შემდგომ მიიღო. ე. წ. „ოქროს ხანად“ არის მიჩნეული 1950-1970 წლები. რაც შეეხება დღევანდელობას, ინგლისური სოციოლოგია დღეს ერთ-ერთი მოწინავეა მთელს მსოფლიოში. „ოქროს ხანის“ ინგლისელი სოციოლოგები არიან: ჩელდი ჰოლსი, რალფ დარენდორფი, ჯონ ვესტერგარდი. ამ დროისათვის მარქსიზმისა და პარსონსიანელობის კრიტიკით დარენდორფის შრომებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მომდევნო პერიოდში კემბრიჯსა და ოქსფორდში მოხდა სოციოლოგიური ცოდნის აყვავება და ახალ სიმაღლეებამდე ასასვლელი გზების ძიება დაიწყო, რაც წარმატებით განახორციელა დღევანდელი ინგლისური სოციოლოგიის ყველაზე მეტად აღიარებულმა წარმომადგენელმა ენტონი გიდენსმა.

გიდენსი მსოფლიოში „სტრუქტურაციის თეორიითაა“ ცნობილი (ტერმინი „სტრუქტურაცია,“ რომელიც საუცხოოდ ჟღერს და „სტრუქტურის შექმნას“ ნიშნავს, მან ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს შრომებში აღმოაჩინა). **Polity Press**-ის დამაარსებელმა და რედაქტორმა გიდენსმა ბრიტანული სოციოლოგია აქამდე არნახულ სიმაღლეებამდე აიყვანა. გიდენსს ოპონირებას უწევს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დ. მოლდტორპი – ემპირიული ტრადიციებისა და კელეგის რაოდენობრივი მეთოდოლოგიის უპირატესობის მომხრე. იგი ბრიტანული საზოგადოების პროფესიული სტრუქტურის შესახებ ბრწყინვალე სოციოლოგიური გამოკელევის აეტორია.

ინგლისური სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებებია: ზოგადი თეორიები და სისტემები; მეთოდოლოგიური პრობლემები; ინდუსტრიული სოციოლოგია; ახალგაზრდობის სოციოლოგია; ეკონომიკური სოციოლოგია; აღზრდის სოციოლოგია; მედიის სოციოლოგია; მედიცინის სოციოლოგია; რასობრივი ურთიერთობანი; სოციალური და პოლიტიკური ანთროპოლოგია და მრავალი სხვა. საზოგადოების სტრუქტურის საკითხებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სოციალური მობილობისა და სტრატიფიკაციის შესწავლას; ოჯახის პრობლემატიკას; ქალაქის ზოგიერთი ჯგუფის მარტოობისა და მსგავსი საკითხების ანალიზს; ტექნიკურ პროგრესთან მიმართებაში სოციალურ მმართველობას, გლობალურ-სოციალურ პრობლემებს და სხვ.

ინგლისში მოქმედი მრავალრიცხოვანი სოციოლოგიური ორგანიზაციებიდან გამორჩეულია „სოციოლოგთა ბრიტანული ასოციაცია,“ რომელიც სოციოლოგიის უმთავრეს დანიშნულებად პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრასა და ამ გზით საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვას მიიჩნევს (მაგალითად, პროფესორი ტ. ბოტომორი).

სოციოლოგია მოწინავე პოზიციებსია ლონდონის, ლივერპულის, შეფილდის, ბირმინგემის, ბრაიტონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში, სადაც არაერთი სოციოლოგიური კვლევის ცენტრი და ინსტიტუტი მოქმედებს. მსგავსი დაწესებულებაა, მაგალითად, 1948 წელს დაარსებული **The Action Society Trust**, რომელშიც სოციალური და ეკონომიკური პრობლემების კვლევები მიმდინარეობს; ანალოგიურია საერთაშორისო აფრიკული ინსტიტუტი – სოციოლოგიური გამოკვლევების ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მთავრობის მიერ შეკვეთილ პრობლემებზე მუშაობს, და სხვ. სოციოლოგიის განვითარებას ინგლისში ხელს უწყობენ ფინანსურად უმსხვილესი ფონდები, მაგალითად, ნუფილდისა და როკფელერის ფონდები.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელმა ინგლისელებმა კარგად იციან სოციოლოგიის ფასი, ამიტომაც იჩენენ მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას.

* * *



ენტონი გიდენსი

„დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, ჩვენ ძალზე საგანგაშო, მაგრამ მრავალისმომტან სამყაროში ვცხოვრობთ. ეს არის სამყარო, რომელიც ცვლილებებითაა მოცული. იგი ღრმა კონფლიქტებით, დაძაბულობით, სოციალური უთანხმოებებითა და ბუნებრივი სამყაროს დამანგრეველი თანამედროვე ტექნოლოგიების მიზანმიმართული შეტევით გამოირჩევა. და მაინც, ჩვენ ძალგვიძს საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი ვიყოთ და ისეთნაირად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ მსგავსი რამ ვერც კი წარმოედგინათ ჩვენს წინამორბედებს.

როგორ შეიქმნა ეს სამყარო? რატომ არის, რომ ჩვენი ცხოვრების პირობები ასე არ ჰგავს იმ პირობებს, რომელშიც ჩვენი მშობლები, ბებიები და ბაბუები იმყოფებოდნენ? საითკენ მიქრის მომავალი ცვალებადობა? ეს კითხვები სოციოლოგიისათვის, კვლევის იმ სფეროსათვის, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე აზროვნების კულტურაში, პირველხარისხოვან ინტერესს წარმოადგენს.


სოციოლოგია – ეს არის მეცნიერება ადამიანთა ჯგუფებისა და ერთობების სოციალური ცხოვრების შესახებ. მათი შესწავლა გასაოცარი და გასატაცებელი მეცადინეობაა, რამდენადაც სოციოლოგიის საგანს ჩვენი, როგორც სოციალური არსების, ქცევა წარმოადგენს. განუზომლად ფართოა სოციოლოგიური გამოკვლევის მასშტაბები. იგი ყველაფერს მოიცავს – ქუჩაში ადამიანთა შემთხვევითი შეხვედრიდან დაწყებული გლობალური სოციალური პროცესებით დამთავრებული.

სოციოლოგია აბსტრაქტული აზროვნების სფერო კი არ არის, არამედ ეს არის მეცნიერება, რომელსაც ადამიანთა ცხოვრებისათვის პრაგმატული საზრისი აქვს. სოციოლოგიის პროფესიის დაუფლება მოსაწყენ საქმიანობად არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს. საქმის ასეთი ვითარებისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება წარმოსახვის გამძაფრება და საკუთარი ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებთან სოციოლოგიური იდეებისა და დაკვირვებების შეხამებაა.“

ენტონი გიდენსი

საკითხავი მასალა
სოციოლოგია იტალიაში

იტალია, უძველესი ევროპული უნივერსიტეტების სამშობლო (ბოლონიის უნივერსიტეტი დაარსდა 1222 წელს, რომის უნივერსიტეტი – 1303 წელს), რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დიდი ხნის შემდეგ დაადგა დემოკრატიული გარდაქმნების გზას, რაც, რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში ყველაზე დემოკრატიული მეცნიერების – სოციოლოგიის განვითარებასაც შეეხო. ისტორიულად პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებისადმი ინტერესით იტალია ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, თუმცა იტალიური სოციოლოგიური სკოლა ვებერისა და მარქსის დონის სოციოლოგებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დღეს იტალიური სოციოლოგია მსოფლიოში აღიარებული ფენომენია. ეს აღიარება მას ისეთმა მოაზროვნეებმა მოუპოვეს, როგორებიც კლასიკური იტალიური სოციოლოგიის წარმომადგენლები ვილფრედო პარეტო და გაეტანო მოსკა არიან.



ვილფრედო პარეტო
(1848–1923)

პარეტო ცნობილია, როგორც ინჟინერი, ეკონომისტი და სოციოლოგი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აღიარებულია მისი „ელიტის თეორია." სხვა იტალიელ მოაზროვნეთაგან იგი გამორჩეულია ლიბერალური აზროვნებით. მისი მთავარი ნაშრომებია: „პოლიტიკური ეკონომიის კურსი" (1896-1897); „სოციალისტური სისტემები" (1902-1903); „ზოგადი სოციოლოგიის ტრაქტატი" (1916); „ზოგადი სოციოლოგიის შემოკლებული სახელმძღვანელო" (1920).

იტალიელი იურისტი და სოციოლოგი გაეტანო მოსკა პარეტოსთან ერთად „ელიტის თეორიის" ავტორად არის მიჩნეული.


იტალიაში სოციოლოგიური შეხედულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იტალიელი ნეოჰეგელიანელი ფილოსოფოსის ბენედიტო კროჩეს (1866-1952) მოღვაწეობამ, კერძოდ მისმა მოსაზრებებმა სახელმწიფოსა და პოლიტიკის მორალური ასპექტების შესახებ (იგი იტალიის ლიბერალური პარტიის ფუძემდებელი და განათლების მინისტრი იყო); მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თავისი აქტიური სამეცნიერო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმიანობით ცნობილი გახდა იტალიელი სოციოლოგი ლუიჯი სტურციო. აღსანიშნავია აგრეთვე სოციოლოგების რობერტო მიხელსისა (1876-1936) და ანტონიო გრამშის (1891-1937 წწ. – მარქსისტი სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე) საქმიანობა.

სოციოლოგიაში სასწავლო კურსები იტალიის უნივერსიტეტებში XIX საუკუნის 80-იან წლებში იქნა შემოღებული, თუმცა სოციოლოგიის სწავლება ამ დროისათვის საკმაოდ ბუნდოვნად არ იყო მიჩნეული, რადგანაც იტალიელი სწავლულებისათვის სოციოლოგიის მნიშვნელობა ჯერ კიდევ პრობლემატური რჩებოდა. მიუხედავად ოფიციალური მხარდაჭერის არარსებობისა, იტალიური უნივერსიტეტების თავისუფალი საგანმანათლებლო სივრცე სოციოლოგიის განვითარებისათვის იდეალურ პირობას წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში იტალიაში მძლავრ მიმართულებად ჩამოყალიბდა „კრიმინალური სოციოლოგია", რომლის ფუძემდებლად ითვლება ცნობილი ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზო (1835-1909), ხოლო გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ენრიკო ფერი (1856-1929) და ალფრედო ნიჩეფერო (1876-1960).

როგორც წესი, სოციოლოგიური კვლევების აქტუალიზებას ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პირობები უწყობს ხელს, რასაც აგრარულ-ინდუსტრიული ეკონომიკური სტრუქტურისა და გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემების მქონე იტალია კარგა ხანს მოკლებული იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიელი მეცნიერები ამ მიმართულებით მსოფლიო გამოცდილების გაცნობას და შესწავლას იწყებენ. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა იტალიელმა სოციოლოგმა ფრანკ ფერარტორიმ, რომელმაც ჩიკაგოში შეიწავლა „სამრეწველო-ინდუსტრიული სოციოლოგია" და 1956 წელს სოციოლოგიის თავისუფალი მასწავლებელი გახდა. 1961 წელს იგი რომის უნივერსიტეტში სათაყვანო ჩაუდგა იტალიაში სოციოლოგიის პირველ კათედრას. კათედრა მრეწველობისა და სახელმწიფო მართვის სტრუქტურების დარგში სოციალურ ექსპერტებს ამზადებდა. შემდგომში სოციო-

ლოგიის კათედრის მიზნები და ამოცანები გაფართოვდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ფრანკფურტის სკოლისა (ადორნო, ჰორკჰაიმერი, მარკუზე) და ნეომარქსისტების (ბენიამინი, რაიხი) სოციოლოგიური კონცეფციები. შემდგომში იტალიაში სოციოლოგიის ძირითად მიმართულებად იქცა ამ თეორიებისადმი ალტერნატიის ძიება, რომელიც „ალტერნატიული სოციოლოგიის" ჩამოყალიბებით დასრულდა.

დღეს იტალიაში სოციოლოგიური განათლება ელიტარულ და პრიორიტეტულ მოვლენადაა ქცეული. სოციოლოგია იტალიის უნივერსიტეტებში დიდი მოწონებით სარგებლობს. შესაბამისად, დიდია სოციოლოგიის დარგში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა. სოციოლოგიის კურსდამთავრებულებს იწვევენ კერძო და საჯარო კელეგითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და კოლეჯები, ბანკები და საქალაქო სამსახურები (სოციალურ მუშაკებად), კულტურის სფეროს დაწესებულებები და სხვ. იტალიაში მოქმედი კანონის მიხედვით, სოციოლოგს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ზოგადი პროფილის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსებში (ეკონომიკის სფერო, პოლიტიკა, კულტურა, სამართალი და ა. შ.). იტალიის უნივერსიტეტებში სოციოლოგიის კათედრაზე მოქმედებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ჩამოყალიბებისა და განვითარების მაგისტრალური ხაზის არათანამიმდევრულობის მიუხედავად დღეს იტალიას სოციოლოგიის სფეროში მოწინაეე და ულტრათანამედროვე სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემა აქეს, ემპირიული სოციოლოგიური კელეგების რაკურსი კი სოციალური სისტემებისა და სტრუქტურების ანალიზიდან სოციალური პროცესების დინამიკისაკენ არის გადახრილი.



გაეტანო მოსკა (1858-1941)

* * *

„ისტორია არისტოკრატიის სასაფლაოა."
ვილფრედო პარეტო

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები



ფლორიან ზნანეცკი

(1882-1956)

პოლონური წარმომაელობის ამერიკელი სოციოლოგი. პოლონეთში სოციოლოგიის აკადემიური სკოლის ფუძემდებელი. ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი. უილიამ ტომასთან ერთად დაწერილმა მისმა წიგნმა; „პოლონელი გლეხები ევროპასა და ამერიკაში" ემპირიულ სოციოლოგიას დაუდო სათეე.

ფლორიან ზნანეცკის მიხედვით, სოციოლოგია სოციალურ სისიტემათა შემდეგი ოთხი ტიპის შემსწავლელი მეცნიერებაა: 1) სოციალური ურთიერთობანი, 2) სოციალური როლები, 3) სოციალური ჯგუფები და 4) საზოგადოებები.

XIV ლექცია

თემა: სოციალური მობილობა

სოციალურ სტრატიფიკაციასთან ერთად სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითად ცნებას სოციალური მობილობა წარმოადგენს. როგორც წესი, სოციოლოგიაში სოციალურ სტრატიფიკაციაზე საუბარს აუცილებლობით მოსდევს სოციალური მობილობის განხილვაც, რადგანაც თუკი სტრატიფიკაცია საზოგადოების ფენებად დაყოფას გულისხმობს, მობილობა ამ ფენების შიგნით და ფენებს შორის მოძრაობას ნიშნავს. ტერმინი ლათინური სიტყვა **mobilis**-დან მომდინარეობს, რაც მოძრავს, ცვალებადს ნიშნავს.



ყველასათვის ცხადია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის სტატიკური მოცემულობა. საზოგადოების შიგნით ადამიანები განუწყვეტლივ მოძრაობაში არიან, დროისა და ვითარების შესაბამისად იცვლიან თავიანთ მდგომარეობას სოციალური იერარქიის კიბეზე, რომელზეც ზოგი მაღლა ადის, ზოგი კიდევ დაბლა ჩამოდის. სწორედ ამგვარ მოძრაობას ეძახიან სოციოლოგები სოციალურ მობილობას. ადამიანებთან ერთად მოძრაობასა და ცვალებადობას განიცდის საზოგადოებაც. მისი მოძრაობა ან პროგრესისაკენ, ან რეგრესისაკენ არის მიმართული. საზოგადოების ცვალებადობის პროცესის თანამდევია თითოეული ჩვენგანის ან ცალკეული სოციალური ჯგუფების პოზიციების ცვალებადობა, მობილობა ანუ გადაადგილება ერთი პოზიციიდან მეორეში.

საზოგადოების იერარქიულ (სტრატიფიკაციულ) კიბეზე ცალკეული ინდივიდების ან სოციალური ჯგუფების ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაში გადასვლა ორი ძირითადი მიმართულებით გადაადგილებას გულისხმობს: ქვემოდან ზემოთ, როდესაც სტატუსის გაუმჯობესება ხდება, მაშინ ადგილი აქვს „აღმავალ მობილობას“ და ზემოდან ქვემოთ, როდესაც სტატუსის დაქვეითება ხდება, მაშინ სახეზეა „დაღმავალი მობილობა.“ არსებობს აგრეთვე ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოციალური მობილობა.

სოციალური იერარქიის კიბეზე მოძრაობა სოციალური მობილობის არსს წარმოადგენს. ვერტიკალური სოციალური მობილობის შემთხვევაში ადგილი აქვს ინდივიდის ან ჯგუფის გადასვლას ერთი ფენიდან ან ერთი კლასიდან მეორე ფენაში ან კლასში. ამ შემთხვევაში დაბალ სოციალურ ფენაზე მყოფი ჯგუფი ან ადამიანი სოციალურ ფენათა ზედა ეშელონებში მოექცევა ან, პირიქით, ზედა ფენიდან ქვედა ფენაში აღმოჩნდება. მსგავსი სოციალური მობილობა გამორიცხულია კასტური სტრატიფიკაციის მქონე საზოგადოებაში. იგი ინდუსტრიული, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. ჰორიზონტალური სოციალური მობილობის დროს პოზიციის ან მდგომარეობის შეცვლა ხდება ერთი ფენის შიგნით.

> პრესტიჟი არის სოციალური შეფასება, პატივისცემა ან დაფასება, რომელიც ადამიანს ყველა იმ თვისების გათვალისწინებით ენიჭება, რომელსაც საზოგადოება აფასებს.

ფაქტობრივად, სოციალური მობილობა ადამიანის ან ჯგუფის სტატუსისა და როლის შეცვლაა. ადამიანის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრისათვის მისი გარკვეული მახასიათებლების ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, ამისათვის უნდა ვიცოდეთ ოჯახური მდგომარეობა, თანამდებობა, პრესტიჟი, წარმომავლობა, რწმენა, პოლიტიკური კულტურა, ეროვნება და სხვ. ერთი და იმავე სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს ერთი სოციალური პოზიცია აქვთ და, შესაბამისად, მათი სოციალური მდგომარეობაც იდენტურია. განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც სხვადასხვა როლებს ასრულებენ, განსხვავებული სოციალური პოზიციები უჭირავთ საზოგადოებაში. აქედან ირკვევა, რომ ჯგუფისადმი კუთვნილება და სოციალური როლი გაელენას ახდენს ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

სოციოლოგები საუბრობენ აგრეთვე ინდივიდუალურ და ჯგუფურ მობილობაზეც. ინდივიდუალურია მობილობა, როდესაც ყოველი ადამიანის ვერტიკალური ან პორიზონტალური გადაადგილება სხვებისაგან დამოუკიდებლად ხდება, ხოლო ჯგუფურია მობილობა, როდესაც კოლექტიურ, ჯგუფურ გადაადგილებას აქვს ადგილი. მაგალითად, რევოლუციის შედეგად მომხდარი გადაადგილება და სხვ. ჯგუფური მობილობა, ისევე როგორც მობილობის სხვა ფორმები, პირველად ამერიკელმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა გააანალიზა თავის ნაშრომში: „სოციალური მობილობა" (1927 წ.). მან ჯგუფური მობილობის შემდეგი მიზეზები დაასახელა:

- სოციალური რევოლუციები,
- უცხოური ინტერვენციები და თავდასხმები,
- სახელმწიფოთაშორისი ომები,
- სამოქალაქო ომები,
- სამხედრო გადატრიალებები,
- პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა,
- ძველი კონსტიტუციის ახლით შეცვლა,
- გლეხთა აჯანყებები,
- არისტოკრატულ გვარებს შორის ბრძოლა,
- იმპერიის შექმნა.

ჯგუფურ მობილობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საზოგადოების სტრატიფიკაცია ტრანსფორმაციას განიცდის. ინდივიდუალურ მობილობას რაც შეეხება, სოციოლოგებმა გამოიკვლიეს ინდივიდუალური მობილობის ძირითადი ფაქტორები და ის მიზეზები დაადგინეს, რომლის გამოც ერთი ადამიანი უფრო წარმატებულია, ვიდრე მეორე. აღმოჩნდა, რომ ეს მიზეზებია:

- ოჯახის სოციალური სტატუსი,
- განათლების დონე,
- ეროვნულობა,
- ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები,
- შესაფერისი აღზრდა,
- საცხოვრებელი ადგილი,
- მომგებიანი ქორწინება.

მობილური ადამიანები სოციალიზაციას ერთ ფენაში იწყებენ და სხვა ფენაში ასრულებენ. ისინი უფრო მეტ მოქნილობას იჩენენ გარემო პირობებთან და სიტუაციასთან მიმართებაში და, შესაბამისად, წარმატებას ადვილად აღწევენ.

მობილობის სხვა ფორმებს შორის სტრუქტურული მობილობაა გამორჩეული. იგი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი პროფესიების რაოდენობისა და სახეობების ცვლილებაა დასაქმებულთა იმ რაოდენობასთან მიმართებაში, რომელთაც მათი შესრულების უნარი აქვთ. თანამედროვე საზოგადოებაში მას შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ:

- სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ცვლილება და მენეჯერული ეკანსიების გაფართოება,
- საშუალო ფენაში ახალგაზრდობის ნაკლებობა,
- განათლების ხელმისაწვდომობა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება თაობის შიდა და თაობათა შორის სოციალური მობილობა. პირველი სოციალური პოზიციების ცვალებადობას ერთი თაობის შიგნით აკვლევს, მეორე კი — რამდენიმე თაობის მწკრივში (მამა, შვილი, შვილიშვილი). ამ ტიპის მონაცემების მეშვეობით საზოგადოებრივი წყობის ხასიათის შესახებ გარკვეული წარმოდგენა იქმნება.

სოციალური მობილობა ორი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით ითვლება. ესენია მობილობის დისტანცია და მოცულობა.

მობილობის დისტანცია არის იმ საფეხურების რაოდენობა, რომლებზეც ადამიანმა ან ჯგუფმა ასვლა ან ჩამოსვლა შეძლო. ნორმალურ დისტანციად მიიჩნევა ერთი ან ორი საფეხურით მაღლა ასვლა ან დაბლა ჩამოსვლა. სოციალური მობილობის დიდი ნაწილი ამგვარად ხდება. არანორმალური დისტანცია სოციალურ კიბეზე მოულოდნელ აღმასვლას ან, პირიქით, ძირს დაშვებას ნიშნავს.

მობილობის მოცულობის ცნებაში ინდივიდების ან ჯგუფების ის რაოდენობა იგულისხმება, რომლებმაც დროის მცირე მონაკვეთში სოციალურ კიბეზე ვერტიკალური მიმართულებით გადაადგილება მოახერხეს.

სოციალური მობილობის დემოგრაფიული ფაქტორები

ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მობილობაზე გაელენას ახდენს ასაკი, სქესი, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, მოსახლეობის სიმჭიდროვე. სოციოლოგიური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ მთლიანობაში ახალგაზრდა მამაკაცები უფრო მობილურები არიან, ვიდრე ასაკოვნები და ქალები. იქ, სადაც შობადობის დონე მაღალია, მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა და ამიტომ შედარებით მობილურია, და პირიქით.

ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია პროფესიული, ზრდასრულთათვის – ეკონომიკური, ასაკოვანთათვის – პოლიტიკური მობილობა; ფენებს შორის შობადობის დონეც არ არის ერთგვაროვანი. როგორც წესი, მაღალი ფენის წარმომადგენლებთან შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენლებს უფრო ბევრი ბავშვი ჰყავთ. ამასთან დაკავშირებით შემდეგი სახის კანონზომიერება არსებობს: რაც უფრო მაღლა მიიწევს ადამიანი სოციალურ კიბეზე, მით ნაკლები ბავშვი ჰყავს მას. თუმცა, მადლობა ღმერთს, ეს აქსიომა არა არის.

თანამედროვე საზოგადოება სხვა ტიპის საზოგადოებებთან შედარებით მობილობის მაღალი დონით გამოირჩევა. მის სახეს და ხასიათს მნიშვნელოვანწილად სწორედ სოციალური მობილობა განსაზღვრავს. მაგალითად, ვერტიკალური მობილობის შესაძლებლობა საზოგადოების „ღიაობის" საზომად არის მიჩნეული. მით უფრო ღია და დემოკრატიულია საზოგადოება, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა სოციალური იერარქიის კიბეზე თავისუფალი გადაადგილებისათვის. დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი თავისებურებაც სწორედ ეს არის – სოციალური მობილობის თავისუფალი შესაძლებლობა, როდესაც ერთი ფენიდან მეორეში გადასვლას იდეოლოგია, დიქტატურა, ძალაუფლება ან სხვა რამ არ ეღობება წინ და მობილობის განმსაზღვრელ მძლავრ ფაქტორად პიროვნების ინდივიდუალური მონაცემები და განათლება რჩება.

დავალება:

– როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებს პრესტიჟი სოციალურ მობილობაში?

– მოიყვანეთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მობილობის ამსახველი რამდენიმე მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და ჯგუფში გააანალიზეთ. მოყვანილ მაგალითში რა ფაქტორებმა განაპირობეს სოციალური მობილობა?

– მოამზადეთ ესეი თემაზე: „სოციალური მობილობა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში."

ძირითადი ლიტერატურა:

1. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაზე). გვ. 267-274.
2. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 360-363.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჟ. ფერეოლი, სოციოლოგია, ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რუს. ნაშე). სანკტ-პეტერბურგი. 2003. გვ. 60-61.
2. ა. კრავჩენკო, სოციოლოგია, მ. 1999. (რუს. ნაზე). გვ. 254-276.
3. ნ. სმელსერი, სოციოლოგია, მ. 1994. (რუს. ნაშე). გვ. 273-304.
4. ქ. კალჰუნი, დ. ლაითი, ს. კელერი, სოციოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007. ნაწილი II, პიროვნება და საზოგადოება გვ. 300-321.

საკითხავი მასალა
სოციოლოგია გერმანიაში

ევროპაში სოციოლოგიის ნამდვილ სამშობლოდ საფრანგეთთან ერთად გერმანიაც უნდა ჩაითვალოს. სოციოლოგიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბებაში გერმანულ სოციოლოგიას უდიდესი წვლილი მუშაობის.

სოციოლოგიაში პირველი ნამდვილი პროფესიული მეცნიერული სკოლა თავისი ორგანიზაციული როლითა და მნიშვნელობით გერმანიაში ფორმალური სოციოლოგია იყო, რომელიც მხოლოდ საფრანგეთში არსებულ დიურკემის სკოლას თუ შეედრება. იმ დროისათვის ევროპულ სოციოლოგიაში კონტისა და სპენსერის მიერ საფუძველჩაყრილი ევოლუციონისტური ნატურალიზმი იყო გაბატონებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სოციოლოგიის დახსნა ფილოსოფიის გაელენისაგან და მისი გამოყვანა „ელიტური აკადემიური სალონებიდან“ და ცოდნის ყველასათვის ხელმისაწვომ დარგად ქცევა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანულმა ფორმალისტურმა სოციოლოგიამ ყველა ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. სკოლას მიეკუთვნებიან არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელს მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები და სწავლულები: გ. ზიმელი, მ. ვებერი, ა. ვებერი, ფ. თიონისი, ლ. ფონ ვიზე, გ. შმოლერი, ა. ფრიკანდტი. ორიგინალური ზოგადსოციოლოგიური თეორიებითა და საზოგადოების ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიასა და პრაქტიკაში შეტანილი წვლილით მათ წარუშლელი კვალი დატოვეს სოციოლოგიის ისტორიაში, რითაც გერმანული სოციოლოგია მაღალ მეცნიერულ სიმაღლეებზე აიყვანეს. ფორმალისტები მიისწრაფოდნენ მრავალფეროვანი სოციალური სამყაროს – სოციალური მოვლენებისა და ურთიერთობების ფორმალიზებული სოციოლოგიური ცნებების სახით მოაზრებისაკენ. მათი სოციოლოგიური კონცეფცია ანალიტიკურ საფუძველს ემყარება (გ. ზიმელი). ზიმელის მიხედვით, ფორმალური ანუ წმინდა სოციოლოგია იდენტიფიცირებს შორის ურთიერთობის ფორმებს შეისწავლის. მას მიაჩნდა, რომ საზოგადოება აუცილებელი (აპრიორული) სოციალური ფორმებისა და მათ შორის კავშირებისაგან აიგება. ზიმელის ფორმალური სოციოლოგიის ამოსავალი „სოციაციის“ (სოციალური ჯგუფის) ცნებაა.

გერმანიაში სოციოლოგიის ფუძემდებელთა შორის გამორჩეული ფიგურაა მაქს ვებერი, ცნობილი მეცნიერი, ალფრედ ვებერის უფროსი ძმა. ვებერის გარდაცვალების შემდგომი დროიდან მოყოლებული არ დარჩენილა დასავლური სოციოლოგიის არც ერთი დიდი წარმომადგენელი, რომელსაც მისი გაელენა არ განეცადოს. ვებერის შრომები ზოგადი სოციოლოგიის, სოციალური პოლიტიკის, რელიგიის სოციოლოგიის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, მეურნეობისა და ქალაქის სოციოლოგიის კლასიკურ ნაშრომებს წარმოადგენს, ხოლო ვებერის „იდეალური ტიპების თეორია“ საყოველთაოდაა აღიარებული. თანამედროვე სოციალური მოქმედების თეორიები სათავეს ვებერის „სოციალური მოქმედების თეორიიდან“ იღებენ. ვებერმა განსაკუთრებული როლი შეასრულა სოციოლოგიური ცნებებისა და კატეგორიების, სოციოლოგიის მეთოდოლოგიის შექმნასა და სრულყოფაში.

ვებერის სოციოლოგიური თეორია ოპონირებას უწევდა მარქსისტულ კონცეფციას. გერმანული სოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივი ფიგურაა კარლ მარქსი (1818-1883). მარქსისტული სოციოლოგიის კრახის მიუხედავად, მარქსის მთელი რიგი იდეები მაინც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას შეეხება. შეიძლება აქედანაც იღებს სათავეს თანამედროვე გერმანული ეკონომიკური სოციოლოგია. მარქსი სოციოლოგიაში კონფლიქტის თეორეტიკოსის (კლასთა ბრძოლა და რევოლუცია) სახელითაცაა ცნობილი. ვებერისაგან განსხვავებით, მარქსი საზოგადოებისათვის მატერიალური ფაქტორების გადამწყვეტ როლზე აკეთებდა ძირითად აქცენტს და, აქედან გამომდინარე, კულტურისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებას იძლეოდა. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ერთი – ეკონომიკური ფაქტორის საშუალებით ახსნამ მარქსი ერთფაქტორიან სოციოლოგიურ თეორიათა წარმომადგენლად აქცია (ვებერი კი მრავალფაქტორიანი თეორიის წარმომადგენელია); ვებერის მსგავსად, მარქსიც არ იყო გულგრილი ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევების მიმართ. ამ მხრივ მას მუშათა კლასის პრობლემატიკის კვლევები აინტერესებდა, რისთვისაც გამოკითხვის ანკეტებსაც კი აგზავნიდა.

მაქს ვებერთან ერთად ყოველთვის მოიხსენიება გერმანული კლასიკური სოციოლოგიის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენელი ფერდინანდ თიონისი, რომლის ძირითადი ნაშრომი

„თემი და საზოგადოება“ სოციოლოგიის კლასიკურ ნაშრომადაა აღიარებული. ამ წიგნმა და მასში განხილული საკითხის ავტორისეულმა გაგებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არაერთ დასავლელ სოციოლოგზე. თიონისის მიერ შემოღებული **Gemeinschaft**-ისა და **Gesellschaft**-ის ცნებებს სხვა ენაზე შესატყვისები ძნელად მოეპოვება, რადგანაც ისინი იმ დროისათვის ევროპულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სპეციფიკური გერმანული თვალსაზრისის გამომხატველნი არიან. საქმე შეეხება ძველი წოდებრივი საზოგადოების ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებად ტრანსფორმაციასა და მის თანამდევ პროცესებს, რომელზეც ნაშრომის ავტორი დიდი გულისტკივილით საუბრობს. თიონისის გაგებით, „თემი“ ტრადიციულ ოჯახთან არის დაკავშირებული და თავის მყუდროებითა და იდილიით აღსავსე სოფლის ცხოერებას აღნიშნავს, რომლისთვის დამახასიათებელია თანხმობა, ადათ-წესებისადმი მორჩილება, ოჯახური მეურნეობა და მიწათმოქმედება, რელიგიური ცნობიერების პრიმატი. იგი ქალაქური ცივილიზაციისაგან ძალიან შორსაა; საზოგადოების ცნება კი დიდ ქალაქს (თანამედროვე გაგებით – მეგაპოლისი), საქმოსნურ ოპერაციებს, ინდუსტრიასა და მეცნიერებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში რელიგია სეკულარიზებულია (მხოლოდ სამოქალაქო ფუნქციებს ასრულებს) და რელიგიური რწმენისა და ტრადიციული ადათ-წესების ადგილს მეცნიერული აზროვნება იკავებს. სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში თემს „არსობრივი ნება“ (**Wesenwille**) შეესაბამება, ხოლო საზოგადოებას „შეგნებული არჩევითი ნება“ (**Kurwille**). გერმანული საზოგადოების დეტალური და ორიგინალური ანალიზის საფუძველზე მიღებული თიონისის დასკვნები ფასდაუდებელ დახმარებას გეიწევენ ამერიკული, ინგლისური, ფრანგული და სხვა საზოგადოებების შესწავლის პროცესში. თიონისის იდეები სიცოცხლისუნარიანია დღესაც. სოციოლოგიის მიმართულების ნებისმიერმა სტუდენტმა იცის მისი სახელი.

თიონისის მიმდევარი იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ალფრედ ფირკანდტი (1867-1953). იგი თიონისის მიერ მოცემული „თემისა“ და „საზოგადოების“ დაპირისპირების მოხსნას ცდილობდა, აღნიშნავდა რა იმ ადამიანურ ურთიერთობათა შორის განსხვავებულობას, რომლებიც „თემობრივ“ ურთიერთობასთან ახლოს ან შორსაა. ფირკანდტს გერმანულ სოციოლოგიაში სხვა დამსახურებაც ეკუთვნის. კერძოდ, მან 1931 წელს „სოციოლოგიური ლექსიკონი“ (**Handworterbuch der Soziologie**) გამოსცა, რომელიც სოციოლოგიური მეცნიერების პროგრესის გზაზე, უდაოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ფირკანდტი ყოველგვარი ილუზიებისაგან თავისუფალი პესიმისტურად განწყობილი მოაზროვნე იყო, რომელსაც „ადამიანთა მოქმედების მოტივებში გაბატონებულმა ტრივიალობამ“ წარუშლელი კვალი დაჩნია. გერმანულ ფორმალურ სოციოლოგიას მალე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც. მაგალითად, ლაიფციგელი პროფესორი ჰანს ფრეიერი, რომელიც თავის წიგნში – „სოციოლოგია, როგორც მეცნიერება სინამდვილის შესახებ“ – წერდა: „ფენომენი, რომელსაც „საზოგადოება“ ეწოდება და რომელსაც სოციოლოგია შეისწავლის, მონათესავე და სტრუქტურულ ფორმათა განმეორებად მრავალობითობას როდი წარმოადგენს, რომელიც კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციათა გარეშე წმინდა ფორმების სახით სისტემაში მოყვანის შესაძლებლობას იძლევა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ტოტალურ სიტუაციათა შეუქცევად თანამიმდევრობას, რომელთა წიაღში ისტორიული ცხოერება მიმდინარეობს.“ თუმცა ჰ. ფრეიერს მხედველობიდან გამორჩა საზოგადოებაში არსებული დროებითი ტიპური ფორმები, რომლებიც სოციალური დროისა და სივრცის მიუხედაველ მეორდება. მიუხედაველ კრიტიკისა, სოციოლოგიის ისტორიაში „ფორმალისტური სკოლის“ ტრადიციები უფრო გამძლე და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე თეორიები. თუმცა ის, რომ არც ერთი თეორია კრიტიკის გარეშე არ დარჩენილა, ყველაზე მეტად ნიშანდობლივ მოვლენად იქცა გერმანულ სოციოლოგიაში.

ტრადიციულად ფორმალური, თეორიული სოციოლოგიის პროგრესს გერმანიაში ემპირიული სოციოლოგიის მნიშვნელოვანი წარმატებები ახლდა თან. უპირატესად ეს უკავშირდება ე. ენგელის, ა. ეაგნერის, ა. ლეენშტაინისა და სხვათა სახელებს, თუმცა გერმანული სოციოლოგიის მამების როლიც განსაკუთრებულია ამ საქმეში. გერმანული საზოგადოების ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესებმა დარგობრივი სოციოლოგიებისა და ემპირიული კვლევების სტიმულიზატორის როლი შეასრულეს. ამ მხრივ საინტერესოა მ. ვებერის ნაშრომი „ინდუსტრიული შრომის ფსიქოფიზიკისათვის“ (1909 წ.), რომელიც მეთოდოლოგიური ხასიათის მატარებელიცაა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე გერმანიაში ძალზე პოპულარულია ინდუსტრიული სოციოლოგია. მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან: ჰანს-პაულ ბარდტი, ერნსტ-აგუსტ იურესი, თეო პირკერი, ზიგფრიდ ბრაუნი, ალ-

ფრედ შტებერი, ფრიდრიხ ფელტცი. ისინი თანამედროვე ინდუსტრიული სოციოლოგიის ფუძემდებლები არიან გერმანიაში. ერნსტ ენგელი სტატისტიკის მამის კეტლეს გაელენას განიცდიდა. იგი კეტლესთან ერთად 1853 წელს სტატისტიკოსთა პირველი საერთაშორისო კონგრესის ორგანიზატორია, რომელზეც ხაზგასმით აღინიშნა სოციოლოგიისათვის სტატისტიკის აუცილებლობა. ადოლფ ვაგნერი კი თვითმკვლელობის სტატისტიკური ანალიზით იყო გატაცებული. ყოველივე ეს დიდად უწყობდა ხელს ემპირიული სოციოლოგიის განვითარებას გერმანიაში. ამ საქმეში, უდავოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1872 წელს გერმანიის უნივერსიტეტების პროფესორთა მიერ შექმნილმა „სოციალური პოლიტიკის ლიგამ“ (ძმები ვებერები, თიონისი, შმოლერი და სხვები). ამ დროისათვის ემპირიული კვლევების ცენტრად გერმანია გადაიქცა. „ლიგის“ მიერ 1880-1890 წლებში ჩატარებული გამოკვლევები შეეხებოდა ხელოსნების პრობლემებს, საფეიქრო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს, ვაჭრებს, კომერციულ ფლოტს, ტრანსპორტს, ქალაქის განვითარებას და იმ დროისათვის საჭირბოროტო მრავალ სხვა პრობლემას (ერთადერთ გამონაკლისს ინდუსტრიულ წარმოებაში დასაქმებული მუშები წარმოადგენდნენ, რომლებთან შეხება ბისმარკის მთავრობის მიერ ნებადართული არ იყო).

სტატისტიკა აჩვენებდა, რომ ევროპაში ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად მუშათა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა, რაც ამ ახალი ფენის სოციალური ბუნების გახსნას აქტუალურს ხდიდა. ამ პრობლემებზე მომუშავე სოციოლოგებს შორის აღსანიშნავია ემილ ლედერერი და იაკობ მარშაკი.

1920-იანი წლებიდან გერმანიაში მოდური ხდება პროფესიათა სოციოლოგია, რომელიც სოციალური სტრატიფიკაციის საკითხებით დაინტერესების შედეგი იყო. განსაკუთრებით პოპულარული იყო „კლასისა“ და „წოდების“ სოციოლოგიური ანალიზი. ამ საკითხების კვლევით გამოირჩინა თავი თეოდორ გაიგერმა, თუმცა მისი პირველი თეორეტიკოსი მაქს ვებერია, რომლის კვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის მთელი რიგი პრობლემების ახსნა შეუძლებელია პრიმიტიული და, კერძოდ, აღმოსავლური კულტურის ანალიზის გარეშე. გერმანულ სოციოლოგიაში ამ ტენდენციის გზაზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია რიჩარდ თურნვალდმა, რომლის მიხედვით, თავის განზოგადებებში სოციოლოგია არა მხოლოდ დასავლური საზოგადოების ანალიზს უნდა ემყარებოდეს, არამედ ერთნაირად უნდა მოიცავდეს საერთოდ მთელ კაცობრიობას, მისი ყველა ეპოქისა და ტერიტორიის სოციალურ ფაქტებს, რითაც იგი ჯ. ფრეიერის მოსაზრებას უპირისპირდებოდა, რომელიც სოციოლოგიის საგნად მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებას მიიჩნევდა. თურნვალდის პროექტი ეთნოგრაფიული და პრეისტორიული (წინარეისტორიული) მასალის სოციოლოგიურ ანალიზს ითვალისწინებდა, რასაც მან ხორცი შეასხა ხუთტომიან ნაშრომში „ადამიანთა საზოგადოება მის ეთნოსოციოლოგიურ საფუძვლებში“ (1931-1935). ყოველივე ამით გერმანულ სოციოლოგიაში კიდევ ერთი ახალი დარგის – ეთნოსოციოლოგიის კონტურები გამოიკვეთა (დღეს ეს დარგი ძალზე პოპულარულია); თურნვალდი პირველი ევროპელი სოციოლოგი იყო, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა დასავლური საზოგადოების გაელენით პირველყოფილი კულტურის საფეხურებზე მყოფ ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოლონიალიზმის სოციოლოგიაში, რაც იმდროინდელი გერმანიის ეგოცენტრული კოლონიალიზმითაც იყო განპირობებული.

1920-1930-იან წლებში გერმანიაში სოციოლოგიის განვითარებაზე დიდწილად მოქმედებდა ფსიქოლოგიის გაელენა, კერძოდ, დიდი იყო „ხალხთა ფსიქოლოგიის“ ავტორის ვილჰელმ ვუნდტის (1832-1920) გაელენა, რომელმაც ამ თავისი ცნობილი ნაშრომით კულტურისა და ინდივიდუალური ცნობიერების ურთიერთობის შესწავლას დაუდო საფუძველი გერმანიაში. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია ახალ მეცნიერულ დისციპლინამდე – კულტურის სოციოლოგიამდე, რომლის ფუძემდებლად ალფრედ ვებერი ითვლება. კულტურის სპეციალურ-მეცნიერული შესწავლის მაგიერად იგი მისი ემპირიულ-სოციოლოგიური ანალიზის მომხრე იყო. ა. ვებერის მიხედვით, „კულტურის სოციოლოგები ევროპაში სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორების ახსნითა და ანალიზით უნდა იყვნენ დაკავებული.“ დღეს კულტურის სოციოლოგია სოციალურ მეცნიერებებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. ამავე პერიოდში პოპულარული იყო ვილჰელმ-ლანგე ათხბაუმის ნაშრომი „ვნება, სიყვარე და დიდება“ (1931). იგი ვენელი ფსიქოლოგის გუსტავ იჩჰაიზერის თეზისს ემყარებოდა, რომ „სახოგადოებაში ქცევის იდეალურად მიჩნეული სქემასა („პატიოსნება – საუკეთესო პოლიტიკაა;“ „წარმატების ღირსი ნიჭიერია“) და წარმატების ფაქტობრივ მექანიზმს შორის შეუსაბამო-

ბაა, რისთვისაც აუცილებელია, რომ მიზნის მისაღწევად გამოყენებული მექანიზმები ეერბალურად გამოხატულ ნორმათა და ფასეულობათაგან დამოუკიდებლად უნდა შეისწავლებოდეს. გენიალობა და წარმატებული ადამიანების დიდებისა და წარმატების საიდუმლოებათა ანალიზი დღემდე რჩება სოციოლოგების საყვარელ თემად.

ნაციზმის ბატონობის პერიოდში გერმანიაში სოციოლოგიისათვის არაეის ეცალა, ამიტომ სოციოლოგიური ორგანიზაციები დაიშალა, შეწყდა სოციოლოგიური ჟურნალებისა და კრებულების გამოცემა; დაიშალა სოციოლოგთა გერმანული საზოგადოებაც. გერმანელი და ავსტრიელი სოციოლოგები საზღვარგარეთ წაიდნენ, ხოლო ეინც გერმანიაში დარჩა, მეცნიერების ე. წ. „ნეიტრალურ" დარგებს – ეთნოლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურათმცოდნეობა, დემოგრაფია და სხვა – შეაფარა თავი. როგორც ყველა დიქტატორი, ნაცისტებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ სოციოლოგებზე მეტი იცოდნენ საზოგადოების შესახებ და ამიტომაც მათ სოციოლოგია არაფერში არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, 1933-1945 წლებში გერმანიაში ახალი და ღირსშესანიშნაეი სოციოლოგიური ნაშრომი, ფაქტობრიეად, არ გამოქვეყნებულა.



მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ადორნო 1965 წელს ჰაიდელბერგში

სოციოლოგიას ერთგეარი გამოცოცხლება გერმანიაში II მსოფლიო ომის შემდგომ დაეტყო. 1946 წელს ლეოპოლდ ფონ ეიზემ აღადგინა სოციოლოგიის გერმანული საზოგადოება. განახლდა მთელი რიგი სოციოლოგიური ჟურნალების გამოცემა. ამერიკული სოციოლოგიის გაელენით პროგრესის გზას დაადგა ემპირიული სოციოლოგია. განსაკუთრებით გააქტიურდა „სოციოგრაფიული" და სტატისტიკური მიმართულებანი. გერმანელმა სოციოლოგებმა კლასიკური გერმანული სოციოლოგიის პარადიგმების ახლებურად გააზრება დაიწყეს. შეიქმნა დიდძალი სოციოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ნიცშესა და შპენგლერის ტრადიციებს არ იეიწყებდა. განსაკუთრებული მნიშენელობის მქონე ფაქტია 1930 წელს ფრანკფურტის სკოლის შექმნა გერმანიაში. მისი წარმომადგენლები გასაგები მიზეზების გამო 1933 წელს ამერიკაში წაეიდნენ. ამ სკოლას წარმოადგენენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: მაქს ჰორკჰაიმერი (1895-1973, ძირითადი შრომები: „ტრადიციული და კრიტიკული თეორია," „განმანათლებლობის დიალექტიკა" – ადორნოსთან ერთად); თეოდორ ადორნო (1903-1969, ძირითადი შრომები: „ნეგატიური დიალექტიკა," „აეტორიტეტული პერსონალურობა," „მუსიკის სოციოლოგია," „სოციალურ მეცნიერებათა ლოგიკისათვის," „ახალი მუსიკის ფილოსოფია"); ჰერბერტ მარკუზე (1898-1979, ძირითადი შრომები: „ეროსი და ციეილიზაცია," „ერთგანზომილებიანი ადამიანი," „ნარკეეი განთაეისუფლების შესახებ," „უტოპიის დასასრული," „კულტურა და საზოგადოება," „გონება და რეეოლუცია") და ერიხ ფრომი (1900-1980, „ფლობა თუ ყოფნა," „გაქცეეა თაეისუფლებისაგან," „ჯანმრთელი საზოგადოება," „ადამიანური დესტრუქციულობის ანატომია," „ადამიანის სული," „სიყვარულის ხელოენება").

თითოეული მათგანი სოციალურ ურთიერთობებში ადამიანური საწყისის პრიორიტეტულობას უსვამდა ხაზს (ინტეგრალური სინთეზის თეორია); მათი ნააზრევი დასაყრდენი მარქსიზმის ლიბერალურ ფორმადაა მიჩნეული. ისინი აქტიურად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ეეროპაში დაბრუნებილი ჰორკჰაიმერი 1953 წლამდე ხელმძღეანელობდა „სოციალურ გამოკელეეათა ინსტიტუტს." ამ პოსტზე იგი თეოდორ ადორნომ შეცეალა. ამ სკოლის წარმომადგენელია მსოფლიო დონის მეცნიერი იურგენ ჰაბერმასი. იგი საზოგადოების კომუნიკაციური თეორიის აეტორია, მოდერნის უკანასკნელი დამცველი და თეორეტიკოსი, 1971 წლიდან ეაიცზეკერთან ერთად სამეცნიერო-ტექნიკურ სამყაროში ადამიანის ცხოერების პირობების მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი.

XX საუკუნის გერმანული სოციოლოგიური თეორია წარმოუდგენელია ცოდნის სოციოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებლის კარლ მანჰაიმის (1893-1947) გარეშე. სოციოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე იდეოლოგიის ცნების მისეული ანალიზი; XX საუკუნის სოციოლოგიის კორიფეებს მიეკუთვნება აგრეთვე „საზოგადოების სისტემური თეორიის" შემქმნელი ნიკლას ლუმანი (1927-1998), რომელსაც 77 წიგნი და 250-ზე მეტი სტატია აქვს დაწერილი თანამედროვე საზოგადოების მწვავე პრობლემების შესახებ. მის ნააზრევს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგიისათვის. სოციალურ თეორიასა და პრაქტიკაში საყურადღებოა აგრეთვე თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის პეტერ სლოტერდაიკის (დაიბადა 1947 წ.) მოღვაწეობა. იგი 2001 წლიდან კარლსრუეში დიზაინის უმაღლესი სკოლის პრეზიდენტია.



იურგენ ჰაბერმასი.
დაბადა 1929 წლის 18 ივნისს

დღეისათვის თეორიული სოციოლოგიის სფეროში მიღწეული წარმატებები გერმანიაში ემპირიული კვლევებისადმი დიდი ინტერესის ფონზე მიმდინარეობს. სოციოლოგიური გამოკვლევები პოპულარულია გერმანიის მთელ რიგ უნივერსიტეტებში. ამ მხრივ გამოირჩევიან ბოხუმის, ბილეფელდის, ბონის, ჰამბურგის, კიოლნის, გიოტინგენის, ბრემენის, ბერლინის, მაინის ფრანკფურტისა და სხვა უნივერსიტეტები.

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები



ზიგმუნტ ბაუმანი

პოლონური წარმომავლობის თანამედროვე ინგლისელი სოციოლოგი. ლიდსის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი. სახლი გაითქვა პოლოკოსტისა და პოსტმოდერნისტული კონსუმერიზმის კვლევით. მას ეკუთვნის უხილავი, ელექტრონული საზოგადოების ცნება. მისი აზრით, საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატია სხვა არაფერია თუ არა სოციალურისა და ინდივიდუალურის კონსესუსის ხელოვნება. ლიდსში მისი სახელობის ინსტიტუტი არსებობს.

XV ლექცია

თემა: სოციალური ტრანსფორმაციები



ტერმინი „სოციალური ცვლილებები“ ანუ სოციალური ტრანსფორმაციები სოციოლოგიაში ფართო და ვიწრო მნიშვნელობებით გამოიყენება. ფართო მნიშვნელობით, სოციალურია ყველა ის ცვლილება, რაც კი საზოგადოებაში ხდება. ამ შემთხვევაში სოციალური ცვლილებები საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშან-თვისებებისა და ვითარებების ცვლილებას გულისხმობს. ვიწრო მნიშვნელობით კი, „სოციალური ცვლილება“ სოციალურ ცხოვრებაში – საზოგადოების სტრუქტურაში, სოციალურ ჯგუფებში, ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში მიმდინარე ხდომილებების გამომხატველი ცნებაა. ამ აზრით მას განმარტავენ, როგორც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საზოგადოების უმთავრესი სოციალური ინსტიტუტების მოდიფიკაციის ხარისხს (გიდენსი).

თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე მთელი რიგი დინამიური სოციალური ძალები ახდენენ გავლენას თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიებით დაწყებული და ურბანული, ბიუროკრატიული და სხვა პროცესებით დამთავრებული. ყოველი მათგანი სოციალურ ცვლილებათა, კულტურული და სოციალური ინსტიტუტების ტრანსფორმაციის ამა თუ იმ ასპექტებს წარმოადგენენ.

ზოგადად, ცვლილებები სამყაროს, ბუნების უზოგადესი კანონზომიერებაა, მაგრამ ტრანსფორმაციები ბუნებასა და საზოგადოებაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებს სტიქიური ხასიათი აქვს და გარემოებათა გაშლის წესით მიმდინარეობს. სოციალური ცვლილება კი ადამიანთა შეგნებულ, წინასწარგანზრახულ მოქმედებას გულისხმობს და გაცნობიერებული ხასიათი აქვს. თუმცა ზოგჯერ საზოგადოებაც არ არის ბოლომდე თავისუფალი მთელი რიგი გაუთვალისწინებელი ელემენტებისაგან, რაც სტიქიურობის ნიშანს ადებს ცალკეულ სოციალურ პროცესებს, მაგრამ მთლიანობაში ეს არ ცვლის ადამიანთა შეგნებული და გაცნობიერებული საქმიანობის ერთიან სურათს. ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები ცალსახა და დეტერმინაციული ხასიათის მქონეა, მაშინ როდესაც სოციალური ცვლილებები ადამიანთა მრავალფეროვანი მიზანმიმართული და თავისუფალი შემოქმედების შედეგია. სოციალური ტრანსფორმაციები ადამიანთა აქტიური ზემოქმედების საშუალებით მიმდინარეობს. ცხოველთა სამყაროში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ბუნების საგნები და მოვლენები ცვალებადობის პროცესში ერთსა და იმავე ხასიათსა და თავისებურებებს ინარჩუნებენ, საზოგადოებას კი თვითცვალებადობისა და თვითგანახლების უნარი აქვს, რომელსაც ოგიუსტ კონტი საზოგადოების სპეციფიკურ ნიშან-თვისებად მიჩნევდა.

თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალური ტრანსფორმაციის პროცესის ოთხი აუცილებელი ნიშანია გამოყოფილი:

• სოციალური ცვლილება გარდაუვალია: ერთი ძველი ანდაზა ამბობს, რომ „არაფერში არ უნდა იყო დარწმუნებული სიკვდილისა და გადასახადების გარდა“. თუმცა თანამედროვე საზოგადოებაში ორივე მათგანი ტრანსფორმაციას განიცდის. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ საგრძნობლად მოიმატა, ასევე იცვლება გადასახადების სისტემაც. ამერიკელი სოციოლოგის უილიამ ოგბორნის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში უახლესი ტექნოლოგიების წყალობით მატერიალური კულტურა ბევრად უსწრებს არამატერიალურ კულტურას. მაგალითად, გენური ტექნოლოგიები უფრო სწრაფად მიიწევენ წინ, ვიდრე ის ეთიკური სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც მათი რეგულირება უნდა მოხდეს. საზოგადოება, როგორც სპენსერი იტყოდა, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მიწყივ იცვლება, ტრანსფორმირდება, რაც გარდაუვალია.

• ერთი შეხედვით, სოციალურ ცვლილებებს წინასწარ განზრახული ფორმა აქვს, თუმცა მათი უმეტესობა ყოველგვარი წინასწარ დადგენილი გეგმის გარეშე ხორციელდება: ინდუსტრიული საზოგადოება სხვადასხვა სახის ცვლილებათა სტიმულირებას ახდენს. მა-

გალითად, მეცნიერები ენერგიის უფრო ეფექტურ ფორმებს ეძებენ, მაშინ როდესაც სარეკლამო აგენტები გვარწმუნებენ, რომ ელექტროსაქონლის გარეშე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სრულყოფილებას მოკლებული იქნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური ტრანსფორმაციების მთელი რიგი შედეგების წინასწარ გათვალისწინება, როგორც წესი, თითქმის შეუძლებელია.

• სოციალური ტრანსფორმაციები წინააღმდეგობრივია: საზოგადოების ისტორია აჩვენებს, რომ სოციალურ ცვლილებებს კარგი და ცუდი მხარეები აქვს. მაგალითად, გარკვეული სახის სოციალური ცვლილება შეიძლება საზოგადოების რომელიმე ფენის ან ჯგუფისათვის სასარგებლო იყოს, მაგრამ ამასთანავე სხვა ფენის ან ჯგუფისათვის – საზიანო და ა. შ. ტრანსფორმაციის წინააღმდეგობრივი ბუნება სწორედ ამას ნიშნავს.

• სხვა ცვლილებებთან შედარებით ზოგიერთ ცვლილებებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს: ზოგიერთ ცვლილებას დროებითი ხასიათი აქვს და, ამდენად, ნაკლებმნიშვნელოვანია (მაგალითად, საგაზაფხულო ან საშემოდგომო მოდა), ზოგიერთი კი, პირიქით, ხანგრძლივი პროცესია და მეტად მნიშვნელოვანი (მაგალითად, ინფორმაციულ საზოგადოებაში კომპიუტერების გავრცელება და სხვ.).

სოციალური ტრანსფორმაციის მიზეზები

ჩვეულებრივ, სოციალური ტრანსფორმაციები ათასგვარი მიზეზით ხდება ხოლმე. კომუნიკაციისა და მედიის თანამედროვე საშუალებებით დაკავშირებულ გლობალიზებულ სამყაროში ნებისმიერ რეგიონში მომხდარი ნოვაცია მთელს დანარჩენ სამყაროში უმალ ვრცელდება. სოციალურ ცვლილებათა მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია გამომგონებლობა, რომელიც ახალ სოციალურ რეალობას უდებს საფუძველს. გამომგონებლობის შედეგია ინ-ვიტრო განაყოფიერება და სინჯარის ბავშვების გაჩენა, რაც, თავის მხრივ, ახალ სოციალურ სინამდვილეს წარმოადგენს ადამიანებს შორის სხვა ტიპის, ახალი ურთიერთობებით; გამომგონებლობა უდევს საფუძვლად კოსმოსური ხომალდების არსებობას, რომელსაც დღეს ჩვენ უბრალო მოცემულობად აღვიქვამთ, მაგრამ შესაძლებელია XXI და მომდევნო საუკუნეებში კოსმოსური მოგზაურობა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

სოციალური ტრანსფორმაციის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის აღმოჩენები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიცინის სფეროში გაკეთებული ახალ-ახალი აღმოჩენები, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და სხვადასხვა სახის მწვავე დაავადებების წინააღმდეგ არის მიმართული.

სოციალური ცვლილებების გამომწვევი შეიძლება იყოს აგრეთვე დიფუზია ანუ საქონლის, პროდუქციის, ადამიანებისა და ინფორმაციის ერთი კულტურიდან მეორეში გადაადგილება. ამ მოსაზრებას იზიარებს ამერიკელი სოციოლოგი რალფ ლინტონი. მის მიხედვით, ყოველ კულტურაში მოიპოვება სხვა კულტურათა გავლენის შედეგები. მაგალითად, აბრეშუმი აღმოსავლური და აზიური მოვლენაა, საათები – ევროპული და ა. შ.

სოციალურ ცვლილებათა პოტენციური აგენტებია ეპჭრობა და მიგრაციული პროცესები. მაგალითად, აშშ-ის კულტურა ევროპიდან ემიგრირებული ადამიანების შექმნილია. თავის მხრივ, მთელს მსოფლიოში გავრცელებული ჩიზბურგერები, პიცა-პოპი და სამაგისტრო ხარისხები ამერიკული მოვლენაა და ა. შ.

სოციალური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მიზეზად სოციოლოგები კონფლიქტებსაც მიიჩნევენ. ამ საკითხის ანალიზში დიდი წვლილი მარქსს აქვს შეტანილი. მარქსისაგან განსხვავებით, ვებერს მიაჩნდა, რომ სოციალურ ცვლილებებს იდეები განაპირობებენ. ამის საილუსტრაციოდ მან აჩვენა, თუ რა გავლენას ახდენს რელიგიური (პროტესტანტული) იდეები კაპიტალიზმის განვითარებაზე. სოციალურ ცვლილებათა გამომწვევი და შემაფერხებელი ძალა, ვებერის აზრით, იდეებია. ხშირად სოციალურ ცვლილებათა მიზეზად ცალკეულ ადამიანთა ან ჯგუფის წარმატების მიღწევის სურვილიც შეიძლება მოვიაზრებინოს. მაგალითად, გარემოს დამცველთა მოძრაობა, ფემინისტური მოძრაობა და ა. შ.

თანამედროვეობა (მოდერნი)

სოციალური ტრანსფორმაციის კვლევაში მნიშვნელოვან როლს თანამედროვეობის ანუ მოდერნის ცნება ასრულებს. თანამედროვეობას სოციოლოგიაში მოდერნის ეპოქა შეესაბამება. სოციოლოგიური თვალსაზრისით, მასში ინდუსტრიალიზაციის სოციალური ფორმები იგულისხმება, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად გაჩნდა XVIII ს-ის შუახანებში, მომდევნო 50-60 წლის შემდეგ კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციოლოგები საუბრობენ აგრეთვე მოდერნიზაციის („გადათანამედროვე-

ბა") შესახებ, რომელიც საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის შედეგად დაწყებული პროცესის გამომხატველია. ჩვენთვის ცნობილმა სოციოლოგმა პიტერ ბერგერმა მოდერნიზაციის ოთხი ძირითადი თავისებურება გამოყო:

• ადამიანთა ტრადიციულ გაერთიანებათა დასუსტება: პ. ბერგერის აზრით, ადამიანთა ტრადიციული ერთობა, რომელიც ოჯახის გარშემო იყო თავმოყრილი და აგრარული მეურნეობით ირჩენდა თავს, წარსულს ჩაბარდა. ასეთი გაერთიანებები შესაძლებელია ახლაც კი არსებობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ისინი სოციალური გაგებით ამინდს ვერ ქმნიან, თანამედროვე საზოგადოებაში წარსულის რელიქტის როლს ასრულებენ, ამით ისინი საინტერესო საკელეი ობიექტებია სოციოლოგების, ეთნოლოგების, დემოგრაფებისა და ანთროპოლოგებისათვის. რაც შეეხება სოფელს, დღეყანდელი სოფელი დიდად განსხვავდება ტრადიციული სოფლისაგან თავისი კომპიუტერებით, მობილური ტელეფონებით, მედიისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით. ასე რომ, ადამიანთა ტრადიციული ერთობები კი არ დასუსტდა, არამედ, შეიძლება ითქვას, საერთოდ გაქრა.

• თავისუფალი არჩევანის ფართო შესაძლებლობა: ტრადიციული საზოგადოების წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ მათი ცხოვრება სხვადასხვა ზებუნებრივ ძალებზე იყო დამოკიდებული. მოდერნის ეპოქის ადამიანი კი ცხოვრებას, როგორც თავისუფალი არჩევანის ასპარეზს, უყურებს, საიდანაც მისთვის სასურველს ირჩევს. ბერგერი ამას ინდივიდუალიზაციას უწოდებს. მაგალითად, თანამედროვე ადამიანი თავისი ცხოვრების სტილს ხშირად იცვლის, რაც ტრადიციული საზოგადოების შემთხვევაში წარმოუდგენელია.

• სოციალური მრავალსახეობის გაძლიერება: წინა ინდუსტრიული საზოგადოება სოციალურად ერთფეროვანი იყო, მოდერნიზაციამ კი საზოგადოება სოციალურად მრავალფეროვანი გახადა. ქალაქების რაოდენობის ზრდამ, ბიუროკრატიის გაძლიერებამ, ადამიანთა სოციალურმა შერევამ და სხვა ამგვარმა პროცესებმა საზოგადოებაში სოციალურ ფორმათა და მოქმედებათა მრავალსახეობის გაზრდა გამოიწვია.

• მომავალზე ორიენტირება და დროის ფაქტორის გაძლიერება: თუკი ადრე ადამიანები წარსულზე იყვნენ ორიენტირებულნი, თანამედროვე ეპოქაში ორიენტირი მომავალია. მომავალზე ორიენტაცია ეფექტურ მოქმედებას გულისხმობს, ეფექტური მოქმედება კი დროის ფაქტორს აძლიერებს. თანამედროვე ადამიანს ყველაფერი წამებსა და წუთებში აქვს გათვლილი, რადგანაც „დრო ფულია." მოდერნიზაციის ხარისხს ბერგერი საათიანი ადამიანების რიცხვით ზომავს. მოდერნისტულ საზოგადოებაში, ბერგერის თქმით, ბავშვებსაც კი უკეთიათ საათები.

მოდერნიზაციასთან ჩვენთვის, როგორც სოციოლოგებისათვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია დაკავშირებული. ევროპული საზოგადოების მოდერნიზაციის პირმშოა საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერება – სოციოლოგია. სოციოლოგია თავის წარმოშობას სწორედ ამ პროცესებს უნდა უმადლოდეს. პირველი ევროპელი და ამერიკელი სოციოლოგები მოდერნისტული საზოგადოების ანალიზით იყვნენ დაკავებული. ამ სახით სოციოლოგიას მანამდე ანალოგი არ გააჩნია და ამიტომაც უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს.



პერბერტ მარკუზე (1893-1979)

საზოგადოების გათანამედროვეობის პროცესის სხვა მახასიათებლებზე მიანიშნებდნენ სოციოლოგიის კლასიკოსები: ფერდინანდ თიონისი – ერთობის დაკარგვაზე, მაქს ვებერი – საზოგადოების რაციონალიზაციაზე, ემილ დიურკემი – შრომის დანაწილებაზე, კარლ მარქსი – სოციალურ კონფლიქტზე. თუკი თითოეული მათგანის ამოსავალ დებულებებს გავითვალისწინებთ, მაშინ მოდერნიზაცია ახალი ტიპის – მასობრივი საზოგადოების ცნებას შეგვიძლია დავუკავშიროთ. მასობრივია საზოგადოება, სადაც ბიუროკრატიისა და მრეწველობის განვითარების შედეგად ტრადიციული სოციალური კავშირები შესუსტებულია, ხოლო სოციალურ ცხოვრებას მასობრივი ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ უსამზოდ გაიზარდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მასშტაბები, ადამიანი უპიროვნო მასის წევრი გახდა, ანუ გამასობრივდა. ტრადიციული საზოგადოების მოდერნულად გარდაქმნა სოციალური ტრან-

სფირმაციის პროცესის მაჩვენებელია, რომელიც კიდევ უფრო წინ მიიწევს და მოდერნულ საზოგადოებას პოსტმოდერნულად აქცევს.

საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესს, რომელსაც ვებერი რაციონალიზაციას უწოდებდა, უკრიტიკოდ არ იღებს ფრანკფურტის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ჰერბერტ მარკუზე.

მისი აზრით, თანამედროვე საზოგადოება რაციონალური კი არა, ირაციონალურია, რადგანაც მას ადამიანთა უმრავლესობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეუძლია (მარკუზეს მხედველობაში აქვს შიმშილი, როგორც გლობალური პრობლემა). გარდა ამისა, ტექნიკის სრულყოფამ ადამიანს საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი დააკარგვინა, რადგანაც ძალაუფლებამ იმ პროფესიულ ჯგუფებში მოიყარა თავი, რომლებმაც თანამედროვე ტექნოლოგიების მართვა იციან. იგი უარყოფდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თანამედროვეობის გლობალურ პრობლემებს ტექნოლოგიები აგვარებენ და ამის საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ, პირიქით, ტექნოლოგიები ახალ-ახალ პრობლემებს ქმნიან.

თანამედროვეობას ადამიანი ყოველთვის პროგრესთან, წინსვლასთან აკავშირებს. შესაბამისად, სტაბილურობა აღიქმება, როგორც უძრაობა, მაგრამ სხვადასხვა კულტურაში პროგრესის სხვადასხვა გაგება არსებობს. ტრადიციულ კულტურაში თანამედროვეობა სულაც არ ნიშნავს პროგრესს. გარდა ამისა, როგორც წესი, პროგრესში ტექნიკურ პროგრესს მოიაზრებენ ხოლმე, რომელიც ყოველთვის სასიკეთო გავლენას ვერ ახდენს საზოგადოებასა და ადამიანზე. ტექნიკურ პროგრესს ადამიანთა უმრავლესობა ყველა ეპოქაში ეჭვის თვალით უყურებდა. მაგალითად, ავტომობილმა და ტელეფონმა თუმცა გააადვილა გადაადგილება, მაგრამ ამასთანავე საკუთარ საცხოვრებელთან ტრადიციული კავშირი დაარღვია. ასვე კომპიუტერიც, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მყოფ ადამიანებთან მყარდება კონტაქტი, მაშინ როდესაც საკუთარ მეზობელსა და ახლობელს ხარ მოწყვეტილი და ურთიერთობა არ გაქვს. ერთი სიტყვით, სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, სწრაფად ტრანსფორმირებადი რეალობაა. იგი ტრანსფორმაციის არნახული ტემპებით გამოირჩევა. სწორედ არნახულმა სოციალურმა ტრანსფორმაციებმა მოგვცა პოსტთანამედროვე ანუ პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაზე ყურადღების გამახვილების საშუალება.

პოსტთანამედროვეობა (პოსტმოდერნი)

თუკი ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოდერნის ეპოქას დაუდო სათავე, ინფორმაციულმა ერამ პოსტმოდერნის ეპოქა და პოსტმოდერნული ანუ პოსტთანამედროვე საზოგადოება წარმოშვა. დასავლელი სოციოლოგები პოსტმოდერნულად მოიხსენიებენ იმ სოციალურ ფორმებს, რომლებიც ინდუსტრიულის შემდგომი ანუ პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

ტერმინ „პოსტმოდერნის“ ზუსტი შინაარსი დღემდე ცხარე კამათის საგანია. იგი არქიტექტურიდან შემოვიდა (ამერიკელმა არქიტექტურის თეორეტიკოსმა ჯენქსმა 1976 წელს შემოიტანა). სოციოლოგიაში პოსტმოდერნი იმ მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც თანამედროვეობის შემდგომი პერიოდის საზოგადოებას ახასიათებს. ცნობილი ფრანგი მოაზროვნე ჟან-ფრანსუა ლიოტარი, რომელმაც 1979 წელს პოსტმოდერნიზმის ცნება შემოიტანა, შემდეგნაირად აღწერს პოსტთანამედროვე, პოსტკლასიკური ეპოქის ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „პოსტმოდერნულ მდგომარეობაში“ მყოფი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას: „რადიოში უსმენენ რეგის; კინოში ვესტერნს უყურებენ; ლანჩზე „მაკდონალდსში“ მიდიან, ხოლო სადილობენ აღგილობრივი სამზარეულოს რესტორნებში; ტოკიოში ფრანგული სუნამოს ჰმარობენ და რეტროს სტილის ტანსაცმელს იცვამენ პონკონგში.“

მსგავსი სიტუაციის ნახვა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი, რაც ადრე წარმოუდგენელი რამ იყო. ეს ყოველივე თანამედროვე ტრანსფორმირებადი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნებია, რაც ცხოვრების სრულიად ახალ სტილსა და სტრატეგიას, თამაშის ახალ წესებს სთავაზობს ადამიანებს.

ნიცშეს შემდგომი დროიდან – „ღმერთის სიკვდილიდან“ მოყოლებული – პოსტმოდერნულ საზოგადოებაში რელიგიური ეთიკა სხვადასხვაგვარი ალტერნატივებით შეიცვალა. რეალობას ჩაენაცვლა ვირტუალური, ჰიპერრეალობა. ადამიანი მის მიერ შექმნილი ჰიპერრეალობის ზედაპირზე მოტივტივე ვირტუალურ არსებად გადაიქცა, რომელიც ყოფიერების სიღრმეებს ერიდება. ჩვეულებრივი კულტურული პრაქტიკა გახდა ტურისმი, რაგორც რეალობიდან გაქცევისა და სიმულაციის სიმბოლო. შემეცნების ტრადიციულმა პრაქტიკამ მომხმარებლურ საზოგადოებაში უკანა პლანზე გადაინაცვლა და მოდური გახდა ემოციური ლიცენზიის განათლება, რომლის ლოზუნგია „აქეთ ის, რაც გსურს.“ ინტელექტუალთა

მდგომარეობამ ტრანსფორმაცია განიცადა და მწერალი, ფილოსოფოსი, მოაზროვნე შეცვალა ექსპერტმა. პოსტმოდერნის ეპოქამ ტრადიციულ საზოგადოებაში დიდ პატივში მყოფ ინტელექტუალებს ყველაფერი წაართვა. ისინი უფუნქციოდ დარჩნენ. ლიოტარის აზრით, უკანასკნელი დიდი ინტელექტუალი ჟან-პოლ სარტრი იყო. მის ერთ-ერთ წიგნს ასეთი სახელი აქვს – „ინტელექტუალის საფლავი," რითაც ის ამბობს, რომ პოსტმოდერნმა, ტრადიციული გაგებით, ინტელექტუალები დაასაფლავა. მათი დრო წავიდა!



ჟან-ფრანსუა ლიოტარი (1924-1998)

ამ ტიპის საზოგადოების წევრთა მიზანი ნებისმიერი საშუალებებით პროფესიული და პერსონალური წარმატების მოპოვებაა. განათლების სისტემაც ამისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. მისთვის ნიშანდობლივია კარნავალური, სანახაობრივი კულტურა. კლასიკური გაგებით, ეს ეფემერული კულტურაა, რომელშიც წამყვან როლს მასმედია და რეკლამა ასრულებს. აქ ყველა და ყველაფერი თეატრალიზებულია, განსაკუთრებით პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც თავისი ტრანსფორმაციით ტრადიციული აზროვნებისა და გემოვნების მქონე ადამიანთა რეაქციას იწვევს. პოლიტიკა ამ შემთხვევაში განიხილება არა როგორც ადამიანის აქტიური და სერიოზული სახელმწიფოებრივი საქმიანობა, არამედ როგორც ხმაურიანი სანახაობა, ემოციური განტვირთვის ადგილი, სერიოზულობისა და არასერიოზულობის გაურკვეველი ნაზავი. ამიტომ ასეთ ეპოქაში არც ერთი პოლიტიკური ბატალია რევოლუციით არ დასრულდება. რევოლუციის შემთხვევაში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, რომელიც პოსტმოდერნულ საზოგადოებაში ფულის, მოგების მომტანი შოუს ელემენტია და მეტი არაფერი. ეს ყველაფერი იმ კულტურული პარადიგმების ცვლილების შედეგია, რომელიც „ღმერთის სიკვდილიდან" (ნიცშე) იწყება და საბოლოოდ ადამიანის სიკვდილით (ბოდრიარი) სრულდება. ბოდრიარის თქმით, რეალობა ანუ ტრადიციული გაგებით საზოგადოება ვირტუალურ საზოგადოებად გადაიქცა. ამიერიდან ადამიანი და საზოგადოება მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში არსებობს რეალურად. ამ ვირტუალურ სივრცეს კი თანამედროვე ტექნოლოგიები ქმნიან. ყველაზე ინტიმურმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმაც კი ტრანსფორმაცია განიცადეს, მაგალითად, სექსმა. ჰიპერსაზოგადოებაში ადამიანები კმაყოფილებას ვირტუალური სექსით იღებენ და ეს მიაჩნიათ რეალობად. ანუ ნამდვილი სინამდვილე შეცვალა მისმა ვირტუალურმა ორეულმა. ამიერიდან ადამიანი და საზოგადოება სიმულირებულია. ამ ყველაფერს ბოდრიარი ადამიანისა და საზოგადოების სიკვდილს უწოდებს. ბოდრიარის თქმით, პოსტმოდერნული ტრანსფორმაცია განიცადა სოციოლოგიამაც. თუ კლასიკური გაგებით საზოგადოება არ არის და მის ნაცვლად პოსტსაზოგადოება გვაქვს, მაშინ კლასიკური გაგებით სოციოლოგიამაც ამოწურა თავისი თავი და მის ადგილას პოსტსოციოლოგია უნდა იყოს.

პოსტმოდერნზე საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ აღვნიშნოთ ის ძირითადი ნიშნები, რითაც პოსტმოდერნისტული საზოგადოება განსხვავდება მოდერნულისაგან (პოსტმოდერნის შესახებ კი საფუძვლიანი საუბარი სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებთან ცალკე დისციპლინის „პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების" ლექციებზე გაგრძელდება):

- თანამედროვეობამ უმთავრესი პრობლემების მოგვარება ვერ მოახერხა: მოდერნის ეპოქამ არც ერთი მისი დაპირება არ შეუსრულა ადამიანებს და იმედები გაუცრუა. პირიქით, უფრო იმატა შიმშილმა და სიღარიბემ. პოსტმოდერნი არაფერს არ პპირდება. ადამიანებმა ყოველდღიური ცხოვრებით უნდა იცხოვრონ.
- პროგრესის მანათობელი „შუქის" ჩაქრობა: მოდერნისტული საზოგადოების ადამიანები წარსულში იყურებიან და იქ ეძებენ საიმედო მომავალს. პოსტმოდერნის შემთხვევაში ადამიანები მსგავსი ოპტიმიზმით არ გამოირჩევიან. ისინი რეალურად აფასებენ შექმნილ ვითარებას და „პროგრესისაგან" მაინცდამაინც დიდ ცხოვრებისეულ დივიდენდებს არ მოელიან.
- მეცნიერებამ დაკარგა თავისი პრიორიტეტი; ის უკვე კითხვებზე პასუხს აღარ იძლევა: პოსტმოდერნისტების აზრით, მეცნიერებამ ვერც ერთი მის წინაშე დასახული ამოცანა ვერ გადაწყვიტა. ის ჭეშმარიტების მიღწევას დაპირდა ადამიანებს, რაც ვერ შეასრულა. პოსტმოდერნისტების აზრით, „დიდი ნარაციების" (მოხათხრობების) დრო წა-

ეიდა. რაც შეეხება ობიექტურ რეალობასა და ჭეშმარიტებას, ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. ჭეშმარიტება მოდერნისტული საზოგადოების ქიმერა იყო, რომელიც პოსტმოდერნში არ არსებობს. პოსტმოდერნი ჭეშმარიტებათა სიმრავლეზე აკეთებს აქცენტს, ხოლო რაც შეეხება რეალობას, იგი „სოციალური კონსტრუქციის" ეკვივალენტია.

- კულტურულ უთანხმოებათა გაძლიერება: თანამედროვეობა ტოლერანტობისა და სოლიდარობის ერა უნდა გამხდარიყო, მაგრამ მან ამასაც ვერ მიაღწია, ამიტომ პოსტმოდერნმა იგი ისეთი საკითხებით ჩაანაცვლა, როგორიცაა სოციალური სამართლიანობა, სექსუალური და ათასი სხვადასხვა ჯგუფის უმცირესობების უფლებათა დაცვა და ა. შ. ანუ ხელი შეუწყო კულტურულ უთანხმოებათა გაძლიერებას.
- სოციალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია: პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ტრანსფორმაციას განიცდის თითქმის ყველა სოციალური ინსტიტუტი. მაგალითად, პოლიტიკა იქცევა ტრანს და პოსტპოლიტიკად, ოჯახი – ტრანს ოჯახად და ა. შ. პოსტმოდერნისტულ ოჯახს ერთი კონკრეტული, გამოკვეთილი სახე არა აქვს. აქ ადამიანებს ოჯახური ცხოვრების ახალ-ახალი ვარიანტებიდან მათთვის სასურველის ამორჩევის სრული თავისუფლება აქვთ.

როგორც ვხედავთ, მოდერნმა ადამიანებს იმედები გაუცრუა, ხოლო პოსტმოდერნმა ახალი არაფერი შესთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინაშე სოციალური სინამდვილე კვლავ მრავალუცნობიან ამოცანად რჩება, რომელიც კიდევ უფრო მეტად აღძრავს მის მიმართ მომავალი თაობების ინტერესს. ერთი რამ კი საესებით ცხადი და გარკვეულია: თანამედროვე საზოგადოების მტკივნეულ პრობლემათა მოგვარება სოციოლოგიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სოციალური სტრანსფორმაცია განვითარებას არ გულისხმობს.

დავალება:

–შეადარეთ ერთმანეთს მოდერნისა და პოსტმოდერნის საზოგადოებები. რა განსხვავებაა მათ შორის?

–სოციალური ტრანსფორმაციის მიზეზებიდან რომელი მიგაჩნიათ უმთავრესად და რატომ?

–თანამედროვე საზოგადოების დახასიათებაში სოციოლოგიის რომელ კლასიკოსს (თიონისი, ვებერი, დიურკემი, მარქსი) ეთანხმებით და რატომ?

–მოიყვანეთ კულტურის პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაციის მაგალითები და ჯგუფში იმსჯელეთ მათ შესახებ.

–მოამზადეთ საპრეზენტაციო თემა: „ქართული საზოგადოების პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაცია."


ძირითადი ლიტერატურა:

1. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მ. 2005. (რუს. ნაზე). გვ. 55-77, 579-578.
2. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ., 2002. გვ. 389-408.
3. ა. ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია. თბ., 2009. მარგინალური კულტურა გვ. 252-254; პოსტმოდერნული კულტურა. 300-302.
4. ე. კოდუა, კულტურის სოციოლოგია. თბ., 2001. გვ. 157-184.
5. დ. ნაქარაია, პოსტინდუსტრიული – ინფორმაციული საზოგადოება (პრობლემები). თბ., 2006. გვ. 5-30.

დამატებითი ლიტერატურა:

1. ჯ. მასიონისი, სოციოლოგია, მ. 2004. (რუს. ნა'სე). გვ. 716-745.
2. ПОСТ-МОДЕРНИЗМ, ЭНЦИКЛОПЕДИЯ. Книжный Дом, Минск 2001. გვ56-59. 79-91. 342-351. 570-581.
3. Новсйший философский словарь. Постмодернизм. გვ. 791-810.
4. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა. თბ., 1993. გვ. 244-275.
5. ჟ. ბოდრიარი, ამერიკა (ინტერნეტ ვერსია).
6. ჟ. ბოდრიარი, ომის პორნოგრაფია, კრ. „სოციოლოგიური ეტიუდები," თბ., 2010. გამ. „უნივერსალი." (თარგმნა ეკა ლეკიშვილმა).
7. გ. ზიმელი, სოციოლოგია (ინტერნეტ ვერსია).
8. ფ. ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ.,1999. გვ. 295-320.

ვირტუალური სამყაროს უცნაურობანი



ინტერნეტში არავინ არ იცის, კატა ვარ, ძაღლი თუ ადამიანი.

•••

„ადამიანთა ურთიერთგაგების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მათ ჰქონდეთ უნარი, საკითხს სხვა ადამიანების თვალით შეხედონ და იგი საკუთარი და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტონ.“

ჰენრი ფორდი

საკითხავი მასალა

სოციოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში ადრეული პერიოდი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ, თანამედროვე გაგებით, სოციოლოგიის სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატებია. სოციოლოგიის ევროპელი კლასიკოსების შემდგომი დროიდან მოყოლებული აშშ სოციოლოგიის ნამდვილ მექად იქცა. ამერიკელი სოციოლოგ ჯორჯ რიტცერის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, დაბადების ზუსტი დათარიღება ძალზე ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ ჯერ კიდევ 1885 წელს ობერლინში სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური კურსი არსებობდა. არც კონტის მიერ შემოღებული ტერმინი – „სოციოლოგია" ყოფილა უცხო ამერიკელებისათვის. 1854 წელს მას იყენებდა ჯორჯ ფიცჰიუ, ხოლო უილიამ გრეჰემ სამნერმა 1873 წელს იელში სოციალურ მეცნიერებათა კურსი შემოიღო. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ამერიკის უნივერსიტეტებში გაჩნდა კურსი სახელწოდებით „სოციოლოგია." 1889 წელს სოციოლოგიის ერთ-ერთი პირველი განყოფილება კანზასის უნივერსიტეტში ალბიონ სმოლის მიერ იქნა შემოღებული, რომელიც 1892 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში გადაიზარდა და იქ დაარსდა ანალოგიური განყოფილება. ასე ჩაეყარა საფუძველი ე. წ. „ჩიკაგოს სკოლას," რომელსაც ამ დროიდან II მსოფლიო ომამდე ამერიკულ სოციოლოგიაში წამყვანი პოზიციები არ დაუთმია. ამერიკული სოციოლოგიის ადრეული პერიოდის წარმომადგენლები პოლიტიკური ლიბერალიზმით ხასიათდებიან. ამ პერიოდის სოციოლოგიური თეორიები კონცეპტუალურ საფუძვლებს ქმნიან პიროვნების თავისუფლების, მისი კეთილდღეობისა და საზოგადოების პროგრესისათვის.

ამერიკაში პირველი სოციოლოგიური ნაშრომების გამოჩენის დროიდან – 1854 წლიდან დღემდე ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაში არც ერთი ისეთი ფაქტი თუ მოვლენა არ ყოფილა, რომელიც სოციოლოგიის ყურადღების გარეშე დარჩენილიყო. მთელს მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატები ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტად იციან სოციოლოგიის ფასი, მისი როლი და მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ამერიკელმა სოციოლოგებმა იმთავითვე აიღეს კურსი სოციალურ პრობლემათა მეცნიერული შესწავლის გზით გადაწყვეტის მიმართულებით. სოციოლოგიის კლასიკოსებიდან ადრეულ ამერიკულ სოციოლოგიაზე ჰერბერტ სპენსერს ჰქონდა დიდი გავლენა. ამ დროისათვის სოციალური დარვინიზმის დიდი წარმომადგენელი უილიამ გრეჰემ სამნერი (1840-1910) იყო, რომელიც საკუთარ თეორიას სპენსერის მსგავსად დარვინიზმზე ამყარებდა და ადამიანისა და მის გარემომცველ გარემოს შორის კონფლიქტზე ამახვილებდა ყურადღებას, მიიჩნეოდა, რომ ამ ტიპის გარემოში წარმატებას მხოლოდ ძლიერები აღწევენ, სუსტები კი წარუმატებლობისათვის არიან განწირული. „იმ შემთხვევაში, თუკი არ მოგვწონს ის, რომ ძლიერი გადარჩება, მაშინ ჩვენ მხოლოდ ერთადერთი შესაძლებელი ალტერნატივაღა გვრჩება მხოლოდ, – ვასწავლოთ სუსტებს გადარჩენის გზები." მსგავსი თეორიული სისტემა აშშ-ში კაპიტალიზმის განვითარებას შეესაბამებოდა. ამერიკელი სოციოლოგების აზრით, უილიამ სამნერის სოციოლოგიური კონცეფცია კაპიტალიზმისათვის კონკურენტული გარემოს შენარჩუნების მცდელობა იყო.

სამნერს არ ეყო ძალა სოციოლოგიური სკოლის ჩამოსაყალიბებლად. ასეთი რამ მოგვიანებით ჩიკაგოს უნივერსიტეტში მოხდა. რაც შეეხება სამნერს, მიუხედავად პოპულარობისა, რომლითაც ის იმ დროისათვის სარგებლობდა, დღეს მისი სახელი სოციოლოგიის ისტორიკოსებმა თუ იციან მხოლოდ. სამნერთან ერთად სოციალური დარვინიზმის წარმომადგენელია ლეტერ უორდი (1841-1913), ოღონდ არა რადიკალური წარმომადგენელი. იგი იმდენად პოპულარული იყო, რომ 1906 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან შექმნილი „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოების" **(American Sociological Society)** პირველ პრეზიდენტად აირჩიეს, რომელსაც გარდაცვალებამდე ეძღვა სათავეში. სოციოლოგთა ეს გაერთიანება დღესაც წამყვან როლს თამაშობს აშშ-ის ეროვნულ-სოციოლოგიურ ასოციაციათა შორის. უორდი ერთმანეთისაგან ასხვავებდა წმინდა სოციოლოგიას, რომელიც სოციალურ ცვლილებათა ბაზისურ კანონებსა და საზოგადოების აგებულებას შეისწავლის, და გამოყენებით სოციოლოგიას, რომელსაც მეცნიერული ცოდნის საფუძველზე საზოგადოების გარდაქმნა ეკალება.

ამ პერიოდის ამერიკული სოციოლოგიის წარმომადგენელია ტორსტეინ ვებლენი (1852-1929). იგი ინსტიტუციონალურ სკოლას მიეკუთვნება. ვებლენი სოციოლოგიაში ეკონომიკური მეცნიერებიდან მოვიდა. მის სოციოლოგიურ თეორიაზე დიდი გავლენა იქონიეს კანტის,

სამნერის, მარქსისა და კლარკის იდეებმა. იგი ასწაელიდა ჩიკაგოს, მისურისა და ნიუ-იორკის უნიეერსიტეტებში. თანამედროვე დასაელური სოციოლოგია წარმოუდგენელია ვებლენის ტექნოკრატიული თეორიის გარეშე (რომლის ცენტრალური საკითხია „ბიზნესისა“ და „წარმოების“ კონფლიქტი). მსოფლიო აღიარება მოუტანა მას ნაშრომმა: „მმართეელი კლასის თეორია“ (1899), რომელშიც იგი მოხმარების სოციოლოგიური თეორიის აეტორად გეეელინება. რომელიმე ჩეეულებრივი ნიეთის მოპოეების ინდივიდუალური აქტი მანქანური წარმოების ეპოქაში არა იმდენად სასაქონლო-ფინანსურ-ეკონომიკურ ოპერაციას წარმოადგენს, რამდენადაც „მოჩეენებითი მოხმარების“ აქტს, რომელიც სინამდვილეში ინდივიდის კლასობრივი კუთვნილების მაჩეენებელია. ინდივიდთა მიერ ნიეთების მოხმარებას ვებლენი განიხილავს, როგორც სიმბოლოებს ანუ მოხმარების სტატუსის მაჩეენებელს. ვებლენმა თავისი თეორიით ძირითადი აქცენტი წარმოებიდან მოხმარებაზე გადაიტანა, რითაც დასაელურ სოციოლოგიაში „მომხმარებლური საზოგადოების“ თეორიას დაუდო სათაეე.

ტორსტეინ ვებლენის სოციოლოგია ერთგეარი გარდამაეალი რგოლია ამერიკული სოციოლოგიის ადრეულ პერიოდსა და „ჩიკაგოს სკოლას“ შორის, რომელიც სოციოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთი ყეელაზე მეტად გამორჩეული ფენომენია. ჩიკაგოს უნიეერსიტეტში დაწყებული სოციოლოგიური კელეეა-ძიების (თეორიულისა და ემპირიულის) ტრადიციები თავის მნიშვნელობას დღესაც არ კარგავს. ჩიკაგოს სკოლა არაერთი სიცოცხლისუნარიანი და აქტუალური სოციოლოგიური თეორიის აკვანია.

ჩიკაგოს სკოლა

ჩიკაგოს უნიეერსიტეტში სოციოლოგიის განყოფილება 1892 წელს შეიქმნა ალბიონ სმოლის ინიციატივით. სმოლი იყო სოციოლოგიის პირეელი სახელმძღვანელოს აეტორიც (1894 წ.). 1895 წელს მან დააარსა „ამერიკული სოციოლოგიური ჟურნალი,“ რომელიც დღემდე ითვლება აეტორიტეტულ სოციოლოგიურ გამოცემად. „ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოებაც“ სმოლის მიერ იქნა ჩამოყალიბებული. აბრეეიატურის წარუმატებლობის გამო (**American Sociological Society**, შემოკლებით – Ass ინგლ. ენაზე ეირს ნიშნავს), 1959 წელს იგი „ამერიკულ სოციოლოგიურ ასოციაციად“ (**American Sociological Association – ASA**) გადაკეთდა.

ადრეული პერიოდის ჩიკაგოს სკოლა

სმოლმა დიდი როლი შეასრულა ამერიკაში სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციის საქმეში, ორიგინალური თეორიების აეტორებად კი სხეები გეეელინებიან. ასეთია, მაგალითად, უილიამ ტომასი (1863-1947), რომელიც ჩიკაგოს სკოლის ადრეული ეტაპის წარმომადგენელია. იგი ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგიის განყოფილების თანამშრომელი იყო. თავისი დისერტაცია მან აქეე შეასრულა. მას მსოფლიო აღიარება მოუტანა ფლორიან ზნანეცკისთან ერთად დაწერილმა წიგნმა: „პოლონელი გლეხები ეეროპასა და ამერიკაში,“ რომელიც დოკუმენტური ანალიზის მეთოდზე იყო დამყარებული. ამ ნაშრომმა დიდი წელილი შეიტანა სოციოლოგიური კელეეის თეისებრივი მეთოდოლოგიის სრულყოფის საქმეში. იგი სოციოლოგიის კლასიკურ ნაშრომთა რიცხეს მიეკუთენება.

ჩიკაგოს სკოლის სხეა აეტორიტეტული და გაელენიანი წარმომადგენელია რობერტ პარკი (1864-1944). სანამ ჩიკაგოს სკოლას ჩაუდგებოდა სათაეეში, პარკი ეეროპაში ზიმელთან განისწაელა. მასზე დიდი გაელენა მოახდინა ვებერისა და ზიმელის სოციოლოგიურმა თეორიებმა, რომელთაც, ფაქტობრივად, განსაზღერეს ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგიური კელეეის პრობლემატიკა, კერძოდ პარკის „ფენომენოლოგიური სოციოლოგიის“ ძირითადი პრინციპები. პარკი დიდ დროს უთმობდა ასპირანტებთან მუშაობას, რამაც, ბუნებრივია, შესაბამისი შედეგიც გამოიღო. შემდგომში ჩიკაგოს სკოლის არაერთი გაელენიანი წარმომადგენელი დიდად არის დაეალებული პარკისაგან. 1921 წელს პარკმა ერნსტ ბერჯესთან ერთად „სოციოლოგიის შესაეალი“ გამოაქეეყნა, რომელიც სოციოლოგიის ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქნა აღიარებული. ჩიკაგოს სკოლის წამყეანი პოზიციები დიდად შეარყია ჩიკაგოს უნიეერსიტეტიდან ფისკის „შავ უნიეერსიტეტში“ პარკის გადასელამ. საქმე ის გახლდათ, რომ პარკი არასოდეს არ კარგაედა თავის მძაფრ ინტერესს რასობრივი ურთიერთობების მიმართ, რასაც ხელ დაერთო ბუკერ ტალიაფერო ვაშინგტონთან (1858-1915), ცნობილ შეკანიან საზოგადო მოღვაწესთან. პარკის ახლო ურთიერთობა.

გეიანდელი პერიოდის ჩიკაგოს სკოლა

პარკის წასვლის მიუხედავად, ჩიკაგოს სკოლას გეიანდელი პერიოდში ერთობ გამორჩეული ფიგურები წარმოადგენენ. ესენი არიან: ჩარლზ პორტონ კული, ჯორჯ პერბერტ მიდი და ეფერესტ ჰიუზი. ამ პერიოდის ჩიკაგოს სკოლის უმთავრესი მონაპოვარი სიმბოლური ინტერაქციონიზმია. მიუხედავად იმისა, რომ ჩარლზ პერბერტ კული (1864-1929) მიჩიგანის უნივერსიტეტში მუშაობდა, თეორიულ პლანში მისი ნააზრევი ჩიკაგოს სოციოლოგიურ სკოლას მიეკუთვნება. სოციოლოგიაში ცნობილია მისი „სარკისებური მე"-ს კონცეფცია, რომლის მიხედვით, ცნობიერება და სოციალური კონტექსტი ერთმანეთის იგივეობრივია. იგი მიდთან ერთად უარყოფდა ბიჰევიორისტული მიდგომის ძირითად პრინციპს, რომ ადამიანები გაუცნობიერებლად რეაგირებენ გარეგან სტიმულებზე, რასაც „სარკისებური მე"-ს კონცეფცია გამორიცხავს. „სარკისებური მე" ამ შემთხვევაში საკუთარი თავის სხვების ადგილზე დაყენებას ნიშნავს, რაც სოციალურ ურთიერთობათა გასაღებია.

ჩიკაგოს სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი არის არა სოციოლოგი, არამედ ფილოსოფოსი ჯორჯ პერბერტ მიდი (1863-1931), რომელიც სიმბოლურ-ინტერაქციონისტული სოციოლოგიური თეორიის კლასიკური წარმომადგენელია. მიდმა ამერიკას სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორია აჩუქა, რომელიც დიდად განსხვავდება ამ თეორიის ევროპული ნაირსახეობებისაგან. მიდის ინტერაქციონიზმი არაერთი თანამედროვე სოციოლოგიური თეორიის იდეური საფუძველი გახდა. ამ თეორიიდან იღებს სათავეს, მაგალითად, ირვინგ პოფმანის „დრამატურგიული ანალიზის" თეორია, მის დებულებებს ითვალისწინებს ჰაროლდ გარფინკელის „ეთნომეთოდოლოგია" და სხვ.

ჩიკაგოს სკოლის დაღმაელობა

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, უფრო სწორად, მიდის გარდაცვალებიდან და პარკის გადასვლიდან ჩიკაგოს სკოლამ თავისი წამყვანი პოზიციები დათმო. ამერიკელი მკვლევრები (ფრედ მეთიუზი, ჯორჯ რიტცერი და სხვები) ჩიკაგოს სკოლის დაცემის ორ ძირითად მიზეზს ასახელებენ: 1) ჩიკაგოს სკოლამ თავიდანვე ორიენტაცია სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდებზე აიღო. პარკი კვლევის რაოდენობრივ მეთოდოლოგიას – სტატისტიკას „კაბინეტურ მაგიას" უწოდებდა და ვერ იტანდა; 2) ჩიკაგოს სკოლას ბევრი არაკეთილმოსურნე გამოუჩნდა. ისინი ვერ იტანდნენ მის წამყვან პოზიციებს და ალტერნატიულ ოპოზიციურ გაერთიანებებს ქმნიდნენ. ამ მიზნით 1930 წელს შეიქმნა „აღმოსავლური სოციოლოგიური საზოგადოება," დაარსდა ახალი ჟურნალი „ამერიკული სოციოლოგიური მიმოხილვა." ამ პროცესებს თან სდევდა სხვა მძლავრი ცენტრების წარმოშობა. მაგალითად, ჰარვარდის, კოლუმბიის და ა. შ. სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა პირველობა დაკარგა და უფრო ორგანიზებულ სოციოლოგიურ თეორიებს დაუთმო ასპარეზი, მაგალითად, სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს, ინტეგრალურ სოციოლოგიასა და სხვ.

ემპირიული კვლევები ჩიკაგოს სკოლაში

ამერიკა ემპირიული სოციოლოგიის სამშობლოცაა. ამ მხრივ საყურადღებოა ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგთა ღვაწლი, რომლის სტილი და მეთოდიკა ინდივიდუალურ და სოციალურ დონეზე სოციალური დეზორგანიზაციის ზუსტი ემპირიული აღწერით იყო განსაზღვრული. სოციოლოგიის ისტორიაში პირველად ჩიკაგოს სკოლის სოციოლოგებმა გამოიყენეს ჩართული დაკვირვება, არასტრუქტურიზებული ინტერვიუ, დოკუმენტური ანალიზი და ა. შ. განსაკუთრებით მოდური იყო ცალკეულ საქალაქო გაერთიანებათა კომპლექსური აღწერა, ე. წ. „შემთხვევის" აღწერა" – **case study** (ადამიანის ქცევის მოტივების მიკროსკოპული ანალიზი ქალაქის თეორიულ კონცეფციასთან სინთეზში, რომელიც რობერტ პარკმა შემოიღო).

ჩიკაგოს სკოლის ემპირიული კვლევების ხასიათი ასეთია:

- პოლონელი ემიგრანტების ცხოვრების აღწერა (თომასი და ზნანიეცკი), რომლის საფუძველზეც შეიქმნა „ცხოვრების ისტორიის მეთოდით" დაწერილი კლასიკური სოციოლოგიური ნაშრომი.
- შავკანიანთა მდგომარეობა ჩიკაგოში (ჩ. ჯონსონი).
- დასავლეთში მიგრირებული სეზონური მუშების პრობლემები (ე. მაუერი).
- ოჯახის დეზორგანიზაცია (რ. კეიეენი).
- ებრაული გეტო (ლ. ვირთი).

- ქალაქის სოციალურ-ტერიტორიული სტრატიფიკაცია, „ოქროს ქალაქი და ჯურღმული“ (პ. ზორბაუ).
- გართობის სოციოლოგიური პრობლემები – „ღამის კლუბები,“ „ფასიანი საცეკვაო დარბაზები“ და სხვ. (კ. კრესი).
- ორგანიზებული დანაშაული ჩიკაგოში (ჯ. ლანდესკო).
- „ჯეკ-როლერი“ ანუ დამნაშავეის ცხოვრების წესი (კ. შაუ).
- გაფიცვები (ე. ჰილაერი).
- რუსი მალაკნების თემი (პ. იუნგი) და მრავალი სხვა.
მთავარი აქცენტი კელევის თეისებრიე მეთოდებზე კეთდებოდა.

ფემინისტური ნაკადი ადრეულ ამერიკულ სოციოლოგიაში

სოციოლოგიური თეორიების შექმნაში სოციოლოგიის აღიარებულ და მსოფლიოში ცნობილ კლასიკოსებთან ერთად ნაკლებად ცნობილი ან, ხშირ შემთხვევაში, უცნობი წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სოციოლოგიის ისტორია, როგორც წესი, მათ ნააზრევს გვერდს უვლის ხოლმე. ესენი ქალთა სქესის ის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ფემინისტურ ნაკადს წარმოადგენენ სოციოლოგიაში. ქალთა ეს ჯგუფი ნოვატორული იდეების შემუშავებას ცდილობდა სოციოლოგიაში, ამიტომ მათი ეს მცდელობა უკვალოდ არ უნდა გაქრეს. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ჯეინ ედამსი (1860-1935), შარლოტა პერკინს ჟილმანი (1860-1935), ანა ჯულია კუპერი (1858-1964), იდა უელს-ბარნეტი (1862-1931), მარიანა ვებერი (1870-1954), ბეატრის პოტერ ვები (1858-1943) და სხვები. ჯორჯ რიტცერი მათ მიმართ უყურადღებობას შემდეგი მიზეზებით ხსნის: 1) მათი ნააზრევი ლოკალური სუბიექტური ხასიათის მქონეა; 2) ისინი ძირითად აქცენტებს ქალთა გამოცდილებაზე აკეთებენ, რომლის დროსაც განზე რჩებათ მთავარი და უმთავრესი; 3) მათი ყურადღების ცენტრში გენდერული უთანასწორობა დგას მხოლოდ.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ეს ქალბატონები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩრდილოატლანტიკური საზოგადოების გარდაქმნისა და სრულყოფის საქმეში, ამიტომ ისინი საზოგადო მოღვაწეები და აქტივისტები უფრო არიან, ვიდრე სოციოლოგები, თუმცა მათი დამსახურება ისაა, რომ ისინი სოციოლოგიურ თეორიებს არა განსჯისაკენ, არამედ მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. დღეს ფემინისტური ნაკადი სოლიდურ როლს ასრულებს თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში. ამ დროიდან მოყოლებული ფემინისტური თეორიები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ.

ჰარვარდის სკოლა

ჰარვარდის უნივერსიტეტში სოციოლოგიის განვითარებას საფუძველი რუსული წარმომაველობის ერთ-ერთმა დიდმა ამერიკელმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა (1889-1968) ჩაუყარა, რომელმაც აქ თავისი სამეცნიერო საქმიანობა 1930 წელს დაიწყო. მან გახსნა ჰარვარდის უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტი, რომლის პირველი ხელმძღვანელიც თვითონ იყო. სოროკინი ცნობილია, როგორც „სოციოკულტურული დინამიკის თეორიის“ ავტორი. მის სოციოლოგიურ თეორიას „ინტეგრალური სოციოლოგია“ ეწოდება. მასვე ეკუთვნის არაერთი საინტერესო ნაშრომი სოციოლოგიაში. იგი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა სოციოლოგიაში, რომ მის ნაასრევს დღეს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი სოციოლოგი. ჰარვარდის სკოლის სოროკინის მიერ მოპოვებული დამსახურებისა და დიდების განმტკიცებასა და დიდ სიმაღლეებამდე აყვანას შეუწყო ხელი სოროკინის მიერ პარსონსის მოწვევამ. ამ დროიდან მოყოლებული პარსონსი ამერიკული სოციოლოგიის გაელენიან ფიგურად იქცა. ტალკოტ პარსონსი (1902-1979) „სოციალური მოქმედების თეორიის“ ავტორია. თავის მოწაფე რობერტ მერტონთან ერთად იგი სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უდიდესი წარმომადგენელია. ჰარვარდის სკოლის ლიდერის პოზიციებზე პარსონსმა თავისი უფროსი კოლეგა სოროკინი შეცვალა, როდესაც მისი თანამდებობა – სოციოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა. მათ შორის მოწაფე-მასწავლებლის გულთბილი ურთიერთობა სოციოლოგიის კორიფეების არცთუ კეთილმოსურნე დებატებად გადაიქცა. ბოლოს სოროკინი იქამდეც კი მივიდა, რომ იდეების მოპარეაში ადანაშაულებდა პარსონსს.

ჰარვარდის სკოლის ცნობილი წარმომადგენელია აგრეთვე სოციოლოგი ჯორჯ ჰომანსი (1910-1989), რომელიც „სოციალური გაცვლის თეორიის“ ავტორია. ჰომანსის ეკუთვნის

სოციალური ჯგუფის სისტემური ანალიზის მთელი რიგი ამოსავალი პრინციპების ფორმულირება. მასვე ეკუთვნის იდეა სოციოლოგიური ცოდნის ერთიანობის შესახებ, რომლის მიხედვით, არც ბურჟუაზიული, არც კომუნისტური და არც სხვა ტიპის სოციოლოგია არ არსებობს, ობიექტურად სოციოლოგიური ცოდნა ერთიანია ყველგან.

კოლუმბიის სკოლა

კოლუმბიის უნივერსიტეტი სოციოლოგთა ყურადღების ცენტრად სოციოლოგიის კლასიკოსმა რობერტ მერტონმა (1910-2003) აქცია. იგი სოროკინისა და პარსონსის მოწაფე იყო, „ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი“ (1957 წ.), კოლუმბიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. იგი ერთადერთი სოციოლოგია, რომელიც სოციოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის შეამკეს ტიტულით – „MISTER SOCIOLOGYA.“ განუზომელია მისი წვლილი თეორიული სოციოლოგიის, სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის, თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების, მეცნიერების სოციოლოგიის, მედიცინის სოციოლოგიის, სოციალური სტრუქტურის, ბიუროკრატიის, სოციალური სტრატიფიკაციის, სოციალური დევიანტობისა და სხვა არაერთი საკვანძო პრობლემის ანალიზის საქმეში. იგი „საშუალო დონის სოციოლოგიური თეორიების“ ავტორია. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით აშშ-ში 50-60-იან წლებში მრავალი სერიოზული და მასშტაბური ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა იქნა ჩატარებული. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში იგი სოციოლოგთა უფროსი თაობის წარმომადგენლებთან: კოზერთან და ბლაუსთან ერთად სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მეთოდოლოგიის აღორძინებას ცდილობდა, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე დასავლური სოციოლოგიის ხელახალი გააზრება სურდა. იგი ამერიკული სოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და ავტორიტეტული ფიგურაა, რომელმაც უდიდესი კვალი დააჩნია სოციოლოგიის განვითარებას არა მარტო აშშ-ში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

რობერტ მერტონთან ერთად კოლუმბიის სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: რობერტ მორისონ მარკ-აივერი (1882-1907), რომელიც ცნობილია, როგორც სოციოლოგი და პოლიტოლოგი, მან დიდი წვლილი შეიტანა ამერიკაში მშრალი ემპირიზმისაგან სოციოლოგიის გამოყვანის საქმეში, იგი სოციალური ინტერესების ტიპოლოგიით არის ცნობილი; ფსიქოდრამისა და სოციომეტრიის მამამთავარი – იაკობ ლევი მორენო (1892-1974); პაულ ფელიქს ლაზარსფელდი (1901-1976), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციოლოგიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებისა და დანერგვის საქმეში. კოლუმბიის სკოლის წარმომადგენლად ითვლება „რადიკალური სოციოლოგიის“ წარმომადგენელი ჩარლზ რაით მილსი.

ემპირიული კვლევები კოლუმბიის სკოლაში

ჩიკაგოს სკოლისაგან განსხვავებით, კოლუმბიის სკოლა აქცენტებს კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე ამახვილებდა. შესაბამისად, აქ მოხდა ამ მეთოდების საბოლოო დახვეწა და ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოიცა ამერიკაში პირველი სტატისტიკის სახელმძღვანელო სოციოლოგთათვის. კოლუმბიელმა სოციოლოგებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლის მეთოდიკა შემუშავებულ იქნა დონალდ კემპბელის მიერ. ზემოთ ხსენებულ უნივერსიტეტებთან ერთად საინტერესო გამოკვლევები ტარდება ამერიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში.

რადიკალური სოციოლოგია ამერიკაში

ამერიკული სოციოლოგიის თითქმის ყველა წარმომადგენელი თავის თეორიას მარქსისტული კონცეფციის ალტერნატივად მიიჩნევდა, თუმცა ამერიკის სოციოლოგთა წრეებშიც იყვნენ ე. წ. რადიკალური სოციოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ თავს მარქსისტული თეორიის მომხრეებად მიიჩნევდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ რაით მილსი (1916-1962), რომლის დაინტერესება მარქსით კუბაში მომხდარმა რევოლუციამ განაპირობა. სწორედ მარქსისტულმა რადიკალიზმმა გადაისროლა მილსი ამერიკული სოციოლოგიის პერიფერიაზე. კრიტიკის ობიექტად ყოფნამ მილსი სოციოლოგიის კრიტიკამდე მიიყვანა, რაც ნათლად ჩანს მის წიგნში „სოციოლოგიური წარმოსახვა“ (1959).

მილსის კრიტიკის ობიექტი იყო პარსონსი (საერთოდ, პარსონსი, მისი კონცეფციის სირთულიდან გამომდინარე, იმდენად იყო სოციოლოგიაში მძაფრი კრიტიკის ობიექტი, რომ სოციოლოგთა შორის დამკვიდრდა გამოთქმა: „თუკი შენ არ გაგიკრიტიკებია პარსონსი, შენ არა ხარ სოციოლოგი“). არაერთმა სოციოლოგმა პარსონსის თეორია მილსის კრიტიკით გაიცნო. მილსი ისე გარდაიცვალა, რომ, ფაქტობრივად, გაგდებულ იქნა სოციოლოგთა წრიდან, თუმცა მილსის რადიკალური მოსაზრებები მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ გახდა სოციოლოგიაში აქტუალური. მილსი მებრძოლი და შეუპოვარი ადამიანი იყო. ამ თავისი ხასიათის გამო მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა კოლეგებთან. ეისკონსინის უნივერსიტეტში ასპირანტობის წლებში მისი თავდასხმის ობიექტი იყვნენ მისი მასწავლებლები; ეისკონსინის უნივერსიტეტის სოციოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს პოეარდ ბეკერს „აშკარა სულელს“ უწოდებდა. პარსონსთან ერთად მისი კრიტიკის ობიექტი იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ ლაზარსფელდი. მილსმა საბჭოთა კავშირშიც იმოგზაურა, სადაც მას აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, როგორც ცნობილ ანტიამერიკელს. ამის საპასუხოდ მან სტალინური რეჟიმის მიერ დახვრეტილი ტროცკის სადღეგრძელო ომახიანად დალია („იმ დღეს გაუმარჯოს, როდესაც ლეო ტროცკის თხზულებათა სრული კრებული გამოქვეყნდება საბჭოთა კავშირშიო“).

თანამედროვე ამერიკული სოციოლოგია

XX საუკუნის ამერიკულ სოციოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გაელენიანი ფიგურაა ირვინგ გოფმანი (1922-1982), ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1982 წ.), პერბერტ ბლუმერის მოწაფე, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, „დრამატურგიული ანალიზის თეორიის,“ – სცენისა და სოციალური ურთიერთქმედების იგივეობის სოციოლოგიური თეორიის – აეტორი, „ყოველდღიურობის სოციოლოგიის“ თეორეტიკოსი. მისი წიგნი „ყოველდღიურ ცხოერებაში საკუთარი თავის სხვებისადმი წარდგენა“ XX საუკუნის საუკეთესო წიგნების ათეულშია შესული. ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდა მისი დრამატურგიული მიდგომა ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკელეევებში.

გოფმანის მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა ე. წ. „ყოველდღიურობის სოციოლოგიის“ ბუმი ამერიკაში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები). ამ მხრივ ამერიკული სოციოლოგიის ერთ-ერთი აეტორიტეტული ფიგურაა ალფრედ შიუცი (1899-1959), „ფენომენოლოგიური სოციოლოგიის“ მამამთავარი. ნაცისტებისგან გამოქცეული შიუცი 1939 წელს ავსტრიიდან ამერიკაში ჩაიდა. მისი წიგნი „სოციალური სამყაროს ფენომენოლოგია“ 1923 წელს პირველად გერმანიაში დაიბეჭდა, ინგლისურ ენაზე კი 1967 წელს ითარგმნა. მან უდიდესი ზეგაელენა მოახდინა თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიურ თეორიაზე. ამერიკაში ახალჩამოსულმა შიუცმა ნიუ-იორკის „სოციოლოგიურ გამოკელეევათა ახალ სკოლაში“ დაიწყო მუშაობა. განუზომლად დიდია მისი წელილი არა მარტო ფენომენოლოგიური სოციოლოგიის, არამედ ეთნომეთოდოლოგიის განეითარებაშიც. იგი ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიას ეყრდნობოდა, რომელიც ტრანსცენდენტური მე-ს შემეცნებაზე იყო ორიენტირებული. ამ თეორიაზე დაყრდნობით იგი იმ საშუალებებს იკელევდა, რომლის მეშეობითაც ადამიანები „აღწეენ“ სხეის ცნობიერებაში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ინტერსუბიექტურობაზე ამახეილებდა. მთელი სინამდეილე შიუცის მიერ წარმოდგენილია, როგორც სოციალური ცხოერების – ყოველდღიური ცხოერებისეული სამყაროს ასპექტები.

ფენომენოლოგიური ცნებითი აპარატის სირთულე მიუწედომელს ხდიდა შიუცის თეორიის მთელ რიგ ფუძემდებლურ დებულებებს. იგი რთულ და ძნელად გასაგებ სოციოლოგიურ თეორიათა რიცხეს მიეკუთენება. შიუცის თეორია სხეა აეტორთა მიერ დაწერილ ნაშრომთა საშუალებით აღწეედა დაინტერესებულ მკითხეელამდე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1967 წელს ამერიკელმა სოციოლოგებმა პიტერ ბერგერმა და თომას ლუკმანმა ერთობლივი ნაშრომი გამოსცეს სახელწოდებით: „რეალობის სოციალური კონსტრუირება,“ რომელმაც იმით დაჩრდილა შიუცის ნაშრომები, რომ მასში სოციოლოგიური ფენომენოლოგიის დიდი წარმომადგენლის იდეები ყველასათეის გასაგებ ენაზე იყო გადმოცემული, ამასთანაეე იგი პარმონიზებული იყო თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად პარადიგმებთან.

შიუცის გაელენა ძალზე დიდი იყო მის მოწაფეებზე, რომელთაგან გამორჩეულია ეთნომეთოდოლოგიის თეორეტიკოსი პაროლდ გარფინკელი (დაიბადა 1917 წელს), კალიფორნიის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი (გარდაიცვალა 2011 წლის 21 აპრილს). სანამ

შიუცს დაემოწაფებოდა, იგი პარსონსთან სწავლობდა. ამიტომაც მისი სოციოლოგიური კონცეფცია პარსონსისა და შიუცის ნააზრევის სინთეზირების საფუძველზეა შექმნილი. დიდი აღიარება მოუტანა გარფინკელს მისმა ნაშრომმა: „გამოკვლევები ეთნომეთოდოლოგიაში.“ დღეს ეს თეორია მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე სოციოლოგიაში. თითქმის შეუძლებელია სოციოლოგიის ისეთი სახელმძღვანელოს პოვნა, რომელშიც ამ თეორიაზე არ იყოს საუბარი.

1970-იანი წლებიდან იურგენ ჰაბერმასის გაელენით ამერიკაში ძალზე პოპულარული ხდება მარქსისტული თეორია, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მარქსიზმის გაელენა ამერიკულ სოციოლოგიაში საბოლოოდ დასრულებულად მიიჩნევა. ამის მაგალითია რონალდ არონსონის წიგნი „მარქსიზმის შემდეგ“. სადაც ნათქვამია, რომ „მარქსიზმი დასრულდა და აწი ჩვენ საკუთარი თავის ანაბარა ვართ.“ მარქსის იდეებისადმი სიმპათიით განწყობილ ამერიკელ მოაზროვნეთა შორის აღსანიშნავია ე. წ. „სტრუქტურული მარქსიზმის “ წარმომადგენელი ალტიუსერი (1918-1990); „ეკონომიკური მარქსიზმის“ მიმდევრები სუიზი (დაიბადა 1910 წ.) და ბრეევერმანი (1920-1976); „ისტორიული მარქსიზმის“ წარმომადგენელი ემანუელ ვალერსტაინი (დიბადა 1930 წ.). ასე რომ, ამ მხრივ პრობლემები ამერიკულ სოციოლოგიაში ჯერ კიდევ არსებობს.

ამ პერიოდში ამერიკა მოგეელინა, როგორც ფემინისტური მოძრაობებისა და გენდერის სოციოლოგიის სამშობლო, რაც ე. წ. „ახალი ტალღის“ ფემინისტური გამოწვევებით იყო განპირობებული. კერძოდ, გამძაფრდა ქალთა მოძრაობა სამოქალაქო თანასწორობისათვის, რომელიც დიდი ხანია, რაც ამერიკის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო მასშტაბებში გადაიზარდა (ფემინისტურ მოძრაობას სულ მცირე სამ ეტაპად ყოფენ: I ეტაპი იმ პერიოდს მოიცავს, როდესაც ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს (1921 წ.); II ეტაპი XX ს-ის 70-80-იანი წლებია, რომელიც ქალთა მაღალი პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩევა, რის შედეგად იგი საერთაშორისო ფენომენი გახდა; III ეტაპი დღევანდელობას გულისხმობს, რომლის ძირითადი პრობლემა ძალადობა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებებია). ფემინიზმის თანამედროვე თეორეტიკოსებს შორის მნიშვნელოვანია არიადნა რიჩის, ნენსი ჩოდოროუს, ჯესიკა ბენჯამინის და სხვათა საქმიანობა. ამერიკაში ძალზე პოპულარულია ფემინისტური თემატიკის ჟურნალები „ნიშნები,“ „ფემინისტური კვლევები,“ „გენდერი და საზოგადოება.“ არსებობს პროფესიული გაერთიანება „სოციოლოგები ქალთა მდგომარეობისათვის“ და „ქალთა კვლევის ნაციონალური ასოციაცია.“

ამერიკული სოციოლოგიის წიაღში წარმოიშვა მიკროსოციოლოგია, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელია მორენო. მორენოს სოციომეტრია სოციოლოგიაში სრულიად ახალ საფეხურად იქნა მიჩნეული. მართლაც, ფასდაუდებელია მისი როლი მცირე სოციალური ჯგუფების შესწავლის საქმეში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ზოგად-თეორიულ პრობლემებთან ერთად სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში მიკროპრობლემები – მარტივ სოციალურ სისტემათა ანალიზიც მოექცა.

დღეისათვის ამერიკულ სოციოლოგიაში პოპულარული სოციოლოგიური თეორიების მიზანია სოციოლოგიური ანალიზის სხვადასხვა დონეების სინთეზირებით ახალი ინტეგრირებული სოციოლოგიური პარადიგმის შემუშავება, რომლის მაგალითია ჯეფრი ალექსანდერის „მრავალგანზომილებიანი სოციოლოგია“ (1983წ.). მისი მსგავსი ხედვა აქვთ ნორბერტ უოლს, ჯეიმს კოულმანს და ალენ ლისკს. ძირითადი პრობლემა ამ შემთხვევაში სოციალური სტრუქტურისა და სოციალური მოქმედების ინტეგრაციაა. თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში პოპულარულია აგრეთვე თანამედროვეობის, პოსტთანამედროვეობისა და პოსტ-პოსტთანამედროვეობის სოციოლოგიური კონცეფციები: ინფორმაციული საზოგადოების თეორია – მაგალითად, დენიელ ბელი; რაციონალური არჩევანის თეორია; მომხმარებლური საზოგადოების თეორია და მრავალი სხვა. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პოლიკულტურულ, ე. წ. **Queer** თეორიებს (არასასურველ, უცნაურ და საეჭვო თეორიებს), რომლის პრობლემატიკა სექსუალური უმცირესობებისა და მსგავსი პრობლემების კვლევაა.

სოციოლოგიური თეორიების მსგავსი ხასიათის დიდწილად განსაზღვრავს თანამედროვე ემპირიული სოციოლოგიური კვლევების ძირითად ტენდენციებს. შესაბამისად, გაჩნდა ე. წ. „პოპსოციოლოგია“, რომელსაც სოციოლოგიური განათლებით არაპროფესიონალები, არასოციოლოგები არიან დაკავებული. ბოლო დროს მოძრაობდა და მოდური გახდა არასოციოლოგების მიერ დაწერილი ტექსტები; გამოჩნდნენ სოციოლოგ-პუბლიცისტები და სოციოლოგ-ჟურნალისტები, მაგალითად, რ. იაკობი, დ. რისმენი და სხვები. ცხადია, ეს ამერიკულ საზოგადოებაში სოციოლოგიის პოპულარობას შეიძლება დაებრალოთ, მაგრამ

მთავარი დამნაშაეე ამ საქმეში პოსტკლასიკური ეპოქაა, რომელშიც სოციოლოგია მუდმიეი ტრანსფორმირების პროცესში იმყოფება.

სოციოლოგთა პროფესიული გაერთიანებანი

აშშ-ის სოციოლოგთა რეგიონალური ასოციაციებიდან მნიშენელოვანია ოჰაიოს სოციოლოგთა ასოციაცია (დაარსდა 1925 წ.), წყნარი ოკეანის ასოციაცია (დაარსდა 1930 წ.), აღმოსაელეთის (დაარსდა 1936 წ.), შუა დასაელეთის (დაარსდა 1936 წ.), სამხრეთ-დასაელეთის (დაარსდა 1938 წ.); ამ ორგანიზაციების მსგაესია „ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის" კოლუმბიის განყოფილება (დაარსდა 1936 წ.), რომელშიც 200-მდე სოციოლოგია გაერთიანებული. მათი უმრაელესობა აშშ-ის სახელმწიფო აპარატშია დასაქმებული. გარდა ამისა, არსებობს კიდეე სპეციალიზებული სოციოლოგიური გაერთიანებები. მაგალითად, ასეთია „სოციალურ პრობლემათა შემსწაელელი საზოგადოება" (დაარსდა 1952 წ.). მისი პირველი პრეზიდენტის ერნსტ ეერჯესის თქმით, ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია იმ კონკრეტული სოციალური პრობლემების კელეეებისათეის ხელშეწყობა, რომლებიც ამერიკულ საზოგადოებას კრიტიკულ მომენტებში ახასიათებს. ამ ტიპის ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი სფერო მაინც სოციოლოგიისა და სოციალური ცხოერების დაახლოებით შემოიფარგლება. ანალოგიური სახის გაერთიანებაა „სოფლის სოციოლოგიის საზოგადოება" (დაარსდა 1937 წ.), რომელიც აშშ-ის ფერმერული მეურნეობის პრობლემატიკის კელეებითაა დაკაებული.

საერთოდ, აშშ-ში დიდად აფასებენ დარგობრიეი სოციოლოგიური დისციპლინების კელეის შედეგებს. ასე რომ, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პრობლემების გადაწყეტისას ამ დარგის სპეციალისტები რჩეას ეკითხებიან სოფლის სოციოლოგიის წარმომადგენლებს. იგიეე ეითარებაა ქალაქის სოციოლოგიის, სპორტის სოციოლოგიისა და სხეა ანალოგიურ შემთხეეებში. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია „სოციოლოგიური კელეის ასოციაცია," რომლის წეერებად მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების მქონე გამოჩენილ სოციოლოგებს ირჩეენ, ამიტომაც ამ გაერთიანების წეერთა რაოდენობა მკაცრად განსაზღერულია (100 კაცს არ აღემატება).

სოციოლოგიის ამერიკული ჟურნალი („**American Journal of Sociology**") ერთ-ერთი უძეელესი სოციოლოგიური გამოცემაა ამერიკაში. იგი 1895 წელს არის დაფუძნებული. გამოიცემა თეეში ორჯერ ჩიკაგოს უნიეერსიტეტში. იმპაქტფაქტორიანი (მსოფლიოში ჟურნალების რეიტინგი იმპაქტფაქტორებით იზომება) ჟურნალების რეიტინგში მას მეორე ადგილი უჭირავს. ამჟამად მისი რედაქტორი ჩიკაგოს უნიეერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ებოტია. უფრო ადრე – 1967-1973 წლებში მისი წინამორბედი ჩ. ანდერსონი იყო.

უმთავრესი სოციოლოგიური გამოცემები

ერთ-ერთი უძეელესი ამერიკული სოციოლოგიური გამოცემაა ჩიკაგოს უნიეერსიტეტის სოციოლოგიის განყოფილების მიერ 1895 წელს დაარსებული ჟურნალი **„The American Journal of Sociology"**, რომლის რედკოლეგიის წეერები იყენენ პარსონსი, სოროკინი, მანჰაიმი და სხეა არაერთი გამოჩენილი სოციოლოგები. 1922 წლიდან ჩრდილოეთ კაროლინის უნიეერსიტეტში გამოიცემა პოვარდ ოდუმის ინსტიტუტის მიერ დაარსებული ჟურნალი **„Social Forces"**. 1936 წლიდან იბეჭდება **„American Sociological Rewiew"** – „ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის" ოფიციალური ორგანო, რომელიც ამ საზოგადოების მაშინდელი პრეზიდენტის ჯ. ბერნარდის მიერ არის დაარსებული. სპეციალიზებულ სოციოლოგიურ ჟურნალებს შორის აღსანიშნაეია 1953 წელს დაარსებული **„Social Problems"**, რომელთანაც სოციოლოგიის სხეადასხეა მიმართულების წარმომადგენლები თანამშრომლობენ. 1936 წლიდან გამოდის **„Rural Sociology"**, რომლის რედაქციაში მოღეაწეობენ აშშ-ის სხეადასხეა შტატების სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების თანამშრომლები. აშშ-ის სოციოლოგიურ გამოცემათა ნუსხა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ამ მხრიე ამერიკა ერთ-ერთი მოწინაეე ქეეანაა მსოფლიოში.

ამერიკული სოციოლოგიის მნიშენელოვანი წილი, როგორც წესი, უნიეერსიტეტებსა და კოლეჯებზე მოდის, რომელთაგან მნიშენელოვანია ჩიკაგოს, კანზასის, ინდიანის, კალიფორნიის, ნებრასკის, ილინოისისა და სხეა შტატების უნიეერსიტეტები, რომლებშიც 25 ათასზე მეტი სოციოლოგი მოღეაწეობს. მათ დიდ ნაწილს (დაახლოებით 75%) სოციოლო-

გიის პედაგოგები შეადგენენ. თანამედროვე სოციოლოგიის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა ამერიკელები არიან. ასე რომ, მათი სახელები მთელს მსოფლიოშია ცნობილი.

აღსანიშნაია, რომ დღეს ამერიკაში წიგნის ბაზარზე სოციოლოგიურ გამოცემებს მესამე ადგილი უჭირავს რელიგიური და მხატერული ლიტერატურის შემდეგ. ასე რომ, სოციოლოგია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეცნიერებაა ამერიკაში.

საბჭოთა დიქტატურის წლებში ამერიკულ სოციოლოგიას (ისევე როგორც დასავლეთის არაერთი მოწინავე ქვეყნის სოციოლოგიებს) ბურჟუაზიულ სოციოლოგიად მოიხსენიებდნენ და არასათანადოდ აფასებდნენ. სამწუხაროა, რომ საბჭოური მენტალიტეტის ადამიანებისათვის დღემდე გაუგებარი რჩება ამერიკული სოციოლოგიის მნიშვნელობა. ამერიკული სოციოლოგიის ნამდვილ არსს ყველაზე უკეთ მომავალი, ახალგაზრდა თაობა ჩასწვდება, რაც ყალბი სოციალური თეორიების გემო არ გაუსინჯავს. ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა ამერიკული სოციოლოგიიდან ისწავლოს, ეს პიროვნების თავისუფლებაა. ამერიკული გადასახედიდან სოციოლოგია გეელინება, როგორც ღია – დემოკრატიული საზოგადოების თეორია. თუკი ჩვენ გვსურს მსგავსი ტიპის საზოგადოების აშენება, მაშინ აუცილებლად მოგვიწევს სოციოლოგიის სფეროში დაგროვილი ამერიკული გამოცდილებების გაცნობა, მათი შესწავლა და კრიტიკული ანალიზი.

შენიშვნა:

ამერიკული სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე წარმომადგენლების კონცეფციებს სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტები დაწერილებით გაეცნობიან კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისადმი მიძღვნილი კურსების მოსმენისას, ამიტომაც ამ შემთხვევაში ამერიკულ სოციოლოგიაზე ზოგადი საუბრით უნდა შემოვიფარგლოთ.



რობეტრ პარკი
(1864-1944)



ტალკოტ პარსონსი
(1902-1979)

Columbia News



Renowned Columbia Sociologist and National Medal of Science Winner Robert K. Merton Dies at 92

კოლუმბიის უნივერსიტეტის გაზეთი მერტონის გარდაცვალების შესახებ

ავტორი: ჯეისონ პოლანდერი

ცნობილი კოლუმბიელი სოციოლოგი, მეცნიერების დარგში ეროვნული მედლის კავალერი რობერტ კინგ მერტონი 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის გამოჩენილი სოციოლოგი და აშშ-ში სოციალურ მეცნიერებათა სფეროს ერთ-ერთი უდიდესი ნოვატორი და გზის გამკვალავი – რობერტ კინგ მერტონი კვირას, 23 თებერვალს ნიუ-იორკში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. მერტონი საყოველთაოდ ცნობილი სოციოლოგია. თავისი თეორიული ნაშრომით სოციალური სტრუქტურის ანალიზის შესახებ მან სოციოლოგთა შორის პირველმა 1994 წელს მიიღო ეროვნული სამეცნიერო მედალი.



რობერტ კ. მერტონი

მერტონი მანჰეტენზე ცხოვრობდა; კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტს იგი 1941 წელს შეუერთდა და მსოფლიო სახელი გაუთქვა მას. მან მასშტაბური სოციოლოგიური თეორიების ნაცვლად „საშუალო დონის" თეორიებზე მოახდინა აქცენტირება. მერტონმა განავითარა ფუნქციის იდეა და თავის კოლეგებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა „ფოკუსირებულ ინტერვიუს," რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიაში.

მერტონმა თავისი არაერთი საყურადღებო იდეა ადამიანების ურთიერთზემოქმედებაზე დაკვირვების შედეგად ჩამოაყალიბა. მერტონის ნააზრევის ლოგიკურობამ და თანმიმდევრულობამ ექვენ გარფილდის აღფრთოვანება გამოიწვია (საინფორმაციო სპეციალისტი). ის წერდა: „მისი ნათქვამიდან იმდენი რამაა აბსოლუტურად ცხადი და მართალი, რომ ძნელი წარმოსადგენია, აქამდე რატომ არავინ შეიწუხა თავი და მიაქცია მათ ყურადღება.

1942 წელს მერტონმა ყურადღება მიიპყრო, როდესაც „მეცნიერების ეთოსი" აღწერა. კერძოდ ის, თუ რა გავლენას ახდენს ღირებულებითი ორიენტაცია მეცნიერთა ქცევაზე ინსტიტუციური დოგმების პირობებში. მან დაახასიათა მეცნიერები, როგორც ინდივიდები, რომელთაც აქვთ შესაბამისი მოტივაცია და სურვილები და გარკვეული შინაარსიც; ამდენად, ისინი არიან ყველაზე მოუხელთებელი და შემოქმედებითი მოაზროვნეები მსოფლიოში.

მერტონის ნაშრომების შედეგების მნიშვნელობა აკადემიურობის ფარგლებს ხშირად სცილდებოდა.

მისი საკმაოდ გავლენიანი შრომა სოციალურ სტრუქტურასა და ანომიაზე დამყარებული იყო ფრანგი სოციოლოგის ემილ დიურკემის გამოკვლევაზე ანომიის შესახებ. ის ცდილობს ახსნას, რომ დევიაცია სოციალური სტრუქტურების არსებიდან გამომდინარეობს.

კოლუმბიის უნივერსიტეტის რექტორი ჯონათან რ. კოული 1960-იან წლებში მერტონის სტუდენტი იყო და მერტონს იხსენებდა, როგორც „ბუმბერაზს სოციოლოგთა შორის." სოციოლოგიაში ნობელის პრემია რომ ყოფილიყო დაწესებული, ის ამ პრემიას უეჭველად მიიღებდა.

„ბობ მერტონი სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის ლიდერი გახდა სოციოლოგიაში. ამასთანავე იგი იმ სოციოლოგების ლიდერი იყო, რომლებიც ცდილობდნენ ისეთი სოციოლოგიური თეორიების შექმნას, რომელთა ემპირიული შემოწმება შესაძლებელი იქნებოდა," – ამბობდა კოული. ის იყო შთამაგონებელი მასწავლებელი და უბადლო რედაქტორი. მერტონი ბევრს შრომობდა ამერიკაში სოციოლოგიის დასაფუძნებლად და დასამკვიდრებლად. იგი დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა სტუდენტებთან მუშაობას. „ჩემთვის ის სამაგალითო მასწავლებელი და დამრიგებელი, სანდო კოლეგა და ახლო მეგობარი იყო. მისი გარდაცვალება მე-20 საუკუნის სოციოლოგიაში ერთ დიდ პერიოდს ასრულებს," – ამბობდა კოული.

მერტონი 1910 წლის 4 იელისს ფილადელფიაში დაიბადა. ის ქალაქის ღარიბულ, სამხრეთ ნაწილში გაიზარდა, სადაც მისი ებრაელი ემიგრანტი მშობლების (მისი წინაპრები უკრაინიდან ჩამოსახლებული ებრაელები იყვნენ) კუთვნილი საბაყლო-გასტრონომიული მაღაზია მდებარეობდა. დედამისი თვითნასწავლი ფილოსოფოსი იყო, ის ამხნევებდა

შეილს და ურჩევდა, რომ ფილადელფიის კულტურული შესაძლებლობები გამოეყენებინა. ბავშვობისას მერტონს ხშირად ნახავდით კარნეგის ბიბლიოთეკაში, რომელიც სახლის გაზის ლამპასთან შედარებით უკეთესი განათებით იყო უზრუნველყოფილი. მერტონი მუსიკის აკადემიასა და ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმში სიარულით ტკბებოდა.

14 წლის ასაკში მან თავისი სახელი – მეიერ რობერტ სკოლნიკი რობერტ მერლინით შეცვალა, თუმცა მალევე იგი მისმა მეგობრებმა დაარწმუნეს, რომ ეს გვარი ძალზე ფანტასტიკური იყო, ამიტომ მან მისი ამერიკანიზებული ვარიანტი – მერტონი არჩია საბოლოოდ. მისი ბავშვობა სამხრეთ ფილადელფიის ჯურღმულებში განსაცვიფრებლად მომხიბლავი და მომაჯადოებელი იყო.

მერტონი სტიპენდიას ტემპლის უნივერსიტეტში იღებდა. უნივერსიტეტის დერეფნებში ხეტიალის დროს სრულიად შემთხვევით სოციოლოგიის აუდიტორიაში მოხვდა. მისმა მყისიერმა გატაცებამ ამ საგნით სტიმული მისცა მას, რომ გამხდარიყო მაგისტრი და ფილოსოფიის დოქტორი პარვარდში. მოგვიანებით მერტონი სოციოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე გახდა ტულანში. კოლუმბიაში ის 1941 წელს ჩამოვიდა, სადაც 5 ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ასწავლიდა. ამ ხნის მანძილზე იგი მუშაობდა გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევის ბიუროს დირექტორად (1942-1971 წწ.); იყო გიდინქსის სოციოლოგიის პროფესორი 1963-1974 წლებში და კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი 1974 წლიდან პენსიაზე გასვლამდე (1979 წლამდე).

კოლუმბიაში მერტონი ახალგაზრდა სოციოლოგ პ. ლაზარსფელდს შეხვდა. ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ. ამ წყვილმა ერთმანეთი შესანიშნავად შეავსო, რამდენადაც მერტონი თეორიისაკენ იხრებოდა, ლაზარსფელდი კი – ემპირიზმისაკენ. 1944 წელს მათი ინიციატივით გამოყენებითი სოციოლოგიური კვლევის ბიურო დაარსდა, რაც მათ თეორიასა და ემპირიულ კვლევას შორის კავშირის გაძლიერებაში დაეხმარა. მათი ერთობლივი კვლევა ერთ-ერთი პირველი იყო იმ გამოკითხვებს შორის, რომელიც ამერიკის მოსახლეობაზე რადიოსა და ტელევიზიის ზემოქმედებას შეეხებოდა.

ამ ბიუროს მიერ გამოცემულ გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია კრებული „ხალხის არჩევანი," რომელიც 1940 წლის საპრეზიდენტო კამპანიაში კენჭისყრის დასკვნებს აანალიზებს. აღსანიშნავია აგრეთვე პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის სფეროში ჩატარებული გამოკვლევები, რომლებმაც ისტორიკოსი ევერეტ როჯერსი ისე აღაფრთოვანა, რომ მან „მერტონისა და ლაზარსფელდის სოციოლოგიურ ბიუროს" მასობრივი კომუნიკაციის კვლევის „დაბადების ადგილი" უწოდა.

1979 წელს მერტონმა მიატოვა სწავლება და უნივერსიტეტის სპეციალური მომსახურების პროფესორის ტიტული მოიპოვა. ამ ტიტულით კოლუმბიის უნივერსიტეტის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები სარგებლობენ მხოლოდ. იგი გულისხმობს „სპეციალურ სამსახურს," რომელსაც მსგავსი ტიტულის მქონე პირები უნივერსიტეტს უწევენ. კოლუმბიის უნივერსიტეტმა 1990 წელს სოციალურ მეცნიერებებში რობერტ მერტონის პროფესურა დააარსა.

მის მიერ მეცნიერებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილის გამო მერტონი პირველი სოციოლოგი გახდა, რომელმაც ამერიკელი ერის უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო – მეცნიერების ეროვნული მედალი მიიღო. როდესაც მას აცნობეს, რომ ის მიიღებდა ამ ჯილდოს 1994 წლის ცერემონიაზე, რომელსაც მაშინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი მასპინძლობდა, მერტონმა თქვა: „ეს ჯილდო მეტ აღიარებას სოციოლოგიას უფრო მოუტანს, ვიდრე მე."



ამერიკის ეროვნული სამეცნიერო მედალი

მერტონი 20 წიგნისა და 200-ზე მეტი სტატიის აეტორი, თანაავტორი და რედაქტორი იყო, თუმცა ალბათ ყველაზე მეტად ცნობილია თავისი ნაშრომით: „სოციალური თეორია და სოციალური სტრუქტურა", რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და 30-ზე მეტჯერ გამოიცა. მის სხვა ნაშრომებს შორის თეორიული და ემპირიული სოციოლოგიის არაერთი საინტერესო გამოკვლევაა აღსანიშნავი.

მერტონს ჰყავდა მეუღლე, სოციოლოგი პარიეტ ზაკერმენი, ერთი ბიჭი – რობერტ მერტონი და ორი ქალიშვილი: სტეფანი ტომბრელო და ეანესა მერტონი, ასევე 9 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრა კოლუმბიის უნივერსიტეტის ეზოში ამ გაზაფხულზე ჩატარდება.

25 თებერვალი, 2003 წ.

შენიშვნა:
რობერტ მერტონი 2003 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა.

მერტონი მაკარტურის სტიპენდიის მფლობელიც იყო, რომლის ოდენობა 500 000 აშშ დოლარის ტოლია. სტიპენდია ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მიერ არის დაწესებული და ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელს ეძლევა განსაკუთრებული მიღწევისა და ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ამ ჯილდოს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „გრანტს გენოსთათვის.“ სტიპენდიაზე ნომინირებას ანონიმურად ახორციელებს ფონდის კომიტეტი.

ტექსტის ქართული ვარიანტი მოამზადა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის
მიმართულების სტუდენტმა ეკა ლეკიშვილმა

საკითხავი მასალა

სოციოლოგია იაპონიაში

თანამედროვე მსოფლიოში იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სათანადოდ აფასებენ სოციოლოგიის როლს საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმატებულ ფუნქციონირებაში, ამომავალი მზის ქვეყანაა გამორჩეული. იაპონიაში სოციოლოგიამ დიდ წარმატებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია, თუმცა სოციოლოგიის ისტორია იაპონიაში უფრო ადრეული პერიოდიდან იწყება. ამ შემთხვევაში 1878 წელი მიიჩნევა ათელის წერტილად, როდესაც ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში ამერიკელმა სოციოლოგმა ე. ფენოლზმა სოციოლოგიისა და სოციოლოგებისადმი მიძღვნილი ლექცია წაიკითხა.

იაპონელებმა თავდაპირველად სოციოლოგია თარგმნეს, როგორც „გუნგაკუ“ – მეცნიერება კოლექტივის, ჯგუფის შესახებ, თუმცა მალე იაპონურ ენაში გაჩნდა ტერმინი „საიაიაგაკუ“ – მეცნიერება საზოგადოების შესახებ. 1882 წელს იაპონიაში ითარგმნა და გამოიცა სპენსერის „სოციოლოგიის პრინციპები.“ იმავე ხანებში იაპონელებს საშუალება მიეცათ მშობლიურ ენაზე სოციოლოგიის მამის ოგიუსტ კონტის ნაშრომებსაც გასცნობოდნენ.

სოციოლოგიის ისტორია იაპონიაში რამდენიმე ეტაპად იყოფა, კერძოდ, საწყის პერიოდად XIX საუკუნის 70-იანი წლები მიიჩნევა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე გრძელდება; მეორე ეტაპი იაპონიაში სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციის ხანაა. იგი პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან იწყება და XX საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდება; მომდევნო ეტაპი კი XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან იწყება და მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდელ პერიოდს მოიცავს; მეოთხე ეტაპი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან იწყება და დღემდე გრძელდება.

ტოკიოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის პირველი პროფესორი 1893 წელს მასაოკა ტოიამა გახდა. ამავე უნივერსიტეტში 1903 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში სოციოლოგიის პირველი კათედრა გაიხსნა, 1920 წლიდან კი სოციოლოგია საჯალდებულო საგნის სახით თანდათანობით ჩაერთო იაპონიის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

პირველი საყურადღებო სოციოლოგიური ნაშრომი იაპონიაში 1883-1884 წლებში გამოცემული ნაგაო არუგას სამტომიანი „სოციოლოგია“ იყო.

სოციოლოგია, დასავლური წარმომავლობის მიუხედავად, იაპონიაში განვითარების საკუთარი გზით მიემართებოდა, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით თავისუფალი იყო დასავლური გავლენისაგან, რადგანაც დასავლური სოციოლოგიისათვის უცხო იყო სრულიად უნიკალური მოვლენის – იაპონური საზოგადოების სპეციფიკა, ამიტომ დასავლური სოციოლოგია იაპონიაში ერთგვარი ორიენტირის როლს ასრულებდა მხოლოდ.

იაპონიაში სოციოლოგიის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ იაპონელ განმანათლებელს ფუკუძიმა იუკიჩის (1835-1901); კონტის იდეების გამაერცელებელი იყო აგრეთვე ცნობილი განმანათლებელი ამანე ნიში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა იაპონიაში აკადემიური სოციოლოგიის ფორმირების პროცესში.

1920 წლის დასაწყისში იაპონურ სოციოლოგიაში ორი ძირითადი სოციოლოგიური სკოლა გამოიკვეთა: პირველი მათგანი კიოტოს უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებდა და თეორიულ სოციოლოგიურ კვლევებზე იყო ორიენტირებული, ხოლო მეორე ტოკიოს ემპირიული სოციოლოგიური სკოლის სახელითაა ცნობილი. იაპონიაში სოციოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ტ. ტონგოს (1871-1945) სახელი, რომელიც ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრას ედგა სათავეში, სადაც 1903 წელს იაპონური სოციოლოგიის კონსერვატორულ-ნაციონალური მიმართულების წარმომადგენლის ტატებეს ხელმძღვანელობით „სოციოლოგიური წრე" შეიქმნა, რომლის ბაზაზე 1913 წელს იაპონიის სოციოლოგიის ინსტიტუტი (Nihon Shakaigakuin) დაარსდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში სოციოლოგიის განვითარებაზე პარსონსის იდეებმა იქონია დიდი გავლენა, კერძოდ მისმა სტრუქტურულ-ფუნქციონალისტურმა სოციოლოგიურმა თეორიამ, რომელიც განიხილებოდა, როგორც „მოდერნის" ეპოქის სოციოლოგია. 1960-იანი წლებიდან პარსონსს მიმდევართა მთელი პლეადა გამოუჩნდა. მათგან გამორჩეულია ტომინაგა კენიტი; ამ დროისათვის თანდათან გამოიკვეთა იაპონური სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები და დარგები. ესენია: კოპარატივისტული სოციოლოგია, გენდერული სოციოლოგია, ახალგაზრდობის სოციოლოგია, სოფლის სოციოლოგია, ქალაქის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია და სხვ. იაპონიაში დიდი ყურადღება ექცევა სოციალური, ეთიკური და კულტურული იდენტობის კვლევას.

დღეს იაპონელ სოციოლოგთა სოლიდურ ნაწილს „იაპონური სოციოლოგიური ასოციაციის" ფარგლებში მოქმედი სამეცნიერო დაჯგუფებები და კვლევითი ცენტრები წარმოადგენენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება: პიტოცუბასის ტოკიოს უნივერსიტეტის გლობალური კვლევების ინსტიტუტის ევროპის შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პროფესორ პიტოში აოკის ხელმძღვანელობით ევროპულ სამეცნიერო-კულტურულ ტრადიციებსა და ნოვაციებს შეისწავლის. ანალოგიური კვლევის ცენტრებია „ამერიკა და ისლამი," „ევროპა ევროპის გარეშე" და სხვ.

იაპონური საზოგადოების ეკონომიკურ წარმატებაში სოციოლოგია დიდ როლს ასრულებს. იგი ყველა იმ პროცესის უშუალო მონაწილეა, რომელიც სოციალური ცხოვრების ამ სფეროში მიმდინარეობს, ამიტომაც დიდად პოპულარულია ეკონომიკური სოციოლოგია, შრომის სოციოლოგია და ბიზნესის სოციოლოგია. მსოფლიოში ცნობილი იაპონური ფირმების, მაგალითად, „ტოიოტას," წარმატების საიდუმლო იაპონური საზოგადოების სპეციფიკურ სოციალურ ურთიერთობებში დევს, რომელიც სოციოლოგების გამუდმებული ყურადღების ქვეშაა მოქცეული; ამიტომ იმ ფირმებსა და კომპანიებს, რომლებიც იაპონური გამოცდილების კოპირებას ახდენენ, ამ ფაქტების გათვალისწინების გარეშე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ წარმატების იმედი. სოციოლოგიის პროფესორის დიპაკ ლალის თქმით, იაპონელები ცხოვრებისაგან სულ სხვა რამეს მოელიან, ვიდრე ევროპელები, შესაბამისად, მათი მოქმედება სხვა ღირებულებითი ორიენტაციითაა მოტივირებული.

თანამედროვე იაპონელი სოციოლოგების უსაყვარლესი თემაა გლობალიზაციის ეპოქაში საკუთარი იდენტობის შენარჩუნება. შესაბამისად, სოციოლოგიურ გამოკვლევათა ძირითადი რაკურსი სწორედ ამ მიმართულებითაა კონცენტრირებული. მსგავსი ტიპის გამოკვლევების ფინანსურ უზრუნველყოფასა და მონიტორინგს სახელმწიფო ახორციელებს.

1960 წლიდან იაპონურ სოციოლოგიურ ლიტერატურაში ძალზე პოპულარული გახდა „იაპონელისა და იაპონური კულტურის თეორია." ამის მაგალითია მასიმოტი სასკის მოღვაწეობა, რომელიც იაპონური კულტურის ორიგინალურობაზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ მხრივ საყურადღებოა სოციოლოგისა და ეთნოგრაფის იანაგიტა კუნიოს გამოკვლევები. იგი ზემოთ ხსენებული საკითხის მკვლევარ მეცნიერთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელშიც შედიოდნენ: იაპონიაში სოფლის სოციოლოგიის ფუძემდებელი სუძუკი ეიტარო, 1940 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „იაპონიის სოფლის სოციოლოგიის პრინციპები;" სოციოანთროპოლოგი ნაკანე ტიე (ავტორი წიგნისა „ვერტიკალური სტრუქტურის საზოგადოება"); სუგიმოტო ეისო და როს მური („იაპონური კულტურული ნაციონალიზმის" შესახებ დაწერილი ნაშრომის ავტორები); იაპონური საზოგადოების სტრუქტურული სახის აგების მცდელობა აქვს მოცემული ნაკანე ტიეს, რომელიც სპეციალურად სწავლობდა სტრატიფიკაციისა და მობილობის პრობლემებს. მის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალური იდენტობის მიუხედავად იაპონიაში ქსენოფობიის საფუძვლები არ არსებობს.

სოციოლოგიის ფაკულტეტი II მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის 140-ზე მეტ უნივერსიტეტსა და კოლეჯში არსებობდა. სოციოლოგიის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი 1923 წელს დაარსებულმა იაპონიის სოციოლოგიურმა საზოგადოებამ, რომელიც მაშინაც და დღესაც თავის წევრთა რიცხოვნობით მხოლოდ ამერიკის ანალოგიურ ორგანიზაციას თუ ჩამორჩება. კუნიო ოდაეას თქმით, „აშშ-ის შემდეგ ყველაზე ძლიერი კადრები სოციოლოგიაში იაპონიას ჰყავს", რაც ნამდვილად არ არის მოკლებული საფუძველს.

ცნობილი იაპონელი სოციოლოგები არიან: ტონგო ტაკებე; ტოხოკუს უნივერსიტეტის პროფესორი მასამიტო სჰიმეი (მის მიხედვით, სოციოლოგია სინთეზური მეცნიერებაა, რომელიც სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ურთიერთმიმართებას შეისწავლის); ხოსეის უნივერსიტეტის პროფესორი ბუნიტისო მაუმატო („სოციოლოგიის საფუძვლების" ავტორი); ტეიმო ტოდა (ოჯახის სოციოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი, ოჯახისა და ეკონომიკური მდგომარეობის კორელაციის მკვლევარი); ცნობილია აგრეთვე იეაკი მესეის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, კლასიკური სოციოლოგიის აღიარებული სპეციალისტი ოვანე ტაკეში.

საინტერესო სამეცნიერო ტრადიციები აქვს იაპონიაში მრეწველობის, ინდუსტრიის სოციოლოგიას, რომელსაც 1947 წლიდან ტოკიოს უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი. ემპირიული კვლევების ისტორიის კუთხით საინტერესოა იაპონური საზოგადოების სოციალური დაძაბულობის კვლევა, რომელიც 1951 წლიდან დღემდე ყოველწლიურად ტარდება. ამერიკის შეერთებული შტატების დარად, სოციოლოგია იაპონიაში ძალზე პოპულარული მეცნიერებაა. ამ მხრივ იაპონური გამოცდილების გაზიარება, უდავოდ, საშური სქმეა. დღეს იაპონელი მეცნიერები ნაყოფიერად იღვწიან მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებში, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში და სხვ. ამის ნათელი მაგალითი იაპონური წარმომაელობის ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე ფრენსის ფუკუიამაა.



ფრენსის ფუკუიამა
იაპონური წარმომაელობის ამერიკელი
მოაზროვნე. დაიბადა 1952 წლის 27 ოქტომბერს

* * *

„როცა ნიცშეს ზარათუშთრამ ბრბოს უკანასკნელი ადამიანის შესახებ მოუთხრო, ყეირილი ატყდა: – „მოგვეც ეს უკანასკნელი ადამიანი, ზარატუსტრა!" „უკანასკნელ ადამიანად გვაქციე!" – აყვირდა ხალხი. უკანასკნელი ადამიანის სიცოცხლე ფიზიკურ უსაფრთხოებასა და მატერიალურ კეთილდღეობას ნიშნავს, ანუ სწორედ იმას, რასაც დასავლელი პოლიტიკოსები გულმხურვალედ პპირდებიან თავიანთ ამომრჩევლებს. მართლა მხოლოდ „ამაზე იყო" კაცობრიობის ისტორია მომართული ამ ბოლო ათასწლეულის განმავლობაში? ნუთუ უნდა გეეშინოდეს, რომ ჩვენი მდგომარეობით ერთდროულად ბედნიერნი და კმაყოფილნი უკვე ადამიანები კი არა, **homo sapiens**-ის გვარის ცხოველებიღა ეიქნებით?" .

ფრენსის ფუკუიამა

საკითხავი მასალა

სოციოლოგია რუსეთში

ცნობილი რუსი სოციოლოგი და ისტორიკოსი მ. კოვალევსკი იხსენებდა, რომ უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებისას საზღვარზე ჟანდარმმა ჰკითხა: „ხომ არ მოგაქვთ წიგნები სოციოლოგიაში? იცით თუ არა, რომ რუსეთში ეს აკრძალულია?" ეს ამბავი ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დასაწყისისაგან განსხვავებით რუსეთში სოციოლოგია დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო; არ ჰქონდა საკუთარი დაწესებულებები, ლაბორატორიები, სასწავლო კურსები, გამოცემები, ჟურნალები და ა. შ. თავისუფალი მეცნიერება თავდაპირველად მიუღებელი აღმოჩნდა მეფის რუსეთისათვის, შემდეგ კი – ბოლშევიკური და ბოლოს – საბჭოთა ხელისუფლებისათვის. სიმართლე რომ ეთქვათ, ტოტალიტარული რეჟიმები ვერ იტანენ სოციოლოგიას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დიქტატურის პირობებში არავის აინტერესებს სხვისი (საზოგადოებრივი) აზრებისა და შეხედულებების შესწავლა. სოციოლოგია რუსეთში მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ხელისუფლებების მხრიდან. რუსეთში რომ სოციოლოგიის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები ყოფილიყო, იქიდან არ გაასახლებდნენ მსოფლიო დონის სოციოლოგს, ჰარვარდის უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტის დამაარსებელ პიტირიმ სოროკინს, რომელიც დღეს ხელახლა აღმოაჩინეს რუსეთში; თუმცა რამდენიც უნდა ილაპარაკონ, დღეს სოროკინი ამერიკული სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლად არის მიჩნეული. ხელისუფლების მხრიდან არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების მიუხედავად, სოციოლოგიისადმი ინტერესი რუსული საზოგადოების განათლებულ ფენაში არ განელებულა.

1907 წელს რუსეთში, პეტერბურგში ცნობილმა მეცნიერმა ე. ბეხტერევმა პირველი თავისუფალი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება „ფსიქო-ნეიროლოგიური ინსტიტუტი" დაარსა, სადაც 1908 წელს ცნობილმა სოციოლოგებმა მ. კოვალევსკიმ და ე. დე რობერტიმ რუსეთის იმპერიაში სოციოლოგიის პირველი კათედრა დააარსეს. სწორედ აქ სწავლობდნენ პ. სოროკინი და ნ. კონდრატიევი. იმ დროისათვის 160-მილიონიან ქვეყანაში ეს სოციოლოგიის ერთადერთი კათედრა იყო. სოციოლოგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთში კიდევ დიდხანს გაგრძელდა. 20-იანი წლებიდან სოციოლოგიისადმი ინტერესი თითქოს გაიზარდა, რასაც 1918 წელს პეტროგრადისა და იაროსლაველის უნივერსიტეტებში სოციოლოგიის კათედრების დაარსება ადასტურებს, ხოლო 1920 წელს პეტროგრადის უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის პიტირიმ სოროკინის თაოსნობით სოციოლოგიის ფაკულტეტიც გაიხსნა, სადაც სახელოვანმა მეცნიერმა მხოლოდ 1922 წლამდე, რუსეთიდან განდევნამდე იმუშაა.

მკვლევრები სოციოლოგიის ისტორიას რუსეთში რამდენიმე ეტაპად ყოფენ (მაგ., იადოვი, ნოვიკოვი და სხვ.): I ეტაპი XIX საუკუნის შუახანებიდან იწყება და 1918 წლამდე გრძელდება; II ეტაპი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება და 50-იანი წლების ბოლომდე გრძელდება; III ეტაპი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება; I ეტაპზე წინა პლანზე წამოწეულია ე. წ. „სუბიექტური სკოლა" – პ. ლავროვი და ნ. მიხაილოვსკი; ნატურალისტური თეორიები – ლ. მეჩნიკოვი; ორგანიციზმი – ა. სტრონინი, პ. ლილიენფელდი; ფსიქოლოგიური მიმართულება – ე. დე რობერტი, ნ. კარეევი; კოვალევსკის პლურალისტური სკოლა, რომელიც სოციოლოგიას სინთეზურ მეცნიერებად მიიჩნევდა; ორთოდოქსალური მარქსიზმი – ე. ლენინი, გ. პლეხანოვი; ნეოკანტიანელობა – სოციოლოგიური გნოსეოლოგია – ა. ლაპო-დანილევსკი, ბ. კისტიაკოვი; ლეგალური მარქსიზმი – მ. ბარანოვსკი, პ. სტრუვე; II ეტაპზე სოციოლოგია ყველაზე არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ პერიოდიდან სოციოლოგიური გამოკვლევები რუსეთის მასშტაბით შეწყვეტილია. ისტორიული მატერიალიზმი (ყალბი მარქსისტული მოძღვრება საზოგადოებისა და ისტორიის შესახებ), პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი (ასევე ყალბი მეცნიერება) კრძალავენ სოციოლოგიურ მეცნიერებას. ეს სოციოლოგიის დაცემის პერიოდია. შემდგომ ეტაპზე მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ იმპერიული და საბჭოური მენტალიტეტისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა რუსულ სოციოლოგიას დღემდე უჭირს. ხრუშჩოვის დროიდან სოციოლოგია თითქოს აღიდგენს თავის სტატუსს, დასავლეთში ძალზე პოპულარულ მეცნიერებას, ვითომდა ინტელექტუალური ჩამორჩენილობა არ დაგვწამონო, სათანადო ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირშიც. 1960 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაარსებულ იქნა პირველი სოციოლოგიური დაწესებულება – სოციოლოგიური გამოკვლევების განყოფილება (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტი), ანალოგიური დაწესებულება გაიხ-

სნა ლენინგრადის უნიერსიტეტშიც. 1974 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო სპეციალიზებულმა ჟურნალმა „სოციოლოგიური გამოკელეევები."

1989 წლის 6 ივნისს სოციოლოგიის ფაკულტეტი გაიხსნა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნიერსიტეტში, სადაც ამჟამად სოციოლოგიის 12 კათედრა ფუნქციონირებს, რაც პრაქტიკულად სოციოლოგიური ცოდნის ყველა დონესა და მიმართულებას მოიცავს. აქ სოციოლოგიური კელეევის პრიორიტეტული მიმართულებებია: სოციალური პროცესების გლობალიზაცია, ინფორმაციონალიზმი, სოლიდარობა, სოციალური ეკოლოგია, სოციალური კონფლიქტები, ტოლერანტობა, სოციალური სიტემების უსაფრთხოება, ექსტრემიზმი და ტერორიზმი და სხე. სასწაელო კურსები მოიცაეს კომპიუტერულ სწაელებას (მაგ., კომპიუტერული პრაქტიკუმი).

სოციოლოგიური კელეევის შედარებით მდიდარი ტრადიციებით გამორჩეულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც 1968 წელს დაარსდა საბჭოთა კაეშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ინსტიტუტს აქეს ასპირანტურა, სადაც სოციოლოგიის დარგში სამეცნიერო კადრების მომზადება ხდება. ეს ინსტიტუტი კონკურენციას უწეეს საუნიერსიტეტო სოციოლოგიას და სოციოლოგიაში აკადემიური მიმართულების სოლიდური წარმომადგენელია. ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილია პუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმწიფო-აკადემიური უნიერსიტეტი, რომელსაც სოციოლოგიის ფაკულტეტი და კათედრა გააჩნია. ფაკულტეტის დეკანია ცნობილი სოციოლოგი, თანამედროე რუსული აკადემიური სოციოლოგიის აღიარებული წარმომადგენელი ელადიმერ იადოეი (სოციოლოგიაში შეტანილი წელილისათეის ნ. პოკროესკისთან ერთად დაჯილდოებულია სოროკინის დიდი ოქროს მედლით). მას თანამედროე „რუსული სოციოლოგიის მერტონს" ეძახიან. რუსეთში სოციოლოგიის პოპულარიზაციას ხელს უწყობს „სოციოლოგთა საზოგადოება," რომელშიც პროფესიონალი სოციოლოგებია გაერთიანებული.

საბჭოთა ეპოქაში სოციოლოგიის მდგომარეობაზე არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების მიერ, რომლებიც საბჭოთა კაეშირში სტუმრად არიან ნამყოფი. მათ რიცხეს მიეკუთენება ტალკოტ პარსონსი, რაიმონ არონი, ჯორჯ ფრიდმანი, რობერტ მერტონი, ჰენრი რიკენი-უფროსი, ტ. მარშალი და ტ. ბოტომლერი.

მათგან გამორჩეულია სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიმართულების მეთაურის ტალკოტ პარსონსის შთაბეჭდილებები და მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკაეშირებით. 1964 წლის 5 მაისიდან 22 მაისამდე ტალკოტ პარსონსი საკაეშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მოწეეით მოსკოეში ჩამოეიდა (8 დღე გაატარა მოსკოეში, 4 – ლენინგრადში, 1 – კიეეში და 2 დღე იალტაში დაისეენა); საბჭოთა კაეშირში მიღებული შთაბეჭდილებები მან მომდეენო წელს ამერიკის სოციოლოგიურ ჟურნალში გამოაქეეყნა სათაურით: „ამერიკული შთაბეჭდილებები სოციოლოგიის შესახებ საბჭოთა კაეშირში" (Amer. Sociol. Rev. V. 30. № 1. P. 121-125). აღსანიშნაეია ის ფაქტი, რომ პარსონსის ეიზიტიდან 10 წლის შემდეგ დაარსდა სპეციალური სოციოლოგიური ჟურნალი „სოციოლოგიური გამოკელეევები" (რუსულ ენაზე), რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. მის მოხსენებებზე აქტურობდნენ ი. დაეიდოეი, პ. გაიდენკო, მ. მამარდაშეილი, გ. ოსიპოეი და სხე. საქართეელოდან პარსონსის ლექციებს დაესწრო პროფ. ეენორ ქეაჩახია. მათთან შეხეედრებზე პარსონსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახეილებდა იმ ფაქტზე, რომ სოციოლოგია საბჭოთა კაეშირში მკაცრად იდეოლოგიზებული იყო, რაც სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ამ მეცნიერების განეითარებისათეის. პარსონსის შენიშენები შეეხებოდა სოციოლოგიის სფეროში სპეციალური სამეცნიერო და სასწაელო ლიტერატურის ნაკლებობას, ემპირიული სოციოლოგიური გამოკელეებისადმი არასათანადო დამოკიდებულებას, ხოლო საზოგადოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესახებ მან მოხერხებულად მიანიშნა: – სოციალური სინამდეილე იმდენად მრაეალგანზომილებიანი და ტრანსფორმირებადი რეალობაა, რომ შეუძლებელია მარქსს, ენგელსსა და ლენინს წინასწარ სცოდნოდათ ყველა მოსალოდნელი ცელილება, რასაც ის განიცდის. ამით ის საბჭოთა მკელეერებს ეუბნებოდა, რომ ყალბი მარქსისტული თეორიის იქითაც გაეხედათ და უფრო რთული და სერიოზული სოციოლოგიური თეორიებისაკენ მიეპყროთ მზერა.

დასაელეთის გაელენით, დღეისათეის სოციოლოგია ყველაზე პოპულარული მეცნიერული დისციპლინაა რუსეთში. სოციოლოგიის ფაკულტეტი და კათედრები გააჩნია რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ თითქმის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (კომერციული სასწაელებლები, უმაღლეს სასწაელებლებთან არსებული თუ დამოუკიდებელი სოციოლოგიური კელეევის ცენტრები, რომლებიც ფართო ემპირიულ და თეორიულ გა-

მოკვლეეებს ატარებენ საზოგადოებრიეი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესასწაელად). სოციოლოგიისადმი ბოლოდროინდელი პოზიტიური დამოკიდებულების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, სოციოლოგია რუსეთში თავისი გზით მიდის, საზოგადოება კი – თავისით. ამ ყველაზე დემოკრატიული მეცნიერების არსებული რუსეთში დღეს გამოუყენებელია. დასაელეთის ქვეყნებისაგან განსხვაებით, დღეს რუსეთის ხელისუფლება სოციოლოგებს არაფერს არ ეკითხება, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, სოციოლოგია იქ თავის წვენ'ში იხარშება რადგანაც საკუთარ ფუნქციებს სათანადოდ ვერ ასრულებს.



ელადიმერ იადოვი. დაიბადა 1929 წლის 25 აპრილს

1901 წლის 14 ნოემბერს პარიზში საზოგადოებრივ მეცნიერებათა პირველი რუსული სკოლა გაიხსნა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი სოციოლოგიის ფაკულტეტის წინამორბედად განიხილავს, ამიტომ 14 ნოემბერი რუსეთში სოციოლოგის დღედ არის მიჩნეული.

ელადიმერ იადოვი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის თეორიული და ისტორიული სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ლენინგრადის სოციოლოგიური სკოლის უფროსმდებელი, პიროვნების სოციალური ქცევის რეგულირების დისპოზიციური თეორიის ავტორი, რუსულ სოციოლოგიაში ინტეგრაციული მიმართულების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, სოციოლოგიის სფეროში მრავალი წიგნისა და სამეცნიერო გამოკვლევის (სტატიის) ავტორი.

„საბჭოთა ექსპერიმენტი"

„... საბჭოთა ექსპერიმენტი სოციალურ სტრუქტურაში სახელმწიფოს შეჭრის ყველაზე ექსტრემალური მაგალითია მთელს მსოფიოში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თუნდაც ისეთი ყოველისშემძლე სახელმწიფო, როგორიც საბჭოთა სახელმწიფოა, საქმაო ოდენობით კანონიერების უზრუნველმყოფი სოციალური პირობების არარსებობის შემთხვევაში ვერ შეძლებს არსებობას...

საბჭოთა კავშირისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ისტორიამ ჩვენ მრავალ მიმართებაში ჩაგვეიტარა გაკვეთილი, რომლის არსს შესანიშნავად გამოხატავს ფრაზა: „პრიმორდიალურის დაუცხრომლობა საზოგადოებაში" (პრიმორდიალური – პირველადი, ოდინდელი, ძირძველი). სოციალური სტრუქტურების რაციონალურობის ზრდასთან ერთად პრიმორდიალური ძალების დაშრეტის შესახებ წარმოდგენით დასავლური სოციოლოგია თითნისიდან მოყოლებული დღემდე შეცდომაში იქნა შეყვანილი. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ოჯახის, რელიგიისა და პირველ რიგში ეთნიკური ერთობის – ერის, ნაციის მოსპობას ცდილობდა, თუმცა საბოლოო ჯამში ამ მცდელობამ მარცხი განიცადა. ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი, რომელმაც საბჭოთა კომუნიზმი საბოლოო დამარცხებამდე მიიყვანა, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება იყო. დღეს უკვე აშკარაა, რომ ეს ოდინდელი, „Gemeinschaft"-ის („Gemeinschaft"– თემი, ერთობა განსხვაებით „Gesellschaft" – საზოგადოებისაგან) ძალები მთელს მსოფლიოში სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლაში რეგიონალური, ეთნიკური და ლინგვისტური ცნობიერების სახით აღორძინდნენ საკუთარ თავს. ეს მოვლენები საჭიროებენ, რომ სოციოლოგებმა გადახედონ სოციალურ ცვლილებათა უწინდელ თეორიებს და პრიმორდიალურ სტრუქტურებს სათანადო და ღირსეული ყურადღება დაუთმონ, ისეთი, როგორსაც ეს თეორიები ყოველთვის იმსახურებდნენ.."

ნეილ სმელზერი

საკითხავი მასალა

ფრაგმენტი კახა ქეცბაიას წიგნიდან „განათლების სოციოლოგია“ (პრობლემები)

თანამედროვე, ცივილიზებული საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია განათლების გარეშე. პოსტინდუსტრიულ-ინფორმაციულ საზოგადოებაში ცოდნა უმთავრესი სიმდიდრე და ძალაა. კომპიუტერის, ინტერნეტისა და სხვა უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში სულ უფრო ცხადი ხდება გენიალური ბეკონის სიტყვების ჭეშმარიტება: „ცოდნა – ძალაა“ და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლური იქნება სწორი ორიენტირის პოვნასა და ჩვენი საუკუნის ათასგვარი წინააღმდეგობებითა და პრობლემებით აღსავსე ცხოვრების ლაბირინთებში გზის გაკელვაში.



განათლებას დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში იგი ადამიანთა უმეტესი ნაწილის მთელ ცხოვრებას იკავებს. თანამედროვე ადამიანის კულტუროგენეზი განათლების გარეშე წარმოუდგენელია. ასეთ შემთხვევაში ისმის მეტად საყურადღებო და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო კითხვა: – როგორი არის და როგორი უნდა იყოს თანამედროვე განათლება, რამდენად სრულყოფილია განათლების თანამედროვე სისტემა, ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხის გაცემა მოითხოვს განათლებისადმი მეცნიერული, სოციოლოგიური მიდგომის აუცილებლობას, ამ სფეროში არსებული პრობლემების სოციოლოგიურ შესწავლას.

განათლება სოციალური ყოფიერების ერთ-ერთი ურთულესი და საპასუხისმგებლო უბანია, რომელსაც მის შესახებ არსებულ სხვა სპეციალურ მეცნიერებებთან ერთად (პედაგოგიკა, ფსიქოლოგია) შეისწავლის განათლების სოციოლოგია. ამ დარგის მოწინავე სპეციალისტების აზრით, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში სახეზეა განათლების კრიზისის პრობლემა. ზოგადად თუ ვიტყვით, ეს იგივე თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის კრიზისის პრობლემაა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალური ყოფიერების თითქმის ყველა სფეროში. ჩამოყალიბდა და კიდევ უფრო ღრმავდება დისპროპორცია ადამიანურ კულტურასა და თანამედროვე სწავლა-განათლების სისტემებს შორის, საზოგადოების მიღწევებსა და „მასების კულტურას“ შორის. ყოველივე ამან კი თავისი გამოხატულება პოვა ეიწრო სპეციალიზაციაში. ადამიანები სულ უფრო და უფრო ჩაკეტილნი არიან თავიანთი ეიწრო სპეციალობის წიაღში იმდენად, რომ მათთვის შეუმჩნეველი ხდება თვით საკუთარი მოღუაწეობის შედეგები. იქმნება წინააღმდეგობა კომუნიკაციის სფეროში. გარდა ამისა, ახალგაზრდა, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს საშუალო დონის სპეციალისტი, იძულებულია სწავლა-განათლებას მოანდომოს სულ მცირე 13 წელი, ხოლო იმისთვის, რომ უმაღლესი კვალიფიკაცია მიიღოს, სჭირდება 20 წელი მაინც, თანაც განათლება იწყება ძალიან ადრეულ ასაკში. ასე რომ, ყრმობის, ბავშვობისა და ახალგაზრდობის სანუკვარი წლები განათლებას ხმარდება. არის შემთხვევები, როცა ადრეულ ასაკში ბავშვებს ორ ან მეტ უცხო ენას ასწავლიან. განათლების მიღების ყველაზე საპასუხისმგებლო ფაზები მოდის იმ პერიოდზე, როდესაც ადამიანის სოციალურად თვითდამკვიდრება ხდება – იქნება ეს პროფესიული, საოჯახო თუ სამოქალაქო – და ყველაფერი ეს ხდება ფსიქოფიზიკურ შედეგებზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე. ფსიქოლოგები ადასტუ-

რებენ, რომ გახანგრძლივებული სწავლება ხშირად ინფანტილურობის ნაყოფს იძლევა, ამის გამო ახალგაზრდები ბევრ შემთხვევაში სტრესულ მდგომარეობაში ეარდებიან. ასეთი მდგომარეობა ხშირია სკოლაში მოსწავლეებს შორისაც.

განათლების სფეროს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება ე. წ. „აეადმყოფური პრობლემების" გამო. ჩვენში დოგმატიზმის, ათეიზმისა და მარქსისტული იდეოლოგიის ბატონობამ დიდი გაელენა მოახდინა ადამიანის სულიერ სამყაროზე, მის გადაგვარებაზე. ადგილი პქონდა სრულ იზოლაციას მსოფლიო ცივილიზაციისაგან. ყოველივე ამან კი შეასუსტა იმ ღირებულებების გათაეისება და გამოყენება, რომელიც ამ ხნის განმავლობაში წარმოიშვა საკაცობრიო პედაგოგიკასა და განათლების სისტემაში. ამას ხელი შეუწყო განათლების სისტემის ტოტალიტარულმა სისტემამ, სადაც აქცენტი მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებზე იყო გაკეთებული. ხდებოდა ინიციატივების ჩახშობა; იკრძალებოდა საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. მთლიანად იდეოლოგიზებული იყო სასწავლო პროცესის შინაარსი და ორგანიზაცია. ამის მიხედვით ხდებოდა ე. წ. სელექცია დამჯერი პედაგოგებისა, რაც პიროვნების ნიველირებას ახდენდა. არაეითარი ნოვაცია, განათლების სისტემა მთლიანად უნიფიცირებული იყო – ყველა მიჰყვებოდა მმართველი ორგანოების მიერ დადგენილ ერთ დებულებას. ექსპერიმენტის ჩატარების უფლება პქონდა მხოლოდ ე. წ. მმართველ, ზემდგომ ორგანოებს – სამინისტროსა და აკადემიის ინსტიტუტებს. ყოველივე ამან გამოიწვია ფსევდოგანათლებისაკენ სწრაფვა და ჭეშმარიტი განათლების პრესტიჟის დაცემა. სწავლისადმი სწრაფვის „ბუნებრიეი" ინტერესი „დიპლომის შოვნის" მოთხოვნილებამ შეცვალა.

* * *

XIX-XX საუკუნეებში ზოგადფილოსოფიური და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებიდან განათლების სოციალური პრობლემების გამოყოფა და მათზე ყურადღების გამახვილება მოხდა. ფაქტობრივად, ამ დროიდან იწყებს თავისი არსებობის ისტორიას ერთ-ერთი დარგობრივ-სოციოლოგიური დისციპლინა – განათლების სოციოლოგია. მას საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში.

ამერიკაში განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ლესტერ უორდის და ჯონ დიუის. ამ დარგის განვითარებას ბიძგი მისცა ლ. უორდის ნაშრომმა: „დინამიკური სოციოლოგია" (**L.Word. Dinamik sociology, N-Y. 1883**). ჯ. დიუი კი თავის ნაშრომში „სკოლა და საზოგადოება" (**J. Dewey. The school and sociology. Chi. 1899**) განათლების სისტემის შეცვლის, გარდაქმნის მოთხოვნით გამოვიდა, რომლის ძირითადი პრინციპები ბავშვზე იყო ორიენტირებული. ბავშვი უნდა იყოს განათლების სისტემის ცენტრალური ფიგურა. ამით დაიწყო განათლების კრიზისის გაცნობიერება და, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა ახალ სოციოლოგიურ დისციპლინას, მეცნიერების დარგს განათლების შესახებ. ჯ. დიუი უარყოფდა სწავლების არსებულ მეთოდიკას, რომელიც ძირითადად მიმართული იყო ცოდნის დაუფლებაზე. ახალი პრინციპი სწავლებისა უნდა ყოფილიყო ბავშვის ცნობიერების აქტიურობა. „უნდა შეიცვალოს სასკოლო ინვენტარიც კი. სასკოლო ინვენტარიც მოსწავლეს აორიენტირებდა მოსმენასა და პასიურობაზე. საჭიროა ისეთი ინვენტარი, რომლის მომხმარებელი შეძლებს აქტიურობის გამოვლენას", – წერდა დიუი. პირველი ექსპერიმენტული ორგანიზაციები ამ დარგში ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე შეიქმნა ამერიკასა და ევროპაში.

გერმანიაში განათლების სოციოლოგიის სათავეებთან დგანან მაქს ვებერი და კარლ მანჰაიმი. მათ განათლების სოციოლოგია პირველად გამოყვეს სოციალური პედაგოგიკისაგან, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო განათლების ფილოსოფიურ-ეთიკურ ასპექტებსა და მოტივებზე.

საფრანგეთში ამ საქმეს სათავეში ედგა ცნობილი სოციოლოგი ემილ დიურკემი. განსაკუთრებით საყურადღებო და დღესაც ანგარიშგასაწევია მისი შრომები: „განათლების სოციოლოგია" და „განათლება ცვალებად სამყაროში". ფრანგი და ამერიკელი სოციოლოგები დღესაც არ თმობენ თავიანთ მოწინავე პოზიციებს ამ დარგში. საწყის ეტაპზე მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისეთი საკვანძო საკითხების გარკვევას, როგორიცაა: ა) განათლების ადგილი და როლი სოციალურ ინსტიტუტებსა და სამსახურეობრივ სისტემაში; ბ) განათლების პროცესის ურთიერთმიმართება და დამოკიდებულება სამსახურეობრივი ყოფიერების, ცხოვრების სხვა სფეროებთან და პროცესებთან: ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, სოციალური სტრატიფიკაციის პრობლემებთან; გ) განათლების სპეციალური დეტერმინანტები; დ) პედაგოგის სოციალური სტატუსი სამსახურეობაში და სხვ.

აღსანიშნავია აგრეთვე ინგლისელი სოციოლოგის ჰერბერტ სპენსერის წვლილი ამ

მეცნიერების ჩამოყალიბებაში.

საქართველოში ამ დარგში პირველი მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის პროფ. ედ. კოდუას. წიგნში „სოციოლოგია“(თბ., 1998) იგი განიხილავს დარგობრივ სოციოლოგიებს და მათ შორის განათლების სოციოლოგიასაც (თავი მე-5).

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებს, რომლებიც სპეციალურად განათლების სოციოლოგიის პრობლემების კვლევით არიან დაკავებულნი, ასეთი რამ საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს. გულდასაწყვეტია, რომ ამ დარგში კვლევა-ძიება ჩვენში იგნორირებულია (ეტყობა, ჩვენში განათლების მესვეურებს ნაკლებად აინტერესებთ საზოგადოებრივი აზრი ამ პრობლემებთან დაკავშირებით) და ეს დიდი არსენალი განათლების სისტემის გარდაქმნაში გამოუყენებელია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სისტემის გარდაქმნაში კერძო ინტერესებია ჩართული, რაც ყოვლად მიუღებელია, რადგანაც ასეთ ვითარებაში რეფორმების წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

* * *

განათლების სოციოლოგიის ობიექტი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლების სოციოლოგია არის დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის განათლებას.

განათლების სოციოლოგიის ობიექტი საკმაოდ ნათელია. იგი ემპირიულადაც კი ფიქსირდება – ეს არის განათლების სფერო, საზოგადოებრივი ყოფიერების ერთ-ერთი მხარე, სადაც მიმდინარეობს და ფუნქციონირებს განათლების პროცესი, მოქმედებენ გარკვეული სუბიექტები და სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები თუ ორგანიზაციები.

საგანი: ობიექტისაგან განსხვავებით, შედარებით რთული და ძნელი საქმეა განათლების სოციოლოგიის საგნის განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ამ მეტად საინტერესო და რთული ობიექტის ისეთი მხარის გამოყოფას ნიშნავს, რომელიც იქნება არსებითი და ამავე დროს, ამ დარგის, როგორც მეცნიერების, სპეციფიკას წარმოადგენს. საკითხი განათლების სოციოლოგიის საგნის შესახებ დღესაც სადავოა. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, იმდენი თვალსაზრისია, რამდენი მკვლევარიცაა. ამჯერად მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ამერიკელი სოციოლოგი მ. ტროუ (განათლების სოციოლოგიის ამერიკელი წარმომადგენელი) მიიჩნევს, რომ განათლების სოციოლოგიის შესწავლის საგანი უნდა იყოს საზოგადოებაში არსებული ე. წ. ფორმალური საზოგადოებრივი დაწესებულებები – სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები და ა.შ. განათლების სოციოლოგიის საგნის ასეთი განსაზღვრება, შეიძლება ითქვას, ძალზე ფართო და მასშტაბურია. იგი ამ დარგის მოქმედებისათვის ფართო სფეროს მოიცავს, თუმცა აქ გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ამ კვლევაში ძირითადი, რომელიც აერთიანებს, თავის თავში მოიცავს განათლების სფეროს თითქმის ყველა ელემენტს. აქედან გამომდინარე, აქ უფრო ობიექტია მოცემული და განხილული, ვიდრე საგანი.

ენციკლოპედიებში განათლების სოციოლოგიის შემდეგი განსაზღვრებაა მოცემული: „განათლების სოციოლოგია არის სოციოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის განათლებას, როგორც სოციალურ ინსტიტუტს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმას“. ამ შემთხვევაში ისევ გარკვეული ტიპის ზოგად დებულებასთან გვაქვს საქმე, თუმცა აქვე მინიშნებულია განათლების სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მისი საგანია განათლების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, სოციალური პროცესის, სოციალური ანალიზი.

უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი განათლების სოციოლოგიის საგანი ა. მეიერის წიგნში. მის მიხედვით, ამ დარგის შესწავლის საგანია განათლება და აღზრდა, როგორც სოციალური პროცესის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. განათლების სოციოლოგიამ სწორედ ამ პროცესისათვის აუცილებელი დამახასიათებელი კანონზომიერებანი უნდა დაადგინოს. ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია განათლებისა და აღზრდის პრობლემებისადმი ზოგადსოციოლოგიური მიდგომის აუცილებლობაზე, რაც მისაღებია კიდეც, მაგრამ განათლების სოციოლოგიის ასეთი ფართო განსაზღვრებისას იკარგება კონკრეტული, ის, რაც საგნობრივი კუთხით ამ მეცნიერებისათვის არის საინტერესო.

საკითხს ეხება ბულგარელი სოციოლოგი დონევი. მას განათლების სოციოლოგიის საგნის განსაზღვრებაში შეაქვს განათლების სფეროს სხვა საზოგადოებრივი დარგებისადმი მიმართების საკითხი. „განათლების სოციოლოგია შეისწავლის იმ კანონზომიერებებს, რომელიც ახასიათებს განათლებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან მიმარ-

თებაში.“ საზოგადოებრიეი ცხოერების სხეა სფეროების განათლებაზე გაელენის გათეალისწინება აუცილებლად საჭიროა, თუმცა იგი ეერ გამოდგება სოციოლოგიის საგნად, რადგანაც იგი საგნის ერთ-ერთი მხარეა.

რუსი აეტორები (ნეჩაეი, ფილიპოეი და სხე.) მიიჩნეეენ, რომ რადგანაც განათლების ცნების შინაარსი სწაელების ცნებას მოიცაეს, ამიტომ განათლების სოციოლოგიის საგანიც ეს უნდა იყოს. სწაელება, სწაელა არის განათლების შინაარსი, ეს კი ამ დარგის შიგნით ორი სპეციალობის დაკაეშირებას ნიშნაეს: პედაგოგიკისა და სოციოლოგიის. აქ ასპარეზზე გამოდის ახალი სოციალური დისციპლინა – პედაგოგიკის სოციოლოგია, მაგრამ იგი წარმოუდგენელი იქნება განათლების სოციოლოგიასთან კაეშირის გარეშე.

უმრაელესობა მკელეერებისა ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს ამ საკითხისადმი, რაც ალბათ იმით არის გამოწეეული, რომ ჯერ კიდეე საბოლოოდ ეერ მოხერხდა განათლების სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, სპეციფიკის დადგენა.

ზოგი აეტორი (მაგ., მეიერი) თელის, რომ განათლების სოციოლოგია არის კულტურის სოციოლოგიის ქეედარგი, ქეედისციპლინა. ზოგჯერ განათლების სოციოლოგია წარმოდგენილია, როგორც აღზრდის სოციოლოგიის დარგი. მართალია, სწაელება აღზრდისაკენ არის მიმართული, მაგრამ, თაეის მხრივ, აღზრდაც მთლიანობაში პიროენებისკენაა მიმართული. ამიტომ აღმზრდელობითი სფერო უფრო ფართო ცნებაა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთელ საზოგადოებრიე ცხოერებას მოიცაეს. აქედან გამოსაეალი ერთია – სოციოლოგიამ აღზრდაც უნდა განიხილოს.

განათლების სოციოლოგიის საგანი უნდა მოიცაედეს განათლების სფეროს სასიცოცხლო დინამიკასა და სტატიკას, განათლების სფეროს ურთიერთობას საზოგადოებრიეი ცხოერების სხეა სფეროებთან.

კიდეე უფრო ნათელი გახდება მსჯელობა განათლების სოციოლოგიის საგნის შესახებ, თუ გარკეეული იქნება განათლების ცნების შინაარსი. აქაც აზრთა სხეადასხეაობაა. ერთნი მას მიიჩნეეენ ისეთ პროცესად, რომლის საშუალებით თაობებს შორის ცოდნის, ტრადიციების, ჩეეებისა და ღირებულებების გადაცემა ხდება (ნ. სმელზერი); მეორენი თელიან, რომ განათლება არის ინფორმაციისა და ცალკეულ გამოცდილებათა შეძენისა და თაემოყრის საშუალება (სტოლპიერი); სხეები განათლებას აიგიეებენ სკოლასთან, სკოლა კი ამჯერად განიხილება ისეთ ინსტიტუტად, სადაც ადგილი აქეს პიროენების ჩამოყალიბებას (რ. ბერნსი). აქედან გამომდინარე, განათლების სოციოლოგიის საგანია სწაელა და სასწაელო დაწესებულებანი (აქ შედის ყეელა ტიპის სასწაელო დაწესებულება). პიროენების აქტიური სოციალიზაციის პროცესი, ძირითადად მაინც, სკოლაში მიმდინარეობს. აღზრდა-განათლება არის მძლაერი სოციალური მექანიზმი, რომლის მეშეეობით ხორციელდება პიროენების სოციალიზაცია. მისი მეშეეობით ერთეება ინდიეიდი საზოგადოებრიე ცხოერებაში, სწაელობს მის კულტურას, იგი პიროენების მიზანმიმართული ფორმირებაა. „ბაეშეის პიროენების ფორმირებისა და ერთობაში ცხოერებასთან მისი შეგუების პროცესს, რომელსაც საფუძელად უდეეს ბაეშეის სწაელება და კულტურასთან ზიარება, რაც მას საშუალებას აძლეეს ჩასწედეს ამ კულტურას და შეენებულად იმოქმედოს მის ფარგლებში, ჩეენ სოციალიზაციას ეუწოდებთ.“ სოციალიზაცია ასწაელის ბაეშეს როგორ მოიქცეს, რა აკეთოს, რათა ცხოერებისეულ მიზნებს მიაღწიოს. „ადამიანი ადამიანად კი არ იბადება, არამედ ადამიანად იქცეება აღზრდის პროცესში“ (ე. პარკი). აღზრდისა და განათლების მეშეეობით ხდება ადამიანი საზოგადოებრიეი არსება, ამიტომაც განათლების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა და განეითარება.

სკოლა აძლეეს ბაეშეს იმას, რასაც ეერც ერთი სხეა სოციალური ინსტიტუტი და სასწაელო დაწესებულება ეერ მისცემს, ამიტომ საესებით გამართლებულია განათლების სოციოლოგიის საგნად სკოლისა და სასწაელო პროცესის მიჩნეა. სკოლა ამ შემთხეეაში ძირითად ბირთეს შეადგენს. სკოლის მერხიდან უკეე მიჩნეულია და განსაზღერულია ადამიანის ადგილი საზოგადოებრიე ცხოერებაში, მისი სოციალური სტატუსი. ყოეელიეე ეს მნიშენელოეან გაელენას ახდენს საზოგადოების სტრუქტურის ფორმირებასა და სრულყოფაზე. თანამედროეე საზოგადოებაში ელიტის სრულყოფას განსაზღერაეს არა წარმოშობა ან ქონება, არამედ განათლება და კეალიფიკაცია.

განათლების მიმართ სოციოლოგიურ მიდგომას სულ მცირე ორი მხარე მაინც აქეს: ა) თეორიული და ბ) პრაქტიკული.

თეორიული მიდგომისას აუცილებელია განათლების ცნების განსაზღერება, დადგენა იმისა, არის თუ არა განათლების სოციოლოგია მეცნიერება, რა ადგილი უჭირაეს მას

მეცნიერების არსებულ სისტემაში, რა მიმართებაშია განათლების სისტემა საზოგადოებასთან და ა. შ.

პრაქტიკული, ემპირიული მიდგომა კი ნიშნავს განათლების სფეროში კონკრეტულ-ემპირიულ გამოკვლევებზე დაყრდნობით არსებული სისტემის სრულყოფას, განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლის მიმართებას კონკრეტულ საზოგადოებრივ მოთხოვნებთან.

განათლების სოციოლოგიის ამოცანები: განათლების სოციოლოგია აანალიზებს განათლების სისტემის სტრუქტურას, მის ორიენტაციას, ადგენს სკოლის, როგორც განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტის, ტიპს, მის სტრუქტურას და ორგანიზაციას; სწავლობს მასწავლებელთა სოციალურ ფუნქციას; სასწავლო დაწესებულებებში პიროვნების ფორმირების პრობლემებს; სკოლის პედაგოგიური კოლექტიეისა და მოსწავლეების ურთიერთობას; პედკოლექტიეისა და მისი ხელმძღვანელობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. სწავლობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას; სკოლის დირექციისა და მშობელთა მიმართებას; მშობლებისა და პედაგოგების ურთიერთობას. განათლების სოციოლოგია განსაზღვრავს მოსწავლეზე და სასწავლო პროცესზე ოჯახის, ქუჩის, უბნის, თანაკლასელის და სხვა გარემოს გაელენას. დღეისათვის ძალიან აქტუალურია ისეთი საკითხი, როგორიცაა თინეიჯერები და სკოლა და სხვ.

სოციოლოგია იკვლევს სწავლის ფორმებისა და მეთოდების ეფექტურობის საკითხებს, სახელისუფლებო თუ არასამთავრობო სტრუქტურების გაელენას განათლებაზე. ყოველივე ამას ემატება მთელი რიგი პრობლემები, რომელიც განათლების სისტემის ნებისმიერ რგოლში დგას.

ძალიან შორს წაგეიყვანდა განათლების სოციოლოგიის კონკრეტული ამოცანების სრული ჩამოთვლა, ამიტომ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: დღეისათვის არის მრავალი ქვეყანა, სადაც არ არსებობს განათლების სამინისტრო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები განაგებენ სასკოლო თუ სხვა საგანმანათლებლო ცხოერებას. ამ შემთხვევაში ისინი აბსოლუტურად ეყრდნობიან განათლების სოციოლოგიას, რომლის თანამედროვე ძირითადი პრინციპია ურთიერთთანამშრომლობა მოსწავლესა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და მშობელს, სკოლის დირექციასა და პედკოლექტივს შორის.

თითოეული ამ ამოცანის უკან გადაუჭრელი ან ძალზე სადაეო პრობლემა დგას. ბუნებრივია, მათი მოგვარება წარმოუდგენელია განათლების სოციოლოგიის გარეშე.

საჭიროა განათლების მესვეურებმა გაითვალისწინონ ყოველივე ეს და განათლების სფეროში ფართოდ გაუღონ კარი სოციოლოგებს, რადგანაც სოციოლოგი, ხატოვანი თქმით, – ეს არის „საზოგადოების მკურნალი". მკურნალობა და მოელა-პატრონობა საზოგადოების ნებისმიერ სფეროს სჭირდება და ამ საქმეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები ახორციელებენ. განათლების სფეროს პრობლემებს განათლების სოციოლოგია „უმკურნალებს", სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკას – სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სოციოლოგია და ა. შ. თუ ყოველივე ეს არ იქნა გათვალისწინებული, ყველა ამ სფეროში რაიმე საგრძნობ წარმატებას ნაკლებად უნდა ველოდოთ.

განათლების სოციოლოგია და პედაგოგიკა: ყველაზე მეტი გამოცდილება სასწავლო პროცესის შესწავლასა და განათლებაში პედაგოგიკას აქვს, თანაც მისი საგანი უფრო ფართოა, ვიდრე სწავლა და განათლება. იგი მთლიანობაში განიხილავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს სხვა, არასასწავლო პროცესებთან ერთად.

უძველესი დროიდან მოყოლებული პედაგოგიკის შემეცნების ობიექტი იყო მოზარდი, ახალგაზრდა თაობა, თუმცა მის ისტორიაში არაერთხელ დასმულა ზრდასრული ადამიანის აღზრდის საკითხიც.

პედაგოგიკის უშუალო ინტერესის საგანია პედაგოგების პროფესიული მოღვაწეობა და ამ მხრივ მისი ძირითადი ამოცანაა მათი უზრუნველყოფა თეორიული, მეთოდური თუ პრაქტიკული მოღვაწეობის მდიდარი არსენალით. სასწავლო საქმიანობის სხვადასხვა ფორმის შესწავლას ეხება პედაგოგიკის სხვადასხვა დარგი. განათლების სოციოლოგიამ სწორედ პედაგოგიკასთან ერთად უნდა გადაწყვიტოს განათლების სისტემაში არსებული მრავალი პრობლემა, თუმცა დასანანია, რომ სოციოლოგების მიღწეები ამ სფეროში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. ჩვენთან ამ ორ მეცნიერებას ურთიერთობის არანაირი პრაქტიკული გამოცდილება თითქმის არ გააჩნია.

განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია: პედაგოგიკის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური საფუძველია ფსიქოლოგია, კერძოდ განათლების ფსიქოლოგია. მისი ამოცანაა სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიური და სოციალური მექანიზმებისა და კანონზომიერებების გა-

მოელენა, მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის შეთვისებისა და რეპროდუქციის საკითხები. ორგანულია განათლების ფსიქოლოგიისა და განათლების სოციოლოგიის კავშირი. ფსიქოლოგები იძულებული არიან თავიანთ გამოკვლევებში სულ უფრო მეტად ჩართონ სოციოლოგები, ისევე როგორც ეს ხდება პირიქით.

განათლების სოციოლოგია და ფილოსოფია: განათლების სოციოლოგია მხოლოდ ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, ამიტომ ამ ეტაპზე მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიას. კერძოდ გნოსეოლოგიური და წმინდა მსოფლმხედველობრივი საკითხების გადაწყვეტისას. პედაგოგიურ საქმიანობაში ძალზე ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ სასწავლო და ზოგადშემეცნებით მოქმედებას. ამ შემთხვევაში კი ფილოსოფია აუცილებელია. განათლების ფილოსოფიურ პრობლემებს ეხება ცალკე ფილოსოფიური დისციპლინა – განათლების ფილოსოფია. ფილოსოფიამ უნდა გასცეს პასუხი კითხვებს: რა იდეალებსა და ღირებულებებზე უნდა იყოს ორიენტირებული განათლება? რა საშუალებებითა და მექანიზმებით უნდა იქნეს მიღწეული პროგრესული იდეების რეალიზაცია და ა.შ. ყოველივე ეს ფილოსოფიური რიგის საკითხებია. ასე რომ, კავშირი ფილოსოფიასა და განათლების სოციოლოგიას შორის აშკარაა. მას ფილოსოფიური ელფერი დაჰკრავს.

გარდა ამისა, განათლების სოციოლოგია ორგანულ კავშირშია ისეთ მეცნიერებასთან, როგორიცაა ოჯახის სოციოლოგია, პიროვნების სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, აღზრდის სოციოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია და ა. შ.

განათლების სოციოლოგიის სტრუქტურა: იმდენად, რამდენადაც განათლების სოციოლოგია არის ახალგაზრდა მეცნიერება, ამიტომ იგი შედარებითი სუვერენიტეტით ხასიათდება. ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია მისი სტრუქტურა. განათლების სოციოლოგიის ძირითადი კატეგორიებია: განათლება, სწავლება და აღზრდა. თავის მხრივ, ეს კატეგორიები ქმნიან ამ მეცნიერების სტრუქტურის ძირითად შინაარსს და გამოკვლევების ძირითად მიმართულებებს. ძირითადი მიმართულება ემპირიული გამოკვლევებისა განათლების სფეროში უნდა იყოს საზოგადოებრივი მოთხოვნების შესწავლა და მათი რეალიზაცია. გარდა ამისა, უნდა დადგენილ იქნეს განათლების სოციალური დეტერმინანტები და ეფექტურობა.

უპირველესი პრობლემა განათლების სოციოლოგიაში არის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების გაელენა განათლებაზე; საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და განათლების შესაბამისობა; განათლების სფეროს დინამიკური პროცესების შესწავლა. ყოველივე ეს განათლების სტრუქტურის გარეგნულ სახეს შეადგენს, ხოლო განათლების სოციოლოგიის სტრუქტურის შინაგან, შინაარსეულ მხარეში შედის: სწავლება, როგორც სოციალური მოელენა; სწავლების მეთოდიკა; სოციალური ინსტიტუტები განათლების სფეროში; შრომითი კოლექტივები და სხვ.

ცალკე სტრუქტურული ელემენტია განათლების სისტემის მართვა და რეგულაცია; დიაგნოსტიკა; განათლების სრულყოფისათვის მიმართული ღონისძიებები: კერძოდ ნოვაციები (რაც შეეხება ნოვაციებს, ჩვენთან მათ მექანიკური ხასიათი აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ უცხოური გამოცდილების და მთელი რიგი სიახლეების კოპირება და პირდაპირ გადმოღება ხდება). განათლების სოციოლოგიის სტრუქტურული ელემენტია მეთოდიკაც. ამ შემთხვევაში ძირითადია დიაგნოსტიკა, მოდელირება, პროგნოზირება და პროექტირება.

ცალკე გამოიყოფა აგრეთვე განათლების სისტემაში მოქმედი კანონზომიერებების შესწავლა. მათგან გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი: 1) განათლების განპირობებულობა სოციალური ურთიერთობებით, მეცნიერების მდგომარეობით, პოლიტიკით, ყოფითი პრობლემებით, კულტურით; 2) სოციალური სფეროს გაფართოების კანონზომიერება; 3) განათლების სოციოლოგიის შინაგანი ორგანიზაციის შედარებითი დამოუკიდებლობის კანონსომიერება; 4) თვითრეგულირების კანონსომიერება და სხვ.

განათლების სოციოლოგიის მეთოდები: განათლების შესწავლის მიზნით განათლების სოციოლოგია გამოიყენებს სოციალური და ფსიქოლოგიური კვლევის თითქმის ყველა მეთოდს, იქნება ეს ემპირიული თუ თეორიული კვლევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ემპირიული კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ინტერვიუ (საუბარი მოსწავლესა და მასწავლებელს, მშობელსა და პედაგოგს შორის), ანკეტირება, დოკუმენტური ანალიზი, დაკვირვება, სოციომეტრია, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ტესტი და სხვ.

საზოგადოებრივი მოთხოვნები და განათლების პროგრესის პრობლემა: განათლების შესწავლის მიზნით ამ სფეროში თავისი წარეცით სოციოლოგმა ზიანი კი არ უნდა მიაყენოს განათლების სისტემას, არამედ უკეთესობისაკენ წარმართოს, ხელი შეუწყოს გა-

ნათლების პროგრესს, თუმცა, თავის მხრივ, განათლების პროგრესი უმეტესწილად საზოგადოებრივ მოთხოვნებზეა დამოკიდებული.

განათლების ორგანიზაცია იწყება კითხვით: რა ვასწავლოთ და როგორ? ამ შემთხვევაში გამოცდილება დიდია. მიუხედავად ამისა, გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. გაუმართლებელი იქნება, თუკი სოციოლოგებს ექნებათ პრეტენზია, თუ როგორი უნდა იყოს განათლების პროცესის შინაარსი. ეს სპეციალისტების, პედაგოგების, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეების საქმეა. სოციოლოგმა კი პასუხი უნდა გასცეს კითხვას: როგორ უნდა აისახოს უფრო ადეკვატურად და სწორად საზოგადოებრივი მოთხოვნები განათლების სფეროში? როგორია მათი რეალიზაციის მექანიზმი? რამდენად პასუხობს განათლების არსებული სისტემა დროის მოთხოვნებს?

არსებობს მოსაზრება, რომ დღევანდელი განათლების სისტემა ძალიან შორს დგას საზოგადოებრივი მოთხოვნებისაგან, რომ იგი მოქმედებს პარალელიზმის რეჟიმით.

ერთ-ერთი კარდინალური საკითხი ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემის რეორგანიზაციისა უნდა იყოს გაბედული მიბრუნება განათლებისა საზოგადოებრივი და ეროვნული მოთხოვნებისაკენ. ეს კი ნიშნავს განათლების მიზნის გარკვევას, კერძოდ, მრავალგვარი სასწავლო მოქმედებით მოამზადოს ადამიანი იმისათვის, რომ იგი პროდუქტიულად ჩაერთოს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, შრომით საქმიანობაში და სხვ.

ამ მიზნით განათლების სოციოლოგიაში ცნობილია სამი მოდელი: ექსტენსიური, პროდუქტიული და ინტენსიური.

I. ექსტენსიური მოდელის მიხედვით განათლების საშუალებით უნდა მოხდეს არსებული მიღწევების რაც შეიძლება სრულყოფილი გადაცემა და ახალგაზრდებში მთელემარე პოტენციალის გამოღვიძება.

II. პროდუქტიული მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწავლა-განათლების მეთოდიკა ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის. განათლების დონე უნდა იყოს საზოგადოებრივი მოთხოვნებითა და საზოგადოებრივი განვითარებით ნაკარნახევი.

III. ინტენსიური მოდელი უფრო მეტად სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მატარებელია. კერძოდ, საზოგადოებრივი პროგრესითა და უნივერსალურ ღირებულებებზე დაჯრდნობით სასწავლო პროცესით დაკავებული ადამიანებისათვის გარკვეული განწყობილების ჩამოყალიბება იმისათვის, რომ ისინი ყოველმხრივ მზად შეხვდნენ განათლების შემდგომ სრულყოფას, გაბედულად ჩაერთონ განათლების რეორგანიზაციაში.

განათლების სფეროში საზოგადოებრივი მოთხოვნების გაელენის დინამიკა შეისწავლება ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევებით. განათლების სოციოლოგიის აქსიომატური დებულებაა ის, რომ განათლების სისტემა მაშინ იქნება სრულყოფილი, თუ ის რეალურ შესაბამისობაშია საზოგადოებრივ მოთხოვნებთან.

განათლების რეფორმა აშშ-ში. განათლების კრიზისი

ჩვენში როდესაც განათლების სფეროს რეფორმაზე საუბრობენ, უფრო ხშირად რეფორმაში გულისხმობენ უცხოური, კერძოდ ე. წ. „დასავლური" მოდელის, გადმოღება-კოპირებას. ეს ხდება მაშინ, როდესაც ე. წ. „დასავლური" და ამერიკული განათლების სისტემა თავად არის კრიზისში და ჭეშმარიტ რეფორმას საჭიროებს. ამაში გვარწმუნებს არაერთი ამერიკელი თუ დასავლეთევროპელი სოციოლოგი თუ განათლების სისტემის ექსპერტი. კერძოდ, ამერიკელი მკვლევარი ფილიპ მარკუსი უკვე დაუფარავად ლაპარაკობს განათლების სისტემის ღრმა კრიზისის შესახებ. ამერიკელებიც ეძებენ გამოსავალს და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, არჩევანს ისევ ტრადიციულ სისტემაზე აკეთებენ, მაშინ როცა ჩვენში სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული განათლების ტრადიციული სისტემისადმი. ამიტომ კიდევ ერთხელ გონიერება და დაფიქრება გვმართებს: კარგად უნდა იქნეს გარკვეული, რას ეუწოდებთ რეფორმას.

მკვლევართა აზრით, ბოლო დროს აშშ-ში განათლების სისტემის „რაოდენობრივი" ზრდა უფრო შესამჩნევია, ვიდრე „თვისობრივი". მათი მონაცემებით, 1970 წელს სკოლამდელი განათლებით სარგებლობდა მოსახლეობის 1/3, ანუ 3-დან 5-წლამდე ასაკის ამერიკელ ბავშვთა 38%. 1982 წელს ეს მაჩვენებელი 52%-ს გაუტოლდა. რაც შეეხება შავკანიანთა შვილებს, მათი დასწრება სკოლამდელ დაწესებულებებში შეადგენს 98%-ს.

დღევანდელობისათვის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ნორმა 89%-ს უდრის. ეს მაჩვენებელი 1950 წელს 50% იყო.

გაიზარდა კოლეჯებში მოსწავლეთა რიცხვი. კერძოდ, 1950 წლიდან 1982 წლამდე კოლეჯებში მოსწავლეთა რიცხვი 2,7 მილიონიდან 12,3 მილიონამდე გაიზარდა. გათხმაგდა

კოლეჯების რაოდენობაც. ეს შეეხო კოლეჯებში ფაკულტეტების რიცხვსაც, რომელიც 266 000-დან 633 000-მდე გაიზარდა.

1982 წელს მაგისტრის ხარისხი მიიღო 296 000-მა ადამიანმა, რაც 1970 წლის მაჩვენებელს 45%-ით აღემატება, ხოლო 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული აშშ-ის საინფორმაციო საშუალებები ყოველ კეირას ახალი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების გახსნას ამცნობენ მოსახლეობას. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მთაერობა ძალზე დიდ თანხას ახმარს განათლების სისტემას. ფულის პრობლემა ამ სფეროში არ არსებობს. ამ საქმისათვის წელიწადში 215 მილიარდი დოლარი იხარჯება (1983 წლის მაჩვენებელი), რაც 1970 წლის მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.

რაც შეეხება მოსწავლეთა რაოდენობას, ერთ მასწაელებელზე 17 მოსწაელე მოდის, წინა წლებში კი 29-ს უდრიდა, თუმცა შესამჩნეეია მოსწაელე-მასწაელებელს შორის სიძულეილის გრძნობა.

ყოველიეე ზემოაღნიშნული ნათელ წარმოდგენას იძლეეა აშშ-ის განათლების სისტემის ზრდის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

ახლა რაც შეეხება თვისებრიობას: მისი მკვეთრად გაუარესების შესახებ და ამ სფეროში არსებულ კრიზისზე ჯერ კიდეე 40-50-იან წლებში გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, 1947 წელს „ნიუ-იორკ თაიმსის" მიმომხილველმა განათლების საკითხებში – ბენჯამინ ფაინმა განაცხადა, რომ „ამერიკის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე ღრმა კრიზისშია." კრიზისი კი, ფაქტობრივად, 70-იან წლებში დაიწყო, როცა შეიქმნა მოძრაობა „განათლების ხარისხისათვის", რომელიც მოუწოდებდა მშობლებს ეხსნათ თავიანთი შვილები უბადრუკი განათლების სისტემისაგან. მას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა კერძო ფირმებმა და კომპანიებმა, რომლებიც იძულებული გახდნენ ეზრუნათ თავიანთი თანამშრომლების ხელახალი განათლებისათვის, კერძოდ, მიეცათ მათთვის ელემენტარული მათემატიკური და ჰუმანიტარული განათლება, რადგანაც ეს ადამიანები, უმარტივეს მათემატიკურ ოპერაციებს რომ თავი დაეანებოთ, თავიანთ ავტობიოგრაფიას და განცხადების ტექსტსაც ვერ წერდნენ. შეიქმნა ე.წ. მინიმალური კომპეტენტურობის ტესტები. 1980 წელს აშშ-ის მთაერობამ გაამკაცრა დიპლომების გაცემა პედაგოგებზე, ხოლო განათლების დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება: „ამერიკელი ერი საფრთხეშია." ბოლო დროს ამაზე ალაპარაკდნენ პოლიტოლოგები და მასმედია. დაიწყეს მისეზების ძებნა. ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა სასწაელო პროგრამების გამარტივეება და შეფასების კრიტერიუმების შეცელა-შემცირება.

სხვათა შორის, იგიეე ტენდენცია შეინიშნება ჩვენს განათლების სისტემაში, რის შედეგადაც მიმდინარეობს ე.წ. სასწაელო პროგრამების გამარტივეება და მათ მიხედვით იქმნება გამარტივეებული სახელმძღვანელოები, რომლებიც მშრალი ფაქტების კონსტატაციაა (მაგ., საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო). იგიეე ითქმის იმ ექსპერიმენტებზე, რომელიც მიმდინარეობს შეფასების კრიტერიუმების არსებული სისტემის შეცელასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოთა გამარტივეებამ. ამერიკელი ექსპერტების აზრით, მოგვცა „ახალი ტიპის სახელმძღვანელოები, ოღონდ სისულელემდე გამარტივეებული". ყოველივე ეს კი მკვლევრებს აძლევს დასკვნის საშუალებას, რომლის მიხედვით, 2001 წელს და შემდეგ ახალი თაობა უფრო ცუდად იქნება მომზადებული, ვიდრე წინამორბედი. მაგალითად, პენფორდი თვლის, რომ, თუ 2001 წელს 1963 წლის დონეს მაინც მივაღწიეთ მათემატიკაში, ცუდი ნამდვილად არ იქნება, ხოლო 1963 წლის დონე თუ დავიბრუნეთ ჰუმანიტარულ განათლებაში, ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ისმის კითხვა: რატომ მივიდა კრიზისამდე ასეთ ფუფუნებაში მყოფი აშშ-ის განათლების სისტემა? პირველ რიგში ეს გამოწვეულია ამერიკული ცხოერების წესით, სადაც ბატონობს პრაგმატიზმი, პოზიტივიზმი და ცხოერების ნებისმიერი სტილის მიღების ფილოსოფია (ამ აზრს იზიარებს ამერიკელი მკვლევარი საულ ბელოუ).

ამ პროცესის გაღრმავებაში უარყოფითი როლი შეასრულა ტექნიკურმა პროგრესმაც. წიგნი, ფაქტობრივად, კომპიუტერმა შეცვალა. ლოგიკურ-ანალიზური და შემოქმედებითი აზროვნების ადგილი დაიკავა უბრალო კონსტრუირებამ. ამას შედეგად მოჰყვა ტოტალური გაუცხოება. შეიცვალა ადამიანური ურთიერთობები. ადამიანები ურთმანეთის მიმართ აგრესიულები გახდნენ. გულის ლოგიკა შეცვალა „ცივი გონების" ლოგიკამ.

განათლების კრიზისის პრობლემის სათავე ამერიკულ ციეილიზაციაშია საძებნი, ციეილიზაციაში, რომელიც უპირისპირდება კულტურას. გაუცხოებამ შეცვალა მოსწაელე-მასწაელებლის ურთიერთობა.

ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს აშშ-ის სკოლის პრობლემები ედ. დეინის მიხედვით:

(სკოლის პრობლემები)

1940 წ.	1982 წ.
1. ლაპარაკი.	1. გაუპატიურება.
2. საღეჭი რეზინა.	2. ძარცვა.
3 ხმაური.	3. თაედასხმა.
4. დერეფანში სირბილი.	4. ქურდობა.
5. ქაღალდის ძირს დაყრა.	5. ბომბის აფეთქება.
	6. გაცდენები.
	7. ვანდალიზმი.
	8. ნარკომანია.
	9. ალკოჰოლიზმი.
	10. ბანდებს შორის ბრძოლა.
	11. აბორტი.
	12. ეენ. დააავადებები.
	13. მკელელობები...

ამერიკის განათლების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, განათლება ისევ ტრადიციულ სისტემას უნდა დაუბრუნდეს... და ერთი საყურადღებო დეტალი განათლების აშშ-ის ნაციონალური ანგარიშიდან, რომელიც მიიჩნევს, რომ სკოლამ უნდა აიღოს ორიენტაცია აკადემიური განათლებისაკენ, ამ საქმეში განსაკუთრებული როლი კი ფილოსოფიის საფუძვლების სწავლას ენიჭება. ამ დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ფილოსოფიის საფუძვლების ცოდნა აუცილებელია ნაციისა და ციეილიზაციისათვის", მაშინ, როცა ჩვენში ფილოსოფიის მოსპობის ტენდენცია მიდის (ფილოსოფიის კათედრების გაუქმება, ფილოსოფიის ინსტიტუტის გაუქმება, საშტატო ერთეულების შემცირება და სხვ.). მოსწაელეები დახსნილ უნდა იქნენ ტექნოკრატიული და „ემოციური ლიცენზიის" („აკეთე ის, რაც გსურს") ტიპის განათლებისაგან.

უკან, ტრადიციისაკენ! – აი, აშშ-ის განათლების სისტემის დღეანდელი დეეიზი, ტრადიცია კი ზნეობასთან არის დაკაეშირებული, ზნეობა – რელიგიასთან და ამიტომაც რელიგიური აღზრდა-განათლება პრიეილიგებული უნდა გახდეს.

შეუძლებელია, რომ ტრადიციული, ეროვნული პედაგოგიური პრინციპები უეარგისი იყოს, რადგან მათ საფუძელში ძევს ეროენული – ქართული გენი, ღრმა სულიერებითა და ესთეტიზმით აღსავსე. ამ სისტემამ მისცა საქართველოს ისეთი შეილები, როგორებიც იყვნენ: პეტრე იბერი, გრიგოლ ხანძთელი, შოთა რუსთველი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევან წამებული, დიდი ილია, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია ... რომელი მათგანი ჩამოეთვალოთ, მათი რიცხეი ძალზე დიდია.

ამიტომ, როცა განათლების რეფორმასა და მოდერნიზაციაზე ესაუბრობთ, აუცილებლად უნდა გაეითვალისწინოთ თუნდაც აშშ-ის მაგალითი, რომელსაც რეფორმად ტრადიციული – აკადემიური განათლებისაკენ მიბრუნება მიაჩნია და მას თელის კრიზისიდან გამოსელის ერთ-ერთ საშუალებად.

კრიზისიდან თაეის დაღწეეის გზებსა და საშუალებებს სოციოლოგები, კერძოდ განათლების სოციოლოგიის სპეციალისტები, ეძებენ, რომელთა გარეშე პრობლემის გადაწყეტა თითქმის შეუძლებლად მიგეაჩნია.

დაბოლოს, განათლების სისტემაში რეფორმისტული აზროენების შეჭრა მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დღეანდელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იზრდება მისწრაფება განათლების ერთიან სისტემაზე გადასასელელად. მსოფლიოში იქმნება არა მარტო საერთო ეალუტა, ეკონომიკა და პოლიტიკა, არამედ ცოდნაც.

საკითხავი მასალა

სოციოლოგია საქართველოში

საქართველოში სოციოლოგიური აზროვნება XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს დასაბამს და იგი ეროპული სოციოლოგიით საზრდოობდა მუდამ. უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში აღიარებული სოციოლოგიური თეორია საქართველოში არ შექმნილა და, შესაბამისად, ეებერის, თიონისის, მერტონის ან პარსონსის მსგავსი სოციოლოგები ჩვენ არ გვყოლია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, თუმცა ეს ყოველივე სრულებით არ ამცირებს იმას, რაც სოციოლოგიის სფეროში საქართველოშია გაკეთებული და ამჟამად კეთდება.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სოციოლოგია ეერ გაჩნდება და განვითარდება იქ, სადაც ადამიანი და საზოგადოება ყოველმხრივ შეზღუდულია, სადაც საზოგადოების ბუნებრივ განვითარებას უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი ელობება წინ. საქართველოს შემთხვევაში სწორედ მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ღია, დემოკრატიული მეცნიერების – სოციოლოგიის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა, ხოლო საბჭოთა დიქტატურის წლებში საზოგადოების შესახებ მეცნიერება ყალბი ისტორიულ-მატერიალისტური თეორიებით იქნა ჩანაცვლებული, თუმცა ქართველი მეცნიერები დიდი რისკის ფასად მაინც ახერხებდნენ სოციოლოგიური პრობლემების დამუშავებას და საფუძველს უყრიდნენ სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი დამოუკიდებელი მეცნიერების, საუკეთესო ტრადიციებს საქართველოში.

სადავოა საკითხი ქართული სოციოლოგიის, როგორც სუვერენული საზროვნო ფენომენის, შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ, უბრალოდ, ერთმანეთში არ ავურიოთ ცალკეულ მოაზროვნეთა სოციალური შეხედულებები და საკუთრივ სოციოლოგიური თეორიები. სოციალური შეხედულების ქონა სოციოლოგობას არ ნიშნავს. ეს რომ ახე იყოს, მაშინ ადამიანთა უმრავლესობა სოციოლოგი იქნებოდა. ერთია ცალკეული შეხედულებების ქონა საზოგადოებაზე და მეორე – მეცნიერულად დასაბუთებული თეორია მის შესახებ.

საქართველოში სოციოლოგია იმთავითვე ორი – აკადემიური და საუნივერსიტეტო მიმართულებით ვითარდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სოციოლოგიის მიმართულებით მოღვაწეობდნენ: არჩილ ჯორჯაძე და გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც 1902 წელს „სოციოლოგიური ეტიუდების" სათაურით 5 წერილი გამოაქვეყნა; ხოლო მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა" სამართლიანად არის მიჩნეული ანგარიშგასაწევ სოციოლოგიურ გამოკვლევად; სოციოლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობას დიდად აფასებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც სამი სოციოლოგიური გამოკვლევა აქვს ჩატარებული; 1923 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში სოციოლოგიის კურსს ალექსანდრე ვაჩნაძე კითხულობდა. მასვე ეკუთვნის პირველი სალექციო კურსი „სოციოლოგიის შესავალი", როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს I ნაწილი, მისი II ნაწილის გამოცემა ეერ მოხერხდა; ამავე პერიოდში უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იროდიონ სურგულაძე მოიწვიეს, ხოლო 1926 წლიდან – იმ დროისათვის ეეროპიდან დაბრუნებული გიორგი ნანეიშვილი. სამივე მათგანი სპეციალობით იურისტი იყო, თუმცა მათ დიდი წვლილი შეიტანეს სოციოლოგიის საუნივერსიტეტო სკოლაში სოციალური პრობლემატიკის დამუშავებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთიდან დაბრუნებული კონსტანტინე კაპანელის ღვაწლი, რომელიც ქართული მეცნიერების გამორჩეული ფიგურაა. იგი ორიგინალური სოციოლოგიური თეორიის – „ორგანოტროპიზმის" ავტორია, რაც იმ ფაქტის დადასტურებაა, რომ სოციოლოგიის სფეროში ორიგინალური თეორიების შექმნის ამბიცია ქართველებსაც ჰქონდათ. სოციოლოგიის პრობლემების დამუშავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში XX ს-ის 20-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა.

1925 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად სოციოლოგიას სერიოზული წინააღმდეგობები შეექმნა, ხოლო 1930 წელს სოციოლოგიის საკითხებზე გამართულ დისკუსიას სოციოლოგიის სრული იგნორირება მოჰყვა. შესაბამისად, თბილისის უნივერსიტეტში სოციოლოგია ამოღებულ იქნა სასწავლო დისციპლინებიდან.

სოციოლოგიისაკენ ხელახალი შემობრუნება „ხრუშჩოვის დროიდან" იწყება, კერძოდ, 1962 წლიდან საბჭოთა კავშირის მასშტაბით სოციოლოგიის რეაბილიტაცია მოხდა. იმის-

ნად ლენინგრადში გახსნილი სოციოლოგიის ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ლაბორატორიის საქმიანობას სპეციალურად გაეცნო ცნობილი ქართველი მეცნიერი ვენორ ქეაჩახია. სწორედ მისი თაოსნობით საბჭოთა კავშირში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი სოციოლოგიის ლაბორატორია შეიქმნა, რომლის ბაზაზე 1968 წელს კონკრეტულ-სოციოლოგიური კელეეის კათედრა დაარსდა. მისი ხელმძღვანელი პროფესორი ვენორ ქეაჩახია იყო. იგი ნაყოფიერად, ღრმად და საფუძვლიანად იკელეედა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების ინტერდისციპლინური, სისტემური გააზრების პრობლემებს, რამაც მას სოციოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე ევიანში (საფრანგეთი), ვარნაში (ბულგარეთი) და განსაკუთრებით უპსალაში (შეეცია) დიდი აღიარება მოუპოვა. არსებითად ამან განსაზღერა თბილისში (1981 წლის აგვისტოში) პირველად საბჭოთა კავშირში სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ჩატარება, სადაც ვენორ ქეაჩახია კიდევ ერთხელ აღიარებულ იქნა, როგორც გამოჩენილი მეცნიერ-მკელეევარი და სოციოლოგი. მისი ინიციატიეით საქართველოში არაერთხელ გაიმართა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის სიმპოზიუმები და სამეცნიერო კონფერენციები. მისი ძალისხმევის შედეგად სოციოლოგია ჩართულ იქნა საქართველოს სოციალური განვითარების დაგეგმეის საქმეში, მომზადდა სალექციო კურსები სოციოლოგიაში, დაცულ იქნა დისერტაციები.

ვენორ ქეაჩახიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში არაცნობიერის შესახებ გამართულ სიმპოზიუმში. საქართველოში შეიქმნა სოციოლოგთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტები იყვნენ პაატა გუგუშვილი და ვენორ ქეაჩახია, შემდეგ კი – პროფესორი ედუარდ კოდუა. კონკრეტულ-სოციოლოგიური კელეეის კათედრასთან მოქმედებდა დამნაშაეეობის სოციოლოგიის საკითხების შემსწავლელი ლაბორატორია (ხელმძღვანელი პროფესორი ანზორ გაბიანი). მოგვიანებით მისი ადგილი სტუდენტი ახალგაზრდობის სოციოლოგიური კელეეის ლაბორატორიამ დაიკავა.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი კიტა მეგრელიძე, რომელიც საქართველოში „აზროვნების სოციოლოგიის" ფუძემდებელია. ფაქტობრივად, საქართველოში მან ჩაუყარა საფუძველი აზროვნების სოციოლოგიის მნიშვნელოვან დარგს. ამ თეორიის მიხედეით, აზროვნების სპეციფიკა მის სოციალურობაში ელინდება. მხოლოდ სტრუქტურულ-ფუნქციური, მთლიანობითი მიდგომა გეაძლეეს იმის საშუალებას, რომ აზროვნება გაეიგოთ, როგორც თაეისუფალი, შემოქმედებითი აქტივობა, საბოლოოდ კი – როგორც ღირებულებათა და კულტურშემოქმედებითი საქმიანობის საწყისი; კიტა მეგრელიძის აზროვნების, ცნობიერების სოციოლოგია ნამდვილად ახალი სიტყეა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო არა მარტო ქართულ სოციოლოგიაში, არამედ ქართულ მეცნიერებაში საერთოდ.

1982 წელს, ვენორ ქეაჩახიას გარდაცვალების შემდეგ, ზემოთ ხსენებული კათედრის გამგე პროფესორი ედუარდ კოდუა გახდა, რომლის თაოსნობით 1989 წელს თბილისის ივანე ჯაეახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სოციოლოგიის სპეციალობა გაიხსნა, რომელიც მოგვიანებით სოციოლოგიის განყოფილებად გადაკეთდა, ხოლო კათედრას – სოციოლოგიის კათერდა, ფაკულტეტს კი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი ეწოდა. პროფესორმა ედუარდ კოდუამ საქართველოში სოციოლოგიის დარგის განვითარებას დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო. სოციოლოგიური მეცნიერება მან ახალ სიმაღლეებამდე აიყვანა. რაც შეეხება დღეეანდელობას, ამეამად, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად, სოციოლოგიის ფაკულტეტი სოციოლოგიის მიმართულებად არის გადაკეთებული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში სოციოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სოციოლოგიის აკადემიურ სკოლას, რომელსაც ადრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენს (ამეამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი ა. სულაბერიძის თაოსნობით.). ინსტიტუტი სოციოლოგიური კელეეის მდიდარი ტრადიციების მატარებელია საქართველოში. სოციოლოგიის ამ სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია აკად. პაატა გუგუშვილი, რომელსაც მეცნიერების ამ სფეროს შესახებ არაერთი საინტერესო ნაშრომი აქვს შესრულებული.

საქართველოში სოციოლოგია, განსაკუთრებით გამოყენებითი სოციოლოგია, არასოდეს რჩებოდა მთაერობის „ყურადღების გარეშე." მთაერობა მას საკუთარი მიზნებისათეის იყენებდა ან საერთოდ უარს ამბობდა მასზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ე. შეევარდნაძის

პერიოდში საქართველოს მთავრობასთან არსებობდა „საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი“, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებდა.

სოციოლოგიის განვითარებაში ერთგვარი გარდატეხა ეროვნული ხელისუფლების დროიდან მოხდა, როდესაც იგი მთლიანად განთავისუფლდა ყალბი იდეოლოგიისა და სტერეოტიპებისაგან და თავისუფალი განვითარების ასპარეზი მიეცა. ამ დროიდან მოყოლებული სოციოლოგიის სწავლებისადმი შიში და უნდობლობა გაქრა. საზოგადოებამ შეიგნო მისი აუცილებლობა, თუმცა სოციოლოგიური ცოდნის კულტურას საქართველოში სათანადო დონემდე ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია.

როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა დიქტატურის წლებში სოციოლოგიაში საზოგადოების შესახებ ყალბი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება – ისტორიული მატერიალიზმი მოიაზრებოდა, რომლისგან თავის დაღწევას ქართველი მეცნიერები სოციუმის შესახებ ფილოსოფიური თეორიებითა და დოქტრინებით ცდილობდნენ, ანუ სოციოლოგიური პრობლემების ანალიზი ფილოსოფიურ სიბრტყეზე გადაჰქონდათ, რამაც მეორე უკიდურესობაში გადაეყარდნა გამოიწვია – სოციოლოგიამ ფილოსოფიური შეფერილობა მიიღო. დღეს საქართველოში სოციოლოგია თავისთავადობას იძენს და ამ მდგომარეობიდან გამოდის. სოციოლოგიის დარგში საინტერესო გამოკვლევები აქვთ პროფესორებს: ედუარდ კოდუას, ბიძინა ლუტიძეს, ბონდო კარტოზიას, ეკა გოროზიას, გურამ ასათიანს, ზურაბ ხასაიას, ამირან ბერძენიშვილს, იაგო კაჭკაჭიშვილს და სხვებს.

თანამედროვე საზოგადოების პრობლემებზე მუშაობენ სალე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც საქართველოში მოქმედ სხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე მეცნიერებთან ერთად გარკვეულწილად შესაფერის ამინდს ქმნიან სოციოლოგიის სფეროში. დიდი ხანი არ არის, რაც მათ რიცხვს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულება და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული „ახალი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ შეემატა. აქვე ფუნქციონირებს „სოციოლოგთა კლუბი.“ დღეს თბილისში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი რამდენიმე სოციოლოგიური ცენტრი არსებობს.

ქართველ სოციოლოგთა თანამედროვე თაობა სოციოლოგიის კლასიკური და უახლესი პარადიგმების კრიტიკული ათვისების პროცესში იმყოფება, რის შედეგადაც თანდათანობით იკვეთება ის მიმართულებები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემების სათანადო ანალიზის საშუალებას იძლევა.

დღეს თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში როგორც სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება, ისე ადამიანთშორისი ურთიერთობების სრულყოფა წარმოუდგენელია სოციოლოგიური მომსახურების გარეშე. ეს პროცესი დაწყებულია საქართველოშიც, რომელიც თავისუფლების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზას ადგას.

ახალი საქართველოს მშენებლობა გაძნელდება ამ საქმეში სოციოლოგების მონაწილეობის გარეშე.

სოციოლოგები იმუშავებენ სამრეწველო და სასოფლო გაერთიანებებში, ფირმებსა და ასოციაციებში, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მართვის ორგანოებში, სოციოლოგიური კვლევის ცენტრებსა და ლაბორატორიებში, მედიაში, სარეკლამო სააგენტოებსა და იმიჯ-ცენტრებში და ა. შ.

შენიშვნა:

სოციოლოგია, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, საყოველთაო ფენომენია, ამიტომ მთელ რიგ უხერხულობას ქმნის ეროვნული ნიშნით სოციოლოგიაზე საუბარი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს სოციოლოგიური ცოდნის ის არსენალი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაშია დაგროვილი.

* * *




ეენორ ქვაჩახია
1924–1982

„თანამედროვე ტექნიკამ ადამიანს განუზომლად დიდი შესაძლებლობები მისცა, მაგრამ ამით იგი ვერ გახდა საკუთარი ბედნიერებით დაიმედებული და დამშვიდებული. პირიქით, ეს შესაძლებლობები უკიდურესად საშიში შეიქნა მისთვის. ადამიანს აქამდე არასოდეს არ შეეძლო მოესპო კაცობრიობა, ახლა ეს შესაძლოა. კაცობრიობის მიერ შექმნილი ტექნიკა დაუპირისპირდა ადამიანს, ადამიანისათვის საკუთარი შემოქმედების ნაყოფი უცხო გახდა, გაუცხოების ამ თვალუწვდენ ოკეანეში გაისმა SOS – ადამიანი საფრთხეშია! სტეინბეკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვით ადამიანი გახდა ჩვენი უდიდესი საშიშროება“ და როდესაც მამაზეციერის იმედი აღარაა, „ისევ ადამიანია ჩვენი ერთადერთი იმედი.“ ადამიანი მეცნიერული შესწავლის ცენტრში დგება, ხოლო ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის ცენტრალურ ადგილს სოციოლოგია იკავებს.“

ეენორ ქვაჩახია

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები






პაულ ლაზარსფელდი
(1901 – 1976)

გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი; მედიის მკვლევარი, რომელიც თავისი მეთოდოლოგიური და ემპირიული თეორიებითაა ცნობილი. მედიის სოციოლოგიაში შემოიტანა „ორსაფეხურიანი კომუნიკაციისა და შეხედულებათა ლიდერის“ ცნებები; 1937 წელს ხელმძღვანელობდა როკფელერის ფონდის მიერ დაფინანსებულ რადიოს კვლევის პროექტს პრინსტონის უნივერსიტეტში. მოგვიანებით პროექტი კოლუმბიის უნივერსიტეტში გადაიდა და მის ბაზაზე ცნობილი „სოციალურ გამოკვლევათა ბიურო“ შეიქმნა. II მსოფლიო ომის შემდეგ ემპირიულ გამოკვლევათა ცენტრი ჩამოაყალიბა ოსლოში. იგი მერტონთან ერთად თეორიული და ემპირიული ცოდნის სინთეზირების საფუძველზე სოციოლოგიური ცოდნის გარდაქმნელად მიმართული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ლაზერსფელდი 35 წლის განმავლობაში კოლუმბიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი იყო.

საკითხავი მასალა

ფრაგმენტი კახა ქეცბაიას წიგნიდან „ჟურნალისტიკის სოციოლოგია (საგანი, ამოცანები, მეთოდები)“



თანამედროვე დასაელური სოციოლოგიის თანახმად, საზოგადოება თაეის განეითარებაში რამდენიმე სტადიას გადის. აქედან V სტადია, რომელიც განეითარებულ ქეეყნებს ახასიათებთ, არის ინფორმაციული სტადია და მას ინფორმაციული საზოგადოება შეესაბამება. იგი XX-ს-ის 80-იან წლებში შეიქმნა (იაპონია). მისთეის ნიშანდობლიეია ინფორმაციის წარმოება, განაწილება, გაცელა და მოხმარება. ამ დროს ეროენულ შემოსაეალში ძალზე დიდია განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის (ელექტრონიკის) წილი. ამ შემთხვეეაში გადამწყეეტია არამატერიალური წარმოება. იქმნება საინფორმაციო ბანკები. ინფორმაციას გადასცემს პრესა, ტელეეიზია, ე. წ. IV ხელისუფლება, რომელიც ნელ-ნელა I ხელისუფლებად შეიძლება იქცეს. ამ მხრივ აღსანიშნაეია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, კერძოდ, კოსმოსური კაეშირგაბმულობის სისტემის შექმნა და თანამგზაერული ტელეეიზია. ბუნებრიეია, ყოეელიეე ეს სოციოლოგების მხრიდან შესწაელას, კელეეა-ძიებას, ანალიზსა და განზოგადოებას მოითხოეს. ამ მიზნით XX საუკუნეში კონკრეტულ-სოციოლოგიურ დისციპლინებს შეემატა სრულიად ახალი დისციპლინა ჟურნალისტიკის სოციოლოგიის სახით.


ჟურნალისტიკა, როგორც საზოგადოებრიეი მოღეაწეობის ერთ-ერთი სახე, მჭიდრო კაეშირშია საზოგადოების შესახებ მეცნიერებასთან – სოციოლოგიასთან. ჟურნალისტური საქმიანობა წარმოუდგენელია ინფორმაციის შეგროეების, დამუშაეება-ანალიზის, განზოგადების და მასობრივი გაერცელების გარეშე („ჟურნალისტიკა“ ფრანგული ენიდან მომდინარეობს – დღიური, გაზეთი.). ამ შემთხვეეაში იგი სიციოლოგიური კელეეის მეთოდებს იყენებს; ყოეელიეე ეს მეტყეელებს იმაზე, რომ თანამედროვე ჟურნალისტიკა სულ უფრო და უფრო სოციოლოგიური ხდება.

ჟურნალისტიკის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, შესახებ ცალკე მეცნიერული გამოკელეეა ქართულ ენაზე არ არსებობს, რაც საესებით გასაგებია; მარქსიზმის ბატონობის პერიოდში ამ მეცნიერების (სოციოლოგიის) განეითარება მკაცრად იდეოლოგიზებული იყო; ყოეელიეე ეს კი ხელს უშლიდა მისი, როგორც სრულყოფილი მეცნიერების, ჩამოყალიბებას. იგი ყეელაზე „თაეისუფალი“ და „დემოკრატიული“ მეცნიერებაა, რომელიც, ბუნებრიეია, ყერ განეითარდებოდა ტოტალიტარიზმის პირობებში.

ბოლო დროს სულ უფრო იზრდება ინტერესი კონკრეტული სოციოლოგიური კელეეების მიმართ. ამ საქმით დაკაეებულ ადამიანთა რაოდენობა ჩეენს სინამდეილეში ყოეელწლიურად მატულობს. ბუნებრიეია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ჟურნალისტები და ჟურნალისტიკა წარმოადგენს და ეს ალბათ არ არის გასაკეირი, რადგან სოციოლოგია ჟურნალისტიკასთან ყეელაზე ახლოს მყოფი, შეიძლება ითქეას, მონათესაეე მეცნიერებაა. ამაში საკანგაშო არაფერია, მაგრამ საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ სახე'სეა ე. წ. „ანკეტომანია“. სოციოლოგია დღეისათეის ყეელა'ზე მოდური მეცნიერებაა, რასაც ადასტურებს თურდაც ანკეტებით აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები.

ცნობილი სოციოლოგის იადოეის შენიშენით, ამას აკეთებენ ენოე'ზიასტები, რომლებსაც არა აქეთ სპეციალური განათლება, არადა, სოციოლოგიური გამოკელეეის ჩატარებისათეის სერიოზული და სოლიდური მეცნიერული ცოდნაა საჭირო, რაც ჩეენს ჟურნალ-გაზეთებში ნაკლებად ჩანს. ყისაც კი კითხეის დასმა შეუძლია, ყეელას სოციოლოგად მოაქეს თაეი. არაეინ არ იცის, კელეეის რა მეთოდები იქნა გამოყენებული და რამდენად რეპრეზენტატულია მიღებული ინფორმაცია. ამ შემთხვეეაში სახე'სეა ფსეედოსოციოლოგია. ასეთ ეითარებაში ჟურნალისტმა, რომელიც სოციოლოგიური კელეეით არის დაკაეებული,

უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ზემოაღნიშნული და უარი თქვას ე. წ. უხარისხო სტანდარტებზე, გაერცელებულ დაშტამპულ სტერეოტიპებზე. ამას სოციოლოგიური განათლება სჭირდება, ამიტომ დღის წესრიგში დგება სოციოლოგიური განათლების მქონე ჟურნალისტის – სოციოლოგ-ჟურნალისტის საჭიროება.



ამჯერად ჩვენ შეეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ის საკითხები და პრობლემები, რაც ასე მწვავედ დგას ამ მეცნიერების წინაშე. ამასთან მიგვაჩნია, რომ მისი სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა ცალკე გამოკვლევას მოითხოვს, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ჟურნალისტიკის თეორიას და თანამედროვე ჟურნალისტიკის პრაქტიკულ მიღწევებს, თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების დონეს ამ სფეროში და სხვ. ყოველივე ეს კი ნამდვილად აღემატება ერთი მკვლევრის შესაძლებლობებს. ამ საქმეში სოციოლოგებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ ჟურნალისტებმა – იმ ადამიანებმა, რომლებიც პრაქტიკული ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწეობენ; ყოველივე ეს კი მომავლის საქმეა.

ჟურნალისტიკის სოციოლოგია, როგორც მეცნიერება

კონტიდან მოყოლებული, თანამედროვე სოციოლოგიამ განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო; ამ ხნის განმავლობაში გაფართოვდა სოციოლოგიური გამოკვლევების სფერო, რამაც გამოიწვია ე. წ. სპეციალიზაცია სოციოლოგიურ დისციპლინებად. ამ დისციპლინებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჟურნალისტიკის სოციოლოგიას.

ჟურნალისტიკის სოციოლოგია არის სპეციალური სოციოლოგიური დისციპლინა, რომელიც მეცნიერული დისციპლინის სახით დასავლეთში ჩამოყალიბდა. მისი განვითარება თავისუფალი იყო ყოველგვარი იდეოლოგიისაგან და ამიტომაც ჟურნალისტიკის სოციოლოგიას იქ დღეს უფრო დახვეწილი და ჩამოყალიბებული სახე აქვს, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენზე. ჩვენთან ეს დარგი ჯერ კიდევ განვითარებისა და ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. მარქსიზმის ბატონობის დროს ამ დარგის თეორიული საფუძველი იყო ე. წ. ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც ზოგადი სოციოლოგიური თეორიის როლს ასრულებდა. ბუნებრივია, ჟურნალისტიკის ზოგადი თეორიაც მის საფუძველზე იყო შექმნილი. ასეთ ვითარებაში ჟურნალისტიკა სოციოლოგიასთან მიმართებაში გამოდიოდა, როგორც კერძო სოციალური თეორია, რომელიც ჟურნალისტიკის პრობლემებს განიხილავდა, როგორც სოციალურ მოვლენას.

ჟურნალისტიკის სოციოლოგია არის სოციალური მეცნიერება ჟურნალისტიკის შესახებ, რომელიც ჟურნალისტიკას განიხილავს, როგორც სპეციფიკურ სოციალურ მოვლენას, როგორც ფაქტს.

ჟურნალისტიკის სოციოლოგიის მკვლევართა შორის დღესაც მიმდინარეობს დაყა ამ მეცნიერების სახელწოდებასთან დაკავშირებით; მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს მეცნიერული მიმართულება უნდა იწოდებოდეს „პრესის სოციოლოგიად.“ თუმცა, როგორადაც არ უნდა განიხილებოდეს პრესა, ამ შემთხვევაში მისი გაგება ვიწროა, რადგანაც სხვა პლანზე რჩება რადიო, ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის კიდევ სხვა საშუალებები. ამიტომ ჟურნალისტიკის სოციოლოგიის ნაცვლად ჩნდება ტერმინი: „მასობრივი კომუნიკაციების სოციოლოგია“. ჟურნალისტიკა განსხვავდება სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის საშუალებებისაგან, ამიტომ ამ ტერმინის უყარგისობის მიზეზი შინაარსობრივი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, დასადგენია გენერალური ცნება, რომელიც აღწერს მეცნიერულ დისციპლინას, მთლიანად მოიცავს მისი საგნის უმთავრეს ნიშნებს. ჩვენს შემთხვევაში იგი განპირობებული იქნება ინფორმაციის შინაარსით, მისი მოპოვებისა და დამუშავების საშუალებებით, ამ ამოცანების რეალიზაციისას სუბიექტური თვისებებით და სხვ.

ტერმინი, რომელიც მთლიანად წარმოადგენს აღნიშნული მეცნიერული დისციპლინის კვლევის საგანს, ამავე დროს შეესაბამება მეცნიერული კვლევის ტრადიციებს და, ამასთან ერთად, ობიექტის თანამედროვე გაგებას, არის ჟურნალისტიკა. იგი მთლიანად მოიცავს ყოველივე ზემოაღნიშნულს და, ამდენად, მისი ჩამორება საკმაოდ გამართლებულია. გარდა

ამისა, ამ ტერმინის ხმარების დროს ქრება ილუზია იმისა, რომ თითქოს ჟურნალისტურ დისციპლინათა სისტემის გეერდით არსებობს ე. წ. „მასობრივი კომუნიკაციის თეორია" და, ამის შესაბამისად, ცალკე სოციოლოგიური დისციპლინა, თუმცა ამ შემთხვევაში ჟურნალისტიკის სოციოლოგია ეკუთვნის სოციოლოგიურ დისციპლინებს და ამავე დროს შედის ჟურნალისტიკის შესახებ არსებულ მეცნიერებებში. ამიტომ ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საგანი არსებობს ჟურნალისტური გამოკვლევების საგნის შიგნით. მას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ამოცანები, რაც ჟურნალისტიკის თანამედროვე პრობლემატიკის შიგნით იკვეთება. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტური საქმიანობა იქცევა სოციოლოგიური კვლევის საგნად. თავის მხრივ, გაზეთი (პრესა), რადიო და ტელეგადაცემა ბევრად უფრო საინტერესო და მეცნიერული იქნება სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების გათვალისწინების შემთხვევაში. თუმცა ნაყოფიერი სოციოლოგიური ანალიზი შეუძლებელია მყარი საყრდენის გარეშე, რომელსაც წარმოადგენს ჟურნალისტიკის შესახებ არსებული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური ნაწილი,

ჟურნალისტურ საქმიანობაში ძირითადია ინფორმაციის შეგროვება, მისი მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, განზოგადება და გამოყენება, ამით ერთმანეთს ჰგვანან ჟურნალისტი და სოციოლოგი. სოციოლოგიური გამოკვლევა იძლევა იმას, რაც ჟურნალისტებისათვის ასე აუცილებელია, მაგრამ ვერ ფლობენ მას, მაგალითად, აუდიტორიის რაოდენობრივი შემადგენლობა, ინტერესების სტრუქტურა, ინფორმაციის მიღების მეცნიერული მეთოდები, თემებს შორის დამოკიდებულება, დამოკიდებულება რუბრიკისადმი, ჟანრებისადმი და სხვ. ყოველივე ეს ჟურნალისტს აძლევს საშუალებას, რომ თავის თავს აუდიტორიის თვალით შეხედოს, რომ მკითხველი და მაყურებელი არ არის მხოლოდ ინფორმაციის პასიური მიმღები, რომ მას ყოველთვის არ მოსწონს ის, რასაც ჟურნალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. არავითარ შემთხვევაში, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სოციოლოგია („მასმედიის სოციოლოგია") და ჟურნალისტიკის სოციოლოგია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სოციოლოგია, ისევე როგორც ჟურნალისტიკის სოციოლოგია, ცალკე, კონკრეტულ-სოციოლოგიური დისციპლინაა, რომლის ძირითადი საგანია საზოგადოებრივი აზრი. ბუნებრივია, ჟურნალისტიკის სოციოლოგია ვერ იქნება მთლად მოწყვეტილი საზოგადოებრივი აზრის შესახებ მეცნიერებას, ის აუცილებლად ითვალისწინებს ამ მეცნიერების კვლევა-ძიების შედეგებს. თავის მხრივ, საზოგადოებრივი აზრი ძალზე საინტერესო სფეროა მეცნიერული კვლევისათვის.

საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ნიკოლო მაკიაველი თავის უმთავრეს თხზულებაში „მთავარი", რის გამოც ბევრი მკვლევარი სწორედ მას მიიჩნევს ამ ტერმინის ფუძემდებლად, თუმცა, სინამდვილეში ტერმინი „საზოგადოებრივი აზრი" ინგლისური წარმოშობისაა. იგი XII საუკუნეში ინგლისში გაჩნდა. ტერმინი პირველად ინგლისელმა მწერალმა და სახელმწიფო მოღვაწემ ჯონ სოლბერიმ იხმარა 1159 წელს. აქედან გავრცელდა იგი სხვადასხვა ქვეყნებში. დაწერილებითი ცნობები ამ ტერმინის წარმოშობასთან დაკავშირებით მოცემულია გერმანელი სოციოლოგის ჰაბერმასის წიგნში: „ცვალებადობის სტრუქტურა საზოგადოებრივ აზრში". საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევრები არიან: პ. ლაზარსფელდი, კ. ხარტი, ჯ. გელაპი, გ. ლასუელი, ე. უილსონი, ოლპორტი, ქენტრილი, ბერელსონი, ხოელენდი, შერიფი და სხვ. ამ და სხვა მკვლევრების ნაშრომს უწევს ჟურნალისტიკის სოციოლოგია. საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სოციოლოგებს: გ. ტარდის, უ. ლიპმანს, რ. მერტონს, გ. ბლუმერს და სხვებს.

თავის მხრივ, სოციოლოგიასთან კავშირში ჟურნალისტიკა ავითარებს არა მხოლოდ თეორიას, არამედ აღრმავებს და სრულყოფს პრაქტიკულ მხარესაც.

დღეს მრავალი რედაქცია, ტელე- და რადიოსტუდია იყენებს სოციოლოგების გამოცდილებას. სოციოლოგიური გამოკვლევები მათთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროს როლს ასრულებს. თანამედროვე ჟურნალისტიკაში ფართოდ შეაღწია სოციოლოგიური კვლევის მეთოდებმა, რამაც გამოიწვია ჟურნალისტიკისა და სოციოლოგიის ურთიერთგადაკვეთა და დღის წესრიგში დააყენა ჟურნალისტიკის შესახებ ცალკე სოციოლოგიური დისციპლინის არსებობის საკითხი.

ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საგანი, ამოცანები, მეთოდები

საგანი: ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საგანი არ არის ჟურნალისტიკის ისტორიული განვითარება, როგორც ეს ბევრ მკვლევარს მიაჩნია, თუმცა იგი ფართოდ იყენებს ისტორიულ ცოდნას.

მას აინტერესებს ჟურნალისტიკის დინამიკური განვითარების პროცესი, ჟურნალისტიკა, როგორც ცოცხალი ფაქტი, როგორც რეალური ცხოერება მთლიანი ორგანიზმისა. იგი ქმნის და აყალიბებს ახალ ცოდნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, როგორც ფუნქციონირებად, მოქმედ, დინამიკურ სისტემაზე, რაც, თავის მხრივ, თეორიას აძლევს პრაქტიკული გამოყენების საშუალებას, ამიტომ ის სწავლობს პრაქტიკული მოქმედების რეალურ პრინციპებს. მისი საგანია ჟურნალისტიკა, როგორც სოციალური ფენომენი.

ამოცანები: ჟურნალისტიკის სოციოლოგია, როგორც ცალკე მეცნიერება, მრავალი თანამედროვე პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა, რომელთა ფონზე თანდათან იკვეთება მისი, როგორც მეცნიერული დისციპლინის, ამოცანები. ესენია: ა) შესასწავლი ობიექტის აღწერა (ე.წ. „სურათის გადაღება"). ამ ამოცანის შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა სოციოლოგ-ჟურნალისტის წინაშე დგას ე.წ. გაცნობითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. ის შეიძლება ჩაითვალოს საწყის ეტაპად, მას შეიძლება აღწერითი გამოკვლევის ჩატარებაც დაევალოთ. ამ შემთხვევაში მკვლევარმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას: „რა არის ეს?" „რას ნიშნავს ეს?" ამან კი, თავის მხრივ, აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია უნდა მოგვცეს; ბ) ახსნა იმ მიზეზებისა, თუ შესასწავლი ობიექტი რატომ არის ასეთი და არა სხვანაირი? მაგ., რატომ იკითხება ერთი მასალა ერთი ჟურნალისტისა ინტერესით, ვიდრე იგივე მასალა მეორისა? საჭიროა ე.წ. „იდეალური მოდელის შექმნა"; გ) შემდეგი ამოცანა შესაძლო ობიექტის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებაა, რაც წარმოადგენს გადასვლას სოციოლოგიური გამოკვლევის დაბალი დონიდან მაღალზე. ამ შემთხვევაში იზრდება პასუხისმგებლობა, რაც მოითხოვს შესაბამის ცოდნას და უნარ-ჩვევებს მკვლევრისაგან. აქ დაშვებული მცირედი შეცდომაც კი შეიძლება ზიანის მომტანი გახდეს რედაქციის ან ტელე-რადიოკორპორაციისათვის, ფოსტისათვის და სხვ. დ) ჟურნალისტიკის სოციოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა აგრეთვე ჟურნალისტთა ორგანიზაციული და პროფესიულ-შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესება, ე.წ. კომპლექსური გამოკვლევების ჩატარების გზით, რომლის სუბიექტები იქნებიან ცალკეული ჟურნალისტები. ასე რომ, სოციოლოგიას დიდი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეუძლია ჟურნალისტიკისათვის, თუმცა ყოველი კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა სრულებით არ არის ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საგანი.

გარდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანებისა, ჟურნალისტიკის სოციოლოგიას აქვს თეორიული ტიპის ამოცანებიც, კერძოდ, თავისი გამოკვლევებით ის ზრდის და ამდიდრებს ჟურნალისტიკას, როგორც მეცნიერებას, ჟურნალისტურ გამოკვლევებს აძლევს მეცნიერულ სახეს, რაც თავისებურად ამრავალფეროვნებს და სრულყოფს თანამედროვე ჟურნალისტიკის ისტორიას. იგი განსაზღვრავს იმ ფაქტორებსა და სოციალურ პირობებს, რომელთა საშუალებით ხელი შეეწყობა ჟურნალისტიკის განვითარებას, ადგენს ჟურნალისტიკის როლს საზოგადოების პროგრესში. თავის მხრივ, თანამედროვე ჟურნალისტიკის თეორიაც უნდა დაეყრდნოს სოციოლოგიურ გამოკვლევებს.

სოციოლოგია ემსახურება, ამაეე დროს, ჟურნალისტური განათლების განვითარებასაც. ამ ასპექტით, მას ე.წ. „საგანმანათლებლო" ამოცანა აქვს და ის არის არა დამხმარე დისციპლინა, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენიათ, არამედ მეცნიერების დარგი, რომელიც ჟურნალისტიკის თეორიასთან და ისტორიასთან ერთად შეადგენს ე.წ. „ტრიუმვირატს" ჟურნალისტიკის შესახებ არსებული ფუნდამენტური მეცნიერებისა, რასაც სამომავლოდ დიდი პერსპექტივები აქვს, ამიტომ აუცილებელია იგი ისწავლებოდეს ჟურნალისტიკისა და სოციოლოგიის სპეციალობებზე. გარდა ამისა, თავის მხრივ, ჟურნალისტები ცალკე უნდა სწავლობდნენ სოციოლოგიას, თუნდაც კონკრეტულს. ამ ფონზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგ-ჟურნალისტი მომავლის სპეციალობაა.

მეთოდები: ჟურნალისტიკის სოციოლოგია იყენებს ე.წ. ზოგადმეცნიერულ, ფილოსოფიურ და კერძო მეთოდებს.

რაც შეეხება საკუთარ, სპეციალურ მეთოდებს, მათი გამოყენება დამოკიდებულია კვლევის საგანსა და ამოცანებზე. როგორც კონკრეტულ სოციოლოგიაში, აქაც მეთოდიკას კვლევის საგანი განსაზღვრავს.

სტრუქტურა: ჟურნალისტიკის სოციოლოგია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, ამიტომ მისი ცალკეული ნაწილები და მიმართულებები ნაკლებადაა დიფერენცირებული. იგი, როგორც სოციალური კერძო მეცნიერული დისციპლინა, შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ა) ბეჭდვითი სიტყვის, პრესის სოციოლოგია; ბ) კომუნიკაციის საშუალებათა სოციოლოგია (ტელეგრაფი, ფოსტა და სხვ.); გ) რადიოს სოციოლოგია; დ) ტელე- კინო (ვი-

დეო) სოციოლოგია.

ცალკე გამოიყოფა ჟურნალისტურ ურთიერთობათა სოციოლოგია და სხე. ყველა ესენი ჟურნალისტიკის სოციოლოგიის სტრუქტურული ელემენტებია, რომლებიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში არიან და ცალკე კვლევა-ძიებას საჭიროებენ.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიაში (მოკლე მიმოხილვა)

ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიას შორის არ არის მხოლოდ ერთი მიმართულების, ცალმხრივი ურთიერთობა, მათთვის საერთოა კვლევის ზოგიერთი მეთოდი. მაგალითად, ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვება, ზეპირი ინტერვიუ, დიდი ხნიდან იყენებს ჟურნალისტიკა; თავის მხრივ, სოციოლოგიაც დიდ გამოცდილებას იღებს აქედან, ხოლო ჟურნალისტები უფრო მეტად ორიენტირებული ხდებიან არსებულ სიტუაციაში, ამდიდრებენ რა თავიანთ ინსტრუმენტალურ ცოდნას ურთულეს სოციალურ ფენომენზე და მიმართავენ კვლევის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი ჟურნალისტურ სამყაროში.

ინფორმაციის მოპოვების მეთოდები ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიაში იგივეობრივია და ამით ისინი ემსგავსებიან კიდეც ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არის არსებითი ხასიათის სხვაობაც. კერძოდ, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები მეცნიერული მეთოდებია, მაშინ როცა ჟურნალისტიკაში მათ აქვთ სტიქიურ-ემპირიული ხასიათი. ჟურნალისტს მოეთხოვება ფლობდეს მრავალ მეთოდსა და ხერხს, გარდა იმისა, რომ შეეძლოს გამართულად წერა. ცხოვრების ღრმა შრეებში შეღწევა და მისი საფუძვლიანი და ყოველმხრივი ანალიზი მისგან მოითხოვს ინფორმაციის წყაროს სწორად შერჩევას და მასთან გონივრული, გაგებითი ურთიერთობის ქონას, ეს კი წარმოუდგენელია სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ცოდნის გარეშე.

განსხვავება სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკას შორის არის მეთოდურ პლანში, მეთოდებისადმი მიდგომაში. სოციოლოგიის კვლევის მეთოდები ყოველთვის მეცნიერული მეთოდებია, ხოლო ჟურნალისტიკაში ის წარმოადგენს შემეცნების მეთოდებს, რომელიც ხშირად რჩება სტიქიურ-ემპირიულ დონეზე, ანდა პრაქტიკული შემეცნების დონეზე, რაც დაკავშირებულია პრაქტიკულ საქმიანობასთან და საკუთარ თავს ინარჩუნებს ცხოვრებისეული სიბრძნისა და პრაქტიკული გამოცდილების სახით.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში მრავალად შეიძლება ვიპოვოთ სხვადასხვა დონე კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების გამოყენებისა და ხარისხის თვალსაზრისით.

მეთოდური მსგავსება აშკარაა პუბლიცისტიკაში. ჟურნალისტი მუდმივ ურთიერთობაშია სოციუმთან, ამიტომ მიმართავს იგი სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდებს. აქედან გამომდინარე, დაკვირვება, ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი, სოციომეტრია, სოციალური ექსპერიმენტი და სხვა ჟურნალისტური შემეცნების ტრადიციულ მეთოდად იქცა.

ა) დაკვირვება სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკაში. სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს შორის დაკვირვება ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მეთოდია. ამ მეთოდის ხასიათი განპირობებულია სოციალური ობიექტით, განსხვავებით ფიზიკური მოვლენების დაკვირვებისაგან; მაგ., ეულკანის ამოფრქვევის შემთხვევაში, მკვლევარ-დამკვირვებელი მშვიდადაა, რადგანაც იცის, რომ ვერაფერს შეცვლის; სოციალური დაკვირვება მკვლევრისაგან რეაგირებას მოითხოვს. იგი მარტივი მეთოდია, იმიტომ რომ მეთოდოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, დამოუკიდებელ სახეს კი მაშინ იღებს, როდესაც კვლევა ატარებს ე.წ. „დაზვერვით“ ხასიათს და მისწრაფებს აქვს პრობლემების დასუსტება. ამ მეთოდს ჟურნალისტიკაში იყენებენ, როდესაც შეისწავლიან ცალკეულ ფაქტს ან მოვლენას, მაშინ როდესაც დიდი სტატისტიკური მასალის მოპოვება არ არის საჭირო რეპორტაჟის ან სტატიისათვის მასალების შეგროვების დროს, თუმცა აქაც განსხვავებულია დაკვირვების დონეები. უმთავრესად გამოიყოფა ორი ძირითადი დონე: მეცნიერული და ცხოვრებისეული. დაკვირვების მეთოდის გამოყენებისას განსხვავება სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკას შორის შემდეგი სახით ელინდება: სოციოლოგიაში დაკვირვება დამოკიდებულია ზუსტად განსაზღვრულ კვლევის პროგრამაზე: იგი იგეგმება წინასწარ მოფიქრებული პროცედურით. ყველა მონაცემი ოქმში ფიქსირდება, ერთი სტანდარტით, მეცნიერული სახე აქვს; ჟურნალისტურ მასალაში დაკვირვების გზით მიღებული ინფორმაცია ხვდება ინფორმაციათა კომპლექსში (ინფორმაციული კოლაჟი), რომელიც, თავის მხრივ, სხვა მეთოდებითაა მოპოვე-

ბული. როგორიცაა ჟურნალისტური საუბრები, დოკუმენტური მასალის შესწავლა და სხვ. ამიტომ ის არ არის მოცემული წმინდა სახით, როგორც სოციოლოგიაში. ჟურნალისტიკაში ეს მეთოდი ე.წ. ცხოვრებისეულ დონეზე განიხილება, თუმცა არსებობს გარდამავალი ეტაპიც, რომლის დროსაც გადასვლა ხდება მეცნიერულ დონეზე.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში დაკვირვების მიზეზებად გვევლინება სინამდვილის მოვლენები, რომელთა შორის ჟურნალისტი განიხილავს საზოგადოებისათვის (აუდიტორიისათვის) მნიშვნელოვანს და ეს პროცესი წმინდა სტიქიურ-ემპირიული ხასიათისაა, მაშინ როდესაც სოციოლოგიაში პირიქითაა.

მას შემდეგ, რაც ხდება ობიექტის შერჩევა, ჟურნალისტები დგებიან ისეთი საკითხის წინაშე, როგორიცაა – როგორ დააკვირდეს? აქ კი საჭიროების მიხედვით ისინი მიმართავენ დაკვირვების შემდეგ სახეებს: ჩართული დაკვირვება, ღია და ინკოგნიტო დაკვირვება. საველე დაკვირვებისას, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ობიექტი სახეზეა, მაშინ როცა ლაბორატორიული დაკვირვების დროს „მოდელირების" გზით ხდება საჭირო სიტუაციის შექმნა, რაც ნაკლებად გამოიყენება ჟურნალისტიკაში და ეს ალბათ მისი სირთულითაც არის განპირობებული.

ყოფილ სსრკ-ში ამ მეთოდის გამოყენება აკრძალული იყო ე.წ. პარტიული მოთხოვნების გამო. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტური საქმიანობის წარმატება, ამ მეთოდით მუშაობისას, დამოკიდებულია მის ცოდნაზე. ჟურნალისტიკაში გავრცელებული ფორმა ამ მეთოდის გამოყენებისა არის ჩანაწერები ბლოკნოტში ან დღიურში, თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას ჟურნალისტები დგებიან მთელი რიგი სიძნელეების წინაშე, რაც გამოწვეულია მეთოდის უარყოფითი მხარეებით. პირველ რიგში ეს არის დროის პრობლემა, სანდოობის ხარისხი და ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

დაკვირვების მეთოდის ამ ძალზე მცირალი განხილვიდანაც ჩანს, რომ, როდესაც ჟურნალისტიკა დაადგება სოციოლოგიურ გზას, მაშინვე იხსნება უამრავი პრობლემა. სოციოლოგიზაციის გზით ჟურნალისტური კვლევის მეთოდები იძენენ მეცნიერულობას და ამავე დროს არ კარგავენ თავისთავადობას, ბოლომდე ჟურნალისტური რჩებიან, თუმცა კი ახალ სახეს იღებენ. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტურ პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ ჟურნალისტის პიროვნებას. ის დიდ გავლენას ახდენს მასალის ემოციურობაზე, მაშინ როცა სოციოლოგიაში ეს მინიმუმამდე არის დაყვანილი, ამიტომ, ობიექტურობის მიზნით, საჭიროა ჟურნალისტური დაკვირვებისადმი სოციოლოგიური მიდგომა. რაც უფრო თანმიმდევრულად გამოიყენებს ჟურნალისტი სოციოლოგიურ მეთოდებს, მით უფრო გაიზრდება მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხი. ის ჟურნალისტური ნაწარმოები, სადაც ეს მიღწეულია, იძენს მკაფიოდ გამოხატულ ელემენტს ჟურნალისტურობისა.

ბ) დოკუმენტის შესწავლა-ანალიზი სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკაში. ეს მეთოდი ერთ-ერთი უძველესი მეთოდია არა მარტო სოციოლოგიაში, არამედ ზოგადად საზოგადოებრიც მეცნიერებებში. დოკუმენტურ წყაროს ხშირად მიმართავენ ჟურნალისტურ პრაქტიკაშიც. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ვისაუბროთ ამ მეთოდის ორ ასპექტზე: ერთ შემთხვევაში დოკუმენტი გამოდის, როგორც დაფარული, მკითხველისა და მაყურებელ-მსმენელისათვის მიუწვდომელი ინფორმაცია; მეორე შემთხვევაში კი დოკუმენტი ხდება მხოლოდ ერთი ნაწილი ჟურნალისტური გამოკვლევისა, ანდა სრულიად გვევლინება სრულიად დამოუკიდებელი სახით. დოკუმენტს, როგორც ობიექტურ მოწმეს, ჟურნალისტი გარკვეული თვალსაზრისით აანალიზებს, ვიდრე გამოიტანდეს აუდიტორიის წინაშე. ამ ანალიზს კი შეიძლება ჰქონდეს სტიქიურ-ემპირიული ანდა მეცნიერულ-სოციოლოგიური ხასიათი. დოკუმენტთან დამოკიდებულების ერთ-ერთი მარტივი ფორმა შეიძლება იყოს ასეთი: „აიღე და გამოიყენე, მოიხმარე!". მაგრამ ამ დამოკიდებულებასაც ცოდნა სჭირდება. საჭიროა დოკუმენტების ანალიზების ცოდნა, დოკუმენტებისადმი ფაქიზი, მეცნიერული მიდგომა და მათი საფუძვლიანი ანალიზი. ამ შემთხვევაში ჟურნალისტიკა ისევე და ისევე სოციოლოგიას მიმართავს.

სოციოლოგიაში „დოკუმენტი" უფრო ფართო გაგების ცნებაა, ვიდრე ჟურნალისტიკაში, სადაც ის ინფორმაციის ოფიციალურ წყაროს წარმოადგენს. სოციოლოგიაში კი დოკუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი დაბეჭდილი, ხელნაწერი, ტელე, ფოტო, ვიდეო და აუდიომასალა. დოკუმენტების (წერილები, დღიურები და სხვ.) ანალიზით მიიღება სრულიად ახალი ცხოვრებისეული ინფორმაცია. ამ მეთოდის გამოყენებისას, სოციოლოგისაგან განსხვავებით, მკვლევარ-ჟურნალისტი თავის მიზნებს და ამოცანებს აცნობიერებს უკვე დოკუმენ-

ტების გაცნობის პროცესში. პირველი ამოცანა დოკუმენტებზე მუშაობისას არის მათი გაცნობა და კლასიფიკაცია.

ყველაზე მეტად გაერცელებული, უმარტივესი ფორმა დოკუმენტური წყაროს გამოყენებისა არის მისგან ციფრობრივი ანდა ფაქტობრივი მოცემულობების შერჩევა და მათი ჩართვა ძირითად ტექსტში. მთლიანობაში დოკუმენტი რჩება მკითხველის ან მაყურებლის ყურადღების ფარგლებს გარეთ, რომელიც ენდობა ჟურნალისტს. მაგრამ ამ ნდობას გამართლება სჭირდება, ამიტომ ჟურნალისტმა დოკუმენტური მასალიდან უნდა შეარჩიოს ისეთი, რომელიც ნამდვილად ასახავს აღსაწერი მოვლენის ჭეშმარიტ არსს. ჟურნალისტიკაში დოკუმენტი უნდა იქცეს მასობრივი გარსჯისა და დაფიქრების საშუალებად. ისმის კითხვა: რატომ მიმართავენ ჟურნალისტურ პრაქტიკაში უფრო მეტად ამ მეთოდს? ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ: ა) გათვალისწინებულია მაყურებლის ან მკითხველის მისწრაფება ე.წ. „შიშველი ფაქტებისადმი", პირდაპირი მოწმისადმი, რომელსაც დოკუმენტის სახით აწვდის მათ ჟურნალისტი; ბ) დოკუმენტში მოცემულია არა მარტო ფაქტობრივი მასალა, არამედ იგი თავისებურად ახასიათებს მის ავტორს, წარმოაჩენს მის ფსიქოტიპს, ხასიათს, ღირებულებათა ორიენტაციას და ა. შ., რაც მეთოდის უდავოდ მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დღეისთვის ადამიანის სულიერი სამყარო უფრო და უფრო დახშული ხდება ჟურნალისტისათვის, ამიტომ მასში შესაღწევად მან სოციოლოგიასთან ერთად უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის (ადამიანთმცოდნეობის), სოციოლოგიური ფსიქოლოგიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიღწევები.

დოკუმენტების დამუშავებისას მნიშვნელოვანია მათი გაგება, გააზრება და ლოგიკური ანალიზი. ყოველ მეცნიერებას, რომელსაც ოდნავადაც კი აქვს შეხება დოკუმენტებთან, შემუშავებული აქვს მათთან დამოკიდებულების საკუთარი მეთოდი, იქნება ეს ლიტერატურული, ლინგვისტური, ისტორიული, ფსიქოლოგიური, იურიდიული, ჟურნალისტური თუ სოციოლოგიური. დოკუმენტების ლოგიკური ანალიზის ორი ძირითადი სახეა ცნობილი ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიაში. ესენია: ტრადიციული კლასიკური თეისებრიეი ანალიზი და თეისებრიე-რაოდენობრიეი, რაოდენობრიე-ფორმალიზებული ანალიზი ანუ კონტენტ-ანალიზი, დოკუმენტების შინაარსის თეისებრიეი გაზომვა, რაც გამომდინარეობს მათი რაოდენობრიეი ანალიზიდან. დოკუმენტების ანალიზის ეს მეთოდები ყოველთვის არ გამოიყენება, რადგანაც დოკუმენტები ყოველთვის არ საჭიროებენ ზუსტ რაოდენობრივ და თეისებრიე ანალიზს. კვანტიფიკაციის მეთოდი, კონტენტ-ანალიზის მეთოდი ერთადერთია, როცა: ა) გვაქვს ერთგვაროვანი დოკუმენტების მასიეი და ისინი წარმოადგენენ შესასწავლ ობიექტს; ბ) როდესაც საჭიროა ანალიზის მაღალი სიზუსტე; გ) მასალა იმდენად დიდია და ბეერი, რომ არ შეიძლება მათი შესწავლა რაოდენობრიეი შეფასების გარეშე; დ) როცა მასალა არ არის სისტემატიზებული. კონტენტ-ანალიზი იძლევა შედარების ინფორმაციის შეპირისპირების საშუალებას (მაგ., რედაქციაში შემოსული წერილების შეპირისპირება ავტორთა შეხედულებებთან), მაგრამ მას არ შეუძლია მოიცვას დოკუმენტების მთელი სიმდიდრე, ამიტომ ის უნიკალური მასალების შესწავლის დროს გამოიყენება.

ა) ტრადიციული თეისებრიეი ანალიზი. იგი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: საწყისი ეტაპია წერილების, დოკუმენტების წინასწარი გაცნობა-წაკითხვა ჟურნალისტის მიერ. ეს არის ე.წ. „გამოკვლევა მინიატიურაში". ამ შემთხვევაში ანალიზის ლოგიკა სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკაში თითქმის იგივეობრიეია. დგინდება დოკუმენტის ნამდვილობა, მდგომარეობა, მისი შექმნის დრო და ადგილი; ხდება ავტორის განსრახვაზე ყურადღების გამახვილება. ჟურნალისტიკაში ავტორს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ის არა მარტო ინფორმაციის წყაროა, არამედ დაკვირვების ელემენტიც. ყოველივე ეს ამ მეთოდის გარეგან მხარეს შეადგენს. არსებობს კიდევ მისი შინაგანი ასპექტიც, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია მოცემული დოკუმენტის ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სოციალური ფაქტების გახსნის მიზნით ბეერი მკვლევარი ამ პროცედურას რთულად მიიჩნევს, მაგრამ არც ერთ სოციოლოგს არ უხდება დოკუმენტებთან ისე ხშირად ურთიერთობა, როგორც ჟურნალისტს. მათი წაკითხვა, შეიძლება ითქვას, ჟურნალისტისთვის ყოველდღიური საქმიანობაა, რომლის დროსაც საჭირო უნარ-ჩვევები ჟურნალისტს ავტომატურად უყალიბდება შემოქმედებით პროცესში.

ბ) თეისებრიე-რაოდენობრიეი, რაოდენობრიეი ფორმალიზებული ანალიზი; კონტენტ-ანალიზი.

(კონტენტ-ანალიზის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მოცემულია წიგნში: ა. ზდრავომისლოვი. სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა. თბ.

1975). სოციოლოგიის ისტორიაში ცნობილი ფაქტია, როდესაც სერიოზული სახის გამოკვლევა დაიწერა მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით – პოლონელი სოციოლოგების ტომასისა და ზნანეცკის ნაშრომი: „პოლონელი გლეხები ამერიკაში". იგი მთლიანად ეყრდნობა ამერიკაში ემიგრირებული პოლონელი გლეხების წერილებს, ნაწერებს სასამართლო საქმეების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოლონელ ემიგრანტებზე მასალების, ბიოგრაფიების მესწავლისა და ანალიზის გზით. რაც შეეხება კონტენტ-ანალიზს, იგი დოკუმენტების ანალიზის მეთოდის განსაკუთრებული სახესხვაობაა. ძირითადად მას იყენებენ ჟურნალისტები. კონტენტ-ანალიზი შეიძლება ჩაუტარდეს არა მხოლოდ პრესის მასალებს, არამედ რადიო და ტელემასალებსაც. ეტიმოლოგიურად „კონტენტ-ანალიზი" „შინაარსის ანალიზს" ნიშნავს (ინგლისურიდანაა). სპეციალური ბარათის ბლანკზე თაესდება გაზეთში გამოქვეყნებული პოლიტიკური ინფორმაციის ტიპები, ავტორთა ვინაობა, გეოგრაფია სოციალურ-დემოგრაფიული თავისებურებების მიხედვით. ძირითადია: აზრობრივი ერთეულების გამოყოფა და რაოდენობრივი აღრიცხვა (ცნობილი ფაქტია, რომ ინგლისის დაზვერვამ მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის რადიოს გადაცემების კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლის შედეგად დაადგინა საომარი ოპერაციის დაწყების ზუსტი დრო). ამ მეთოდის პროცედურა შემდეგი სახისაა: მკვლევარი თავიდან განსაზღვრავს დოკუმენტების შინაარსის (ჟურნალისტიკაში – წერილების) მიზანს და საგანს, რის შემდეგაც ახდენს მათ ფორმალიზებას მრავალი მისთვის საჭირო ცნების მიხედვით. ამ შემთხვევაში გამოიყოფა ანალიზის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა თემა, სფერო, რომელიც წერილშია აღწერილი, პრობლემა, რომელიც მასშია გადმოცემული და სხვ. ამის შემდეგ ეს თეორიული ცნებები უნდა მივუყენოთ ავტორთა კონკრეტულ გამონათქვამებს, რომელიც ტექსტშია მოცემული. ამისათვის ტექსტში გამოიყოფა სპეციალური კატეგორიები, მისი შინაარსის შემადგენელი ელემენტები ანუ აზრობრივი ერთეულები. ისინი ანალიზის კატეგორიის მაჩვენებლებია; ანალიზის სანდოობა მოითხოვს, რომ გამოყოფილი ელემენტების შინაარსი მოიცავდეს შერჩეულ კატეგორიას მთლიანობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩამოეთვალოთ, მაგ., ყველა სფერო, რომელიც შედის „თემის" კატეგორიაში. ამ დროს კი საჭიროა წერილის შინაარსის თვისებრივი ანალიზის, ტექსტის სტრუქტურის ცოდნა, მისი ელემენტების ინტერპრეტაცია. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ როგორ და რომელ ერთეულებში მოხდება წერილის შინაარსის გაზომვა. მაგ., გაზეთის ტექსტის ანალიზისას შეიძლება გამოვიყენოთ ფართობის, პწკარის, აბზაცის გაზომვის სხვადასხვა ერთეულები. დოკუმენტის ანალიზისას კი საჭიროა რაოდენობრივი გაზომვა. ამ სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვანია კომპიუტერის გამოყენება. ამ მეთოდით მრავალი რედაქცია თუ ტელესტუდია სარგებლობს დღეს, თუმცა სხვა საქმეა, როგორია ამ შემთხვევაში სოციოლოგიური ცოდნის დონე. კონკრეტული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ დოკუმენტური წყაროების გონივრი, მეცნიერული გამოყენება წარმოადგენს ყველაზე სანდო ინფორმაციას სხვა მეთოდებთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რამდენად საჭირო და საშური საქმეა ჟურნალისტების დაოსტატება-გაწაფვა დოკუმენტების ანალიზის მეთოდიკაში.

გ) კონტენტ-ანალიზი, როგორც ტექსტუალური ანალიზის ინსტრუმენტი.

კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენების პირველი ცდები ისტორიულად უკავშირდება პუბლიცისტური სახის საგაზეთო ტექსტებს. ამ მხრივ დასაფასებელია ამერიკელების გამოცდილება. 1943 წელს ამერიკული გაზეთის „ჩამდგილი ამერიკელის" ტექსტების კონტენტ-ანალიზი ამერიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია სასამართლო ექსპერტიზის თვალსაზრისით. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში გამოდიოდა ინგლისურენოვანი პროფაშისტური ორგანო – გაზეთი „ჩამდგილი ამერიკელი". ცნობილმა სოციოლოგებმა ლასუელმა და ლეიტესმა გაზეთის ტექსტის კონტენტ-ანალიზი ჩაატარეს. სოციოლოგებმა ტექსტში, როგორც ტექსტის ერთეულები, სხვადასხვა სახის პროფაშისტური შეხედულებები და გამონათქვამები გამოყვეს. მათ შორის:

1. „პრეზიდენტი რუზველტი– არასასურველი პირი."
2. „გერმანია სამართლიანი და ძლიერია."
3. „იაპონია – ძლიერი სახელმწიფოა."

4. „ამერიკა – სუსტია.“
5. „აშშ და მისი მოკავშირეები კომუნისტების კონტროლქვეშ იმყოფებიან“ და სხვ.

დადგინდა, რომ მსგავსი პროფაშისტური იდეების სიხშირე თერთმეტჯერ მეტია მის საპირისპირო შეხედულებათა სიხშირეზე. უმაღლესმა სასამართლომ კონტენტ-ანალიზის შედეგები მიიღო, როგორც ექსპერტიზის ობიექტური მტკიცებულება, და მის საფუძველზე გაზეთის გამოცემა აკრძალულ იქნა. გარდა ამისა, კონტენტ-ანალიზი რჩება ალბათ ერთადერთ მეთოდად, რომელიც გამოიყენება არა მარტო პრესის მასალების, არამედ ლიტერატურული ტექსტების სოციოლოგიური ანალიზისათვის.

ცნობილმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა ევროპული პორტრეტული ფერწერის კონტენტ-ანალიზის საფუძველზე საგანგებოდ შეისწავლა, თუ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქაში კლასებსა და სქესთა შორის ურთიერთობა. მან შენიშნა, რომ მხატვართა შემოქმედებაში მამაკაცთა პორტრეტებთან შედარებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და მაღალი შეფასება ქალთა პორტრეტებს ეძლევა. პ. სოროკინი საჭიროდ და აუცილებლად თვლიდა ხელოვნების ნაწარმოებთა კონტენტ-ანალიზს, რაც, მისი აზრით, ხელოვნებასთან დაკავშირებულ მრავალ ღრმა სოციალურ პრობლემას ახდიდა ფარდას (მსგავსი სახის კვლევებით დაკავებული იყვნენ მკვლევრები: უ. უილსონი, ჯ. კოლი, ლ. ლოუენტალი, ბ. ბერელსონი, მ. ალბრეხტი, რ. ინგლისი, ლ. ეიტმანი, დ. ეიფლერი და სხვ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ ტექსტუალური ანალიზის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი არის კონტენტ-ანალიზი. იგი ჟურნალისტებს ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს (თუმცა ჩვენში ნაკლებად ეხვდებით ამ მეთოდის გამოყენებას და მის საფუძველზე შესწავლილ და გაანალიზებულ ტექსტებს).

დ) გამოკითხვა სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკაში. გამოკითხვის მეთოდი (ინტერვიუ, საუბარი) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკაში. იგი ყველაზე მეტად არის შესწავლილი ჟურნალისტების მიერ და მისი ცალკეული მომენტები სოციოლოგიაშიც გამოიყენება. აქ აშკარად ჩანს ჟურნალისტიკისა და სოციოლოგიის ურთიერთკავშირი. ჟურნალისტიკაში უფრო მეტად გამოიყენება ინტერვიუს მეთოდი. ჟურნალისტიკის თეორიაში ინტერვიუ განისაზღვრება, როგორც ჟანრი, რომელიც წარმოადგენს საუბარს ჟურნალისტსა და ერთ ან რამდენიმე პირს შორის კითხვების საშუალებით. რაც შეეხება ჟურნალისტურ და სოციოლოგიურ პრაქტიკას, აქ ის არის არა ჟანრი, არამედ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მეთოდი, და ამ გზით მიღებული ინფორმაცია შეიძლება ჩართულ იქნეს ნებისმიერ ჟურნალისტურ ნაწარმოებში. ამ მეთოდის გამოყენებას ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიაში ბევრი საერთო მხარე აქვს, თანაც არ უნდა იქნეს დაეიწყებული თითოეული მათგანის სპეციფიკა. სოციოლოგიაში ინტერვიუ მეცნიერულობას ინარჩუნებს, ჟურნალისტიკაში კი იგი ძალზე ფართო დიაპაზონშია მოცემული – ჩვეულებრივი საუბრიდან დაწყებული, დეტალური და წინასწარ დაგეგმილი საუბრის ჩათვლით დამთავრებული. ეს უკანასკნელი კი აუცილებელ კავშირშია ინტერვიუს სოციოლოგიურ მეთოდთან.

ჟურნალისტიკა ინტერვიუს ყველა ცნობილ მეთოდს იყენებს – იქნება ეს თავისუფალი ინტერვიუ, პანელური, ფოკუსირებული, ჯგუფური და სხვა. ძალიან ძნელია ჟურნალისტიკაში ე.წ. მასობრივი ინტერვიუს ჩატარება, რომლის დროსაც დიდი ჯგუფი გამოიკითხება. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ ანკეტურ გამოკითხვას. ამ შემთხვევაში ჟურნალისტს ეს მეთოდი აინტერესებს გაზეთისადმი, მაყურებლისადმი, გადაცემისადმი მკითხველის დამოკიდებულების გასარკვევად. გარდა ამისა, ჟურნალისტური ნაწარმოების მომზადებისას გამოკითხვის მეთოდს ძალზე ხშირად იყენებს პრესა, ე.წ. „გაზეთის სოციოლოგია,“ და ტელევიზია. ამ შემთხვევაში ანკეტის ადგილს იჭერს გაზეთის ფურცელი (სოციოლოგიური ანკეტა გაზეთის ფურცლებზე ანდა ინტერაქტიული გამოკითხვა სატელევიზიო გადაცემებისას დღესათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა).

ე) სოციალური ექსპერიმენტი, ფსიქოლოგიური ტესტი და სოციომეტრია.

ეს მეთოდები ნაკლებადაა აპრობირებული ჟურნალისტიკაში. ამ სფეროში ისინი ახლა იკიდებენ ფეხს. მნიშვნელოვანია მათი კომბინირებული სახით მოხმარება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ და სხვა მეთოდების გამოყენებას ჟურნალისტიკაში არ უნდა ჰქონდეს სტიქიური ხასიათი, რაც, თავის მხრივ, ისევე და ისევე ჟურნალისტიკის სასარგებლოდ მეტყველებს. ზემოაღნიშნული მეთოდებიდან ჟურნალისტიკისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია სოციალური ექსპერიმენტის მეთოდი, თუმცა მის გამოყენებას ისევე და ისევე კომბინირებული ხასიათი აქვს. სოციალური ექსპერიმენტი სოციოლოგიური გამოკ-

ელეების ერთ-ერთი მეთოდია. იგი საინტერესო მოვლენის გამოკვლევას, მასზე დაკვირვებას გულისხმობს, ოღონდ მკვლევარი-სოციოლოგი ამისთვის ხელოვნურად ქმნის სპეციალური ობიექტის ისეთ ნიშნებს, რომელიც მას აინტერესებს და შემდეგ აკვირდება მას. სხვა მეთოდისაგან, როგორიცაა დაკვირვება, განსხვავებით იგი შესასწავლ ობიექტზე ზემოქმედებას გულისხმობს. აქ ლაპარაკია აზრობრივ ზემოქმედებაზე, რომელსაც ახასიათებს აქტიურობა. ის თავის თავში შეიცავს მოდელირებას. იგი საკვლევი მოვლენის გარკვეული მეთოდური გეგმის საფუძველზე შესწავლის საშუალებას იძლევა. ახასიათებს სიზუსტე, უშუალობა და განმეორებადობა. მისი ნაკლოვანი მხარეებიდან შეიძლება გამოვყოთ ის, რომ ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტი ფსიქოლოგიურად დაძაბულია და ეს არ იძლევა საშუალებას ბოლომდე ჩაწვდეთ სოციალური მოვლენის არსს, თუმცა ამის აღმოფხვრას ცდილობენ ე.წ. „ბუნებრივი ექსპერიმენტის" გზით. ამ დროს ექსპერიმენტული სიტუაცია ცდის პირისათვის ისეთივე ბუნებრივი რჩება, როგორიც რეალური გარემოა. მასში სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილია თითქმის ყველა სახე დანარჩენი მეთოდებისა, რაც განპირობებულია თვით ექსპერიმენტის მსვლელობით, მისი ჩატარების მეტად რთული ტექნიკით, რომლის დროსაც საჭიროა დაკვირვების, გამოკითხვის, დოკუმენტების ანალიზისა და სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური პროცედურის ჩატარება. მიუხედავად ამ თავისი სინთეზურობისა, იგი დამოუკიდებელ მეთოდად რჩება, რომელშიც ძალზე დიდია პრაქტიკული ელემენტების როლი. ეს მეთოდი დიდ როლს ასრულებს ჟურნალისტური გამოკვლევის მომზადებაში, თუმცა მის აბსოლუტიზაციას ყოველთვის სავალალო შედეგები მოაქვს.

ე) სოციოლოგიური ტელერეპორტაჟი. სოციოლოგიური ფილმები. სოციოლოგიური კინო.

საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალფსიქოლოგიური ასპექტების უკეთ შესწავლის მიზნით ჟურნალისტიკა იყენებს სოციოლოგიურ ტელერეპორტაჟს. მისი მეშვეობით შესაძლებელია ცხოვრებისეული დეტალების ძალზე ღრმა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ანალიზი. ამ შემთხვევაში სოციოლოგები, სულ მცირე, ორი ასპექტით წარსდგებიან ჩვენ წინაშე: I. როგორც ტელეაუდიტორიის მკვლევრები და II. როგორც ტელე-კინოოპერატორები. ეს ეხება კინოდოკუმენტალისტებსაც, რომლებიც თავიანთ ძირითად ამოცანად სახავენ თანამედროვე საზოგადოების შესწავლას კინემატოგრაფიის მეშვეობით.

სოციოლოგიური ტელერეპორტაჟი – ეს არის რომელიმე მწვავე სოციალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემაზე მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებული, ხოლო კინემატოგრაფიული ასპექტით – გამომსახველობითი გამოკითხვა-ინტერვიუ. აქ პრობლემის შესწავლაში ჩართულია მუსიკა, ტიტრები, კამერის ობიექტივის მოძრაობა და სხვ. გარდა თეორიულისა, რადიო-ტელერეპორტაჟს დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ისტორიიდან ცნობილი ფაქტია, რომ ეპტონ სინკლერის მიერ სოციოტელერეპორტაჟის გამოქვეყნების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა სასაკლაოების მდგომარეობის შესწავლის ბრძანება გასცა, ხოლო სენატმა ამის შესახებ ახალი ბრძანება მიიღო. ტელერეპორტაჟის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მის სოციოლოგიურ მხარეზე ე.წ. მის სოციოლოგიურობაზე, რომლის მეშვეობით რეპორტიორი შეისწავლის და მხატვრულად ან პუბლიცისტურად გაშუალებული სახით ეკრანზე წარმოაჩენს ახალ სოციალურ ფაქტებს, მოვლენებს, რომლებიც ნიშანდობლივია სასოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ასეთი კვლევის დიდი პრაქტიკა აქვთ აშშ-ის, საფრანგეთის და ყოფილ სსრკ-ში ბალტიისპირელ ჟურნალისტებს.

საქართველოში ამ ტიპის გამოკვლევები ახლა იდგამენ ფეხს და მათთვის ჟურნალისტურთან ერთად ძალზე ღრმა სოციოლოგიური განათლებაა საჭირო. სოციორეპორტაჟთან კავშირშია სოციოლოგიური ფილმები, სოციოლოგიური კინო, რომელიც თანაბრად ეკუთვნის როგორც სოციოლოგიას, ისე ხელოვნებას (კინოხელოვნებას, იგი ცალკე, სპეციალური სახის კვლევას მოითხოვს). უნდა აღინიშნოს, რომ კინორეპორტიორი ან კინოდოკუმენტალისტი, რომელიც სოციოლოგის როლში გვევლინება, სპეციფიკური სახის ფიგურას წარმოადგენს. მათთან შედარებით კინორეპორტიორი მხატვრულ სახეებზე, მაყურებლის გრძნობად აღქმაზეა ორიენტირებული. თუმცა ორივე მათგანის სინთეზი – სოციოლოგიური კინო (დოკუმენტური ან მხატვრული) სოციალური სინამდვილის კიდევ უფრო საინტერესო და მრავალისმეტყველ სურათს იძლევა.



ჯორჯ გელაპი
(1901-1984)

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი აეტორიტეტული და გაელენიანი მკვლევარი, საზოგადოებრივი აზრის მეცნიერული შესწაელის მეთოდიკის აეტორი, რომელმაც 1935 წელს საზოგადოებრივი აზრის შესწაელის მსოფლიოში ცნობილი ამერიკული ინსტიტუტი დააარსა. მან 1936 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩეენებზე პრეზიდენტ რუზეელტის გამარჯეება იწინასწარმეტყველა (6%-იანი ცდომილებით), რამაც დიდად შეუწყო ხელი მის პოპულარობას.

მცირე დასკენა: ჟურნალისტიკის სოციოლოგიის საკითხების ამ ძალზე მოკლე და ზოგადი მიმოხილეიდანაც ნათელია, თუ რაოდენ საჭიროა ეს მეცნიერება თანამედროვე საზოგადოებისათეის, ამიტომ ამ მხრიე კელეეა-ძიებას, უდაეოდ, უნდა მიეცეს გასაქანი როგორც თეორიულად, ასეე პრაქტიკულად. დასახეწია აგრეთეე მეთოდიკა, კერძოდ სოციოლოგიური კვლეეის მეთოდების ჟურნალისტიკაში გამოყენების თეორია და პრაქტიკა.

ცხადია, საზოგადოებრივი აზრის შესწაელის გარეშე ჟურნალისტიკა დიდ წარმატებებს ეერ მოიპოეებს, ხოლო ამ ამოცანას იგი სოციოლოგიასთან კაეშირის გარეშე, უდაეოდ, ეერ შეასრულებს. ამ ასპექტში ჟურნალისტიკასა და სოციოლოგიას შორის კაეშირი ურთიერთსასარგებლოა. დარწმუნებული ვართ, რომ პრესის, რადიო-ტელეეიზიისა და საგამომცემლო საქმის მუშაობა ბეერად უფრო ნაყოფიერი და ქმედითი იქნება სოციოლოგიასთან კაეშირში. ამის დადასტურებაა სრულიად ახალი სპეციალობის (პროფესიის) – სოციოლოგ-ჟურნალისტის ჩამოყალიბება.

დასასრულს შეენიშნაეთ, რომ ჟურნალისტიკის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, წინაშე მდგარი პრობლემების კელეეა-ძიება, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება მხოლოდ ყოეელიეე ზემოაღნიშნულით. უეჭეელია, რომ იგი უფრო ფართო და ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოითხოეს; დასადგენია ის კანონზომიერებანი, რომელიც სპეციფიკურია ჟურნალისტიკის სოციოლოგიისათეის, როგორც მეცნიერებისათეის, რაც ადეილი საქმე არ არის და არც ჩეენ გაგეაჩნია ამ მხრიე რაიმე პრეტენზია. ჩეენ გეინდოდა წარმოგეეჩინა ამ მეცნიერების წინაშე მდგარი პრობლემატიკა, ძირითადად, მისი მეთოდური ასპექტები.

ეს საინტერესოა
საერთაშორისო სოციოლოგიური ორგანიზაციები

სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი
International Institute of Sociology

მსოფლიო სოციოლოგიურ ორგანიზაციათა შორის ერთ-ერთი უპირველესი სოციოლოგიის საერთაშორისო – („International Institute of Sociology" – IIS) ინსტიტუტია. იგი პროფესიონალ სოციოლოგთა უძველესი გაერთიანებაა, რომელიც 1893 წელს სოციოლოგმა რენე ვორმსმა პარიზში ჩამოაყალიბა (ვორმსი ამავე დროს პოლიტიკითაც იყო დაკავებული. იგი საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო). თავისი არსებობის პირველიევე წლიდან მოყოლებული ორგანიზაცია პერიოდულად იწვევს კონგრესებს. პირველი ხუთი კონგრესი (1893-1903 წწ.) პარიზში ჩატარდა. თავდაპირველად ინსტიტუტს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები – ყოფილი მინისტრები და ვიცე-პრეზიდენტები ხელმძღვანელობდნენ. 1903 წელს ინსტიტუტს სათავეში პროფესიონალი სოციოლოგი ლესტერ უორდი ჩაუდგა. ვორმსის გარდაცვალების შემდეგ, 1926 წელს ინსტიტუტის გენერალური მდივნის პოსტი მისმა უახლოესმა მეგობარმა რისერ გასტონმა დაიკავა. სხვადასხვა დროს ინსტიტუტის პრეზიდენტებად არჩეული იყვნენ პ. ლილიენფელდი, მ. კოვალევსკი, ნ. კარეევი, პ. სოროკინი. ამჟამად პრეზიდენტის პოსტი შვედ პროფესორ ბორან ვიტროვს უკავია, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები არიან: აიშე ცაგლარი (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი); ხუან პინი (ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემია) და ელკე კოხ-ვეზერ ამასარი (რომის უნივერსიტეტი); გენერალური მდივნის თანამდებობა პეტერ პერდსტრომს (ოქსფორდის უნივერსიტეტი) უკავია. ინსტიტუტის სამდივნო შვედეთში მდებარეობს.

ინსტიტუტი თავიდანვე ეორმსის მიერ დაარსებულ სოციოლოგიურ ჟურნალს – „**The International Review of Sociology**" გამოსცემდა, რომელთან ერთად დღეს „სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის ანალები" – „**Anals of the International Institute of Sociology**" გამოიცემა.

მეორე მსოფლიო ომამდე სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებს „სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი" ატარებდა. ომის შემდგომი პერიოდიდან, 40-იანი წლებიდან დღემდე ამ საქმეს სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია უდგას სათავეში, თუმცა, თავის მხრივ, მსგავს ღონისძიებებს ინსტიტუტიც ატარებს, მაგრამ წარმომადგენლობის თვალსაზრისით მსოფლიო სოციოლოგიურ კონგრესებთან შედარებით ის იმდენად მასშტაბური არ არის, რამდენადაც ინსტიტუტი სოციოლოგთა ელიტური გაერთიანებაა. მის წევრთა რაოდენობა 300-ს არ აღემატება.

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია
International Sociological Association

პროფესიონალ სოციოლოგთა ყველაზე წარმომადგენლობითი და დემოკრატიული გაერთიანება „სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციაა" – „**International Sociological Association - ISA .**" ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს იუნესკოს ეგიდით შეიქმნა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგებს აერთიანებს. დამფუძნებელი კონგრესი 1949 წლის სექტემბერში ოსლოში ჩატარდა, სადაც ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტად ლუის ვირთი (აშშ) აირჩიეს. ასოციაციის ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური. დღეს იგი სოციალურ მეცნიერებათა სფეროში გაეროს კონსულტანტის სტატუსით არსებობს. მისი ძირითადი მიზანია: გლობალური მასშტაბით სოციოლოგიური ცოდნის განვითარება და შემდგომი წინსვლა; სამეცნიერო-სოციოლოგიური სკოლებისა და ემპირიული სოციოლოგიური კვლევებისა და კვლევითი ხედვების მხარდაჭერა; სოციოლოგთა შორის პიროვნული და ინსტიტუციონალური კონტაქტების გაღრმავება; თანამედროვეობის არაერთი მწვავე სოციალური პრობლემის განსახილველად მსოფლიო სოციოლოგიური კონგრესების ორგანიზება, სოციოლოგიურ გამოკვლევათა და გამოცემათა მხარდაჭერა და ა. შ. მის შემადგენლობაში 58 ნაციონალური და 11 რეგიონალური (ევროპის, აზია-წყნარი ოკეანის და სხვა) სოციოლოგიური ასოციაცია, 73

სამეცნიერო ინსტიტუტი და სოციოლოგიის ფაკულტეტი და 109 ქვეყნის 3 000-ზე მეტი ინდივიდუალური წევრი შედის. კონგრესებს შორის შუალედში ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი კომიტეტი მოქმედებს, რომლებიც შესაბამისი მიმართულების სოციოლოგებს აერთიანებენ. სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი სოციოლოგთა ყოველ საერთაშორისო კონგრესზე აირჩევა.

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტები

პრეზიდენტობის წლები	პრეზიდენტი	ქვეყანა
1949-1952	ლ. ერითი	აშშ
1953-1956	რ. ანჯელი	აშშ
1956-1959	ჟ. ფრიდმანი	საფრანგეთი
1959-1962	ტ. მარშალი	აშშ
1962-1966	რ. კიონიგი	გერმანია
1966-1970	ი. შჩეპანსკი	პოლონეთი
1970-1974	რ. პილი	აშშ
1974-1978	ტ. ბოლტმერი	დიდი ბრიტანეთი
1978-1982	უ. ჰიმელსტრანდი	შვედეთი
1982-1986	ფ. კარდოზო	ბრაზილია
1986-1990	მ. არჩერი	დიდი ბრიტანეთი
1990-1994	თ. კ. ომენი	ინდოეთი
1994-1998	ე. ეალერსტაინი	აშშ
1998-2002	ა. მარტინელი	იტალია
2002-2006	ჰ. შტომპკა	პოლონეთი
2006-2010	მ. ვიეიორკა	საფრანგეთი

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესები

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

კონგრესი	ჩატარების წელი	ჩატარების ადგილი	კონგრესის ძირითადი თემატიკა
I	1950	ციურიხი (შვეიცარია)	„საერთაშორისო ურთიერთობებზე სოციოლოგიურ გამოკვლევათა ზემოქმედება "
II	1953	ლიეჟი (ბელგია)	„სოციალური სტრატიფიკაცია და სოციალური მობილობა," „საერთაშორისო კონფლიქტები და მათი გადაწყვეტა," „სოციოლოგიურ გამოკვლევათა თანამედროვე განვითარება," „სოციოლოგთა სწავლება, პროფესიული საქმიანობა და პასუხისმგებლობა."
III	1956	ამსტერდამი (ჰოლანდია)	„სოციალურ ცვლილებათა პრობლემა XX საუკუნეში".
IV	1959	მილანი და სტრესე (იტალია)	„სოციოლოგია და საზოგადოება".
V	1962	ვაშინგტონი (აშშ)	„სოციოლოგები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე," „განვითარების სოციოლოგია," „სოციოლოგიურ თეორიათა არსი და პრობლემები".


VI	1966	ევიანი (საფრანგეთი)	„სოციოლოგიის ერთიანობა და მრავალფეროვნება,“ „საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია“.
VII	1970	ვარნა (ბულგარეთი)	„მომავალი და თანამედროვე საზოგადოება – საზოგადოებრიული განვითარების მეცნიერული პროგნოზები და სოციალური დაგეგმარება“.
VIII	1974	ტორონტო (კანადა)	„მეცნიერება და რევოლუცია თანამედროვე სამყაროში“.
IX	1978	უპსალა (შვედეთი)	„სოციალური განვითარების გზები“.
X	1982	მეხიკო (მექსიკა)	„სოციალური თეორია და პრაქტიკა“.
XI	1986	ნიუ-დელი (ინდოეთი)	„სოციალური ცვლილებები: პრობლემები და პერსპექტივები“.
XII	1990	მადრიდი (ესპანეთი)	„სოციოლოგია ერთიანი მსოფლიოსათვის“.
XIII	1994	ბილეფელდი (გერმანია)	„საკამათო საზღვრები და ცვალებადი სოლიდარობა“.
XIV	1998	მონრეალი (კანადა)	„სოციალური ცოდნა: მემკვიდრეობა, გამოწვევები, პერსპექტივები“.
XV	2002	ბრისბენი (ავსტრალია)	„XXI საუკუნის სოციალური სამყარო: ამბივალენტური მემკვიდრეობა და ახალ-ახალი გამოწვევები“
XVI	2006	დურბანი (სამხრეთ აფრიკა)	„სოციალური არსებობის ხარისხი გლობალიზებად მსოფლიოში“.
XVII	2010	გიოტებორგი (შვედეთი)	„სოციოლოგია მოძრაობაში – ომი და ძალადობა, მდგრადი განვითარება, განხვავებათა სამყარო, მოქმედება და წარმოსახვა, რელიგია და ძალაუფლება“.
XVIII	ჩატარდება 2014 წელს	დაუზუსტებელი ინფორმაციით, შესაძლებელია ჩატარდეს რუსეთში ან ინდოეთში	

მსოფლიოში ცნობილი სოციოლოგები




მიშელ ფუკო (1926-1984)

„ადამიანი არ არის არც ყველაზე ძველი, არც ყველაზე მუდმივი პრობლემა ...
... ადამიანი ისევე გაუჩინარდება, როგორც ზღვის ქვიშაზე მოხაზული ფიგურა...“



სოციოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესის პოსტერი



დასკვნის სანაცვლოდ

სოციოლოგიის კლასიკოსთა რჩევები მომავალ სოციოლოგებს

• კლასიკური სოციოლოგიური თეორიებისა და სოციოლოგიური კლასიკის ცოდნის აუცილებლობის შესახებ

„... ისეთი გამჭრიახი აეტორების შემოქმედებითს ლაბორატორიაში შეღწევა, როგორებიც დიურკემი და ვებერი არიან, თეორიულ პლანში მნიშვნელოვანი სოციოლოგიური პრობლემის განსაზღერებისას კარგი გემოვნების ჩამოყალიბებასა და პრობლემის მოგვარების წარმატებული გზის ძიებაში გვეხმარება. კლასიკა – ეს არის წიგნები, რომლებიც მათში ჩაღრმაეებული მკითხველის გონებას ამახვილებენ...“

რობერტ კინგ მერტონი

• სოციოლოგიური წარმოსახეის აუცილებლობის შესახებ

„... სოციოლოგიის შესწაელის ერთ-ერთი შედეგი გაზეთის კითხვის ცოდნა უნდა იყოს. საგაზეთო მასალებში გასარკვეევად, რომელიც არც ისე იოლი ამოცანაა, აუცილებელია გაზეთის მიერ ნამცნობი მოელენების ერთმანეთთან დაკავშირება და საზოგადოებრიეი ცხოერების უფრო ზოგად წარმოდგენებთან მიმართებაში გაგება ეისწაელოთ... საქმის არსი შემდეგში მდგომარობს: სოციოლოგია, უპირეელესად, ეს არის საშუალება იმის ჩარჩოებიდან გასასელელად, რასაც ჩვენ გაზეთში ეკითხულობთ. ის იძლევა ცნებათა და კითხვათა სისტემას, რომელიც ჩვენ ამის გაკეთებაში გვეხმარება. თუკი ასეთი რამ არ ხდება, მაშინ სოციოლოგია, როგორც ლიბერალური განათლების ნაწილი, უსაფუძელო აღმოჩნდება...“

ჩარლზ რაით მილსი

• სოციოლოგიურ ცოდნასა და ყოეელდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის კაეშირის აუცილებლობის შესახებ

„... სოციოლოგიური ცოდნის ორიენტირი ყოეელდღიური ცხოერება უნდა იყოს. აუდიტორიაში მიღებული ცოდნის ცხოერებაში მიღებულ გამოცდილებასთან ინტეგრირების გარეშე სოციოლოგიის სწაელების პროცესი უბრალო პედანტიზმი იქნება და მეტი არაფერი. ცხოერებისეული შინაარსებისაგან დაცლილი მშრალი, ფორმალური სოციოლოგიური ცნებებისა და კატეგორიების დასწუთხეა ღიად საშიშროებას უქმნის სოციოლოგიურ განათლებას... “

რობერტ ეზრა პარკი

სახელთა საძიებელი*

ადორნო, თ 5, 24, 158, 159, 209, 216
აეალიანი, ს 68
აიხბაუმი, ე.ლ 215
ალენი, ფ 146
ალექსანდერი, ჯ 231
ალექსანდრე მაკედონელი 178
ამაზისი 94
აინშტაინი, ა 70, 76, 141, 185
ამილახვარი, ა 46
ამასარი, ე.კ.ე 266
ანაქსიმანდრე 69
ანაქსიმენი 69
ანდერსონი, ჩ 232
ანჯელი, რ 267
არისტოტელე 41, 49, 51, 62, 67, 68, 100, 203,
არონი, რ 133, 196, 240
არონსონი, რ 231
არუგა, ნ
არჩერი, მ 267
ასათიანი, გ 25, 203, 253
ასპი, ე 38
ატლანტი 71, 72
ახენვალდი, გ 57

ბალზაკი, ო 194
ბარდტი, ჰ.პ 214
ბარტი, რ 138
ბარამიძე, გ 192
ბარანოვსკი, მ 239
ბატონიშვილი, ე 64
ბაუმანი, ზ 217
ბახოფენი, ი 77
ბეკონი, ფ 33, 41, 186, 242
ბელი, ა 60
ბელი, დ 105, 106, 231
ბეკი, უ 111
ბეკერი, ჰ 164, 165, 230
ბელა, რ.ნ 190
ბენჯამინი, ჯ 231
ბერგერი, პ 189, 190, 220, 230
ბერკი, პ 25
ბერნარდი, ჯ 232
ბერნსი, რ 245
ბერჯესი, ე 23, 59, 226
ბერჟერონი, ჰ 202
ბერძენიშვილი, ა 113, 253
ბისმარკი, ო.ფ 194
ბიუბე, ფ 194

---

* სახელთა საძიებელი შეადგინეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა: ჯაბა არაბიძემ, მარი მორგოშიამ, ქეთი ცოცაძემ და ნოდარ ჭკანიამ.

ბიშა,მ. ფ.ქ 33
ბლაუ, პ 31, 155
ბლანი, ლ 194
ბლენვილი, ჟ 34
ბლუმერი, გ 98, 153, 257
ბოასი, ფ 77
ბოდრიარი, ჟ 24, 135, 136, 138, 179, 187, 197, 222, 223,
ბოკლი, ჰ.თ 63
ბოლტმერი, ტ 240, 267
ბოუეარი, ს.დ 159
ბოტომორი, ტ 206
ბრაუნი, ზ 214
ბრეეერმანი, ა 231
ბრიჯმენი, პ 98
ბრუნო, ჯ 60
ბრუსე, ჟ 34
ბუაჩიძე, თ 129
ბუგლე, ს 195
ბურგესი, ჯ
ბურდიე, პ 24, 78, 138, 178, 197
ბუტი, ჩ 96
ბუტრუ, 91

გაბიანი, ა 252
გაბიძაშეილი, ო 193
გაბლო, ე 196
გაიგერი, თ 215
გაიდენკო, პ 240
გალტუნგი, ი 63
გამსახურდია, კ 186, 250
გარფილდი, ე 234
გარფინკელი, ჰ 24, 31, 154, 230
გასტონი, რ 266
გელაპი, ჯ 257, 265
გელენი, ა 181
გიდენსი, ე 5, 24, 25, 39, 84, 147, 167, 175, 185, 203, 205, 206, 207, 212, 223,
გიზო, ფ 194
გიდინქსი, ფ.დ 66, 98
გიიარი, ა 51
გილიგანი, ქ
გოეტე 60, 148
გოროზია, ე 253
გოფმანი, ი 23, 24, 31, 154, 230
გრამში, ა 159
გრაუნტი, ჯ 95
გრინბერგი, ი 185,
გროსი, ბ 133
გროტი, ჯ 34
გრუანტი, ჯ 27
გუგუშეილი, პ 252
გულდი, ს.ჯ 54
გუმპლოეიჩი, ლ 56

და გამა, ვ 63
დაეი, ჟ 195
დაეიდოეი, ი 240
დაეენანტი, ჩ 95
დავით აღმაშენებელი 250
დალამბერი, ჟ.ლ 33, 41
დანელია, ს 25, 41
დანტონი, ჟ 194
დარეინი, ჩ 117,
დარენდორფი, რ 31, 206
და როს მური ს.ე 237
დე გოლი, შ 63
დეეისი, ა 204
დეეისი, კ 202
დე-ეო, კ 34
დეკარტე, რ 33, 68, 70, 194
დე დემპრი, ე 196
დე რობერტი, ე 140, 239
დელმონი, ე 96
დერიდა, ჟ 24, 197
დეფლემი, მ 149
დიდრო, დ 194
დინუაიე, ჟ 34
დიუი, ჯ 243
დიურკემი, ე 11, 21, 22, 23, 31, 45, 49, 67, 77, 86, 91, 92, 93, 100, 101, 163, 189, 195, 196, 220, 243,
დოკინზი, რ 54
დოსტოევსკი, თ 22

ებოტი, ე 232
ევანსი, ქ 47, 159, 203,
ედამსი, ჯ 228
ეკო, უ 138
ელიოტი, ჯ 117
ენგელი, ე 97, 214, 215
ენგელსი, ფ 157, 240
ენდრიუსი, ქ 85
ემერსონი, გ 98
ეპიკურე 41
ესქიროლი, ჟ.დ 34
ეტციონი, ა 173
ეაგნერი, ა 214
ეაინინგერი, ო 203
ეაიცზეკერი, კ.ფ 216
ეალერსტაინი, ე 231, 267
ეასკლერი, ე 98
ეაჟა-ფშაველა 60
ეაშინგტონი, ბ.ტ 226
ეაჩეიშვილი, ა 251
ეები, ბ 96, 205, 228
ეები, ს 96, 205
ეებერი, ა 97, 128, 213, 215
ეებერი, მ 97, 228

ვებერი, მ 5, 11, 21, 22, 23, 50, 67, 97, 108, 109, 128, 148, 151, 152, 158, 172, 174, 176, 177, 178, 188, 189, 199, 200, 213, 214, 215, 220, 226, 251,
ვებლენი, ტ.ბ 181, 225
ვესტერგარდი, ჯ 206
ვესტერმარკი, ე 206
ვივიორკა, მ 267
ვიზე, ლ.ფ 216
ვილარმე, ლ 96
ვისვედე, გ 12
ვილარესი, დ 36
ვილჰელმ დამპყრობელი 95
ვინდელბანდი, ე 75
ვიტგენშტეინი, ლ 205
ვიტროვი, ბ 266
ვოლტერი, ჟ.ფ 33, 194
ვოლტმანი, ლ 56
ვონეგუტი, კ 202
ვორმსი, რ 56, 195, 266
ვრითი, ლ 227, 266, 267
ვულფი, უ 184
ვუნდტი, ვ 215

ზაკერმანი, ჰ 235
ზარატუსტრა 238
ზაქარაია, დ 223
ზდრავომისლოვი, ა 126
ზეესი 71
ზეტერბერგი, გ 98
ზიმელი, გ 22, 23, 66, 148, 149, 172, 190, 223, 226,
ზნანეცკი, ფ 98, 209, 226, 227
ზოლა, ე 134, 194
ზომბარტი, ვ 50
ზონტაგი, ს 136
ზორბაუ, ჰ 227

თალესი 69
თმარ მეფე 250
თევზაძე, გ 187
თეიჩმანი,ჯ 47, 159, 203,
თიონისი, ფ 22, 28, 97, 110, 168, 169, 213, 214, 215, 220, 251,
თურნვალდი, რ 215

იადოვი, ე 239, 240, 241, 255
იაკობი, რ 231
იანოვიცი, მ 98
იბერი, პ 250
იესო ქრისტე 68, 73,
იულიუს კეისარი 178
იუბენკი, ე.ედ 171
იუკიტი, ფ 236
იუნგი, კ.გ 77
იუნგი, პ 228

იურესი, ე.ა 214
იხჰაიზერი, გ 215

კაკუბაეა, ს 5
კალჰუნი, ქ 15, 25, 32, 39, 85, 113, 131, 147, 156, 167, 175, 187, 191, 212,
კანტი, ი 120, 148, 225
კარლაილი, თ 194
კაპანელი, კ 64, 251
კარდოზო, ფ 267
კარეეი, ნ 239, 266
კარნეგი, დ 151, 156, 159
კარტოზია, ბ 253
კასირერი, ე 122
კასტელსი, მ 106,
კასტრო, ფ 159
კატონი 119
კაჭკაჭიშეილი, ი 253
კელერი, ს 15, 25, 32, 39, 85, 113, 131, 147, 156, 167, 175, 187, 191, 212
კეოეენი, რ 227
კენედი, ჯ 141
კენიტი, ტ 237
კერსებუმი, ე 95
კეტლე, ლ.ა.ჟ 27, 28, 58, 59, 96, 98, 174, 194, 215
კინგი, გ 95
კინზი, ა 128
კიონიგი, რ 267
კისტიაკოეი, ბ 239
კლარკი, მ 226
კლინტონი, ბ 235
კობეინი, კ 101
კოენი, ს 63
კოვალეესკი, მ 140, 239, 266
კოლბერი, ჟ 95
კოლუმბი, ქ 63
კოდუა,ე 16, 32, 39, 113, 131, 223, 244, 252, 253
კონდორსე, მ.ჟ.ა.ნ 33
კონდრატიეეი, ნ 239
კონტი, ლ 33
კონტი, ო 10, 11, 15, 20, 23, 25, 26, 28, 29, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 42, 93, 100, 117, 151, 176, 188, 194, 195, 218, 236,
კონტი, რ 33
კონფუცი 51, 67
კოპერნიკი, ნ 76
კოსტაეა, მ 53, 60,
კოული, ჯ.რ 234
კოულმანი, ჯ 50, 231
კრაეჩენკო, ა 185, 203, 212,
კრესი, კ 228
კროზე, მ 196
კრომველი, ო 95
კროჩე, ბ 208
კულანჟი, ფ 91
კული, ჩ.ჰ 23, 98, 144, 151, 227,
კუნიო, ი 237

კოულმანი, ჯ 50
კუპერი, ა.ჟ 228

ლაგერფელდი, პ 179
ლაზარსფელდი, პ 27, 95, 98, 99, 229, 230, 235, 254, 257
ლაიბნიცი, ვ 68
ლაითი, დ 15, 25, 32, 39, 85, 113, 131, 147, 156, 167, 175, 187, 191, 212
ლავროვი, პ 239
ლალი, დ 237
ლაო-ძი 67
ლამარტინი, ა 194
ლანდბერგი, ფ 184
ლანდბერგი, ჯ 95
ლანდესკო, ჯ 227
ლაპლასი, პ 95
ლაპო-დანილევსკი, ა 239
ლასუელი, გ 257
ლაფიტი, ჟ 34
ლევინი, კ 65
ლეენშტაინი, ა 214
ლეჟ-ბრიული, ლ 195
ლევი-სტროსი, კ 196
ლეონტინი, რ 54
ლედი გაგა 149, 150
ლედერერი, ე 215
ლეკიშვილი, ე 223, 236
ლემერტი, ე 165
ლენინი, ე 140, 159, 239, 240
ლენსკი, გ 102, 103, 105, 106, 107
ლე-პლე, ფ.პ 59, 96, 194
ლიაპუჟი, უ 56
ლილიენფელდი, პ 55, 239, 266
ლიოტარი, ჟ.ფ 197, 221, 222
ლიპმანი, უ 257
ლისკი, ა 231
ლობაჩევსკი, ნ 76
ლოკი, ჯ 5
ლომბროზო, ჩ 162, 163, 208
ლომონოსოვი, მ 240
ლოპრეტაო, ჟ 54
ლუი, ჯ 117
ლუი-ფილიპე 34
ლუმანი, ნ 31, 217
ლუკმანი, თ 230
ლუტიძე, ბ 5, 15, 32, 39, 85, 113, 212, 223, 253

მაგელანი, ფ 63
მადლენი, ლ 194
მაკარტური, დ 236
მაკარტური, ქ 236
მაკგრეგორი, დ 99
მაკ-დუგალი, უ 64
მალთუსი, თ 52, 53, 95

მალინოესკი, ბ 44, 45, 77, 206
მამარდაშვილი, მ 240
მანჰაიმი, კ 22, 217, 232
მარადონა, დ 178
მარატი, ჟ 194
მარკ-აიველი, რ.მ 229
მარკუზე, ჰ 5, 24, 158, 159, 209, 216, 220, 221
მარშაკი, ი 215
მარშალი, ტჰ 205, 240, 267
მარტინელი, ა 267
მარტინო, ჰ 29
მარქსი, კ 21, 31, 50, 106, 107, 108, 127, 157, 158, 159, 165, 188, 199, 206, 213, 220, 226, 231, 240,
მასენი, კ 34
მასიონისი, ჯ 25, 131, 147, 156, 167, 175, 223
მასლოუ, ა 99
მატეზი, ა 194
მაუერი, ე 227
მაუმატო, ბ 238
მეგრელიე, კ 5
მეთიუზი, ფ 227
მეიო, ე 98
მეკლაპი, ფ 106
მენდესი, რ.ტ 36
მენდრასი, ა 196
მერი, მ 96
მერდოკი, ჯ 127
მერტონი, ვ 236
მერტონი, რ.კ 23, 31, 95, 98, 140, 141, 164, 174, 228, 229, 234, 235, 236, 237, 240, 251, 257, 270
მერტონი, რ 236
მესი, ლ 178
მეჩნიკოვი, ლ 63, 239,
მიდი, მ 77,
მიდი, ჯ.ჰ 31, 144, 153, 227,
მილარდი, ჯ 20
მილი, ჯ.ს 34, 117
მილსი, ჩ.რ 14, 23, 24, 141, 181, 229, 230, 270
მიხაილოესკი, ნ 239
მიხელსი, რ 174, 208
მონტესკიე, შ.ლ 20, 61, 62, 63, 64, 194,
მოპასანი, გ 194
მორგანი, ლ 77
მორენო, ი.ლ 82, 83, 94, 229, 231
მორისი, მ 195
მოსი, მ 196
მოსკა, გ 208, 209
მური, ე 202

ნადალი, რ 178
ნანეიშვილი, გ 251
ნაპოლეონი 57, 96, 178, 194
ნერუ, ჯ 63
ნეჩაევი, ნ 245
ნიკოლოზ I 34
ნინულიტო, ი 106

ნიუტონი, ი 69, 76
ნისი, ა 236
ნიცშე, ფ 101, 109, 116, 120, 121, 148, 186, 196, 216, 221, 223,
ნიჩეფერო, ა 208
ნოეიკოვი, ვ 239
ნონიაშვილი, კ 16, 85,
ნუფილდი, ს 207

ოგბორნი, უ 98, 127, 218
ოდაეა, კ 238
ოიდიპოსი 77
ოდუმი, ჰ 232
ოლპორტი, გ 65, 257
ომენი, თ.კ 267
ოსიპოვი, გ 240
ოსტვალდი, ვ.ფ 74

პარან-დიუშატლე, ა 96
პარკი, ე 245
პარკი, რ.ე 23, 59, 98, 226, 227, 233, 270
პარეტო, ვ 208
პარმენიდე 73
პარსონსი, ტ 5, 23, 31, 140, 141, 174, 195, 206, 228, 229, 230, 231, 232, 233, 237, 240, 251
პელე 178
პეტი, ე 27
პიაჟე, ჟ 143, 144, 206
პითაგორა 68
პინი, ხ 266
პირკერი, თ 214
პლანკი, მ 70, 216
პლატონი 34, 51, 62, 67, 68,
პლხანოვი, გ 239
პოკროვსკი, ნ 240
პოპერი, კ 110, 111, 158
პოსეიდონი 71
პრისტოლი, ჯ 14
პტოლემე 76
პუანკარე, ა 70
პუასნო, ა 34
პუფენდორფი, ს 119

ჟილმანი, შ.ჰ 228
ჟორესი, ჟ 194, 196
რასელი, ბ 205
რატცინგერი, ი 192
რაუნტრი, ს 96
რაჯნიში, ბ 117
რერიხი, ნ 119
რიკენი, ჰ 240
რიკერტი, ჰ 75, 148
რისმენი, დ 231
რიტცერი, ჯ 24, 160, 225, 227, 228

რიჩი, ა 231
რედკლიფ-ბრაუნი, ა.რ 45, 77, 206
რეინო, ჟ 196
რემბრანდტი 148
რეშიდ-ფაშა 34
როკფელერი, ჯ 207
რობაქიძე, გრ 251
რობესპიერი, მ 194
რომანეკი, მ 134
რომულუსი 94
როსი, ე 98
როჯერსი, ე 235
რუზველტი, თ 262
რუსთაველი 250
რუსო, ჟ.ჟ 33, 56, 60, 194,

სამნერი, უ.გ 23, 98, 225, 226
სარტრი, ჟ.პ 158, 159, 222
სასკი, მ 237
საჩსი, პ 154
სენ-სიმონი 26, 28, 33, 42, 194
სიმიანი, ფ 195
სინკლერი, ჯ 95
სიუზი, ჯ 231
სიქსტუს IV 116
სლოტერდაიკი, პ 217
სმელზერი, ნ 16, 19, 24, 25, 119, 156, 167, 175, 185, 203, 212, 241, 245,
სმიტი, ა 20, 33
სმოლი, ა 98, 225, 226
სოკრატე 68, 116, 196
სოლბერი, ჯ 257
სოლოვიოვი, ს 63
სოლონი
სოროკინი, პ 18, 19, 23, 31, 66, 140, 141, 211, 228, 229, 232, 239, 240, 266,
სპირსი, ბ 101, 198
სპენსერი, ჰ 20, 23, 28, 41, 55, 77, 93, 114, 117, 118, 176, 205, 225, 243
სპინოზა, ბ.ბ 60
სტეინბეკი, ჯ 254
სტეფენი, ა 60
სტეტცელი, ჟ 196
სტოუნი, ჯ 95
სტრაბონი 62
სტრონინი, ა 239
სტრუვე, პ 239
სტურციო, ლ 208
სულაბერიძე, ა 252
სურგულაძე, ი 251
სუძუკი, ე 237
სჰიმეი, მ 238

ტაბიძე, გ 250
ტაკაბე, ტ 238
ტაკეში, ო 238

ტარდი, გ 65, 195, 257
ტაუნა, გ 98
ტაუფლერი, ს 98
ტეილორი, ე 77
ტეილორი, ფ 98
ტენი, ი 194
ტერი, ჟ 194
ტიე, ნ 237
ტილიხი, პ 189, 190
ტინდელი, ჯ 117
ტიურგო, ა.რ.ჟ 33
ტოდა, ტ 238
ტოიამა, მ 236
ტოინბი, ა 141
ტოკეილი, ა 50
ტოლსტოი, ლ 60
ტომასი, უ 98, 98, 226, 227
ტომპსონი, ს 98
ტომპსონი, ჯ 14
ტონგო, ტ 237
ტორკვემდა, ტ 116
ტოფლერი, ე 184, 191,
ტრიეერსი, რ 54
ტროუ, მ 244
ტროცკი, ლ 230
ტურეილი, ა 96
ტურენი, ა 196

უაიტი, მ 205
უაიტჰედი, ა.ნ 68
უელს-ბარნეტი, ი 228
უილი, ნ 231
უილიამსი, ე 178
უილიამსი, რ 123
უილიამსი, ს 178
უილიამსი, ჯ 54
უილსონი, ე 54, 257
უორდი, ლ 23, 65, 98, 225, 243, 266
უოტსონი, ბ 142
ფაბერი, ე 130
ფედერერი, რ 178
ფელტცი, ფ 215
ფენოლზი, ე 236
ფერატორი, ფ 208
ფერი, ე 208
ფერგიუსონი, ა 20
ფერეოლი, ჟ 131, 167, 175, 185, 203, 212,
ფლობერი, გ 194
ფილოპოეი, ა 245
ფიცჰიუ, ჯ 225
ფიხტე, ი.გ 74
ფოლკონე, პ 195
ფონ ეიზე, ლ 213
ფორბენიუსი, ფ 77

ფორდი, ჰ 183, 224
ფრეზერი, ჯ 45, 77
ფრეიერი, ჰ 214, 215
ფრიკანდტი, ა 213, 214
ფრიდმანი, დ 267
ფრიდმანი, ჟ 196
ფრიდმანი, ჯ 240
ფრიში, მ 50, 130
ფროიდი, ზ 77, 82, 83, 143, 203,
ფრომი, ე 158, 216
ფუკო, მ 159, 197, 268
ფუკუიამა, ფ 223, 238
ფულიე, ა 56
ფულიე, ჟ 34
ფურიე, შ 95, 194

ქეი-შატლუორტი, ჯ 96
ქეთეან წამებული 250
ქენტრილი, ჯ 257
ქეცბაია, კ 16, 39, 68, 113, 186,
ქეაჩახია, ე 5, 240, 252, 254
ქსენოფანე 73
ყულიჯანიშვილი, ა 5, 130, 131, 223
შაუ, კ 228
შელერი, მ 158
შელინგი, ფ.ი 74
შეევარდნაძე, ე 252
შერიფი, ჯ 257
შეფლე, ა 55
შეაიცერი ა 141
შიუცი, ა 31, 190, 230
შლიზი, ე 98
შლიკი, მ 75
შმოლერი, გ 97, 213, 215
შოპენჰაუერი, ა 186, 203
შაენგლერი, ო 120, 121, 129, 216
შტაინერი, რ 60
შტებერი, ა 215
შტომპკა, პ 135, 138, 267
შჩეპანსკი, ი 16, 32, 39, 107, 111, 113, 128, 131, 156, 175, 183, 185, 267
შუმპერტი, ი 50

ჩელენი, რ 63
ჩოდოროუ, ნ 231
ცაგლერი, ა 266
ციცერონი 119
ძედუნი, მ 159
ძენონი 41

წერეთელი, მ 251
ჭავჭავაძე, ი 250
ხანძთელი, გრ 250

ხარტი, კ 257
ხასაია, ზ 25, 114, 253
ხოელენდი, ე 257
ხრუშჩოვი, ნ 251
ხუბუა, გ 192

ჯაეახიშვილი, ი 5, 68, 251, 252
ჯეიმსონი, ფ 141
ჯენქსი, ჩ 221
ჯოკიეიჩი, ნ 178
ჯონსონი, ჩ 227
ჯორდანი, მ 178, 198
ჯორჯაძე, ა 251

ჰაბერმასი, ი 23, 158, 159, 192, 216, 217, 231, 257
ჰაიდეგერი, მ 122
ჰაიზენბერგი, ე 70
ჰაიზინგა, ი 130, 131
ჰალბეაკრი, მ 195, 196
ჰალი, ფ.ი 33
ჰალეი, ე 27, 95
ჰეგელი 60, 71, 74, 120, 157
ჰექელი, ე 59
ჰემანუსი, პ 106
ჰერაკლიტე 68, 69
ჰერდსტრომი, პ 266
ჰეროდოტე 62
ჰერცბერგი, ფ 99
ჰესიოდე 71
ჰილაერი, ე 228
ჰილი, რ 267
ჰიმელსტრანდი, უ 267
ჰიუგო, ე 194
ჰიუზი, ე 227
ჰიპოკრატე 62
ჰირში, ტ 165, 166
ჰიუმი, დ 5, 33
ჰობსი, თ 5, 56
ჰობჰაუზი, ლ.ტ 205
ჰოვარდი, ჯ 95
ჰოელენდი, ჯ
ჰოლანდერი, ჯ 233
ჰოლსი, ჩ 206
ჰოსლი, ჩ 206
ჰომანსი, ჯ 31, 50, 155, 228
ჰომეროსი 71
ჰორკჰაიმერი, მ 158, 209, 216
ჰოფმანი, ა 25
ჰუსერლი, ე 230
ჰუმბოლდტი, ა 34

Dewey, J 243
Comte, A 27
Sontag, S 139
Word, L 243

Альчук, А 139
Апурин, В 16, 32, 40, 113
Барт, Р 139
Бодрийяр, Ж 192
Боронов, А 25
Брекнер, р 139
Гидденс, Э 15, 113
Гирц, К 139
Гофман, И 139
Дашкова, Т 139
Захаров, А 139
Кравченко, А 16, 32, 85, 113
Круткина, В 139
Козлова, Т 139
Масионис, Дж 16, 32, 40, 85, 113, 187
Михалкович, В 139
Нурикова, В 139
Павленок, П 16, 32, 40
Петровская, Е 139
Подорога, В 139
Попер, К 113
Романова, П 139
Сальникова. Е 139
Стигнеев, В 139
Тофлер, Э 191
Штомпка, П 139
Эко, У 139
Ярской-Смирнова, Е 139

ს ა რ ჩ ე ვ ი

მაინც რა არის ეს სოციოლოგია – რედაქტორის წინათქმა – ა. ყულიჯანიშვილი.....3

შესავალი – პროფესია – სოციოლოგი.....7

ლექცია I – რა არის სოციოლოგია.....10
მასალა განსჯისათვის: საზოგადოება მიკროსკოპის ქვეშ – ნ. სმელზერი.....16
რა არის სოციოლოგია და რას შეისწავლის ის – პ. სოროკინი.....17
სოციოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა – პ. სოროკინი.....18

ლექცია II – სოციოლოგიის ფუძემდებლები (მცირე ექსკურსი
სოციოლოგიის ისტორიაში.....20
ეს საინტერესოა: სოციალური ფიზიკიდან სოციოლოგიისაკენ.....26
ეს საინტერესოა: პირველი სოციოლოგი ქალი.....29

ლექცია III – სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა, მიკრო- და
მაკროსოციოლოგია.....30
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები:
„სოციოლოგიის მამა“ – ოგიუსტ კონტი.....33
ეს საინტერესოა: რა კავშირი აქვს ბრაზილიის დროშას სოციოლოგიასთან.....36

ლექცია IV – სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.....37
მასალა განსჯისათვის: არის თუ არა სოციოლოგია მეცნიერება – ე. გიდენსი.....39
მასალა განსჯისათვის: სოციოლოგია და სხვა საზოგადოებრივი
მეცნიერებანი – ი. შჩეპანსკი.....40
ო. კონტის სამი სტადიის კანონი.....41
დარგობრივი სოციოლოგიები.....43
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციალური და კულტურული
ანთროპოლოგია.....44
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: პოლიტოლოგია.....46
მასალა განსჯისათვის: პოლიტიკური თავისუფლება, როგორც წარმომადგენლობითი
მართვა – ჯ. თეიჩმანი, ქ. ეეანსი.....47
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: ეკონომიკა.....49
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: დემოგრაფია.....51
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციობიოლოგია.....54
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სტატისტიკა.....57
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციალური ეკოლოგია.....59
მასალა განსჯისათვის: ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ (ფრაგმენტი) –
მ. კოსტავა.....60
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციალური გეოგრაფია.....61
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციალური ფსიქოლოგია.....64
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: სოციალური ფილოსოფია.....67
საკითხავი მასალა: რა არის ფილოსოფია (ფრაგმენტი) – ს. აჟალიანი, კ. ქეცბაია.....68
სოციოლოგიის მონათესავე დისციპლინები: ეთნოგრაფია.....77

ლექცია V – სოციოლოგიის მეთოდები.....79
მასალა განსჯისათვის: სოციოლოგიური კითხვები – ე. გიდენსი.....84
ანკეტის შედგენის ზოგადი წესები.....86
სოციოლოგიური გამოკვლევა.....90
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: კლასიკური ფრანგული
სოციოლოგიის მამამთავარი – ემილ დიურკემი.....91
საკითხავი მასალა – ემპირიული და გამოყენებითი სოციოლოგიის
მოკლე ისტორია.....94

ლექცია VI – სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: საზოგადოება 100
მასალა განსჯისათვის: ცხოველთა გაერთიანებანი (ფრაგმენტი) – ი. შჩეპანსკი 111
რა არის საზოგადოება (ფრაგმენტი) – ჰ. სპენსერი 114
მასალა განსჯისათვის: ადამიანთა საზოგადოება (ფრაგმენტი) – ზ. ხასაია 114
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: კლასიკური ინგლისური
სოციოლოგიის ფუძემდებელი – ჰერბერტ სპენსერი 117

ლექცია VII – სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: კულტურა 119
მასალა განსჯისათვის: კულტურის გაელენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე
(ფრაგმენტი) – ი. შჩეპანსკი 128
მასალა განსჯისათვის: რა არის კულტურა (ფრაგმენტი) – თ. ბუაჩიძე 129
მასალა განსჯისათვის: კულტურის თამაშებრივი თეორია
(ფრაგმენტი) –ა. ყულიჯანიშვილი 130
პრაქტიკუმი ვიზუალურ სოციოლოგიაში 132
ეს საინტერესოა: ფოტოსოციოლოგია 134
თანამედროვე სოციოლოგიიდან: ვიზუალური სოციოლოგია
(ფრაგმენტი) – ჰ. შტომპკა 135
პრაქტიკუმი ვიზუალურ სოციოლოგიაში 137
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: „ადამიანი დიდი
ასოებით," – რუსული წარმომავლობის დიდი ამერიკელი სოციოლოგი
– პ. სოროკინი 140

ლექცია VIII – სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: სოციალიზაცია 142
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: „სოციაციის თეორია"
– გეორგ ზიმელი 148
ეს საინტერესოა: ლედი გაგას ფენომენი, როგორც სოციოლოგიური კელეეის საგანი;
„დიდებისა და წარმატების სოციოლოგია" 149

ლექცია IX – სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: ინტერაქცია 151
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: ეკონომიკური
სოციოლოგიის კორიფე – კრალ მარქსი 157
მასალა განსჯისათვის: მარქსის მემკვიდრეობა – ჯ. თეიჩმანი, ქ. ევანსი 159
ეს საინტერესოა: სექსუალობის სოციოლოგია 160

ლექცია X – სოციოლოგიის ძირითადი ცნებები: დევიაცია 161
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: „თემი და საზოგადოება"
– ფერდინანდ თიონისი 168

ლექცია XI – სოციალური ჯგუფები და ორგანიზაციები 170
რა არის სოციალური ჯგუფი? (ფრაგმენიტი) – ი. შჩეპანსკი 175
საკითხავი მასალა – სოციოლოგიის კლასიკოსები: დიდი გერმანელი
სოციოლოგი – მაქს ვებერი 176
ეს საინტერესოა: სპორტის სოციოლოგია 178

ლექცია XII – სოციალური ინსტიტუტები 180
მასალა განსჯისათვის: სოციალური ინსტიტუტები (ფრაგმენტი)
– ი. შჩეპანსკი 183
მასალა განსჯისათვის: დანგრეული ოჯახი (ფრაგმენტი) – ე. ტოფლერი 184
საკითხავი მასალა: საზოგადოების ტრანსფორმაცია და რელიგია
(ფრაგმენტი კ. ქეცბაიას ლექციებიდან რელიგიის სოციოლოგიაში) 186
საკითხავი მასალა – სოციოლოგია საფრანგეთში 194

ლექცია XIII – სოციალური სტრატიფიკაცია 198
მასალა განსჯისათვის: კურტ ვონეგუტი – „სააშინაო თანასწორობა" 202

ი 12/1536

მასალა განსჯისათვის: გენდერის სოციოლოგია – „ერთი თუ ორი სქესი“ (ფრაგმენტი) – ჯ. თეიჩმანი, ქ. ევანსი 203
საკითხავი მასალა – სოციოლოგია ინგლისში 205
საკითხავი მასალა – სოციოლოგია იტალიაში 208

ლექცია XIV – სოციალური მობილობა 210
საკითხავი მასალა – სოციოლოგია გერმანიაში 213

ლექცია XV – სოციალური ტრანსფორმაციები 218
ვირტუალური სამყაროს უცნაურობანი – (ნახ.) 224
საკითხავი მასალა – სოციოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში 225
საკითხავი მასალა – სოციოლოგია იაპონიაში 236
საკითხავი მასალა – სოციოლოგია რუსეთში 239
„საბჭოთა ექსპერიმენტი“ (ფრაგმენტი) – ნ. სმელზერი 241
საკითხავი მასალა – „განათლების სოციოლოგია“ (ფრაგმენტი კ. ქეცბაიას წიგნიდან)
საკითხავი მასალა – სოციოლოგია საქართველოში 251
საკითხავი მასალა – „ჟურნალისტიკის სოციოლოგია“
(ფრაგმენტი კ. ქეცბაიას წიგნიდან) 255
ეს საინტერესოა: საერთაშორისო სოციოლოგიური ორგანიზაციები 266
სოციოლოგთა XVII საერთაშორისო კონგრესის პოსტერი 269
დასკვნის სანაცვლოდ: სოციოლოგიის კლასიკოსთა რჩევები მომავალ სოციოლოგებს 270
სახელთა საძიებელი 271

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com